

# რევაზ

# მიშველაძე

## ჩრდილო თხზულებანი

ოცდახუთი ტომი

თანამედროვე ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, რევაზ მიშველაძის შემოქმედება კარგანია მსოფლიო ლიტერატურის ორგანულ ნაწილად იქცა.

„საქართველოს მაცნე“ გამოსცემს პროზის დიდოსტატის რევაზ მიშველაძის ჩრდილო თხზულებათა ოცდახუთტომეულს.

მკითხველი ამ ტომების წაკითხვისას ადვილად დარწმუნდება, რომ მწერლის ჟანრულად უაღრესად მდიდარ ნაწერებში ჩანს არა მარტო საქართველოს პრობლემები, არამედ ქართული სარკმლიდან დანახული მსოფლიოც.

2012



## ნოველები

ტომი  
VII



გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

ISBN 978-9941-16-228-2 (ოცდახუთივე ტომი)  
ISBN 978-9941-16-277-0 (VII ტომი)

## წინასაარჩევნო ღუელზე

მე წესიერი ამომრჩეველი ვარ.

წინასაარჩევნო შეხვედრებს ვესწრები. ჩვენი საარჩევნო უბნის აქტივისტებს ხანდახან სიების გადანერაში და ბიულეტენების დარიგებაშიც ვეხმარები.

უფრო რთულ ოპერაციებში (ვთქვათ, ხმების დათვლა) არ მრევენ.

ახლა გაგანია არჩევნებია.

პარლამენტის წევრობაზე ოთხასოცდაშვიდი პარტია და თითქმის ამდენივე მაჟორიტარი დეპუტატი ეჯაჯგურება ერთმანეთს.

დამოუკიდებელ საქართველოში უკვე მეხუთე არჩევნებს ვატარებთ და ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდა ეს ხალხი, რომ გაიმარჯვებს მხოლოდ ორი პარტია, დანარჩენი ოთხას-ოცდახუთი პარტია დამარცხებისთვისაა განწირული.

ეს ჭეშმარიტება მე ვიცი – უბრალო ამომრჩეველმა და პარტიათა ბელადებს როგორ არ ეცოდინებათ, მაგრამ მათს ჯიუტ ნებას, მონაწილეობა მიიღონ უპერსპექტივო არჩევნებში, როგორც ჩანს, სხვა ცდუნება მართავს, წინასაარჩევნო შეხვედრები, ტელეეთერი, სახელის გახმაურება...

კაცია და გუნება.

მე, მაგალითად, არ გავყოფდი თავს ისეთ ყულფში, საარჩევნო მართონი რომ ჰქვია და უჩინარ მტრებს – შურით დაბოლმელ კოლეგებს, ერთხელ კიდევ არ დაფუჯდებოდი სამიზნეზე.

დეპუტატობის კანდიდატები რომ დღეში არიან, ისეთ დღეში ყოფნას მტერს არ ვუსურვებ.

რედაქტორი

**ნათელა თუხარელი**

კომპიუტერული  
უზრუნველყოფა:

**გიორგი მახარაშვილი**  
**ციალა ძიმისტარიშვილი**

© რევაზ მიშველაძე, **რჩეული თხზულებანი ოცდახუთი ტომად**

© **გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**, თბილისი, 2012

მისამართი: თბილისი, 0179, ალ. ჭავჭავაძის გამზ. №27

შორს რომ არ წავიდე, გუშინდელ ამბავს გეტყვი.

ორი მაჟორიტარი კანდიდატი – ყოფილი გამომძიებელი მაჩიტაძე და კომუნისტების დროს პარტკაბინეტის გამგედ ნამუშევარი სახვაძე შეხვდნენ ჩვენი უბნის ამომრჩევლებს.

თავიდან, ცოდვას ვერ დავიდე, დინჯად, ყურნალისტების ენით რომ ვთქვათ, კორექტულად იქცეოდნენ.

ჯერ იყო და ორივემ თავისი პროგრამა წარმოადგინა.

მეო, მაჩიტაძემ, ბევრს ვერ დაგპირდებით, მაგრამ ამ ჩვენს რაიონს რომ ოცდაოთხი საათი უფასო განათებას, უფასო მკურნალობას, ხელფას-პენსიების გახუთმაგებას და რიონის არხზე ახალი ხიდის რეკორდულად მოკლე დროში აგებას მივაღწევ, შემოიძლია ხატზე დაგიფიცოთო.

ჩვენ აღტაცების ცრემლი მოგვადგა თვალებზე და მზად ვიყავით, ხიდის რეკორდულად აგების საკითხში ცოტა შეღავათი მიგვეცა მაჩიტაძისთვის. შენ ის სამი დანაპირები შეგვისრულე და ხიდს რაც შეეხება, ერთი-ორი წელი დაგაცდით, ვივლით, რავარცხა დავდიოდით, ბალახვნის შემოვლითო, უთხრა მაჩიტაძის პროგრამით ათრთოლებულმა ერთმა მალემრწმენმა ამომრჩეველმა.

სახვაძის დრო რომ მოვიდა, პარტკაბინეტის ყოფილმა გამგემ მიკროფონს სახე მოარა და გაუძლიერებელი, მაგრამ მაინც მკაფიო სიტყვით მიმართა დარბაზს:

მეო, ლაპარაკი არ მეხერხებაო, უფრო საქმის კაცი ვარო. რა საკადრისია ხვავის მთები დაგპირდეთ და ვერ შევისრულოთო, ბევრი არაფერი შემოიძლია, მაგრამ რასაც დაგპირდებით, წყალი არ გაუვაო. პირველ რიგში, გზებს მოვანესრიგებ, უასფალტოდ ჩვენ რაიონში პანანინა ჩისხაც არ გავუშვებო. რაიონის უფასო გაზიფიცირებას მივაღწევო, ვისაც სახლის რემონტი დასჭირდება, უფასოდ გავურემონტებ, ხოლო ვის სახლსაც რემონტი ახალგაკეთებული აქვს, გარაჟს ან კაპიტალურ ფარდულს მივუშენებო, ასანთზე, საპონზე, ნავთზე და საზოგადოებრვ ტრანსპორტზე უფასო მოხმარე-

ბას დავანესებ, ხოლო საწყლოსნო სპორტის მოყვარულებს „კნეისლის“ მარკის თითო თხილამურს უფასოდ დავურთებო.

ჩვენ კიდევ გულის არუყება გვინდოდა? აგაშენა ღმერთმა, ასფალტის რემონტის, უფასო ტრანსპორტის და ნავთ-საპონ-ასანთის პრობლემა გადაგვინყვიტე და სხვა პრეტენზიით არ შეგანუხებთ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენზე გადაგებულ დეპუტატს ნამეტანს ხომ არ მოგთხოვთ, გაგვიჭირდება, მაგრამ რა ვქნათ, წყლის თხილამურის გარეშე როგორმე გავძლებთ, განაცხადა სახვაძის პროგრემით ათრთოლებულმა ერთმა მალემრწმენმა ამომრჩეველმა.

ჩამთავრდა პროგრამა-დაპირებების პრელუდია და მერე დაიწყო, რაც დაიწყო.

ძვირფასო ამომრჩევლებო, მაჩიტაძემ, ჰკითხეთ ერთი სახვაძეს, კომუნისტების დროს რომ პარტკაბინეტს ხელმძღვანელობდა, მაშინ ვინ უშლიდა ქუჩაზე ასფალტის დაგებას, ან ასანთზე, საპონზე და ნავთზე ფასების გაუქმებასო.

შენ კარგად იცი, პარტკაბინეტის გამგეს რომ ბევრი არაფერი შეეძლო, შენ იმაზე ილაპარაკე, ამ ხალხს უნამუსოდ რომ ატყუებ; რა სახსრებით აპირებ პენსია-ხელფასების გახუთმაგებას და რიონის არხზე ახალი ხიდის აგებასო, სახვაძემ.

რა სახსრებითაც შენ აპირებ სახლების უფასოდ გარემონტებას და თხილამურების დარიგებას. შე მართლა თვალთმაქცო, შენო, მაჩიტაძემ.

რაკი თვალთმაქცობაზე წავიდა საქმე, არ მინდოდა მეთქვა, მარა ა, საჯაროდ ვაცხადებ: თქვენს წინაშე, ძვირფასო ამომრჩევლებო, მაჩიტაძის სახით ის „პროფესიონალი იურისტი“ დგას, ბოლო სახელმწიფო გამოცდა რომ არ ჩაუბარებია და ქრთამით მიიღო დიპლომიო, სახვაძემ.

ყველამ მაჩიტაძეს შევხედეთ, სულო ცოდვილო, რალაცით მართლა ნააგავდა ბოლო სახელმწიფო გამოცდის არჩამბარებელს და ქრთამით დიპლომის ამღებს.

იქნებ ის მოახსენო, შე თაღლითო, ამ პატიოსან ხალხს, პარტიის ანკეტიებს რომ ყიდდი და ბიუროზე რომ გამხილა ინსტრუქტორმა გვარჯალაძემო, არ დაიბნა მაჩიტაძე.

მაგას სჯობია, აუხსნა ამომრჩევლებს, როგორ შეაწერე სიდედრის გაუპატიურების მცდელობა მესამე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, უპატიოსნეს მასწავლებელს – ბეშკენაძეს, რომელმაც შენს დებილ გოგოს მეოთხედში ორიანი გამოაყოლაო, სახვაძემ.

მაჩიტაძესკენ გამექცა მზერა და წარმოვიდგინე, რა სახე ექნებოდა უდანაშაულო კაცს, უმნიკვლო მასწავლებელს – ბეშკენაძეს, სიდედრის გაუპატიურების მცდელობის ბრალდებას რომ წარუდგენდნენ.

იქნებ არც თოჯინების თეატრის არტისტის, ცირა პატარქალიშვილის, ფანჯრიდან გადმომხტარხარ ტრუსიკისამარა და არც მის ქმარს უცემიხარ, შე ხვადაგო, ქუჩაში ქამრითო, მაჩიტაძემ.

ყველა სახვაძეს მივაშტერდით. ღმერთო რა საშინელებაა. ეს დროული კაცი თოჯინების თეატრის არტისტის, ცირა პატარქალიშვილის, ფანჯრიდან ხტება, ქუჩაზე მონყენილი სახით და კოჭლობით გარბის, მოსახვევთან ეწევა რქოსანი ქმარი და უმონყალოდ სცემს ქამარს შიშველ კანჭებზე, ქამრის ბოლოდან კი არა, სწორედ ბალთის მხრიდან.

იქნებ მე მოვპარე სტუდენტობის დროს საკუთარ სიძეს ფული თბილისში და იქნებ მე გამომავდო საკუთარმა სიძემ ამის გამო სახლიდან?! გაიხსენე, აბა, კარგად გაიხსენეო, სახვაძემ.

ჩემმა ფანტაზიამ ოთხმოციანი წლების თბილისში გადაინაცვლა. მოდის სამსახურიდან დაღლილი სიძე. ჩვეულებისამებრ, ასწევს სამ დაუჭედებელ პარკეტს და ელდა ეცემა. წლობით ნაგროვები, პატიოსანი გზით შექენილი, შავი დღისთვის შენახული ფული აღარ არის. სიძის მაძიებელი გონება ეჭვს ოჯახის ახალ წევრზე, ქუთაისიდან სასწავლებლად ჩამოსულ ცოლისძმაზე იღებს.

შე ბუასილით გამომპალო, როგორ აპირებ პარლამენტის სხდომებზე რვა საათი ჯდომას, როცა ნახევარ საათს ვერ ჩერდები სკამზე და ყოველ მესამე დღეს პროქტოლოგთან დადიხარო, მოულოდნელად სულ სხვა მხრიდან შეუტია მაჩიტაძემ.

ძნელი წარმოსადგენი გახდა ჩემთვის პროქტოლოგის წინ ოთხზე მდგარი, გომოროის ტკივილებისგან შეწუხებული პარტკაბინეტის ყოფილი გამგე, მაგრამ ფანტაზიას ხომ საზღვრები არა აქვს.

მაჩიტაძის მორიგი ბრალდება იმდენად შემადრწუნებელი იყო, რომ აქ აღარ ჩავწერ.

ვიტყვი მხოლოდ, რომ წინასაარჩევნო შეხვედრის გმირთა ყოველ ახალ „ქამანდს“ მაყურებელთა მხიარული შექახილები და ზოგჯერ აშკარა ყიჟინალრიანცელი ახლდა.

გაერთო ხალხი.

ძნელია, ძნელი დეპუტატობის კანდიდატობა,.

ძალოვან სტრუქტურათა მინისტრებო, ათასობით ლარს რომ ხარჯავთ ჯაშუშ-ინფორმატორებად პატიოსან მშრომელთა გადაბირებაზე და საიდუმლო თვალთვალისთვის ღამეებს რომ ათენებთ, დაესწარით დეპუტატობის კანდიდატა დრამატულ პაექრობებს.

დამიჯერეთ, თქვენი საგამომძიებლო ტომრები გაუხსნელ დანაშაულთა შესახებ ძვირფასი ცნობებით გაივსება.



## სამი მამიური დღე

სახელისუფლებო „ორნიშნა“ წითლად აკიაფდა.

– მორიგე გისმენთ!

– პრეზიდენტს მალაპარაკეთ.

– იცით, ჩოგბურთს თამაშობს, იქნებ ცოტა მოგვიანებით...

– საზღვაო ჯარების სარდალი ვარ, საგანგებო შემთხვევაა, სასწრაფოდ უნდა ველაპარაკო.

– იცით, ასეთ დროს... რა ვიცი... აკრძალული მაქვს...

– თქვენ, იცით თუ არა, რას ნიშნავს საგანგებო შემთხვევა! ახლავე დაუძახეთ, მანდ თქვენი უფროსი არავინ არი?! – ყურმილში რუსული გინება გაისმა მთელი თავისი უბრალოებით და „მშვენიერებით“.

ხუთიოდე წუთში „ორნიშნასთან“ კისერზე კაშნესავით ლურჯპირსახოცგადაკიდებული პრეზიდენტი მოვიდა.

– ბატონო პრეზიდენტო – თითქოსდა ყელზე თასმას უჭერენო, სხვისი ხმით ლაპარაკობდა სარდალი – ნყალქვეშა კრეისერ „კურსკზე“ ავარიაა. მოგეხსენებათ, „კურსკი“ ატომური გემია.

ეგ შეგეძლოთ, არ დაგემატებიათ, ისედაც ვიცი, – პრეზიდენტი კვბ-ში იყო ნამუშევარი და არა მარტო ატომური ნყალქვეშა ნავების, ქვეყნის ტერიტორიაზე უმცირესი ატომური სამხედრო თუ სამშვიდობო უწყებების განლაგებაც შეუცდომლად იცოდა – კონკრეტულად.

– მოგახსენოთ აქედან, თუ გამოვფრინდე? – დაიბნა სარდალი.

– თქვენ რა, არ იცით, რა არხით მელაპარაკებით?

როგორ არ იცოდა სარდალმა, რომ საპრეზიდენტო „ორნიშნა“ (კოდური სახელწოდება) ფრიად გასაიდუმლოებული, გამხოლოებული ხაზი იყო რენტგენულ-ლაზერული დამ-

ცავი დანადგარებით და მისი დაჭერა-გაშიფრვა უცხოეთის ყველაზე მოდერნიზებულ, ულტრაბგეროვან რადიოლოკატორებსაც არ შეეძლოთ, მაგრამ მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, გაიფიქრა.

– კონსაიდუმლო ინფორმაციაა.

– თქვი.

– „სამასოცდათორმეტ დრობ ბე“ ოპერაციის შესრულების დროს „კურსკი“ სრულიად აუხსნელად, ორმოცდაათ მეტრზე ამოვიდა და აისბერგს შეეჯახა. სამოტორო სისტემა მწყობრიდან გამოვიდა.

– გემის ატომური აღჭურვილობა?

– ექვსი ატომური სასწავლო რაკეტა და ერთი... გითხრათ?!

– გასაგებია, არ გინდათ თქმა.

– ეკოლოგიურ-სასიცოცხლო საშიშროება?

– მხოლოდ აფეთქების შემთხვევაში.

– აფეთქების პროცენტული დაშვება?

– ამჯერად ნულის ტოლია, თუ გარედან რომელიმე ქვეყნის სამხედრო ხომალდმა პროვოკაცია არ გაუკეთა.

– ეკიპაჟი?

– გემზე ასრვა სამხედროა. ოცდაათამდე ტექნიკურ-სამოსამსახურეო პერსონალი. აქედან თერთმეტი ქალი.

– ეკიპაჟის უსაფრთხოება?

– ჟანგბადის მარაგი ხვალამდე ეყოფათ. დღეს ოთხშაბათია, ჩვენი ვარაუდით, ხუთშაბათის რვა საათამდე. კრეისერზე პანიკა არ არის. ეკიპაჟის სამოცმა პროცენტმა იცის, რა მოხდა, დანარჩენმა – არა. შველა მხოლოდ ერთხელ მოითხოვეს ულტრასაიდუმლო გადამცემით. რასაკვირველია, საიდუმლო შიფრით. მე გადავაცემინე, კონტაქტს ჩვენთან ჩვენი თანხმობის გარეშე ნუ დაამყარებენ-მეთქი.

– ადგილი? ზუსტი პარამეტრებით!

– ბარენცის ზღვა. სამოცდამეშვიდე პარალელი. ოთხას ერთი, მარცხნივ შვიდი დრობ სამი ორასცხრა აზიმუტი.

- ხმელეთი?!
- „ნატოს“ საზღვაო სასაზღვრო პუნქტთან ოცდაშვიდი კილომეტრის დაშორებით.
- რა უნდოდა ასე ახლოს?
- მოგეხსენებათ „დროზ ბე“ ოპერაცია...
- კარგად მოქცეულხართ, რომ „სოსზე“ გასვლა აგიკრძალავთ. კრეისერზე თვითნაკეთი რადიოსადგურის გამოყენების საშიშროება ხომ არ არის?
- გამორიცხულია.
- ყურადღებით მომისმინეთ. რა შესაძლებლობები აქვს სამხედრო სამაშველო სამსახურს?
- მურმანსკში ორი სწრაფმავალი წყალქვეშა დგას, ერთი მათგანი „ქარიშხალა“, რემონტზეა, სამოტორო სისტემა მთლიანად ჩახსნილი აქვს.
- ეშმაკმა წაიღოს. რა დროს რემონტი იყო: მეორე?
- მეორე ძველი სისტემის „თოლია“ გახლავთ. ეკიპაჟს თურმე გუშინწინ კაპიტანმა ჩემთან შეუთანხმებლად ხუთდღიანი „ვოლნი“ მისცა. იმათი მოგროვება გაჭირდება.
- სად ჯანდაბაში არიან.
- მეზღვაურების ამბავი მოგეხსენებათ. ლოთობენ და ბოზობენ. მეტს რას გააკეთებენ ნაპირზე.
- კაპიტანი მოხსენით. მოვალეობის შესრულება მის მოადგილეს დაავალეთ. სასწრაფოდ დაგზავნეთ, გაუხმაურებლად, საროსკიპოებში და რესტორან-ფუნდუკებში საიდუმლო ბრიგადები, სასწრაფო სასწავლო შეკრება-თქო. ვისაც ვერ იპოვით, ახალი ეკიპაჟით შეავსეთ, ახლა თორმეტი საათია. ხუთ საათზე „თოლია“ ხაზზე იყოს. რამდენ ხანში ჩავა?
- საეჭვოა, ხვალამდე ჩაასწროს. ძველი გემია. გააჩნია, სანვაგის ხარისხს და ზღვაზე ქარების მიმართულებას.
- რა ქარი? „თოლია“ ხომ წყალქვეშა ნავია.
- კი მაგრამ, თითქმის ამორტიზებულია და ღრმად ვერ ჩადის. ზედა პარამეტრით ათ მეტრზე უნდა იაროს. ამ სიმაღლეზე კი ღელვა ხელს უშლის.

- რალა ჩვენთვის დაიქცევა. ამინდის პროგნოზი?
  - უახლოეს ექვს საათში შტორმი მოსალოდნელი არ არის.
  - იმოქმედეთ. სრულიად საიდუმლოდ. არავითარი პრესა. საღამოს დამირეკეთ.
- ჩოგბურთის თამაშის ხალისი აშკარად აღარ ჰქონდა პრეზიდენტს. მაგრამ არაფერი შემატყონო და „კორტზე“ დაბრუნდა.

\* \* \*

კრეისერ „თოლიას“ ეკიპაჟის შეგროვება ძალიან გაჭირდა. მეზღვაურები კი არა, ბოცმანიც ძლივს მოიხელთეს. მთავარ მესაჭეს ცოლის საყვარელი გაელახა და პოლიციას ჰყავდა დაკავებული.

ქმარი და საყვარელი ერთ კამერაში ისხდნენ. უკვე შერიგებულიყვნენ, ერთმანეთს „იჩობით“ ელაპარაკებოდნენ. მოღალატე ცოლი „გამომძიებლის“ ოთახში გამომწვევად იჯდა, ბროლის „მკერდი“ მაგიდაზე გაეფინა და სამართლის სამსახურში ჩამდგარი კაცის ცდუნებას არცთუ ამაოდ ცდილობდა.

ბოცმანი საგანგებო ბრიგადის წევრებმა სასწრაფოდ გამოაგდეს კამერიდან, ბოცმანმა „ოჯახის მეგობარიც“ გამოიყოლა და ცოლს კატეგორიულად უბრძანა, სანამ მოვიდოდე, სასმელს არ გაეკარო, თორემ სულერთია, გავიგებო. ისე, ყოველი შემთხვევისათვის, დაუბარა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ მისი ცოლი სიმთვრალეში უფრო ადვილი შესაცდენი იყო და ქმრის დანაბარებს საკმაოდ მნიშვნელოვანი შესწორებებით შეასრულებდა.

ეკიპაჟი „ქარიშხალას“ მეზღვაურებით შეავსეს, სანვაგი და პროდუქტები, მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება „ჩპ“ იყო გაცემული, დროულად მაინც ვერ მიიღეს. ეკონომიური კრიზისი ხელშეუხებელ მარაგსაც ნთქავს, მოგეხსენებათ.

„თოლია“ სამი საათის დაგვიანებით გავიდა, თუმცა პრეზიდენტს მოახსენეს, რომ ყველაფერი ჯერჯერობით მკაცრად განსაზღვრული გრაფიკით მიდიოდა.

მესამეჯერ პრეზიდენტს საზღვაო ჯარების სარდალმა შუადღისას, სამის თხუთმეტ წუთზე დაურეკა.

– ბატონო პრეზიდენტო, – სარდლის ხმაში სასონარკვეთა ჩაბუდებულიყო.

– გისმენ.

– სამოცდამეშვიდე პარალელზე შტორმი დაიწყო. ზურგის ქარიც რომ ყოფილიყო, „თოლია“ რვა საათამდე მაინც ვერ მიაღწევდა „კურსკამდე“. თანაც ახლა დავადგინეთ, რომ „თოლიას“ მყვინთავი ვაგონ-კამერა საერთოდ არა აქვს, ასე რომ, ას მეტრზე მაშველი ბრიგადა კუსტარული მოტორიანი ამფიბია-მყვინთავით უნდა ჩავიდეს, რასაც მომზადებიანად ერთი საათი მაინც სჭირდება.

– თქვენი წინადადება.

– იქნებ გაგვეხმაურებინა ეს ამბავი. „კურსკს“ მსოფლიო თითქმის სასწავლო ატომურ ხომალდად იცნობს. ეჭვი ნაკლები ექნებათ. შემთხვევის ადგილას ყველაზე ადრე ნორვეგიელები და შვედები მივლენ. ამერიკასაც ძლიერი სამაშველო სამსახური ჰყავს ბარენცის ზღვაში.

– ადმირალ, „თოლია“ უკამეროდ გაუშვით?

– „თოლიას“ ტიპის ხომალდზე მყვინთავი კამერა არაა დამონტაჟებული.

– ვინ აგებს პასუხს იმ სახელმწიფოებრივ სირცხვილზე, რითაც გაგვანითლებს დასავლეთი, როცა გამჟღავნდება, რა იარაღი გვაქვს ხომალდზე და სად ჩაიძირა იგი.

– პასუხისმგებლობა ყველამ უნდა გავინაწილოთ.

– მაგრამ შვიდეულის წინაშე თქვენ არ იდგებით ჩემ გვერდით, პუტინი მარტო იქნება.

– ვერაფერს გეტყვით. როგორც თქვენ გვიბრძანებთ, ისე იქნება.

– ხომალდზე განწყობა როგორია?

– საბრძოლო-ხალისიანი. შიგადაშიგ მღერიან კიდეც.

– რა ამღერებთ.

– ალბათ, შეგნება იმისა, რომ განსაცდელში არ დავტოვებთ და სადაცაა მაშველი გემი მიუახლოვდებით.

– მაშველი... მაგრამ ეს იქნება ჩვენი საზღვაო ძალების საბოლოო დისკრედიტაცია. თანაც „კურსკის“ საიდუმლო კადრები მთელ მსოფლიოს მოედება. დაგვცინებენ. იტყვიან, რომ აზრი რუსული წყალქვეშა ხომალდების სიძლიერეზე ქიმერა იყო და სხვა არაფერი.

– მართალს ბრძანებთ... და მაინც, თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ბატონო პრეზიდენტო.

– იოლი სათქმელია. საქმეს გააფუჭებენ და მერე მე უნდა გადავწყვიტო. ესენი ხელს დაიბანენ და შენ უგე პასუხი ისტორიას... მომისმინე, სრული სვლის შემთხვევაში რამდენ საათში მივა „თოლია“ „კურსკამდე“?

– თორმეტი საათი მაინც უნდა.

– გადაეცით, რომ აამოძრავონ ყველა ბერკეტი. იარონ სრული სიჩქარით. შესაძლებლობისამებრ მოკლე გზებით იარონ. არ დაზოგონ სანვაგი. გაიარონ სხვათა ტერიტორიულ წყლებში, აცნობონ, რომ „თოლიაზე“ სამი საოპერაციო ავადმყოფია. არა უშავს, ჯარიმებს გადავიხდით. გემის მთელი გზა კონტროლზე აიყვანეთ. მე ზუსტად რვა საათზე დამირეკეთ, იმოქმედეთ!

– მესმის, ბატონო პრეზიდენტო.

მსოფლიომ არაფერი იცოდა. „კურსკის“ მეზღვაურთა ნათესავები ცუდ სიზმრებსაც არ ხედავდნენ.

პრეზიდენტს ზუსტად რვა საათზე დაურეკეს.

ყურმილში ქმინვისმსგავსი სუნთქვა ისმოდა.

– მითხარით, ამოიღეთ ხმა. ვერ ჩაასწრებს ხომ „თოლია“, მითხარით. სად არის ახლა, რამდენი კილომეტრი დარჩა?!

– „თოლია“ ცხრა საათზე იქნება ადგილზე, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე გვიან არის. „კურსკზე“ ჟანგბადის ხუთი ცისტერნიდან ორი ცარიელი აღმოჩნდა.

– მერე?! – პუტინი თითქმის ყვიროდა.

- გემზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანს.
- ყველანი დაიღუპნენ?
- ალბათ, ყველანი.
- რა საშინელებაა, როგორ მოვიქცეთ? – სასონარკვეთილი

ყმანვილის ხმით იკითხა პრეზიდენტმა.

„თქვენი ნებართვით“, „სოსზე“ გავალთ. გამოვაცხადებთ, რომ „კურსკის“ მეზღვაურთა სიცოცხლე საფრთხეშია. საშველად მოვუხმობთ ნორვეგიის, დანიის, შვედეთის და ამერიკის გემებს. ვეტყვით, რომ „კურსკის“ ეკიპაჟს ორი დღის სამყოფი ჟანგბადი დარჩა.

- ნათესავებსაც შეატყობინეთ. ეცადეთ, დაამშვიდოთ.

პრეზიდენტს არ მიუცია ასეთი დავალება, მაგრამ საბჭოთა კავშირის ტრადიციის მიხედვით, დანარჩენი ფლოტის საიდუმლო დაზვერვამ გააკეთა.

სამი დღის განმავლობაში „უახლოვდებოდნენ“ სამი დღის წინათ დაღუპულ „კურსკის“ ეკიპაჟს მსოფლიოს სახელგანთქმული სამაშველო გემები.

სამი დღის განმავლობაში ამცნობდნენ მსოფლიოს რუსები, რომ „კურსკზე“ ყველანი ჯანმრთელად და მხნედ არიან.

ბოლოს კი, რა უსაზღვრო ხარ, უტიფრობავ, გამოაცხადეს, ნორვეგიელ სამაშველო სამსახურს რომ არ დაეგვიანა, „კურსკის“ ეკიპაჟის გადარჩენა შეიძლებოდაო.

აჰ, ეს მაგიური სამი დღე! სამი დღის მერე გამოაცხადეს გაგარინის დაღუპვა, სამი დღის მერე გამოაცხადეს სტალინის სიკვდილი და ბერიას დაპატიმრებაც. სამი დღის მერე გამოაცხადეს ჩერნობილის ავარიაც და „კურსკის“ ეკიპაჟის დაღუპვაც...



## თითო ხელი...

საინგილოში მივდიოდით რაფით ქურმუხობის დღესასწაულზე.

როგორც ყველა ძველ შოფერს, არც მე მიყვარს, საჭეს რომ არ ვუზივარ და პირველ რიგში მძღოლით დავინტერესდები.

ორმოცსმილწეული კაცი იყო. გელა ერქვა – ხალისიანი, მოლაპარაკე. ოცი წელია, ამ საქმეზე ვარო. რომ იტყვიან, ჭიპი მაქვს მოჭრილიო. ჯავრი ნურაფრის გექნებათ, გუგულებივით ჩაგიყვანთ და ჩამოგიყვანთო.

ჩემს თავს არ დავეძებ, ე დარბაისელი ხალხი არ დამიმარცხო. ამ რაფს რომ რამე მოუვიდეს, მთელ საქართველოს თალხს ჩააცვამ, იცოდეთ-მეთქი, მთლად ხუმრობითაც არ მითქვამს.

სამაგიეროდ, რამდენ მოქკავშირელს გავახარებო, ტოლი არ დამიდო ხუმრობაში.

ბიჭოს, შენ იუმორის გრძნობაც გქონია-მეთქი.

შიგადაშიგ, ბატონოო.

ამ მოთელვა-მოსინჯვამ შიშის თუ სიფრთხილის კომპლექსი ნაწილობრივ მომიხსნა, მაგრამ ერთი-ორჯერ მოსახვევში მარცხნიდან რომ შევიდა და სამმაგი გადასწრების დროს შემხვედრ „ვოლგას“ კინალამ გაჰკრა გვერდი, ისევ დავიძაბე.

იქნებ მეჩვენება-მეთქი და პირში წყალი ჩავიგუბე, შოფრებს არ უყვართ, შენიშვნას რომ აძლევენ.

არა, არა, ნამდვილად ეშლება. ან კარგად არ არის დაუფლებული საჭეს, ან იმდენადაა დაოსტატებული, რომ ზედმეტად თავდაჯერებულია. ავარიის შანსი კი ორივე შემთხვევაში ერთნაირია.

აზერბაიჯანის საბაჟო რომ გავიარეთ, გვერდით დავუჯექი,

რომ რამე იყოს, სიტყვას მაინც წავაშველებ, ან მუხრუჭს მაინც ამოვკრავ-მეთქი ხელს.

გვერდით რომ დამიგულა, საინგილოზე შეკითხვებით ამა-ვსო.

ეს ხომ ძველთაძველი ჰერეთია, საინგილო როდიდან ან რატომ ჰქვიაო.

მგონი, „ინგილო“ ჩამოსულს უნდა ნიშნავდეს-მეთქი, რომელიღაც თათრულ თუ ლეკურ დიალექტზე.

ეგ მოსაზრებაც არსებობს, მაგრამ ამასწინათ „ნუგეშში“ ერთი ინგილო მასწავლებელი წერდა, „ჰინგილს“ ბარში მცხოვრებს ეძახიან აზერბაიჯანელები, ჰერეთი მითაჟამის დროიდან ჩვენი მიწაა, რა სჭირდა ქართველს თავის მიწაზე „ჩამოსასვლელიო“.

მართალი იყო, ვერ შევეკამათე.

საერთოდ, ერთი რამ ვიგრძენი გელასთან საუბარში: ჯერ რამეს გკითხავდა, თითქოსდა შენგან სურდა, გაეგო ჭემ-მარიტება, მერე ეშმაკურად თვალს მოჭყტავდა, მისხალ-მისხალ აგისხნიდა, რა როგორ იყო.

გამოაცა მისმა ცოდნამ საინგილოს შესახებ და საქართველოს ისტორიული კუთხის დაბრუნების გზებზე მისმა საფუძვლიანმა ეჭვებმაც.

ერთი კია, რაც უფრო მეცნიერულად მელაპარაკება, მით უფრო იზრდება ჩემს გულში გელასადმი – როგორც პროფესიონალი მძღოლისადმი, უნდობლობის გრძნობა.

გზად ჰერეთის დიდ კედელთან შევჩერდით.

რეზო ჩხეიძემ ოპერატორს სთხოვა: ეს კედელი ჩვენს კინოდოკუმენტალისტებს თითქმის არ გადაუღიათ, არადა, უძვირფასესი მასალაა ისტორიკოსთათვის, იქნებ, არ დაიზარო და გულდაგულ აღბეჭდო ფირზეო.

ოპერატორმა ბუბა სისაურმა თავისი ძველთაძველი, ნაცადი „მანქანა“ მხარზე მოიგდო და ააღულუნა, მაგრამ აპარატი მალევე ჩაჩუმდა. ბუბას „მეგობრისთვის“ შეგინება კი არა,

საყვედურიც არ უთქვამს. ბალახზე ფარდაგი გაშალა, ჯიბიდან ხრახნობელა („ატვიორკა“ – რუს.) ამოიღო და საქმეს შეუდგა.

ხელზე სატინის სამკაულები რომ გაიკეთა და მარჯვენა თვალზე ლუპა-პენსნე (საათის შემკეთებლებს რომ აქვთ, ისეთი) მოირგო, მივხვდით, რომ „გადამღები ტექნიკა“ ბუბას პირველად როდი ღალატობდა და მიმდინარე რემონტის ჩატარება რამდენ საათს წაართმევდა, თვით ოპერატორმაც არ იცოდა.

ჩამუხლავდა გელა სისაურთან. ჯერ ჩუმად უყურა. მერე შენიშვნა-რჩევების მიცემა დაუწყო. მე მგონია, კასეტის ლილვია შეხურებული და გაჭედილიაო, იცის ხანდახან ფოლადმა ასეო. ლილვი რომ შეაციეს და ძრავა მაინც სდუმდა, გელამ გამშვები მექანიზმი დაშალა და კინოაპარატის შეკეთება მთლიანად აიღო თავის თავზე.

როგორც მანქანის მართვა იცის, ისე ეცოდინება კინოაპარატი-მეთქი, ერთი გაფიქრება გავიფიქრე, მაგრამ ხმამალლა როგორ ვიტყვოდი.

თქვენ ნარმოიდგინეთ, ოციოდე წუთში გელამ კინოაპარატი არათუ ააღულუნა, ორჯერ აუარჩაუარა ჰერეთის კედელს და გადაიღო. ახლავ, ბუბა სისაურს უთხრა, შენ გააგრძელე გადაღება, „კრუპნი პლანი“ უკვე გადაღებულია, ეცადე, პანორამიანად ჩასვა, მასშტაბები რომ იგრძნობოდესო, ლილაკზე თითი მაგრად არ დააჭირო, თორემ შეიძლება, ისევ გაჭედოს კასეტაო.

კახში ჩვენი თავაზიანი მასპინძლის, გოდერძი ოთარაშვილის ეზოში სანამ სუფრას გაშლიდნენ, ყველამ კიბესთან ონკანიდან გადმომჩქეფარე წყლით ხელ-პირი დავიბანეთ. ცივი, ანკარა ინგილოური წყალი გვესიამოვნა. დალლამ გავგვიარა.

ეს წყალი საიდან მოდისო, გელამ იკითხა.

დაბის წყალია, აი, იქ, ზემოთ რეზერვუარი დგას და იქ გროვდებაო, გოდერძიმ.

გელას არაფერი უთქვამს. მანქანის საბარგულიდან „ქან-ჩები“ დააძრო, ძველი კამერიდან რეზინები მრგვალად ამოჭრა, ონკანი გამართა და კმაყოფილი თვალები შემოგვანათა.

ჩვენც, რასაკვირველია, მარჯვენა შევუქეთ.

შეზარხოშებულები ვიყავით. გელას, რასაკვირველია, წვეთი არ დაუღვია.

გელა კაბინის კარიდან იხედება და მანქანა უკანსვლით საბძლისკენ მოჰყავს, მობრუნება იქვე ბოგირთანაც შეეძლო, მაგრამ, რატომღაც, ასე არჩია.

აშკარად ვგრძნობ, საბძელს დაეჯახება.

გადავხტი და ვყვირი:

– სტოპ! სტოპ! გეყოფა!

არ ესმის.

სხვებიც წამომეშველნენ. ერთად ავტეხეთ ღრიალი და როგორც იქნა, გავაგონეთ, თუმცა მარჯვენა მხარეს „შიტოკი“ მაინც დაუზიანა საბძლის წინ დაგდებულმა უზარმაზარმა ჯირკმა.

გადმოხტა, მანქანას შემოუარა, „არა უშავსო“, შემოგვლიმილა და ჩასხედითო, გვთხოვა. თქვენ რომ ყვირილი არ დაგეწყით, არ წამოვდებდით. იმ ჯირკვს ვხედავდი, მაგრამ თქვენმა შეძახილებმა დამაბნიაო.

ალიბეგლოში რომ ჩავედით, თერთმეტს აღარაფერი უკლდა. ომარ ოთარაშვილის მამას სუფრა გაეშალა და გველოდებოდა.

რატომ შეაწუხე მამაშენიო, უსაყვედურა ბატონმა რეზომ ომარს, ჩვენ ახლა დაძინების მეტი არა გვინდა რაო, თუმცა მასპინძელი მაინც არ გავანზილეთ, მაგიდას შემოვუსხედით და ხუთიოდე სადღეგრძელოც შევსვით.

ჩემმა, როგორც სოფელში იციან, სახლიდან მოშორებით ეზოში ედგათ.

გელამ ჩვენი გოგონების წუნუნს რომ მოჰკრა ყური (ამ სიბნელეში როგორ ვიაროთო...), ომარს მავთული და სანა-

თურე მოაძებნინა, კედელზე კიბე მიიდგა, ხეებ-ხეებ ატარა მავთული და ჩემმაში სინათლე გაიყვანა.

აღტაცების შეძახილებს როგორ მოვაკლებდით: „გელა აღმორჩინა!“

„უნივერსალური კაცია!“

„ნეტავი, შენს ცოლ-შვილს!“

„თითო ხელი ყველაფერია!“

„გაჭირვების ტალკვესია!“

დალაქობა თუ გიცდია-მეთქი, ხუმრობით ვკითხე.

კეფა მოიფხანა.

„აღბათ, დავიდოვიჩმა გითხრათ (რეზო ჩხეიძემ), მისი ყოფილი მეზობელი ვარ, ხუთი წელი პარიკმახერად ვმუშაობდით.“

\* \* \*

უკან დაბრუნებისას ნორიოს აღმართთან მანქანა სიჩქარიდან ამოუვარდა, მუხრუჭს ფეხი დროზე ვერ დააჭირა, მანქანა უკან დაგორდა და ბეტონის კედელს შევასკდით.

შეშინებას (განსაკუთრებით, ვისაც ეძინა და სავარძლიდან გადმოვარდა) და შუბლ-მუხლებზე პატარ-პატარა კოპებს თუ არად ჩავთვლით, რომ იტყვიან ხოლმე, „სერიოზულად არავინ დაშავებულა“.

არადა, ამ ავარიას კარგა ხანია ველოდი. წამდაუნუმ უშვებდა შეცდომებს გელა.

ყველაფერი იცი, შე კაცო, და ეს შოფრობა რა გაგიხდა ასეთი-მეთქი, მინდოდა მეკითხა შეჭყლეტილი საბარგულ-შიტოკის ფართხუნ-ჭრიჭინით თბილისისკენ რომ დავიძარით, მაგრამ არ ეწყინოს-მეთქი და ხმა არ ამომიღია.



## უკანასკნელი ქალდი

კუნძულ საპრასიაზე თოვდა.

თოვლი ფთილა-ფთილა ეფინებოდა და თეთრ სუდარაში ხვევდა საპრასიულ მითაჟამისდროინდელ კოშკებს, უსახურავო საზოგადოებრივ საპირფარეშოებს, გაძარცვულ მალაზიებს და უპატრონო, ცალბორბალშერჩენილ ურიკებთან მიგდებულ სალეს ჩარხებს.

ბაობაბის გიგანტურ ხეზე ენოტის მსგავსი, თვით ზოოლოგიის ლექსიკონისთვისაც კი უცნობი და მხოლოდ საპრასიაში შემორჩენილი ზვიგენისცხვირა ფრინველი, „აპი“, იჯდა და ნაცრისფერ ზღვაზე დარწმუნულ უამრავ თოლიას გასცქეროდა.

შორიდან გეგონებოდათ, თოვლის ფანტელები ზღვაში ჯერ უკვალოდ ქრებოდნენ და მერე თოლიებად აჩნდებოდნენ მომაბეზრებლად, დაუღლელად, ერთნაირად ადგაფუნებულ ზღვას.

ნავსადგურს მძიმე ჯაჭვებით მიბმული სათევზაო კატარლები ბეტონჩამოკიდულ გაცვეთილ საბურავებს ეხლებოდნენ.

თეთრ ქუჩაზე ქსუტუნით გაიარა რაიხისდროინდელმა, ჟანგისგან ფერდებდახრულმა „ფოლკსცვაგენმა“ და თოვლზე რეიხის იაფფასიან ნაკეთობათა ფირმის სარეკლამო კვალი გაავლო.

თითქოს „ფოლკსცვაგენის“ გავლას ელოდაო, უშურველად ნაფენილმა თოვლმა კვალი ათიოდე წუთში წაშალა.

ყველაფერს მორეოდა თეთრი ფერი ნაცრისფერი ზღვისა და ქალაქის ცენტრში შავკლდეშავით აღმართული ოთხი ათასი წლის ბაობაბის გარდა.

ნავთობსადენის ურმისთლვისხელა წითელ, დაღუქულ ონკანთან ათიოდე ნაბიჯზე მიდგმულ ბამბუკის ქოხში სინათლე ჩაქრა თუ არა, ფანერის კარი შეირხა და ეზოში ყაბალახ-

ნაკრული, ბრეზენტისმანტომოსხმული გამხდარი, შავულვაშა კაცი გამოვიდა.

ჯერ მანტოს ქვემოთ შეიყო ხელი და, თითქოს დიდ, სერიოზულ საქმეს აკეთებსო, უკანალი გულდასმით მოიქექ-მოიფხანა, მერე ქოხისნინ ქოლგასავით გაშლილ პალმის ხესთან მივიდა და, როგორც შეეძლო, ისე დაარხია.

ყაბალახ-მხრებზე დაცვენილი თოვლი გაძვალტყავებული შავი ხელით ჩამოიბერტყა.

– გადაგიშენდა მომგონი... ჩემთვის თოვს ახლა ეს, მეტი არავისთვის... ჩემს ჯინაზე თოვს, არ უნდა ლაპარაკი.

ქუჩაში გამოდევნებულ ყურჭრელა ძაღლს დაუცაცხანა და ეზოში შეაბრუნა. ძაღლი მილსადენზე შეხტა და უკმაყოფილოდ გახედა თოვაში ჩქარი, საპრასიული ნაბიჯებით მიმავალ პატრონს.

სპილოს ეშვის ნაკეთობათა ერთკაციან სახელოსნოსთან შეჩერდა და, მისალმების ნაცვლად, ძველ გაზეთს ჩაჩრებულ ხელოსანს ჰკითხა:

– ჩააქვრეს აქანაც?

– აპა რა ქნეს. ერთ საათზე მეტხანს ვერ ვმუშაობ. გადაიხადეო, წურწნუმიამ გუშინ. მაგენს გოდოვუხდი ტიფას. უსაქმოდ ვარ ამხელა კაცი მთელი დღე.

ფანჯრის გასწვრივ, ოთხფა თაროზე, სპილოსძვლის სამაჯურებს, ბეჭდებს, თუთიყუშებს და მაიმუნებს გახედა.

– ან რაც გააკეთე, ვის რა იმათ უნდა.

– მაგამიც მართალი ხარ, – დაეთანხმა სპილოს ძვლის ოსტატი და კითხვა შეუბრუნა, – რა ქენით გუშინ?

– რა უნდა გვექნა. რაც ჩვენ ვიყავით, ქე იყვნენ გუგულე-ბივით. რომ წამოვედით, მერე რა ვიცი, რას იზამდენ.

– ხანდახან იმნაირი კივილი გამოდის, გეგონება, დაჭრეს ყელი ერთმანეთსო.

– ცხრაჯერ ვუთხარი, თუ არ გინდა, გოუშვი თავის გზაზეთქვა. არ დაშორებია ცოლ-ქმარი ერთმანეთს?

– არ ვიცი არაფერი. ვერ გოვუგე მაგენს ვერაფერი ხომ მასე ჭამენ სამი წელიწადია ერთმანეთს. დეინახავ აგერ და იმნაირი ტკბილი ჭუჭყუკით მოდიან, გეგონება, ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდითო.

ნავსადგურის მხრიდან თოვლბურუსს ცოცხულვაშა კაცი გამოეყო. სახელოსნოს რომ გაუსწორდა, ცერად გამოხედა მოსაუბრეთ და, თითქოს არაფერი მკითხონო, ნაბიჯს მოუმატა. ხვნეშით მიმავალს ცხვირპირიდან გამოსაბერველებულ ორთქლს ქარი უკანვე უბრუნებდა.

ორიოდე წუთში ცოცხულვაშას არანაკლები ტემპით, ოღონდ ხელებისქნევით მიმავალი, შოტლანდიურ „შაროვარში“ გამონყობილი მოხუცი მიჰყვა.

მოხუცს კვალში ჩადგომოდა თავზე ცარიელ გობდადგმული ორი, დაახლოებით ოცდაცხრამეტ სხვადასხვა ფერის კაბა-მოსასხამიანი, სამოსთა სიმრავლით გავაგაგანიერებული, შავთვალწარბა ქალი.

– საით გარბიან ამ დილაუთენია ყურტები, თუ იცი?

– შენ გაიგებ? მაგენი ტყვილად არ გეიქცევიან, – უპასუხა მასპინძელმა და სპილოსძვლისგან გამოძერწილ მუშტისხელა სპილოს ამღვრეულფეროვანი ჩვრით თავ-ხორთუმი გაუნმინდა.

კაცს ცნობისმოყვარეობამ სძლია და ყურტებს მიჰყვა. სხვა უფრო სარფიანი საქმე რომ ჰქონოდა, ამას არ ჩაიდენდა. ვისი რა საქმეა, რაზე გარბიან ყურტები მტკიცე გადანყვეტილებით და გაფაციცებული სახეებით.

სანამ ჩვენი გმირი სერობის ადგილამდე მიაღწევდეს, ორიოდე ცნობას ვაუწყებ მკითხველს კუნძულ საპრასიისა და მისთა მკვიდრთა შესახებ.

საპრასია აფრიკასა და აზიას შუა არცთუ ძალიან წყნარ ოკეანეში მდებარეობს. ერთ დროს ნიდერლანდების კოლონია გახლდათ, მაგრამ მესამე მსოფლიო ომის შემდეგ ნიდერლანდმა კოლონიზატორებმა თავიანთი ნებით (სხვების

დაუძალებლად) დაუშვეს ალამი და წავიდნენ. საპრასიის სკოლებში კი დღემდე ასწავლიან, ნიდერლანდელ მტარვალთა დამხოვა საპრასიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად „დაგვირგვინდაო“. თუმცა იმ სხვა სისულელებთან შედარებით, საპრასიის სკოლებში რომ ასწავლიან, ეს შეიძლება, მართალს ჰგავდეს. ყოველ შემთხვევაში, მრავალტანჯული საპრასიის ისტორიას ძალიან უხდება.

საპრასია ეროვნული შემადგენლობით ერთობ ჭრელი კუნძულია. ადგილობრივი აბორიგენული, მკვიდრი (მეცნიერები რომ ავტოქტონურს ეძახიან) ტომების – ქალდების, გარდა კუნძულზე ცხოვრობენ ყურტები, არტები, ფაკები, ქუსქუსები და სხვანი მრავალნი.

როგორ მოხვდნენ ქალდების კუნძულზე მსოფლიოს ხალხთა მოხეტიალე (უკეთესი) რასის წარმომადგენლები, ამის დადგენას ქალდი მეცნიერები ცდილობენ, მაგრამ ხელისუფალთა მხრიდან ტრადიციულად დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან. კუნძულის პრიმასენატორ ბჟალავას არ უყვარს ეროვნულ წარმომავლობებში მოქექავე მეცნიერები. საპრასია ინტერნაციონალური კუნძულია, მორჩა და გათავდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ როდის მოვიდა და ვინ საით წავა. ისედაც ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართო, ფიქრობს პროქუსქუსურ დიალექტზე ტვინანყობილი ბჟალავა.

საპრასიის სენატმა ბჟალავას დასტურ-ხელდასხმით ამ ათიოდე წლის წინათ საპრასიის ტერიტორიაზე გააუქმა ყველა ეროვნება და საპრასიის ყველა აბორიგენი თუ სტუმრად მისული პირი ერთ ზედწოდებად – „საპრასიის მოქალაქედ“ გააერთიანა.

თუმცა საპრასიის აბეზარ მოქალაქეებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, პრიმასენატორისდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ახსოვთ, ვინ ქალდია, ვინ არტი, ვინ ქუსქუსი და ვინ კიდევ მოსინიკი.

ყურტების იდუმალი მართონი ეროვნულ უმცირესობათა ორსართულიან შენობა-საწყობთან მთავრდებოდა.

სამი ჭიშკრიდან უერთდებოდნენ გრძელ რიგს ქალაქის ყველა უბნიდან დაძრული ყურტები. ზოგ მათგანს საკვირის ტყავისგან შეკერილი, გაცვეთილ-დაჯვარჯნილი, ცარიელი ხურჯინი ეკიდა მხარზე. ზოგი უხურჯინოდ იყო.

საწყობიდან გამოსულთ ილლიაში მუყაოს ჭრელი ყუთები ამოეჩარათ. ეზოსთან შეგებებულ თვისტომს ყუთს აწოდებდნენ და თვით ხელახლა დგებოდნენ რიგში.

– რა არი შით. თუ გახსნა ვინმემ? – ისეთ ხმაზე ჩაილაპარაკა წინ მდგომ ფართობეჭება ყურტს რომ გაეგონა.

ფართობეჭება შემოტრიალდა. კაცი თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

– რა იქნება. კილონახევარი ბურღული, ორი კილო ყვითელი სიმინდის ფქვილი, ორი ხამსის კონსერვი და ერთი ლიტრი ზეთი. გადაგყობიენ ახლა თან.

– ვინ გამოგზავნა, თუ იცი?  
– ჩვენმა დიასპორამ ამერიკიდან. სხვას ვის ვახსოვართ. გაჩუმდა. ცნობისმოყვარეობისთვის მეტი გაქანების მიცემა სახიფათო იყო. საათ-ნახევარზე მეტი მუნჯად იდგა რიგში. ერთი პირობა გაბრუნება დააპირა, მაგრამ შიმშილმა გადააფიქრებინა.

ლურჯხალათიან მორიგეებს რომ მიუახლოვდა, სირცხვილისაგან შუბლი დაეცვარა.

არაფერი უკითხავთ. ქალაქზე ჯვარი დაასმევინეს და ყუთი გაუნოდეს.

სამ ნაბიჯზე არ იყო რიგს გამოშორებული, რომ ზურგსუკან მოესმა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა.

– ეგ ყურტი არ არის!  
– რა თქვი?! – შემობრუნდა.

ახალგაზრდა, თავზე ტომარანაფარებული ბობრი ყურტი უტიფრად უმზერდა.

– ეგ ყურტი არ არის! – გაიმეორა ბობრმა, – ქალდია! რიგი ახმაურდა.

წინ წასული ფართობეჭება ყურტი მოახლოვდა და ახალგაზრდა ყეყეჩს უქიმუნჯა.

– ვინ გკითხავს შენ?!  
– სწორს ამბობს... მე ყურტი არა ვარ, – იგრძნო, ენა როგორ გაუმრა, – მე ქალდი ვარ.

– არა უშავს, ნაილე, ნაილე – ფართობეჭებამ ხელი მოჰკიდა და წინ გაიძლოლა, რიგი ისევ აყაყანდა ყურტული ყაყანით.

ყუთი განვდილი ხელებით უკანვე მოიტანა და მორიგეს ფეხებთან დაუდო.

ნელმონყვეტილივით გააბიჯა ჭიშკრისკენ. ფართობეჭებამ ჯერ ენაგრძელ ყურტს შეაგინა და ყურების დაგლეჯვით დაემუქრა, მერე ქალდს დაედევნა.

– ეს ჩემი ნაილე, თუ ძმა ხარ. არ გენყინოს, ტუტუცია. გამომართვი, ბავშვებს გაფიცებ.

– არ მინდა. მადლობელი ვარ. – არ მოუხედავს, ნაბიჯს მოუჩქარა.

ტროტუარზე ფერშემღვრეული თოვლი გაქექა, ფრთხილად ამოპეშვა და პირში ჩაიცალა.

ესიამოვნა თოვლი. ცოტა დამშვიდდა. მიტოვებულ პლაჟზე ჩავიდა. ზღვამდე ვინრო ქვაფენილს ჩაჰყვა, გაცვეთილ „შიბლეტებში“ ქვიშა რომ არ ჩაჰყროდა.

შუაზე გადატეხილ ხის შეზღონგზე ჩამოჯდა და ზღვას მიაჩერდა.

დასავლეთიდან თოლიების ახალი გუნდი მოფრინდა. უსიამოვნო ყაშყაშტვენით დაემვნენ ზღვაზე, მაგრამ ტალღებზე მსუბუქად, გაუნძრევლად მსხდომი თოლიების ყურადღება ოდნავადაც რომ ვერ მიიქციეს, თვითონაც გაირინდნენ და ზღვის აკვანს მისცეს თავი.

კაცს ყაბალახსჩამოყოლილი წყალი კისერში ეღვრებოდა. თავიდან ფეხებამდე გალუმპული იყო, მაგრამ მაინც იობის მოთმინებით დიდხანს, ჯიუტად გასცქეროდა ზღვას.

მოსალამოვდა.

თოვა შეწყდა და ზღვაზე მქრქალი, გამჭვირვალე ბურუსი ჩამონვა.

შორს, მეოთხე ნავმისადგომთან, მესამე დღეა არტების ბორანს სცლიდნენ.

იცოდა, არტი მტვირთავები არ ჩააყენებდნენ, მაგრამ მაინც იქეთკენ გააბიჯა.

შლაგბაუმთან შეაჩერეს.

– შენ საით?!

– მტვირთავი ვარ.

– დღეს მუშაობდი? – ავტომატგადაკიდებული ახალგაზრდა არტი მიუახლოვდა.

– დღეს არა... ვერ მოგატყუებ. ავად ვიყავი. საერთოდ, მტვირთავი ვარ.

– არტი ხარ?

– რა მნიშვნელობა აქვს.

ავტომატიანმა პატრულმა ჯიხურისკენ გაიხედა. ჯიხურიდან ბერეტიანი, დაბალი, უიმედოდ მსუქანი კაცი გამოვიდა. მოსასხამის ბოლო თოვლზე დასთრევდა.

ახედ-დახედა და შეუბრალებელი კატეგორიულობით დაუგდო:

– აბა, მოუსვი აქედან!

შლაგბაუმს სიტყვისშეუბრუნებლად გაერიდა. იცოდა, პინგვინივით მოსიარულე მენეჯერთან ვერას გააწყობდა.

კიბეს შუაში, თოვლთხელ ადგილას აუყვა.

შინისკენ მიმავალ გზას დაადგა.

დეპარტამენტის შენობის გვერდით, გაუქმებული სკოლის თავზე რეკლამა ენთო: „გვჭირდება კომპიუტერის და ფაკური ენის მცოდნე ტერნერზე მომუშავე მოხდენილი გოგონები 25 წლის ასაკამდე. ქალები ნუ შეგვანუხებენ“.

სპილოს ძვლის ნაკეთობათა ოსტატს ჯიხურზე ფანერის დარაბა დაეშვა და ხის ურდულით კეტავდა.

– გაყიდე რამე?

– გაიგონია? ამ ყიამეთში დასათვალეიერებლადაც არავინ შეჩერებულა.

– სად წვეიდა ეს ხალხი.

– სადაა მყიდველი. ტყვილად ვჯახირობ, მე რომ ვიყო, ვიყიდი ამ მაიმუნებს და სპილოებს? არ ვიყიდი. ასეა სხვაც.

– ისე... ამ დასაწვავ საპრასიაზე ყველას პატრონი ჰყავს ჩვენ გარდა...

– რა თქვი?

– არაფერი... არაფერი... დღესაც ხვარ უჩხუბიათ?

– ბაიბური არ ისმის. დილიდან არ გამოსულან. ფეჩიც არ ოუნიათ.

– ხვარ დაახრჩვეს, ვითამ, ერთმანეთი?

– არა მგონია... ხმას გევიგებდით – ხელოსანმა გაიცინა ისეთი სიცილით, ხველებში რო გადაეზრდებათ ხოლმე.

შინ გვიან დაბრუნდა.

ნავთობსადენის ქვეშ ძალი ალარ იწვა.

არც მოუკითხავს. გულის სიღრმეში გაეხარდა კიდევ, რომ ძალი კუდის ქიცინით და წინა ფეხების ჭიმვა-ზმორებით არ შეეგება.

ბამბუკის ქოხს კარი ჩამოხსნა და შუაზე გახერხა. ხერხავდა ჟანგიანი, გაბმული ხერხით, სვენებ-სვენებით, ჯიუტად.

მერე ხუთიოდე ლურსმანი და ჩაქური ჩაიდო ბრეზენტის მანტოს ჯიბეში, გახერხილი კარის მომცრო ნახევარი ამოიღლიავა და ბაობაბის ხისკენ წავიდა.

ხის ძირას დასასვენებლად არ დამჯდარა, არც უკან მოუხედავს, გაცრეცილ ნისლში ჩაძირული ქალაქისათვის რომ თვალი შეეველო, ათასწლოვანი ხე – ძეგლის ფულუროში შეძვრა და შესასვლელი შიგნიდან ამოჭედა.

ფულუროში ნესტის და ობის ძველთაძველი, შენახული, შეუმკრთალი სუნი იდგა.

ფანერით გადაკეტილი თავისი სარკოფაგი ბოლო ლურს-

მნით რომ გაამაგრა, ბაობაბზე მთელი დღის განმავლობაში გაუნძრევლად მჯდომი „აპი“ აფრინდა.

ჩაქუჩის ყრუ ხმამ დააფრთხო?

ზღვაზე დარწეული თოლიების ცქერა მოსწყინდა?

თუ, უბრალოდ თავის „აპურ“ საქმეზე გაფრინდა?

ვინ იცის.



## ბურჯი ბენერალი

*ვუძღვნი თენგიზ ეპიტაშვილს*

დავმარცხდითო, მთელი საათია მენუნუნები. შენ რომ დამარცხებას ეძახი, იმ „დამარცხებას“ ისე არ შევუძრუნებოვარ, როგორც შენმა წუნუნმა შემანუხა. მე ცხრა ომში გამოცდილ-გამოჯეგილი გენერალი ვარ და გულისტკივილით გეუბნები, დამარცხება მაშინ იწყება, როცა ერის ღირსეული შვილები ირწმუნებენ მას. ჩვენ გვებრძოდა ორასმილიონიანი რუსეთი. შენმა გონებამ ომის დასაწყისიდანვე დაიჯერა, რომ უნდა დავმარცხებულყავით და იქნებ ამიტომაც ნავაგეთ პირველი ბრძოლა. შენ მაინც არ გეკადრება ასეთი ლაპარაკი. საქართველო არ დამარცხებულა. სანამ ერთი შურისმაძიებელი მაინც დადის ამ დუნიაზე, ეს ნიშნავს, რომ საქართველო არ დამარცხებულა. მეტსაც გეტყვი: ხალხის, ერის დამარცხება შეუძლებელია. დედალი პოლიტიკოსები გადმოკიდებენ თეთრ ალამს, დაიყრიან თავზე ნაცარს და კაპიტულაციას გამოაცხადებენ. მთელი მსოფლიო დაესია ჰიტლერს და გაიმარჯვა მის არმიაზე. დიახ, ცხრა მაისს ფაშიზმმა თავი დამარცხებულად სცნო, მაგრამ ჩვენ გერმანელი ერი არ დაგვიმარცხებია და რომ არ დაგვიმარცხებია, დღესაც აშკარაა. ორად გახლეჩილმა ქვეყანამ იმდენი იბრძოლა, იმდენი იშრომა და იქიჩმაჩა, ფენიქსივით აღსდგა და მშვიდობიანი გზით, თოფის გასროლის გარეშე გაიყვანა საოკუპაციო ჯარები თავისი მიწიდან. მითხარი, არის ახლა გერმანიაში ერთი უცხოელი ჯარისკაცი? სად წავიდა „კომენდატურა სოვეტსკის ვოისკ“, ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ ეწერა გერმანიაში? დამარცხებულმა აიძულა დამმარცხებლები ხელი მოეწერათ მის გაერთიანებაზე, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ

ცნობაზე და ისევე, როგორც შემოვიდნენ, მარშით დაეტოვე-  
ბინათ გერმანიის ტერიტორია. ასე რომ, გულს ნუ გაიტეხ,  
ყველაფერი წინაა.

ეს გერმანია იყო, შენ მეტყვი, შუაგული ევროპაა. ევ-  
როპამ ვერ იგუა შუაზე გაყოფილი დაპყრობილი გერმანელი  
სახელმწიფო. ახლა აზიაში გადმოვიდეთ, თუ გინდა.

შენ ხომ იცი, რომ მე ავღანეთის ომის მონაწილე ვარ.  
ომის პირველი დღიდან ბოლო დღემდე, ანუ იქამდე ვი-  
ყავი ავღანეთში, გორბაჩოვის ბრძანებით, ჩვენი ტანკები-  
ანად ეშელონებზე რომ დაგვესხეს და სტვენით გამოგვაც-  
ილეს მსოფლიოს ჟურნალისტებმა. დამიჯერე, უსტვენდნენ  
და დაგვცინოდნენ მხოლოდ უცხოელი ჟურნალისტები და  
დიპლომატიურ კორპუსთა წარმომადგენლები. ავღანელები  
მდუმარედ იდგნენ და შემოგვეყურებდნენ. არ დაიჯერებ და  
რალაც სევდაც კი შევნიშნე ამ ულამაზესი კაბიან-ჩალმიანი,  
თუ გინდა ყაბალახიანი ხალხის თვალებში. იდგნენ განამე-  
ბული მეომრები და ჩვენს გამაიმუნებას, გასაცოდავებას უხ-  
მოდ ათვალიერებდნენ. მტრისადმი სიბრალეულის გრძნობაც  
კი გაუჩნდათ.

ასეთი გაუმხელელი თანაგრძნობა მხოლოდ ვაჟკაცს შეუ-  
ძლია. არ გეგონოს, რომ ვაჟკაცები იყვნენ რუსისგან შეთა-  
მამებული აფსუა ნაძირალები და სომეხ-ჩეჩენი ყაჩაღები. ვა-  
ჟკაცი მტერი ტყვეს მაჯიდან სისხლს არ მოწოვს და მისი თა-  
ვით ფეხბურთს არ ითამაშებს. შარტავას ცეცხლმოდებული  
რეზიდენციის წინ გაშმაგებული რომ ცეკვავდა, ან ენგურის  
ხიდთან რომ ტანკს ციბრუტივით ატრიალებდა, იმ „გამარჯვე-  
ბულს“ შიშისგან შარვალი სველი ჰქონდა და დღეს სანთლით  
რომ ეძებო, ველარ იპოვი. იმ შიშნარევმა, მოჩვენებითმა  
ეიფორიამ გაუარა და ახლა გულდაგულ იმალება, შიშისგან  
აღარ ეძინება და ყოველდღე ელის სამაგიეროს გადახდას.  
ვერ მოისვენებს, ვერა, თავისი ნებით ჩაბარებული მთავ-  
რობის თავმჯდომარის ჟიული შარტავას მკვლელი. ვისზე

გაიმარჯვა მან, ქამარშემოხსნილ, უიარალო, მოლაპარაკება-  
ზე წამოსულ კაცზე? ეს იყო მშიშარა კაცის ნასროლი, ე მანდ  
ცოცხალი არ გადარჩეს და არ მიცნოს, როცა ქართველები  
თავიანთ მიწაზე დაბრუნდებიანო.

ღირსეული მტრობისას ერთ საოცარ ამბავს გეტყვი:

უცნაური, მსოფლიოში უმაგალითო ძეგლი დგას ავღანეთ-  
ში, ქაბულთან ახლოს, ყანდაგარში. ეს არის მარმარილოს  
დიდი, ძველთაძველი სვეტი, რომელსაც აწერია: „მოგზაურო,  
წამით შეჩერდი. დღემდე ალაჰის ნებით მხოლოდ სამმა სარ-  
დალმა შეძლო ავღანეთის მამაცი მხედრობის დამარცხება.  
ისკანდერმა, ჩინგის ხანმა და გურჯმა გიორგიმ“. იქვე ახლოს  
ამ სამი დამპყრობლის სიმბოლური საფლავებია. რატომ, ვერ  
გეტყვით, მაგრამ ავღანელები პატივს მიაგებენ ღირსეულ  
მტერთა საფლავებს, რასაკვირველია, დიდი ხანია ჩაიარა ის-  
კანდერის ხათქანუთქით ატეხილმა გრიგალმა, დრომ წაშალა  
მათი ცხენების ნაფლოქვარი, მაგრამ ძლიერი მტრის ხსოვ-  
ნა დარჩა წერა-კითხვის უცოდინარი ავღანელის გონებაში.  
ისინი თაობებს გადასცემდნენ ტყუილსა თუ მართალს იმის  
შესახებ, რომ ავღანეთის აურაცხელ მტერთაგან სწორედ  
ამ სამმა ვაჟკაცმა უბრძანა გამარჯვებულ ჯარს: გაეთავი-  
სუფლებინათ ტყვეები, ხელი არ ეხლოთ ქალ-ბავშვთა და  
მოხუცთათვის, აეკრიბათ ალაფი, ოღონდ ისე, რომ ოჯახ-  
ისთვის უკანასკნელი ლუკმა არ წაერთმიათ. ვინ არის, თუ  
იცი, ავღანურ სტელაზე გამოსახული სამი დაუმარცხებელი  
სარდალი? ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგის ხანი და საქა-  
რთველოს მეფე გიორგი მეთერთმეტე. სხვათა შორის, „გურ-  
ჯი გიორგი“ აქამდე ყველას გიორგი სააკაძე ეგონა, მაგრამ  
ახლახან ლევან სანიკიძემ დაადგინა, რომ „გურჯი გიორგი“  
არც მეტი, არც ნაკლები, გიორგი მეთერთმეტეა.

რატომ გიყვები ახლა ამ ამბავს? დიდხანს ვიბრძოდი მე,  
ქართველი გენერალი, ყანდაგარის ჭიმკართან. ავღანელები  
გაათრებთ გვებრძოდნენ. ყველა აული, ყველა სახლი

ციხესიმაგრედ აქციეს. გაგიჟებული ვიყავი, ამ თითქმის უიარალო სამხედრო წვრთნაგაუფლელ, ბრინჯის მთოხნელივით გამოწყობილ ფეხშიშველა ხალხს საიდან ჰქონდა ამხელა ემ-მაკობა და გამჭრიახობა, რომ არ ველოდით, იქედან დაგვესხმოდნენ. ერთს ჩათვლემდა ჩვენი პატრული თუ არა, მაშინვე კატასავით ამოძვრებოდა მიწიდან ავლანელი და ყელს გამოჭრიდა. ვინ ვიყავი მე მათთვის, სისხლისმსმელი, დამპყრობელი, რუსის მუნდირში გამოწყობილი გენერალი, მაგრამ ხმები მომივიდა (დაზვერვა იქაც მუშაობდა, ხომ იცი, თითო გამყიდველი ყველგან მოიძებნება), რომ იციან შენი გურჯობა და შენს სახელს რალაცნაირი პატივისცემითაც კი ახსენებენო. რა კარგს მე ვუკეთებდი ამ უწყინარ, მშვიდობისმოყვარე ხალხს. დღისით, მზისით თავს დავესხით და ავანიოკეთ. მაგრამ ერთი კი იყო, ლოცვის დროს არ ესროლოთ-მეთქი, ვეუბნებოდი საარტილერიო ბრიგადის მეთაურს და ლოცვას რომ დაიწყებდნენ, მაშინვე შეწყდებოდა სროლა, თურმე იცოდნენ ეს და ამ შელავათს ჩემგან დიდ პატივისცემად მიიჩნევდნენ.

როცა შევიტყვე ყანდაგარის ბჭესთან გიორგი მეთერთმეტის სიმბოლური საფლავის შესახებ, მოსვენება დავკარგე. ბრწყინვალე მეფის და სწორუპოვარი მეომრის ბედი ჩემს იმდროინდელ მდგომარეობას შევადარე და უმწეოდ მეჩვენა თავი ჩემი. მე, კონდიტერი, დაქირავებული მკვლელი, რომელსაც გამარჯვების შემთხვევაშიც უსახელოდ წასვლა მელის ისტორიიდან, ის დიდებული მხედართმთავარი, თავისი ხმლით და თავისი ნებით მებრძოლი, რომლის ვაჟკაცობასაც დამარცხებული მტრები ძეგლს აუგებენ.

სურვილი მკლავს, მუხლი მოვიყარო ალექსანდრე მაკედონელის, ჩინგის ხანის და გურჯი გიორგის სახელებით დამშვენებული სვეტის, მათი სიმბოლური საფლავების წინაშე.

არადა, ვერ ვიღებთ ყანდაგარს. წინ ვერ მივდივართ. იერიში ჭიანურდება. უდაბნოს ომი კლიმატსმიჩვეულ და მთის ბილიკების თვალდახუჭვით მცოდნე ავლანელებს ჩვენზე უკეთ ეხერხებათ.

ილაჯი რომ გამიწყდა, ბიჭებს წყალზე ჩამოსული ავლანელი გლეხი დავაჭერინე და მისი პირით შევუთვალე ავლანელთა პარტიზანული დივიზიის მეთაურს – მე, გურჯ გენერალს, გიორგი გურჯის თანამემამულეს, სურვილი მაქვს ჩემი დიდი წინაპრის საფლავს თაყვანი ვცე და, თუ ნებას დამრთავთ, ხვალ 3 საათზე უიარალოდ მარტო გადმოვალ-მეთქი. არავითარ გარანტიას არ გთხოვთ, მეომრის სიტყვის გარდა. იცოდეთ, მეც თქვენსავით პატარა ქვეყნის შვილი ვარ-მეთქი.

შუალამისას დაბრუნდა მოენე. უდაბნოს მტვერში ამოგანგლული, მშიერ-მწყურვალი. თარჯიმანს ძლივს აგებინებს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობს, თან შიგადაშიგ იღიმება კიდევ.

შემოეთვალათ, ჩვენ უფრო მეტი ვიცით გურჯი გენერლის შესახებ, ვიდრე თვითონ ჰგონიაო. ჩვენთვისო რიტუალის შემსრულებელი კაცი წმიდათაწმიდაა და მოსისხლაც რომ იყოს (მოსისხლე ვიყავი, აბა რა ვიყავი), არაფერს დავუშავებთო. მოვიდეს, ბაშუსტა. მუხლი მოიყაროს თავისი დიდი პაპის წინაშეო. ჩვენ ჩვენის მხრივ, დერეფანს გავუკეთებთ, რომ ვინმე მოხალისე-პარტიზანმა შემთხვევითი ტყვია არ გაისროლოსო.

დათქმულ დროს უიარალოდ, შილიფად ჩაცმული წავედი. თეთრი კვართის მსგავსი მოსასხამი მაცვია და გენერლის ქუდი მახურავს. ხელები უკან მაქვს შემონწყობილი და ხანდახან ნაბიჯს ავაცოლებ, რომ კარგად დამათვალიერონ. თუმცა ეჭვიც არ ეპარებათ, რომ უიარალოდ ვიქნები.

ზონას რომ გადავცდი, ცოტა არ იყოს, შიშმა შემიპყრო. ახია ჩემზე, ვფიქრობ, რაც მომივა. რამ ამაცუნდრუკა. რა უფლება მქონდა, მე, გენერალს, ჩემი სიცოცხლე სასწორზე შემეგდო? რას იტყვის სარდლობა, ამას რომ გაიგებს? მაგრამ ამ სრულიად ადამიანურ შიშს ამარცხებდა ჩემს არსებაში გაღვიძებული საოცარი გრძნობა – მე ხომ ქართველი ვარ, გიორგი მეთერთმეტის კვალზე მოსული, დიახაც რომ პატივი

უნდა მივაგო ალექსანდრე მაკედონელის გვერდით მემორიალურ სვეტზე უკვდავყოფილი ქართველი მეომრის ხსოვნას.

ყოველ ოც მეტრში თეთრად თავყბაშეხვეული პარტიზანები დგანან და ახლოს რომ ჩაუვული, გაფართოებული თვალებით მილიმიან.

მივედი გრანდიოზულ სტელლასთან. ავღანური ასობები ვიცი, მაგრამ ავღანურად საუბარზე უკაცრავად ვარ, ავღანური ძალიან რთული ენაა. დავადე ხელი იმ ადგილს, სადაც „გურჯი გიორგი“ სწერია. მერე საფლავის წინაშე მოვიყარე მუხლი. კარგა ხანს ვიყავი მუხლმოყრილი. როცა წამოვდექი, საოცარი სიმსუბუქე ვიგრძენი. აწი თუნდაც მესროლონ, მე ხომ ჩემი გავაკეთე-მეთქი, ჩემს თავს ვეუბნები.

სანამ უკან წასასვლელ გზას დავადგებოდი, იქეთ გავიხედე და, თუმცა ორიოდე მცველის გარდა, ახლოს ვერავის ვხედავდი, მადლობის ნიშნად ორივე ხელი მაღლა ავწიე. ავწიე თუ არა ხელი, იქვე, დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის მანძილიდან სროლა გაისმა. არ შემემინდა-მეთქი ვერ გეტყვი, მაგრამ არ შევიმჩნიე. არ შეიძლება ამათ შეშინებული მნახონ-მეთქი და წელში უფრო გავიმართე. თუ მოსაკლავად მესვრიან, შემირცხვენია ამათი პირობა-მეთქი.

თურმე ჩემი გაბედულებისადმი პატივისცემის ნიშნად ჰაერში ისროდნენ. რამდენ პატრულსაც ჩაუვულიდი, სამხედრო წესით კარაბინს ჩამოიღებდა, გაისროდა, მერე თოფს ისევ გადაიკიდებდა, თეთრ კბილებს გამიელვებდა და მარჯვენა ხელით გზას მიჩვენებდა – გაიარეო.

სიცხისგან, შიშისგან, გულისგამგლეჯი სიხარულისგან ოფლში გაღვარული დავბრუნდი ჩემს ბლინდაუში.

მეორე დღეს ომი ისევ გავაგრძელეთ, როგორც ეს ომის წესია.

ერთი თვის შემდეგ ავიღეთ ყანდაგარი და ხატზე შემოძლია დავიფიცო, ქორივით ვედექი რეგვენ ჯარისკაცებს, არავინ

გაეძარცვათ და გაეუპატიურებინათ, თითო-ოროლა შემთხვევა მაინც მოხდა. ომს ასეთი რამეები თან ახლავს.

ლამის ათი წელი ვიდექით ავღანეთში, მაგრამ მთელი ჩემი სამხედრო სინდისით უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ეს ქვეყანა ვერ დავამარცხეთ.

იცი რატომ ვერ დავამარცხეთ? ავღანელს არ სურდა დამარცხება. იგი სიკვდილს არჩევდა თავისუფლების დაკარგვას და ახლა რომ ვუკვირდები, გულის სიღრმეში არც ჩვენ გვინდოდა ბოლომდე გამარჯვება, რაკილა ვიცოდით, რომ სხვის მიწას, სხვის სახლს ვეპოტინებოდით!



## ჭრიჭინოპელა

– სხვას არ ვეტყოდი, – მაგრამ შენ უნდა გითხრა. რომ არ გეთქვა ჩემთვის: თქვენი ბრალია, ბოგანოდ რომ ვიქეცი, თვარა რა მჭირდა მე აფხაზეთიდან გამოსაქცევით, თუ ტრაკი არ გქონდათ, რაზე დაიწყეთ ომი და რას მოფართხუნობდით სოხუმში თქვენი დაჟანგულ-დაფეხვილი ტანკებითო. ჩვენ ძალიან კარგად ვიყავით აფსუებთან, თქვენ რომ არ აგემღვრიათ წყალიო. შემოხვედით, აანიოკეთ აფსუები (არა მარტო აფსუები) და იმ ხალხმაც ხელი გამოიღო, აბა, რას იზამდაო... რაც შენ ახლა მითხარი, მარტო შენი აზრი რომ იყოს, ხმას არ ამოვიღებდი. კერძო კაცთან საჯაროდ კამათი არ მეკადრება, მაგრამ შენსავით, როგორც ჩანს, ბევრი ფიქრობს და, მგონი, დადგა დრო, ყველას ერთად გიპასუხოთ.

ჩემო იმანო, აბა, კარგად გაიხსენე ომისწინა აფხაზეთი და იქ მცხოვრები ქართველების ეროვნული წონასწორობა? ქართული სული ინავლებოდა, ეროვნული ორიენტაცია ორმოცდაათში ერთს თუ ჰქონდა. საიდან ვიცი? საკუთარ ოჯახში, საკუთარ ცოლ-შვილშიც კი უმეტესობა თქვენგანი ქართულად აღარ ლაპარაკობდა, შე კაი კაცო, ბავშვებს რუსულ სკოლებში აბარებდით და მერე რუსეთში აგზავნიდით უმაღლესი განათლების მისაღებად. გიბრუნდებოდნენ იქიდან რუსეთში ახალგაზრდა სპეციალისტები, ან იქვე რჩებოდნენ საცხოვრებლად „ნატაშაზე“ და „იგორზე“ დაქორწინებულები. არ იყო ასე? გამომიტყდი, იმ კაი მამის სულს გაფიცებ.

ახლა ომისდროინდელი აფხაზეთი გავიხსენოთ. გულზე ხელი დაიდეთ, იბრძოლეთ, როგორც საჭირო იყო აფხაზეთის შესანარჩუნებლად? ყოველი სახლი ციხესიმაგრედ აქციეთ? ჩასჭიდეთ ჩვენს მოხალისე შვილებს ხელი და მათთან ერთად გაამაგრეთ შემოსასვლელები, გათხარეთ სანგრები,

უკანასკნელი სახსრებით იარაღი შეიძინეთ და მტრის დასახვედრად მოემზადეთ? შენც არ მომიკვდე, თხუთმეტიდან ოცდახუთ სექტემბრამდე სოხუმიდან ავეჯით და მაგნიტოფონ-ჭალებით დატვირთული საბარგო მანქანები გადიოდა. არა, არ იყო ყველა ნაძარცვი, ათიდან ერთ მანქანას თუ ნაძარცვი მიჰქონდა, ცხრაზე თქვენი ბარგი იღო გადასარჩენად გამიზნული. უცხოსავით ექცეოდით ჩვენს ჯარისკაცებს, თქვენს ჯარისკაცებს, თქვენს დასაცავად ჩამოსულ, თავნაკრულ, სასიკვდილოდ განწირულ ულამაზეს ბიჭებს. არ თვლიდით იმ ჯარს თქვენს ჯარად, რაკილა ცოტა რამ გაკავშირებდათ თბილისში, ქუთაისში, თელავში... ხელისუფლების მიერ მოტყუებით შეგროვილ მოხალისეებთან.

რა თქმა უნდა, რუსეთი გვებრძოდა. აფსუა, ჩეჩენი და სომეხი რუსის მიერ იყო მომართულ-დაგეშილი ჩვენ წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, ომის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ დაბეჯითებით გეკითხებით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დადებით ყველანი სოხუმის დასაცავად? ისტორიიდან ხომ მაინც იცით რომის, კართაგენის, კონსტანტინეპოლის, სპარტის, თბილისის, ქუთაისის დაცვის და იმ საარაკო გმირობის მაგალითები, რასაც თავისი მიწის დამცველები სჩადიოდნენ. შორს რომ აღარ წავიდე, როგორ იბრძოდნენ მეორე მსოფლიო ომში მოსკოვის, ლენინგრადის, სტალინგრადის, ბერლინის დასაცავად, თუ არ წავიკითხავს, კინოში მაინც არ გინახავს?

გამორბოდა მშვიდობიანი მოსახლეობა ასე ცხვრის ფარასავით მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან? მინსკის და კიევის მხოლოდ ათი პროცენტი იყო ევაკუირებული, დანარჩენი ადგილზე დახვდა მტერს. სული მოითქვეს და უზარმაზარი იატაკქვეშა ბრძოლა გაუმართეს ფაშისტებს. თქვენ კი რომ გამოიქეცით ერთპირად და ერთგულად, სად მივბოდით, თქვე კაი ხალხო? შეშინებული თხის არვე როგორ

არ მინახავს, მაგრამ თქვენ რომ იყავით ჭუბერის გზაზე გამ-  
წკრივებული, ისეთი?

იყვნენ აფსუა-სომეხ-ჩეჩენი ნაძირალები, როგორ არ  
იყვნენ. ვაჟკაცობისაგან დაცლილი გარეწრები ქალებსა და  
მოხუცებზე რომ მძლავრობდნენ, იყვნენ, გეთანხმები, მაგრამ  
ჩემიც მოისმინე: შენ პირადად მოგადგა ვინმე სახლში, დაგი-  
კაკუნა და გითხრა, აბა, სასწრაფოდ აიკარი გუდა-ნაბადიო?  
ნუ ყოყმანობ, შვილიშვილს გაფიცებ, ტყუილი არ მითხრა. არ  
ყოფილა ასეთი შემთხვევა, ხომ?

იცო, რატომ გკითხე? მე ყოველ მეორე ლტოლვილს მი-  
ვმართავ ამ შეკითხვით და ასიდან ოთხმოცდაათი ამბობს,  
ჩემთან არავინ მოსულაო, მაშ, რატომ გამოიქეცი-მეთქი?  
რა ვიცი, ყველა გარბოდა და მეც გამოვიქეციო. ასე იძახდა  
ხალხი; სამი დღით უნდა დავტოვოთ ქალაქი და სამ დღეში  
დაგვაბრუნებენო.

მტერი რომ შენი ბუდიდან აყრილს დაგინახავს, ის იმ საა-  
თშივე რომ დაეპატრონება შენს სახლ-კარს და მთელი შეს-  
აძლებლობით ეცდება, უკან აღარ დაგაბრუნოს, ეს ახალი  
ამბავია შენთვის და პირველად გაიგე?

კარგი, გაგრა-სოხუმ-ოჩამჩირე-გულრიფშში სროლა იყო  
და საშიში იყო იქ გაჩერება, გალი? გალიდან ისე გამოიქცა  
ბრიგინ-ბრიგინით ორასი ათასი ქართველი, რომ უკან არ  
მოუხედავს. იმის მაგივრად, რომ გალის რაიონი (თითქმის  
ნახევარი აფხაზეთი) გაგვემაგრებინა, მავთულ-ხლართებით,  
ბეტონის ფილებით და სანგრებით გაგვევსო იქაურობა,  
კბილებით დაგვეცვა ჩვენი ნაოფლარი, ერთი ხელის დაქნე-  
ვით, თითქმის პრავაკატორის მიერ დარხეული ჭორით; არიქა,  
მოდინ და ყველას დაგვხოცავენო, დავთმეთ ამხელა ტერი-  
ტორია. ამას ამბობს არძინბა მათხოვარი – სხვა არაფერს,  
ქართველობა რომ აფხაზეთში მკვიდრი მოსახლეობა ყო-  
ფილიყო, ასე იოლად, ასე ერთხმად და ერთბაშად როგორ  
აიყრებოდა, სად გინახავთ, „ჰაის დაძახილზე“ მიეტოვები-

ნოს ვინმეს მამა-პაპის ნაფუძარიო. ჩვენაო, მშვიდობიან მო-  
სახლეობას არ ვერჩოდით, ვისაც ქუდი ეწვოდა, ვისაც ჩვენს  
სისხლში ჰქონდა ხელი გასვრილი, იმას ვაძევებდითო. თქვენ?  
თქვენ რა სისხლში გქონდათ, თუ ძმა ხარ, ხელი გასვრილი?  
მე ხომ მაინც ვიცი, რომ რამდენიმე კაცი სეირს უყურებდით  
და ხელუკუღმა, მტრისკენ ერთი ქვაც არ გისვრიათ.

ახლა ომისშემდგომ სურათს შევხედოთ. საქართველოს ხე-  
ლისუფლებზე არ მაქვს ამჯერად ლაპარაკი. მთავარი დამ-  
ნაშავე ომის დაწყებაში და ომის წაგებაშიც, რასაკვირველია,  
ხელისუფლებასა და ღვთისა თუ ისტორიის წინაშე ყველა  
მისხალ-მისხალ აგებს პასუხს. ჩვენმა ხელისუფლებამ რომ  
სამამულო ომი დაუმალა ხალხს, საყოველთაო მობილიზაცია  
არ გამოაცხადა და რუსეთთან ომი აფხაზეთის კონფლიქტად  
მონათლა, მერე მოგვატყუა, სოხუმი საიმედოდაა გამაგრე-  
ბულიო, მტერთან დანაშაულებრივი გარიგებით ჩვენი ჯარი  
განაიარალა და ბოლოს თვითონ დედღურად გაიქცა ბრძო-  
ლის ველიდან, ამაზე არა მაქვს ლაპარაკი, მე შენზე და შენი-  
სთანებზე ვამბობ, ლტოლვილებზე მოგახსენებ და ისიც კარ-  
გად ვიცი, აფხაზეთის დაბრუნება რომ მთელი საქართველოს  
საქმეა და მე თვითონ მითქვამს არაერთგზის – უაფხაზეთო  
საქართველოს არ ვღებულობ-მეთქი.

ვგავართ ჩვენ ომში დამარცხებულ, გალახულ და ლამის  
მესამედტერიტორიანართმეულ ქვეყანას?

გინახავს ამდენი ცეკვა-თამაში, ამდენი შოუ და ჯაგა-ჯუ-  
გი სხვაგან სადმე?

ვემზადებით ჩვენ აფხაზეთის დასაბრუნებლად? თუ  
ერთი ფიორი მაინც გჯერა იმათი, ვინც რვა წელია ენერგი-  
ულად გვატყუებს, მოლაპარაკების გზით შევძლებთ, მტერს  
გამოვგლიჯოთ ხელიდან საქართველოს უძველესი ტერიტო-  
რიაო? ერთი ტაო-კლარჯეთი გამოვგლიჯე თურქს, სოჭი –  
რუსს, ლორე – სომხეთს თუ საინგილო – აზერბაიჯანს. რა  
დაიბრუნე მოლაპარაკებით?

შენ რას აკეთებ? ვის იმედზე ხარ? ვის ეუბნები აფხაზეთი დამიბრუნეო? ვინც თავისი უვიცობით, სულელური გარიგებებით და ბეცი პოლიტიკის გატარებით დაგაკარგვინა?

თუ ხელი დაიბანე აფხაზეთზე, თქვი ერთხელ და სამუდამოდ და დაანებე ნუნუნს თავი, თუ არა და იცხოვრე ისე, როგორც თავისი მინაწელიდან ძალით გამოგდებული შურისმაძიებელი უნდა ცხოვრობდეს. მოლოდინით, მომენტის შერჩევით, ნამდაუნუმ მუშტებზე ყურებით, ქვების შეგროვებით, ერთმანეთის გამხნევებით, შურისმაძიებელთა რაზმების ჩამოყალიბებით და დღედაღამ საომარი ვარჯიშით უნდა იყო გართული! ორ წელიწადში ერთხელ რომ დევნილთა ყრილობას ჩაატარებთ და ერთმანეთს ეჯიბრებით პატრიოტული სიტყვების თქმაში, იმის მცდელობაში, ვინ უფრო გულისამაჩუყებელ სიტყვას იტყვის და ცრემლს მოადენს სხვებს თვალზე, ეს ეყოფა საქმეს?

უცხოელები ჩამოდიან და გვეკითხებიან, სად არიან ლტოლვილებიო. აგერ, მეტროს გაჩერებებზე ვაჭრობენ-მეთქი, ვპასუხობ. როგორ, მუდმივი აქცია არსად არა აქვთო? გაოგნებული არიან. ამას მაინც რა უდგას წინ, შე კაი კაცო. ასჯერ მაინც ვთქვი, დავწერე, გთხოვეთ: დაჯდეს სადმე ოცდაათი ლტოლვილი სხვადასხვა ენებზე ტრანსპარანტებით ხელში: „დაგვაბრუნეთ ჩვენს სახლში“, „აფხაზეთი – საქართველოა“ და ა. შ. თითოეულ თქვენგანს ორ თვეში ერთი საათი მოუწევდა დაჯდომა, მეტი კი არა. ესეც არ გააკეთეთ. ხომ უნდა იგრძნოს ხელისუფლებამ, მსოფლიომ, რომ თქვენ არ შეურიგდით თქვენს მდგომარეობას. შეურიგებლობის ერთ-ერთი ფორმა მუდმივმოქმედი მშვიდობიანი აქციაა. ამასაც ვერ გაუკეთეთ ორგანიზება და აფხაზეთის დასაბრუნებელ ომში ჩამბმელი ხართ თქვენ? არ დაიჯერო, თუ ძმა ხარ, ეგ ამბავი.

არძინბამ მიაღწია თავისას. რეფერენდუმი ჩაატარა, ჩვენი მკვიდრი ტერიტორია აფხაზეთა სახელმწიფოდ გამოაცხადა,

თავი პრეზიდენტად აარჩევინა და როგორც პრეზიდენტი პრეზიდენტს, ისე ელაპარაკება შევარდნაძეს. უძახე შენ ახლა „თვითმარქვია-პრეზიდენტი“ და იყავი. მტერმა თავისი გაინაღდა, ექსკურსიაზეც არ გიშვებს შენს ლიხნში და ბიჭვინთაში. რაც მთავარია, მშვიდად სძინავს მტერს, ესაა ყველაზე დიდი ნიშანი ჩვენი დადებულების და დაცვადების.

შეიძლება „მე არაფერი მამივას?“ თეორიით ნაგებული ომის მოგება? ათი გამოქცეული ოჯახიდან ერთი ახალგაზრდა მაინც არ უნდა იყოს პარტიზანული შენაერთის წევრი? ნამდაუნუმ არ უნდა შეახსენებდეთ მტერს, რომ სხვის სახლში ოკუპირებულ ტერიტორიაზე მას მოსვენება არ ექნება?

ვის ელოდები, თუ ძმა ხარ? სხვა გააკეთებს შენს საქმეს? შენ გგონია, სინით მოგართმევენ შენს აფხაზეთს აფსუები და რუსები? მე ნუ მიყურებ, მე რაც შემიძლია, ბრძოლა-ქიჩმარს არ ვაკლებ ამ საქმეს და იცი შენ, სიტყვას მოჰყვა, თორემ არ გეტყოდით; მე ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნდა – ერთადერთი შვილი შევწირე აფხაზეთის ომს – უფრო სწორად, რუსეთ-საქართველოს ომს აფხაზეთისათვის.

ამას რომ ვამბობდი, ნამდაუნუმ პირი მიშრებოდა და ენას ნერწყვით ვისველებდი.

ცხელოდა.

ჭრიჭინობელა ჩამალულიყო იპოდრომზე კვადაცის ბურქებში, როგორც სანგარში და ერთგულად ჭრიჭინებდა თავის საჭრიჭინო-საჭირბოროტოს.

კარგა ხანს ვდუმდით ორივენი.

ლტოლვილი წკირს ნანჩილ-ნანჩილად ამტვრევდა და განზე ისროდა.

მერე წამოდგა, კიდევ ერთხელ დალლილი, ფიქრჩამდგარი თვალებით შემომხედა და გავარვარებულ ასფალტზე გააბიჯა.



## ყველანი

სამი წლის წინ თავისუფალი სტილით მოჭიდავე მურმან ნარჩემაშვილს, მსოფლიო ჩემპიონატის ერთპიროვნულ მონაწილეს, ანონვაზე დააგვიანდა და შეჯიბრებიდან მოხსნეს.

საქართველოს სპორტული დელეგაცია ყურებჩამოყრილი დაბრუნდა შინ.

მასმედია კარგა ხანს იძიებდა ჩვენი სპორტის იმედის ანონვაზე დაგვიანების მიზეზებს, დელეგაციის რამდენიმე წევრი მსუბუქად დაისაჯა კიდეც, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს რაღა უშველიდა.

იმ წელიწადს დავრჩით უოქროსმედლოდ.

მართალია, მშვილდ-ისრობაში პირველ ოცდახუთეულში მოვხვდით (ოცდამეოთხე საპატიო ადგილი – რ. მ.), მაგრამ ამ წარმატებამ ოდნავადაც ვერ გაახარა ანონვაზე დაგვიანებით ზაფრადაცემული ჩვენი დაღვრემილი გულშემატკივარი.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ, ჩვენმა მეგობარმა სახელმწიფოებმა (ამერიკა, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, პორტუგალია...) საერთაშორისო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს ანონვაზე დაგვიანებისათვის ნარჩემაშვილის შეჯიბრებიდან მოხსნის ვანდალური ფაქტის გამო, მაგრამ სასამართლო არ შედგა, ვინაიდან ქართულ მხარეს შვეიცარიაში ჩასვლის ფულადი სახსრები არ აღმოაჩნდა.

და აი, სამი წლის შემდეგ, ქართველ მოჭიდავეს კვლავ აღირსა ფორტუნამ ბედნიერება, მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ მოჭიდავეთა ილსბურგის მსოფლიო ჩემპიონატში.

მართალია, სამ ათეულს მიღწეული მურმანი ძველებურ სპორტულ ფორმაში ველარ არის და ცოტა ღიპიც წამოეზარ-

და, მაგრამ სპორტული მიმომხილველები (სპორტული მიმომხილველები ხომ არ შეცდებიან) გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ და, რაც მთავარია, თვით ნარჩემაშვილი იმედიანად არის განწყობილი.

„მთავარია ანონვაზე არ დამაგვიანდეს და დანარჩენი მე ვიცი“, – მერამდენედ გაიმეორა გულში მოჭიდავე ნარჩემაშვილმა, როცა თვითმფრინავი ილსბურგის აეროპორტზე დაეშვა.

ილსბურგი კორდილიერების მთაგრეხილიდან ორი ათას ხუთასი კილომეტრით დაშორებული ოლიმპიური ქალაქია.

ადგილობრივ მოსახლეობას ძირითადად ბელგიელები და მალაგასიელები შეადგენდნენ.

მოქალაქეთა საყვარელი კერძია „პიცა“.

ილსბურგში მშრალი კანონია და ამ ტრაგიკული ატმოსფეროს გამო აქაურები ქოქოსის წვენს და კენგურუს რძისაგან დამზადებულ გამაგრილებელ სასმელებს მიირთმევენ.

ჩვენი დელეგაცია სასტუმრო „იმპერიალში“ დაბინავდა.

სასტუმროს პირველი ცხრა სართულის აივან-ფანჯრებიდან მოპირდაპირე სახლის აივან-ფანჯრები ჩანს და მოდარაჯე კაცის თვალი, იშვიათად, აბაზანიდან გამოსულ, აუტანლად, მოშილიფებულ ლამაზმანსაც დაინახავს. მეათე სართულიდან კი ყვავილებით მოჩითული სახურავები ჩანს და შორს ლილისფერი ალპები.

ჩვენი დელეგაცია მეხუთე სართულზე ცხოვრობს და ხედი დიდ არჩევანს როდი სთავაზობს სათვალსანიეროდ. თუმცა, როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, არც მოპირდაპირე სახლის ფანჯრებში გამოჭრილი და ჯიუტი მზეერა მთლად უინტერესო და უნაყოფო.

საქართველოს დელეგაცია შვიდი წევრისაგან შედგება: მენეჯერი ავთანდილ ზუმბაძე, მენეჯმენტი გიზო ღვალაძე, სპორტმაისტერი ლევან ცოტაძე, პროდიუსერი – ზაზა ფხალაძე, შეფმაციაონი ტოგო სალია, სტრესმანხერი ვანო ფაჩალია და მოჭიდავე მურმან ნარჩემაშვილი.

მურმანის მწვრთნელი დელეგაციის შემადგენლობიდან ბოლოს წინა დღეს იქნა ამოღებული იმ, არცთუ უბრალო მიზეზის გამო, რომ სპონსორმა მხოლოდ შვიდი წევრის სამყოფი თანხა გადმორიცხა და მერვე წევრი, მიუხედავად მისი ფრიად სოლიდური მოვალეობისა დაუსპონსორებელი დარჩა.

მკითხველი, ალბათ, ყურადღებას მიაქცევდა, რომ დელეგაციის წევრთა თანამდებობები ნოველის ავტორმა ზუსტად ისე ჩამოთვალა, როგორც საოქმო განცხადებამია წარმოდგენილი. ტრადიციულ-საბჭოური ფრაზეოლოგიით დელეგაცია ასეთ სახეს მიიღებდა: დელეგაციის ხელმძღვანელი ავთანდილ ზუმბაძე, დელეგაციის გენერალური დირექტორი გიზო ღვალაძე, სპორტკომიტეტის წარმომადგენელი ლევან ცოტაძე, იდეოლოგიური ხელმძღვანელი ზაზა ფხალაძე, უმიშროების წარმომადგენელი ტოგო სალია, ფსიქოლოგი ვანო ფაჩალია და მოჭიდავე მურმან ნარჩემაშვილი.

„მთავარია აწონვაზე არ დამაგვიანდეს“ – უსასრულოდ რეკავს ნარჩემაშვილის გულში.

სასტუმროს რადიოდირექტორი წამდაუნუმ, შეუცდომლად და მკაფიოდ რაღაც ცნობებს აწვდის დაინტერესებულ მსმენელთ.

„რა თქვა? რა გამოაცხადა?“ – ყურები აქვს გალოკატორებული მურმანს და დელეგაციის წევრებსაც შეკითხვებით არ ასვენებს. ნარჩემაშვილის შიშს საფუძველი აქვს. მას ხომ უცხო ენის მასწავლებელი სკოლაში საერთოდ არ ჰყოლია და, რომც ჰყოლოდა, ბევრი არაფერი ეცოდინებოდა, რაკილა ბოლო ოთხი წელი (მეშვიდე კლასიდან ზევით) სკოლაში საერთოდ არ უვლია.

დელეგაციის სხვა წევრებმა საყველბურო ინგლისური როგორ არ იციან, მაგრამ უცხოურში დაახლოებით „ჰაუ მაჩ“-ის დონეზე ერკვევიან და ურთულეს სპორტულ ტერმინოლოგიაზე უკაცრავად გახლავან.

არადა, ეს მოჭიკჭიკე რადიოკომენტატორი ყოველ წუთს

ჯიუტად და დაბეჯითებით რაღაცას ამტკიცებს. მის გაფაციცებულ საუბარში გაფრთხილებაც არის, მოფერებაც და მგონი, ნიშნისმოგებაც.

ხუთს აღარაფერი უკლია. ნასამხრევს ქართული დელეგაცია ლიფტის მოლოდინში სხვა ლუდებთან შედარებით ბავარიული ლუდის უპირატესობაზე მეტყველ პლაკატს ათვალიერებს.

ფართხუნ-ფართხუნით ჩამოირბინა ყბაკისერზე კაპიშონ-შეკრულმა ირანელმა მოჭიდავემ.

– კითხე ერთი! – მენეჯერისკენ მიღრიჯა ბულაკისერი ნარჩემაშვილმა.

– რა ვკითხო? – კითხვა შეუბრუნა ზუმბაძემ.

– როდისაა აწონვა-თქვა, მაგას ეცოდინება.

– ნუ შემქამე, მურმანია, მაგი მასწავლის მე, როდის რაია?

ნარჩემაშვილი გაჩუმდა, მაგრამ მტკიცებას ვერ მოეყვებო იმისას, თითქოს ღრმად იყოს დარწმუნებული, რომ დელეგაციის ხელმძღვანელმა, ავთანდილ ზუმბაძემ, ყველაფერი იცოდეს აწონვასთან დაკავშირებით, რასაკვირველია.

მურმანი ხუთასმერვე ნომერში ცხოვრობდა.

დელეგაციის სხვა წევრებიც – ამავე სართულზე, ნომრებსაც ჩამოვასახელებდი, მაგრამ ნოველის სიუჟეტისთვის მნიშვნელობა არა აქვს.

ის იყო მოჭიდავემ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, რომ აივნის ფარდა ჩაირღვა და საფრთხობელას მსგავსი არსება „მომენტ! მომენტის!“ ძახილით ნარჩემაშვილისკენ გამოიქცა.

ფარდაგს წამოედო და წაიქცა. რომ არ წაქცეულიყო, დელეგაციას შეიძლება ყურადღება არ მიექცია, რადგან ჟურნალისტებისაგან თავი ჰქონდათ მობეზრებული. „თავდამსხმელი“, მართლაც, ჟურნალისტი აღმოჩნდა.

მე ვინ მკითხავს სხვის დახასიათებას, მაგრამ ეს ჟურნალისტი აშკარად გაურკვეველი სქესისა გახლდათ.

თავფეხიანად ჯინსიანს კეფასთან შეკრული გრძელი, ქერა ნაწნავკუდი მოუჩანდა. მხოლოდ მარჯვენა ყურზე მოციმციმე

საყურე ეკეთა და ხმაც საეჭვოდ განაზებოდა. სხვა მხრივ ყველაფრით ჩვეულებრივ ჟურნალისტს ჰგავდა – თოთხმეტი ფოტოაპარატი და მხოლოდ ჩანწერა-გადაღებასთან დაკავშირებული ხუთიოდე სხვა ხელსაწყო ეკიდა.

– მისტერ ნარჩემაშვილი! – პირდაპირ მურმანს მიმართა კორესპონდენტმა – თუ არ ვცდები, თქვენ ამ სამი წლის წინათ ანონვაზე დაგაგვიანდათ.

– ხომ არ განმეორდება წელსაც მსგავსი ტრაგედია-კუროზი? – კვლავ და ჯიუტად ნარჩემაშვილს მიუტანა პირთან ოთხკუთხა მაგნიტოფონი რეპორტიორმა იმ იმედით, იქნებ ახლა მაინც მიპასუხოს, ვისაც ვეკითხებო.

– არა! – კატეგორიულად მიუგო დელეგაციის იდეოლოგიურმა ხელმძღვანელმა ზაზა ფხალაძემ და ჟურნალისტი თავის მიკროფონ-აპარატებიანად განზე გასწია.

„ეცლია ჩემთვის; მეც ხომ იგივე პასუხის მიცემას ვაპირებდიო“, გაიფიქრა, მომიმოზო ჟურნალისტის ნაწყენ, განბილებულ თვალებს რომ წააწყდა. თქმით არაფერი უთქვამს.

რეპორტიორი რომ გაფრატუნდ-გაჩხრიალდა, ისევ ჩაირთო ადგილობრივი რადიოკვანძი და დიქტორმა ქალმა წელანდელზე უფრო ტკბილად რაღაც აუწყა მსმენელთ.

– რა გამოაცხადა? – მენეჯმენტ გიზო ღვალაძეს მიუბრუნდა მურმანი.

– მკვდარი საათით, – დაუფიქრებლად მიუგო დელეგაციის გენერალურმა დირექტორმა.

– რა დროს მკვდარი საათია, – საათზე დაიხედა თავისუფალი სტილით მოჭიდავემ.

– ასეა აქ. შენ ხომ იცი, სამი საათით უკან ვართ. თბილისის დროით ახლა რვა საათია.

– კი მარა, სადილი რომ თბილისის დროით ვჭამეთ? ორზე არ ვჭამეთ სადილი?

– მერე? გამოიანგარიშე კარგად. მართლა მოჭიდავე ხარ,

– და ამ სიტყვებთან ერთად სიყვარულით, მაგრამ თავისი გონებრივი უპირატესობის აშკარა შეგნებით ღვალაძემ მურმანს კისერზე ხელი წაუტყაპუნა.

– თუ რვა საათია თბილისის დროით, მაშინ სამი საათით უკან კი არა, წინ ვყოფილვართ, – სრულიად სერიოზულად თქვა ნარჩემაშვილმა.

– კაცო, შენ ჩემ მოსაკლავად ხარ ილსბურგში ჩამოსული? – განყრა მენეჯმენტი (იგივე გენდირექტორი – რ. მ.) – შენი საქმეა ქიდაობა. დანარჩენი ჩვენ ვიცით.

მურმანს ამ თემაზე კრინტი არ დაუძრავს. თუმცა თბილისისა და ილსბურგის დროებს შორის სამსაათიანი განსხვავების საკითხი მისთვის უფრო ბურუსით მოცული დარჩა, ვიდრე მენეჯმენტთან ზემოთ მოტანილ საუბრამდე იყო.

თანამედროვე დიპლომატის ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, სრულ საინფორმაციო ვაკუუმში მყოფმა ნარჩემაშვილმა ვერა და ვერ დაიძინა.

იცოდა, რომ ხვალ მსოფლიო პირველობაზე უნდა ეჭიდავა. ხვალ დიდი გამოცდა ელოდა.

იცოდა, რომ მის უკან ვითარების გამო გაუბედურებული, სასონარკვეთილი ერი იდგა. მაგრამ გულს ის გარემოება უღრღნიდა, რომ ზუსტად არ იცოდა, რომელ საათზე მთავრდებოდა ოლიმპიადის საზეიმო გახსნა და რა დროს უხმობდნენ პეპელაჰალსტუხიანი მსაჯები ხალიჩაზე. რაც მთავარია, არ იცოდა, რომელ საათზე იყო ანონვა. ეს დასაწვავი, გულისმომკვლელი, საბედისწერო ანონვა დილით ადრე იყო თუ შეჯიბრების დაწყების წინ.

თბილისის დროით ზუსტად თერთმეტ საათსა და რვა წუთზე სპორტული პიჟამო ჩაიცვა, „საბოებში“ ფეხი წაჰყო და სასტუმროს ცისფრად განათებულ სკვერში გამოვიდა; ცოტას გავისეირნებ და იქნებ დამეძინოსო.

სკვერის მეორე წრე ბოლომდე არ ჰქონდა დარტყმული,

დელეგაციის შეფმაცოიონი ტოგო სალია რომ ამოუდგა გვერდით. ტოგოს, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული სახე ჰქონდა.

– სეირნობ? – ჰკითხა მოჭიდავემ დელეგაციის სპეცმზარეულს (იგივე უშიშროების წარმომადგენელს – რ. მ.).

– არ მეძინება. უცხო ადგილას ასე ვიცი ხოლმე – რამდენადაც მოუხერხდა, მშვიდად მიუგო სალიამ.

ამ დროს რადიომ ოდნავ გაიხრიალა და ძილუკარება მორიგე დიქტორმა, რომელსაც წინა დიქტორზე უფრო ალერსიანი და საყვარელი ხმა ჰქონდა, რალაც გამოაცხადა.

– რა თქვა? – ცერად გახედა მურმანმა სპორტული სპეცკვების სპეციალისტს.

– ვერ გავიგე, არ მესმის ფრანგული – მშვიდად უპასუხა უშიშროების თანამშრომელმა.

– ფრანგული კი არა, ინგლისურად თქვა, – გულდანყვეტილი კილო გაკრთა ნარჩემაშვილის ხმაში.

– არც ინგლისური ვიცი. სად უნდა მესწავლა. კულინარულ ტექნიკუმში საშუალოდამთავრებული პირდაპირ მესამე კურსზე ჩამრიცხეს. იქ, თურმე, პირველი კურსის პირველ სემესტრში ასწავლიდნენ უცხო ენას და ისიც გერმანულს. ასე რომ, უცხო ენა საერთოდ არ მისწავლია, – დრამწრის წევრის ყალბი სიალალით მიუგო ტოგომ.

სინამდვილეში უშიშროების წარმომადგენელმა ინგლისური ჩინებულად იცოდა და ისიც მშვენივრად გაიგო, რაც დიქტორმა გამოაცხადა (დაინტერესებული მკითხველისთვის: „ფურნალისტთა რეგისტრაცია დაინყება ხვალ, დილის რვა საათიდან. სოსო ბუხაიძის სახელობის „სპორტის სასახლეში“), მაგრამ მოჭიდავეს „ყურბანად“ მოაჩვენა თავი და, ალბათ, სწორადაც მოიქცა. დელეგაციის შეფმაცოიონს თავისი საქმე ჰქონდა. საკუთარი საზრუნავიც ყელამდე ჰყოფნიდა და რატომ უნდა სცოდნოდა მოჭიდავე ნარჩემაშვილს, რა ენას ფლობს კაცი, რომელსაც დელეგაციის ოფიციალური საოქმო ჩანაწერის მიხედვით ისეთი მოკრძალებული დავალება ჰქონ-

და, როგორც იყო სპეცკვება მოქმედი სპორტსმენისთვის და ოდნავ განსხვავებული კვება (ლუდის დაშვებით) დელეგაციის სხვა წევრებისათვის.

როგორც იქნა, გათენდა.

ჯერ ყრუ ბრახუნი გაისმა. აშკარა იყო, სხვა ნომრებზე აკაკუნებდნენ. მერე მურმანის კარებზე დააკაკუნეს, არცთუ მოკრძალებით.

– ჩქარა, ჩქარა! ცხრაზე აწონვაა და ათზე შეჯიბრია. გაემზადე! – ავთანდილ ზუმბაძეს თვითონ აელო ხელში დელეგაციის გაღვიძების ტექნიკური საქმე.

ნარჩემაშვილს რალა გამზადება უნდოდა, კარგა ორი საათის ჩაცმულ-გაპარსული იყო და სწორედ ამ სანეტარო კაკუნს ელოდებოდა.

დელეგაციის წევრები სათითაოდ, მაგრამ განსაკუთრებით მობილიზებულ-მონდომებული სახეებით გროვდებოდნენ სასტუმროს კარებთან მდგარ „მიცუბიშის“ მარკის მიკროავტობუსში.

– ყველანი ვართ? – იკითხა დელეგაციის ხელმძღვანელმა და რაკილა ყველანი ადგილზე აღმოჩნდნენ, მძლოლს აუღელვებლად მიმართა – წავედით!

თითქოს მთელი ცხოვრება ქართველებთან გაუტარებიაო, ფართობეჭება, მრგვალთავა, ყბასიფათიანად გაპარსულმა ზანგმა ახალდამთქნარებულივით მოიხედა და მანქანა დაძრა.

ათს აღარაფერი აკლდა, როცა საბოლოოდ გაირკვა, რომ სხვა ავტობუსში ჩამსხდარიყვნენ და ბრიყვთვალეზა ეთიოპიელს ქართული დელეგაციის წევრები ქალაქგარეთ, ფირმა „მაიველის“ კანტორაში მიეყვანა. შეფი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა მძლოლს – გობელინის ქსოვის სპეციალისტები უნდა მოგეყვანა და შენ სპორტსმენები დამაყენე თავზეო. რაც შეეხება ქართული დელეგაციის წევრთა მიყვანას სპორტის სასახლეში, „მაიველის“ შეფმა სასტიკი უარი განაცხადა: არც ბენზინის ფული მაქვს საამისოდ, არც დრო

და არც სურვილი. საერთოდ, რა ტრანსპორტში ჯდებით, უნდა იცოდეთ ამხელა ხალხმაო.

– ხომ ვამბობდი, დაგვაგვიანდება-მეთქი, – გამშრალ ყელს ძლივს ამოატია მურმან ნარჩემაშვილმა.

\* \* \*

ილსბურგიდან ვენამდე და ვენიდან თბილისამდე თვით-მფრინავში დელეგაციის წევრებს ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ.

რადიოსტიუარდესა წამდაუნუმ რალაცას აცხადებდა, მაგრამ მურმანს თავიც არ აუნევიან.

ალარ აინტერესებდა, რას ამბობდა აეროდიქტორი.

წვიმდა თბილისში.

დელეგაციას ოფიციალურ პირთაგან არავინ დახვედრია.

არც არავის ელოდნენ.

ძნელი კვირა ჩამოდგა.

გაზეთები იკბინებოდნენ.

ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლები ილანძლებოდნენ; ამ საჭიდაო ფიასკოს გამო ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ორი ნაბიჯით უკან დაიხია. როდის შეიგნებენ სპორტის მესვეურნი, რა ეროვნულ-გამამხნეველები მნიშვნელობა აქვს ყოველ სპორტულ გამარჯვებას იმპერიის მარწუხებისაგან თავის დაძვრენისთვის ბრძოლაშიო.

სამი დღის შემდეგ სპორტული დელეგაცია რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო: გულს ნუ გაიტყვით, სპორტია. მოგება და წაგება – ერთად დასეირნობენო, დაუყვავა.

ბოლოს დელეგაციის გულაჩუყებულ წევრებს საჩუქრად მაჯის საათები ჩამოურიგა და სიცილით დასძინა: ნეტავ, ილსბურგში გაფრენის წინ მეჩუქებინა ეს საათები თქვენთვისო.

ყველანი იცინოდნენ მურმან ნარჩემაშვილის გარდა.

## საქართველოზე სიზმრებით განამეზული

მთელი ქვეყანა მასპინძელი ვართ, რაც თავი მახსოვს. სტუმრის პატივისცემას მასწავლი?

შე კაი კაცო, დამისახელე დუნიაზე მეორე ქვეყანა, სტუმრის დახვედრა ლამის ეროვნულ პროფესიად რომ ჰქონდეს გადაქცეული.

სტუმარს რატომ აწყენინეო, მსაყვედურობ.

გააჩნია სტუმარს, ბიძია, და ტუმენკოსნაირ სტუმარს უარესი რომ არ ვაკადრე, არ გიკვირს?

შენ გუმინ მოხვედი, შენ არ იცნობ ჯერ სტუმარ-მასპინძლობის ფილოსოფიას.

ახლა მივხვდი სიბერეში, რომ სტუმარს თან არ უნდა გადაყვე და არც იმაზე მეტი მოითხოვო მისგან, რაც სტუმარს – შემთხვევით მოსულს და წამსვლელ კაცს მოეთხოვება.

ჩვენ, საკმარისია გვითხრას სტუმარმა; რა კარგი მასპინძლები ყოფილხართო და სიხარულისაგან ქუდსა ვკრავთ ჭერს, ტანსაცმელს შემოვიხვეთ. არიქა, მოვენონეთ, როგორც მასპინძლებიო, და უკანასკნელ პერანგს გავყიდით, ვინმე დერვიშს ჩვენი ენით უთქმელი მასპინძლობით თავბრუ რომ დავახვიოთ.

არადა, რა გვიხარია; რა მშვენიერი მასპინძლები, რა კარგი მოსამსახურეები ყოფილხართო, გვითხრა იმ კაცმა. მეტი ხომ არაფერი.

იმ საათებში თუ მოწონხარ და ქებას არ იშურებს, როცა წავა, არ შეიძლება, ირონიით არ შეხედოს შენს წრეგადასულ ფაფხურს. ჩანს, დაბალი დონის ხალხია, თორემ ჩემზე ასე როგორ გაგიყდნენო. ჩანს, უხარიათ ამ შობელძაღვლებს კულტურული ერის წარმომადგენელთან ურთიერთობა და მათი სამსახურიო. ეს ერთი, მეორეც; იქნებ მთლად ასეთი სულელებიც არ არიან, იქნებ რალაცაში ვჭირდებით მეცო,



გაიფიქრებს შიგადაშიგ, ე მანდ რამე არ გამომტყუონო, დაას-  
კვნის და მოკითხვის ბარათს დაგიძვირებს.

ტუშენკო და მისი მეგობრები, შეიძლება ითქვას, აქ გაიზ-  
არდნენ, აქ დალალდნენ, აქ დავაჟკაცდნენ.

საქართველო ქვეყანა-კურორტი, საქართველო პუშკინის,  
ლერმონტოვის და გრიბოედოვის პოეტური სამშობლო, საქა-  
რთველო სტუმართმოყვარე, ცოტა გულუბრყვილო, მაგრამ  
რანდული ბუნების მქონე ქართველების ქვეყანა.

სად წავიდოდნენ უკეთეს ადგილას.

და იყო ტუშენკოს და მისი კალმიერი მეგობრების მიღება-  
დახვედრები.

ერთი პერიოდი ახალგაზრდა მწერლის ხარისხი და პოპუ-  
ლარობა იმის მიხედვით იზომებოდა, ტუშენკოსთან და მის  
მეგობრებთან რამდენად ახლოს იყავი.

ერთმანეთს ასწრებნენ აეროპორტში ტუშენკოს დასახვე-  
დრად.

იყო კახეთის ზვრებში დაჩოქება და ნადიკვარზე მწვადების  
ტრიალი, ჰაი, სანაქებო მასპინძელ-მდივნების შენუხება-გა-  
ბედნიერება, მოლზე სუფრის გადაფენა და ლირიულ-ვნები-  
ანი, რომანტიკული ოხვრა-ტირილი.

ერთი ქალი იყო ტუშენკოს ამაღლაში ნაზად, კვნესით მო-  
ლაპარაკე მსმელ-პოეტი, ის რომ ყელს მოიღერებდა და  
თრთოლვა-კანკალით იტყოდა: ცივ რუსეთში საქართველოზე  
სიზმრები არ მასვენებენო, კამეჩი უნდა ყოფილიყავ, თვალ-  
თაგან ცრემლს არ ეწვიმა.

ფიცში არ ჩავიყოლებ, ჩვენს წინანდლურ-ქინძმარაულ პა-  
ტივისცემას იმით აფასებდნენ, რომ თითო-ოროლა ლექსს  
სტყორცნიდნენ ომარ ბალაძის სამშობლოს, მათი ცოდნა ქა-  
რთულ პოეზიაზე ბალაძის იქით არ მიდიოდა და ეგონათ,  
როგორც ჩუვაშეთში და ჩუქჩეთში, პოეზია საქართველოში  
ომარ ბალაძით დაიწყო.

სიმთვრალეში უფრო შორსაც მიდიოდნენ, მახსოვს, ერთხელ,  
ოპერის თეატრში გრანდიოზული შეხვედრით გულაჩუყებულმა

სენსკიმ განაცხადა, მეო, მოვიძიე საბუთები და გაირკვა, რომ  
ქართველი დარდიმანდის, ლუარსაბ მინიშვილის, უკანონო შვი-  
ლი ვარო. ასე რომ, დაგიბრუნდი, მშობლიურ საქართველო,  
შენი პირმშო ერთხელ და სამუდამოდ; ანი შენ იცი, როგორ  
მომივლი და შემინახავო. გამნათებლიდან დაწყებული უშიშ-  
როების უჩინარ თანამშრომლებამდე ყველანი ვქვითინებდით.

მართალია, როცა გამოფხიზლდა, სენსკის თვითონვე  
შეეშინდა თავისი ნათქვამის, მოსკოვში ჩასვლისას, ჩანს, პა-  
ტარა ოყნაც გაუკეთეს და „პრავდაში“ უნაუნა გამოაქვეყნა  
გრძელი ლექსი „ო, რასია, მატუშკა მაიაო“, მაგრამ ამას რა  
მნიშვნელობა აქვს.

მოსკოვზე გამახსენდა. იქ რომ ჩავდიოდით, ცოტა არ  
იყოს, უცნაურად იქცეოდნენ საქართველოს გულმდულარე  
მეგობრები.

ყრილობისაგან თავგაბეზრებულ დერეფანში ბოლთისმ-  
ცემ ჩვენს ჯგუფს საიდანღაც დააცხრებოდნენ, ჩაგვეხვეოდ-  
ნენ, ჩაგვკოცნიდნენ, საქართველოსთან მოკითხვას დაგვ-  
აბარებდნენ, სალამოს სასტუმროში მოგაკითხავთ, ერთად  
ვივანშმით, გვეტყოდნენ და გაიქცეოდნენ.

ახლომახლო სომეხი ან აზერბაიჯანელი მწერლების ჯგუფი  
თუ იდგა, ახლა იმას მიეახლებოდნენ და იყო ხვევნა-კოცნა,  
„მტლამა-მტლუში“.

პირველი ეჭვი ჩემს გულში მაშინ გაჩნდა, თვალცრემლიან  
აზერბაიჯანელ პოეტს რომ წავაწყდი, რა გატირებს-მეთქი,  
ვკითხე, არაფერი, ისე, ტუშენკო იყო ახლა ჩვენთანო. აზერ-  
ბაიჯანზე დაწერილი მისი ლექსების წიგნი ჩამოვუტანეთ და  
სიხარულისაგან კინალამ გაგიჟდაო. არა მგონია, დედამინაზე  
რომელიმე აზერბაიჯანელს ისე უყვარდეს აზერბაიჯანი, რო-  
გორც ტუშენკოს უყვარსო. გვეშინია, ნამეტანი სიყვარულის-  
აგან თავი არ მოიკლასო.

არაფერი ვთქვი, ხომ შეიძლება, რუს პოეტს გაგიჟებთ  
უყვარდეს კავკასიის ორი ქვეყანა – საქართველო და აზერ-  
ბაიჯანი-მეთქი.

ექვსის ნაპერწკალი იცი, უფრო როდის გაღვივდა ჩემში? ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა სომეხი მწერალი რაჩიკ ფაფახიანი და საჯაროდ მადლობა მოახსენა პოეტ ტუშენკოს სომხურ ლიტერატურაზე განსაკუთრებული ზრუნვისათვის.

ტუშენკოს და მის მეგობრებს ისე უყვართ სევანი და სევანის თევზი – იშხანი, რომ ჩვენ საკითხი დავსვით უზენაესი საბჭოს წინაშე, რათა სევანის ტბა თავისი ფლორა-ფაუნით და ლურჯი ტალღებით დროებით სარგებლობაში გადავცეთ სომხეთზე უზომოდ შეყვარებულ, სომხეთზე ფიქრით გაბეზრებულ ტუშენკოს და მის ლიტერატურულ ამქარსო.

გავიდა ხანი.

რუსეთის იმპერია დაინგრა.

რუსეთის ბატონობის ორასი წლის განმავლობაში არ ყოფილა დღე, საქართველოს თავისუფლებაზე რომ არ ეფიქროს და ახლა რაღა დაამშვიდებდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთუმე მოხელეთა ენერგიული მეცადინეობით ახალი ნაზეიმევი გვექონდა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთების ორასი წლისთავი, როგორც კი დრო ვიხელთეთ, ავდექით და დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ.

როგორ თუ თავისუფლება მოინდომეთო, განყრა თეთრი დათვი და არგაგონილი რისხვა დაგვატეხა.

დღისით-მზისით, მსოფლიოს თვალწინ ომის გამოუცხადებლად, თავს დაგვესხა. დედა-წულიანად დაგვანოკა, მოგვიკლა ორმოცი ათასი პატრიოტი თმაქორჩორა ბიჭი და ნაგვართვა ლამის მესამედი ტერიტორია – აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ტუშენკოს სამშობლოს ვერაგობას მსოფლიომ წაუყრუა, საქართველოს ფეხქვეშ გათელვა დასავლეთ-აღმოსავლეთმა გულთან არ გაიკარა.

გვეგონა, საქართველოზე შეყვარებული ჩვენი ლირიკოსი მეგობრები ამოიღებდნენ ხმას, მოკრძალებულ საყვედურს მაინც ეტყოდნენ თავიანთ ლოთ ხელისუფლებას უდანაშაულო საქართველოს ფეხქვეშ გათელვისთვის.

თქვენც არ მომიკვდეთ.

საქართველო სისხლისაგან იცლებოდა, რუსი ჯარისკაცის ჩექმა ყელზე გვაჭერდა, ტუშენკო, სენსკი და კომპანია ენერგიულად სდუმდა.

ავდექით და ჩვენ – ქართველი მწერლები, ჩავედით მოსკოვში.

გვსურდა, გაგვეგებინებინა რუსეთის ინტელიგენციისათვის, რომ საქართველო, სასტიკად ნაცემ-ნაგვემი, შველას ითხოვდა, იქნებ ერთი პანანკინტელა წერილით მაინც ამოგვდგომოდნენ გვერდით ისინი, ვინც საქართველოს თავის მუზად თვლიდა.

პირველად ტუშენკოს დავურეკე.

ვინ ხარო, მკითხა.

მწერალი მიშველაძე ვარ-მეთქი.

რამ შეგანუხაო.

ამაზე მეტი ვერაფერი შემანუხებს, სამშობლო ხელიდან მეცლება, რუსეთმა მუხანათურად დაგვარბია. ქალაქებს გვიბომბავს და თანაც უსინდისოდ დაგვცინის, – ქართველები გადაღებული თვითმფრინავებით თავიანთ ქალაქებს ბომბავენო.

მერე ჩემგან რა გნებავთო.

ხმა ამოიღეთ, გამოგვექომაგეთ, არ ვართ ჩვენ ასე მოპყრობის ღირსი-მეთქი.

უარესის ღირსი ხართო, აბა, რა გეგონათო, რუსეთმა განათლათ, რუსეთმა გამოგიგონათ სახელმწიფოდ და ისე აიშვით, რომ შარშან თქვენი ნაგიჟარი პრეზიდენტის კანკალა ხელით ერთმორწმუნე რუსეთისთვის სამი თითის კომბინაციის ჩვენებას აპირებდითო.

თქვენ მაინც როგორ ამბობთ ამას, განა დანაშაულია, რომ დამოუკიდებლობა გვინდოდეს, სად გაქრა თქვენი სიზმრები საქართველოზე, თქვენი ძმობის ფიც-ვერცხლი და ცრემლიანი სადღეგრძელოები-მეთქი.

აქ მეტი აღარ დარეკოთ, საქართველოს თემა უკვე აღარ მაინტერესებსო, ცივად მომიჭრა და ყურმილი დამიგდო.

ამის შემდეგ ექვსი წელი გავიდა.

წელგათრეული საქართველო დამარცხებულ-დათრგუნული მსოფლიოს შესტირის, უთხარით რუსეთს, მაკმაროს ანიოკება, უდანაშაულო შვილთა მუსვრა-ჟლეტა და ახლა მაინც დამიბრუნოს წართმეული მიწებიო.

რას ბრძანებთ – ცინიკურად, თავხედურად იღიმება რუსი, – მე საქართველოსთვის არაფერი წამირთმევია, უბრალოდ, როგორც საქართველოს სურს დამოუკიდებლობა, თურმე ისე სურვებიან აფსუას და ოსს. ამიტომაც ამ პატარა დაჩაგრულმა ხალხებმა საქართველოს მიერ მიტაცებული მიწები დაიბრუნესო.

ჩვენი „მგალობელი მეგობრები“ კვლავ ძველებურად სდუმან.

თავიანთ ლოთ პრეზიდენტს კვერს უკრავენ და იმ დღეზე ოცნებობენ, რუსის ხიშტი ახალი იმპერიის საზღვრებს რომ შემოხაზავს, რუსი ჯარისკაცი ინდოეთის ოკეანეში რომ გაიბანს ჩექმას.

ამ ერთი კვირის წინათ სოხუმში დაღუპული ერთი კარგი ბიჭის მოსაგონარი საღამო გამართეს აფხაზეთიდან ლტოლვილებმა.

ყურებს არ დავუჯერე, საღამოს წამყვანმა რომ გამოაცხადა და სიტყვა ტუშენკოს ეძლევაო.

ტუშენკოს აქ რა უნდა, ტუშენკო აქ რა პირით ჩამოვიდამეთქი, გვერდით მჯდომ ჯუმბერ ჯანდიერს ჩაფულაპარაკე.

ამასობაში ტუშენკო ძველებურად მოყელყელავე, ძველებურად წარმოუდგენლად უგემოვნოდ ჩაცმული, ძველებურად უტიფარი ღიმილით და იაგოს თვალებით, ძველებურად კატის ნაბიჯით სცენაზე შეხტა.

ცხონებულო, დაინყო, ჩემი უპირველესი მეგობარი იყოო, რა დამავინწყებს ჩვენს გულწრფელ საუბრებს გამლილ სუფრასთანო. რას დავეძებ ორი პატარა ხალხის კინკლაობას,

ჭირსაც წაულია ორივე – მე მეგობარი დავკარგეო. მახსოვს, სოხუმში სახლს რომ ვაშენებდი, დღედაღამ ჩემს გარშემო ტრიალებდა, მთელი სამშენებლო მასალა მან მომიზიდაო, ვინღა გამომიწვედის მასავით დახმარების ხელს ანიო. მახსოვს ერთხელ გულზე ატატებული „ბაჩონკით“ თავისი დაწურული „ადესა“ მომიტანაო. იცოდა, რომ „ადესა“ ძალიან მიყვარსო, სხვათა შორის, „ადესის“ სუფთა ღვინო მძიმე დასალევია. მას უნდა დავუმატოთ ერთი მეოთხედი „კაჭიჭი“ და სულ სხვა არომატ-ბუკეტი ეძლევაო. ამ ბოლო დროს საქართველო ძალიან დამაკლდაო. მოსკოვში რომ „კინძმარაული“ იყიდება, აბა ის „კინძმარაულიაო“? წესიერ „ხვანჩკარასაც“ ვერსად იშოვი მოსკოვში. „ხვანჩკარას“ თავი გაანებე, ბუნებრივი პამიდვრის გემოც დამავინწყდაო. ჰყიდიან მოსკოვის ბაზრებში სათბურის პამიდორს და ქართულ პამიდორს ეძახიანო...

გაუტია და გაუტია, ქართული ღვინო-ხილეულის და ქართული მწვადეულ-ჩახოხბილის ნოსტალგიამ ტუშენკოს სხვაც ბევრი სისულელე ათქმევინა.

რაც მთავარია, დაავინწყდა, ვისი ხსოვნის საღამო იყო და რა უნდა ეთქვა. დამთავრდა სევდიანი ორი საათი.

თეატრის ფოიეში, ვირს პიტნა ეჯავრებოდაო, კვლავ ტუშენკოს შევეფეთე.

თავის ძველ მეგობრებში იდგა ყელმოლერებული და ხითხითებდა.

პროფესიონალი მწერალ-მასპინძლები თვალეებში შესციცინებდნენ, ისმოდა გაუთავებელი „ალექსანდროვიჩი“ და ბედნიერებისაგან ყურებამდე პირგახეული პოპულარული პოეტი-დეპუტატები ტუშენკოს ნახვა-გამოსვლის აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

ასე მეგონა, ის ძველი საბჭოური ეპოქა გაცოცხლდა-მეთქი. თითქოსდა არც ყოფილა აფხაზეთი და სამაჩაბლო, თითქოსდა არც ყოფილა, რუსული ცინიზმი და საქართველოს მეგობართა საბედისწერო, დამსჯელი ღუმილი.

ვერ მოვითმინე და ტუშენკო თაყვანისმცემელთა წრიდან გამოვიხმე.

ლიმილით მომიახლოვდა, ეგონა, მისმა მორიგმა მეხოტბემ მადლობის სათქმელად შევანუხე.

ამხანაგო ტუშენკო-მეთქი, თუ გახსოვთ ამ ექვსი წლის წინ, თქვენ სისხლგამშრალმა დაგირეკეთ-მეთქი.

კიო, მახსოვსო.

მაშინ ისიც გემახსოვრებათ, რომ მიპასუხეთ, საქართველოს თემა აღარ გაინტერესებდათ და სხვა დროს აღარ შეგვენუხებინეთ-მეთქი.

მერე რა გნებავთო, ძველებური უტიფრობა-მედიდურობით.

ახლა მე მაინტერესებს, საქართველოს თემა ისევ აღარ გაინტერესებს თუ ჩვენს ქვეყანაზე აზრი შეიცვალე-მეთქი.

ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ჩემი ჩამოსვლით ქართველებს ვაპატიე ამ ექვსი წლის წინ ჩადენილი დანაშაულიო.

რომელ დანაშაულზე ლაპარაკობ, იმპერიის ლაქია პოეტო, რა გვჭირს ქართველებს შენი საპატიებელი, შე მსოფლიო მანანნალავ-მეთქი!

წავინიე, მაგრამ პოეტი-მასპინძლები ხელებში მეცნენ.

რეზო, რას ჩადიხარ, როგორ არ გრცხვენია, რატომ გავინყდება, რომ სტუმარს ჩვენში ასე არ ექცევიანო, – ერთმა სოხუმელმა პოეტმა.

ფერებ-ფერებით, შუბლ-სახელოზე ხელის სმითა და ბოდიშებით გამარიდეს „საქართველოზე სიზმრებით განამებულ“ პოეტი.

აი, ჩემი პასუხი, იმანო, შენს მსუბუქ საყვედურზე.

სტუმრის სიყვარული, გიმეორებ, მე რომ ვიცი, ისეთი უნდა, მაგრამ სტუმარს გააჩნია.

## ძანაოზს პრეზიდენტში...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოფილი ბელადთაგანი და ყოფილი საზოგადო მოღვაწე, ამჟამად მენეჯმენტი, ჯიმშერ კაპანაძე, მეორე სართულის შემინული აივნიდან ტროტუარზე აფრთხილებულ მტრედებს პურს უფჩხვნიდა.

ნაცრისფრად განათებულიყო.

შეცივებულ, შეჩერებულ გაზაფხულს არც დღეს ეწერა განავარდება, რაკილა დამსკდარ კვირტებს ყინვა მოსძალებოდა, ხოლო უძოზე და მადათოვზე წუხანდელი თოვლი ჩანდა.

– მელენტი! - დაუძახა მენეჯმენტის წყალ-სნიკერსის ყუთთან (ჯიხურში არ აგერიოთ, ჯიხური ვაჭრობის უფრო ცივილიზებული ფორმაა) მობოლთავე (ბოლთისმცემელ) დევნილს, რომელიც წამდაუნუმ ხელებს იორთქლავდა და თავის დევნილურ ფიქრებში ჩაძირულიყო.

– ბატონო! – მეორე სართულს ააჩერდა მელენტი.

– ერთი, თუ კაცი ხარ, აილე კეტი და დრუზე თავში მაგ გათახსირებულ მტრედს.

– ამას?! – დაინტერესდა მელენტი.

– ხო, მაგას, მაგ მხეცს, მაგ ხულიგანს, მაგას!

ერთი ბოლოფრთახაზული მსხვილთავა მტრედი (რუსები რომ „სიზაბლაკას“ ეძახიან) ასფალტზე გულმოსული დალულუნ-დაბულრაობდა, ჯიმშერის მიერ ჩამოფჩხვნილ პურს არც თვითონ ჭამდა და არც სხვებს აჭმევდა. თუ თავგანწირულ-მოშიებული, შეუპოვარი მტრედი ტროტუარზე ირაოთი დაემვებოდა, გაჯიუტებული მივარდებოდა და ნისკარტს ჩაჰკრავდა თავში.

მელენტიმ გათამამებულ „სიზს“ აუქმია, მაგრამ ფინჩხას დადარაჯებული სხვა მტრედებიც დააფეთა, ხოლო „ხული-

განი“ მაინც პირველი დააცხრა ტროტუარს და ფინჩხაზე მონადირე თვისტომთ კვლავ შიშისქარი ჩაუყენა.

მენეჯმენტმა პურის ფხვნა შეწყვიტა, ხელები დაიფერთხა და ის იყო ფანჯრის მიხურვას აპირებდა, რომ დევნილის კითხვის ქამანდმა შეაჩერა.

კითხვა არცთუ მოულოდნელი და, როგორც პატივცემული მკითხველი ხვდება, არცთუ ორიგინალური გახლდათ.

– ბატონო ჯიმშერ, როგორ იქნება ჩვენი საქმე როდის დაგვაბრუნებენ ჩვენს სახლებში?

კაპანაძემ ინანა, რომ ფანჯრის მიკეტვა ვერ მოასწრო და პირველად თავის სიცოცხლეში, მტრედებისთვის პურის ფჩხვნაც ფუჭ საქმედ მიიჩნია.

რა ეგონა. სვეგამწარებული დევნილი კონკრეტულ პასუხს ითხოვდა, თორემ ზოგად ფრაზას („აუცილებლად დავბრუნდებით!“) იგი ყოველდღე უთვალავჯერ ისმენდა ჯიუტი ოპტიმიზმით შეპყრობილი მოქალაქეებისაგან.

... და ჯიმშერ კაპანაძემ თავის სიცოცხლეში არცთუ პირველად იცრუა:

– ექვსი თვე კიდევ უნდა მოითმინოთ, მელენტი ბატონო.

– რა ამბავია, შე კაცო, ექვსი თვე?! – მელენტი დაბრუნების უტყუარი ვადის შეტყობით აშკარად უკმაყოფილო დარჩა.

„ახია ჩემზე, ან ეს ექვსი თვე რა ჯანდაბამ მათქმევინა“.

– გაიფიქრა ჯიმშერმა და „ალიონს“ მიშტერებულ, მარილები-საგან სახსრებდაზრულ მეუღლეს შეეხმიანა:

– შე ქალო, ვერ დამიძახე? რას მისჩერებხარ დილაადრიან მაგ დასანვავ ტელევიზორს. წამოსულა შუადღე. დღეს ოთხ სხდომაზე ვარ დაძახებული.

– არც ერთგან მისვლა არაა საჭირო, – ჩაილაპარაკა ცოლმა იმგვარი ინტონაციით, როცა მთქმელი დარწმუნებულია, რომ მის ნათქვამს სულერთია, მაინც არ შეასრულებენ.

განა ყოფილმა საზოგადო მოღვაწემ თვითონაც არ იცოდა ის ქემმარიტება, რაც ბრძენი მეუღლის პირით ეუწყა, მაგრამ იგი ხათრიანი კაცი გახლდათ და სხვაგვარად არ შეეძლო.

ძველთაძველი, ძმასავით შებერებული ჟიგულის დაქოქვა დღესაც გაუჭირდა. თუ „შემწოვს“ დიდხანს აქანავებდა კარბურატორი ბენზინს „გადაყლაპავდა“ და ძრავას ველარ ამუშავებდა, თუ ცოტა ხანს არწევდა „შემწოვს“, ბენზინი არ ჰყოფნიდა და დაქოქვისთანავე ქრებოდა. ერთი სიტყვით, დღესაც თავდაღმართზე დაგორების ნაცად ხერხს მიმართა.

ვარაზისხვევთან ნითელზე გავიდა და სასტვენმაც არ დააყოვნა.

გააჩერა.

ავტონისპექტორთან ურთიერთობის გარკვევა დამუშავებული ჰქონდა. თუ გააჩერებდნენ, სანამ ავტონისპექტორი ბრალდებას ნაუყენებდა, რალაც უნდა ეკითხა მისთვის, ახლაც ასე მოიქცა.

– თუ ძმა ხარ, პროპაგანდის სახლი რომ ერქვა, ახლა რა ჰქვია მაგას?

– ვერ გეტყვით, – მოწყენილი სახით უპასუხა პოლიციელმა, რომელიც უკვე მიმხვდარი იყო, რომ ამ ჰალსტუხიანი მძღოლისგან ხუთ ლარს ვერა და ვერ მიიღებდა.

– სიტყვა მაქვს სათქმელი, ეს ოხერი, დამაგვიანდა. რომელია შენთან?

– ათი სრულდება, – კიდევ უფრო მოწყენილი სახე მიიღო გზის გუშაგმა და ზურგი შეაქცია.

– გმადლობთ, ყოველ შემთხვევისათვის დაადევნა ჯიმშერმა, თუმცა მიხვდა, რომ ეს გულისგარეთ ნათქვამი „მადლობა“ ორივე მხრისთვის ზედმეტი იყო.

დააგვიანდა.

რამპით გაჩახჩახებულ სცენაზე ორატორი იდგა და იუგოსლავიის კონფლიქტის მოგვარების რეალურ გზებზე ლაპარაკობდა.

იქვე, კარებთან, იღბლად დარჩენილ სკამზე ჩამოჯდა და სმენად იქცა.

მოქადაგეს თვითონვე უკვირდა, რომ ასე უბრალოდ და დიდებულად შეეძლო საკითხის გადაწყვეტა, რომ სრულებით-

აც არ გასჭირვებია იმ გზების გამონახვა, რაზეც მსოფლიოს პრეზიდენტები და საგარეო საქმეთა მინისტრები თავს იმტვრევენ.

იუგოსლავიის კონფლიქტის მოგვარების სპეციალისტმა სიტყვა დაამთავრა თუ არა, თავმჯდომარემ ხავერდოვანი შთაგონებული ხმით გამოაცხადა:

– ბატონ ჯიმშერ კაპანაძეს ვთხოვთ პრეზიდენტში.

სცენაზე რომ ადიოდა, ჯიმშერს ასი წლის კოლაუ ნადირაძის ფუნაგორია გაახსენდა: „ქანაობს პრეზიდენტში, როგორც საკუთარ ჰამაკში, ღმერთო, რა ჭირად ჩამაგდე ამ ოღრაშების ბანაკში“.

სხვა დროსა და ვითარებაში სხვა მოვლენაზე თქმული ეს ფუნაგორია ახსენდებოდა ყოველთვის, ჯიმშერს, როცა პრეზიდენტში უხმობდნენ.

სხდომის თავმჯდომარემ გვერდით მოისვა.

– შეგვაშინეთ, ბატონო ჯიმშერ, – უჩურჩულა.

– მოვედი კი. რა ხალხი შეგიკრებიან, ყოჩაღ, მე ხომ გითხარი, მხარს დაგიჭერთ, მაგრამ პარტიაში ვერ შემოვალ, ჩემთვის უხერხულია.

– მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ, ბატონო ჯიმშერ. დღეს მარტო სიტყვა გვითხარით.

– სიტყვა, კი, ბატონო, მერამდენე გინერივარ მანდ?

– მეშვიდე, გნებავთ, წინ გადმოგნევთ.

– არა, ბატონო. ბოლოსკენ მიჩვენია.

შესცქეროდა დარბაზს ჯიმშერ კაპანაძე და ფიქრობდა: ღმერთო ჩემო, რა გვეშველება, ამ კვირაში უკვე დავესწარი ცხრა პარტიის და სამი მოძრაობის დაფუძნებას. რა დოღია გამართული, კარგი არაფერი მოჰყვება ამ ამბავს.

მეო, ორატორი ტიროდა, დამშვიდებული ჩავალ საფლავში. მთელი სიცოცხლე ველოდი ამ პარტიის შექმნასო, თუ რამე გადაარჩენს ქვეყანას, სწორედ ეს პარტია გადაარჩენს, რა ჭკუას უნდა ემსახურებოდეს ქართველი კაცი,

რომ ჩვენი პარტიის არსებობა იცოდეს და სხვა პარტიაში შედიოდესო.

„მეშვიდე... თითო მოქადაგეს ათ-ათი წუთი მაინც უნდა. შვიდი აიღე თუ გინდა... მოვასწრებ... უსათუოდ მოვასწრებ...“

ელვისებურად მუშაობდა მენეჯმენტის გონება. ახლავე მოვალო, თავმჯდომარეს დაუბარა და დინჯი ნაბიჯებით გაეშურა კულისებისკენ, დაცვის მუშაკს დაეღრიჯა, თუ ძმა ხარ, როგორმე გამაგებინე, როგორ გავიდე აქედან ქუჩაშიო, დაცვის მუშაკმა ხელის ტელეფონს რალაც ჩაულაპარაკა და წინ გაუძღვა.

მთელი საბურთალო სახანძრო ფარებჩართულმა სიგნალ-სიგნალ გაირბინა, მანქანა ორჯონიკიძის ნაძეგლართან კარებდაუკეტავად მიაგდო და კიბეზე შევარდა.

– საით? – არ შეიძლება – დაედევნა კარისკაცი.

– სხდომა რომელზეა?!

– მეხუთეზე! – მხნედ ასძახა კარისკაცმა, რომელიც პირველივე საფეხურებზე დარწმუნდა, რომ ჯიმშერ კაპანაძის დამწევი არ იყო.

სცენაზე მის გამორჩენას კანტიკუნტი ტაში მოჰყვა. ოვაცია არ გამართულა, ვერ მოგატყუებთ.

განაპირა სკამზე მოკალათდა და გვერდით მჯდომს ჰკითხა:

– თუ ძმა ხარ, ხომ არ გამოგუცხადებდით?

– არა, – დაუფიქრებლად მიუგო მიმგებმა, თუმცა არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე და საერთოდ, უხასიათოდ გახლდათ იმ არცთუ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავმჯდომარე სიტყვის მიცემას უგვიანებდა და მთლად დარწმუნებული არც კი იყო, საერთოდ მისცემდნენ თუ არა სიტყვას.

დრო, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ჩვეულებრივზე ჩქარა გარბოდა.

ორი ოქროპირი გამობრძანდა ჯიმშერის იქ ყოფნაში და სიტყვა ორივემ ერთნაირად დაიწყო; მეო არც ერთი პარტიის

წვერი არ გახლავართ და არც ვაპირებ რომელიმე პარტიის წევრობასო.

„ყველა ჩემზე ჭკვიანი რავაა“, გაიფიქრა კაპანაძემ და თავმჯდომარეს წერილი მისწერა; შეთანხმებისამებრ, როგორც ხედავ, მოვედი, თუ მაძლევ სიტყვას, დროზე მომეცი, დროში ვინვები, ცეცხლი მიკიდიაო.

თავმჯდომარემ წერილი წაიკითხა და თავი დაუქნია.

– თუ ძმა ხარ, რა მოძრაობა ფუძნდება აქ?

– არ იცით? – ფეხი ფეხს შეუნაცვლა შეკითხვის მიმღებმა.

– როგორ არ ვიცი, სახელი გადამაწინყდა. მერევა ერთმანეთში.

– ეს მოძრაობა არ არის – პარტიაა. „გული-გულს და ღონე-ღონეს“ ჰქვია.

– აგაშენა ღმერთმა.

ჯიმშერმა მეტი შეკითხვის მიცემა ვერ მოასწრო, ომახიანი სიტყვის სათქმელად ეს ინფორმაციაც საკმარისი აღმოჩნდა.

მისი გვარი რომ გამოაცხადეს, სწრაფად წამოდგა, მიკროფონს თავი აუწია და ფრიად ორიგინალურად დაიწყო.

– აღსრულდა!

ამ სიტყვით დაწყება საუკუნის დასაწყისშიც და ახლაც, საუკუნის დასასრულს, ორატორს ფანტაზიის გაქანების დიდ საშუალებას აძლევდა.

მეო, ამ მოძრაობას გულით ვესალმები, გულისფანცქალით ამოვდიოდი კიბეზე, აფერუმ, თქვენს მოფიქრებას; ან სახელწოდება რა დიდებული შეგირჩევიათო. ისე, ჩვენ შორის დარჩეს და, არა მგონია, ყველას გასურდეთ საქართველოს გამთლიანება-შერიგებაო. ელიავას რომ ეუბნებით, შეგვირიგდი, გამოდი ტყიდან, ჩაგვბარდი, ჩაგვამთ, მოგცემთ ათ წელიწადს... ამას რომ ეუბნებით ელიავას, ეს რა შერიგებააო. შერიგება იმას ჰქვია, ორივე მხარე რომ ერთმანეთს აპატიებს, თორემ დამჭერის და დასაჭერის შერიგება სხვანაირად არ მოხდებაო.

ეს ნათქვამი დარბაზში მყოფ ოფიციალურ პირთაგან ზოგს არ მოეწონა, მაგრამ ტაში ბატონ ჯიმშერს მაინც დაუკრეს, აქაოდა დემოკრატიაა, ადამიანს რაც სურს, იმას ამბობსო.

– ძალიან ხომ არ გამიგრძელდა? – ჰკითხა ჯიმშერმა გვერდით მჯდომს, როცა შუბლზე ოფლი შეინმინდა და სული მოითქვა.

– არა, – მოკლედ მოუჭრა შეკითხვამიციმულმა.

– ელიავაზე ხომ კარგად ვთქვი?

– კი.

საათს დახედა. გვერდით მჯდომს არ დამშვიდობებია (რაც აბეზარი „თანაპარტიელისაგან“ შეწუხებულს დიდად არ უნალვლია), წამოდგა და უკანასკლით კულისებში გაუჩინარდა.

კულისებში უკუნი სიბნელე იყო.

დაკვირვებული თვალი (თუმცა სადღაა დაკვირვებული თვალი) შეამჩნევდა, რომ შავი ფარდის მიღმა ბეჭემოთის მსგავსი რალაც ცხოველი სწრაფად მოძრაობდა. იგი იქეთ-აქეთ აწყდებოდა და ფარდის ბადეში გახვეული, ეტყობა, გასასვლელს ეძებდა.

ბოლოს, რაკი ყველაფერი მთავრდება ხოლმე, ფარდაც დაცხრა.

თბილისის საპატიო მოქალაქის, ევგენი პრიმაკოვის, ქუჩაზე რომ ჩაუხვია, მხოლოდ მაშინ დახედა საათს.

ორმოც წუთზე მეტი გასულიყო.

საბჭოს მოედანზე გასვლის და შემობრუნების დრო აღარ იყო, მანქანა საავადმყოფოს ღობეს მიაყენა, გასაღები იქვე მდგომ პოლიციელს გადაუგდო და ყოფილი პროპაგანდის, ამჯერად (ჩრდილოკავკასიელ ჯიგიტთა და ერაყიდან ლტოლვილ ქურთთა მეგობრობის საზოგადოების) სახლის კარებში დურთა თავი.

პრეზიდენტში ჯიმშერ კაპანაძის გამოჩენისას თავმჯდომარემ შევებით ამოისუნთქა, განამებულმა დარბაზმა კი არცთუ მრავალმნიშვნელოვნად ამოიხვნეშა.

– კაცმა რომ თქვას, სალაპარაკო არც აღარაფერია – ასე დაიწყო ჯიმშერმა და დარბაზიდან რამდენიმე ძილგატეხილის მადლიერი მზერაც დაიმსახურა, – ჩემზე წინ გამომსვლელებმა მშვენივრად ილაპარაკეს მოძრაობის მიზნებსა და ამოცანებზე. ახლა მთავარია, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. საქმე კი, ჩემი წინა გამომსვლელისა არ იყოს, მართლაც ბევრია. აქ სწორად აღნიშნა ყველა გამომსვლელმა – მოლაპარაკებით და მხოლოდ მოლაპარაკებით... შეხვედრები, როგორც წინა გამომსვლელებმა აღნიშნეს, უფრო ხშირად და ინტენსიურად უნდა გაიმართოს...

სკამისკენ რომ მიდიოდა, ტაშის გრიალმა ისე გააკვირვა და გაახარა, რომ კინალამ მიკროფონისკენ შებრუნდა, ბარემ ბოლო ლოზუნგსაც ვტყორცნი აუდიტორიასო, მაგრამ გადაიფიქრა და სწორადაც მოიქცა.

ხალხი ტაშს ძირითადად იმიტომ უკრავდა, რომ კამათი დამთავრდა. ეს ტაში ნაწილობრივ, რასაკვირველია, კაპანაძესაც ეკუთვნოდა რეკორდულად მოკლე და ბუნდოვანი სიტყვის გამო.

თავმჯდომარემ რეზოლუციის პროექტის კითხვა დაიწყო.

„ჯერ სამიჯ არ არის... ორზე დაიწყებდნენ. ზუსტად ორზე ვერ დაიწყებდნენ. ჩვენთან ზუსტად არასოდეს არაფერი იწყება. მომხსენებელი ნახევარ საათს მაინც ილაპარაკებდა... მივუსწრებ... უსათუოდ მივუსწრებ...“

პოლიციელი მოძებნა. გასაღები გამოართვა და საჭეს მიუჯდა. სიჩქარეში კარბურატორს ზომაზე მეტი ბენზინი გადააყლაპა. პოლიციელს სთხოვა, რაკი ამხელა სიკეთე მიყავ, ბარემ მოაწეი ამ დასაწვავსო.

ციხეს გაცდა. ტრიკოტაჟის ან გაძარცვული ფაბრიკის კლუბის მიგნება არ გასჭირვებია. აქ „ოქროს ხანაში“ ერთი-ორჯერ იყო „ცოდნიდან“ ლექციის წასაკითხად.

„მოვიდა!“ – დაიძახა ვილაცამ და სხდომასმონყურებული საზოგადოება სკამებს მიანყდა.

თურმე საზოგადოება „კერე-კერეს“ დამფუძნებელ კონფერენციაზე ჯიმშერ კაპანაძე მთავარ მომხსენებლად იყო მიტყუებული და ეს პატიოსანი ხალხი მთელი საათი მოთმინებით ელოდა.

რა გაენყობოდა. უარის თქმა და მით უმეტეს გაქცევა უკვე გვიან იყო.

ვილაცას დასაფუძნებელი საზოგადოების სახელწოდება ჰკითხა. ტრიბუნაზე შედგა, ბოდიში მოიხადა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო დაგვიანებისთვის და მოხსენება დაიწყო.

მოხსენება რომ ჩამთავრა და „კამათი“ გაჩაღდა, გვერდით მჯდომ საინიციატივო ჯგუფის თავკაცს ჰკითხა:

- ხომ არ გამიგრძელდა მოხსენება?
- არა, ბატონო. ყველაფერი დიდებულად ჩამოაყალიბეთ.
- ერთი ეს მითხარი, განძის გატანაზე რა აზრის ხარ შენ?
- უნდა გაიტანონ, რასაკვირველია.

ჯიმშერს გული შეეკუმშა.

– დაბადების მონმობაში ეროვნულობის გრაფის აღდგენაზე რას იტყვი?

– ბატონო ჯიმშერ, იმას ვიტყვი, რაც პროგრამაში გვინერია. რაღა დროს ეროვნულობის ხაზგასმაა. რა საჭიროა, თვარა კი.

ჯიმშერს ენა გაუშრა. მისვდა, რომ ამჯერად სულ სხვა პარტიის დამფუძნებელთა შორის აღმოჩნდა, მაგრამ რაღას იზამდა.

ენაწყლიანი გამომსვლელები შეუფერხებლად რატრატებდნენ, მაგრამ კაპანაძეს ერთი სიტყვაც არ გაუგონია.

ვილაცები ხელს ართმევდნენ, ვილაცები ჰკოცნიდნენ და მადლობას უხდიდნენ.

გასასვლელში ორი სხვადასხვა პარტიის ლიდერის ქიჩავ-ქიჩავს შეესწრო.

– გემინია და იმიტომ! – ყვიროდა ერთი.

– ჩვენ არაფრის გვეშინია! – ყვიროდა მეორე, – ჩვენ შვიდ-პროცენტთანსაც გადავლახავთ და თხუთმეტპროცენტთანსაც.

– თქვენ ნაყარ-ნუყარი პარტია ხართ! – ისევ ყვიროდა უშიშარი პარტიის მამაცი ლიდერი. მისმა ოპონენტმა, ჩანს უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ენა გამოუყო.

\* \* \*

ღამდებოდა.

დილიდან ემზადებოდა სანვიმრად, მაგრამ ქალაქის თავზე ჩამონოლილ ჯანლს განვიმება დღისით ვერა და ვერ მოეხერხებინა.

ღამით უსათუოდ იწვიმებდა.

ძველთაძველი „ჟიგულის“ ზეთგამშრალი ძრავის ჩხაკუნ-ქშუტუნით შინ ბრუნდებოდა გულდამძიმებული ჯიმშერ კაპანაძე;

ჯიმშერს სისხლს უშრობდა იმის გაფიქრება, რომ მის-დაუნებურად იგი დღეს უკვე მეხუთე პარტიის წევრი გახდა.

...მაღლა, ოქროყანის პირდაპირ, ჟანგისფერი შენობის მეხუთე სართულზე, ერთი პარტიის გენერალური მდივნის ნაცადი ხელით დინჯად, სვენებ-სვენებით იწერებოდა მომავალი პარლამენტის ზუსტი სია.



## სხვა ქართველები?!

ახლნაავადმყოფარი ვიყავი, მაგრამ ტაო-კლარჯეთში ნასვლაზე როგორ ვიტყოდი უარს.

ბატონო ჯუანშერო, ახალგაზრდა კინორეჟისორმა წირღვა-ვამ დამირეკა, ტაო-კლარჯეთში მივდივართ, ათი კაცი ვართ, ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნეები, მე და ოპერატორიო. ვიცით, ნაკითხული გვაქვს თქვენი აუხდენელი ნატვრის შესახებ, თუ ჩვენს „კამპანიაში“ ყოფნა არ გეჩოთირებათ, ერთი ადგილი გვაქვს და წამობრძანდითო.

ორი კვირის წინ ერთ ინტერვიუში დავიჩივლე, ისე ჩავდივარ საფლავეში, რომ სამი ყველაზე დიდი ოცნება მრჩება შესასრულებელი ტაო-კლარჯეთი, ფერეიდან და ისრაელი-მეთქი.

ჩემდა იღბლად, ნაუკითხავს ამ ოჯახაშენებულ წირღვავეს და აჰა, ერთ-ერთ ოცნებას ფრთები ესხმება.

ამაზე უარესადაც რომ ვყოფილიყავი, უარს როგორ ვიტყვი.

ახალციხის საბაჟოს რომ გავცდით და ტაო-კლარჯეთისკენ ავიღეთ გეზი, ავტობუსი გაგვიფუჭდა.

როგორც იქნა უახლოეს ჩაიხანამდე მიწოლით მივაგორეთ მანქანა და ის ღამე იქ გავატარეთ.

ავტობუსში წამძინებული ვარ მე?

ახალგაზრდებმა თავები ერთმანეთს მხრებზე ჩამოადვეს და ფშვინვა ამოუშვეს.

მე უხმაუროდ ჩავედი და მთელი ღამე შორიახლო ბოლთას ვცემდი.

სექტემბრის მიწურულისთვის უჩვეულოდ ციოდა.

ვინანე რომ წამოვედი.

ახლა უკან დაბრუნება გვიანია. არ უნდა ავმჩატებულიყავი, რა დროს ჩემი მოგზაურობაა – სამოცდაათს გადაშო-

რებულ ბერიკაცს რამე რომ მომივიდეს, ამ ახალგაზრდებს დავანებები, ჩემი პატრონობის თავი და ხალისი აქვთ ამათ?

მარტო ვზივარ, ჩემთვის, მძლოლის უკან.

ხანდახან წირღვავა გამომელაპარაკება, ისე ზრდილობისათვის, მთლად რომ არ გამოვყრუვდე, თორემ ყურადღებასაც არავინ მაქცევს.

სხვა დროსაც ხშირად ვყოფილვარ ექსკურსიაზე ჩემს სტუდენტებთან. მაშინ მოსვენებას არ მაძლევდნენ, ბატონო ჯუანშერ, თქვენი აზრი გვანტერესებს ამა და ამ პრობლემაზეო. ბატონო ჯუანშერ, რა აზრისა ხართ თანამედროვე ახალგაზრდებზეო, ბატონო ჯუანჯერ, როგორ წერთ ნოველებსო...

ახლაც მეგონა, ასე იქნებოდა.

გუშინწინ ჩემთვის თავში ვალაგებდი; ამას და ამას ვუამბობ ახალგაზრდებს-მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ, თბილისიდან რომ დავიძარი, წირღვავამ გამოაცხადა – გაგვიმართლა, ახალგაზრდებო, ბატონი ჯუანშერი მგზავრობს ჩვენთან ერთადო. მაშინ ერთი შემომხედეს და ისევ თავიანთ სამყაროს დაუბრუნდნენ.

რომ იტყვიან, ზედაც არავინ მიყურებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

რაშია საქმე?

ან ამათ თვალში მოდიდან გასულ, ყავლგასულ, მეზოზოური ერის ადამიანს ვგავარ, ან, ეტყობა ჩემი ნაწერებით თავი მოვაბეზრე ახალგაზრდობას და არ ეპიტნავებათ სხვა თაობის, სხვა ზომა-წონის კაცი ამ თავიანთ მხიარულ ავტობუსში.

ერთმანეთს მხრებზე ფეხებს აწყობენ, მღერიან (კარგად), ხუმრობენ (არც თუ მაღალი იუმორით) და ხარხარებენ ისეთ უმნიშვნელო რამეებზე, ჩემი თაობის კაცს რომ არც კი გაელიმება.

რა ვქნა, რაკი „გავბრიყვდი და შევფექი ვირსა“, ბოლომდე უნდა გავძლო.

შუადღისას ტაოს ოქროსფერ კლდეებს გავცდით და ერთი პატარა მდინარის მწვანედ აფეთქებულ ხეობას ავუყევით.

საით მივდივართ-მეთქი, წირღვავას ვკითხე.

ოთხთა ეკლესიისკენო.

მძლოლი თურქი გახლავთ და ყოველ შემხვედრს ეკითხება, აქეთ გურჯების ეკლესია ყოფილა და ხომ არ იცით, სწორად მივდივართ თუ არაო.

თურქები მხრებს იჩეჩავენ და გულწრფელად გვარწმუნებენ, რომ ამ ადგილებს კარგად იცნობენ და ახლომახლო ქართული ეკლესია არც უნახავთ და არც გაუგონიათ.

წირღვავა თბილისიდან წამოღებულ რუკას დაჰყურებს და, რაც უფრო ღრმად შევდივართ ხეობაში, უფრო და უფრო დაეჭვებული ჩანს.

სამი საათი გათავდა, რაც ამ უგზო, ვიწრო ხეობაში კუს სიჩქარით მივემართებით მაღლა-მაღლა.

დავიღალეთ, დავიმტვერეთ.

იმედი ლამის გადაგვენურა.

და იმის შემდეგ, რაც ბოლო შემხვედრმა ჟღალწვერიანმა თურქმა გვითხრა, ტყუილად გივლიათ, აქეთ არავითარი ისტორიული ძეგლი არ არის, ნახევარ კილომეტრში ალპური ზონა იწყებაო, ორასიოდე მეტრი არ გვქონდა გავლილი, რომ თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ჩვენ წინ უზარმაზარი, მწვანე ფერის, დახავსებულ-დასუროვებული ტაძარი აღიმართა.

– ეს არის! – სიხარულით იყვირა წირღვავამ, პირველნი რეჟისორ-ოპერატორი ჩახტნენ და აპარატი ააღულუნეს.

გაოცებისაგან ენა დამება და ცივმა ოფლმა დამასხა.

თავი ზღაპარში მგონია.

ვინ ააშენა ეს გოლიათური, თვალშეუდგამი ბაზილიკა აქ, ამ ლამის უკაცრიელ, მწვანე უდაბნოში?

არსად არავითარი წარწერა.

ოდენ ჩვენ ვიცით, რომ ეს არის მეცხრე საუკუნის დიდებული ქართული მონასტერი „ოთხთა ეკლესია“.

მსგავსი ც კი არასოდეს არაფერი მინახავს.

– ნახეთ, ახალგაზრდებო, – ენა ამოვიდგი და მინდა ყველანი მისმენდნენ, – ეს მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრებაა. სულ სხვა სტილია ამათთან შედარებით, რაც გვინახავს. ჭეშმარიტი ქართული არქიტექტურა და თანაც რა მასშტაბებია, რა გრანდიოზულია. შეხედეთ კედლებს, ჩუქურთმებს. ორი სვეტიცხოველი ჩაიდგმება შიგ. ნახეთ, დარწმუნდით, რა ერი ვართ. რა კულტურის და რა ისტორიის პატრონები. წარმოიდგინეთ ის ადამიანები, ათასი წლის წინათ ამ ტაძარს რომ აშენებდნენ. რა შუქით ჰქონდათ სახე განათებული. რა გენიამ შთააგონათ, ამ ღვთის სახლის მართლაც რომ ღვთაებრივი ფორმა, ამ მშენებლობის უნიკალურობა. ქვის ხარისხი ნახეთ, რა კეთილსინდისიერად უკეთებიათ, ძაფს ვერ გაატარებთ ქვასა და ქვას შუა!

ახალგაზრდებმა მომისმინეს, მაგრამ ჩემმა ნათქვამმა რაიმე შთაბეჭდილება მოახდინა მათზე-მეთქი, ვერ გეტყვით.

ლამის გული გამიჩერდეს გაოცება-გაოგნებისაგან.

ქადაგად დავვარდი. ტაძარს გარს შემოვუაროთ-მეთქი გამოვაცხადე, სამიოდე „ხელოვნებისმცოდნე“ მომყვა და ისინიც შუაგზიდან უკან გაბრუნდნენ.

დავდივარ, ვაჩხაკუნებ ფოტოაპარატს, ჩუქურთმებს ხელს ვუსმევ, ვეფერები.

ტაძარში შესულთ შევეყვი.

საქონლის სკორეთია სავსე იქაურობა.

ჩანს, თურქები ოთხთა ეკლესიას შიგადაშიგ ბოსლადაც ხმარობენ.

გოგონებმა ლამაზ წელგავაზე ჯემპრები შემოიხვიეს და ცაცხვის ქვეშ ბალახზე წამოწვნიენ. ბიჭები ავტობუსისკენ წავიდნენ სურსათ-სანოვავის ჩამოსატანად.

მძლოლს ანკარა რუში ფეხები ჩაუნყვია და მირჩევს, მეც ასე მოვიქცე.

უეცრად ასეთმა აზრმა გამიელვა:

– ძვირფასებო, ეს ეკლესია ჩვენი უძვირფასესი განძია. ხომ ხედავთ, რა უპატრონოდაა მიგდებულ-მიტოვებული. სამწუხაროდ, ესაა ჩვენი ისტორიული ბედი. უპირველესი საქართველო, ისტორიული საქართველო, ჩვენი წინაპრების ნაკვანარი გრიგოლ ხანძთელის და საბა იშხნელის საქართველო თურქებს აქვთ მიტაცებული. მოდით, არ დავიზაროთ, დავიკაპინოთ ხელები და რა ძალაც გაგვაჩნია, ერთი-ორი საათი თავი არ დავზოგოთ – ეკლესიას მოდებული ხავსი და სურო-ფათალო მოვაცილოთ, ბაზილიკის მხრებზე ამოსული ხეები ამოვძირკვოთ. ჩვენი ხელი დავატყოთ აქაურობას. დაე იფიქროს ჩვენს შემდეგ მოსულმა, რომ ოთხთა ეკლესიას პატრონი ჰყავს!

ყელი მიშრებოდა ამას რომ ვამბობდი.

მეგონა, აიშლებოდნენ და გვერდით დამიდგებოდნენ ჩემი სიტყვით ფრთაშესხმული, ენთუზიაზმემატებული ახალგაზრდები.

ნეტავ ხელის მტევანი გამიხმეს ახლა და არ მქონდეს დასაწერი ის, რაც უნდა დავწერო.

თქვენც არ მომიკვდეთ.

ბალახზე წამოწოლილმა ლამაზმა ხარ-ფურეებმა მომისმინეს და თითქოს სხვებისთვის ვლაპარაკობდი, განზე გაიხედეს.

გავიხადე ფეხზე, მივიშვლიტე ჰალსტუხი, მძლოლს ჯიბის დანა გამოვართვი და მარტოდმარტო შევუდექი საქმეს.

მანამ არ მოვეუფი ჩემი წინაპრების ამ გენიალური ქმნილებისათვის ხავსის მოცლა-მოშორებას, სანამ კარგად არ დაღამდა და თით-ფრჩხილებიც არ დამისისხლიანდა.

ჩემი თანამგზავრები ცაცხვის ქვეშ ქეიფობდნენ, გიტარას აჟღარუნებდნენ, ცეკვავდნენ.

ღმერთმა, ცეკვა-სიმღერის ხალისი ნუ მოუშალოთ.

დიღამდე დავრჩით ოთხთა ეკლესიის ეზოში.

მე, რასაკვირველია, ცეკვა-დრუნცაობის და ლაღობა-ქეიფის თავი აღარ მქონდა.

ავტობუსში უკანასკნელ სავარძელზე მივეგდე და დავიძინე.

მეორე დღეს წირღვავას გამოვუტყდი, თავს ცუდად ვგრძნობ, წნევამ ამინია და თბილისში უნდა გავბრუნდემეთქი.

ართვინის გზამდე ჩამომაცილეს, მოვაჭრე-მოქარავენთა ავტობუსში ჩამსვეს და სარფისკენ გამომისტუმრეს.

ამისთვისაც დიდი მადლობელი ვარ მათი.



## უნდო

აღმოსავლეთი ღრუბლის გრძელ ქარავანს დაეფარა.

მზე არ ჩანდა, მაგრამ ნარინჯისფრად შეღებილ ცას ეტყობოდა, რომ მნათობი უკვე ამოსულიყო და მალლა-მალლა მიიწვედა.

მსხლის ტოტებში შაშვი შეფრთხილდა.

ერთხანს უყურა აივანზე გადმომდგარ, პერანგისამარა, ქარბორბალაში მიყოლილი პურის ყანასავით თმამიმონოლილ ქალს და გაფრინდა.

ამ ქალის სანახავად რომ არ შეინუხებდა შაშვი თავს, აშკარაა, მაგრამ რისთვის მოფრინდა ამ დილაადრიან, რა უნდოდა უიმედოდ მკვახე, ქვამწვანე მსხალზე; ჩემთვის გაურკვეველი დარჩა.

– რაღა დღეს მეიღრუბლა მაინცდამაინც, – ჩაილაპარაკა ქალმა და ფეხის თითით ქუსლი მოიქავა.

– ვის ელაპარაკები? – გაეპასუხა ცოლს კანცელარიის ყოფილი მრჩეველი პეპია ტყაბლაძე, რომელიც სანოლზე წამომჯდარიყო და გუშინდელ „ახალ თაობას“ კითხულობდა.

– რაღა დღეს მეიღრუბლათქვა, მზის დაბნელების დღეს.

– რავა?

– ვერ დავინახავთ, მეტი რაი.

– ნუ სულელობ რაღაცას. მეტი არა აქვს საქმე ამერიკას. ნამდვილ მზის დაბნელებას გაჩვენებს აქანა. მაინც ვერ შევამჩნევდით ვერაფერს.

ცოლს არ უკითხავს, რა შუაშია ამერიკა მზის დაბნელებასთანო. იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე. ფოსტლებში წაჰყოფენ და თავისი ოთახისკენ გაფშლატუნდა.

პეპიამ პიჟამოს შარვალი ამოიცვა და სარკეს დააჩერდა.

თვალის უბეები ორი თითით ჩამოქაჩა და რაკი დარწმუნდა, რომ თვალმოდებული სინითლე არ გამქრალიყო, სამი დღის

წინათ ექიმის გამონერილი „ოფტანი“ ერთხანს ატრიალა ხელში. მერე უწვრილესი ასოებით დაბეჭდილ „მოხმარების წესში“ გაახვია და ფანჯრიდან ბაღში მოისროლა.

– არ იციან, არაფერი არ იციან, ამ მკვდარძაღვლებმა.

უჯრა გამოსწია, ქალაღდი ამოიღო, შუაზე გახია და დიდი ასოებით დაანერა: „კეთილო... ლიფტში შესვლის დროს გაიხსენე, რომ ღორი არა ხარ!“

ჭიკარტი მოძებნა, სადარბაზოში გამოვიდა და ლიფტის ლილაკს თითი დააჭირა. კარს ფეხი დაუხვედრა და ქალაღდი მარჯვენა მხარეს გააკრა.

ასეთ წარწერას იგი ყოველდღე აკრავდა ლიფტში და ყურადღებიანი მეზობლები ყოველდღე ხსნიდნენ.

როგორც ჩანს, მეზობლებს არ სურდათ, ზედმეტი ლოზუნგით დაემძიმებინათ ცხოვრება.

თორმეტს აღარაფერი აკლდა, ქუჩაში რომ გამოვიდა.

ცხელოდა.

ცხვირსახოცი ამოიღო, ოთხმხრივ განასკვა და თავზე დაიხურა.

ერთხანს უცადა ტროლეიბუსს.

სამარშრუტო ტაქსების აბეზარ დგომა-თხოვნას ვერ გაუძლო და მძღოლის გვერდით მოკალათდა.

– არის რამე?

– ვერ გავიგე? – საყელოში ცხვირსახოცრჩაფენილმა მძღოლმა ზარმაცად გამოხედა.

– არის მუშაობა?

– პურის ფული... მეტი არაფერი... ბევრი ვართ ნამეტანი.

– რავა დააქციეს, რავა დეიყვანეს ქვეყანა თხლეზე.

დანიელ ჭონქაძის პარკთან გააჩერებინა.

ფილარმონიის კიბეებთან ლატარიის გამყიდველი ბლაოდა; ყოველი მესამე ბილეთი მომგებიანია, იყიდეთ და აუცილებლად გაგიმართლებთო.

„ისე აშენდა შენი პატრონი“ – გაიფიქრა პეპიამ.

ჯერ შორიდან დააკვირდა პარკში „სკამეიკებზე“ ხუთ-ხუთად განაწილებულთ.

ყოველთვის ასე იქცეოდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვისთან მოუწევდა დაჯდომა. აქ დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა.

ძველი ჭონქაძელები აღარ ჩანდნენ. პარკი ახლებს დაეპყროთ.

პეპიას ახალგაზრდებთან კამათი არ უყვარდა. ეგონა, პარკის ახალუხლები ცოტა არ იყოს თამამად, თავდაჯერებულად და ოდნავ დაცინვითაც ელაპარაკებოდნენ.

– ბატონ პეპიას ვკითხოთ, – მოისმა ნაცნობი ხმა და ნაძვის ძირას, ხის მწვანე სავარძელში, სამ თანამეინახესთან მჯდომმა ხუტა ფარცვანიამ ხელი დაუქნია.

ხუტა ცხოველთა და ფრინველთა ფიტულების დამზადების სპეციალისტი იყო და ამით ირჩენდა თავს. ამ ბოლო დროს ხალხს ფიტულებისთვის რომ არ ცხელოდა, ხუტამ ახალი საქმე წამოიწყო. ფიტულების მოძრავი გამოფენის პატენტი აიღო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფიტული“ დაირქვა.

წამოწყებას ჯერჯერობით არა უშავდა. სკოლებში და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლებში საფიტულგამოფენო ათ თეთრს არ იშურებდნენ. ეგ იყო, ახალფეხადგმულ ფირმაში საგადასახადო ინსპექცია არ ასვენებდა.

მივიდა და შემოთავაზებულ ადგილზე, განაპირას ჩამოჯდა.

– ბატონო ხუტა, ახლანდელი „ბორჯომი“, „ბორჯომია?“ – აშკარა იყო, ხუტას ყოფილი მრჩეველის მოსვლამდე დიდხანს ეკამათა ამ პრობლემაზე და პეპიაც, ღმერთო შეგცოდე, თავისი პოზიციის გასამაგრებლად ეხმო.

– გადამიშენე იქით, – მშვიდად თქვა პეპიამ.

– ესეც მე ვარ? – ხუტა წელში გაიმართა.

– ასე ხომ არ შეიძლება, – ცხარობდა სათვალისანი, წითური კაცი, – მე არ ვუარყოფ, ფალსიფიცირებულიც არის ცოტა.

– რას გეტყვი, ბიძია, იცი? ნამდვილი „ბორჯომი“ გათავდა, გამეილია. აღარ ამოდის მიწიდან... რა გაცილებს, ლიკანში რომ ამოდოდა სანატორიუმში, რვა წელიწადია, ისიც აღარაა ნამდვილი. შეზავებულია ხელოვნურად. ნამდვილ „ბორჯომს“ შენ ვინ დაგაღვივინებს, რაცხა ხუთას ლიტრს ასხამენ და მსოფლიოს პრეზიდენტებს ვერ ოუდის. დანარჩენ „ბორჯომს“ ეგერ ასხამენ ე, ჩემი სახლის გვერდით გარაჟში. სოდა, კრანის წყალი, გაზი და მისი ჯანი.

– ასეც არ შეიძლება, – ხმა გაეზარა წითურს. არ უარყოფ, ფალსიფიცირებაც არის...

– ისე, რომ იცოდე, ამბობენ, ნამდვილ „ბორჯომს“ დეგუსტაციის დროს ხელოვნურმა აჯობაო. მე გეტყვი ერთს, ჩვენ ვინც ვზივართ აქანა, შეიძლება, არც ერთს არ დაგვიღვივია ნამდვილი „ბორჯომი“.

– რაც უნდა თქვა, ახლა, არჩევანი მაინც არის, – მცირე პაუზის მერე დაიწყო ხუტამ.

– რაის არჩევანი? – ჰკითხა პეპიამ.

– იყიდება, არის საქონელი. არ გახსოვს? ტელევიზორს, დუბლიონკას და ტუფლს ცეკა რომ ანაწილებდა?

– დუბლიონკას კი არა, ჩეხურ ლუდს და ტარანსაც ცეკა არიგებდა, მერე რაი?

– რაი და ამ დემოკრატიამ, თუ ფული გაქვს, რალაც-რალაცების შოვნის საშუალება მოგვცა, რათ უნდა ლაპარაკი.

– კიდო კაი, ფული რომ არა გვაქვს და ვერც ვყიდულობთ. პეპიას ამ ნათქვამმა ოთხივე ერთნაირად დააინტერესა.

– ნახე, რა შემოდის, არ კითხულობ გაზეთს? „E“ რასაც აწერია, არ დააკაროთ პირიო. შემოიარე ყველა მაღაზია – ჯიხური და თუ იპოვი რამეს, „E“ რომ არ ეწეროს. პავიდლო პავიდლოა? ნებოსგან და ნაძვის გირჩისაგან აკეთებენ აგერ ა, თურქეთში, ძეხვი, ავილოთ, თუ გინდა; დაგავინყდა, ამ

ორი თვის წინ მტკვარი რომ ვერ იტევდა, იმდენი ძეხვი რომ გადაყარეს და გაანადგურეს? რა ყოფილა – ნახერხი, აწლის საღებავი, ჩანოლილი შავი პური და მუხუდოს ნარჩენი... ა, ბატონო, ესეც შენი ძეხვი. ყველაფერ ამას სანამლავე E-27-ს უმატებდნენ, რომ არ გაფუჭებულიყო. ახლა კარაქი ნახე, რისგან აკეთებენ, თუ იცი? ყვითელი ტყემლისგან, მკვახე ხურმისგან და კოპიტის ფიცრებიდან. იყიდე და ჭამე, კაი დახლი დაგიდგება. ე ნაირნაირი შოკოლადები რომ შემოაქვთ, ზოგს ბელგიური, ზოგს გერმანული და ზოგს თურქული რომ აწერია აყალო მიწისაგან, ცელოფნის პარკებიდან და საზამთროს კანებიდან ამზადებენ თურმე. ცოტა შაქარსაც ქე ურევენ ისე, ფასონათ. დავანებოთ სასმელს თავი; ტუფლს რომ ყიდულობთ, თქვენ გგონიათ, ტყავი ან რეზინია მართლა? ბლის ქერქისგან, მდოგვისგან და მუყაოს ნარჩენებისგან არის გაკეთებული.

– ქეც იმიტომაა ორ კვირაში რომ პირს დააღებს – ჩაურთო, როგორც იქნა, ხუტამ.

– ქსოვილი? ნაირნაირი ქსოვილი რომ ჰყრია. ბაბუაჩემი შარშან მოკვდა ასი წლის და 1921 წელს პოლანდიაში ნაყიდი დრაფის პალტო ეცვა. არც გამოხუნებულა, არც გაცრეცილა. იყიდი ახლა კოსტუმს და ორ კვირაში გადაგასკდება მუხლზე.

– ამბობენ, მკვდრებისთვის შეკერილს გვიგზავნიან, იმიტომაა ასე იაფი – თქვა ხუტამ ისეთი ინტონაციით, რომ მთლად არ იყო დარწმუნებული თავის სიმართლეში.

– შენ იხუმრე და დღეს რომ შალს ეძახიან, ხომ იცი, რისგან ქსოვს ამერიკა: კაპროლაქტამის ძაფისა, ყავის ხმელი ფოთლების, ცხვრის ჩლიქების და მესამეხარისხოვანი სამშენებლო ცემენტის შეზავებით გაკეთებული ძაფისაგან.

– კაპროლაქტამი რაკი ურევია, სიმაგრით არა უშავს.

– სიმაგრით არა უშავს, მარა სამ-ოთხ წელიწადში კიბოს აჩენს.

– რაის კიბოს? – იკითხა ვილაცამ.

– შენთვის სულერთი არაა? მოგიძებნის სუსტ ადგილს; ან კუჭის, ან ელენთის, ან პროსტატის, თუ ვერაფერი მოგიხერხება, ყურის კიბოს დაგმართებს, – უკამათოდ თქვა პეპიამ.

– შეიძლება, მზის დაბნელებას მიწისძვრა მოყვესო, – თქვა და, რატომღაც, დაამთქნარა ხუტას მარჯვნივ მჯდომმა, მსუქანმა, სუფთად გაპარსულმა ბიჭმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.

– მოყვება, რატომაც არ მოყვება, ნოტა გოუგზავნე რუსს, რავა გაბედე ჩემი საზღვრის დარღვევათქვა და ნახავ, ვარესს გიზამს.

– არ დაარღვია, არ გადმოყარა თუშეთში ბომბები?

– მერე... კაი ერთი, თუ ძმა ხარ... რომელ საზღვარზე მელაპარაკები. შენ არ მიეცი ოცდახუთი წლით შენი ტერიტორია ბაზებად? თავის ბაზაზე, ვაზიანში, რომ ჯდება რუსის „ისტრიბიტილი“ ყოველდღე, მაშინ რატომ არ იძახი; საზღვარი დამირღვიათქვა? შემეშალა და გადმომიცვივდა რამდენიმე ბომბა ჩემს ტერიტორიაზეო... ჰო, ჰო, რა დააღე პირი, თავის ტერიტორიად გთვლის. ან საზღვარი ვინ მოგვცა, რას ვმანიშნობთ. რომელი საზღვარი გვაქვს, მითხარი ერთი, გამაგრებული? ჩვენ იმ თვითმფრინავების ჩამოგდება კი არა, სურათის გადაღებაც ვერ შევძელით და ვმარჩივლობთ ახლა; რაკი რუსეთის მიმართულებით გაფრინდნენ, ალბათ, რუსების თვითმფრინავები იყვნენო. გაიგეთ, ერთხელ და სამუდამოდ; ჩვენ მესაზღვრე კი არ გვყავს, ჩვენ მებაჟე გვყავს და რავარც ახლა ირკვევა, თურმე, ამხელა ქვეყანაში, მებაჟეც ვერ გვიპოვია, კაცი და მანქანა რომ წესიერად გაჩხრიკოს, ამიტომ ინგლისელს უნდა დავუძახოთ თურმე, ჩამოდი და შენ გაგვინიე მებაჟეობაო, ჩემს თავს არ ვენდობიო, ესაა საქმე?

კარგა ხანს ხუთივენი ჩუმად იყვნენ.

მოჭადრაკეთა სახლის სახურავზე ეული ქრიჭინობელა ერთგულად ებრძოდა აგვისტოს ხვატს.

– აბა... ნამდვილად იცი, რუსი აკეთებს ამ მიწისძვრებს? – სხვისი ხმით იკითხა სათვალთანმა წითურმა.

– არა, ბიჭო, მე ვაკეთებ, – პეპია ამას რომ ამბობდა, მალლა, მამადავითზე სატელევიზიო ანძის თავზე ანთებულ ერთადერთ წითელ ნათურას გაჰყურებდა.

...პეპია ტყაბლაძეს 1999 წლის 11 აგვისტოს, ზუსტად სამ საათზე, როცა მზის ნაწილობრივ დაბნელებამდე სულ რაღაც ნახევარი საათი რჩებოდა ქონქაძის პარკიდან დაბრუნებულს, თავის სადარბაზოსთან აგური დაეცა თავზე.

აგური, როგორც შემდეგ გაირკვა, მეოთხე სართულზე მცხოვრებ შერვაშიძის აივნიდან ჩამოცურდა. აგური დაიმსხვრა (კიდევ კარგი), მაგრამ არც პეპიას დადგომია კაი დღე.

როცა სასწრაფოში მიჰყავდათ, პეპიამ თავი ასწია და ამოილაპარაკა:

– აგურიც არ გვივარგა.

– რა თქვა? – ჰკითხა სასწრაფოს ახალგაზრდა ექიმმა, შუბლაძემ, პეპიას ღანვდახოკილ თანამეცხედრეს.

– აგურიც არ გვივარგაო, – განზე გაიხედა ტყაბლაძის მეუღლემ.

„ესე იგი, გადარჩება“, გაიფიქრა ექიმმა.

თქმით არაფერი უთქვამს.

ქუჩა თითქმის ცარიელი იყო.

გაჭყარტლულმინებმომარჯვებული მოქალაქენი თავიანთი ორ-სამოთახიანი ულოჯო ბინების აივნებზე გადმომდგარიყვნენ და სახეზე უჩვეულო მოლოდინში გარეული სევდაც ეხატათ.



## მირზა

რამდენჯერაც ჩავივლიდი ალეკო ყაველაშვილის სახლის წინ, ტანში გამცრავდა.

გამახსენდებოდა მაღალი, ათლეტური, თეთრკბილება, ნიადაგ მზით გარუჯული დევკაცი – ალეკო.

პროფესიით გეოლოგი გახლდათ, მაგრამ ქვეყანა რომ აირია, ერთხანს ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთო. 92-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომის დროს თოფს მოკიდა ხელი და მოხალისეთა შორის ჩადგა. იბრძოდა ტამიშთან, სოხუმის ქუჩებში, მერე კოდორ-ჭუბერის სამასიათასიან ქარავანს გამოჰყვა და ცრემლგამშრალი დაბრუნდა თბილისში.

შენაო, ზვიადისტი ხარო და სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება დაახვედრეს. კაცმა რომ თქვას, აღარც თვითონ უნდოდა ამათთან მუშაობა.

ჩვენ ბაკურიანიდან ვიცნობდით ერთმანეთს, ბრწყინვალე მოთხილამურე იყო.

მისი დაშვება-სლალომი ერთ ყურებად ღირდა. ლამაზად, ოსტატურად, მსუბუქად მიტყუპებულ-პარალელურით შედიოდა მოსახვევში. ძალას თითქმის არ ატანდა თხილამურებს. ზოგიერთივით გაფარჩხულ-დაძაბული როდი იყო, ხელჯოხებს ისე, წესისთვის ხმარობდა. თოვლზე მხოლოდ ჩხვლეტას აკეთებდა და არც კი ეყრდნობოდა ჯოხებს.

ერთხელ რუსთაველზე შემხვდა და თავისი ამბავი რომ მიამბო, ბოლოს დასძინა; ყველაფერი მომწყინდა, გალახული, შეურაცხყოფილი კაცის განწყობილება მაქვს. რაც სიგლახე ვნახე ჩემი თვისტომის მიერ ჩადენილი (გადამთიელისგან რაღა გამიკვირდება), ჩანს, ჩემი გონება ველარასოდეს გადახარშავს. სადმე ერთი ხელისგულისოდენა მინა რომ მომცა ქალაქგარეთ, წავალ, პატარა ქოხს ავიშენებ და ვიქნები იქ,

სანამ ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსებოდეს. აღარ მინდა, აღარ შემიძლია ამათი ყურებაო.

მუხანყაროში, ჩვენი აგარაკების სიახლოვეს, პატარა ნაკვეთი გამოვუჩხრიკე და დავურეკე.

სიხარულისგან კინალამ გაგიჟდა.

მეორე დღესვე, დილაუთენია, დამადგა; წამიყვანე და მომიზომე, თუ ძმა ხარ, ჩემი მინა, თორემ შინ ვერ ვჩერდები, მთელი ღამე მესიზმრებოდაო.

ზურგჩანთაში ცული, წერაქვი და ნიჩაბი ედო.

უკან აღარ ჩამომყოლია.

ტყეში შევარდა სარების მოსაჭრელად. დღესვე ვინყებ შემოლობვასო.

შუალამისას დამირეკა; შენ აგაშენებს ღმერთი, ეს რა საქმე გამიკეთე. აწი აღარაფერი მიჭირს, საქმე მაქვს. ახლა მქვია კაცი მეო.

ორი კვირის თავზე მეზობლებს შევეხმაურე და ერთად ავედით.

ვისაც რა შეგვეძლო; არმატურის ფიცარი, ძველი აგური, ქვიშა-ცემენტი, მავთული „კატანკა“, სამუშაო იარაღები მივანოდე და სახელდახელოდ ახალმოსახლეობა დავულოცეთ.

ზაფხულის ბოლოს შიფერით გადახურული ორთვლიანი ბელეტაჟსარდაფიანი სახლი იდგა ალეკოს ეზოში.

ასეთი მუყაითი, მშრომელი, დღედაღამ მოფუსფუსე კაცი არ შემხვედრია.

ზამთარ-ზაფხულს მუხანყაროში ატარებდა.

ტყეში დადიოდა ტარზანივით ნახევრადმიშველი. სოკოსა და პანტა-კენკრას აგროვებდა.

მცენარეთა ენციკლოპედიური ცნობარი ედო მაგიდაზე.

სარდაფი სავსე ჰქონდა პიტნა-მაჟალოთი და ათასგვარი სამკურნალო ბალახეულით.

რა სულელია, ვინც მთელ ცხოვრებას ასფალტზე, კაბინეტში და ტელევიზორთან ატარებსო, მეტყოდა.

ჩვენს აგარაკებს უფასო დარაჯი მოევლინა ალეკოს სახით, პირადად ჩემს ოჯახს პიტნა-შროშანეულის და ტყის სიკეთის უშურველი მომწოდებელი.

შეუღესავ კედლებში ცხოვრობდა.

რა მეჩქარება, რაც მთავარია არ მანვიმს, სახლის გამართვას ყოველთვის მოვასწრებო.

ვერ მოასწრო.

შარშანწინ „სკარლატინა“ დამართვოდა ახალდაზამთრებულზე. ძლიერი აგებულებისა იყო და ეგონა, მოერეოდა ვერაგ სენს. არ ჩამოვიდა, არ შეგვანუხა...

ტყის მცველმა იპოვა ერთი კვირის გარდაცვლილი და ჩამოგვირეკა.

ჩამოვასვენეთ და ვაშლიჯვრის სასაფლაოზე დავკრძალეთ.

ცოლ-შვილს ადრე იყო გაყრილი. ყოფილი მეუღლე ნოვოსიბირსკში ცხოვრობსო, ამბობდნენ, შვილი – ამერიკაში. ოცდარვა წლის ბიჭი ჰყავსო, მეზობლებმა თქვეს. ალეკო ჩვენთან მათზე არასოდეს ლაპარაკობდა.

ვერც შვილის მისამართი დავადგინეთ და ვერც მეუღლის.

მესამე ზაფხული გადის, არც არვინ გამოგვხმაურებია.

ამ წელს გრივალს ალაგ-ალაგ გადაეძრო ალეკოს სახლის შიფერი. ჭერში წვიმა ჩამოსულიყო. მარჯვენა კედლის ფანჯარა ვიღაცას ჩაეტეხა.

მოკლედ, პარტახს დამსგავსებოდა ალეკოს წვითა და დაგვით გამართული სახლი.

რამდენჯერაც ჩავივლიდი ალეკოს სახლის წინ, ტანში გამცრავდა-მეთქი, ზემოთ მოგახსენეთ.

ორ კაპიკს მოვუყარე თავი და მსხალდიდს ავუყევი, იქ კითხვა-კითხვით მივაკვლიე თათარ ხელოსანს.

– სალამ ალეიქუმ, მირზა, სახლში ხარ?

– ალეიქუმ სალამ, აბა, სად იქნება მირზა. სამუშაო არა, ფული არა.

– ერთი პატარა საქმეა; ყავლაშვილის სახურავისთვის ქარს შიფერი გადაუგლეჯია და უნდა დავახუროთ.

– ალეკოს სახლი? იმ დღესაც ვნახე, რალაც არავინ არა ჩანს. საცლალი ალეკო, რამდენს წვალობდა... ახლა ახალი მშენებლობა აღარ არი. ხალხი ფული არა აქვს. თუ ძველი სახლი, ან კრიშის რემონტი, ან სხვა რამე... მირზას არავინ გეძახის. უსაქმოდ ხელზე ობი გაგიჩნდა.

ბებერი მოტოციკლი გამოაგორა, აღმართზე ძლივს ბოლება-ხველებით აგვათრია მისმა „ტრანდალეტკამ“.

მირზა მსუბუქად, თვალისდახამხამებაში მოექცა სახურავს.

– ოთხი ახალი შიფერი დაგვჭირდება. ძველები გატეილია. ეზოში სახურავსმორჩენილი სამი შიფერი აღმომაჩნდა.

დანარჩენს გატეხილებს გამოიყენებს მირზა.

– მირზა, მკაში გარიგებას, ხვნაში გარიგება სჯობია. რამდენს გამომართმევ?

– ორმოცი ლარი.

– ცოდო ვარ, ხომ, მე, პროფესორს, სულ ოცდაათი ლარი მაქვს ხელფასი.

– ოცდაათი იყოს. საცვალეებელია.

– ყაბულსა ვარ.

წავიდა. სადღაც შიფერის ლურსმნები იშოვა. ამასობაში მე შიფერი მივუზიდე.

შეუდგა საქმეს.

ორ ადგილას „რეიკა“ შემპალ-შესუსტებულიყო, გამოცვალა.

– შენ ეს ალკას სახლი იყიდავს? – მკითხა.

– არა, კაცო. რისი მყიდველი ვარ, ან რად მინდა.

– აბა, ალეკას შვილი მოგცამს ფული გადასახური?

– შვილი თვალთ არ მინახავს, ამერიკაშია.

– აბა?

– ვერ ავიტანე გაპარტახებული სახლის ყურება, ალეკო კარგი ვაჟკაცი იყო. რამდენს ჩავივლიდი, მეგონა, მეძახდა, სახლს მიმიხედო. მოკლედ, მოვაკელი ჩემს შიოს ლუკმა და გადავწყვიტე, გადამეხურა. აფსუსია, აწვიმს და ჭერი ჩამოინგრევა.

– შენ კარგი კაცი არის.  
 კარგა ხნის დუმილის შემდეგ დაასკვნა მირზამ და სანამ საქმეს მორჩებოდა, ხმა არ ამოუღია.  
 შინ შემოვიპატიჟე.  
 პური, ყველი და ქაჭის ორნახადი.  
 ვიცი, თვისტომთაგან განსხვავებით, მირზას დალევა უყვარს.  
 ასი გრამი დალია, მეტი არა. ისიც სანყალი ალეკოს შესანდობარი.  
 – კარგი საქმე გავაკეთეთ დღეს მე და შენ. ღმერთი ყველაფერს ხედავს.  
 თავი დამიქნია.  
 ჯიბიდან სამი ათლარიანი დავაძვრე და გავუნოდე.  
 განვდილ ხელზე გაშლილი მარჯვენა მომაფარა.  
 – ასეთ საქმეში მირზა ფულს არ აიღებს. ჰალალი იყოს.  
 – კარგი, თუ ძმა ხარ. შენ რა შუაში ხარ. მთელი დღე გააცდინე, ამდენი ინვალე!  
 გულის ჯიბეში ვუკუჭავ ფულს.  
 იღებს და მაგიდაზე დებს.  
 – მირზა შვილები ვიფიცავ, ფულს არ აიღებს. ჰალალი იყოს შენზე და ალეკოზე. კარგად და მშვიდობით.  
 – კარგად, გმადლობთ, ჩემო მირზა.  
 დაგლეჯილი ჯინსის სერთუკი მოიხურა და მოტოციკლისკენ გააბიჯა.  
 ლისის ტბიდან ნისლი დაძრულიყო და მალლა-მალლა მოინევდა.  
 შეიძლება, სალამოსკენ განვიმებულიყო.

## ოპერაცია „ტელევიზორი“

*ვუძღვნი რეზო ჭეიშვილს*

კვირაში სამი დღე თბილისში ვარ, სამი – ქუთაისში. სხვანაირად არ უხდება ჩემს საქმეს. ორ ადგილზე „ვმუშაობ“ ჰქვია ჩემი ჭკუით, თვარა სხვას შეიძლება გაეცინოს. თბილისში ორმოცი ლარი მაქვს დაქვითვიანად ხელფასი, ქუთაისში – ორმოცდაათი. იმასაც ხან მაძლევენ და ხან – არა. შემედლო, რასაკვირველია ერთ ადგილზე მემუშავა კერძო ფირმაში სადმე, მარა ფირმებს ვერ ვენდობი. სანერვიულო საქმეა. ფულს არ უნდა ლაპარაკი, კარგად გადაგიხდიან თავიდან, შეგიჩვევენ ამით. ჩემი ხელობა უჩოთქოდ დამთვლელ-კალკულატორი ყველას ჭირდება. სამ-ოთხ თვეში გავკოტრდიო გამოგიცხადებენ და სდიე მერე ქარს. მოტყუებიან და მაღალიზიაში ამოყოფენ თავს. ახლა სახელმწიფო სამსახურში მაინც ვარ. გეთანხმები, არც ესაა მთლად სანდო. გაუქმება (მაგენი გამსხვილებას ეძახიან) ყველა დაწესებულებას ემუქრება, მარა შედარებით მშვიდად ხარ კაცი. ხელისუფლება ერთ ადგილზე მაინც არი. სა ჯანდაბაში გაიქცევა. სხვაგან ამნაირ შტერებს ვინ ახელისუფლებ-აბაირამებს. სხვა ქვეყანაში ხალხს თავისი ალმასივით ხელისუფლება ამოუვიდათ ყელში. ჩვენსას ორ ბატს რო ვერ ჩააბარებ, ისე კი არ არიან, ქვას წვენს გამოადენენ და მაინც არ უყვართ. ოდესმე მივა კაცობრიობა იმ აზრამდე, რომ საერთოდ უარი თქვას მთავრობაზე. კაცი რალაცას ჩირთიფირთობს თავისთვის, შენ რა მოხელე ხარ, ვინა ხარ, რა დამსახურება გაქვს, რასაც იშოვი, ამდენი ჩემთან შემოიტანეო რო ეუბნები. რა ნამუსით უდგები წილში. ამას ისე გეუბნები, რასაკვირველია, სიტყვის მასალად. რისი თქმა მინდოდა, ქე დამავინცდა... ჰო, მთავ-

რობას ხელფასს თუ შეგიჭამს, მოქაჩავ სახელოში, წყალს შეასხამ, დემონსტრაციას გაუმართავ, დაანამუსებ. ფირმის პრეზიდენტს ვერავითარ პასუხს ვერ მოსთხოვ. გავკოტრდიო გეტყვის და კარს მოგიხურავს. ბიჭი ხარ და გადაბრუნებული სიტყვა უთხარი. ორმეტრიანი მუტრუკ-მუტრუკი, პუგაჩიანი მცველები დასდევენ. ბუზს არ მიაკარებენ, კაცს კი არა.

ისე, მეც ვერ ვჩერდები ერთ ადგილზე. შევეჩვიე, როგორც ჩანს, წანწალს. თბილისში სამი დღის მერე, ქუთაისისკენ მიმინევს გული. ქუთაისში ვარ და, ასე მგონია, თბილისში იქცევა უჩემოდ ქვეყანათქვა. ისე მე თვითონ გამოვუგონე ჩემს თავს ცხოვრების ამნაირი სტილი, თვარა ვის რათ უნდისარ. ქვეყანა თავისთვის ფუსფუსებს. ექვსი თვე რო არ გამოჩნდე არსად, არავინ მოგისაკლისებს დღეს; სად დეიკარგა ეს კაციო. ჯერჯერობით მომწონს ზევით-ქვევით ხეტიალი და რომ აღარ შემეძლება, დევეტევი ერთ ადგილზე, ვერ გეტყვი ახლა, თბილისში თუ ქუთაისში... მე მგონი უფრო ქუთაისში.

ჩემს მოძრაობას დიდი გაფაციცებით არავინ ადევნებს თვალს-მეთქი რომ გითხარი, არ ვარ მართალი. ქურდები არიან დაინტერესებულნი. ქურდებს აღრიცხვის ზუსტი ჟურნალი აქვთ. ქუთაისში ვარ, თბილისის ბინას მიტეხავენ, თბილისში ვარ – ქუთაისისას. წაღებით დიდი არაფერი მიაქვთ, რა მაქვს, რა უნდა წეილონ, მარა რალაცა სქემაში რო ვარ ჩასმული – აშკარაა. ალბათ, ქურდებსაც აქვთ სკოლა ან კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და ჩემს ბინებზე ვარჯიშობენ, პრაქტიკას გადიან. საცხოვრებლად არავის შეუშვებდნენ ამ ჩემს ოროთახიან ღარიბულ სახლებში და არ დევეძებ არაფერს. მეც ვერ ვიქცევი მთლად კარგად, გასაღებებს ვცვლი ხოლმე. რომ ნახავენ, კლიტე გამოუცვლიაო, ალბათ, შეიტანა რალაცა საჩვენო, მოსაპარიო და მაშინვე გაჩნდებიან. ყველას გასაგონად ვამბობ, უბრალოდ, ფანჯრის ზორტით გამოკეტილ კარს არავინ ტეხავს. რაც უფრო მაგარ კარს ჩამოკიდებთ ინგლისურ-თურქული საკეტით, მით უფრო იზრდება თქვენი ბინის გაქურდვის საშიშროება.

ამ ბოლო გატეხვაზე იმნაირი დღე დამადგა, მე ანი საქვეყნოდ ვაცხადებ, კარი გატეხონ კი არა, სახურავიც რომ ააცალონ ჩემს სახლს, პოლიციაში გამცხადებელი არ ვარ და სხვამ თავისი საქმე თვითონ იცის.

ჩამოვედი ამას წინათ ქუთაისში. ჩამოვალნიე რავარც იქნამეთქი, უფრო სწორი იქნება. ასე არ გავუნვალევიარ ჩემს ბებერ „07“-ს. უბედური ბენზინი ჩამისხეს, ეტყობა. სულ ხრინინხლინინით ვიარე კვახჭირის თავდალმართამდე. იქვე, ჭომაში სოლომონ პირველის ქუჩაზე ვცხოვრობ. შორიდანვე შევნიშნე, ჭიშკარი ღიაა. არ უნდა ლაპარაკი, ქურდებმა გამეისეირნეს წუხელის.

ტელევიზორი არ იქნებოდეს წაღებული და სხვას არ დავეძებ არაფერს. ერთი თვეც არ იქნება, განვადებით გამოვიტანე. თვეში ოც-ოცი ლარი უნდა ვიხადო. თავგადამკვდარი ტელემაყურებელი ვარ-მეთქი, არ იქნება მართალი. ხანდახან თვალს ჩავკრავ ხოლმე ამგენის საინფორმაციო ტყუილებს, ფეხბურთს ვნახულობ და პარლამენტის სხდომას ვუყურებ კიდეც დიდი სიამოვნებით. ვერავითარი თეატრი ისეთ სიამოვნებას ვერ განიჭებს, როგორსაც პარლამენტის სხდომა. ეგ არის, ამ ბოლო დროს, აღარ ურტყამენ ერთი-მეორეს. რაშია საქმე არ ვიცი. ნეეჭიმებიან გლახა მამლებივით მოკამათენი ერთმანეთს და, რომ მგონია, ახლა რეკავენ თავურს ცხვირში, ან ბორჯომს მაინც (ბორჯომს მაინც რა უდგას წინ) შეასხამენ სახეში-მეთქი, უეცრად, სრულიად მოულოდნელად შორდებიან და თავჩალუნულნი მიემართებიან ტრიალა სკამებისკენ. სპიკერატის სკამები კიდეც ისე მალაა ამ ახალ პარლამენტში, რომ „ბორჯომის“ ჭავლს კი არა, ქვა რომ ესროლო ჟვანიას ვერ მიაწვდენ.

სხვაში რაში მქონია იღბალი, სწორედ ტელევიზორი წაუღია ქურდს, სხვა არაფერი. ტელევიზორი თავის პასპორტიანად. ვეცი ტელეფონს, პოლიციის მორიგემ ყველაფერი ჩაინერა და ზრდილობისთვის მკითხა; ძვირფასი ტელევიზორი იყო,

ბატონოვო? ახლა მთლად სუპერი არ ყოფილა კორეაში ანკობილი „სონი“ იყო, მარა ფასს რა მნიშვნელობა აქვს, ჩემთვის ძვირფასი იყო-მეთქი. ევროპის ჩემპიონატი იწყება და ახლა უტელევიზოროდ რომ კაცი დაგაგდებს, იმას ნამუსი აქვს საერთოდ-მეთქი? სწორი ბრძანდებითო, კამათი არ დაუნყია. ახლა გასული არიან შემოვლაზე და რომ მოვლენ, მოვასხენებ ყველაფერსო. გვარი მე არ მიკითხავს, თვითონ მითხრა, მორიგე სოსო ბუხაიძე ვარ, ბატონო, მეო.

გავიდა სამი დღე. როგორც შენთვის არ მოუკითხავს პოლიციას, არც მე გავხსენებოვარ. დავრეკე. მორიგე ბუხაიძე ვიკითხე, დღეს ისვენებს ბატონოო. მე ვარ მის მაგივრად, ხომ მშვიდობააო? მკითხა მორიგემ. ტელევიზორი მომპარეს, მე ვუთხარი. დიდი რამე გადასარევი ტელევიზორი არ იყო, მარა მეტი რომ არ გაქვს კაცს, ჩემთვის ძვირფასიცაა და გადასარევიც. ჩავანერინე ბუხაიძეს ყველაფერი, სამი დღეა გელოდებით, ასე მუშაობთ თქვენ, თქვე კაი ხალხო-მეთქი? ახლა გასული არიან ბატონო, შემოვლაზე, რავარც მოვლენ ვეტყვი ყველაფერსო. ჩაინერა, რაც ჩასანერი იყო.

იმ დღეს საღამომდე ვუცადე ოპერსამსახურს და რომ აღარავინ გამოჩნდა, ქალაქის მერიასი სამმართველოს უფროსად ჩემი ძველი ნაცნობი მუშაობს, დავურეკე, ისე, ყოველი შემთხვევისთვის. ტელევიზორში კი არაა საქმე, პრესტიჟის ამბავია, მეზობლები მიყურებენ, იტყვიან; ეტყობა, ამოუნყდა ყველა ერთად ნაცნობი და გულშემატკივარი, თვარა ასე როგორ დაიკიდებდა პოლიცია ერთ ადგილზე-მეთქი.

დაურეკავს იმ ჩემს ნაცნობს, შავი დღე დაუყენებია წესრიგის დამცველებისთვის, არ გრცხვენიათ ბიჭოვო? გიზო ნამიჭეიშვილს უნდა გაუტეხონ სახლი და სიმწრით, დანაზოგით, განვადებით ნაყიდი ტელევიზორი უნდა მოპარონ, ისიც თავის ქალაქში – ქუთაისში, ხალხი ხართ თქვენო?

რომ არ დაგიმალო, ეს ოთხი დღე გულხელდაკრეფილი არც მე ვყოფილვარ. ჯერ ის დავადგინე, რომ პროფესიონ-

ალი და პატოსანი, თავისი საქმის პატივისმცემელი, თავმოყვარე ქურდი არც ჩემს სახლს გატეხავდა (იცინა ვის მიაკითხონ) და არც ტელევიზორს წაიღებდა. ეს პატარა „ქურდის“ გაკეთებულია. მეორე: ჩემი ტელევიზორისთვის ქურდი როსტოვიდან არ ჩამევიდოდა, აქვეა მეზობლობაში ეს საქმე დანყებული. მთლად კარის მეზობელი არ იზამდა, შიშით მე დამბრალდებო, ესე იგი ამ ქუჩაზე სამი-ოთხი სახლის იქით მარჯვნივ ან მარცხნივ ცხოვრობს ქურდი. ტელევიზორს, რა თქმა უნდა, სახლში არ მიიტანდა, ხელისდამცლელი ეყოლება სადმე საძმაკაცოში და იქა აქვს გადამალული. გამოცდილი ქურდები ბირჟაზე არასოდეს დგანან. ისინი სახლებში სხედან. დღე ან სძინავთ, ან საქმეებს არჩევენ და ან თამაშობენ. დამწყები ქურდები და ხულიგნები დგანან ბირჟაზე, რასაკვირველია „კარგ ბიჭებთან“ და უწყინარ უსაქმურებთან ერთად.

ესე იგი ჩემი ტელევიზორის ქურდები ახლა ბირჟაზე დგანან, ბირჟა (ქართული გაგებით) ამ ქუჩაზე ორია; ერთი ქვემოთ ყოფილ მაღაზია „ფრინველთან“ და მეორე ზევით, დავით კლდიაშვილის ბიუსტის მიმდებარედ.

ჩემი სახელდახელო გამოძიების შედეგი სამიოდე სანდო მეზობელთან შევაჯერე და მეორე დღეს დაახლოებით ხუთ საათზე უკვე ვიცოდი, რომ ჩემი ტელევიზორი მოიპარა ჩხორონყუს რაიონის სოფელ სალხინოს მკვიდრმა, ოთარ ქუმბურიძის სახელობის სამეანო-კომერციული ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების მეორე კურსიდან აკადემიური მოუსწრებლობის გამო გარიცხულმა ოცდახუთი წლის ახალბედა (მაგრამ პერსპექტიულმა) „ურამკო“ ქურდმა კონსტანტინე დადიანმა, რომელიც ასევე საექვო საქმიანობის დეიდამვილ გულბაათ ბაგრატიონთან ერთად ცხოვრობს ეგნატე ვასალიას დაქირავებულ ბინაში.

ახლა იმას გეტყვი, როგორ გამოიძია პოლიციამ ჩემი ტელევიზორის საქმე.

სალამოს ცხრა საათზე სამმა უფორმო პოლიციელმა დაუ-  
კაკუნებლად შემომიღო გატეხილი კარი. საბუთი ერთმა  
გამიშალა, პოლიციიდან ვართო. აგაშენათ ღმერთმა, მიშვე-  
ლეთ რაცხა, ფეხბურთს ვერ ვნახულობ, გავმწარდი კაცი-  
მეთქი.

არ ინერვიულოთ, ბატონო გიზო, მეტი რა მოხელე ვართ  
ჩვენო.

ვინც საბუთი მაჩვენა ასე, ასორმოცკილოიანი, ღიპ-  
მორეული გამომძიებელი თადუმაძე ხვნეშით მოჩორდა მაგი-  
დასთან. გავიფიქრე, ასორმოცკილოიანი სხარტებიც არიან,  
მაგრამ ეს ნამეტანი დამძიმებულია-მეთქი. ნივრისა და ნიგვ-  
ზიანი ბადრიჯნის არაყდაკრული სუნი რომ შემომასუნთქა,  
მივხვდი, ახალი აგლეჯილი იყო სუფრიდან.

გადით და ეზო-გასასვლელები დაათვალიერეთო, ორ თან-  
მხლებ პოლიციელს უბრძანა.

სანამ დამწყები შერლოკ ჰოლმსები ეზოში დაბაკუნობდნენ,  
თადუმაძემ ჩახრინნ-ჩაჟუჟუნებული ხმით საიდუმლო გულ-  
მოდგინებით მკითხა:

– „სონი“ იყო ფერადი, ხომ?

– კი.

– პატენტი?

– კორეის პატენტი.

– რა უჭირს მერე. აჩვენებდა კარგად?

– არა უშავდა.

– მართლა განვადებით გამეიტანე?

– კი. რავა, რა იყო?

– არაფერი.

– ოთხ ნომერში, გიგლაიასთან?

– რა იცი?

– მივხვდი, გუშინნინ ძმისშვილისთვის ვთხოვე, მომეცი  
განვადებით. ობოლი ძმისშვილი მყავს. არა აქვთ ფული, მე  
ვუთხარი. ვარი მითხრა. იმას თუ არ აქვს, შენ ხომ გაქვს,

შენ უყიდევო. განვადებით ვინც წეილო, ფული აღარ შემოაქვს  
არავის. ჩუქება გამომდისო. არ გენყინოს, მარა, ვარი უნდა  
გითხრაო, კაცია მაგი?

– გეყიდა შენც.

– რაით მეყიდა. ჩვენ რომ ფული გვაქვს, ისე მიეცა შენს  
დამანყევარს. გათავდა ის დრო, მოგჭამა ჭირი. რვა თვეა  
ხელფასი არ მოუციათ. ქელეხებზე სიარულმა მომკლა. ქელ-  
ეხის სუფრა სუფრაა? შენს ჭკუაზე ვერ დეილაპარაკებ. პას-  
პორტიანადაა წაღებული?

– კი.

– პასპორტი სად იყო?

– ზედ იდო.

– პასპორტიანად უფრო გაყიდის. პასპორტი ცალკე ვერ  
შეინახე?

– ვერ მოვიფიქრე. ასე ჩქარა არ ველოდი მოპარვას. ახალი  
გამოტანილი მქონდა.

– ?!

– თვე სრულდება ზეგ.

– აუჰ, თლათ ახალი ყოფილა. ეჭვი ხვარავიზე გაქვს?

– არა.

– აბა, ისე გაჭირდება პოვნა. ეჭვი უნდა გქონდეს ვინმეზე.

– ეჭვი არავიზე მაქვს, ზუსტად ვიცი, ვინც მეიპარა.

– ჰო?!

– გვასალიას ნაქირავებში, აგერ, თოთხმეტ ნომერში, ჩხ-  
ორონყუელი დადიანი ცხოვრობს, იმის წაღებულია. არაა  
გლაბა ბიჭი სხვათა შორის, მარა მე ქე დამაქცია და დამ-  
ანელა.

– მაღალი, ბობრი ბიჭი „ფრინველთან“ რომ დგას?

– კი ბატონო.

– ახლაც მანდ იდგა, რომ ამოვიარეთ. მაგან ქნა, აბა?

– არ გაუვა წყალი.

ამასობაში სტაჟიორ-გამომძიებლები დაბრუნდნენ.

– რა ჰქენით? – ირიბად გახედა თადუმაძემ კოლეგებს.

– ოჯახის წევრია ჩარეული. შეიძლება ახლო ნათესავიც იყოს, არ ვიცი... ჭიშკარი შიგნიდანაა გაღებულნი. თქვა გამხდარმა სვიტრიანმა პოლიციელმა. შუბლზე ჩამონეული ქუდი მოიხადა, ქოჩორი ზევით შეიგდო-შეისწორა და ქუდი ისე დაიხურა.

– გადაშენდი იქით. კაცმა ზუსტად იცის, ვინ მოიპარა. დადიანს ნაუღია.

– კონიას? – გაეღიმა მეორე გამომძიებელს და პოლიციელთა იმსალამონინდელ სერობაში, მარტო ის ვერ გავიგე, რატომ გაეღიმა წესრიგის დამრღვევთა რისხვას, ძელქვიანის რაიონის საგანგებო საქმეთა უფროსი გამომძიებლის თანაშემწეს.

ამის მერე ჩქარა წავიდნენ ოპერატიული ჯგუფის წევრები, მაგრამ, როგორ დაუუკარგავ, მეორე დღესაც ცხრა საათზე დაბრუნდნენ. ორი კვირის განმავლობაში ყოველ საღამოს სამსამი საათი მაინც იჯდნენ ჩემთან. ტელევიზორის საკითხზე მეტი აღარ გვისაუბრია. თადუმაძემ ამიხსნა. გვჯერა ბატონო გიზო, დადიანი ცივხელა ყმანვილია და ადვილი შესაძლებელია, მაგას მოეპარა თქვენი ტელევიზორი, მარა ხელს ვერ დავადებთ, ჩვენ მხოლოდ ირიბი გასაუბრებითი დაკითხვის უფლება გვაქვს. თუ ტელევიზორი ხელში დაუუჭირეთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია დაპატიმრებაო.

მოპარული ტელევიზორით ვინ დასეირნობს ქუჩაში-მეთქი ვკითხე, მაგრამ რალაც ბუნდოვნად მიპასუხა და უნამუსობა იქნებოდა ჩემის მხრივ ამ პატიოსანი პოლიციელებისთვის დამეძალებინა, გინდათ თუ არა, იპოვეთ ჩემი ტელევიზორი და დამნაშავენი მართლმსაჯულებას წარუდგინეთ-მეთქი.

ძალიან კარგი ბიჭები იყვნენ სამივენი. ვყვებოდით მთისას და ბარისას. ვსაუბრობდით ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაზე, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტზეც, ეროვნული რეკვიზიტის პრობლემაზეც, მაგრამ ტელევიზორზე, ვიმეორებ, მეტი აღარ გვისაუბრია, უბრალოდ სიტყ-

ვას არ მოჰყვებოდა ხოლმე, ორი კვირის თავზე დავემშვიდობე ოპერჯგუფს. პატარა გამოსათხოვარი ვახშამიც გავუმართე. ორ-ორ ბოთლ ცოლიკაურს გამოვუყვანეთ წირვა. შევპირდი მინისტრ თარგამაძესთან თქვენი ხელფასის საკითხს უსათუოდ დავაყენებ და საერთოდ, ჩემი იმედი გქონდეთ-მეთქი. ჭიშკართან ერთმანეთი გადავკოცნეთ. ფოსტის ქურჩისკენ მათი ფეხსაცმელების არეული ტკაპატკუპი რომ მესმოდა, ვიდექი ჭიშკართან და ვფიქრობდი იმაზე, თუ როგორ შეიძლება ოთხი უპრეტენზიო ქართველი სამუდამოდ დაახლოვოს ერთმანეთთან ისეთმა უბრალო შემთხვევამაც კი, როგორც ყოფილი სტუდენტის კონსტანტინე დადიანის მიერ მოპარული ტელევიზორის საქმე გახლავთ.

რაკი დადიანი გავიხსენე, მოდი მივადგები ბრწყინვალე თავადთა უკანასკნელ მოჰიკანს, თვალეში შევხედავ, ბოლოს და ბოლოს ხომ არ შემჭამენ-მეთქი.

შუალამეგადასულზე ჭიშკარი გამოვიგდე და გვასალიას სახლისკენ გავაბიჯე.

ქუთაისური თბილი გრილ-ჯიუტი, გრძელი ქარი ჰქროდა.

ცაზე ნარინჯისფერი, უზარმაზარი მთვარე ეკიდა. თუ ამ დროს და ისიც ქუთაისში ასეთი მთვარე სხვა დროს არ გენახა, ვერც კი მიხვდებოდი, რომ მთვარე იყო. ქარი აკვანივით არწევდა მთვარეს.

კარი დადიანმა გამიღო.

ლამაზი, მალალი, ცისფერთვალეა, მიმინოსავით კობტა ყმანვილი იდგა ჩემ წინ.

– ბოდიშს ვიხდი, ჩამძინებოდა. შემობრძანდით.

– შინ აღარ შეგანუხებთ. ტელევიზორის საკითხზე ვარ.

– თქვენი რომელი იყო?

– კორეის „სონი“, პასპორტიანი, პასპორტი თავზე იღო.

ცოტა ხანს გამომცდელად მიცქეროდა. მერე საოცრად კეთილი ღიმილი ჩაუდგა თვალებში.

– უფრო ადრე გელოდით. რა იცით, ამ პატიოსანმა ხალხმა, პირდაპირ პოლიციაში რომ გაიქცევით ხოლმე.

- მე არ მინდოდა. მეზობელმა გააგებინა-მეთქი ვიცრუე.
- დეიმოკლონ მეზობლებმა ენა, ურჩიეთ ხოლმე, თქვენ სახელიანი და ჭკვიანი კაცი ხართ.
- მასე ვიზამ. რავა ვქნა ახლა? ხვალ მივდივარ თბილისში.
- ახლა რომელია?
- საათზე დავიხედე.
- თორმეტს გადაშორდა.
- შინ დამელოდეთ. მოგიტანთ.

ნახევარ საათში მომადგა ჩემი ტელევიზორით კონსტანტინე დადიანი. უღრმესი მადლობა მოვახსენე, ჭიშკარში რომ გადიოდა შემობრუნდა: ბოდიში, პასპორტი მავინყდებოდაო, პასპორტი გამომიწოდა, ხელი ღონივრად ჩამომართვა და კიდევ ერთხელ შეჩერდა:

- ვერ აწყობენ მაინც კარგად კორეელები. თვით საფირმო იაპონური ბევრად უკეთესია, ამას ერთ წელიწადში ბადე უფუჭდება და ფერებიც უბაცდება. ისე, სულ არარაობას სჯობს, რასაკვირველია. კარგად ბრძანდებოდეთ.

წავიდა დადიანი ღონიერი, დარწმუნებული, მხნე, დადიანური ნაბიჯებით.

შეერია ღამის სიბნელეს. მადლობის ნიშნად ისლა მივაძახე; გამოიარეთ, როცა გაგეხარდებათ-მეთქი.

მოიხედა და ხელი ამინია.

შეიძლება გამიღიმა კიდევც. სიბნელე იყო. ღიმილს ვერ შევამჩნევდი.



## უკანასკნელი სათხოვარი

აკაკი გუნიას თავკერდა, ჯიუტი, ცოტა არ იყოს, უხიაგი კაცის სახელი ჰქონდა.

ვერ ვიტყვი, თვით არ უწყობდა-მეთქი ხელს მის პიროვნებაზე ამგვარ შეხედულებას.

ფიცხი გახლდათ. ორჯერ დაქორწინდა და ბოლომდე ვერც ერთ ცოლს ვერ შეეგუა.

მოსაშვილის ქუჩის ბოლოში მარტოდმარტო ცხოვრობდა.

დღისით ლექციებს კითხულობდა ან საჯარო ბიბლიოთეკაში იჯდა, საღამოობით ვაკის პარკში გადიოდა.

ეს იყო მისი წისქვილ-საბძელი.

მონიფული, დაოჯახებული შვილები ჰყავდა. ჯერ გოგონას წაეჩხუბა უმიზეზოდ, რაღაც წვრილმანზე. რას ჰქვია, გაზეთების წასაკითხად არ იცლი, და მამაშენის ნარკვევი ხრ-უშროვზე გამოგრჩაო.

ერთ საღამოს დამირეკა, გაცივებული ვარ, ვწევარ და ნულარ დამელოდები, ვაკის პარკში დღეს ვერ გამოვალო.

მეც იქვე ახლოს ვცხოვრობ და „მოამბე“ რომ დამთავრდებოდა, ქვევით ჭადართან ველოდებოდი ხოლმე.

რა მოგივიდათ-მეთქი, ვკითხე. შვილებს დაუძახე, ჩაითბუნე, რძეგარეული ჩაი დალიე-მეთქი.

შვილებთან გავწყვიტე ყოველგვარი კავშირიო.

?!

გოგოს ჩემი არ ესმის, თავისი ქმრის ჭკუაზე დადის, მინდოდა, ფილოლოგად გამეზარდა, მაგრამ ჩემი არ ეყურება, ავტორიტეტად არ მივაჩნივარ, ჩემსას არაფერს კითხულობს, ბიჭიც ვერ გავზარდე ჩემს ჭკუაზე, რაღაცნაირი, ცივი ყმანვილია. ფული რო დაჭირდება, მაშინ გავახსენდები, სხვა დროს კვირა ისე გაივლის, ერთს არ დარეკავსო.

შევბრუნდი შინ. ცოლს ბულიონი გავამზადებინე, ასპირინი ვიყიდე და მივადექი.

მე, ოცდაათი წლის მეგობარს, ჯერ კარს არ მიღებდა; წადი შენს გზაზე, როგორც ჩანს, გრიპი მაქვს და არ გადაგდოო.

ბოლოს, როგორც იქნა, ხვეწნა-მუდარით რომ შემიშვა, ახლა ბულიონზე და წამალზე ამიხირდა. რატომ დახარჯე ფული, რატომ შეანუხე ცოლი, რას მოდიოდი, მე არც ისე დავარდნილი და საპყარი ვარ, ჩემს თავს ვერ მივხედოო.

ერთი სიტყვით, კინალამ უკან გამომატანა.

ამპარტავანი, ცოტა არ იყოს, უშნო ამაყი წამდვილად იყო აკაკი გუნია.

თხოვნით არავის თავს არ შეანყენდა.

არც ნუნუნს მოჰყვებოდა.

მტრობაც ერთგული იცოდა. თვითონ არ დაგინყებდა კირკიტს, არაფერს განყენინებდა, მაგრამ თუ შენი ინიციატივით შეებმებოდი, მტრისას, უკან დახევა, მიტევება და შერიგება არ იცოდა. სანამ ბეჭებზე არ დაგაგდებდა, არ მოისვენებდა.

ერთი-ორი კაცი ჰყავდა ამოჩემებული. ძირისძირამდე თუ ჩასდევდი, თავიდან ორივე დამნაშავე იყო ბატონი აკაკის წინაშე. თვითონ დაუნყეს ღლიცინი და ჩხუტუნი.

ოხოხო, რა დღეს აყრიდა ორივეს. შეიძლება ითქვას, დაბადების დღეს აწყევლინებდა. იქეთა მხრიდან მოუვლიდა, სულაც რომ არ ელოდნენ. წელიწადში ერთხელ ისეთ ფელეტონს გამოუცხოვდა, პირდაპირ ახარხარებდა მკითხველს. რომ იტყვიან, არ გაახარა არც ერთი.

ქვეყანა რომ აირია, ყველა ერთბაშად ბოგანოდ რომ გვაქცია ჩვენმა „საყვარელმა“ ხელისუფლებამ, რასაკვირველია, აკაკი გუნიასაც მოშივდა.

შემხვდა ერთხელ ჭავჭავაძის პროსპექტზე, ჯოხით ძლივს მობაკუნობდა. ორი დღეა არაფერი მიჭამაო, სიბერისთვის საშავდლეოდ რალაცა ორი კაპიკი მქონდა ბანკში, მივედი ახლა და სამი თითის კომბინაცია მიჩვენესო. მითხარი ერთი,

თუ ძმა ხარ, პაპუასების რომელ ქვეყანაში ჩაიდენს მთავრობა მოქალაქის მიმართ ასეთ ყაჩაღობასო.

შევწუხდი, ცოტა არ იყოს, დავიბენი, ვიცოდი მისი ხასიათი, მაგრამ ორიოდ გროში მქონდა ჯიბეში (იმ დღეს ჰონორარი ავიღე, მაშინ ჯერ კიდევ იყო ჰონორარი), ამოვიღე და გავუწოდე.

რისხვით ანთო თვალეები, შავი დღე დამაყარა.

ისე წავიდა ჩემი საქმე, სამათხოვროდ ვიდგე ქუჩაში და მონყალეებს ვიღებდო?

მეგობარი ვარ-მეთქი შენი, შე სულელო, დღეს შენ არა გაქვს, ხვალ მე არ მექნება და შენ გამოგართმევ-მეთქი.

შეტრიალდა და ჯოხის ბაკუნით გამშორდა.

ხომ გითხარით, უცნაურად ამპარტავანი იყო-მეთქი.

ერთხელ კვირაზე მეტი რომ აღარ გამოჩნდა ვაკის პარკში, შინ მივაკითხე.

კარი არავინ გამიღო.

მეზობელს დაუუკაკუნე.

ბატონი აკაკი თბილისის ზღვაზე უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში გადავიდაო.

იქ აღარ მიმიკითხავს, ტყუილს ვერ ვიტყვი.

ჩემს თვალეებში შებრალების ნაპერწკალი რომ აღმოაჩინოს, ან ამიხირდება, ან, უბრალოდ, თავის ნერვებს შეასკდებ-ბა-მეთქი.

სამ თვეს გაძლო თავშესაფარში, მეტს ვერა.

სიცლით ვიგუდებოდით, ვაკის პარკში რომ გვიყვებოდა, როგორ მოჰყავდათ სკოლიდან ექსკურსიაზე ბავშვები, როგორ ჩაიცვამდნენ საგულდაგულოდ უპატრონო მოხუცები და გამოეჭიმებოდნენ, როგორც სამუზეუმო ექსპონატები, მერე როგორ ასწრებდნენ ერთმანეთს გამგის და პალატის ექთნის ქებას.

რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო გულჩათხრობილი ხდებოდა აკაკი გუნია.

ნიადაგ უგუნებოდ იყო. რა დრო მოვიდა, ყაჩაღსა და პა-

ტიოსან კაცს შორის ზღვარი ასე უღმერთოდ როგორ წაიშალაო.

სიფიცხე უფრო და უფრო მოერია.

ჩვეულებრივ, უწყინარ საუბარში რაღაც არ მოენონებოდა, შეხტებ-შემოტრიალდებოდა, დაგვლანძღავდა ყველას და გაიქცეოდა შინისაკენ.

ჯიუტი ხასიათით და ზოგჯერ აშკარად შარიან-ჭირვეულობით ყველა ჩამოგვიცილა; მეგობარიც და თითქმის მეგობარიც.

ალარც თვითონ რეკავდა და მეც, ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ვთქვა, ალარ ვეძალეობდი მაინცდამაინც.

შარშან ჩამოგვირეკა, წიგნის პრეზენტაცია მაქვს და თუ დრო გამონახოთ, მოდიეთო.

წიგნი, მართლაც, რომ კარგი დანერა. მთელი მისი თაობის ცხოვრება იყო შიგ. ეპოქა - ლენინიდან ზვიად გამსახურდიამდე.

სანამ ყველანი შევიკრიბებოდით, განზე გამიყვანა და ქალღმერთი მომაჩეჩა.

მეტი სათხოვარი, ალბათ, აღარაფერი მექნება შენთან, უარს ნუ მეტყვი. მინდა შესავალი სიტყვა შენ თქვა, აქ გამომსვლელთა სიაა, თითო სიტყვას, ვფიქრობ, არ დამამადლიანო.

იმ დღეებში, ჩვენ რა ვიცოდით და, ოთხმოცი წელი შესრულებოდა. სანამ მიკროფონს მოვიმარჯვებდი, მისმა ვაჟმა ჩამანვეთა, ამ თარიღს როგორ მივაფუჩეჩებდითო.

ფაქტობრივად, ბატონი აკაკის იუბილე გამოვიდა. ყველა გულწრფელად და სევდანარევი ინტონაციით ლაპარაკობდა.

თვითონ „მკაცრ“, „კუშტ“ აკაკი გუნიას თვალეები ცრემლით ჰქონდა სავსე, როცა სამადლობელ სიტყვას ამბობდა.

ერთი თვის თავზე დეკანატიდან დამირეკეს, აკაკი გუნია გარდაიცვალა და ნეკროლოგს შენი გვარი მივანეროთ თუ არაო.

როდის, რისგან, რანაირად, სუსტად ყველა ვართ, მაგრამ ბატონი აკაკი ისეთი კერკეტი იყო, მის უეცარ სიკვდილს არ ველოდი.

გავვარდი უნივერსიტეტში. რექტორს ვთხოვე, ცოტა ფული გამოგვიყავი (როგორც ამ დროს მიღებულია), ცოტას ჩვენ, მეგობრები, შევკრებთ, ღირსეულად უნდა დავასაფლაოთ-მეთქი.

ამ დროს რექტორის კაბინეტში სასადილოს გამგე, კლიმენტი ლელეყვა შემოვიდა; აკაკი გუნიაზე ხომ არ გაქვთ ლაპარაკი. გავიგე, გუშინ გარდაიცვალა, შვებულებში ვარ, მაგრამ ამ დღით წამოვედი ურეკიდანო. ნურაფერზე ნუ შენუხდებით. ბატონმა აკაკიმ თვითონ იზრუნა ყველაფერზეო.

და კლიმენტი ლელეყვამ საოცარი რამ გვიამბო.

ამ სამიოდე თვის წინ შინ მენვია. ბატონი აკაკი ოჯახში სტუმრობით არავის ანებივრებდა და გამიკვირდაო. შუშაბანდში გამიყვანა და საიდუმლო ჩურჩულით მითხრა; ტანი მიგრძნობს, კლიმენტი, მე, ალბათ, მალე მოვკვდები და შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, არ მითხრა უარი და რასაც გეტყვი, ეს ყველაფერი ჩვენ შორის დარჩესო. ბატონი ხარ-მეთქი, კამათს ხომ არ დავუნყებდი. კვირაში ერთხელ დამირეკე ამ ნომერზე, თუ ხმა არ გაგეცი, შუალამისას კიდევ დამირეკე და თუ არც მაშინ გაგეცი, ესე იგი, მკვდარი ვარ... მიდი პირდაპირ რექტორატში და ეს ნეკროლოგი მიიტანე (პაკეტი გადმომცა), საბურთალოს სასაფლაოს დირექტორს – რიჟა-მაძეს, უჯრაში უდევს ქალაქის მერიის განკარგულება ჩემთვის საფლავის გამოყოფის შესახებ, საფლავის და „სასახლის“ ფული გადახდილი მაქვს. ამ კონვერტში ზუსტად იმდენი ფულია, მანქანის დაქირავებას და ქელებს რომ დასჭირდება. ა, გიტოვებ ამას და შენი იმედი მაქვსო. ჩემს შეცბუნებულ სახეს რომ შეხედა, გაიღიმა, ნუ გეშინია, თავს არ მოვიკლავ, მარა მომწყინდა უკვე, სიბერემაც დამლალა, ვერ ვარ კარგად, ორსამ თვეს, მე მგონია, ველარ გავატან, აბა, კარგად იყავი და მიმიხედე ამ საქმეს, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს – ეს რომ დაამთავრა, ჩემ პასუხს არ დაელოდა, შეტრიალდა და ჯოხის კაკუნით ჩაუყვა კიბეს.

კლიმენტი ღელეყვამ პაკეტი რექტორს დაუდო მაგიდაზე. დავასაფლავეთ ბატონი აკაკი ღირსეულად, პატივით, როგორც ეკუთვნოდა.

კეკელიძის დაღმართს მარტო ჩავუყევი ნაქელეხარზე. ციოდა.

მანქანები გულისწამლებად ღრიალ-ღრჭიალებდნენ.

ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ მე იმჯერად აკაკიზე უფრო მეტად კლიმენტი ღელეყვაზე ვფიქრობდი.

ღელეყვა პატიოსანი კაცია და თავისი ვალი პატიოსნად მოიხადა, მაგრამ მაინც გულს მეთანაღრება და შეიძლება, ოდესმე ვუთხრა კიდევ.

ცოცხალი კაცი დაგემშვიდობა, თავისი სიკვდილის თარიღი გაგანდო, საფლავის მიწაც და ქელებიც თვითვე გაახაზირა და შენ დაგნიშნა უკანასკნელ აპეკუნ-მედიატორად. ეს ყველაფერი უცნაური აკაკი გუნიასათვის ბუნებრივია, მის ხასიათში ზის, მაგრამ შენ?

შენ როგორ გაუჩუმდი ამ ამბავს, შე კაცო?

როგორ არ ატეხე განგაში, როგორ არ შესძარი ცა და ქვეყანა. კაცი მიდიოდა ამ ქვეყნიდან, ბუზი ხომ არა.



## ვის დაეკარგე

რას აკეთებო, რომ მეკითხებიან, სირცხვილის ოფლში ვინურები. როგორ ვუპასუხო ოცდაათი წლის კაცმა, არაფერს-მეთქი. რა ვქნა, სად დავემალე მამაჩემის თვალებს, აღარ ვიცი. ცოლი შეირთეო, შემჭამეს. ცოლი შევირთო და უმუშევარი ჩემს გასაცოდავებულ მშობლებს დავანვე თავზე?

არ ვარ უნიჭო და უნიათო კაცი, სოსო ბიძია. ჩემი წილი არც სწავლა დამიკლია. ორი უმაღლესი დავამთავრე. ჯერ ეკონომიური უნივერსიტეტში და მერე – უცხო ენათა ინსტიტუტი ინგლისურის განხრით. მიდევს ეს ორი დიპლომი და ვერაფერში გამომიყენებია.

გიაბობ ჩემს ამბავს და დააკვირდი ერთი, სოსო ბიძია, სად დავუშვი შეცდომა, რა ვერ გავზომ-გავითვალისწინე. იქნებ ჩემი ბრალია რაღაც-რაღაცეები, მე თვითონ ვერ ვხვდები. რა თეთრი ყვავი ვარ ასეთი, რომ ჩემი ადგილი არ მოიძებნა ამ დუნიაზე.

თქვენ დროს ასე იყო: დაამთავრებდი უმაღლესს – გაგანანილებდნენ სამუშაოდ, სადაც გაგანანილებდნენ, იქ თუ არ ნახვიდოდი, მუშაობას თავს არიდებდნენ და იყვნენ ერთ ამბავში; ცალკე რაიკომი, ცალკე აღმასკომი და ცალკე იმ უნივერსიტეტის რექტორატ-დეკანატი, რომელიც დაამთავრე. სახელმწიფომო, შენზე იმდენი დახარჯაო, განათლება მოგცა და კეთილი ინებე, ემსახურე საზოგადოებასო. ხომ იყო ასე შვილიშვილებს გაფიცებ, სოსო ბიძია.

ახლა? ვის დაეკარგე, ვინ გეძებს. დაიჯერებ შენ, სოსო ბიძია, რომ მე, ორუმაღლესდამთავრებული ჯამბულ ბარკალაია, არ ვარსებობ საერთოდ ამ ქვეყანაზე? არსად არავინ მელის ჩემი მშობლების და ერთი გოგოს გარდა. არავინ მეძახის, არავინ დამეძებს, არავის ვჭირდები. რატომ ხდება ასე,

გამაგებინე, თუ კაცი ხარ, ჩემი დანაშაულია, საერთოდ, რომ გავჩნდი ამ ქვეყანაზე?

დიდ ხანს ვეძებე სამსახური. არსად არაფერი. თანამდებობის პირებს დამუშავებული აქვთ პასუხი-ყუმბარა და ნები-სმიერ დროს გვესვრიან, გულით მინდა დაგეხმარო, ჩემო იმანო, მაგრამ თავისუფალი ადგილი (ვაკანსიას ეძახიან) ამჟამად არა გვაქვს. თუ შენ თვითონ აღმოაჩენ სადმე რამე თავისუფალ ადგილს, გამაგებინე და მერე მე ვიცხოვრო. ვიარეთ მე და მამაჩემმა, მაგრამ ვინ გამოგიჩინა თავისუფალი ადგილი. თუ ვინმე ხვანცალს იწყებს და წასვლას დააპირებს, ათი თვალია დამიზნებული. დღეს თითო პენსიამიანს ვეძებულ კაცზე ორმოცდაათი დიპლომიანი მოდის, ერთხელ მეგობრის დაბადების დღეზე ბადრი შარაშიძე გავიცანი, იცი შენ ბატონი ბადრი – უნესიერესი კაცი, ჩემი ამბავი რომ შეეჩვილე, შენუხდა სხვათა შორის, ახლავ მინისტრად მიპირებენ გადაყვანას და, თუ ეს საქმე გამოვიდა, გაძლევ პირობას, ჩემთან აგიყვან, რატომ უნდა იყო ახალგაზრდა, ნიჭიერი, ჯან-ლონით სავსე კაცი უადგილოდ შენო. აგიხდათ ყველაფერი კაი, დანიშნეს ბადრი მინისტრად და ერთ კვირაში დამიძახა პრესცენტრის ხელმძღვანელად.

არ გამჭირვებია პრესცენტრში მუშაობა. რაც შემეძლო, გავისარჯე. ცდას არ ვაკლებდი, რომ ჩვენი სამინისტრო გამომეჩინა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ხომ გაგიგონია. ახალმა პარლამენტმა მარტო ეს ჩემი მინისტრი არ დაამტკიცა. „რეფორმატორების“ თანამეინახე, მათი დასის ნევრი არ იყო და იმიტომ. მოვიდა ახალი მინისტრი და სამ დღეში მიხმო. მეო, არ გენყინოს და სხვანაირი პრესცენტრი მჭირდებაო. სიტყვის შებრუნებას აზრი აღარ ჰქონდა. ჩემი (და მთელი პრესცენტრის) გათავისუფლების ბრძანება მაგიდაზე ედო.

წამოვედი სამინისტროდან და დავინწყე ახალი სამუშაოს ძებნა. არსად არაფერი. კუდაბზიკა კაცი არა ვარ, პრესტიჟულ

საქმეს არ ვეძებ, ნებისმიერ საქმეზე დავდგები, ოღონდ ხელ-ფასი მქონდეს და მამაჩემს ოჯახის რჩენაში ცოტათი შევეხი-ლო. გაზეთები აცხადებენ, თუ დაკვირვებისარ, გვესაჭიროება კომპიუტერის მცოდნე, ეკონომიკური განათლების მქონე და უცხო ენის მცოდნე თანამშრომლებიო, ეს ჩემი საქმეა-მეთქი, სიხარულით გამკრავს გულში, მაგრამ ცივ წყალს გადამასხ-ამს იქვე მიწერილი: სასურველია ოცდაათი წლის ასაკამდე სანდომიანი ქალიშვილებიო. გასაგებია ამ მინანქრის დედააზ-რი. ლამაზ, გრძელფეხება გოგონებს გზა ყველგან ხსნილი აქვთ, მაგრამ მე რა ვქნა, მე, მამაკაცმა, რომელმაც „სანდო-მიანთაგან“ ერთ-ერთი ცოლად უნდა მოვიყვანო და შვილები გავზარდო. ამაზე ფიქრობს ვინმე? არავინ ფიქრობს, სოსო ბიძია, როგორც ვატყობ, ჩვენ ამ ქვეყანას არ ვჭირდებით.

სახელმწიფო სამსახურში რომ არაფერი გამომივიდა, კერ-ძო სტრუქტურებზე დავინწყე ფიქრი. ათასი ფირმაა, ათასი კომერციული უწყებაა, ვინმეს მივეკედლები და ვიჯახირებ, როგორც სხვები ჯახირობენ-მეთქი.

მივდექ-მოვდექი და მივაკვლიე ერთ შორეულ ნაცნობს – ნუშის ბიზნესი აქვს. არაუშავს მიუდის საქმე. მიშველე, ჩამაყ-ენე შენს საქმეში, არ შეგარცხვენ და რაც მთავარია, არ გი-ლალატებ. ბავშვობიდან მიცნობს, ვინ ვარ და რას წარმოვად-გენ. რაზეა ლაპარაკიო, მითხრა, მამაშენის შვილს საქმე კი არა, სიცოცხლეს ვანდობო. ოღონდ ერთი რამ იცოდე, ფულს ვერ გაჩუქებ და რომც გაჩუქო, თავმოყვარე კაცმა ხელი არ უნდა ახლოო. ვერ ვიტან სპონსორისმადიებელ უსაქმურებსო. გასწავლი საქმეს, ერთ პატარა ფირმას გაგიმართავ და მერე შენს მარიფათზე იქნება შენი ბედი. არაა ისე ძნელი, რომ ვერ გაქაჩო ჩვენს საქმეში მთავარი მონდომება და რისკიაო. შემი-სრულა კეთილსინდისიერად დანაპირები მატყლის ლეიბების კერვა-გასაღების ფირმა გამიიმასქნა. მატყლზე ბევრი მუშ-აობს, მაგრამ ფხა გამოვიჩინე და სამ თვეში მარტო გავუძეხი ბიზნესს. ატყდა ფუსფუსი და გნიასი. მე რა ვიცი, თურმე

უჩემოდ წყდება ჩემი მოხრჩობის საქმე. ჯერ გამოიკითხეს, ვისია, ვინ დგას უკან, ვინ მფარველობსო და ჩემს ბარობაზე ტუზი რომ ვერავინ დალანდეს, უი, ეს უპატრონო მოხალისე ყოფილაო და დამიწყეს დაბომბვა. პოლიციის და საბაჟო-საგადასახადოს მელაკუდების შემოტევას კიდევ გაუძლებდა კაცი, გადაუგდებდი ძვალს და გააჩერებდი, უფრო ზევიდან დამიწყეს რბევა-კორტნა, მე, მატყლის ლეიბების ერთ საცოდავ ფირმას. შენ რა, ჭურში ზიხარ? არ იცი, მატყლს საქართველოში ვინ აკონტროლებს საერთოდ. სად მოძვრები, ვის ბაზარს ინანილებ, შენ თავი ხომ არ მოგძულეზიაო.

იქნებ ამათ ავ თვალს მოვეფარო-მეთქი და ერთ თურქულ ფირმასთან დავიჭირე საქმე. ის თურქული ფირმა – „ბახჩა“ თვითონ გამოვიდა ჩემთან კავშირზე, იქეთ მატყლის ლეიბი მიჰქონდა და აქეთ შალის ძაფი შემოჰქონდა. ერთი ოპერაცია ჩავატარე „ბახჩასთან“, მეორე ოპერაციის დროს ხუთასი ლეიბი წაიღო, შალის ძაფისთვის ავანსად ხუთი ათასი დოლარი გადამარიცხვინა და დაიკარგა. დათქმულ დროს თვეზე მეტი რომ გადაცილდა, დავუნყე „ბახჩას“ ძებნა, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ, აორთქლდა „ბახჩა“. სამსუნში კი არა, ასეთი ფირმა მთელს თურქეთში არ არსებობსო, ოფიციალურად მომწერა თურქეთის პოლიციამ. გავკოტრდი და გავაუქმე მატყლის ფირმა. იმ „გადაგდების“ ვალი დღესაც გაუსტუმრებელი მაქვს.

რა ვქნა ახლა, სოსო ბიძია, მირჩიე, ჭკვიანი კაცი ხარ. რა საქმე დავინყო.

აქ არაფერი არ გამოდის. საქმის დაწყებას, მოგეხსენება, დიდი ფული უნდა. სესხის აღება თუ გადაწყვიტე კაცმა, ჯერ ერთი, ჯვარს გაცვამენ, სანამ მოგცემენ, მეორეც, ოცდაათი პროცენტი ბანკს უნდა დაუტოვო, მერე ისეთ საურავს დაგარიცხავენ, წელში გაგწყვეტს, სახლები ჩადეს ბიჭებმა გარანტიად და ბიზნესმა რომ ვერ გაამართლა, გაუყიდეს სახლები. რა ვქნა ახლა, რომ აქაც ხელი მომეცაროს, უბინაოდ დავტოვო მშობლები?

დედამინაზე არ არის საქართველოსნაირი ქვეყანა. თუ იქ არა ხარ, იმათ ნათესაობა-ძმაკაცობაში არ გადიხარ, არ გაგახარებენ. თოფაძეს რას უშვრებიან და მე რას მიზამენ, თოფაძესთან შედარებით პატარა ინდაურის ჭუკს. ყველაფერს ეგენი აკონტროლებენ, ყველაფერზე ხელი მიუწვდებათ. ასე მონესრიგებული, ნეტავ, სამართალი იყოს ჩვენს ქვეყანაში, ფულის განანილება როა. საგზაო პოლიციის ნებისმიერ პატარა „ტრეკსაც“ კი ათასი მჭამელი ჰყავს ზევით-ზევით.

გავიქცეოდი სხვებივით საზღვარგარეთ, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ბებრები ვის დაუტოვო და, მეორეც, იქიდან რომ დაბრუნდები, თავიდან მოგიწევს ყველაფრის დანყება. ამას ყველაფერს რომ თავი გავანებო, ვიცი, მაღალფარდოვან სიტყვებად მოგეჩვენება, მაგრამ ხომ შეიძლება, შენს ქვეყანაში გინდოდეს კაცს ცხოვრება. გსურდეს, შენს სამშობლოს მოახმარო შენი ნიჭი და გონება. რაა, სისულელეს ვამბობ? ხომ შეიძლება, ჩემნაირი სულელიც არსებობდეს ამ ქვეყანაზე?

ერთი სიტყვით, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო, რომ იტყვიან, ისეა ჩემი საქმე, სოსო ბიძია.

დრო გარბის და არაფრის მაქნისად ვგდივარ ჩემს ქალაქში ეს საღსალამათი კაცი.

თავს მოვიკლავდი, მაგრამ ამასაც ვერავინ გაიგებს.

ან ისე ვერ გაიგებენ, როგორც ჩავიფიქრე.

ავად იყო, აფრენდა სანყალიო, იტყვიან, ამ ბოლო დროს გულჩათხრობილი დადიოდაო.

არადა, არა ვარ ავად; სოსო ბიძია, იცოდეს ღმერთმა.



## ბანტიძმა

კალისტრატე გარაყანიძემ მუხლებზე ტყავდაკერებული გალიფე ამოიცვა, ხვანჯარი შეიკრა, ბეჭებზე ბრეზენტის დაბამბული მოიგდო, რეზინის გადაჭრილ ჩექმებში ტუცა ფეხი. ლუმელში შეშა შეანყო, ნავთი შეასხა, ასანთს გაჰკრა და ცოლის საწოლი ოთახისკენ გაიხედა.

„...ჯერ რავა ადგება. მე მიცდის. მე უნდა ავანთო ლუმელი მაინცდამაინც. მამალი ყვილით რო გასკდეს, საქათმეს კარს არ გამოუგდებს და სიმინდს არ დოუყრის. რავა ეკადრება... შენი გამრიგებლის და შენი გამომცემლის სახელი ჩეიტანა მენყერმა რიონში უკანმოუბრუნებლად. ძღაბიც რო დეიმგვანა? თორმეტ საათამდე რა აწვენს ლოგინში ოცდაოთხი წლის გოგოს. თუ წეყვანა ვინმემ, თუ ჭამა მისი ყველეის, ორ კვირაში უკან მომიბრუნებს, არ უნდა ლაპარაკი...“

ჩვენი გმირის ამ უსიამო ფიქრებიდანაც მიხვდებოდა მიმხვედრიანი მკითხველი, რომ კალისტრატე გარაყანიძე იმ ასაკის და მდგომარეობის კაცია, ცხოვრებამ საკმაოზე მეტად რომ აჯანჯლარა, ათასმა მიზეზმა ნერვები მოუშალა და ქვეყნის უბედურებას ვერმორეული დროდადრო საკუთარ ცოლზე რომ იყრის ხოლმე ჯავრს, ბედაურის და უნაგირის არაკისა არ იყოს. მთლაც ესეც არაა მიზეზი, კალისტრატე რომ ამ ბოლო დროს ცოლს გაუგულგრილდა. კაცმა რომ თქვას, არც თავიდან ამოსდიოდა მზე და მთვარე თავის თანამეცხედრეზე.

ზამთრისპირის მშვიდი, უქარო დღეა.

მზე განდაგან მიუყვება კაბადონს.

დამცხრალი და თითქოსდა სისრულეში მოკლებულია მნათობი, მაგრამ იმდენი ძალა მაინც აქვს, კრამიტის სახურავებზე თეთრადშეყინულ ჭირხლს ორთქლი აადინოს.

უნაბზე დროდადრო ჩხიკვი შემოჯდება, კოინდარში ჩადგომულ რკინის სკამეიკაზე ჩამომჯდარ კალისტრატეს უკმაყოფილოდ ჩამოხედ-ჩამოაჩხავლებს და გაფრინდება.

„... კი, აჰა, გადავსახლდები ახლა შენი გულიზა, რას ეფეთები, ვინ მოგდევს... რაცხა ორი ცალი უნაბი შერჩა მაგ დასანვავ ხეს, მიანისკარტე და მორჩი საქმეს. რას დახტუნაობ იქით-აქეთ. მაინც სულ შენ არ შეჭამე, რაც ესხა? გესროლა ვინმემ ქვაი? რას ჩამჩხავი ყურში... ნევე კაი ხმა გქონდეს...“

მეხუთე წელი თავდება, აღარ მუშაობს. ჯერ „დროებით“ დაკეტეს საკონსერვო ქარხანა. მერე ხმა გავრცელდა, გაიყიდაო. ისრაელიდან მობრუნებულმა კულაშელმა ურიამ იყიდა და ეკალას კონსერვების გამოშვებას აპირებსო. მალე დაუძახებენ ძველ მუშებსო, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ეკალას მოაბა თავი ქარხნის ახალმა მეპატრონემ და დამძახებელიც არავინ ჩანს.

კალისტრატეს ჯვრიანი ლეჩხუმურ-იმერული ქუდი ახურავს, ფეხი ფეხზე გადაუნყვია, სამი თითით უჭირავს გაზეთის ნაგლეჯში გახვეულ-განეპილი თამბაქო და ქუჩას გასცქერის.

„რა დაემართა ამ ხალხს... არ იყო ასე... ასე რავა იყო... ადამიანის იერი აღარ აქვს არც ერთს. რავა მიიკუზებიან... ისე ჩაჩერებიან ქვაფენილს, გეგონება, ქვის დათვლაში ფულს იძლევიანო. გემრიელად „გამარჯვებასაც“ აღარ გეტყვის არავინ. „გამარჯობის“ თქმის ხალისიც აღარა აქვს ხალხს“...

ბომბორა თრთვილისაგან მოსველებულ მიწაზე კუდს აბათქუნებს და პატრონს შესცქერის.

იქვე, გვერდით, ბომბორას მიერ საგულდაგულოდ ამოლოკილ ჯამში ორი ბელურა ჩახტუნ-ჩანამცეცაობს.

„რავა მეგერიენ, ბომბორა შტერო, ეს ბელურები, უყურებ შენ? ხო გახსოვს, თავზე რო გადაგიფრენდნენ, ის გაგიყებდა, ორ ფეხზე დგებოდი. ჰაერში გინდოდა დაგეჭირა და კბილს კბილზე იმტვრევდი. ჯაჭვს სწყვეტდი, ახლოს რომ დაგისკუპდებოდნენ. ახლა? მიჩერებიხარ შენს ჯამში რომ

დაბულ-დაკენკაობენ და ხმას არ იღებ, გაჯობეს კი, ნამდვილად დაგარწმუნეს, რომ შენ მაგენის დამჭერი არ ხარ და გაგაჩერეს... შეგაგუეს შენს მდგომარეობას... კი... ასეა ნამდვილად“...

ქუჩაში მწვანემოსასხამიანმა, პაპკიანმა ახალგაზრდა კაცმა გაიარა. კალისტრატეს ჭიშკართან ჩავლისას შუბლზე ქუდი აიწია. მასპინძელს ისე გამოხედა, თითქოს „გამარჯობის“ თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, ვერ გაუბედა უცნობს მისალმება. ვინ იცის, იქნებ გულიც დაწყდა, რომ თავის ეზოში საღებავგახეხილ სკამეიკაზე მშვიდად მჯდომ კაცს არ იცნობდა.

კალისტრატემ იგი სხვა დროსაც შენიშნა. სადღაც ქვევით-კენ ცხოვრობს. აშკარად ჩანს, რომ ამ ქუჩაზე ახალი კაცია. სულ ეს მწვანე პლაში აცვია, ხელში საგულდაგულოდ ჩაბლუჯული შავი ტყავის საქალაღდე (შინაურულად „პაპკას“ რომ ვეძახით) უჭირავს და სერიოზული სახით მიიჩქარის.

კალისტრატე ნამოხტა, ჭიშკარი გამოალო და მიმავალს დაანია.

– ახალგაზრდა!

უცნობი შეჩერდა. მოიხედა და კაცს რომ კრიალოსანივით აწყობილ ფიქრებს ორკაპიკიან საქმეზე გაანწყვეტინებენ, ისე, გაკვირვებულ-შეცბუნებულმა იკითხა:

– მე მეძახით?

– კიე. თვარ შენუხდებით, გვნახეთ ერთი აქეთ, თუ შეიძლება.

კალისტრატეს თავისი სითამამე თვითონვე გაუკვირდა, მაგრამ იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, ეს დილაც სხვა მოსაწყენ, ერთფეროვან დილებს არ დამსგავსებოდა, რომ ეს, ევროპული თვალსაზრისით, არცთუ ეთიკური ნაბიჯი გადადგა. პლაშიანი ნამოვიდა, ტრიფოლიატის ღობესთან შედგა კალესგან სულ რაღაც ხუთ ნაბიჯზე.

– გისმენთ, პატივცემულო.

– არ გენყინოს, ახალგაზრდა. სხვანაირად არ მიილო, რო გაგაჩერე, – ქუდის ქვეშ საფეთქელი მოიფხანა მასპინძელმა.

– არა უშავს, პატივცემულო, ისე, მე ვიფიქრე, სხვას ეძახისთქვა, რაღა დროის ჩემი ახალგაზრდობაა!

– რავა?

– ორმოცის შევსრულდი წინა პარასკევს.

– ჩემთან მაინც ახალგაზრდა ხარ. აპა რა ხარ... რამდენის ვიქნები?

– ჩემზე დიდად უფროსი არც თქვენ იქნებით, პატივცემულო.

– სამოცდაერთი მევიტოვე უკან.

– არ გეტყობათ კიე და.

– უკეთესად ვიყავი, ე ცხოვრება რო არ გაძალღებულიყო.

– ვერ გავიგე, პატივცემულო, შეგემთხვათ რამე?

ამასობაში კალისტრატემ ხელი ჩამოართვა და ერთი ნაბიჯით თვითონვე დაიხია უკან.

მაინცდამაინც არ ესიამოვნა, რომ უცნობი „პატივცემულოს“ რაღაცნაირი ხაზგასმით, თითქოსდა იდუმალეზა-დისტანციურობის შესანარჩუნებლად ხმარობდა.

– ჩემზე კი არ ვამბობ მაინცდამაინც, საერთოდ ვლაპარაკობ.

– საერთოდ? – უცნობის თვალეზში უნდობლობაც გაკრთა,

– ხან ასე იქნება და ხან ისე. აბა, როგორ გინდათ, პატივცემულო, ჩვენ ხალხს სულ დოვლათის წვიმა უნდა და სულ აღჩუზე არ ჯდება, მოგეხსენებათ, იღბალი, ცდილობს მთავრობა და მეტი რა ქნას.

– ცდილობს ხომ? – კალისტრატემ ინანა, რომ ცნობის-მოყვარეობამ სძლია და თავის საუფროსო საქმეზე მიმოცუხცუხე ეს „ხელისუფლების ერთგული ფუნქციონერი“ შეაჩერა.

– რა ვქნათ მეტი, პატივცემულო, ჩვენს კაცს სულ კოჭი უნდა უგორო. ხომ მართალი ვარ, პატივცემულო?

გარაყანიძემ კითხვას არ უპასუხა. პირდაპირ, რომ იტყვიან, საქმეზე გადავიდა.

– მინახივხარ, რასაკვირველია, ჩავლილი აქანა. ამ ჩემ ჭიშკართან და სხვანაირად არ მიილო, თუ ძმა ხარ, ჩემი გამოლაპარაკება.

– ამ ქუჩით დავდივარ კი, ეს ერთი ხანია.

– აქოური არ უნდა იყო.

– საერთოდ ქუთაისელი ვარ, ჭომელი. სახლი ვიყიდე ამ თვე-ნახევრის წინ, მაგერ იური ბიბილეიშვილის ქუჩაზე, მეორე ჩიხში.

– მეზობლები ვყოფილვართ.

– თითქმის... ასე ითქმის, პატივცემულო.

– სახელი მაჩუქე, თვარ გენყინება,

– რა საკადრისია, ვიანორი, პატივცემულო.

– ბატონო ვიანორ, მე კალისტრატე მქვია, გარაყანიძე ვარ. ძირძველი მოსახლე ვარ აქანა. ამ სახლში დევობადე და ამ სახლში დავბერდი.

– ჯერ სიბერემდე შორსაა, პატივცემულო.

– ერთი სათხოვარი მაქვს, ვიანორ ბატონო. რალაი ამდენხანს გამიჩერდი, უნდა მცე პატივი და შამოხვიდე ჩემს ღარიბულ სახლში. თითო ჭიქა დევილოცოთ ჩვენი გაცნობის.

თუ დაკვირვებხარ, იმერლებს ამ სიტყვების წარმოთქმის დროს რალაც საოცარი, შიგნიდან განათებულ-გაცისკროვნებული სახეები აქვთ და ხმაში მუდარა აშკარად ეტყობათ.

– აჰ, ვერა, პატივცემულო, მეჩქარება, სხვა დროს, სხვა დროს, დიდი მადლობა.

– ჩემზე მეტად არ გეჩქარებოდეს იქნება შენ, ბატონო ვიანორ, სამოცს გადავშორდითქვა, ქე გითხარი. მე ვარ მოსწრებაზე, თვარა შენ რა გიჭირს.

უარი ყურებს შორის გაატარა კალემ.

– ვერ დავრჩები, ვერაფრით, არ გენყინოთ, პატივცემულო.

„თქვენობაზე“ გადასვლა არ ეხირა მასპინძელს, მაგრამ რაკი ვიანორი არ შებრუნდა და არ გაიქცა, გამოცდილი დამ-

პატიყებელი მიხვდა, რომ აქ „მუშაობის“ გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა.

– დარჩენით, ძანაც რომ მთხოვოთ, ვერ დაგტოვებთ, ბატონო, თქვენ თქვენი გზა გაქვთ და მე ჩემი. ერთ ჭიქაზე, ოჯახის დალოცვაზეა ლაპარაკი.

– საქმე მაქვს, საქმე, პატივცემულო კალისტრატე.

სტუმარმა ტყავის საქალაღდეს ხელი შეუნაცვლა, მაგრამ ინტონაციაში წელანდელი კატეგორიულობა აღარ ეტყობოდა. და ამ ბოლო ფრაზის პასუხად კალისტრატემ ისეთ არგუმენტს მიაგნო, რომ თავისი საზრიანობის თვითვე კმაყოფილი დარჩა. მიიხედ-მოიხედა, ვიანორის მკლავს ფრთხილად შეეხო და, თითქოს საიდუმლოს ანდობსო, ღიმილით უჩურჩულა:

– საქმე რო გაქვს და კაცი რომ ხარ, მიტო გეძახი მეც, თვარა უსაქმური და უბედური იცი რამდენი ჩეიარს დღეს ჩემ ჭიშკართან?

და ვიანორი გატყდა.

დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო.

სტუმარი პირველ სართულზე შუმბანდში შეიყვანა. თვითონ ორი ნახტომით მაღლა ავარდა. ცოლ-შვილი ლოგინიდან წამოყარა. გოგო უკანა გასასვლელით (რომ სტუმარს არ დაენახა) მეზობელთან გაგზავნა ყველზე და მუავეზე, ცოლს მჭადები დააკრევეინა, გუშინდელი ლობიო კვანით შემოდო ღუმელზე, საკუჭნაოდან ხუთლიტრიანით ლალისფერი ღვინო გამოიტანა.

...დაახლოებით სამი საათის შემდეგ გარაყანისძეებისას ძვირფას სტუმართან გამოთხოვების გულისამაჩუყებელი ცერემონიალი გაიმართა.

– არ იშლი აბა შენსას? უნდა ნახვიდე მაინცდამაინც? რავა დაგაკავო, თვარა, შენ არ მომიკვდე, მე შენი გაშვება არ მინდოდეს... მარა საქმის კაცი ხარ და საქმე არ მინდა გაფუჭდეს... საქმეს არ ელაღატება... კი, ასთეა, შენი აქ ყოფ-

ნაც ძაან რო მინდა?.. ჩემო ვიანო, რავარი ტკბილი, რავარი კაი კაცი ყოფილხარ შენ... რა გამევიდა ახლა ეს... არაფერი გიჭამია და არაფერი დაგილევია... მოგატყუე ნამდვილად და ეს არის, – ლულლულეებდა კალისტრატე გარაყანიძე და შეზარხოშებას კარგა აცილებულ სტუმარს ხანგამოშვებით შუბლზე ჰკოცნიდა.

– რავა გეკადრება, ბატონო... ყველაფერი ბევრი... ყველაფერი კაი... ის კი არადა შეგანუხეთ ძალიან. ნავალ ახლა მე.

– ბოშო! – სამზადისს გასძახა კალემ. თანამეცხედრე და გასახსნელი ხიდივით წარბებონინარა ლამაზი გოგო შუშა-ბანდში გამოცვივდნენ.

ოჯახის უფროსმა ჯერ სტუმარს შეხედა, მერე თავისიანებს შეავლო თვალი და სასონარკვეთილი იერით ამოიგმინა:

– მიდის!

ვიანორი ჯერ დიასახლისს ემთხვია ხელზე და მერე ქალიშვილს (გნოლივით გოგოს სამჯერ აკოცა ხელზე, მაგრამ ღვთის წინაშე, სამჯერ კოცნა მთლად სტუმრის ინიციატივითაც არ მომხდარა, საეჭვოდ დიდხანს შეატოვა სტუმარს ხელში თავისი ფუნჩულა თითები კალისტრატეს „ძღაბმა“).

მიუხედავად ვიანორის კატეგორიული თხოვნისა, კალემ სტუმარი ბაზრის გადასახვევამდე გამოაცილა.

– ცდილობს აპა მთავრობა? ზრუნავს ჩვენზე ნამეტანი? რავა მითხარი? – გამომშვიდობებისას რატომღაც ისევ პოლიტიკას დაუბრუნდა მასპინძელი.

– კი... ნემეტანი ცდილობს... ლამის თავი ჩამევიხრჩო მაგენის ზრუნვისაგან...

– რავა? შენც უკმაყოფილო ხარ?

– უკმაყოფილოვო? დანა რო დამისვა, სისხლი არ გამომივა. სახლი ვიყიდეთქვა, ნახანე რო გითხარი, მართალი ხვარ გეგონა. ნაქირავებში ვცხოვრობ, მაგერ ბიბილეში-

ლის თერთმეტ ნომერში. ოთხი ბავშვი მიჭყავის შინ. შაშვის ბარტყებევით აქვენ პირი დაფჩენილი. დილიდან სალამომდე ქალაქში ვტრიალობ, ეგება სამუშევარი ვიშოვო რამეთქვა.

– რა მითხარი... ე პაპკა?

– ეს პაპკა „სალიდნობიზა“ მიკავია. უსაქმური და სალახანა ვარავის ვეგონო, თვარა ა ნახე, ცარიელია, არაფერი მაქ შით. სტუმარმა გახსნილი საქალაღდე სახესთან მიუტანა კალეს, მერე სწრაფად დაკეცა და ისევ ილღიაში ამოიჩარა.

– აბა, მე გეტყვი ახლა ჩემსას, – კალისტრატემ გულიანად გაიცინა, – ი ჩემ ერთსანთელა გოგოს გეფიცები, მეც მასე შეგატყვე. იმნაირი თვალთ გამეიხედე ჩემკენ ჩემს ჭიშკართან ჩავლისას, რო ჩემთვის ვთქვი გულში, ამას ტყვილათ, ისე, ფასონათ უკავია პაპკა თქვა. ვენაცვალე გამჩენს, დღეს შენი თავი რო მაჩუქა. სხვა ვინმე რო აღმოჩენილიყავი, მკვდარი მამა არ წამინყდეს, მენყინებოდა.

– ასე მომიქცია საქმე ამ ძაღლთაპირმა მთავრობამ და რას ვიზამ. მაიმუნებათ გვაქცია ყველანი.

კალისტრატე სიცილს ვერ იოკებდა. დაინყებდა სათქმელს, იტყოდა ორ სიტყვას, აუტყდებოდა სიცილი და ისევ თავიდან ინყებდა.

– აბა, თავიდან, თავიდან რომ მითხარი, რას ერჩი მთავრობას, არ გეყავს გლახა მთავრობაო... ცდილობსო... ასე არ მითხარი?

ახლა სტუმარს აუტყდა სიცილი.

– რა ვიცოდი, ვინ იყავი... მე ვთქვი... პრავაკატორი არ იყოს ვინცხათქვა.

– მე კიდე... შენ მეგონე მაგნაირი...

– კარგად იყავი აპა, ჩემო კალე. მივხედავ ჩემ დაბრედილ საქმეს... აგაშენა ღმერთმა, დიდი მადლობა.

– რისი მადლობა, შე კაცო... მადლობელი მე ვარ... ღმერთმა ხეირზე გატაროს.

– სადაა ღმერთი, თვარა კი...

\* \* \*

მიდიოდა დავით და კონსტანტინეს ქუჩაზე ოთხი შვილის მამა.

მიდიოდა ცოტა არეული, მაგრამ მაინც მხნე ნაბიჯებით.

ძირსდაშვებულ მარჯვენაში ტყავის საქალაღდე ამდილანდელთან შედარებით, ცოტა არ იყოს, მოშვებულად ეჭირა.

სამი თითით ეჭირა და ისე მიიქნევ-მიაკონწიალებდა, გეგონებოდათ, სადაცაა ხელიდან გაუვარდებო.

ამღვრეული, აქაფებული, გადარეული რიონი თეთრი ხიდის ასწლოვან ბურჯებს ხრავდა, როგორც ოჩანი ულაცი ლაგამს.



## ელიავას ბაზრობა

მუხათწყაროში ფარდულის აშენება წამოვიწყე, საბოსტნე იარაღების შესანახი ფარდულის. უსაქმო კაცის და მახათის ამბავი ხომ მოგეხსენება, მკითხველო, თორემ რა „იარაღი“ მქონდა საფარდულე. ბარს, წერაქვს, ორ თოხს, ნიჩაბს და ნამგალს ბუხრის პირას ვერ წავაყუდებდი? მაგრამ, გითხრათ სიმართლე, ნამგალმა უფრო გადამაწყვეტინა ეგ საქმე. ყოველ გასვლა-გამოსვლაზე ფეხებში გვედებოდა. თავდაღმა რომ დავაყენე, უარესი შეიქნა. ჩემმა მტერმა წაკრა ნამგალს თვალი ან კისერი.

წავართვი ერთი მუშა რეზო ნემსაძეს, ჩავისვი მანქანაში და ჩავედით ელიავას ბაზრობაზე, რკინა-შველერები უნდა გვეყიდა. ჩემს მუშას გენო ჰქვია. თითო ხელი, რომ იტყვიან, ყველაფერია, შემდუღებელიც არის, დურგალიც და, თუ გაჭირდა, ელექტროსაქმეც ეხერხება.

ისე ცხელა თბილისში, რომ ბელურებიც ჩრდილს შესევნიან.

ბაზრის მტვერ-ბულში დარბის გენო ჯიხურიდან ჯიხურისკენ. ჩემთან თავს იწონებს, იაფად უნდა მაყიდინოს ოთხი შველერი და თორმეტი სამმეტრიანი კუთხოვანა („უგოლნიკი“).

– დაანებე თავი, ვიყიდოთ როგორცაა. არც დამაქცევს და არც ამაშენებს ამნაირ დღეში დაკლებული თუ წამატებული ექვსი ლარი – ვემუდარები გენოს.

– რატომ უნდა მივცეთ ზედმეტი, თვარა კი. გადასაყრელი ფული არავის აქვს. ამგენს რომ უყურებთ, როგორ გააცურონ კაცი და რანაირად წაღლიტონ მეტი, იმაზე არიან გამეცადინებული. მეტი საქმე არაფერი აქვთ – არ იშლის თავისას გენო.

– გესმის?! – დაგვიძახა ვილაცამ.

შევჩერდით, მოვიხედეთ, კაცი არ ჩანს.

– აქეთ ვარ, აქეთ! – არმატურისა და რკინა-შველერების აბლაბუდაში ობობასავით მიმჯდარა შუბლზე იმერულქუდა-კეცილი, უულვაშო, ფეხფოსტლება კაცი.

– რას ეძებთ? – გვეკითხება. არც ფეხზე დგება და არც აბლაბუდიდან გამოდის.

გენომ უთხრა, რასაც ვეძებდით.

– მერე შველერი და უგოლნიკი არაა, მაგერ, შენგან მარცხნივ? ქვევით, ქვევით, სად იყურები.

– კი, არი, მარა ცოტა იაფად გვინდოდა.

ადგა, სამალავიდან გამოვიდა, მოგვესალმა.

– ახლა ჩუქებით ვერ გაჩუქებყენ და ჩემზე იაფად, სანთლით რო ეძებოთ, არავინ მოგყიდით ამ ბაზარში. ახალი ტავარია ე, შეხედე, ჟანგისგან შეჭმული კი არ არის, იმასავით, თქვენ რომ ევაჭრებოდით ნახანე.

– რა მნიშვნელობა აქვს, შველერი შველერია.

– აქვს, ბიძია, თუ მშენებელი ხარ, აქვს და თუ ტყვილად დაგლახაობ აქანა, მაშინ არაფერს არა აქვს მნიშვნელობა. სამ წელიწადში დეიყვანს უგოლნიკს ჟანგი ყუაზე და უყარე მერე კაკალი.

– რავა ყიდი?

– შველერი ოთხ ლარად მეტრო, უგოლნიკი ლარად.

– ესაა იაფად ვყიდო? – აიმრიზა გენო, იცი, ეს კაცი ვინ არის?

– გენო!

მაგრამ გენოს შეჩერება ველარ მოვასნარი.

– რევაზ მიშველაძე გაგიგონია? ჩვენი სახელოვანი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. ოთხ ლარად მიყიდი შველერს მაგას ახლა შენ და არ შეგრცხვება?

გამყიდველს სახე გაებადრა. მარჯვენა ხელი კვართის კალთაზე გულდაგულ ჩამოისვა და გამომიწოდა.

– უი, მომიკვდეს თავი, ვერ გიცანი, ბატონო რეზო, არ გელოდი აქანა, – მერე გენოს მიუბრუნდა – მე ქე ვიცი, ეს კაცი ვინცხა არი, შენ არ გეცოდინება თვარა.

დაფაცურდა, დატრიალდა. რკინის ჯიხურ-აბლაბუდიდან ტაბურეტის სკამი გამომიტანა. თვითონ იქვე, რელსზე ჩამოჯდა. სულ დაავინყდა გენოს არსებობა.

– რავა იყო, ბატონო რეზო, შენ და ოტია რო იყავით ხა-შურში შეხვედრაზე და ქალმა რომ გკითხათ, სიყვარული რამდენჯერ მოდის ცხოვრებაშიო და შენ რომ უთხარი, თხ-უთმეტჯერო და ოტიამ რო ველარ მეითმინა – მეთექვსმეტე უკვე ბოზობაა, ქალბატონოვო.

ვიცინით ორივე – იყო კი, ამნაირი, – ვეთანხმები.

– ის რავა იყო, ბატონო რეზო, ზანგს რო კატლეტი შეუჭამე მოსკოვში?

– ყოჩაღ შენ, მკითხველი კაცი ყოფილხარ.

– ვკითხულობ კი. თქვენსას მაინც, რასაც წევნევი, არ გოვუშვებ. ამ ბოლოს, ჰო, ის წვეიკითხე „ლიტერატურულში“, მოსკოვიდან რო გათახსირებული ევტუშენკო ჩამოვიდა და შენ რომ წეინიე გასალახავად. მართლა ასე თქვა? თქვენ იყავით მტყუანი აფსუებთანო. ჩვენი მინიდან აგყყარეს ნაძირალა რუსებმა და კიდო ჩვენ ვიყავით მტყუანი?

– ჰე, გვითხარი ახლა, რამდენად გვაძლევ შველერს, – თავი შეახსენა გენომ.

მერკინე უცებ დასერიოზულდა.

– ჩიჟია! – ფარდულიდან ცხვირწარბიანად გამურული ბიჭი გამობტა – ვინ არი ესი, თუ იცი შენ? რევაზ მიშველაძე გაგიგონია? მეტი არაა ჩემი მტერი, შენ მაგი არ წაგეკითხოს. საშუალო ქე აქვს დამთავრებული, მარა, – მე მომიბრუნდა, – გაზეთს რავარც მივცემ ხელში, იმ წუთასვე ეძინება – ისევ ჩიჟიასკენ შებრუნდა, – გოდოუჭერი ამ ხალხს, რავარც უნდათ შველერი და უგოლნიკი კარგად, ლამაზად, გესმის შენე?! – ახლა გენოს შეხედა – ზომები ხომ გაქვთ ზუსტი?

– კი, – კეფა მოიფხანა გენომ – ჯერ გვითხარი რამდენად გვაძლევ, ხო იცი, მკაში გარიგება სჯობია, ბოდში მომიტხოვია, – ტყ-ში გარიგებას.

– ჯერ ერთი, – მასპინძელს გაეცინა – მაგი არაა მაგისა და, მეორეც, გადააჭრევიეთქვა, რომ გეუბნები. ამ კაცს არ ვანყენებ მე, ამას ენაცვალოს ჩემი თავი. ის რავა იყო, ბატონო რეზო, კაცმა რომ მთელი ცხოვრება ფული აგროვა და ერთ მრავალშვილიან ღარიბკაცს რომ მიუტანა?

– ხო, აბა, – ვეთანხმები – ვერ გაუგო, ხომ გახსოვს იმან. ასეთია ადამიანი ხანდახან სიკეთეს რო გოუკეთებ, დაეჭვდება, რა უნდა, ნეტავ, ჩემგანო. ასე გავუტურამგელდით ერთ-მანეთს.

– კი, ბატონო. ყველაფერი დეიკარგა. მართლა ფული ხვარაა, ეს უპატრონო, ყველაფერი. სად წვიდა სინდისი, ნამუსი, ვაჟკაცობა. ის რავა იყო...

ერთი სიტყვით, გამაოცა ჩემი თანამოსაუბრის განსწავლულობამ ჩემი მწირი, მოკრძალებული შემოქმედების წიაღში. ზოგი ნოველის სიუჟეტს მე თვითონ ვერ ვიხსენებდი და ისე, ზრდილობისათვის ვუქნევდი თავს.

რკინეული საბარგულზე რომ დავტვირთეთ და ანგარიშსწორების წუთი რომ დადგა, რამდენში ვართ გადავარდნილი-მეთქი, ვკითხე.

– მეო, ბატონო რეზო, ოკრიბელი იბერი ბერიძე ვარო. თქვენ ჩემ სახელს ვერ დეიმახსოვრებთ, მარა მე თქვენი გაცნობა მილიარდი მილირს დღესო. რკინას გოდოუშენდა მომგონი, რკინაში ფულს გადაგახდევინებთ თქვენო?

ჩუქებაზე სასტიკი პროტესტი განვაცხადე.

– რავა გეკადრება, იბერი ბატონო. არავითარ შემთხვევაში არ წავიღებ, თქვენ რომ ასე ურიგოთ რკინა რამდენი მწერალი შეგხვდებათ, სად წავა ეს საქმე. არ მატკინოთ გული და გადამახდევინეთ, რაც გიღირთ, რომ არ მქონდეს ამის ორი კაპიკი, არც მევიდოდი აქანა და არც წამოვიწყებდი ფარდულის კეთებას-მეთქი.

ქუდი მოიხადა და შველერს თხლიშა.

– ასე დეიქცეს ჩემი ოჯახი, შენ თუ ფული გამოგართვა მეო.

რალას ვიზამდი.

ეგ კი არა. სხვა დროსაც, რკინეული თუ რამე დაგჭირდეთ, აგერ გეგულებოდეთ მეო. არ მიხვიდეთ სხვასთან არავისთან, გაფიცვით გულით საყვარელსო. თუ ერთ წამს მომიცდით, ერთი პატარა საჩუქარით უნდა შემოგკადროთ და არ დამძრახოთ, ძალიან გთხოვთო.

ჯიხურში შევარდა და ზონრით შეკრული წიგნების დასტა გამომიიტანა.

– წარწერას ვერ გაგიბედავთ. ჩემი წიგნებია. თუ დრო იშოვოთ, ქე გადაათვალიერეთ, თუ არა და გადაყარეთ ხრამშიო. თავწიგნს დავხედე: „იბერი ბერიძე, ძელქვიანა, რომანი“.

– არ გამაგიჟო, მართლა შენი წიგნია? – გულწრფელად გავიკვირვე, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ხელოვნურად გამომივიდა.

– კი, ბატონო, ვცოდვილობ რალაცას. თქვენი გასაბედი არაფერია. პირველად ვნახე მწერალი, რომელიც ამბობდა, თქვენი გასაბედი არაფერიაო და აშკარად რცხვენოდა, რომ მწერალი იყო.

– ერთი წიგნი მეყოფა, ბატონო იბერი.

– აქანა სხვადასხვა წიგნია. შვიდი რომანია, ბატონო რეზო. სხვადასხვა დროსაა დაწერილი, მარა ახლა გამიჩნდა რალაცა ორი კაპიკი და გამოვეცი შვიდივე. წეილე, თუ არ დაგამძიმებს.

– დიდი მადლობა, კარგად, უსათუოდ წავიკითხავ.

ჩვეულებრივი წერისმოყვარული გრაფომანი იქნება-მეთქი, გავიფიქრე და, ჩემდა სამარცხვინოდ, ის გაოცება-სიამოვნება გამინელდა ბერიძის მიმართ, მასთან შეხვედრის პირველ წუთებში რომ განვიცადე.

სახლში მოტანისთანავე ჩავუჯექი იბერი ბერიძის რომანებს.

წერდა თავის უიღბლო ცხოვრებაზე, ბავშვობის მოგონებებზე... წერდა ბაზარში გაცნობილი თუ შემთხვევით დამგზავრებული ადამიანების ნაამბობს.

ჰყვებოდა უბრალოდ, ზიზილ-პიპილების გარეშე. ცდილობდა, საინტერესო ამბები შეერჩია. ალაგ-ალაგ გაშიშვლებული სექსუალურობის ელფერი დაჰკრავდა ბერიძის პასაჟებს, მაგრამ ესეც საკითხავად ემოციურს ხდიდა რომანებს.

შვიდივე რომანი მიყოლებით წავიკითხე და დავრწმუნდი, რომ იბერი ბერიძის სახით ჩემს წინაშე ჭეშმარიტი მწერალი იდგა.

სექტემბერი მუხათნყაროში გავატარე, ოქტომბრის დასაწყისში ელიავას ბაზრობაზე მივადექი კოლეგას.

– ბატონო რევაზ – მაშინვე მიცნო და ჩემკენ გამოიქცა – რავაა საქმე თქვენი ფარდულის. სახურავს გაშოვივბდით იაფად.

– დიდი მადლობა, ბატონო იბერი, გადავხურე, რავარც იქნა, ძველი კრამიტი მეყარა ეზოში.

– სხვა აბა... რკინეული თუ რამე გინდათ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

– რკინაზე არ მოვსულვარ, დაბრძანდი, ისე გამოგიარე სალაპარაკოდ. მომეწონა შენი წიგნები. რამდენი რამ გამოგიცდია, რამდენი გიბრძოლია... რა კარგად ჰყვები.

– კაი ერთი, თუ კაცი ხარ, მართალი მეგონება. ვარგა აბა რამედ? გეებელება კაცს?

– გეებელება კი არა, ნამდვილი მწერალი ხარ.

– არ გადამრიო?!

– ასეა კი. ახლა მწერალთა კავშირში უნდა მიგილოთ.

– არა, ბატონო რეზო, დიდი მადლობელი ვარ, მარა, არ ქნათ მაგ საქმე. მე აქიდან უფრო შეგეწევი. ა, ეს ბაზარია ჩემი სახლი. რკინეულის გაყიდვა რომ არ დამეწყო, შენ გგონია; დავწერდი ან გამოვცემდი მაგ წიგნებს? ე, მიმჯდარი რო ვარ იმ ჯურღმულში მაჩვივით, რო იცოდეთ, რა კარგად ჩანს აქედან ცხოვრება. რავა გავბედავ, ბატონო. მე რაცხა ზღაპრების მომყოლი კაცი, იქანა შევალ და ნამდვილ მწერლებს დოვუჯდები გვერდით? მწერალს ლუკმას გოვუყოფ მე,

წერა-კითხვის მცირე მცოდნე – ოკრიბელი კაცი? თქვენ არ მომიკვდეთ. მაგი არ ვქნა. იდოს ეს წიგნები. თუ გამოუჩნდა ოდესმე მკითხველი, ხო კაი, თვარადა ჩემს შვილებს და შვილიშვილებს მაინც დოვუტოვებ მოსაგონრად. პირველი კაცი ხართ თქვენ, ვინც მევიდა და მითხრა, წევიკითხო. აგერ მიწყია შვიდ-შვიდათ, რომ იტყვიან, შტაბელებად დანყობილი. ვის არ ვაჩუქე, მარა ჯერჯერობით თქვენ გარდა ვერ წავაკითხე ვერავის. ჩემს ცოლსაც არა აქვს წაკითხული და შვილებ-შვილიშვილებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეცია.

დაგლალეთ, მგონი. მოვეშვათ ჩემს ნაჯღაბზზე ლაპარაკს, არ ღირს ამდენ ყურადღებად.

ის რავა იყო, ცოლის სათხოვრად რომ მიიყვანეთ ძმაკაცი და საპატარძლოს ჩუმად რო უთხრა, არ ვარ ცოლის შემრთველი მე და შენ თვითონ თქვი უარი ჩემზე, რად გინდა ჩემი დანუნებული ქალის სახელი გერქვასო?!

იმ დღეს სხვა რამეზეც დიდხანს ვისაუბრეთ.

\* \* \*

გავიდა ზამთარი.

გაზაფხულის ფუთფუთმა ელიავას ბაზრობაც გამოაღვიძა. მარტის შუა რიცხვები იყო, იბერი ბერიძის სანახავად რომ ჩავედი.

რკინეული შეთხელებული ჩანდა. ველარც ჯიხურში ობობასავით მიმჯდარ ბერიძეს მოვკარი თვალი.

– რა გნებავთ, ბატონო? – ჩემკენ მაღალი, გამხდარი, ცისფერთვალეა ბიჭი წამოვიდა.

– იბერი მინდოდა, არ მინახავს ერთი ხანია.

– მამა აღარ არის, სამწუხაროდ, ბატონო.

– რაი... როდის... რას ლაპარაკობ?

– გაცივებულიყო ამ დასაქცევში. არ დოუნვა, გრიპი შეუბრუნდა და ოთხ დღეში გამოგვეცალა ხელიდან.

– როდის იყო ეს ამბავი?

- გასულ შაბათს გვექონდა ორმოცი.
- კაი ერთი, თუ ძმა ხარ... ეს რანაირად, კაცო?... რატომ ვერ გევიგე, მარა გაზეთს მე არ ვკითხულობ და, მგონი, ალარც წერია გაზეთებში ახლა კაცის ამ ქვეყნიდან წასვლა... რა ცხოვრება მევიდა, ალარ ვიცი პირდაპირ... ნანერები თუ დარჩა რამე?
- კიი... ბევრს წერდა სანყალი.
- არ დაკარგოთ ხელნაწერები. იბერის დრო მოვა, იცოდეთ ეს.
- თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით, ბატონო?
- ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს. კარგად იყავით.
- კარგად... კარგად...
- ფეხბარეული წამოვედი მტკვრისაკენ.
- კასეტების ჯიხურთან მაგნიტოფონი ყურისგამგლეჯად ღრიალებდა.



## მთხრელები

ციხე-კოლონიას დეკემბრის უღიმღამო მთვარე დაჰყურებდა.

გამთენიას მამლის ოციოდე ყივილილა აკლდა.

ლიბომორყეულ კომპურაზე ავტომატახუტებული დარაჯი თვლემდა. თვლემდა ისე და იმდენად, რა თვლემის საშუალებასაც მისი მოსაწყენი სამსახურებრივი მდგომარეობა აძლევდა.

ციხეში ღამით, მოგეხსენებათ, დენს არ თიშავენ.

ოდენ სამკურნალო კორპუსის მეოთხე საკანში ბნელოდა და სწორედ მეოთხე საკნის ბინადართ არ ეძინათ.

გვირაბს თხრიდნენ.

საკანში ნესტისა და მიწის მქისე სუნი იდგა.

მუშაობდნენ უხმოდ, გულდაგულ, შეთანხმებულად.

სამნი იყვნენ.

გვირაბის პირს ძლივს აღწევდა სიღრმიდან ჭრაქის ციალი. თითქოსდა თონეში ცეცხლი ენთო.

სამივემ თავისი საქმე ხუთი თითივით იცოდა.

ერთი მოკლევადიანი წერაქვით და ქაფჩით თხრიდა, მეორე თოკგამობმულ ვარცლს კედლისკენ ეზიდებოდა, მესამე ცელოფანის ტომრებს მიწით ავსებდა, მავთულით თავს უკრავდა და კედლის გასწვრივ ალაგებდა.

დროდადრო შეისვენებდნენ, სიგარეტს გააბოლებდნენ და ისე განაგრძობდნენ თხრას, რომ, სხვა მთხრელთა მსგავსად, ხელისგულეებზე არ იფურთხებდნენ.

იქნებოდა ასე შვიდის ხუთი წუთი, როცა კარებთან სრულიად ჩაუხველებლად და დაუკაკუნებლად, გვირაბის მთხრელთა საკანში ციხის უფროსი ელიოზ ვანაძე შევიდა.

ელიოზი საშუალოზე ოდნავ მაღალი, გამხდარი, გარეული კატისყურება, თმანშირი, გრძელცხვირა კაცი იყო, სქელი უღვაში ვინრო საულვაშეზე ძლივს ეტეოდა და გეგონებოდათ, უღვაშის ნახევარი ცხვირში აქვს შეტენილიო.

– რავაა, ბოჩია, საქმე?! – ციხის უფროსმა მიწით სავსე ტომარა გვირაბის თავთან, იატაკზე გარდიგარდმო დააგდო და ჩამოფდა.

ბოჩიამ არ უპასუხა. გვირაბს ჩაეკიდა და არც მთლად კონსპირაციული სიფრთხილით ჩასძახა:

- შაკია! ხვითოია!
- რა გაღრიალებს! – მოესმა გვირაბიდან.
- ამოით!
- რა მოხდა?! – ელიოზი მევიდა.

ჭრაქი თანდათან ამოგვირაბდა. მერე ბრეზენტისხელთათმანიანმა ხელმა ჭრაქი მიწაყრილზე შემოდო. ჯერ უღვაშნარბებიანად მოთხვრილი შაკია ამოვიდა, მერე ცხვირამდე ბერეტჩამოფხატული ხვითოია.

სამივენი უფროსის წინ ისხდნენ და საკუთარ ხელებს დასცქეროდნენ.

ელიოზი წამოდგა, კედელთან მივიდა და გვირაბის მთხრელებს ზურგშექცევით ჰკითხა:

- მეშოკები გყოფნით?
- არი ჯერ, – ბოჩიამ სიგარეტის ნამწვი მიწით ჩააქრო.
- რას მიშობით, ბიჭო. მღუპავთ? მთელი ღამე ხუთი მეშოკის მეტი ვერ ამეიტანეთ?! – რა ვიცი... არ გავჩერებულვართ, – განზე გაიხედა და წყნარად, დამნაშავესავით ამოილაპარაკა შაკიამ.

– კაი ახლა. მე მაგიჟებთ, შაკია? ქე მაინც არ ვიცოდე თქვენი მუშაობის ამბავი.

მთხრელები სდუმდნენ.

– ჯერ ერთი, მთელი ღამე კი არა, ორის ნახევარზე დევიწყეთ, – სხვისი ხმით თქვა ხვითოიამ.

– რატო დევიწყეთ ორის ნახევარზე. ათი არ იყო, აქ რო შემოგიყვანეთ?

– ექვსჯერ ჩამეიარა გვანცელაძემ. თავს ხვარ დავასტუკე-ბიებდით. ჯერ გვკითხა, ვინ შემოგიყვანათ აქანაო. ბოჩიამ უთხრა, გრიპის ნიშნები გვაქვს სამივეს და უფროსის ბრძანებით გადმოგიყვანესო. არაფერი გეტყობათ ავადმყოფობის თქვენ, მაიმუნობთ რაცხასო. მე ვუთხარი ჩვენი საქმე რო იყოს, ჩვენ ქე ვიცი, სად გვინდა ყოფნათქვა. წევიდა და ნახევარ საათში რაცხა აბები მოგვიტანა, ორ-ორი დალიეთო.

- დალიეთ მერე? – გაელიმა ელიოზს.
- მაგერ ყრია, – ნარზე დაფენილ გაზეთის ნაგლეჯზე მიუთითა ხვითოიამ.

– დილისთვის გასული უნდა ვიყოთ ბოლოში, მოასწრებთ? – ვანაძემ ჭრაქი აიღო და გვირაბს ჩაანათა.

– ვერ გეტყვი. მე მგონია, ბევრი აღარ დაგვრჩა, – თქვა შაკიამ.

- რავა არი იქით და იქით?
- ქვა მოყობა ბევრი. ფესვებიანი ალაგია. ამ ფესვებმა გამიმწარა სული.
- წალდი ხომ მევიტანე.

– ჯერ ერთი, არ ჭრის ხეირიანად, მერე წალდი ხო უნდა მეიქნიო. არი მოსაქნევი სანძრაობა?

– რა ვიცი... ჩემზე გული ხვარ ეიყარეთ. ხვარაფერი განყენიეთ, ბიჭებო, – ხმა დაუთბა ციხის უფროსს.

- რავა გეკადრება, – ხვითოიას ხმა იყო.
- აბა... რა მოგივიდათ, თქვე კაი ხალხო. წინა გვირაბებიც თქვენ არ გათხარეთ?

– კი მარა, იქანა სხვა მიწა შეგვხვდა. შეხვედრაზეც არი. გავსავათდი და ნახევარ მეტრზე ვერ წევიწიე ახლა, მთელი საათი.

– რა იყო, ამნაირი?  
 – ქვა შემხვდა, ე ბალანამოსაგდები. გასანურავათ მომაქცია, იმდენი ვეჯაჯგურე.  
 – ამოაგდე?  
 – კი. რავარც იქნა.  
 – აბა, არ დაზოგოთ თავი და მეც კაცი ვარ, ვალში არ დაგრჩებით. ეს ერთი გვირაბიც და მერე დაგასვენებთ პატარა ხანს. ა გასაღები, გამომართვი, შაკია. რო გათენდება, დაკეტეთ და გადადით თქვენს კამერაში. აქანა არ დაგინახოთ არავინ. გვანცელაძეს მე წევიყვან ახლა. ქსანში უნდა წახვიდე სასწრაფოდ – თქვა, რამეს დავავალებ. თქვენ რამდენსაც შეძლებთ, გათხარეთ კილო და რო გათენდება, დაანებეთ თავი. იარაღებს უხელთათმნო ხელი არ მოკიდოთ. დაყარეთ აქანა. ზოგი შიგნით ჩატოვით გვირაბში. ხელთათმანები და სამუშაო ტანსაცმელი ქე დანვით. ფრთხილად, რავარც იცით, პაჟარი არ გააჩინოთ. კარგად აბა, აღარ გაგაცდენთ, თქვენი იმედი მაქვს.

ციხის უფროსი ელიოზ ვანაძე კარებისკენ წავიდა.

ფრთხილად გააღო. ჯერ მარჯვნივ გაიხედა, მერე მარცხნივ. დერეფანში გასულმა ნაბიჯს მოუმატა და სანამ თავის კაბინეტში შევიდოდა, არ ჩაუხველებია.

\* \* \*

ჯერ განგაშის ზარი დარეკეს ციხეში, მერე საგანგებო შემოვლა-შემოწმება გამოცხადდა. ზედამხედველები გარბი-გამორბოდნენ, დაცვა გააძლიერეს, ღამის ცვლას უბრძანეს, ფეხი არ მოეცვალა, იუსტიციის სამინისტროდან სარეზერვო ოპერატიული ჯგუფი გამოიძახეს.

ღილის ათ საათზე ციხის ეზო ჟურნალისტებით და ტელეკამერებით გაივსო.

– რიგრიგობით გადაიღეთ! ყველანი ერთად ნუ შეხვალთ, ვერ დაეტყვით, გთხოვთ, გამოძიებას ხელს ნუ შეუშლით! –

ამაოდ ეხვეწებოდა დაცვის ბრიგადირი დიხამინჯია ჟურნალისტებს.

ციხის უფროსი ელიოზ ვანაძე გვირაბთან იდგა და მის წინ ტყედ აღმართულ მიკროფონებს მშვიდად უმეორებდა:

– გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველაფრის თქმის უფლება არა მაქვს. უნდა გამიგოთ. წესად მაქვს, დილის რვა საათზე მოვდივარ ციხეში და ყველა საკანი ჩემი ფეხით უნდა შემოვიარო. მეოთხე კამერასთან ნავთის სუნი მეცა. ჭრაქს რა უნდა ციხეში-თქვა და გავაღებო დარაჯს. გავაღებო და კედელთან ამ ტომრებს მოვკარი თვალი. ჯერ ფქვილი მეგონა. მიწა თუ იყო, რა ვიცოდი. აქანა რალაცა ხდება-თქვა, გულში ვთქვი. ხმა არ ამომიღია. გამოვყევი კედელს და ამ გვირაბს წავაწყდი. ეს ერთი კაცის ნამუშევარი არ არის. მინიმუმ სამი მაინც უნდა ყოფილიყო ჩემი გაგებით. მესამე შემთხვევაა ამ თვეში. დროზე რო არ შემენიშნა ვინ იცის, რამდენი პატიმარი გაიქცეოდა.

– თუ იცით, ვინ თხრიდა? – ჰკითხა სექსუალური ხმის პატრონმა ჟურნალისტმა გოგონამ.

– ჯერ არა. გამოძიება მუშაობს.

– ვინ იყვნენ ამ საკანში?! – სხვა ხმა იყო.

– ეს საკანი დროებით ცარიელი გახლდათ.

– სხვა პატიმრებს თუ შეეძლოთ ამ საკანში შემოსვლა?

– პრაქტიკულად არა. ისე... თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია. გამოძიება დაადგენს. შეიძლება „პრაგულკაზე“ ყოფნის დროს შემოიპარნენ.

– გარედანაა გათხრილი თუ შიგნიდან?

– ამ ეტაპზე ძნელია თქმა. გამოძიება დაადგენს – დაბეჯითებით ამბობდა ელიოზ ვანაძე და წამდაუნუნ საათზე იხედებოდა. აქაოდა, ქვეყნის საქმე მაქვს, ჟურნალისტებთან ამდენი დრო რომ ვხარჯო, ვინ მოუვლის ამხელა ციხესო.

ელიოზის არაჩვეულებრივ სიფხიზლესა და მაღალპროფესიონალიზმში ღრმად დარწმუნებული ჟურნალისტები შთაგონებული სახეებით გარბოდნენ ციხის გასასვლელისაკენ, რათა მოქალაქეებისთვის ციხის უფროსის ახალი გამირობის ამბავი ეცნობებინათ.

ზედმეტად ცნობისმოყვარე მკითხველის გასაგონად (აქ მოთხრობილის სიზუსტეში ეჭვი რომ არ შეეპაროს) დავსძენ: მეოცე საუკუნის უკანასკნელი წლის თორმეტი დეკემბერი იყო.



## პრეპერვატივზე უფრო მნიშვნელოვანი

ტელედიქტორმა მოხულიგნო პარლამენტართა მუშტიკრივზე, მადაგასკარის დედაქალაქ ანტანანარივუს მერის არჩევნებზე, იაპონიის მექრთამე ვიცე-პრემიერის სასამართლოზე და ჩასახვის სანინაალმდეგო აბების საიმედოობაზე სიტყვა რომ დაამთავრა, სხვათა შორის, მოაყოლა; „დღეს ორთაჭალის რაიონული სასამართლოს აღმასრულებელმა ბინიდან გამოასახლა ცნობილი ქართველი მხატვრები – მანანა და გივი კაკაბაძეები. იხილეთ ჩვენი კორესპონდენტის, მაკა მღებრიშვილის სიუჟეტი“:

ეკრანზე გამოჩნდა ძველი, თბილისური ეზო. ეზოში, ონკანზე, კედლებზე, საპირფარეშოს კარებზე და შეშის ჯიხურზე უამრავი ნახატია მიფარებულ-მიყუდებული.

დახვეულ კიბეზე გაფითრებული ჭაღაროსანი ქალი ზის და ამბობს:

– რა არის ეს, რა ვქნათ ახლა... ხომ უნდა გავეფრთხილებინეთ, რაღაც ხომ უნდა შემოეთავაზებინათ... სად წავილო ეს ნამუშევრები... რა არის ეს...

ცოლ-ქმარ კაკაბაძეებს შორიდან ვიცნობ, საშემოდგომო გამოფენებზე მათი თითო-ოროლა ნახატიც მინახავს. სწრაფად ჩავიცვი და შესახლება-გამოსახლების სამინისტროში გავვარდი.

მინისტრს უცხოელები ჰყავდა.

თუ სასწრაფო არ არის, ხვალ მობრძანდითო, მდივანმა.

სასწრაფოა და მერე როგორი-მეთქი.

მაშინ, სანამ გათავისუფლდება, ცდა მოგიწევთო.

ველოდები.

აღელვებული ჩანხართ, ხომ არაფერი მოხდაო, ყურადღებთანმა მდივანმა.

მეტი რაღა უნდა მოხდეს; მხატვარი კაკაბაძეები ბინიდან გამოსასხლეს-მეთქი. ტელევიზიამ ახლახან გამოაცხადა-მეთქი.

მოსაცდელში ტელევიზორი ჩართული გახლდათ.

ტელევიზორი ჩართული მაქვს, მაგრამ მხოლოდ შიგადა-შიგ ვუსმენო.

არიან, იცით? ასეთები. შეუძლიათ, უცქირონ ტელევიზორს და არ უსმინონ. რა ბედნიერებაა.

ლამდებოდა. მინისტრმა ოთხი ერთნაირად გამხდარი, ოთხივე სათვალისანი და „დიპლომატიანი“ მოხელე გამოაცილა „ველკამ“, „გუდ ბაი“, „ოკეი პლიისებით“ და შემობრუნებულმა ტკბილად ჩამომართვა ხელი.

ხომ არ წავუხტებოდი და კაბინეტში ხომ არ შევყვებოდი.

მდივანმა ყავის ლამბაქები გამოიტანა, ერთხელ კიდეც შევიდა და შებრძანდითო, გამიღიმა.

მინისტრი კმაყოფილი ჩანდა უცხოელთა ვიზიტით.

დიდებული საქმე კეთდებაო.

კონტრაქტზე ვმუშაობთ, თბილისში დარბაზს გვიშენებენ მუდმივი ექსპოზიციისთვისო.

ცუდ დღეში გვყავს მხატვრებიო. თქვენ, მწერლები, ასე თუ ისე, ახერხებთ წიგნის გამოცემას და მხატვარმა თავისი ნახატები თუ არ გამოფინა, როგორ უნდა გააცნოს ქვეყანას თავიო.

მხატვრებზე გამახსენდა-მეთქი, იცით თუ არა, რომ დღეს მანანა და გივი კაკაბაძეები ბინიდან გამოსასხლეს-მეთქი.

მშვიდად მომისმინა. შუბლზე, რომ იტყვიან, ნერვიც არ შეტოკებია.

მაგათი ბრალია, ბატონო რეზოვო. ეგ საქმე ჩემამდე დაინყო. მე არ ჩავრეულვარ, მაგრამ არც ეგრეა საქმეო. თქვენ, ალბათ, როგორც პარლამენტის წევრს, თავი შეგაცოდესო. ხუთჯერ მივეცით წინადადება, მოეძებნათ სადმე ბინა და გასულიყვნენ. გაჯიუტდნენ. არ ჰქნეს. მანანას მამიდა მარ-

ტოხელა ქალია. სამოთახიანში ცხოვრობს საბურთალოზე. ხომ შეეძლოთ, იქ გადასულიყვნენო. ამ ბინაში ხომ დროებით შევასახლეთო.

მერე? რა საჩქარო იყო მაინცდამაინც ახლა, ასე უნაუნა გამოსახლება-მეთქი, შევბედე კითხვა.

თქვენგან მიკვირს, ბატონო რევაზ, მწერალი ბრძანდებით, ოთხ თვეში ბიკენტი ცაგარელის დაბადების 175-ე წლისთავი სრულდება. 150-ე წლისთავზე ვერ გავუხსენით სახლ-მუზეუმი, ვერც 175-ზე გავუხსნათო?

ბიკენტი ცაგარელი რომ ცოცხალი იყოს, როგორ ფიქრობთ, დათანხმდებოდა მისი სახლ-მუზეუმის გამო ცოლ-ქმარ კაკაბაძეების ქუჩაში გამოყრას-მეთქი?

ვერ გეტყვითო.

მონყალეო ხელმწიფევე, თქვენ მთავრობის წევრი ბრძანდებით, ახლავე მიიღეთ ზომები, აანრიალეთ მერია, კანცელარია, პრეზიდენტი... უღმერთობა უფრო შორს ვერ წავა, კაკაბაძეები ღია ცის ქვეშ, კიბეზე სხედან-მეთქი.

ვეცდები, მაგრამ მიეჭვება, რამე გამოვიდესო.

რა დაგვემართა, როგორ გავუცივდით ერთმანეთს. დღეს ტელევიზიამ ანტანანარივუს მერის არჩევნებს და პრეზერვატივებს უფრო მეტი ყურადღება დაუთმო, ვიდრე მხატვარ კაკაბაძეების გამოსახლებას-მეთქი.

ტელედიქტორის დანაშაულებრივ გულგრილობაზე სამართლიანად გაბრაზდა მინისტრი. ულვაშს ქვედა კბილებით წინკნა დაუნყო. პირ-თვალებიდან სულ ცეცხლი ჰყარა.

ადამიანის ბედი არ ანუხებთო. საიდან მოვიდნენ, რა ჩითილებში გამოზარდეს ეს ცივისსხლიანი სნობებიო.

...მივაბიჯებ კაკაბაძეების (ან უკვე ცაგარელის) ნაბინავარისკენ.

თუ ხელისუფლებამ დღესვე არაფერი იღონა, ჩემთან გადმოსვლა უნდა შევთავაზო. ჩემს ქერქვეშ შევიფარებ, დავეტევიო როგორმე.

მე ჩემსას ვეტყვი, მაგრამ ეჭვი მეპარება, დავითანხმო.  
ამაყი ხალხია. ვერ შეგანუხებთო, მეტყვიან.

ვფიქრობ, ამ ფიქრით და ჩემი თავის კმაყოფილი ვარ, რომ  
თურმე, შემძლება, გაჭირვებაში ჩავარდნილს ხელი გავუ-  
ნოდო, ჭერქვეშ ადგილი გავუნანილო.

...და თუ თანახმანი აღმოჩნდნენ ჩემთან გადმოსვლაზე?

ცოლ-ქმარი კი... დავეტყვით როგორმე... მაგრამ ე ნახ-  
ატები სად დავტოვო?



## პარლამენტარი ბიჭუნები

პარლამენტის პატარა ბუფეტში (მეხუთე სართულზე) ვზი-  
ვარ და ჩაის ვსვამ. შემოვიდნენ ორნი. სახეზე ვიცნობ. შუა  
რიგში სხედან ხოლმე. მაღლები, გამხდრები, სათვალოსანნი.  
ერთმანეთს ჰგვანან კიდეც. თითო „ოლივიე“, ორ-ორი კარ-  
ტოფილის ღვეზელი, ერთი „ნაპოლეონი“ და ორი ჭიქა ჩაი  
ჩამოდგეს ჩემ წინ. არც მომსალმებიან, არც უკითხავთ: შეი-  
ძლება თუ არა, თქვენთან ჩამოვჯდეთო. დანყებულ საუბარს  
აგრძელებენ, თან საუზმობენ. განსაცვიფრებელი მხოლოდ ის  
არის, რომ საოცარი სიზუსტით აქვთ განანილებული ჩაის  
თითო ყლუპსა და თითო ლუკმას შორის დიალოგების ულუ-  
ფა, ერთი რომ მოსვამს, მეორე ამბობს, მეორე რომ ღვეზელს  
ჩაკბერს, პირველი პასუხობს. ცოტა არ იყოს ხმამაღლოდ  
და ძალაუნებურად ვუსმენ ორი მოწიფული ვაჟკაცის, ორი  
პარლამენტარის საუბარს:

- ეგ მარაზმია.
- მარაზმია, აბა რა არის.
- საკომიტეტო იყო?
- ჯერ ფრაქციაზეც არ ყოფილა.
- მეოთხე პუნქტი მთლიანად ბლეფია.
- რასაც შარაბაძე ითხოვს? ეგეც მარაზმი არ არის?
- მარაზმია.
- ნორვეგიული მოდელიო...
- სუფთა ნორვეგიულიც არ არის.
- უნდა განახევრდეს?
- მეტი რალა უნდა განახევრდეს.
- ეგეც მარაზმია.
- მარაზმია, აბა რა არის.
- პირველ მოსმენაზე მიღება დავამუღამე.

- ?!
- ერთი შტერი ოპოზიციონერი და მისი ჯანი.
- რომელი?
- რომელიმე, სულერთია ერთნაირი ახვრები არიან. შესვენების დროს სხვათა შორის უნდა ჩაუგდო, ესა და ეს პუნქტი ხალხისთვის საზიანოა-თქო, მაშინვე ავარდება.
- მერე?
- ავარდება და იტყვის მიკროფონთან; ეს პუნქტი უნდა ამოვიღოთ, ხალხისთვის მტრული პუნქტიაო.
- რომ დაამტკიცოს?
- დაამტკიცოს არა. იქ არ არის თავმჯდომარე? თუ ოპოზიციონერი იტყვის კარგიაო, ზნაჩიტ ცუდი ყოფილაო დაასკვნის თავმჯდომარე და უნდა ჩავარდეს. თუ ოპოზიციონერი იტყვის, უვარგისიაო, არიქა რალაცაში ვტყუვდებითო და უმრავლესობა ერთხმად ღებულობს.
- ეგ ეგრეა.
- მთლად ეგრეც არ არის. ხომ ნახე ინჯია გამოგვინკნეს ხელიდან.
- ინჯიას დაჭერა, მე მგონი, ჟვანიასაც არ უნდოდა.
- არ დაიჯერო. ხომ ნახე, უმრავლესობის მაგივრად მრცხვენიაო, ბოლოს თქვა.
- კარგი რა. თქვა და შენც ჭამე? ჯერ ერთი ლუბოი გადანყვეტილების მიღება შეუძლია – დამუშავებული, ნაცადი მეთოდით: შესვენება, უმრავლესობაზე კენჭისყრა, თუ ხმები აკლია, სათადარიგოების დამატება და მისი ჯანი.
- სათადარიგო რას ჰქვია?
- ვერა ხედავ? მთელი კატალოგი უდევთ. ვინც არ ესწრება იმათი მოწმობის დუბლები მზადაა. გაუშვებენ ხოდში და მორჩა...
- ხვალ კორუპციაზე შემოდის.
- მარაზმია.
- ეგეც მარაზმია?

- აბა ეგ არი თუ არი მარაზმი. რისი კორუპცია, რა კორუპცია ტო. გამოკითხვას დავინყებთო, აზრზე ხარ? მთელი მსოფლიო სიცილით მოკვდება.
- რა არი სასაცილო?
- შენ შეგიძლია დაამტკიცო ეგ პიჯაკი საიდან იყიდე? რა შემოსავლით შეიძინეო. კრეტინიზმი არ არი? ეკლიან ლობეზე შერჩენილ მატყლს ვაგროვებო, რომ გიპასუხოს? ახლაო, წერილებს დავაგზავნიოთ და ხალხი თვითონ დაასმენს ერთმანეთსო.
- ოცდაჩვიდმეტს იწყებენ რალა.
- ჯერ ერთი, რა გამოკითხვა უნდათ. აბსოლუტურად ყველა მოქალაქე კორუმპირებულია, მა რა არი.
- საიდან?
- საიდან და წინიდან. რომელი ცხოვრობს აბა მითხარი თორმეტ ლარზე. ყველანი ვიპარავთ. ყველანი რალაცას ვჩირთიფირთობთ.
- თუ ეგრე მიუდექი კი...
- შენ როგორ ფიქრობ. შვიდი წელია თურქეთში დენს ვყიდდით და დღეს გაიგეს?
- კაცო, ვინმესგან ხომ უნდა დაეწყოთ.
- მერედა, ვისგან დაიწყეს.
- მაგას რა მნიშვნელობა აქვს.
- მნიშვნელობა როგორ არა აქვს.
- ჯაბა, როცა მჭირდება, ჩემი მეგობარი და თანამებრძოლია, თუ აღარ მჭირდება, ქურდი და ყაჩაღია. როცა ჩემი ძმაკაცია, მეორე კაცად დავსვამ, თუ მომწყინდება, ქურდად გამოვაცხადებ და ციხეში გაუშვებ!
- ა, ეგ არი მთელი ლოგიკა ჩვენი ცხოვრების.
- ჩვენც ვართ რა.
- მე, არაფერიც არა ვარ.
- კარგი ერთი, შენც კარგად ბრუნავდი კარუსელზე არჩევნების დროს.

- ეგ სულ სხვა ამბავია. ეგ ამბავი ჩამთავრდა.
- არაფერიც არ ჩამთავრებულა. მრცხვენია ქუჩაში გასვლა. რამდენი ვატყუეთ ეს ხალხი. კიდე ბევრს გვითმენენ...
- გამყრელიძემ და გაჩეჩილაძემ თავს უშველეს.
- ან უშველეს და ან არა.
- წავედით?
- მაიცა, მაიცა დღეს მე ვიხდი.
- შენ ხვალ.
- კიდევ ხვალ: აღარ მოვიდა ჩემი რიგი?
- მოვა... მოვა...

\* \* \*

ისევ ისე ლაპარაკ-ლაპარაკით გავიდნენ, როგორც შემოვიდნენ.

მკრთალად განათებულ რუხ მოაჯირზე ნაცრისფერი მტრედი გადი-გამოდის.

შეჩერდება, პარლამენტის აღმართზე დაკიდებულ მანქანებს ჩააჩერდება და ისევ გადი-გამოდის პატარა სასაცილო მტრედული ნაბიჯებით, შავ ბოლოს მოხდენილად მიიქნევს და ლამაზ თავ-ნისკარტს წინ მიისვრის...

ვწრუპავ გაცივებულ ჩაის და ისევ იმ პარლამენტარ ბიჭებზე ვფიქრობ:

ღმერთო ჩემო, რამდენი რამ იციან ამ ბავშვებმა.

## მხსნელი

ფრანკფურტის აეროპორტს ნანვიმარზე თხელი, გამჭვირვალე, გაცრეცილი ნისლი ასდიოდა.

ულამაზესი სანახავი იყო, ნისლს რომ უეცრად გაკვეთდა უზარმაზარი ვერცხლისფერი თვითმფრინავი, ერთ წუთს ისრიალებდა შასებით შავად დახაზულ, სველ, საფრენ ბილიკზე, მერე ერთბაშად მარჯვნივ შეუხვევდა და გიგანტური იხვების მსგავსად თავაღერილ სხვა საჰაერო ხომალდს მტკავლის სიზუსტით ამოუდგებოდა გვერდით.

საპრასიიდან თვითმფრინავი დროულად ვერ გამოფრინდა. სამშეროვიჩის თუ მეტი არა, ორი საათი მაინც უნდა ეცადა. წუხელის ცუდად მეძინა, იქნებ თვალი მოვატყუოო, გაიფიქრა, ჯიბიდან შავი ნარმის სათვალე ამოიღო, თვალეებზე მიიფარა, სავარძლის ღილაკს თითი დააჭირა, მაგრამ სავარძელი წინ წამოვიდა. სათვალის მოუხსნელადვე მოძებნა მეორე ღილაკი და სავარძელი უკან იმდენზე გადასწია, რამდენიც სურდა.

ძილბურანში იყო სამშეროვიჩი მხარზე ხელი რომ იგრძნო. წარბის სათვალე აინია და წამოდგა. წინ უნივერსიტეტელი ამხანაგი პანი ვაცლავი ედგა. ვაცლავის გვარი ვერაფრით ვერ გაიხსენა.

- საით გაგინწევია? - ჰკითხა ნაცნობმა, რაკილა შეიტყო, რომ სამშეროვიჩი ჯანმრთელად იყო და არც რაიმე საოჯახო პრობლემამ აწუხებდა.

- საპრასიაში მივდივარ, - სამშეროვიჩმა ნარმის სათვალე მოკუჭა და პიჯაკის მარჯვენა ჯიბეში ჩაიდო; იქ სადაც სანთებელას, საღეჭ რეზინს და სავარცხელს ვინახავთ ხოლმე.

- მოიცა, სად არის ეგ საპრასია?

- კავკასიაში, - არცთუ მთლად მშვიდად მიუგო მგზავრმა.

- იქ ხომ სროლებია, ომი გინდა ახლა შენ, მორდებს?

– არ მომასვენა კლინტონმა, თვარა რისი საპრასია, რა საპრასია თუ ძმა ხარ. რა მესაპრასიებოდა. ჩადი ერთი თუ კაცი ხარო. რვა წელიწადია წელიწადში ორას მილიონს ჩემდა წილად მე ვაძლევ, ასე გერმანია, თურქეთი და საფრანგეთი... სად მიდის ეს ფული ვერ გევიგეთ. უკან-უკან მიუღიეთ საქმე. ლამის ჩვენც გაგვაკოტრონ, თვარა საპრასიას ვინ ჩივის. დანაიდების ქვევრად გვექცა ეს ქვეყანა. ვერ გოვუგეთ ვერაფერიო.

– მერე შენ? მერე სროლა?

– სროლა არ არი იქნა. პატატვრანი სროლები იქნება, რასაკვირველია, მარა მე სროლის ადგილებიდან შორს დევიჭერ თავს.

– მთლად ყრუანჩელა ხალხია ვითომ?

– რავა ატყობ, ყრუანჩელა იქნება ხალხი, რომელიც წელიწადში თითქმის ერთ მილიარდ დოლარს უგზოუკვლოდ აქრობს?

– შენ რა უნდა გააკეთო?

– არ იცი ჩემი ახალი ხელობა?

– არა?

– მე ხომ ეკონომიკის „შოკური თერაპიის“ მამად ვარ ცნობილი მსოფლიოში: ერთს გადავხედავ საპრასიას და არ მინდა მეტი. ხელათ გამოვუნერ რეცეპტს.

მობილური აკაკანდა.

სამშეროვიჩმა ლურჯი საკვოიაჟიდან „მოტოროლა“ ამოიღო და ნომერს რომ დახედა, სახე მოელრუბლა.

– ჰო... არ გავფრენილვარ ჯერ... მაქვს, მაქვს... ვიცი ყველაფერი... ა? აბა, რას ვიზამ, არის ახლა ეგ სატელეფონო ლაპარაკი? – წითელ ღილაკს ჩვეულებრივზე უფრო ღონივრად დააჭირა ხელი და გაიფიქრა: „როდის დადგება ის ბედნიერი დღე შენს ხმას რომ ვერ გავიგონებ“.

პანი ვაცლავს გაუღიმა და თვალი ჩაუკრა:

– სიდედრი.

...საპრასიის აეროპორტში სამი ჰალსტუხიანი მამაკაცი ელოდებოდა. ახალგაზრდები იყვნენ. ერთმანეთს ძმებვით ჰგავდნენ. ინგლისურს ჩინებულად ლაპარაკობდნენ. საუბრის დროს ერთმანეთს აცლიდნენ და მეორე პირველის ნათქვამს არც აგრძელებდა და არც აღრმავებდა. თითქოს მისი კოლეგის ნათქვამი არ მოუსმენია, სრულიად ახალ თემაზე იწყებდა საუბარს. თავი სახელმწიფო კანცელარიის ექსპერტ-ინსტრუქტორებად გააცვენეს. სახელებიც უთხრეს – მალხო, ვახო და რაფო, მაგრამ რომელი სახელი რომელს ერქვა, არ დაუკონკრეტებიათ. ექსპერტთა ნაამბობში სასონარკვეთა იგრძნობოდა: რა ღონეს არ მივმართეთ, მაგრამ, თითქოს, ჯადოსნური თოკით ვართ დაბმულიო. ვერ იქნა და ვერ გამოვაცოცხლეთ ეკონომიკა. ბიუჯეტს წელიწადში სამჯერ ვამტკიცებთ, მაგრამ სეკვესტრი ვერ გვშველისო. ვბუქსაობთო. დავიბენითო. ახლა თქვენი იმედი გვაქვსო. შოკური თერაპიის მეტი არაფერი უშველის ჩვენს ჩაჯ...ულ საქმესო.

სამშეროვიჩი ყავას წრუპავდა, ხოლო კონიაკით შიგადაშიგ ენას ისველებდა. საათ-ნახევარს ისხდნენ „მეტეხის“ ჰოლში და სტუმარს „ვიცის“ მეტი არაფერი უთქვამს. „ვიცი... ვიცი... უკვე მაცნობეს... ინფორმირებული ვარ... ვიცი... ვიცი... ვიცი... ტიპური სურათია...“ ა, ეს იყო სამეულთან შეხვედრის დროს სიტყვათა მთელი წყება იმ საათ-ნახევარში მორდებ სამშეროვიჩმა რომ დახარჯა.

ვინ მოთვლის, რა ქვეყნები გადაურჩენია ეკონომიკური კატასტროფისგან სამშეროვიჩს თავისი შოკური თერაპიით. სამშეროვიჩზე მსოფლიოში დიდი რიგი იდგა. რაც დრო გადიოდა, სასწაულთმოქმედ ეკონომისტზე მოთხოვნილება იზრდებოდა. მას ელოდებოდნენ არა მარტო რევოლუცია და სამოქალაქო ომგადატანილი ქვეყნები პოსტკომუნისტურ სივრცეში, არამედ აფრიკისა და აზიის განვითარებადი, ნახევრადგანვითარებული და სრულიად განუვითარებელი სახელმწიფოებიც. ფანჯარასთან მიმსხდარ პრეზიდენტებს და

პრემიერ-მინისტრებს გული ელეოდათ, სანამ სანატრელ ცნობას მიიღებდნენ იმის შესახებ, რომ შოკური თერაპიის ოსტატმა მათი ქვეყნისკენ ჰქნა პირი. კლინტონი რომ არა, სამშეროვიჩს ჩვენ ვინ გვალისებდა. სად ეცალა ეკონომიკის ჯადოქარს პატარა საპრასიისათვის. სამშეროვიჩის ჩამოყვანა ჩვენ ადრეც შეგვეძლო, მაგრამ ჩრდილოვანი ეკონომიკის (არ გაძღა მათი მუცელი) წარმომადგენლები გვიშლიდნენ ხელს. ვეტყოდით კლინტონის ცოლისძმებს და სამშეროვიჩს კი არა, თვით მამალმერთს ჩამოგვიყვანდნენ საპრასიაში. ახლა, მადლობა ღმერთს, ცოლისძმების შეწუხება აღარ დაგვჭირდა. ამერიკის პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით ჩაგვახუტა სამშეროვიჩი. ჯერჯერობით სამშეროვიჩის პრაქტიკა-ვოიაჟი ეკონომიკურად გაჩანაგებულ ქვეყნებში იყო 39-0, რასაკვირველია მორდების სასარგებლოდ. ყოვლისმხედველი ურია ჩავიდოდა შიმშილისგან გაძვალტყავებულ ქვეყანაში, ზღაპრის დირიჟორით ერთი აიქნევდა შოკური თერაპიის პულტს და მეორე დღესვე დაიწყებდა ნაღმა ბრუნვას იმ ქვეყნის ეკონომიკის დაჟანგული, ობმოდებული ბორბალი. წამოვიდოდა სიუხვის და სიმდიდრის მდინარეები. სახელმწიფო გაცოცხლდებოდა. ხალხს ფერი მოუვიდოდა. ღიმილის შუქი ჩასახლდებოდა მოქალაქეთა თვალებში. ნომრისკენ რომ მიაცილებდნენ, მგონი, მალხომ (თუ რაფომ, შეიძლება ვახომაც, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს) დაუმაღავად აუწყა: თქვენ მოგენიჭათ ეკონომიკის საკითხებში საპრასიის პრეზიდენტის სრულუფლებიანი და საგანგებო მრჩევლის სტატუსი. პრეზიდენტთან შეხვედრას ხვალ დილითვე ისურვებდით?

– გთხოვთ, სამი დღის შემდეგ დანიშნოთ შეხვედრა მის აღმატებულებასთან. დილიდან ქვეყანას უნდა გადავხედო. ვითარებაზე ზუსტი წარმოდგენა უნდა მქონდეს.

– კეთილი, – ნამდვილად რაფომ უთხრა, – თქვენთან ამ საათნახევრიანი შეხვედრით, რაც ჩვენთვის ფრიად სასარგებლო იყო, სამივე შევეცადეთ რომ გაგვეცნო თქვენთვის

საპრასიის ეკონომიკის სავალალო მდგომარეობა. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ჩვენს შველას?

– მეტი რა მოხელე ვარ, ვახო, – რაფოს მიმართავდა სტუმარი, მაგრამ ამჯერად არც რაფოს და ვახოს (და მით უმეტეს მალხოს) არ სწყენიათ, – თქვენისთანები ამომიყვანია და გადამირჩენია?

– აგაშენათ ღმერთმა! – სამივეს ერთად წამოცდა.

ნომერში რომ შევიდა და საკვოიაჟი ტელევიზორთან მოისროლა, მაშინ მიხვდა სამშეროვიჩი, რომ მთელი დღე, მისთვის სრულიად აუხსნელად, დაძაბული იყო. „თქმა არ უნდა, უჩვეულო ქვეყანაში ვარ. სხვა ქვეყნებში განგებ მიმაღავდნენ ეკონომიკის რეალურ სურათს, ესენი კი ზედმეტად გულახდილები და ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოებიც კი ჩანან. ან, რაც უფრო საშიშია, იქნებ განგებ გაჩვენებენ თავს ასეთებად! ყოველ შემთხვევაში, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გავიმარჯვებ. სამშეროვიჩის ცოდნა და გამოცდილება თავისას გაიტანს...“ ფიქრობდა „შოკური თერაპიის“ რჯულმდებელი და მეტეხის ფანჯრიდან ნარიყალას გაღავანში კოხტად ჩამომჯდარ, რომან გვენცაძის მიერ აშენებულ ეკლესიას შესცქეროდა.

სახელმწიფო კანცელარიის სამი მოხელე კი იდუმალი სრი-ალით ნარნარად, ულამაზესად დაშვებულ მინის ლიფტში ერთმანეთს მდუმარედ შესცქეროდა. ლიფტი რომ გაჩერდა, სანამ კარი გაიღებოდა, ერთ-ერთმა მათგანმა შეთქმულივით ამოილაპარაკა.

– აზრზე არ არის.

დანარჩენებს არაფერი უთქვამთ. დუმილი ყოველთვის როდია თანხმობის ნიშანი, მაგრამ, ამჯერად, ნამდვილად იყო.

ეკონომიკის მხსნელმა „ქვეყნის გადახედვა“ ოქროს მომპოვებელი ფაბრიკიდან დაიწყო. საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში დაბეჭდილ სურათს „მანუფაქტურა“ წააგავდა საამქრო. რამდენი დანადგარი ქმენა-დგანდგარით დღვე-

ბავდა ოქროგარეულ მიწას და ცხავში „პირველადი ოქროს“ კრისტალები ცვიოდა. კრისტალები გიგანტურ ღვედებზე დამაგრებული საცრებით გადიოდა ფარდაჩამოფარებულ საამქროში, ჩამოსხმული, პირდაპირ სანყოფნა-სეიფში მიჰქონდათ.

მუშიდან დანყებულ ყველა საამქროს გამგეს ჰკითხა სამშე-როვიჩმა; ამიხსენით ვინ არის ამ ფაბრიკის აქციების პატრო-ნი, სად მიდის გამოშვებული პროდუქციაო (ამ შემთხვევაში ოქრო), მაგრამ ვერავინ „აუხსნა“. არავინ არაფერი იცოდა. ისინი მუშაობდნენ ოქროს მოპოვებაზე, მორჩა და გათავდა. სხვა არაფერი აინტერესებდათ. ბოლოს ფაბრიკის დირექ-ტორის კაბინეტში შევიდა. დირექტორი ხომ თქვენ ბრძანდე-ბითო, ჰკითხა. კი ბატონოვო, არ დაუმაღლავს დირექტორს. ვისია ეს ფაბრიკა, ლოთიანად, ამიხსენი შენ მაინცო. იცით რა, განითლდა დირექტორი, მე წარმოების ხელმძღვანელი ვარ, ეგ კომერციულ დირექტორს ეცოდინებაო. უხმეს კო-მერციულ დირექტორს. ამ უკანასკნელმა ხელეები გაასავსავა, მე ეგ საიდან უნდა ვიცოდე, მე მხოლოდ კომერციას ვარეგუ-ლირებ, ფაბრიკის საკუთრების ცოდნა დირექტორ-მენეჯერს ევალებაო. დირექტორ-მენეჯერმა – მე ერთი სანყალი მენე-ჯერი ვარ, ფაბრიკის მეპატრონეებთან კავშირს გენერალური მენეჯმენტი აგვარებსო. როგორც იქნა იპოვეს გენერალური მენეჯმენტი. თავის საყვარელთან ჩაკეტილიყო სასტუმრო „ორიანტი“ და ისეთი რთული, ინტელექტუალური თამაშით გახლდათ გართული, როგორც გახლავთ ლოტო. გენერალურ მენეჯმენტს სამშეროვიჩის კითხვაზე ბევრი არ უფიქრია; როგორ არ ვიციო, აბა რა ვიცი, ეგ თუ არ ვიციო. ამ ფაბრი-კის აქციების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი 1998 წლის 4 სექტემბერს ავსტრალიის ერთობლივმა ფირმამ „ოჰუაპაპ“-მა შეიძინაო. შეძენის დოკუმენტის ასლი, რასაკვირველია, ფაბ-რიკაში არ აღმოჩნდა. არც შესაბამისმა სახელმწიფო უწყე-ბებმა იცოდნენ რამე „ოჰუაპაპ“-ის მიერ საპრასიის ოქროს ფაბრიკის აქციების შეძენის შესახებ. სამშეროვიჩი კომპიუტ-

ერს მიუჯდა და ორი საათის შემდეგ დაადგინა, რომ არა მარტო ავსტრალიასა და ავსტრალიაში, მსოფლიოში საერთოდ არ არსებობდა ფირმა სახელწოდებით „ოჰუაპაპ“. რაც შე-ეხება შოკური თერაპიის ჯადოქრის ცნობისმოყვარეობას იმ პუნქტში, თუ სად იგზავნებოდა გამზადებული პროდუქცია (ამ შემთხვევაში ოქრო), ეს კითხვაც უპასუხოდ იქნა დატო-ვებული. გახსნის მომენტისათვის სანყოფნა-სეიფში არც ერთი გრამი ოქრო არ აღმოჩნდა.

სამშეროვიჩი ოქროს ფაბრიკაში სადილზე არ დარჩენილა. „ჯიპში“ რომ ჩაჯდა შეშინებულმა მოიხედა უკან, ჩანს ერთხ-ელ კიდევ სურდა დარწმუნებულიყო, ფაბრიკა, რომელიც ახ-ლახან დაათვალიერა, საერთოდ არსებობდა თუ არა.

იქნებოდა ასე ორის ნახევარი, როდესაც საპრასიის დაბორკილი ეკონომიკის აშვების ბოლო იმედი საერთაშორ-ისო დახმარებების და სავალუტო შემონიშნულობების ბანკს მიადგა. უწყების რიგით თანამშრომლებთან საუბარი ცუდად ჰქონდა დაცდილი და პირდაპირ გენერალური დირექტორი-დან დაიწყო: გთხოვთ მომცეთ ცნობები ბოლო ორი წლის გან-მავლობაში ამერიკამ, გერმანიამ, ჩინეთმა, საფრანგეთმა, ინ-გლისმა, იტალიამ, იაპონიამ და თურქეთმა დახმარების სახით ოთხას ოცდაათი მილიონი დოლარი რომ გადმოგირიცხათ, რას მოხმარდა, სად წავიდა, რა ქალაქებს და საწარმოებს გადაურიცხეთ ის თანხაო...

გენერალურმა დირექტორმა ისეთი სახე მიიღო თითქოს დღეში რვა საათი იმიტომ იჯდა თავის კონდიციონერიან ოთახში, რომ ამ შეკითხვას ელოდა და როგორც იქნა ელ-ირსა; ნანატრი შეკითხვა დაუსვეს. სამშეროვიჩს მადლობა გადაუხადა ვიზიტისა და განსაკუთრებით უაღრესად აქტუა-ლური შეკითხვისათვის, მერე უფროს მენეჯმენტ-მოლარეს უხმო და შეკითხვა გაბადრული სახით გაუმეორა. ათიოდე წუთის შემდეგ მენეჯმენტი-მოლარე გაბადრული სახითვე დაბრუნდა და გენერალურ დირექტორს ქალაქი გაუნოდა.

გენერალურ დირექტორს ქალაქისთვის არ დაუხედავს,

ლიმილად-ქცეულმა ისე გადასცა სამშეროვიჩს. სამშეროვიჩმა ქალაქს დახედა და პირკატა ეცა. ამოკომპიუტერებული ქალაქი გოგებაშვილი 12 კეგლიანი შრიფტით იუნყებოდა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამერიკას, გერმანიას, ჩინეთს, საფრანგეთს, ინგლისს, იტალიას, იაპონიას და არც, მით უმეტეს, თურქეთს საპრასიისათვის დახმარებისა ან თუნდაც გრძელვადიანი სესხის სახით ერთი დოლარიც არ გადმოურიცხავთ.

– როგორ არ გადმოურიცხავთ, როცა მე ვიცი, რომ გადმორიცხეს, – ამოიკვნესა სამშეროვიჩმა. ბანკის გენერალურმა დირექტორმა გაბადრული სახით მიუთითა ცნობაზე. – ჯერ ერთი, მეც მევალება ზუსტად მახსოვდეს ჩვენი უწყების საერთაშორისო ოპერაციები, მაგრამ, თუნდაც, მე მეხსიერება მლალატობდეს, მოგეხსენებათ, კომპიუტერის აზროვნების სიზუსტე. გნებავთ, გავიმეოროთ დავალება? პასუხს არ დაელოდა. მოლარე-მენეჯმენტს კომპიუტერისთვის ამოცანა გაამეორებინა. ერთი სიგარეტის მოწვევის განმავლობაში კომპიუტერმა წელანდელი ცნობა უშეცდომოდ გაიმეორა.

სასტუმროში რომ ბრუნდებოდნენ, სამშეროვიჩმა „შვლის ნუკრის“ ქუჩაზე სამსართულიან, ბრწყინვალე არქიტექტურით გამორჩეულ სასახლე-კომპლექსს გააჩერებინა მანქანა. თუ შეიძლება, „ვილლის“ პატრონს ორიოდ სიტყვას ვეტყვიო. იღბლად „ვილლის“ პატრონი შინ აღმოჩნდა. უცხო სტუმარი შინ შეიპატიჟა. ეზოში ორი გარაჟი დალანდა. ღია კარებში ბოლო მოდის „მერსედესი“ ჩანდა. მაღალი ძვირფასქალოვანი დარბაზების ხილვისას სამშეროვიჩი გააოცა მასპინძლის დახვეწილმა გემოვნებამ. საუნა-აუზები, საოჯახო ბარები და გარეულ ცხოველთა ფიტულები რომ დაათვალიერეს, კვლავ მისაღებ დარბაზში დაბრუნდნენ. სუფრა განწყობილი დახვდათ. სტუმარმა მხოლოდ ერთი ფუჟერი შამპანური ისურვა, მაღლობა გადაუხადა მასპინძელს და გამოსვლისას სხვათა შორის ჰკითხა; ათას ბოდიშს გიხდით დელიკატური შეკითხვისათვის, მაგრამ თქვენს ქვეყანაში პირველად ვარ და

გთხოვთ მაპატიოთ, თუ საიდუმლო არ არის, მაინტერესებს, რა სახსრებით შესძელით შეგეძინათ ეს ძვირფასი სასახლე და გადასაადგილებელი თუ სანახავ-მოსასმენი ტექნიკა? მასპინძელს გაეცინა და სამშეროვიჩის თანმხლებთ ირიბად გახედა: „რაა დასამალი? აუხსენით სტუმარს რომ მე სანაძლეოებს ვიგებ“.

სამშეროვიჩს, როგორც იქნა, აუხსნეს, რას ნიშნავდა „სანაძლეოებს ვიგებ“. – აა – გასაგებია, თავი დააქნია მან – „კაზინოში თამაშობთ“. „არა, ბატონო, სანაძლეოს ვიგებ, უბრალოდ, იღბლიანი კაცი ვარ“. – სამშეროვიჩის დაბნეულ სახეს რომ შეხედა, მასპინძელმა აღარ ჩათვალა საჭიროდ ზედმეტი ახსნა-განმარტებების მიცემა. სულერთია, ამას მაინც ვერაფერს გავაგებინებო.

სასტუმროში დაბრუნებულმა სამშეროვიჩმა რაფოს, ვახოს და მალხოს სთხოვა: ხვალ და ზეგ შინ ვიმუშავებ, დილით საპრასიაში ბოლო ორი კვირის მანძილზე ყველა ენაზე გამოცემული ყველა გაზეთი და ჟურნალი მომიტანეთ, მაზეგ კი პრეზიდენტს შემახვედრეთო.

თარჯიმნის შემწეობით ნაკითხულმა ჟურნალ-გაზეთებმა კიდევ უფრო დააბნია სამშეროვიჩი და პრეზიდენტის მოსაცდელში რომ იჯდა, ყოველ შვიდ დათვლაში თავს მარჯვენა მხარეს საეჭვოდ აქნევდა ხოლმე.

მსცოვანმა პრეზიდენტმა მსოფლიო ეკონომიკის გულთმისანი თბილად, მამაშვილურად მიიღო. ყურადღებით გისმენთ, თქვენს სასწაულებრივ შესაძლებლობებზე მელაპარაკე კლინტონი, ველოდები თქვენგან კორექტულ, რადიკალურ, ქმედით წინადადებებსო.

– თქვენი ქვეყანა, – დაიწყო საგანგებო და სრულყოფილებიანმა მრჩეველმა, – როგორც მოველოდი, ეკონომიკამოშლილი ტიპური ქვეყანაა. ყველაფერს გულდასმით გავეცანი. აუშუშავებელი რეზერვები და სასარგებლო მადნეული ბლომად გაქვთ. მცირეოდენი, უმნიშვნელო ცვლილებები დაგჭირდებათ, რომ ყველაფერი ხალხსა და სახელმწიფოს მოხმარდეს.

შოკური თერაპია თქვენთვის პირდაპირ მისწრებაა. უკვე შევიმუშავე თქვენი სახელმწიფოს მხსნელი, სამი საჩქაროდ გასატარებელი პრინციპი.

პრეზიდენტმა ფანქარი მოიმარჯვა.

სამშეროვიჩმა ხმას დაუნია, მიიხედ-მოიხედა და ინდოელი ქურუმით, თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, პირდაპირ უკარნახა პრეზიდენტს სამი მცნება, სამი მხსნელი რჩევა:

„პირველი: სასწრაფოდ უნდა გაირკვეს, ვის ხელშია და სად მიდის ერთ დროს პრივატიზებული, მაგრამ შემდეგ უცხოურ ფირმებზე გაყიდულ საწარმოთა შემოსავალი.

მეორე: დაუყოვნებლივ უნდა გაირკვეს, სად წავიდა უცხოეთიდან დახმარების თუ ინვესტიციების სახით შემოსული თანხა.

მესამე: კაპიკ-კაპიკ უნდა დაუანგარიშოთ ყველა მოქალაქეს უძრავ-მოძრავი ქონება. და, თუ არაშრომითი გზით აღმოჩნდება შეძენილი, დაუყოვნებლივ ჩამოართვათ“.

პრეზიდენტმა სამივე „მცნება“ ჩაინერა და მრჩეველს მადლობა გადაუხადა.

– ახლა, თუ გნებავთ, აგისხნით, ეს ყველაფერი რა ეკონომიკურ შედეგს მოიტანს, – თქვა სამშეროვიჩმა და მეჩხერწვერზე ხელი ჩამოისვა.

– არ არის საჭირო, მაგდენს კი ვხვდები, – გაიცინა პრეზიდენტმა – ახლა, დღეს რაღას მოვასწრებ და ხვალ დილიდანვე შევუდგები თქვენი „სამი მცნების“ ცხოვრებაში გატარებას, – დაბეჯითებით უთხრა საპრასიის ხელმძღვანელმა.

– მე სულ თქვენთან ვიქნები-მეთქი, ვერ დაგპირდებით, – დაიწყო მრჩეველმა, – ხვალ უნდა გავფრინდე. სხვა ქვეყნებშიც მელოდებიან. შორიდან თვალს გადავწვებთ. საქმის კურსში ვიქნები. სამ თვეში ერთხელ სამ-სამი დღით ჩამოვალ და დაგხედავთ. აბა თქვენ იცით, არ დაიბნეთ.

– ცოტა უფრო ხშირად ვერ შეძლებთ? ვთქვათ, სამ თვეში ორჯერ რომ ჩამობრძანდეთ? – პრეზიდენტს თვალელები ათასი ეშმაკი უციმციმებდა, – გვემინია, უთქვენოდ არ დავიბნეთ.

– ვნახოთ, ვეცდები. დაპირებით ვერ დაგპირდებით, სამ თვეში ერთხელ კი ნამდვილად აქა ვარ. ორი-სამი დღით, მეტი ვერა. კარგად ბრძანდებოდეთ.

– კარგად, კარგად... თქვენი იმედი გვაქვს, – პრეზიდენტმა თანაშემწეს სთხოვა, – ბატონი სამშეროვიჩი ჩააცილეთ და ხვალ აეროპორტში მისი გაცილების პრობლემები მოაგვარეთ.

მრჩეველი რომ წავიდა, პრეზიდენტმა სახელმწიფო მინისტრს უხმო.

შოკური თერაპიის „სამ მცნებაზე“ ორივემ გულიანად იხითხითეს.

– ამას ჰგონია, ჩვენ ვერ ვხვდებით, რა ხდება – სიცილსა და სიცილს შუა ამბობდა პრეზიდენტი, – როგორ ხდება, სად მიდის ეს ფული – ესაა თავსატეხად რომ მექცა, თორემ „იდეები“ ისეთი მაქვს, ათას სამშეროვიჩს ეყოფა. ეს საპრასიაა, ჩემო კარგო, ამოუხსნელ საიდუმლოებათა ქვეყანა. ისეთი ნიჭიერი ქურდები და მაქინაციის ოსტატები გვყავს სამშეროვიჩს საფისტონე ჯიბეში ჩაისვამენ. მეტი აღარ შემოუშვა, თუ კაცი ხარ, ჩემთან ეს „თერაპევტი“. ორი თვის მერე მისწერე, შენ მიერ ნაჩვენებ გზას მივყვებით და მეტი რჩევა აღარ უნდა პრეზიდენტს-თქო. როგორც კი ახალი რჩევა დაგვჭირდება დაგიძახებთ-თქო.

საპრასიის დედაქალაქში ღრუბლიანი, გრილ-მშრალი დღე იდგა.

მაღლა ცაში, ეტყობა, ქარი ქროდა, რაკილა ღრუბლები ერთმანეთში ირეოდნენ და ტყვიისფერ ფთილებად იშლებოდნენ გაცრეცილ კაბადონზე.

ლენინის ნაძეგლართან მარტოხელა ბელურა დახტუნაობდა.



## თეორი ყორანი

ორასორმოცდაერთი წლის ყორანი, სახელად „ყოყა“, ატომური ელექტროსადგურის საკვამლე მილზე დაფრინდა.

ყოყას სხვა დროსაც არაერთხელ ჩაუფრენია მილის სიახლოვეს, მაგრამ საკვამურზე შემოსკუპების სურვილი არ გასჩენია, მით უმეტეს, რომ მილზე გაკრული წარწერა სამ ენაზე იუნყებოდა: „სიცოცხლისათვის სახიფათოა“.

რა ბრიყვები არიან ადამიანები, ხომ უნდა ეწეროს გარკვევით, რომ ადამიანთა სიცოცხლისთვისაა სახიფათო და არა ყვავ-ყორანთა სიცოცხლისათვის. ადამიანის მიერ გამოგონილი სისულელე ჩვენს სიცოცხლეზეც რომ მოქმედებდეს, აქამდე გადავშენდებოდით; თუმცა ვინ იცის, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ფიქრობდა ყოყა და კარგა ხანს გაუნძრევლად იჯდა საკვამურზე.

როცა ამოკვამლულმა, მძაფრმა, მყრალმა სუნმა შეანუხა, გაფრენას აპირებდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ერთდარეთხელ ირიბად ჩაიხედა მილში, რასაკვირველია, ვერაფერი დაინახა, გარდა სქელი, ტყვიისფერი, ღრმა ბურუსისა.

მოგიკვდა გამომგონებელი, კაის რას მოიფიქრებდითო, ჩაილაპარაკა ყორანმა და აფრინდა.

ფრენის დროს თვალწინ თეთრი ალამივით აუფარფატდა რალაც, ალბათ, მომეჩვენაო, გაიფიქრა. ფარფატი რომ განმეორდა, თავის ფრთას აღმაცერად გახედა – ფრთები ყარყატის ფრთებივით თეთრი ჰქონდა. რა მემართება, ფრთები რამ გამითეთრაო, გაუკვირდა, მონყვევით დაეშვა ტბაზე და წყლის სარკეში თავის ანარეკლს რომ შეავლო თვალი, გაცუბისაგან სული შეუგუბდა. ყორანი თეთრი იყო ბამბის ქულასავით.

საოცარი არაფერი მომხდარა, რადიაცია ფრინველებზე მომაკვდინებლად, რასაკვირველია, არ მოქმედებს, მაგრამ ყოყა გათეთრებით კი გაეთეთრებინა.

სალამომდე ლერწამ-ლექსებში დაჰყო. თავი უსკდებოდა იმაზე ფიქრით, როგორ აეხსნა თავისიანებისათვის ეს ყარყატული – სულელური სითეთრე, ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა თეთრ ყორნად ქვეყანაზე.

– ყორანს სად არ უხდება შეძვრომა-გამოძვრომა, ლუკმა რომ მოიპოვოს, თეთრი ქათობით არ გინდა ლექს დააცხრე? იმაზე ვიზრუნო, რა ნავგლიჯო ჩემს გაქორებულ თვისტომებს თუ ფრთა-ბუმბულის სისუფთავეზე ვიფიქრო? – უკვიატებდა თავში ყოყას.

მალა აიხედა, ყორნები თავიანთი ბუდეებისაკენ მიფრინავდნენ. მიფრინავდნენ დაღლილნი, გასავათებულნი, უხმოდ, მძიმედ, შარიშურით... მიფრინავდნენ ორორად-სამსამად, თავის საცხოვრისს რომ გაუსწორდებოდა: აბა, კარგად, ხვალამდე, ჩამომძახე დილით, თუ ძმა ხარ, მეშინია, არ ჩამეძინოსო, ეტყოდა თანამფრენს (გნებავთ, თანამოლეშეს) ყორანი, ფრთებს დაკეცავდა და ნარნარად, ირაოთი დაეშვებოდა.

ყოყა აფრინდა, ერთხანს მარტო იფრინა, მერე უბრად, მუნჯურად ფრენა მოსწყინდა და, რაკი ისე ბნელოდა, როგორც შეიძლება ცაში ბნელოდეს საერთოდ, ყორანთა სამეულს შეუერთდა.

ყორნებს მისკენ არ გაუხედავთ, თავიანთ ყორნულ ფიქრებში იყვნენ ჩაძირულნი.

– მონამლულია ყველაფერი. კაიხანია, ორასს გადავმორდი და კუჭ-ნაწლავი ახლა რომ მაქვს, ასეთ ცუდ დღეში მიდღემჩი არ მქონია.

– რა თქვი?

– მონამლულია-მეთქი ყველაფერი. მარნეულში რომ ბადრიჯანი დათესეს, იქ შევრჩი დღეს. ამერიკული თესლი შემოიტანეს. დაექცათ ოჯახი. ნაღვლის ბუმბი აღარ მივარგა.

– არ უნდა გეჭამა, – ჩაილაპარაკა იმ ყორანმა, რომელმაც წელან ჰკითხა რა თქვიო, და გვერდით მფრენი კიდე ერთხელ შეათვალიერა.

– რა ვიცი, ყორნებს მაგარი კუჭი გვაქვს-მეთქი, იმის იმედზე ვიყავი, როგორც ჩანს, თავს უნდა მივხედო. ისე, ნამეტანი უპრაგონოდ და უზომოდ ვიციტ ქამა ჩვენ, ყორნებმა.

– ვინ თქვენ? – ისევ ის ხმა იყო.

– ჩვენ-მეთქი, ყორნებმა.

– მერე და შენ ყორანი ხარ?! – ახალგაზრდა ყორანს ხმა უკანკალებდა.

– აბა, რა ვარ?

– ისემც შენ რა გითხრა. ყველა გზაარეული და ჩამოხეტუბლი ჩვენ რავა გვატენის თავს! – წყრებოდა ახალგაზრდა ყორანი.

ტანმიძიე, დაახლოებით უტულასხმისმქონე ყორანმა აქეთ გადმოინაცვლა, მოკამათეთა შორის ჩადგა და ყოყას ჩახლეჩილ-ჩახრინულად მიმართა:

– წაი, ბიძია, შენს გზაზე.

ყოყა ქარავანს ჩამორჩა, მერე ძირს დაინია და ხევ-ხევ გაფრინდა შინისაკენ.

კუნაპეტ ლამეში ძლივს მოძებნა ბუდე, ფრთები დაკეცა, უზარმაზარ იფნის ტოტებში გაძვრა და ხმელ ნეკერჩხალზე გადაქანჯულად მიმჯდარ თავის თანამეცხედრეს – ყუყას, გვერდით მიუსკუპდა.

– სად ხარ, კაცო, მთელი დღე. აღარ უნდა მეიშალო კლდე-ლრე წანწალი? სამასის გახდები მალე, აღარ გიხდება შუალამეზე ბოდიალი, ვერ უნდა მიხვდე?

– ნუ იკბინები. სად ვიყავი და ვგულაობდი ბოზებში, შენმა თავის გატეხვამ.

– მაგას არ ვნაღვლობ მე, სადაც გინდა, იქ ეგდე, მარა ყორანი ხარ, ოჯახის პატრონი ხარ: დავიძახებ, ან ვინმეს დავაბარებ, დამაგვიანდება-თქვა.

– ძან გაგაგონებდი იმ სიშორიდან. რა ვაჩხავილით შემხვდი. მოხდა რამე?!

– რა უნდა მომხდარიყო. შემჭამეს პირდაპირ, აღარა ვარ ქალი. ბახალების მეტი რა მყოლია, მარა ამნაირი გაუგონრები, ესენი რო არიან, არაფერი მინახავს.

– ვერ ჩაცხე ნისკარტი სამივეს, ვერ ააპუტე კისერზე ბუმბული?

– დეიჭერ კი, ჩემზე ჩქარა დაფრინ-დახტუნაობენ. ამ ვინრო ბუდეშიც აღარ ეტევიან. ერთმანეთს ფრთები დაამტვრიეს. მაინც, მთელი ცხოვრება გეხვენები, ცოტა ფართო ბუდე გავაკეთოთ-თქვა. არ შევიდა შენს თავში.

– რას ჰქვია ფართო ბუდე, რას ყრანტალებ შენ. რავარც სხვები აკეთებენ, ისე უნდა გავაკეთო, მაგას გავხდი ახლა სალაპარაკოდ.

– ვინ გიზომავს, აღარაა ახლა ის დრო.

– რაც შეეხება ვერ დატევას, ამსისხო ყორნების ბუდეში ჩატენვა არ გამიგონია მე. უნაირო ვიციტ ყველაფერი, ამ ბოლო დროს. ბახალა ფრენას რომ ისწავლის, გაფრინდეს მერე თავის გზაზე.

– „თავის გზაზე“, რავარი სათქმელია. შენ გადახვალ დილით და საღამოთი მობრძანდები. მე მთხოვენ საჭმელს, შენ კი არა.

– შენც ნოუყრუე. თვითონ უნდა იშოვონ, ანი.

– რა უნდა იშოვონ თვითონ. თვითონ რისი მშოვნელები არიან, გაკენკილია ყველაფერი. გზაზე ფინჩსაც არავინ აგდებს. მაინც რა ამბავია ამდენი ყორანი. ამდენი მიდღემჩი არ ვყოფილვართ.

ქარმა დაუბერა, მაგრამ ნეკერჩხლის გამხმარ ტოტს ძვრა ვერ უყო.

კარგა ხანს მდუმარედ ისხდნენ.

ყუყა ტოტ-ტოტ გვერდიგვერდ მიინია და მეუღლეს ფრთის სიახლოვეს, მკერდთან თავნისკარტი მიადო.

– აღარ გათავდა შენი ნუნუნნი. სულ უკმაყოფილო ხარ, სულ რაღაც გაკლია. რამდენჯერ მაქვს ნათქვამი; მე ეს ვარ, რაცა ვარ. თვარ მოგნონვარ, ადექი და ნაი სხვასთან-თქვა – მშვიდად, ისეთი სიტკბოგარეული ჩურჩულით ჩაუყურისძირა ყოყამ ცოლს ეს სიტყვები, რომ აშკარად ჩანდა, ამ სიბერეში თანამეცხედრის გამოცვლის სურვილი არ გააჩნდა.

– დეილუბე იქით. რას არ იტყვის შენი მყრალი ენა, – ყუყამაც მოფერებით უთხრა და თავი უფრო შესწია მეუღლის ფრთის ქვეშ.

ასე იყვნენ დილამდე გატრუნულები, ზეზეურად მთვლემარენი.

ხანდახან ირიბი მზერით გახედავდნენ ბუდეს, რომელშიც ჯერ ფრთებგაუმაგრებელ, მაგრამ გიგანტურნისკარტა, ონავარ ბახალებს ეძინათ.

ირიბრაბოზე ყუყამ ქმრის უბეფრთას თავი მოაშორა, ორი საუკუნის ნისკარტით დაამთქნარა, ფრთები გაისწორა და ის იყო, ერთი შემოხედა ყოყას, რომ არაყორნული ხმით დაიჩხავლა:

– უი, დამიდგეს თვალეები!

როგორ არ ახსოვდა თეთრ ყორანს, რა უბედურებაც სჭირდა, მაგრამ ფიქრობდა: რომ გათენდება და ნელ-ნელა თვალს შემაჩვევს, იქნებ, ცოლმა მაინც არ შეიცხადოს ჩემი სითეთრეო.

– რა გაყვირებს, შე ქალო?! – დაუყვავა ყოყამ და ცოლისკენ გახტა.

– ფუი, ეშმაკს, ვინ ოხერი ხარ... თლათ ასე ჩემი ქმრის ხმით რავა მომეპარე ნუხელის... ეს რა მომივიდა! – მოთქვამდა ყუყა.

– ყოყა ვარ, შენი ყოყა – რამდენადაც მის მდგომარეობაში მყოფ ყორანს შეეძლო, იმდენად დამაჯერებლად ეუბნებოდა თანამეცხედრე და რაკი შეშინებული დედაყვავი ტოტიდან ტოტზე ხტოდა, ყოყაც ხტომა-ხტომით მისდევდა, რომ დაწეოდა და თავის სიმართლეში დაერწმუნებინა.

– გადაშენდი იქით, თვარა კივილით ევიღებ აქაურობას! შენ მე უპატრონო ხვარ გგონივარ, შე გათახსირებულო, შენხელა ჩოილარი ჰკივია ჩემს ქმარს. ერთი მოგისწრებდეს აქანა და არაფერი არ მინდა. გაგათრევიებს წელს, რავარც გეკუთვნის, ისე!

– ქალო, მომიცადე, დამელაპარაკე ერთ ნამს, ყოყავარ-თქვა, არ გესმის შენ? მე ჩემი მყოფნის და შენ კიდო ნავთს მიმატებ ცეცხლზე?! მყრალი ტრუბა რო გააკეთეს შარშან-ნინ, რაცხა ატომური სადგურიო. იმ ტრუბაში ჩავიხედე და გავთეთრდი. ა, ესაა სულ. ახლა რავარც გინდა, ისე ჰქენი.

დედა ყორანი გაჩერდა. დააკვირდა. კი, ნამდვილად ჩემი ქმარია, – გაიფიქრა მან, რა სულელი ვარ, ხორკლი ამძვრალ ნესტოებთან, მეჭეჭი მარჯვენა ჭვანგზე... ასე ჰქონდა იმასაც. მოახლოვებულ ყოყას სასონარკვეთილი ხმით შეჰკვნესა:

– ეს აკლდა ახლა ჩვენს გაჭირვებას. რა ჯანდაბამ დაგაჯინა რადიაციის მიღზე... რა გვეშველება, ყოყა?

– რა გეჭირს უსაშველო, შე ქალო. ჯანმრთელათ ქე ვარ ჯერჯერობით, ფრენა და ლუკმის შოვნა შემიძლია, ფერს რა ჭკუა აქვს. მაინცდამაინც შავი უნდა ვიყო?

– ჩემთვის რა... ჩემთვის არაფერი... თუ გინდა, მწვანე იყავი, მარა ბოვშები? კაი, ბოვშები დავარწმუნეთ, ვთქვათ, რომ მათი მამა ხარ... სოფელი? სოფელი როგორ გინდა დააჯერო, რომ შენ ყოყა ხარ? არ იცი, რამხელა ენა აქვთ ყორნებს? ვინ იცის, რა კუდს გამოაბამენ.

– ჩვენ ხომ გვეცოდინება, რომ მე და შენ ვართ და ვინც არ დეიჯერებს, რა ვუყო ახლა, ნუ დაიჯერებს.

– ძალიან მეშინია ამ ამბის მე. გული გლახას მეუბნება, ყოყა. არ გაგირევენ თეთრ ყორანს სხვები. გაგრიყავენ, შარს მოგდებენ, ნერვებს მოგიშლიან.

– არ გამირევენ და ნუ გამირევენ, ვიქნები ჩემთვის... თეთრი ყორანი, რასაკვირველია, ისე დაეჭვებით, შემ-

კრთალი ამბობდა ამ სიტყვებს, რომ თვითონვე არ სჯეროდა, რომ შესძლებდა მარტო, თავისთვის, თვისტომთა გარეშე ცხოვრებას.

\* \* \*

ყუყა მართალი აღმოჩნდა.

ბახალებმა რომ გაიღვიძეს და მათს ბუდესთან დახრილი თეთრი ფრინველი დაინახეს, წამოცვივდნენ, ჯერ უკან მიანყდნენ, მერე ნისკარტ-ჭვანგებით შეუტიეს. თან ჩხაოდნენ და თან თეთრ ბუმბულს აცლიდნენ დაუპატიჟებელ სტუმარს.

თუმცა ბევრი იყვირა ყოყამ; მამა ვარ თქვენი, რამ გაგაგიჟათო, რა ქორებივით მეზღვევინითო, მაგრამ ბახალებს არაფრის გაგონება არ სურდათ, დედაყორანი რომ არ ჩარეულიყო, ყოყას კარგი დღე არ დაადგებოდა.

„ტაიმ-აუტის“ ერთ წუთში, სანამ მამა-შვილთა ორთაბრძოლა განახლდებოდა, ყუყამ მოასწრო ბახალებისათვის ეთქვა, რაც გადახდა ოჯახის უფროსს.

ბახალებმა დაიჯერეს, მაგრამ სამომავლოდ ყოყას მამად ცნობაზე უარი განაცხადეს, კი ბატონო, ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი რამ შეგემთხვა, მაგრამ ჩვენს მამობაზე ხელი უნდა აიღო. ჩვენ მომავალი გვაქვს, ხალხში უნდა გამოვიდეთ, დავცოლშვილდეთ, ვის გავუმხილოთ, რომ თეთრი ყორნის შვილები ვართო.

ბევრი ეხვეწა შვილებს ყუყა, ნუ დავანგრევთ ოჯახს, ჩემი ხათრით, შეურიგდით მამათქვენის სითეთრესო, მაგრამ ვერა გაანყო რა.

გაანებე თავი, თუ არ ვუნდივართ, ნუ ვუნდივართ, როგორც ჩანს, უმამობა ურჩევნიათ თეთრი მამის ყოლას, რომ გაუჭირდებათ, მაშინ გაიგებენ ჩემ ფასსო, – განყრა ყოყა – მე და შენ ბახალა ბევრი დაგვიჩეკ-დაგვიფრენია, კიდევ გვეყოლება, ამათ იკითხონ, ამ უჯიგროებმა, თორემ ჩვენ როგორმე გავიტანთ თავსო.

ამ დროს იფნარს ორმა ყორანმა გადაუფრინა. ისინი ისე დაბლა მოფრინავდნენ, რომ ყოყა მიხვდა, შორს არ აპირებენ, რალაც აქვე ახლოს ეგულებათო.

მართლაც, ყორნები იფნარის ბოლოს, ხევში ჩაექანნენ.

წამიც და იმ ორ ყორანს მარტოხელა ყორანი მიჰყვა, მალე ხევისკენ ყორანთა მთელი გუნდი გაფრინდა.

ყოყამ კისერი წაიგრძელა, ნისკარტი გახსნა, წვრილი ენა ქარს მიუშვირა, აინია და აფრინდა.

ყორნები კანალხევის ბოლოს, ღელის პირს მგლისგან დაგლეჯილ ძროხის ლეშს დასეოდნენ.

ყოყას ლემის სუნმა ცხვირში სასიამოვნოდ შეულიტინა. იქვე, მოშორებით, ქვაზე დაფრინდა და ხტუნვა-ხტუნვით გასწია ლემისკენ. ხტომას ხანდახან ნაბიჯებსაც უნაცვლებდა, მაშინ განსაკუთრებით სასაცილო იყო; კუზიანი,, კოჭლი კაცივით ჩლახუნ-ჩლახუნით უახლოვდებოდა ყორნებით ჩაშავებულ ბალახს.

ძროხას კისრის მხრიდან მიადგა. იქ შედარებით ნაკლებად იყვნენ ყორნები და ნისკარტთა ჩხარაჩხურიც ნაკლებად ისმოდა. მგლის ნაკბილარს დაჰკრა ნისკარტი და ტყავი გამოსწია. დამატლული ტყავი ადვილად მოჰყვა. ნისკარტი მოუნაცვლა და ის იყო ხორცის პირველი, მსხვილი ნაფლეთი გადასანსლა, რომ კეფასთან თითქოს რკინის კეტი დაარტყესო, საშინელი ტკივილი იგრძნო.

თვალეზიდან ნაპერწკლები ჰყარა, ნაბარბაცდა და განზე მიასკდა ძროხის შუბლრქას.

მის წინ ოთხი ყორანი იდგა. ერთ-ერთ მათგანს იცნობდა, ყვაყვა ერქვა. თავზეხელაღებული ვინმე იყო, მაგრამ ყოყასთან ჩხუბი არასოდეს მოსვლია. ყოყამ იცოდა რა მისი მყრალი ხასიათი, თვალში არასოდეს ეჩხირებოდა.

– აბა, მოუსვი ახლა აქედან! – ყვაყვას ამფსონის ამ ბრძანებაში ჩანდა ასეთი მუქარა: „სანამ თავი მთელი გაქვს“.

– რა მოხდა, რა დიდგულზე ხართ?! – უკან არ დაიხია ყოყამ.

– ეტყობა, კარგად არ მოგხვდა წელან. ყრუებისთვის ორჯერ არ რეკავენ. შენი თეთრი, დამპალი ბურღლა არ ვნახო ამ არემარეზე! – ყვავამ თქვა.

– მე შენსას არაფერს ვჭამ, ყვავა, თავი გამანებე, – ნისკარტში გამოსცრა თეთრმა ყორანმა.

– ერთი ამას დამიხედეთ, ჩემი სახელიც სცოდნია, – განზე გაანათა ყვავამ.

– მე შენ არ მიცნობ, ყვავა? – ენა გაუშრა ყოყას.

– „გიცნობ, შენ ყველის ვაჭარი ხარ“.

– მართლა გეკითხები, გაანებე მაგ შექსპირს თავი. მე ყოყა ვარ, ბიჭო. ჩემს ხელში გაზრდილი ბალანე მაგას უნდა მიბედავდე?

– ყოყა-მოყა არ ვიცი მე. ჯერ ერთი, ჩემს ცხოვრებაში პირველად გხედავ და კიდევ რომ გიცნობდე, ლეშთან მაინც ვერ მიგიშვებ. როდის მერე დაიწყეთ თეთრბუმბულოსნებმა ლეშის ჭამა. აკი ამისთვის დაგვცინოდით ყვავ-ყორნებს მთელი ცხოვრება? რაო, მოგშივდათ?

– ყვავა, მე შენსას არაფერს ვჭამ, ლეში ყველასია.

– ვინ ყველასი? ვის ხედავ „ყველას“ აქანა?!

– ყორნების.

– ჰოდა, გამარჯობა შენი. ყორნებისაა, დიახ. ნავიდა ის დრო, ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენს ნაპოვნ ლეშს რომ ყველა ჩაჰკრავდით ნისკარტს.

– მე ყორანი ვარ, ყვავა, – ხმადაბლა, თითქოსდა დაქანებით უთხრა ყოყამ.

– გესმით?! – ხმამაღლა სიცილით გასძახა ყორნებს ყვავამ – ერთი ამას დამიხედეთ, ყორანი ვარო. აღარაა ჩვენი საშველი. ყორანს შენი მინის ბარაქაში გეცილებიან. ყორანი ვარო, ამას ჭკუა უნდა ვასწავლოთ!

ყოყას კიდევ უფრო მაგრად მოხვდა კეფაში ნისკარტი და დააბურბუსალა. ნაქცეულს ჩუმად, მაგრამ გამეტებით, ქშენა-ოხვრით, ნისკარტით და კლანჭებით სცემდნენ. შველას

ითხოვდა, იხვეწებოდა, ნუ მომკლავთ, თქვენი ძმა ვარ, ყორანი ვარო, მაგრამ რაც უფრო ხშირად იმეორებდა ფრაზას თავის ყორნულ წარმოშობაზე, უფრო გულდაგულ, უფრო გამეტებით ურტყამდნენ.

ბოლოს მცემელნი ჩანს, დაილაღნენ. კლდესთან კორტნა-კორტნით მიიყვანეს ყოყა და ჭიტლაყი ამოჰკრეს.

ძლივს, ტკივილ-ტკივილით, მი და მო რწვეით გაფრინდა.

ჯერ თეთრ წერტილად ჩანდა, მერე გაქრა უკიდევანო სილურჯეში.

უკან აღარ დაბრუნებულა.

სად ნავიდა, ან ცოცხალია თუ არა ახლა; ამბის მომტანს ვერავის შევხვდი.



## ნუ ბანიკითხავთ...

მელომან ზაურ ქაშიბაძეს ამბერკი მამარდაძე ბავშვობიდანვე სძულდა. ზაურის ცხოვრება ისე ჩარიხინდა, რომ ამბერკი მამარდაძეს არც კი გაუგია, რომ იგი მელომანს ბავშვობიდანვე სძულდა.

არადა, ეს ბურუსიანი ნუთისოფელი იმდენ პატივს მაინც უნდა გვცემდეს, რომ დროულად შეგვატყობინოს, ვის ვუყვარვართ და ვის ვძულვართ. ბოლოს და ბოლოს, ისედაც ამდენი საზრუნავით დატვირთულები, ამ ერთი თავსატეხიდან მაინც გაგვათავისუფლოს. თორემ რა გამოდის, მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება კაცს ხვდებოდე, ხელს ართმევდე, შეიძლება, შესაძლებლობის შემთხვევაში, ლუდ-სოსისზეც დაპატიჟო და არ კი იცოდე, რომ ჭირივით სძულხარ.

ცამეტი წლის იყო ზაურ ქაშიბაძე, როცა პირველად ნახა ამბერკი მამარდაძე და სიძულვილის პირველი ნაპერწკალი გაუჩნდა გულში.

სტალინის მოედანზე საშვიდნოემბრო ზეიმისთვის ემზადებოდნენ.

ზაურს, კაცმა რომ თქვას, ზეიმის გრანდიოზულ მსვლელობაზე გადამწყვეტი როლი როდი ჰქონდა დაკისრებული. ოვალურ მავთულ-ჩარჩოში ჩასმული მოლოტოვის გრძელტარიანი სურათი ეჭირა.

მავთულზე ტილოპორტრეტი კარგად არ იყო გადაჭიმული. ცხვირის ადგილას იკეცებოდა და რიბენტროპის რისხვას, ნაცადი ბოლშევიკური გვარდიის ნევრს – მოლოტოვს, ცხვირი დამამცირებლად მიჭყლელი ჰქონდა, მაგრამ პორტრეტის ტექნიკურ-შემოქმედებითი მხარე, იმჯერად მეშვიდეკლასელ ზაურ ქაშიბაძის საქმე არ იყო.

მას, იმის შემდეგ, რაც მენავთის დუდუკის მსგავს ძაბრში ცხვირნაყოფილი აქტივისტი, რენო გარუჩავა, საზეიმო ტე-

ქსტს ჩამთავრებდა, პორტრეტ-გრანსპარანტი მალლა უნდა აენია და ხუთას ბედნიერ მოსწავლესთან ერთად ომახიანად უნდა დაეძახა: „არასოდეს!“

დაახლოებით კი არა, ზუსტად ორმოცდაშვიდეჯერ გაამეორებინა ზეიმის ეს ცენტრალური სცენა (აპოთეოზში გადაზრდილი) მოედანს ზარდალიშვილის თეატრის რეჟისორმა – კოკი აბაშიძემ.

ბედნიერი მოზარდები დაილაღნენ, მოშივდათ. ზოგიერთი მოსწავლის კრიტიკულმა გონებამ დაეჭვებაც კი დაიწყო; ღირდა მთელი დღე მოედანზე წინ და უკან გეგლო და რეჟისორის დაძახილზე „სამი, ოთხი!“ ყელის გაგლეჯვამდე დაგეყვირა (ისე, რომ ახლომახლო ბოროტი ბუტბუტ-ჩიფჩიფით „მოსეირნე“ მტრულ ელემენტებს გაეგონათ) „არასოდეს!“

რაც დრო გადიოდა, ზეიმის მონაწილეთა ენთუზიაზმი ნელდებოდა, ხმაში ხაფი და ადრინდელი მრისხანება აღარ იგრძნობოდა.

პოლიტიუროს ნევრთა პორტრეტებს ზოგი მათგანი საჭიროზე უფრო დაბლა სწევდა და არ ვიცი, იქნებ ამ სტრიქონების ავტორს ეჩვენებოდა (ყოველ შემთხვევაში, ეს მისი პირადი აზრია), მავთულ-ჩარჩოში მოქცეული, ხალხზე ზრუნვით გათეთრებული ბელადების თვალებიც დილანდელივით აღარ ციმციმებდნენ.

შიმშილ-წყურვილით პირგამშრალი ზაურ ქაშიბაძე ახლოს ჩავლილ ჰალსტუხიან ბობრქოჩორა კაცს შეეხმინა:

– მასნ., მასნ!

– რა იყო?! – შეჩერდა ამბერკი მამარდაძე.

– მალე გაგვიშვებენ, თუ იცი, სახლში?!

ამბერკი ყურებიანად განითლდა. სიბრაზემ პირთამდე აავსო მისი მეტყველი სახე, მივიდა და დალლილ მოზეიმ-მორეპეტიციეს სისინით უთხრა:

– მოგწყინდა?! მეტი გაძლება არ უნდა გქონდეს?! იცი თუ არა შენ, რომ შენხელა პავკა კორჩაგინი რელსებს ეჭიდე-

ბოდა ორმოც გრადუს ყინვაში. იცი, ვისი სურათი გიჭირავს ხელში? ხარ მაგის ღირსი?! უნდა გამოგართვას და დაგახიოს მაგ სურათი კაცმა თავზე.

აქ ამბერკი მიხვდა, რომ ბოლო წინადადება პოლიტიკურად მთლად გამართული ვერ გამოუვიდა.

ზაურ ქაშიბაძე პიონერად არ ვარგოდა, მოლოტოვი რა შუაში იყო...

და მამარდაძის ფხიზელმა პოლიტიკურმა გონებამ მოსწავლის დატუქსვის გამრუდებული ხაზი მაშინვე გაასწორა – უნდა გამოგართვას კაცმა ეგ პორტრეტი ახლა და სხვას უნდა მისცეს, შენ კი მამაშენის პორტრეტი უნდა დაგახიოს თავზე!

ისევ არ მოეწონა თავისი ნათქვამი ამბერკის.

რა შუაში იყო მამა. ხომ შეიძლებოდა, ამ ზარმაცი ყმანვილის მამა სამაგალითო კომუნისტი ყოფილიყო, – უნდა ჩამოგართვას ეგ პორტრეტი კაცმა და ვნახავ, რას დაიჭერ ხელში შვიდ ნოემბერს!

არც ეს ფრაზა გამოუვიდა მთლად მოსაწონი მამარდაძეს. დღეს რაღაც არ გამომდის ლაპარაკიო, გაიფიქრა, ქაშიბაძეს ბოლოს უსიტყვოდ, უტექსტოდ შეუბღვირა და წინ წასულებს გამოუდგა.

ამ შემთხვევიდან ხუთი თვის შემდეგ ზაურ ქაშიბაძე კომკავშირის ქალაქკომში დაიბარეს – კომკავშირის წევრად უნდა დაემტკიცებინათ. ხუთ თანაკლასელთან ერთად ბიუროზე რომ შეჰყავდათ, გააფრთხილეს, კომკავშირის ქალაქკომის მდივანი, ამბერკი მამარდაძე, რაღაცას გკითხავთ და არ დაიბნეთ, რაც შეიძლება დამაჯერებლად, მაღალი დეურად უპასუხეთო.

მაგიდის თავში მჯდარ ბობრქოჩორა, სანდომიან ახალგაზრდა კაცს რომ შეხედა, მიხვდა ზაურ ქაშიბაძე, რომ სამვიდნოემბრო რეპეტიციაზე მისი საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ დამტუქსველი იყო სწორედ ის ამბერკი მამარდაძე,

ვისაც ამჯერად კომკავშირში მისი მიღება-არმიღების ბედი უნდა გადაეწყვიტა.

ანკეტები რომ წაიკითხეს და კომკავშირში მიღების შესახებ მეოთხე საშუალო სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის გადამწყვეტილება გააცნეს ბიუროს, ამბერკი მამარდაძემ რატომღაც იმ ხუთიდან მაინცდამაინც ზაურ ქაშიბაძეს ჰკითხა:

– ვთქვათ, მიგიღეთ კომკავშირში. სად შეინახავ კომკავშირის წიგნაკს?

– გულის ჯიბეში! – პასუხისთვის ბევრი ფიქრი არ დასჭირვებია ზაურს.

ბიურომ გაიცინა.

– ეგ ვინ გასწავლა? – კითხვა მოუნაცვლა მამარდაძემ.

– არავინ. მე ვიცი, რომ მანდატი მუდამ გულთან ახლოს უნდა მქონდეს. რაც შეეძლო, დამაჯერებლად გამოთქვა ზაურმა.

– შენ ახლავე გვატყუებ და მერე რას იზამ?! – დასერიოზულდა ამბერკი.

– არ გატყუებთ, მასწ., – ცრემლი მოადგა თვალებში ქაშიბაძეს.

– როგორ არ გვატყუებ. მაჩვენე, აბა, სადა გაქვს გულის ჯიბე.

ქაშიბაძეს ყელთან საიმედოდ შეკრული უჯიბო კვართი ეცვა.

– მანდატი რომ მექნება, სულ ჯიბიანს ჩავიცვამ, – ცრემლს ამოაყოლა ზაურმა.

ბიურომ რატომღაც ისევ გაიცინა.

– ნუ იტყუები. კომკავშირელმა ტყუილი არ უნდა იკადროს. სახლში უნდა გედოს მანდატი და თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე. კარგი, ახლა ეს მითხარი, რა გააკეთა პავლე მოროზოვმა?

ზაურ ქაშიბაძე დაფიქრდა. პავლეკ მოროზოვის გმირობა, რა თქმა უნდა, იცოდა, მაგრამ როგორ, რა სიტყვებით

გამოეთქვა ამ პატარა გმირის (სინამდვილეში ნაძირალის) ღვანლი ვერა და ვერ მოიფიქრა.

– მამამისს უშპიონა, – ამოღერლა ბოლოს და ბოლოს და მარჯვენა ფეხსაცმელს დააჩერდა.

ბიურომ კვლავ გაიცინა.

– რა ჰქნა?! – განრისხება და გაოცება ერთოდა მამარდაძის თვალთაგან.

– საკუთარი მამა დაასმინა.

ბიუროს წევრები ერთმანეთში აჩურჩულდნენ.

– მაგრამ სწორად მოიქცა, იმიტომ, რომ... – სიტყვებს ღერღავდა ქაშიბაძე.

– იმიტომ, რომ პიონერი იყო, – ხუთიდან ერთმა იმარჯვა.

– კომკავშირელი რომ ყოფილიყო? – მამარდაძე კვლავ ზაურს შესცქეროდა.

– მაინც ასე უნდა მოქცეულიყო – ისევ იმ ყმანვილმა იპოვა გამოსავალი და თავისი ოთხი თანაკლასელი ბენვის ხიდზე გაიყვანა.

იმ დღეს ქაშიბაძე კომკავშირში მიიღეს, მაგრამ მამარდაძის სიძულვილს მის გულში თუ რამე მოემატა, თორემ მოკლებით არ მოკლებია.

სკოლას რომ ამთავრებდა, ქაშიბაძე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით კონცერტზე გამოსვლის კანდიდატად წარადგინეს. კონკურსი-შერჩევა ძველი თეატრის (ამჟამად ოპერის) შენობაში ჩატარდა. ქაშიბაძემ ჟიურის მოავლო თვალი, ნეტავ, ამბერკი არ იქნებოდესო. რატომღაც ცუდად ჰქონდა დაცდილი. სცენაზე რომ უხმეს, თითქმის აღარ ღელავდა. აკომპანიატორს მუჭში ჩახველებით ანიშნა და დაიწყო: „სიტყვა უნდა ვთქვა ფანდურზე რაიც მინდოდა სათქმელად!“ – პირველი კუპლეტი არ დაემთავრებინა, რომ პარტერში ამბერკი მამარდაძე შემოვიდა და ჟიურის მაგიდას შუა (ცარიელ) ადგილას მიუჯდა. ზაურს აღარც ახსოვს, როგორ დაამთავრა სიმღერა. პასუხისთვისაც არ დაუცდია, ტანი უგრძობდა, სიიდან ამოიღებდნენ და არც შემცდარა.

აი, ასე გროვდებოდა ზაურ ქაშიბაძის გულში პატარ-პატარა წყენები, რაც, რასაკვირველია, ამბერკი მამარდაძეს არ მოეხსენებოდა და არც აინტერესებდა, ვილაც ჩვეულებრივი, ამბერკის უნებურად, მასზე ნაწყენი კაცი.

მამარდაძე თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ზაურ ქაშიბაძე კონსერვატორიაში მოეწყო და პირველი, რაც გაიფიქრა კონკურსში გამარჯვების შემდეგ, ის გახლდათ, რომ თბილისში მოუწევდა ცხოვრება და მამარდაძის ავი თვალისაგან დაისვენებდა.

მაგრამ ზაურ ქაშიბაძის ვარაუდი არ გამართლდა. 1961 წლის პირველ მაისს საპირველმაისო დემონსტრაციაზე უტრანსპარანტოდ გასულმა კონსერვატორიის სტუდენტმა ორჯერ „ვაშა“ და ერთჯერ „ურა“ რომ დაიბლავლა, ტრიბუნისკენ გააპარა თვალი და ელდა ეცა; ტრიბუნაზე „ფუნქციონერ ამხანაგებს“ შორის ამბერკი მამარდაძე იდგა და ზაურს მოეჩვენა, რომ ახალგაზრდობის წინამძღოლი სწორედ მას უცქეროდა ნიშნისმოგებით.

„აქაც ჩემი უფროსია“, უსიამოვნოდ გააჟრჟოლა ზაურ ქაშიბაძეს.

კონსერვატორია რომ დაამთავრა, ზაური მუსიკათმცოდნეობის კათედრაზე დატოვეს, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად განგებ არ მონაწილეობდა, რომ ე მანდ მამარდაძეს სადმე არ გადააჰყოფდა, მაგრამ გარემოებამ აიძულა ისინი, კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ამჯერადაც არცთუ მთლად სასიამოვნო მიზეზის გამო.

ზაურ ქაშიბაძეს მეზობელმა აისორის ქალმა, ლიზიმ, მერომელიდაც ბავშვის მონათვლა თხოვა. ბავშვის მონათვლა იმ დროს კომკავშირელისათვის შეუფერებელ საქციელად ითვლებოდა, მაგრამ ზაური მორწმუნე გახლდათ და მეზობელს უარი ვერ უთხრა.

„სათანადო სამსახურებმა“ ახალგაზრდა ლექტორის მიერ ბავშვის მონათვლის ფაქტი „შესაბამის ორგანოებს“ აცნობეს

და ზაურ ქაშიბაძის პერსონალური საკითხი კომკავშირის ცეკას ბიუროს განხილვის საგნად იქცა.

ბიუროს მამარდაძე თავმჯდომარეობდა. კომკავშირის ცეკას მეორე მდივანი ქაშიბაძის უღირსი საქციელით აშკარად აღელვებული ჩანდა.

– გაგიკვირდათ, ალბათ, ამხანაგო ქაშიბაძე, თქვენს რელიგიურ ცდუნებას ასე ფართო ხასიათი რომ მივეცი. თქვენ რომ ყოფილიყავით რიგითი კაცი, ამ ფაქტს ყურადღებას არ მივაქცევდით, მაგრამ თქვენ მეცნიერებაში მუშაობას აპირებთ, თაობები უნდა აღზარდოთ, შეიძლება საეკლესიო დოგმებით შებოჭილ ცრუმორწმუნე კაცს ახალგაზრდების აღზრდის საქმე ვანდოთ?

ქაშიბაძე ჩუმად იყო. იცოდა, თავის მართლებას ამბერკის წინაშე აზრი არ ჰქონდა. კომკავშირის ლიდერი მისმა სიჩუმემ უფრო გააღიზიანა:

– როგორ ფიქრობთ თქვენ, ამხანაგო ქაშიბაძე, ამომწყდარი ვართ ჩვენ საერთოდ, არ გვყავს არც ამხანაგი, არც მეზობელი? მარტო თქვენ გთხოვენ ბავშვის მონათვლას და ჩვენ არ გვთხოვს არავინ? გვთხოვენ ჩვენც, ხანდახან უხერხულ დღეშიც გვაყენებენ, მაგრამ რაც არ გვწამს და არ გვჯერა, არ ვაკეთებთ. რაღა დროს ღმერთი და წითელი პარასკევია, უკან დავბრუნდეთ ახლა ისევ?

ქაშიბაძე დუმდა.

ბიუროს გადანყვეტილება მკაცრი და შეუვალი აღმოჩნდა: საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

დრო, რასაკვირველია, არ ჩერდებოდა. ქაშიბაძე ნასაყვედურალი მეცნიერ-პედაგოგის უჩინარი ცხოვრებით ცხოვრობდა, მამარდაძე კი თავისი კარიერის კიბეზე მალლა მიინეცდა.

ერთხელ მავნე ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის კომპანიის პერიოდში დოცენტი ზაურ ქაშიბაძეს ზესტაფონის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის ვაჟის ქორწილზე თამალობა

სთხოვეს. პატარა ქორწილი მექნებო, მოატყუა სიძის მამამ, სულ ორმოცდაათ კაცამდე მყავს დაპატიჟებული, ოცამდე კაცი პატარძლის მხრიდან იყოს, შეიძლება, ეს არისო სულ.

როცა საქორწილო სუფრას გადახედა, დოცენტმა ივარაუდა, რომ ორასამდე წვეული მაინც უსხდა სუფრას. ვიცი ჩემი ილბალი, გაიგებენ ზევით და ამასაც კუდს გამოაბამენო, გაიფიქრა.

მართლაც, ისე აგიხდეს ყველაფერი კარგი, ძვირფასო მკითხველო, ქორწილიდან ორი კვირის თავზე „კომუნისტში“ დაიბეჭდა ამბერკი მამარდაძის საანგარიშო მოხსენება, რომელშიც შავით თეთრზე, სხვათა შორის ეწერა: „მავნე გადმონაშთების და მოძველებული ზნე-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლა ზოგიერთს, როგორც ჩანს, დედის ნანინასავით ჩაესმის. სხვას რას უნდა მივანეროთ ის გარემოება, რომ კონსერვატორიის დოცენტი, ზაურ ქაშიბაძე, ზესტაფონში ხელმძღვანელობს ოთხასკაციან სუფრას. რა მაგალითი უნდა მისცეს მან ჩვენს ჯანსაღ ახალგაზრდობას?“

„მე დამსდევს ეს კაცი“, გაიფიქრა ქაშიბაძემ, როცა გაზეთი წაიკითხა. სამსახურიდან მოხსნას ელოდა, მაგრამ ამჯერადაც საყვედურით დაკმაყოფილდნენ.

გავიდა ხანი და ერთ არცთუ მშვენიერ დღეს ზაურ ქაშიბაძემ მისთვის ფრიად სასიამოვნო ამბავი შეიტყო; ამბერკი მამარდაძე მონღოლეთში „ოქროს ურდოს“ მთავარ მინისტრად გადაიყვანესო. ჯერ ყურს არ დაუჯერა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ მამარდაძეს ტელევიზორში მონღოლეთის იმპერატორის გვერდით რომ მოჰკრა თვალი, ირწმუნა, რომ „ჭორი“ მართალი იყო.

მერე ქვეყანა აიარია. საქართველომ იმპერიისაგან თავის გათავისუფლება სცადა, მაგრამ არ გაუშვეს. ზაურ ქაშიბაძე პოლიტიკაში არ ერეოდა. იგი იმითაც კმაყოფილი იყო, რომ მამარდაძეს ვერ ხვდებოდა და იმპერიის მინისტრის შორსმჭვრეტელი თვალების მიღმა, სადღაც, კონსერვატორიის სალონებში იყო შეჩრდილულ-შეჩრდილული.

და ისევ აიძვრა ქაშიბაძის დღეთა ჩვეულებრივი დინება. მინისტრობიდან ოტებულის ამბერკი მამარდაძე კვლავ თავის ტანჯულ ქვეყანას მოეველინა „ამშენებელ-ამლორძინებლად“.

„მოკლედ, ამ კაცს თავი ვერ დავაღწიე, ჩემი ბედია და ეგ არის“ – სასონარკვეთილი ჩურჩულებდა ამ ამბის შემტყობი ქაშიბაძე. იმედგადაწურულმა დოცენტმა კონსერვატორიას თავი გაანება და სიონის ტაძარში ბერად აღიკვეცა. იქნებ საერო ასპარეზი მთლიანად მამარდაძეს დავუთმო და ეკლესიაში, მხურვალე ლოცვაში განვვლო ჩემი დარჩენილი დღეებიო.

სიონში ბლალორჩინად განამწესეს და მამა ლონგინოზ უწოდეს. მღვდლად კურთხევა სურდა, მაგრამ ასაკგადაცილებული იყო. საეკლესიო ცხოვრებაში სულით ხორცამდე ჩაება. ხატებსა და კელაპტრებს შორის შუალამემდე დაფათურობდა, მინიერი ცოდვების გამოსასყიდად ძალ-ლონეს არ ზოგავდა, მარხულობდა, უპოვართა და ობოლთათვის მონყალებას არ იშურებდა. ნერვები დაუმშვიდდა, სახე დაენმინდა და თითქოს გაუცისკროვნდა კიდევ. ტაძარში თავს საიმედოდ, დაცულად, ცდუნებათაგან განაპირებულად გრძნობდა.

ერთ დღეს მამა ლონგინოზმა კელაპტრები აანთო, ნაკურთხი წყლით სპილენძის ჭურჭელი გაავსო, ეპისკოპოსისთვის საკმეველი მოიმარაგა და ის იყო წირვის დაწყების დასტური უნდა მიეცა მორჩილთა და მგალობელთათვის, რომ ღვთისმშობლის ფრესკის ქვეშ სანთლით ხელში ამბერკი მამარდაძე შენიშნა.

ჯერ სიბრაზემ შეიპყრო, ვერ დაიჯერა ქრისტედ მოქცევა კაცისა, რომელიც გუშინ და გუშინწინ ეკლესიაში სიარულისთვის და ბავშვის მონათვლისთვის რიგით კომკავშირლებს და კომუნისტებს სამსახურიდან თუ არ ხსნიდა, უკანასკნელი გაფრთხილებით (სააღრიცხვო ბარათში შეტანით) საყვედურს მაინც აძლევდა.

ცოტა ხნის შემდეგ რალაცნაირი სიბრალული იგრძნო ტაძარში ეულად მდგარი მამარდაძის მიმართ. მოეჩვენა, რომ ამბერკის ფერიცვალებაში ჩაძიება მისი საქმე არ იყო.

„ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“, გაახსენდა მათეს შეგონება.

„ოლონდ ბერად არ აღიკვეცებოდეს და ჩემ გვერდით არ მიუჯდებოდეს ტრაპეზს, ოლონდ ბერად არ აღიკვეცებოდეს და არ დავეძებ არაფერს“, – ჩაილაპარაკა მამა ლონგინოზმა (ყოფილი ზაურ ქაშიბაძე), პირჯვრის წერაში გართულ ამბერკი მამარდაძეს თვალი მოარიდა, საკურთხეველთან მდგარ მამა ბასილს სთხოვა, დღეს შეუძლოდ ვარ, მამაო, იქნებ შემცვალო წირვაზეო და ბერთა სამყოფლოში უკანსვლით გაუჩინარდა.



## მრი კაცი

ბონდო კოპლატაძე ფრანგ მსახიობ ფერნანდელს ჰგავდა და ცოტათი – პოეტ თედო ბეჩიშვილს.

მაღალი იყო, ანონილი, გრძელსახა და გრძელხელება. ბავშვობიდანვე წალამივით წვრილი და ნატიფი თითები ჰქონდა. რიონისპირას წამოწოლილები ერთმანეთს რომ ვეჯიბრებოდით, ვინ მოიფხანდა მუხლშიმოუხრელად ფეხისგულს, ჩვენ შორის მხოლოდ ბონდოს შეეძლო ეს. სახეზე სიმპათიური არ ეთქმოდა. ცხენივით კბილები, გადმოკარკლული მრგვალი თვალები (გეგონებოდათ, ყელში ხელი წაუჭირესო), განზე გასული ცხვირის ნესტოები და წვეტიანი ნიკაპი ჰქონდა. თმა წარბებიდან სულ რაღაც სამი თითის დადებაზე ეწყებოდა და მუდამ ზემოთ ჰქონდა ალესილი ძროხის ალოკილივით.

ჩემგან ცოტა შორს, წულუკიძის ქუჩის მეოთხე შესახვევში ცხოვრობდა. ერთმანეთი პიონერთა სასახლეში გავიცანით. დრამწრე იყო მაშინ მოღაში და დრამწრეზე დავდიოდით ყველანი. ალიოშა ტოგონიძე – საყვარელი კაცი ხელმძღვანელობდა, მახსოვს, დრამწრეს, ხატვის წრეს და ნორჩ შემოქმედთა წრეს.

ახლა რომ ვუკვირდები, მხოლოდ ალიოშა ტოგონიძის დამსახურება იყო, რომ ძირითადად ამ სამ წრეში ჩქეფდა სანრეო-პიონერული მუშაობა. სხვა ოთახებიდან ჩამიჩუმე არ ისმოდა.

დრამწრეში ვალერიან კანდელაკის „მაია წყნეთელი“ დავდგით. მე ჯემალას ვთამაშობდი, ბონდო ქერიმ-ალას. ბონდოს როლი დიდი ვერაფერი იყო, მაგრამ უნდა გენახათ, რა მონდომებით ირგებდა ბონდო თეატრიდან ნანათხოვრებ ტანსაცმელს და რა პატიოსნად ითხუპნიდა ნახშირით წარბ-წვერს.

სანამ ხმას ამოიღებდა, ნამდვილი ქერიმ-ალა გეგონებოდათ.

როგორც არტისტებმა, პიონერთა სასახლეში ძალიან გამოვიჩინეთ თავი-მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი.

დროთა განმავლობაში ალიოშა მასწავლებელმა მე და ბონდოს როლები ჩამოგვართვა, მაგრამ დრამწრედან არ გავუშვივართ. მე დასის გამგედ დამნიშნა, ხოლო ბონდო – თეატრის გარდერობის მცველ-მეთვალყურედ. ეს თანამდებობა დრამწრის საშტატო განრიგით, მგონი, არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ მოხეტიალე დასის პრაქტიკამ დაისაჭიროვა; ხონში გასტროლების დროს მაია წყნეთელის (იგივე „მათე ბიჭი“) როლის შემსრულებელს ცინარი ტურაბელიძეს (შემდგომში ტელედიქტორი ირმა თავაძე), საკუთარი ფეხსაცმელები და ბუტაფორული ხმალი მოჰარეს.

სექტემბრიდან ნორჩ შემოქმედთა წრეში გადავედი. ეს წრეც, როგორც მოგახსენეთ, ნევრმრავალი იყო, მაგრამ დიდი ფაციფუცი და ნერვიული დაძაბულობა არ იგრძნობოდა. არც დრამწრესავით დიდ ნიჭსა და ენერგიას ითხოვდა ნორჩ შემოქმედთა წრე.

რასაც დავწერდით ახალს (და, ჩვენი აზრით, ღირებულს), უნდა წაგვეკითხა დრამწრის სხდომაზე.

ბონდო პოეტთა სექციაში ჩაწერა ალიოშამ, მეც პოეზიაში მინდოდა მემუშავა, მაგრამ პროზის სექციაში ხალხი ცოტა ყავდათ და ალიოშა მასწავლებელმა მითხრა – იყავი აქ, პროზა უფრო სერიოზული საქმეა. ყველა პოეტი ხომ არ იქნებაო.

ჩემს შეძრწუნებულ სახეს რომ შეხედა, დამიყვავა – იყავი ცოტა ხანს და თუ თავს გამოიჩენ, გადაგიყვან პოეზიაშიო, ასე სამ-ოთხ თვეშიო.

სამ-ოთხ თვეში ალიოშა ტოგონიძეს დაავიწყდა ჩემი გადაყვანა და მეც არ მივძალებივარ მაინცდამაინც. როგორც შევატყვე, ისე ფორმალურად იყო სექციები, თვარა სხდომები

ერთად გვექონდა და აზრის გამოთქმა, თუ აზრი გვექონდა, რასაკვირველია, ლექსზეც შეგვეძლო და მოთხრობაზეც.

კრიტიკოსთა სექცია არ არსებობდა, რადგანაც არავის სურდა კრიტიკოსობა. დღეს რომ ვუკვირდები ამ ამბავს, ბავშვები უფრო ალლოიანები ვიყავით, ვიდრე ეს ჩემი გატანჯული კოლეგები, თავს კრიტიკოსებს რომ ეძახიან.

თქვენო, ყველანი ერთმანეთის კრიტიკოსები იქნებითო, ალიოშამ და ვაკრიტიკებდით ერთმანეთს, რაც შეგვეძლო.

დიდებისაგან განსხვავებით, მაშინ ვაკრიტიკება არ გვწყინდა. თუ უსუსურ სტრიქონზე მიგვითითებდნენ, ნავშლიდით იმ სტრიქონს და ეგ იყო, თუ მთლიანად ლექსს დაგვიწუნებდნენ, მთელ ლექსსაც დავხევდით და გადავავლებდით – არც ამით იქცეოდა ქვეყანა. ასეთი იყო ჩვენი მუშაობის ფორმა.

ალიოშა მასწავლებელი ყველაფერს გვეუბნებოდა, გარდა ერთი მომაკვდინებელი ფრაზისა, რაც ბესო ჟღენტიისაგან გავიგონე მაშინ, როცა უკვე სტუდენტები ვიყავით: შეიძლება, წრის ყველა წევრი პოეტი და პროზაიკოსი არ გამოვიდეს, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ყველანი კარგი მკითხველები გამოხვალთო.

ალიოშა ტოგონიძე ასეთ „დაშვებებს“ არ აკეთებდა. იგი გვარწმუნებდა, რომ რაკი ნორჩ შემოქმედთა წრეში ჩავენერთ, უკვე მოთავებულნი პოეტები და პროზაიკოსები ვიყავით.

კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა ნორჩ შემოქმედთა წრეს – დეკორაციები, გარდერობი და, რაც მთავარია, საგასტროლო გადაადგილებანი არ გვჭირდებოდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქურდებს ჩვენ მიმართ ინტერესი დაკარგული ჰქონდათ, რაკილა ნორჩ შემოქმედთა წრეში ერთმანეთს თუ ავწაპნიდით ხანდახან სტრიქონს, თორემ საერთოდ მოსაპარი არაფერი იყო.

სკოლა რომ დავამთავრეთ, ორივემ პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავაბარეთ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მე

მოვენყე, ბონდოს ერთი ქულა დააკლდა. არაუშავს, ვიმეცადინებ და გაისად ჩავაბარებო, იხტიბარს არ იტყვია, თორემ აშკარად ჩანდა, გულდამწყვეტილი იყო. გული უფრო იმაზე წყდებოდა, რომ ერთ ჯგუფში ველარ ვიქნებოდით.

სიყმანვილის გატაცებისთვის არ გვილალატია. ნორჩ შემოქმედთა წრიდან ქუთაისის მწერალთა კავშირში გადავინაცვლეთ. მწერალთა კავშირს დავით კვიციანიძე თავმჯდომარეობდა.

პირველ სამ მისვლაზე ვერ ვნახეთ, მეოთხე მისვლაზე გულისყურით მოგვისმინა, ჩვენი რვეულები გამოგვართვა. ბონდოს ლექსები გადაიკითხა, მე ნარკვევი მქონდა თან გიგლაია მესაფლავეზე და იმ ნარკვევის ორ გვერდს გადაავლო თვალი.

თუ იცით თქვენ, ბიჭებო, რა მძიმე საქმეს მოკიდეთ ხელიო. გლახა ინჟინერი და გლახა ექიმი, ასე თუ ისე, გეიტანს თავს ამ ცხოვრებაში, მარა გლახა მწერალზე საცოდავი არავინაა ქვეყანაზეო. ვერსად ვერ დავმალევი შენს უნიჭობასო. შენი ყველა სტრიქონი ყვირის, შემხედეთ, რა უნიჭოა ჩემი დამწერიო. მაგალითად, გეტყვით, თუ გინდათ (ერთი მწერლის გვარი დაასახელა), იმის სიცოცხლეს მკვდარი იყოს, არ სჯობიაო?

ყველაზე საშინელი ამ ჩვენს ხელობაში ის არის, რომ ისე ჩავა საფლავეში მწერალი, ვერ გაიგებს, რომ უნიჭოაო. შენ რამდენიც უნდა უძახო, არ დაგიჯერებსო. ამ პატატვრანი რვეულებით მე კი არა, მამაზეციერიც ვერ გაიგებს, მწერლებად ხართ თუ არა დაბადებულიო.

თქვენ კი არა, მეც დაეჭვებული ვარ, რომ ვზივარ ახლა, აგერ, აკაკის და გალაკტიონის თავმჯდომარედ (ქუთაისელ მწერლებს გულისხმობდა და რატომღაც ამ ორი გენიალური ქუთაისელით დაინყო), მეკუთვნის თუ არა ეს ადგილიო. ღამე, ძილის წინ „ვეფხისტყაოსანს“ რომ წაივიკითხავ და მერე ჩემს ლექსებს გადავავლებ თვალს, არ ვიცი, სად შევძვრე სირცხვილითო.

რაკი სამწერლოდ თავი გაგინირავთ და არ გეშინიათ (რაც მთლად კარგი თვისება არ უნდა იყოს), დამწყებ ლიტერატორთა სექციაში ჩაგწერთ და თქვენს უნარზე შევაგდებ თქვენს ბედსო.

ორივე რვეულზე ერთნაირი რეზოლუცია დაანერა: „ამხ. ვასო გვეტაძეს. დაინტერესდით, მომელაპარაკეთ. ჩავრიცხოთ თქვენს სექციაში. დ. კვიციანიძე“. ჩემგან მესამე ოთახში დიდი პოეტი ზის („დიდი“ აშკარად ირონიულად წარმოსთქვა. ბავშვები ვიყავით, მაგრამ იმდენი მიხვედრა გვქონდა), მიდით იმასთან და ეს რვეულებიც მიუტანეთო.

ბატონი ვასო ვინრო, ოთხსკამიან ოთახში მარტო იჯდა. რომ დაგვინახა, წამოხტა და შეგვეგება.

ამ ხნის კაცი ვარ და ისეთი სიყვარულიანი მიღება არც მანამდე და არც მერე არ განმიცდია, როგორც მაშინ ბატონმა ვასომ მიგვიღო.

თქვენაო, დღეიდან ჩემი უმცროსი ძმები და თუ გინდათ, შვილებიც ხართო. თქვენ ოღონდ რაიმე დაწერეთ და ყველანაირად ხელს შეგიწყობთო. რა კაი რეზოლუციები წაუწერია დავითსო. მაგას ხვარ შეეშლება, ვინაა ნიჭიერი და ვინ ლიპა მწერალიო. მაგი რავარც იტყვის, ყველაფერი ისე იქნებაო. მაგია ჩვენი პატრონი და მარჩენალიო.

იქნებ შევცდი, მაგრამ ირონიის მცირე ნაპერწკალი დავით კვიციანიძის მიმართ ვასოს ბოლო ფრაზაშიც დავიჭირე.

მთლად კმაყოფილი არ უნდა ყოფილიყო იმით, რომ ბატონი დავითი მისი უფროსი იყო და ვასო – ხელქვეითი. თუმცა ჩვენ, დამწყებ მწერლებს, უფრო მწერლების ირონიათა პინპონგი მაშინ სულ არ გვაინტერესებდა.

მეცადინეობა-შეხვედრა კვირაში ერთხელ გვქონდა. კვირაში სამჯერაც რომ გვქონოდა, უკან როგორ დავიხევდით. მწერალთა კავშირთან გვქონდა საქმე. იქ უნდა გვეტრიალა, იქ ვხვდებოდით გაზეთ „სტალინელიდან“ ჩვენთვის ცნობილ ძვირფას გვამებს: არჩილ გურჯიძეს, მიხეილ კაკიტიელაშ-

ვილს, გიორგი სამხარაძეს, მიშა ალავიძეს, ლილი ნუცუბიძეს, ზურაბ კუხიანიძეს, რუთა ბეროძეს, დავით ხუროძეს (დავით კვიციანიძეს და ვასილ გვეტაძეს თავისთავად). მწერალთა კავშირში ვერ ვხედავდით (იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფეხზე ვერ დგებოდა), მაგრამ შინ ხშირად ვაკითხავდით, ქუთაისელ, კორჩაგინად ცნობილ (რაკი ფეხები მოყინული ჰქონდა) ანდრია სინაურს.

...ახლო მომავალში აღმანახი „რიონი“ უნდა გამოსულიყო და ბატონი ვასო გვეუბნებოდა, მთლად ჩემს ინფორმაციას ნუ ენდობით, მარა გული მიგრძნობს, ჩვენი სექციიდან, შეიძლება, ერთი ან ორი (სულ ოცდაცხრა ვიყავით) ავტორის რალაცები შეიტანონ აღმანახშიო.

ჩვენც მეტი სტიმული რა გვინდოდა, ვწერდით და ვწერდით. ვასო, რაც შეეძლო, ენერგიულად გვიგერიებდა. ყველაზე მომაკვდინებელი მისი შენიშვნა, დღემდე რომ ვერაფერი მოვუხერხე, იყო: „სტილი არ გივარგა, კომპოზიცია შეუკვრელია, არქიტექტონიკის გრძნობა მობლაგვებული გაქვს...“

ნოემბრის დასაწყისში გაქრა ბონდო კოპლატაძე ჩემი თვალსაწიერიდან. ვილაცამ თქვა, რუსეთში წავიდა სამუშაოდო. მუშაობა თუ უნდოდა, სამუშაოს მეტი რა იყო ქუთაისში. მაშინ ახლანდელივით როდი იყო დაქცეული ქვეყანა.

სექციაზე უბონდოდ და, ამის გამო ცოტა უხალისოდ, დავდიოდით.

აღმანახი „რიონი“ თებერვლის დასაწყისში გამოვიდა, თუმცა არც ერთი დამწყები მწერლის არაფერი იყო შიგ შეტანილი.

მაშინ, რასაკვირველია, გული დაგვწყდა, მაგრამ ახლა ვფიქრობ, სწორად მოიქცა რედკოლეგია. ჩვენგან ორი „გენიოსის“ შერჩევა მომაკვდინებელი დარტყმა იქნებოდა დანარჩენი ოცდაშვიდისათვის.

შეიძლება, საბოლოოდ გაგვტეხოდა გული სექციაზე, რაც უფრო დიდი ტრაგედია იქნებოდა (რისი გაფიქრებაც კი ტან-

ში მზარავს), შეიძლება, საერთოდ თავი გაგვენებებინა სამწერლო საქმიანობისათვის.

აპრილში ბონდოსგან წერილი მივიღე.

მეო, სამარის ოლქში ვარო. ასე მეიტანა ჩემმა ცხოვრებამ, მუშაობით არ ვმუშაობ, მარა თავი გამაქვს რავარცხაო. რას შობა ჩვენი სექციაო. ვასოს ჩემი ლექსები დოვუტოვე წამოსვლის წინ და გეიგე, ლიტერატურული გვერდისათვის (წელიწადში ორჯერ „სტალინელი“ დამწყებ მწერალთა „ლიტერატურულ გვერდს“ ბეჭდავდა) რა ლექსები შეარჩიაო.

თუ ვერც ერთი ვერ შეარჩია, მომწერე და ახლებს გამოვგზავნიო.

მისამართი კონვერტს საფოსტო ყუთის ეწერა. საერთოდ, ჯარშიც რომ მიდიოდნენ იმ წლებში ჩემი მეზობლები, მისამართს ყველა საფოსტო ყუთისას აგზავნიდა.

ვასოს ერთი ლექსი შეერჩია და ისიც საეჭვოდ მიაჩნდა. კაი ბიჭია, ვერ ვანყენინე, თვარა, არც ეს ლექსი ვარგაო. ისე, ჩემგან მოკითხვა მიწერეო.

მივწერე წერილი ბონდოს, მაგრამ პასუხი აღარ მომსვლია. ივნისის ბოლოს თვითონ ჩამოვიდა, ცოტა გამხდარი და სიმალლეში გაზრდილი მეჩვენება.

გითხრა სიმართლე, ჯარს ვემალეები და მიტომ ვარ რუსეთშიო, კომისარ ფაჩუაშვილს ელაპარაკა ჩემი დამანყევარი, არაფერი მაგასთან არ ჭრის. მტაცებს ხელს და მიკრავს თავს ჯარში. ჯარი მინდა ახლა მეო?

თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. რა ჩემი საქმე იყო, მარა ფული ეშოვა რუსეთში და ყოველ საღამოს „უქიმერიონში“ ვიჯექით. ხუთ-ხუთად ყველა მწერალი დაპატიჟა რესტორანში. მათ შორის – დავით კვიციანი და ვასო გვეტაძე ორ-ორჯერ. ანდრია სინაურს ლავსანის საკოსტუმე (რათ უნდოდა სანყალს) და ერთი ყუთი შამპანური მივართვით.

მოკლედ, სულ მწერლების და ჟურნალისტების წრეში ვტრიალებდით. ერთხელ ისე შევთამამდით, „სტალინელის“ რედაქტორი, გივი მეფისაშვილი და მოადგილე, სერგო მალაფერიძეც დავპატიჟეთ.

არ გვეგონა, თუ წამოგვევებოდნენ (მაშინ რედაქტორის რესტორანში ჯდომას პარტია კრძალავდა. ახლა პირიქითაა), მაგრამ წამოგვეყვინენ და კარგადაც მოილხინეს.

სიმთვრალემ შემათამამა და ბონდოს ვუჩურჩულე, ჩოგუჩურთოთ სამ-ოთხი შენი ლექსი გივის ჯიბეში, დაბეჭდავს-მეთქი. რავა გეკადრებო, უკამათო უარი მტკიცა, პურმარლით დაბეჭდილი ლექსი მინდა მეო?

ავგისტოში ფილოლოგიურზე ხელმეორედ ჩააბარა. ამჯერად მოენყო. დიდად არ გახარებია მოწყობა. რაც შარშან ვიცოდი, იმაზე ნაკლები ვიცი წელს. იქანა (რუსეთზე ამბობდა) წიგნისთვის ხელი არ მომიკიდიო.

ნოემბრამდე იარა ლექციებზე და სექციაზეც. ნოემბერში ისევ გაქრა. ჩემთვის არაფერი დაუბარებია.

მისი ქუთაისში არყოფნა იმით გავიგე, რომ სექციაზე არ გამოჩნდა, ორი კვირის მერე კი მისი თანაკურსელი, მალაკელი მარდალეიშვილი შემხვდა და მკითხა: ბონდო კოპლატაძის ხვარაფერი იცი, ლექციებზე აღარ დადისო.

შინ მივაკითხე (არხის ქუჩაზე ცხოვრობდა), მარტოხელა დედა ჰყავდა, მგონი, ნუცა ერქვა. რუსეთში წევიდა, შვილო, მეტი არ ვიცი არაფერიო, ქალბატონმა ნუცამ.

ჩემთვის (და, მგონი, არც დედამისისთვის) ზამთარი ისე გავიდა, აღარ მოუწერია. ივნისის ბოლოს ჩამოვიდა.

რომ აღარ გავიმეორეო, გთხოვ, ძვირფასო მკითხველო, ათიოდე სტრიქონის ზემოთ რაც წერია, იმას დაუბრუნდე და ერთხელ კიდევ წაიკითხო.

თითქმის ყველაფერი ისე განმეორდა, როგორც შარშან. ბონდო კოპლატაძე გამოჩნდა. გვერდიდან არ მიცილებდა. ძველებურად პატიჟებდა „უქიმერიონში“ ყველას, ვისაც კა-

ლამთან, მწერლობა-ჟურნალისტობასთან რაიმე საერთო ჰქონდა. ბატონი ვასო სულ ჩვენთან იყო. ანდრია სინაურსაც ვესტუმრეთ ხელდამშვენებულები. ბონდო ინსტიტუტიდან, რასაკვირველია, გარიცხული იყო, მაგრამ დიდად არ უდარდია. ადგა და მესამეჯერ ჩააბარა. კვლავ მოეწყო. ნოემბერში კი ისევ გაუტია რუსეთისკენ.

ერთი სიტყვით, შვიდი წლის განმავლობაში ჩამოდიოდა ბონდო. ყოველ წელიწადს აბარებდა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოცდებს. მოეწყობოდა, ორ თვეს ივლიდა ლექციებზე და სექციაზეც. მერე დაჰკრავდა ფეხს და ისევ რუსეთს მიაშურებდა.

რას აკეთებ ამ რუსეთში-მეთქი, რომ ვკითხავდი, უცებ დასერიოზულდებოდა, არაფერსო, მეტყოდა, მერე ხმამაღლა გაიციინებდა და სხვაზე გადაჰქონდა სიტყვა. ანდრია სინაურთან მესამე წელს აღარ მივსულვართ იმ სერიოზული მიზეზის გამო, რომ ცოცხალი აღარ იყო.

რესტორნის მერე, შუალამისას, თანამესუფრეებს რომ თეთრ ხიდამდე მივაცილებდით, მე და ბონდო ასე საათ-საათ-ნახევარს ბალის კიდეზე ვსეირნობდით. ხანდახან ვილაც (ჩემთვის უცნობი რაკი იყო, იმიტომ ვწერ ვილაც-მეთქი. ისე, ბოდიშს ვუხდი „ვილაცის“ გამო) შეაჩერებდა, განზე გაიყვანდა და ორ სიტყვას ეტყოდა. ვინ იყო-მეთქი, რომ ვკითხავდი – არის ერთიო, მეტს არას მეტყოდა. მეც არ ჩავეძიებოდი. რა ჩემი საქმე იყო.

1966 წლის რვა სექტემბერს (მაშინ მეორე კურსის ასპირანტი ვიყავი და თან სკოლაში ვმუშაობდი მასწავლებლად) გაზეთ „სტალინელში“ დაიბეჭდა ასეთი ცნობა: „გუშინ ქუთაისში დააპატიმრეს დამნაშავეთა სამყაროს ცნობილი წარმომადგენელი, ე. წ. კანონიერი ქურდი ბონდო კოპლატაძე – მეტსახელად „კობრა“.“

ჩემთვის მეხის გავარდნასავით იყო ეს ცნობა. ბონდოს სულ რაღაც სამი დღის წინ დავშორდი. პატრიგეთში ბებია უნდა ვინახულოვო.

მეც მატარეს ერთი-ორი დღე მილიციაში, მარა რა უნდა მეთქვა, რა ვიცოდი ბონდოს მეორე ცხოვრებაზე და კიდეც რომ რამე მცოდნოდა, მაგენი ჩემგან რას წეილებდნენ.

პიონერთა სასახლიდან აქამდე ბონდოში ცვლილებას, მე, ჩემდა თავად, იმას ვამჩნევდი, რომ ყოველ ჩამოსვლაზე ქართული უფრო და უფრო ავინწყებოდა და საჩხერულ კილოზე ლაპარაკობდა. „საჩხერული კილო“ იცით, რას ნიშნავს? სახის განსაკუთრებული გამომეტყველება უნდა მიიღო, მერე რისი თქმაც გაურს პირველად, ბგერაარეულად უნდა ამოღერლო, მაგალითად: „რიუფუხხურზიი ააშნ?“ მეორეჯერ, რაკილა შეატყობ, რომ მსმენელმა ვერაფერი გაიგო, უნდა დაუმარცვლო: „რავა ხარ, რეზოია, შენ?“

ეს იყო სულ. სხვა ფერიცვალება მე ბონდოსთვის არ შემიმჩნევია.

დაპატიმრებიდან მერვე თვეს – მაისში, ბობრმა, ჟღალთვალემა, ჩვენზე უფროსმა, კოჭლმა კაცმა სალამოისპირს ბონდოს წერილი გადმომცა. მწერდა:

„რავა ხარ, რეზო. რას შობა ქუთაისი. სექცია ხო ფეთქავს. ახლები ხვარავინ მიგილიათ. ბიჭებს და ვასოს მოკითხვა. ჰკითხე, თუ ძმა ხარ, ვასოს, ლექსები დოვუტოვე და ლიტერატურული გვერდისთვის რომლები შეარჩია? ამ წერილის მომტანს არაფერი არ უნდა. ერთ თვეში მოგაკითხავს და პასუხი გამოატანე“.

პასუხი მეორე დღესვე გავამზადე, მარა ჟღალთვალემა კოჭლს აღარ მოუკითხავს.



## ბეზინოდეთი მკვდრების

*ვუძღვნი აკაკი ელიავას ხსოვნას*

ხუთივენი კედლის გასწვრივ, გისოსებიან ფანჯარასთან ისხდნენ. პოლიციის მორიგე ნერვიულად ათამაშებდა მაგიდაზე თითებს და მხოლოდ ელიავას აძლევდა შეკითხვებს, თანაც, აშკარად ჩანდა, რომ დრო გაჰყავდა და შეკითხვებსაც დაბნეულად, როგორც იურისტები იტყვიან ხოლმე, „საქმესთან“ დაუკავშირებლად სვამდა. აღელვებას ვერ მალავდა. წამდაუნუმ რეკავდა მობილური ტელეფონი და პოლიციის მორიგე მხოლოდ „დიახ, დიახ, გასაგებია!“ ჩასძახოდა, სხვას არაფერს. კარებთან ორი ავტომატიანი ოპერი იჯდა.

– მაშ, გოგოსთან მიდიოდით თბილისში? – მორიგემ ისევ ელიავას მიაპყრო მზერა, დანარჩენებს თითქოსდა ვერც ამჩნევდა.

– რად მინდა ახლა მე ეს ლაპარაკი. ყველაფერი კარგად იცით თქვენ. კი არ მივდიოდით, ვიყავით უკვე და უკან მოვდიოდით, – თქვა ელიავამ და განზე გაიხედა.

– სად იყავით, თბილისში?

– რად მინდა ახლა მე ეს ლაპარაკი. იცით თქვენ, რომ თბილისში არ დაგვჭირდა ჩასვლა. გზაში დამელაპარაკა მობილურით ჩემი გოგო, მოვდივარ სენაკში, რაფში ვზივარო.

– მერე? ჰკითხავდით სად იყო. დახვდებოდით გზაში და გადმოსვამდით ბავშვს თქვენთან.

– სწორედ მასე ვაპირებდით, იცით თქვენ კარგად, მარა გაგვასწრეს ქუთაისისკენ და აგერ, ოთხი საათია თქვენთან ვზივართ, რაღას დავენევით ანი.

– სხვაგან არსად შეგივლიათ?

– იცით თქვენ ძალიან კარგად, სადაც შევიარეთ, მაგაშია საქმე. ნუ გეჩვენებათ და გესიზმრებათ, ბიჭო, ყველაფერი.

– მე შენი „ბიჭო“ არ ვარ.

– შენზე უფროსი ვარ და არც ზვანია მაქვს შენზე ნაკლები. იმიტომ გაკადრე „ბიჭო“-მეთქი. ბოდიშს ვიხდი, თუ გენყინა.

– ბოდიში არ უნდა მაგას.

ელიავას სიბრაზისაგან ნაცრისფერი დაედო, ხვდებოდა, რომ მასპინძელი ამრეზილად უყურებდა და სიტყვებზე წამოკიდებას უპირებდა.

– შენ, თუ ძმა ხარ, შარზე ხომ არ ხარ დღეს? – სიჩუმე დაარღვია კაკომ, – რას გვემართლები, ვერ გავიგე, იარაღიო და დაგინწყვით მაგიდაზე, ტელეფონზე დამალაპარაკე შენი უფროსები-მეთქი და ჩემი უფროსები შენ არ დაგელაპარაკებიაო. რა გინდა, მითხარი, ერთი კაცურად.

– მე არაფერი მინდა, შენ რა გინდა? – ხომ გითხარით, დაბნეული ჩანდა-მეთქი მორიგე.

– მე რა მინდა და ჩემს სახლში მივდივარ და გამიშვი სახლში, თორემ სანანებელი გაგიხდება ეს ოთხი საათი, მითქვია მე შენთვის.

– კაცო, შენ ვისთანაც გაგსვლია დამუქრება, იმას დამუქრე. სხვაგან თუ შეიარეთ-მეთქი, გეკითხებით ადამიანურად და მიპასუხე.

– რა არის ეს, ბიძია, დაკითხვაა? – მწარედ გაელიმა ელიავას.

– შენი „ბიძია“ არა ვარ მე.

– დაკითხვაა-მეთქი? მოქალაქე პოლიციელო, დაგვაპატიმრეთ უკვე?

– მიპასუხე, მაინტერესებს, იცი შენ, რომ მე არ გადავწყვეტ შენი დაპატიმრების საკითხს.

– კიდევ კარგი, თუ მაგდენი იცი. შოთა ქვირაიასთან გამოვიარეთ მცხეთაში, რაკი მეკითხები, ესეც გეცოდინება, ალბათ.

– რა გინდოდა ქვირაიასთან?

– კიტრი და პამიდორი მოუწევია წელს ბევრი და მოკრეფაში დამეხმარეთო, დაგვიბარა.

ხუთივემ ერთხმად, სინქრონულად გაიცინა. შავი, უკან კისერთან ჩაშვებული კუდიანი ბერეტი უხდებოდათ. ხუთივეს მზისგან გარუჯული სახეები ჰქონდა. იდაყვამდე სახელოგადაკეცილი, მსხვილი მკლავები მაგიდაზე ეწყობო.

– იცინეთ, იცინეთ... ვნახოთ, ბოლოს ვინც გაიცინებს.

– არ მინდა ახლა, ეს ლაპარაკი მინდა მე? გავუარეთ ბავშვობის ძმაკაცს, სახლიკაცს, სენაკელს. როდიდან არ შეიძლება ქვირაიასთან მისვლა?

– რაზე ილაპარაკეთ?

– რაკი ამდენი იცით, ესეც გეცოდინებათ, ალბათ, და ნუ გვანვალვებთ, მოგვეცით ჩვენი ლაპარაკის შიფროვკა და მოგინერთ ხელს. არაფერი არ ყოფილა იქ, მაინცდამაინც, თქვენთვის საინტერესო.

– საინტერესო რა არის, იცით? ტყუილი არ უნდა იკადრო ამხელა კაცმა. არაფერი თბილისში არ მიდიოდით თქვენ, ესაა მართალი.

– რა იცი შენ, მოქალაქე პოლიციელო, რომ არ მივდიოდით?

– ხუთი კაცი ძლივს იყავით ჩაკვებებული მაგ „ვოლგაში“ და გოგოს სად დატევდით, საკითხავია.

ელიავამ ამ შეკითხვას არ უპასუხა. მაგიდიდან სიგარეტი აიღო, მოუკიდა და მალლა ააბოლა.

კარი გაიღო და პოლიციის პოლკოვნიკი კალაძე შემოვიდა.

ელიავა კალაძეს კარგად იცნობდა. ორი წლის წინ მასთან მოლაპარაკების დროს გუბერნატორს და უშიშროების მინისტრს ახლდა. მაშინ მოლაპარაკებამ გაჭრა და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. მე მგონი, ცუდად არ დამიმახსოვრებია თავი მისთვის. პატივისცემის მეტი არაფერი გვახსოვს ერთმანეთისაგანო, გაიფიქრა ელიავამ და კალაძის მისვლა გულწრფელად გაეხარდა.

დაკავებულები და დამკავებლები – ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

– გამარჯობა თქვენი, – ყველას ხელი ჩამოართვა პოლკოვნიკმა და პოლიციის უფროსის სავარძელში მოკალათდა, პოლიციის მორიგე კი მარცხენა მხარეს კედელს აეკრა.

დაბრძანდითო, ყველანი დასხდნენ.

– რა დასაპატიჟებელი ხალხი შეგროვილხართ აქ დღეს, – სხვა დროს ამ ხუმრობაზე გაეღიმებოდათ მაინც, მაგრამ ახლა წარბიც არავის შეუხრია.

– რამ შეგანუხათ, კაკო? – მიუბრუნდა ელიავას ისეთი ყურადღებიანი მეზობლის სახით, საუბარს რომ შემთხვევით შემოესწრო და ზრდილობის გამო უკან ველარ გაბრუნებულა.

– ა, გეტყვიან ესენი, – კაკომ პოლიციის მორიგეს საჩვენებელი თითი დაუმიზნა.

– რამე სერიოზულია? – ახლა მორიგეს შეხედა კალაძემ.

– იარაღის უკანონოდ ტარება და კიდეც რალაც-რალაცები, – მორიგემ იფიქრა, ვაი, თუ მართლა არ იცის პოლკოვნიკმა ოპერაციის დეტალებიო.

– თუ შეიძლება, მარტო დამტოვე ამ ბიჭებთან, დაგიძახებ თხუთმეტ წუთში, – „სთხოვა“ კალაძემ მორიგეს და როცა ეს უკანასკნელი გავიდა, ორ „ოპერსაც“ ანიშნა – თქვენც, თქვენც... გარეთ მოიცადეთ.

ელიავას ცუდად ენიშნა ეს „გარეთ მოიცადეთ“.

– კაკო, მე მეგონა, ყველაფერი გარკვეული გქონდა შენ, ჩვენთანაც და ხელისუფლებასთანაც, – პოლკოვნიკი საკუთარ ფრჩხილებს დაჰყურებდა, თითქოსდა, ერთხელ კიდეც სურდა, დარწმუნებულიყო, რომ ათი თითი ჰქონდა. არც მეტი და არც ნაკლები.

– ვერ გავიგე? – კითხვა შეუბრუნა ელიავამ.

– ხომ გარკვეულია-მეთქი ჩვენი ურთიერთობა.

– რა მქონდა მე, თუ ძმა ხარ, თქვენთან გასარკვევი და საკამათო. თქვენ თქვენს საქმეს აკეთებთ და მე – ჩემს საქმეს.

– ხანდახან ორივენი ერთ საქმეს ვაკეთებდით, მეგონა მე. ასე იყო, თუ არ ვცდები, შეთანხმება.

– კი, მეც ასე მეგონა შიგადაშიგ, მაგრამ არ ხართ თქვენ ის ხალხი, ქვეყნისთვის სანმოხონო რამეს რომ გააკეთებთ. ასე არის ეს. არ გამოდექით ის ხალხი-მეთქი.

– რაო, შე კაცო, შარშანწინ ასე არ ლაპარაკობდი, ახლა რა ბუზმა გიკბინა?

– ჩემზე არა მაქვს მე ლაპარაკი. მე რომ განწირული ვარ სიტყვით თქვენგან, ეს კარგად იცით თქვენც და მეც.

– რატომ, კაკო, რატომ?

– რატომ და რაც შეგეძლოთ აქამდე, თავსლავი მასხით. ელიავა ჩვენი კაცია, ელიავა ჩვენი აგენტია, შეგზავნილი გვყავს მოძრაობაშიო... მაგრამ, კიდევ კარგი, არ დაიჯერა ხალხმა.

– რა „ჩვენი“ და რა „აგენტი“. ჩემზე ადრე იყავი შენ ორგანოში, კაკო.

– მე იმ ორგანოში ვიყავი, რომელიც ხალხის არჩეული პრეზიდენტის გვერდით იდგა. მე იმ ორგანოში ვიყავი, აფხაზეთის დასაბრუნებლად რომ იბრძოდა, იცი შენ ეს ძალიან კარგად.

– მე მაინც არ უნდა მითხრა ეგ ამბები, კაკო. გაიხსენე კარგად. იქვე, გვერდით გეჯექით შენი და გახოკიძის ლაპარაკის დროს.

– მერე? რაში შევთანხმდით, თუ გახსოვს. მე ვუთხარი, მე ჩემს გზას არ გადავუხვევ. მე საქართველოს ერთგული ვარ და ვინც საქართველოსათვის იზრუნებს, იმასთან ვიქნები, ჩემი გუშინდელი მოსისხლეც რომ იყოს-მეთქი. ვკითხვოთ თუ გინდა, გახოკიძეს. სხვათა შორის, გახოკიძე პატიოსანი კაცია.

– ჰოდა, გამარჯობა შენი, რაც შემოგვერიგდი, შენთვის ხომ რწყილი არავის აუფრენია. გადი-გამოდიოდი, შე კაცო, როგორც გინდოდა. ხან ტყეში იყავი და ხან ქუჩაში.

– არ მინდა ახლა მე ეგ ლაპარაკი. იცით თქვენ ყველაფერი კარგად. რომ გავდიოდი და გამოვდიოდი, დავაშავე რამე? კაცი მოვკალი, ან გავძარცვე? დავარღვიე ჩვენი პირობა?

– მითხარი, თუ გაგიგონია სადმე სხვა მთავრობა, დღისით-მზისით უკანონოდ იარაღსხმულ ხალხს რომ აპარპაშებდეს აქეთ-იქით.

– ჯერ ერთი, თქვენ გადასახადის ამკრეფს აძლევთ იარაღს და ჩემი იარაღი რა გაგიკვირდათ? ვისაც გინდათ, კანონიერ ფორმირებას ეძახით და ვისაც გინდათ, უკანონოს. ომის ვეტერანთა კავშირი ვართ ჩვენ. იმ ომის კი არა, ორმოცდაათი წლის წინ რომ იყო, ამ ომის ა, გუშინ დედა რომ გვიტირა რუსმა გადამთიელმა და აფსუა მამაძალღმა და დღემდე რომ არ გათავებულა. იცით თქვენ, რატომ გვიჭირავს იარაღი ხელში.

– რატომ?!

– არ მინდა ეგ ლაპარაკი. რატომ და, ჯერ ერთი, აქ, ალაგობრივად ნამეტანი რომ არ გაუვიდეს თავს უკანონო ხელისუფლებას და, მეორეც, ხვალ და ზევ რომ აფხაზეთში წასვლა იქნება, ხელკეტებით ვერ გადავალთ, კარგად იცით ეს. გვაქვს, ნუ გეშინია, ამის გაკვეთილი.

– რას ჰქვია უკანონო ხელისუფლება?

– რას და რუსის ტანკებით რომ შემოვა რუსთაველზე და კანონიერ ხელისუფლებას რომ დაამხოვს.

– იმის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. ორჯერ აირჩიეს პრეზიდენტი და სამჯერ – პარლამენტი. ისევ გამსახურდიას მისტირი? რა დროს გამსახურდიაა, არ მეგონე ბრმა ზვიადისტიის დონის კაცი შენ, კაკო, გეუბნები პირდაპირ.

– ზვიადი რაც იყო და რაც არის ქართველი ხალხისთვის, თქვენ ეს კარგად იცით და იმიტომ გეშინიათ მისი. მკვდრის გეშინიათ, თქვე კაი ხალხო. დავაყენოთ ზვიადი საფლავში და სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. მეათეჯერ გეუბნებით; გავჩუმდი, არ ამოვიღე ხმა და ჩემი სიჩუმის გამო ბევრჯერ დავისაჯე.

– რით დაისაჯე?

– რით და კარგად იცი შენ; ხან შემორიგებული მეძახეთ და ხან შეგზავნილი. მე ჩუმად იმიტომ კი არ ვიყავი, რომ

მეშინოდა თქვენი. ჩუმად ვიყავი იმიტომ, რომ გაცალეთ, იქნებ მართლა კეთილი განზრახვით მოვიდნენ-მეთქი.

– რა შეგვატყვე ცუდი განზრახვის?

– არ მინდა ახლა ეგ ლაპარაკი, იცით თქვენც კარგად. საქართველოს დასალუპავად ხართ მოსული, იცის ეს უკვე ყველამ. ველარ დამალავთ, რაც უნდა მოინდომოთ.

– მაინც? მაინც?

– რა „მაინც“, შე კაი კაცო. დააქციეთ ქვეყანა. შეაჭამეთ მტერს. ყველას ქართველისთვის აჩაჩქუნებინეთ თავში – ყველა მომხდურს და ნაძირალა სტუმარს. დაამბიეთ, დააშინეთ, დაადედლეთ ხალხი. აღარაფრის თავი აღარ აქვს. სალოცავად არ უშვებენ კათალიკოსს ქართულ სოფელში და იმის მაგივრად, რომ ოცეული მაინც გაგზავნოთ და თავ-პირი დაუმტვრიოთ გათამამებულ ხულიგნებს, ბეზიათქვენის უკანალში მიძვრებით. ვერ დავინახე მე, რომ ქართველი ხალხის დამცველი მთავრობა ხართ თქვენ.

– აბა, ვისი დამცველი და პატრონი ვართ, კაკო, შენი ჭკუით?

– რა ვიცი, ეშმაკის. მე თქვენი ჯინი რატომ მექნება, ამხანაგები ხართ ჩემი, მარა, მითხარით, ამიხსენით, ხალხი არა ხართ? ერთი გაკეთებული საქმე მაჩვენეთ თქვენი და არ ამოვიღებ ხმას. იქნებ აფხაზეთი დაიბრუნეთ, იქნებ სამაჩაბლოში შეუშვით იქიდან გამორეკილები. იქნებ ლუკმა-პური გაუჩინეთ ხალხს. მითხარით ერთი საქმე და, კი ბატონო, მინავათი ვიქნები.

– ყველაფერი ერთბაშად რომ არ კეთდება, იცი შენ.

– რას ჰქვია ერთბაშად. მალე ათი წელი გახდება, რაც თქვენ ხართ. კიდევ კარგად მოგიტმინათ ხალხმა.

– აბა, რას აპირებ ახლა?

– დავჯდებით, ვილაპარაკებთ. რასაც გადავწყვეტთ, იმას ვიზამთ. თქვენი მოთმენა რომ აღარ შეიძლება, კარგად იცით თქვენ.

– კი ბატონო, ნუ მოგვითმენთ. კაი ჩიტი დაგაჭერინა შენ ერთხელ მაგ „ვერმოთმენამ“. ტყვილად ჩაყარე ის ბოვშეები და შენ ტყეში დურთე თავი.

– არ გინდა ეგ ლაპარაკი. ტყვიას რომ არ გესვრით, იცით თქვენ კარგად. ქართველი კაცის სისხლს არ დავღვრი მე.

– აბა, რას იზამ?

– არც მაშინ დამიღვრია, შენ რომ სხვის ნათქვამს იმეორებ. მოვილაპარაკეთ, შემოვტრიალდით და ზურგში გვესროლეთ. ჩვენ არ აგყევით, ყაზარმაში შემოგვსდიეთ და უდანაშაულო ბიჭები დაიჭირეთ, ეგ იყო სულ.

– აბა, რას აპირებთ-მეთქი, მაინტერესებს ჩემთვის.

– თუ ხალხის ნება იქნება, მოვალთ ყველანი ერთად, დავდგებით უთოფოდ თქვენ წინ და გეტყვით, გეყოფათ ახლა და წაით, სანამ თავ-კისერი მთელი გაქვთ-მეთქი.

– იცი შენ, არავინ რომ არსად წამსვლელი არ არის და ისიც იცი, შეშინებით რომ ვერავის შეაშინებ, ამიტომ, სჯობია, დაუწიე ფიტილს ცოტა.

– რად გვინდა მე და შენ ეგ ლაპარაკი. მადლობა ღმერთს, გუშინდელი არც ერთი არ ვართ, – ელიავამ ხმას დაუწია – მე და შენ ხომ პირნათელი ვართ ერთმანეთთან. ხომ არაფერი დამიშავებია შენთვის პირადად?

– არა.

– ჰოდა, მომეხმარე, გამიყვანე აქედან, სირცხვილია, დამამცირებელია ჩემთვის, რომ თითქმის ხუთი საათი ჯიბის ქურდით პოლიციის სამორიგეოში ვზივარ. გამიშვით სახლში და ხომ არსად გავრბივარ. ხვალ, ზეგ შევხვდეთ და ვილაპარაკოთ. როგორც აჯობებს, ისე გადავწყვიტოთ. ასე გაგრძელება რომ არ შეიძლება, თქვენც კარგად ხედავთ. მთლად ბოლომდე ნუ იმასვუზამთ ხალხს თავზე.

კალაძემ გულის სიღრმეში უთანაგრძნო კიდევ „ლეგალურ ყაჩაღს“ (ასე ეძახდნენ ხოლმე სადამსჯელო უწყებებში ირონიულად). ბოლოს და ბოლოს, რას ითხოვდა ელიავა, დღეს შინ გამიშვით და ხვალ ვილაპარაკოთო.

– კაკო, – ათიოდე წუთის შემდეგ ხვნეშით დაიწყო პოლკოვნიკმა კალაძემ. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა და ელიავას თვალეში არ უყურებდა – სამწუხაროდ, მარტო ჩემზე აღარ არი დამოკიდებული თქვენი გაშვება, თორემ ჩემდათვად, ვინ მამაძალი გაგაჩერებდათ. კაცურად გეუბნებით და უნდა დამიჯეროთ. მე უკვე ვნანობ, აქ რომ მოვედი.

ელიავა წამოდგა. ფანჯარასთან მივიდა. რკინის გისოსი ხელით მოსინჯა, ჯერ ქვევით, ეზოში ჩაიხედა და მერე ზევით აიხედა.

– რალაცას ცუდს მეუბნება გული. რამე ფარცაგი ხომ არა აქვთ ჩაფიქრებული, შენ გეცოდინება. ვინ მოუყარა ამდენ ხალხს თავი, გავსებულია ეზო.

– რა უნდა ჰქონდეთ ჩაფიქრებული?

– რა ვიცი, პრავაკაციაზე არ ნავიდეს ვინმე.

კალაძემ მიკიბულ-მოკიბულს დუმილი არჩია.

– ერთს ვიტყვი მე. შენც რომ შენს სინდისთან მართალი იყო და ამ პოლიციის ბიჭებმაც უფროსებთან სირცხვილი არ ჭამონ, ერთი რამე მოვიფიქრე, – თქვა ელიავამ და პოლკოვნიკს გამჭოლი მზერა ესროლა.

– რა სირცხვილზეა ლაპარაკი?

ელიავამ გაიცინა.

– ხომ შეიძლება, ნაბრძანები ჰქონდეთ, არ გაუშვათო. ვილაცას ხელს აძლევს, როგორც ჩანს, ჩვენი დაპატიმრება, თორემ აქამდე გაგვიშვებდნენ.

– რა მოიფიქრე? – კალაძემ განზე გაიხედა.

– შენ ვითომ მძევლად აგიყვანეთ, უკანა კარებიდან გავალთ. ჩავსხდებით მანქანაში, მიგვაცილებ ცხენისწყლამდე და გადავკოცნით ერთმანეთს. სხვა გამოსავალს ახლა ვერ ვხედავ!

ელიავამ ეს ბოლო ფრაზა ისე კატეგორიულად თქვა, რომ კალაძე მიხვდა, კამათს აზრი აღარ ჰქონდა. ამბოხებული

კოლხის თვალეშიდან გადმოსახტომად შემართული ავაზა იმზირებოდა.

...ორიოდე წუთში საიდუმლო რაციათ ეთერში ასეთი დიალოგი გაიტანა:

„– გესმოდათ, ბატონო?

– კი. რა მოუვიდა, თუ იცი?

– ამკარაა ყველაფერი.

– რა არის ამკარა?

– რასაც აპირებს. არ გათეთრდება ყორანი-მეთქი, ადრეც ვამბობდი მე და ახლა მთლად გადასულა ჭკუიდან.

– რა ვიცი... კაკოს ცხრა პარასკევი აქვს. იქნებ, ცოტა კიდევ წავიმუშავოთ.

– სამწუხაროდ, წამუშავება აღარ გაჭრის. ხომ ხედავ, ისედაც ბევრი გითმინეთო.

– ნუ მოითმენს აბა და ამტვრიოს კაკალი.

– ეგ ახლა უფრო საშიშია, ბატონო, ვიდრე თქვენ გეჩვენებათ. როგორი იქნება დავალება?

– მე... მე რა დავალება უნდა მოგცეთ. თავგმა რომ დანა გამოთხარა, ისე ჭირს მაგას.

– როგორ ვიმოქმედოთ, წუთები წყვეტს საქმეს. კალაძე მძევლად აიყვანეს და უკანა კიბით ჩაჰყავთ.

– იმოქმედეთ ისე, როგორც ამ დროსაა აუცილებელი და დასაშვები. მე მეტს ვერაფერს გეტყვით!“

დიალოგი შეწყდა. ეთერში სიგნალის ნაცნობი ტუ...ტუ... ტუ... ტუ... გაისმა.

\* \* \*

პოლიციის უკანა კარებთან დამშვიდობების ქართული ცერემონიალი გაიმართა.

ელიავა ჩქარობდა, მაგრამ ისე არა, რომ მასპინძლებს მისი მღელვარება შეემჩნიათ.

– კარგად აბა... კარგად იყავით... შევხვდებით ჩვენ კიდევ...

რასაკვირველია... თქვენ წინ დაბრძანდით... დაბრძანდით, დაბრძანდით... სტუმარი კაცი ხართ...

ელიავამ კალაძე წინ გაატარა. მარცხნიდან ორნი ჩასხდნენ. გვილავა მძლოლის გვერდით აპირებდა დაჯდომას და ელიავას ელოდებოდა. ელიავამ მანქანის ღია კარს ხელი შეახო და ჩხაკანზე განზე გახტომას აპირებდა, მაგრამ ვერ მოასწრო.

– არ ქნათ ეს! – ძლივს მოასწრო და ზურგიდან თითქოს მები მოასკდა, ელვის ნამტვრევები ანათებდნენ უკუნეთს. ავტომატის გრიალი ყურის ბარაბანს გლეჯდა.

იქნებ გვილავას მაინც ააცილონო, ეს გაიფიქრა წამის მეათასედში, მაგრამ თვალი ჰკიდა, როგორ ჩაიკეცა მის წინ ფართობეჭება გვილავა.

სამწუხაროდ, ტყვია მიზანს არ აცდა.

ქართველი ქართველს ჯერჯერობით ზუსტად ახვედრებს.



## მე... ერთმა კაცმა

ყოფილი ტერორისტი, აწმემორიგებული გახუ ლოლუა ნესტისგან სვეტებშემწვანებული ოდის აივანზე იჯდა და ზაფრანისფერ ხურმას საჩირედ თლიდა.

გიორგობისთვის სიგრილეს ჩხოუშიდან მონაბერი ცვალებადი მიმართულების, მანანალა ნიავი სიცივისკენ ეძალებოდა.

სალამოც ისე უგემურად მოიზლაზნებოდა, როგორც გრძელი უსიცოცხლო დღე გაილია.

ჭიშკართან ნაბაზრალი ლტოლვილები თუ ჩაივლიდნენ და წარბებზე ქუდჩამოფხატული ქურდბაცაცები. ეს უკანასკნელნი ძირითადად ავტობუსების მგზავრთა ცარიელ ჯიბეებშილა დაძვრებოდნენ და ამასაც ისე, ჩვეულების ხათრით აკეთებდნენ, ფორმა რომ არ დაეკარგათ, თორემ ვის რა ჰქონდა მოსაპარი და დასაკარგი.

– გახუ! ვო გახუ!

– რომელი ხარ?! – ბინდბუნდში ვერ გაარჩია და ვერც ხმაზე იცნო სტუმარი. კიბზე ჩამოიბინა და ჭიშკრისკენ გამოაბიჯა.

საშუალომდე ცოტა აკლდა. გამხდარი იყო. შავულვაშა. ცალი ხელი შუბლთან მიეტანა და ხორუმის მოცეკვავესავით ფეხისშეთრევით, მაგრამ მსუბუქად უახლოვდებოდა ლობეს. სქლად ნაქსოვ ჯემბრზე უსახელოებო ქურთუკი ეცვა, ფეხზე – რეზინის ჩექმები.

– შენ ხარ?! – ჰკითხა სიყრმის მეგობარს, ველოდი გერსამიას, რომელიც კარგა ხანია არ ენახა. ველოდი ერთხანს ზუგდიდის პრეფექტურაში მუშაობდა. მერე ახალ ხელისუფლებასთანაც მოენყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ვილაცამ უჩივლა, სახლში მხედრიონელებს იფარავდაო და მოხსნეს.

– რას შვრები?! – ველოდის ციებაგადატანილის გაბზარული ხმა ჰქონდა.

– ვარ ჯერჯერობით.

– როდიდანაა, ყამით რომ ხვდები სტუმარს.

– ხურმას ვთლიდი და შემრჩა ეს ნავარი ხელში, სად იყავი აქეთ?

– რა დროს ხურმაა, დაიქცა, გახუ, ქვეყანა, ორსანტიიდან მოვდივარ ახლა მე.

– ჰო, ორი კვირაა, იქეთ არ ვყოფილვარ. რას შვრებიან ის უბედურები.

– რა ჭირს ხალხს, რა დამართეს ქვეყანას. სისხლი გამიშრა ძარღვებში, იმათ საცოდაობას რომ ვუყურე. სკოლიდან გამოსასახლეს და გომურებში არიან შეფარებული. ამ ზამთარში ყველა ამონყდება.

– რომ იძახიან, იქნება შესვლაო?

– გჯერა მაგი შენ? როცა გამოყარეს, იმ კვირაშივე უნდა შეგვებრუნებია ეს ხალხი. ან ძალით, ან ნებით. მიხედავდა კაცი თავის დამწვარ სახლს. მის ფუძეზე მაინც იქნებოდა. ანი მოგჭამა ჭირი იქ შესვლამ.

– რითი უნდა შეგებრუნებია, ველოდი. მთავრობამ ჯარი უკან გააბრუნა და ჩვენ რას გავხდებოდით რუსთან. ერთი დანჯღრეული „ბეტეერი“ გვყავდა ზუგდიდში. 26 მაისსავე დავქოქეთ მე და ჯოტო ჯიქიამ, დავსვით ჩვენი უბნის შვიდი ბიჭი. ავტომატები ვისაც გვექონდა, საბარგულს ამოვაკარით ქვემოდან, ვისაც არა, ქე იჯდა გულხელდაკრეფილი პანაშვიდზე მიმავალივით. მივადექით ენგურის ხიდს. რა ვეხვეწეთ, რა ფული ვაძლიეთ რუსებს, მარა ვინ გაგიშვა.

– იქიდან ხომ კარგად უშვებ აფსუებს, ამ საცოდავი ხალხის სახლების გადასანვაგად.

– იქიდან, იცოცხლეთქვა, უშვებ. ჩვენაა, რომ გვიკრავენ ხელებს.

– გაუგრძელოს, გაუგრძელოს კიდეც მანდატი ამ მთავრობამ „მშვიდობისმყოფელებს“.

– რომელმა მთავრობამ. სადაა მთავრობა. რუსი და ჩვენი ხელისუფლება ერთი რომაა, ვერ მიხვდი აქამდე?

– მე მარტო მაგას კი არა, სხვასაც ვარ მიმხვდარი, მაგრამ თავს ზევით ძალა არაა.

– ყოველ შემთხვევაში, მაგის გარჩევის დროც დაუდგება ქვეყანას. შენ ეს მითხარი, რა ვქნათ, ვიყოთ ასე?

– რამე გაქვს მოფიქრებული სანმოხონო?

– მოფიქრებული რა. მოვილაპარაკოთ-მეთქი, ჩემი ჭკუით, რა გზას დავადგეთ.

– რას გააკეთებინებ, თუ ძმა ხარ, ამ შეშინებულ ფარას.

– მთლად ასეა ვითომ საქმე?

– მე გეტყვი, საქმე როგორცაა. ჭაჭიას ბიჭი მოკლეს გალში, რვა სექტემბერს, ახლა ა, შემომითვალეს იქიდან, სამასი დოლარი მოიტანეთ და გაგატანთ მკვდარსო. მომადგა ჯანკა ჭაჭია – მოკლულის ბიძა. შენ უნდა დაადგა თავი მაგ საქმესო. კი, ბატონო, მე ვუთხარი. გამოყავით სანათესაოდან ორი კაცი და გამომყვეს, დღესვე ნავალთ, მე ვუთხარი. როგორ ფიქრობ, რა მოხდა? იმხელა სანათესაოდან ორი კაციც ვერ მოძებნეს. დაგვხოცავენო, შეეშინდა ყველას და ყველა იქ შეძვრა, შენ რომ იცი. მარტო ხომ არ ნავალ მკვდრის ჩამოსასვენებლად? ხელში ხომ არ ავიყვან იმ უბედურს, მე ვუთხარი. ბოლოს მარტო მომიწია წასვლამ. გაუკვირდათ აფხაზებს. თვითონ შემიკრეს საკაცე და თვითონ გადმომიყვანეს ენგურზე. იმათ არ შეშინებიათ, ჩვენებს შეეშინდათ, კაცო. ჭირისუფალს შეეშინდა. შვილი ჰყავს მკვდარი. მეტს რას დაკარგავს. ა, ასეთი ქვეყანა გვაქვს, ასეთი ხალხი გყავს შენ.

– რა ვიცი. მე მაინც არ მგონია მთლად მასე დაკარგული იყოს ყველაფერი. აბა, ტყუილია ვითომ ის ცოტნე დადიანი და გიორგი სააკაძე, ის სამასი არაგველი და ცხრა ძმა ხერხეულიძე?

– ვერ გეტყვი. ერთ დროს, ალბათ, იყვნენ, კი. ერთ დროს, ალბათ, ვიყავით რალაცა, მაგრამ ახლა რასაც ხედავ, ესაა.

– რუსია, რუსი ჩვენი უბედურების თავი და თავი. რუსი-საა, რომ ეშინიათ, თორემ აფსუა რას გვიზამდა ჩვენ.

– კი მარა, ამ რუსის ჩეჩენს რომ არ ეშინია? ინგუშს რომ არ ეშინია? ჩერქეზს რომ არ ეშინია?!

– ეტყობა, კიდევე გვაკლია რალაც თავზე ხელის აღებამდე. ჩანს, ჯერ კიდევე არ ვართ ისე გამწარებული, რავარც უნდა.

– მეტი გამწარება რალა გინდა. თვალწინ ცოლს უბახებენ კაცს და იმის მაგივრად, რომ კბილებით ყელი გადაუღრღნას გადამთიელს, თბილისში ჩადის და თავის გაუპატიურებულ ცოლთან ერთად „პალმოლივ საპონს“ და „სნიკერსს“ ჰყიდის.

– რა ქნას აბა?

– ყველა ამას ვკითხულობთ, ველოდი. რა ჰქნას, რა ჰქნასო. შენც ამის საკითხავად ხარ ჩემთან მოსული. აღარ მჯერა უკვე, ერთად, შეთანხმებულად რომ რამეს შევძლებთ ჩვენ. დავკარგე იმედი და მომკალი, თუ გინდა. რამდენიც დავთქვით რამე ხუთმა კაცმა, შპიონობით და გაცემით დამთავრდა ყველაფერი. ცხონებული გოჩა ესებუას ამბავი აიღე, თუ გინდა. მე კი ვიცი, რა უნდა გავაკეთო, მე, ჩემდათავად, ერთმა კაცმა, და სხვა მე არ მეხება. ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს გამჩენმა.

– არ მოვილაპარაკოთ აბა, არ დავადგეთ რამე გზას?

– მე მოლაპარაკება დამთავრებული მაქვს, ველოდი და ჩემი საქნარიც მოფიქრებული მაქვს. ნადი შენს გზაზე, ჯერ სხვებს მოელაპარაკე და მერე, თუ ვიქენი კიდევე, მოდი და გამანდე. წინასწარ ვიცი, არაფერი მოჰყვება მაგ საქმეს, ღრმა ძილით სძინავს ჩვენს ხალხს და, როგორც ჩანს, ცხრა ზარბაზანი უნდა დაუცალო ყურთან, რომ გაიღვიძოს.

– კარგი აბა, წავედი მე... ვნახავ ბიჭებს და გამოგივლი ისევ.

– ნამეტანი არ გადადო გამოვლა. ხვალ-ზეგ, შეიძლება, გამოსავლელი იქნე ჩემთან ისედაც.

– კარგად აბა.

– კარგად.

წავიდა. დადიანების ბალის კიდეს დაუყვა ველოდი გერსამია. „ხვალ-ზეგ ჩემთან, შეიძლება, გამოსავლელი იქნე ისედაცო“, ამ სიტყვებს რალაცნაირი ირონიით, თვალმოჭუტვით, ნიშნისმოგებითაც კი ამბობდა გახუ. კილო არ მოეწონა მასპინძლის გერსამიას, მაგრამ მერე გაიფიქრა, ალბათ, მომეჩვენაო და ეს ნათქვამიც მალე გადაავინწყდა.

\* \* \*

ჯავშნოსან მანქანაზე ათიოდე რუსის ჯარისკაცი იჯდა. ავტომატჩაბლუჯულები, მზისგან გარუჯულები... დაღლილი სახეები ჰქონდათ. მორიგი „ოპერაციიდან“ ბრუნდებოდნენ.

ოტობაიას ჩამოსახვევთან მანქანას შარვალაკაპანიბულმა, მიმინოსთვალემა, შავულვაშა კაცმა ხელი აუწია.

ჯავშნოსანი გაჩერდა.

– ჩავო, ტებე?! – ჰკითხა კაბინიდან თავგამოყოფილმა ზემდეგმა.

თუ შეიძლება, ტრასამდე ჩამიყვანეთო.

– ტი კტო, აბხაზეც, ილი გრუზინ?! – ბღვერით მოუნაცვლა კითხვა მძოლის გვერდით მჯდომმა.

– კანეჩნო, აბხაზეც. გრუზინ ზდეს ნეტ ი ნე ბუდეტ! – საზარლად გაიღიმა მგზავრმა.

– დაი ბოგ, დაი ბოგ, სადის, ბრატ, ეი! ვი ტამ, ზასრანცი! პრიიმიტე აბხაზეცა! – ასძახა საბარგულში ჩამწკრივებულ ჯარისკაცებს ათმეთაურმა.

მსუბუქად შეხტა და საბარგულის შუაში მოკალათდა.

ორასიოდე მეტრი რომ გაიარეს, ერთმა ჯარისკაცმა „აბხაზის“ ხელში ხელყუმბარა შენიშნა.

– ტი ჩტო! – შიშით იყვირა მან და განწირულივით დაიღრიალა: – რებიატა!

მაგრამ უკვე გვიან იყო.



## თამარ მეფის ორდენის კავალერი

მე, პატივცემულო მწერალო, ჭიჭიკო თარგამაძე გახლავართ. 1917 წლის აპრილის ექსპედიცია გეცოდინებათ ისტორიიდან, ალბათ. არ იცით? 1917 წლის 17 აპრილს გერმანიიდან თერთმეტმა ქართველმა იარაღი ჩამოვიტანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დადგენილებით. ის იარაღი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას უნდა მოხმარებოდა და მოხმარდა კიდევ. მე იმ ექსპედიციის მონაწილე ვარ. ისტორიული ექსპედიცია იყო ნამდვილად. ორმა მონაწილემ დაწერა მერე ამ ამბავზე მოგონებები: მიხაკო წერეთელმა და კალისტრატე სალიამ, მაგრამ მე არც ერთი არ მასახელებს. არ გავახსენდით, როგორც ჩანს, ისე, როგორც მე არ მახსოვს ახლა თერთმეტივეს გვარი, შესაძლებელია, არც ჩემი გვარი სცოდნოდა მიხაკო წერეთელს მაშინ.

საქმე ასე იყო:

1917 წელია. რუსეთში თებერვლის რევოლუცია მომხდარია. რუსეთი ომს აგებს. მე ბერლინში ვცხოვრობ და მეეტლებით ვირჩენ თავს. ჩემი ეტლი მყავს და ცხენები. სალამოსპირია. მოვიდა მელიტონ ქარცივაძე. ჭიჭიკო, მითხრა, ხომ გინდა საქართველოდან რუსებს რომ დოვუსვათ ღარი და ალვადგინოთ ჩვენი დამოუკიდებლობაო. მაგი ვის არ უნდა, მე ვუთხარი. თუ წამოხვალ, რომ რამე იყოს, ორი კვირით? გერმანელები იარაღს გვაძლევენ და უნდა ჩავიტანოთ საქართველოშიო. ყოყმანი არ დამიწყია. დავყაბულდი მაშინვე. სამმა კაცმა ვითავეთ ეს: გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა და მეო. გიორგი მაჩაბელს და მიხაკო წერეთელს არ ვიცნობდი მაშინ, მელიტონს კარგად ვიცნობდი და სამარის კარამდე ვენდობოდი.

ბერლინიდან სტამბულამდე მატარებლით, სტამბულიდან ტრაპიზონამდე გემით ჩავედით. შვიდი გერმანელი გვახლავს, დარჩეული ბიჭები.

ტრაპიზონში ორ დღეს გავჩერდით. საქმელ-სასმელი მოვიმარაგეთ, წყალქვეშა ნავი იარაღით დავტვირთეთ და ის დროა, დავემშვიდობოთ ტრაპიზონს. პირველი მელიტონ ქარცივაძე ჩავიდა წყალქვეშა ნავში. მე ბოლოს მიწვევს ჩასვლა, ეკიპაჟს ვეხმარები, ლუზის ბანრები უნდა ავხსნა. სამიოდე კაცია დარჩენილი და მიხაკო წერეთელი აწრიალდა. მივა კიბესთან, გამოტრიალდება, სხვას უთმობს ადგილს, აშკარად ჩანს, წასვლა გადაიფიქრა. რა მოგივიდაო, გიორგი მაჩაბელი ეკითხება. დამიჯერე, გიორგი, ჩემი წამოსვლა არ შეიძლება. მე აქ უნდა ვიყო. ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე საქართველოს წარმომადგენელი რომ მოიკითხო, ხომ უნდა იყოს კომიტეტიდან ვინმეო. ესეც არ იყოს, იარაღის წაღება შავი საქმეა. ამ საქმეში ჩემი ჩავარდნა არ შეიძლება. სხვა ფუნქციები მაქვს მეო. თვითონ გერმანელებმა რომ გაგვყიდონ და ფოთში თავამოყოფილებს ხიშტომოშვერილი რუსები დაგვხვდნენ, ხომ იცი, სახრჩობელა არ აგვცდებოაო. გიორგი მაჩაბელმა რევოლვერი დააძრო და მშვიდად უთხრა: ახლა, მიხაკო, ამ ლაილას დრო არ არის. ეგ, რასაც მე მეუბნები, კომიტეტზე უნდა გეთქვა. ახლა შენი დარჩენა შიშით ან გამცემლობით იქნება ახსნილი ისტორიის მიერ. მე ხომ ვიცი, შენ არც მშიშარა ხარ და არც შპიონი, ამიტომ ჩადი ახლავე ძირს, თვარა დაგათვლი ამ ტყვიებს ბეჭებზეო. სულელი ხარ შენ, მაჩაბელო. განიე იქით, არ გაგივარდეს, ვითომ ხუმრობით უთხრა მიხაკომ და ჩავიდა. ბარემ აქვე გეტყვი: მიხაკო წერეთელი მართალი აღმოჩნდა.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მომზადების დროს საქართველოს წარმომადგენელი არ ჩანდა თურმე. რუსებს საქართველო ფეხებზე ეკიდათ, გერმანელებმა არ იცოდნენ, ტაო-კლარჯეთი რომ ჩვენი მიწა იყო და რაღაი საქართველოს

ინტერესებს არავინ იცავდა, თურქები არ მოიმდურეს. ასე მისაკუთრა თურქეთმა საქართველოს უძველესი მიწა და, რაც დრო გადის, ტაოს დაბრუნება მით უფრო გაჭირდება. მით უმეტეს, რომ აგერ, ახლა, ჩვენმა ხელისუფლებამ თურქეთს ხელი მოუწერა: თქვენთან ტერიტორიული პრეტენზიები არა გვაქვსო.

ისევ წყალქვეშა ნავს დავუბრუნდეთ. ექვსი დღე-ღამე ვიცურეთ და, რავარც იქნა, ჩამოვალნიეთ ფოთს. ფოთიდან შვიდ კილომეტრში გამთენიისას მივადექით ნაპირს. გადმოვტვირთეთ იარაღი, დავემშვიდობეთ გერმანელებს და წყალქვეშა ნავმა რომ ჩაყვინთა, ცოტა არ იყოს, შიშმა აგვიტანა. სად მიდიხარ, რას უშობი ამდენ შაშხანას, პისტოლეტს და ტყვია-წამალს.

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო; ფაცხაფუცხით, ჭაპან-წყვეტით მივმალეთ არსენალი ლერწმინაში. ცოტა სული მოვითქვით და მოვილაპარაკეთ: სამ-სამად დაყოფილნი ახლომახლო ჩირგვებში გავნაწილებულიყავით ისე, რომ იარაღისთვის თვალი არ მოგვემორებია. მელიტონ ქარცივაძემ და მე სოფელს მივაშურეთ, სანდო კაცი უნდა მოგვეძებნა.

სოფლის განაპირას პირველსავე ისლით დახურულ ქოხს მივადექით. ყაბალახიანი, ტყაპუჭიანი, ჭალარანვეროსანი კაცი გამოგვეგება. ცოტა შემკრთალი (რომ ვერ გვიცნო) ჩანდა, მაგრამ მჩატე, ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ჭიშკრისკენ.

– გაგიმარჯოთ, პატენი – გვიპასუხა სალამზე და რაკილა შეგვატყო, მეგრელები არ ვიყავით, აქცენტიან, მაგრამ საოცრად დარბაისლურ, გამართულ ქართულზე გადავიდა.

შინ შეგვიპატიჟა, მაგრამ მელიტონმა იუარა, ცაცხვის ხის ქვეშ მივჯექით.

მასპინძელი ნიკო ხორავა აღმოჩნდა.

– ნიკო ბატონო, ჩვენ ბერლინიდან ჩამოვედით, ემიგრანტები ვართ. ახლა დროა და, ეგების, ამ ძალღმობი რუსები-

საგან დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა. გაიგებდით, ალბათ, ფინლანდია დაუძვრა უკვე რუსებს, დამოუკიდებელი გახდა. ასე უნდა ვქნათ ჩვენც. თუ თქვენნაირი ხალხისაგან შემწეობა იქნა-თქვა, მელიტონმა.

ნიკო თავის ხელებს დასცქეროდა.

– მე პოლიტიკის ბევრი არაფერი გამეგება, მარა საქართველოსთვის, ბაბა, ამ წუთში დავდებ ამ ბებერ, გამხმარ თავს ჯირკზე. თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ და გაზომილანონილიც გექნებათ, ალბათ, რანაირად აჯობებს ქვეყნის შველა. ა, ბატონო, ნიკო ხორავას მარჯვენა და მადლობელი ვიქნები, თუ მეტყვით, რა უნდა გავაკეთო მე, ასე, ერთმა, კერძო კაცმა.

– იარაღი გვაქვს ჩამოტანილი. ერთი კვირით უნდა ჩაგვამარხინო სადმე და უდარაჯო თვალისჩინივით. ერთ კვირამი მოგაკითხავენ და ნაიღებენ ჩვენი ბიჭები.

– იოლი სამსახურია. ერთ კვირას თვალის მომხუჭავი და სანამ პირში სული მიდგას, თქვენი მოღალატე შეჭამოს იქეთ მამალმა მგელმა – ისე წყნარად, დამაჯერებლად გვეუბნებოდა ნიკო, რომ ამკარად ჩანდა, სიტყვის კაცი იყო.

შემოგვთავაზა; სამ-ოთხ სანდო კაცს გავაჩენ აქვეო, მაგრამ მელიტონმა უარი უთხრა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სჯობს, შენთან, ერთთან, გვეკონდეს მარტო საქმეო.

დაღამებამდე ნიკოს ქოხში ვიჯექით.

კარგად რომ შებნელდა, ხორავამ გვინინამძღვრა და შეთქმულებს ჩავაკითხეთ. იარაღი იქვე სამასიოდე მეტროში კვადაციტა და შურამია ბალახით დაბარდულ ჭალაში ჩავმარხეთ. სულ 1000 გერმანული შაშხანა იყო და 500 პისტოლეტი თავისი ოცი ყუთი ტყვია-წამლით. ჯერ ფრთებგაუმარებელი, მოხალისეებისაგან შეკონინებული ქართული ეროვნული ლაშქრისათვის ეს ცოტა არსენალი როდი იყო. იმ შაშხანებითაც ებრძოდნენ, პატივცემულო, ოცდაერთის თებერვალში ჩვენი მამაცი, პირტიტველა იუნკრები კო-

ჯორთან მომხვდურ წითელ ჯარს, ზოგმა თქვენმა კოლეგამ „გამათავისუფლებელი“ რომ უნოდა და პოემები უძღვნა.

ერთი თვის შემდეგ ნიკო ხორავა გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა და მელიტონ ქარცივაძემ თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის. რომ იცოდეთ; თამარ მეფის ორდენიც დამოუკიდებლობის კომიტეტმა დააარსა ბერლინში 1915 წელს.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.



## რატომ, რატომ?!

რატომ, რატომ?!

კი, ბატონო, ლტოლვილი ვარ. რად უნდა მაგას კითხვა. ლტოლვილის მეტი ვინ დგას ახლა ქუჩაში.

სამი ლარია ჩემი აქედან, მეტი კი არა.

სამ ლარად ვდგავარ დღეში და ვყიდი „კოკა-კოლას“ ამ წვიმა-ალიაქოთში. ამით ვშოულობ ლუკმა-პურს. ესაა ჩემი სამსახური.

მეტს ვინ მოგცემს.

ამაზეც ერთი ამბავია დღეს.

თუ არ გინდა, ნადი და იმათხოვრე ქუჩაში.

მთლად მათხოვრობას კიდევ ეს საქმე ვარჩიე.

მოვწყინდით ყველას, თუ სიმართლე გინდა, ეს არის, ბატონო. ღმერთსაც მოვწყინდით და კაცსაც.

პირში არ გვეუბნებიან, მარა ხომ უნდა მიხვდე ბოლოს და ბოლოს.

ვერც გაამტყუნებ ვერავის. სტუმარი გამიგია ერთი დღე, ერთი თვე, ერთი წელი თუ გინდა, მერე ამოუხვალ ყელში მასპინძელს, აბა რა იქნება.

ყველას თავისი თავი უჭირს დღეს.

არ გვექონია, არა, არაფრის თავი არ გვექონია ჩვენ, სხვას რას ვერჩი.

შევატოვეთ უცხო ტომს ჩვენი სარჩო-საბადებელი და მატყუარა მთავრობას შევჩერებივართ, როდის აგვინთებს მწვანე შუქს და დაგვაბრუნებს აფხაზეთში.

კი, აბა, მაგ ჭკუაზეა არძინბა.

კეტით აგყარა შენი კერიიდან და მოლაპარაკებით მოგაბრუნებს უკან.

ღმერთიც აღარ მწამს ამ ბოლო დროს.

არც ღმერთი ყოფილა ჩვენთვის და აღარც ხატი.

ქრისტიან ქართველებს რომ გამოყრის თავისი მიწიდან და გადამთიელ აფსუებს რომ გაამარჯვებინებს, ის ღმერთი ღმერთია?

დამანებე თავი, თუ ღმერთი გნამს.

სოხუმი კარგად გეცოდინებათ. ბარათაშვილის ბაქანთან ახლოს ვცხოვრობდი, იქვე, ქვევით, შრომის ქუჩაზე. საკუთარი სახლი მქონდა.

საერთოდ, სოხუმში უმეტესობას საკუთარი სახლი უდგას.

ერთადერთი გოგო მყავდა. საექიმო დაამთავრა თბილისში. სოხუმის პირველ საავადმყოფოში მუშაობდა, თერაპევტი იყო. იმ წელს უნდა გამეთხოვებინა. საქმრო ჰყავდა. მშვენიერი ბიჭი, ცაავა, ბაბუშერადან...

ექიმი იყო ისიც.

გადარჩა ცოცხალი. ერთი-ორჯერ იყო ჩვენთან, გვინახულა. სენაკში ვარო, პოლიკლინიკაში ნახევარი შტატი მომცესო.

ეს ოთხი წელია აღარ გამოჩენილა.

ცოლი ითხოვა, ალბათ.

ითხოვდა, აბა რას იზამდა.

ამ ჩემი გოგოს ამბავი ასე იყო:

საავადმყოფო რომ აიღეს აფსუებმა, ვისაც სად მიახსნრეს, დახვრიტეს, მოგეხსენება. მთავარი ექიმიც მაშინ მოკლეს, მარღანია, სანყალი. იმ დღეს, ოცდახუთი სექტემბერი იყო დასაქცევი, ჩემს გოგოს და ერთ ქირურგს – კობა შერვაშიძეს, სხვათა შორის, თბილისელი ბიჭი იყო, ბედდამწვარი მისი მშობლები სოლოლაკში ცხოვრობენ, უმარჯვიათ და სამი დაჭრილი ჯარისკაცი ღვინის მარნის სარდაფში გადაუყვანიათ.

იქ უვლიდნენ მთელი ორი დღე.

ოცდახუთში მთელი სოხუმი გაიქცა, მარა ჩვენ სად წავიდოდით, გოგო არ იყო სახლში და მე და ჩემ ცოლს უმისოდ რად გვინდოდა ეს გასახმოები თავები. მეორე დღეს არაფერი

და ოცდაშვიდში ჩვენ, სახლში შეყუჟულებს, მეზობელმა აფხაზმა ამბავი მოგვიტანა: „ვინზავოდში“ ჩაუხოციათ ვილაცები და მგონი, თქვენი ქალიშვილიც უნდა იყოს იქო.

რანაირად, სად, ჩემს გოგოს ღვინის ქარხანაში რა უნდოდა, შევიცხადეთ.

მერე გავიგეთ ყველაფერი.

დარაჯმა გვიამბო თვითონ, ვინც შეესწრო ამ ამბავს.

რომ შევიდნენ თურმე ღვინის ქარხნის ეზოში, დიდი ჩხრეკა არ დაუნყიათ, პირდაპირ სარდაფს მიაშურეს. რვა კაცი ყოფილა. რუსის მაიორი ახლდათ თურმე და ის უფროსობდა. სამ-სამი „ბანკა“ ღვინო დაუღვიათ და დარაჯისათვის დაუბარებიათ, სანყობი დალუქე, აქ ჩვენ გარდა არავინ შეუშვა, თორემ დახვრეტა არ აგცდებო. წასვლისას ერთი ავტომატიანი აფხაზი გამოხვანცალდა, თურმე მარნიდან, მოსაფსმელად ჩამორჩა თურმე სხვებს, ის ღმერთგამწყრალი.

ტამ გრუზინიო! დაანია თურმე ჭიშკრისკენ მიმავალთ.

კაკ გრუზინიო, ანუ იხ ვსეხ, დაუძახნია მაიორს, კ სტენკუ ზახვატჩიკოვ, კ ჩორტოვოი მატერიო.

გამოუყვანიათ ხუთივე.

გადაფარებია ჩემი გოგო დაჭრილებს.

არა გაქვთ ამათი დახვრეტის უფლება საერთაშორისო ომის კანონით, მოვარჩენთ და მერე გაასამართლეთო.

დაჭრილები ფეხზე ძლივს დგანან თურმე.

მოშორდით მაგ ძალლებსო, ყვირის თურმე რუსის მაიორი.

მოშორდით, თორემ არ დაგინდობთ ექიმებსაცო.

მეო, აფხაზი ვარო, ეუბნება თურმე შერვაშიძე.

საერთოდ, ექიმები ავადმყოფებს არ ვირჩევთ, ჩვენ ყველას ვმკურნალობთო.

სამჯერ დავითვლი, თუ არ მოშორდებით, მიგახვრეტთ თქვენცო. ცოფს ყრის თურმე მაიორი.

ხუთივეს ხელი ჩაუჭიდია ერთმანეთისთვის.

ხუთივე ერთმანეთს ჩაფსკვნია სიკვდილის წინ.

ჩემს გოგოს და შერვაშიძეს უფიქრიათ, გვაშინებენ, ალბათ, თორემ ექიმებს და მით უმეტეს, შერვაშიძეს, არ გვესვრიანო. ხუთივე ერთად მიუხვრეტია იმ გარენარ რუსს.

რას დაეძებდა. მისთვის რალა ქართველი და რალა აფხაზი. ფეხებზე ჰკიდია.

ორივე ერთნაირად სძულს.

ოცდაშვიდში შუალამეზე დავასაფლავეთ ჩემი გოგო მამაჩემის გვერდით.

სული მწარე ყოფილა.

ვერ მოვიკალით თავი.

თავის მოკვლა კი არა და დიდი ამბით გამოვიქეცით ოცდარვაში ალიონზე სოხუმიდან.

ჭუბერზე წამოვედით. მეტი გზა სად იყო აბა.

„პოტიკი“ ყოფილა ყველაფერი.

ჩემი თავი მეზიზღება ახლა, რომ გამახსენდება, რა მონდომებით ვარჩევდით მე და ჩემი ცოლი ხაბაკ-ხუბაკს, რას ვთბილწინდაობდით და წელმხარზე რა გულმოდგინედ ვიკრავდით შალის დარაიებს, რანაირად ვეხმარებოდით ერთმანეთს ჭყანტალმართში, რა სერიოზული სახეებით ვინაწილებდით სხვებისგან დამალულად თითო ლუკმა ყველ-ჭადს, შიმშილს რომ არ მივესაფაფებინეთ.

მგელი ყოფილა, მგელი, ადამიანი.

შვილი აგერ, ა, ორი საათის წინ დამარხე და სად მიიზუზები, შე გამჩენძალლო.

ასე ძვირად გიღირს შენი ბეხრეკი თავი?

ამ წვალება-დამცირებას არ ჯობდა, დაგველია ორივეს იქვე, სასაფლაოზე, ქერძაფი და მივწოლოდით ჩვენს გოგოს გვერდით?

არ მონაკვედომა, არა, თავის დრომდე ადამიანიშვილი.

გავუძელით ყველაფერს, ძარღვ-თბილი გაგვიძელქვდა, ვიხანხალეთ და ჩამოვლტოლვილ-ჩამოვმათხოვრდით თბილისში.

თუ არ გეჩქარება, ერთს გეტყვი კიდევ.

მოგეხსენება, ჩვენ, ლტოლვილები, მიმკვდარი ვართ ტელევიზორს; იქნება რამეს მოვკრათ თვალი. რანაირია სოხუმი ახლა. რა შეიცვალა, რაც ჩვენ გამოგვყარა რუსმა და მომთაბარე უცხო ტომი-აფსუა გააპატრონა. იქნება სადმე თვალის წარბენაზე მაინც გამოჩნდეს ჩვენი ქუჩა, ჩვენი სახლი...

გაგიგონია? არაფერი მსგავსი.

გვიჩვენებენ არძინბას კაბინეტს და აფხაზეთის თვალწვრილა ყაჩაღ ლიდერთან კნუტებივით მიმჯდარ ჩვენი დელეგაციის წევრებს.

ესაა სულ.

მეტი დაცინვა შეიძლება?

ექვსი წელი გავიდა, შე კაი კაცო. რა იქნება, გადაიღე და ტელევიზორში მაინც მაჩვენე ჩემი სახლი. ამას მაინც რა უდგას წინ.

დავიჯერო, ახლა, ექვს წელიწადში ვერ მოახერხე ამხელა ტელევიზიამ გაგრის, სოხუმის, ოჩამჩირის გადაღება?

რალაცაშია საქმე.

ამ გაზაფხულზე, სანამ გალის ამბები დაიწყებოდა, ზუსტად გეტყვი, ოცდაექვსი აპრილი იყო, გალიდან ზუგდიდში ჩამოსულ ჩემს ბიძაშვილს პასპორტი ვენათხოვრე, ჩემი სურათი ჩავანეპე შიგ, ვიყიდე ერთი ყუთი სიგარეტი „პრიმა“, გავიდე მხარზე და ვითომ ჩემს სახლში მიმაქვს, ოტობაიაში.

რუსის ჯარისკაცს, კანონიერად გადადიხარ თუ უკანონოდ, სულერთია, ფული უნდა მისცე. ჩავუკუჭე ხუთდოლარიანი ხელში და პასპორტისთვის არც დაუხედავს. გალში, სოხუმის ავტობუსში მოვყურდი.

„ტი კუდა?!“ მეკითხება აფსუა პოლიციელი.

სოხუმში მივდივარ, ოტობაიელი ვარ, ეს „პრიმა“ მიმაქვს გასაყიდად-მეთქი.

არაო, აქ გაყიდე, გალში. სოხუმში ჩასვლის ნება არ გაქვსო, წაკრა ფეხი სიგარეტს.

ლაპარაკი რომ გამება, უარესი იყო. ამ ხალხთან, მოგეს-  
სენება, თხოვნა-ღრეჯა არ ჭრის. მივეცი ათი „პრიმა“ და  
გამანება თავი.

რომ არ დაგღალო, თორმეტ საათზე სოხუმის ბაზართან  
მიჭრაჭუნდა ჩვენი ავტობუსი.

გულს ბრაგა-ბრუგი გააქვს, ყურმა შუილი დამინყო. ჩემი  
სოხუმი. როგორი საქმეა შენს მინაზე, შენს ქალაქში, სხვისი  
პასპორტით, ქურდივით ხარ შემოპარული.

მოსაჩვენებლად დავადექი ყუთს იქვე, ბაზრის შესასვ-  
ლელთან, ვინმე არ მითვალთვალვებდეს-მეთქი. ქუდი მაქვს  
თვალეებზე ჩამოფხატული და უღვაში ჩამოპარსული, მაგრამ  
მანც ხომ შეიძლება გიცნოს ვინმემ ბაზარში.

ნახევარი საათის მერე შევატოვე ჩემი „პრიმა“ მინვოდელ  
თათარს, რომელიც იქვე, ჩემ გვერდით გარჩეულ კაკალს  
ჰყიდდა. კუჭმა შემანუხა, შევჭამ რამეს და ნახევარ საათში  
მოვბრუნდები-მეთქი, დავუბარე.

დავკარი ფეხი და მივძუნძულე ჩემი ქუჩისკენ.

სადაა ის ცოცხალი და ჭრელი სოხუმი.

ჩამკვდარია აქაურობა. გამვლელი იშვიათად თუ შეგვხ-  
ვდება. არსად ქართული წარწერა. ასე მგონია, სადღაც ზღ-  
ვისპირა, უცხო, რუსულ ქალაქში ვარ.

ვიცი, რომ ჩემი სახლი დამწვარი არ არის. შარშან სამურზა-  
ყანოელმა ბერაიამ ჩამოგვიტანა ამბავი.

მეტი არაფერი ვიცი.

აჰა, აგერ ჩემი დარგული მაგნოლია, ლელვი, ჩემი კიბე-  
ომის წინა წელს ჩემი ხელით მიშენებული სამზარეულო.

კარი ორმოციოდე წლის ქერა, თაფლისფერთვალეობა, გამხ-  
დარმა ქალმა გამიღო.

– ვამ კავო? – მკითხა.

ოჯახის უფროსი თუ არის-მეთქი სახლში.

თავი მიაბრუნა და სასტუმრო ოთახს გასძახა.

– აფთათუ აბლრძ, აგრძუძნა!

– აღქ, აღბკჩენა?! – მოისმა ოთახიდან ბოხი, გაფერილ-  
გაუბზარავი ხმა და პარმალზე ფლანელისპიჟამოიანი, თავგ-  
ადაპარსული კაცი გამოჩნდა.

თვალეებით ვზომავთ ერთმანეთს.

თითქოს რაღაცას მიხვდაო, კიბის მოაჯირს გადაეყრდნო,  
გაიხედ-გამოიხედა. ჭიშკარსაც გახედა, თითქოსდა სურდა,  
დარწმუნებულიყო, მახლდა ვინმე თუ არა. მერე ერთხელ  
კიდევ შემომხედა და შეთქმულივით მკითხა: კაკ ვი სუდა პა-  
პალი?!

პასუხს არ დაელოდა. ხელი მომკიდა და სასტუმრო ოთახ-  
ში შემიყვანა.

ღმერთო, ახლა ნუ გამიხეთქავ გულს და აქედან რომ გა-  
ვალ, თუ გინდა, იმ წამსვე მომკალი.

თქვენ რა იცით, ვინა ვარ-მეთქი.

ჯერ ერთი, მანამდეც გიცნობდიო. მე ტყვარჩელიდან  
ვარო. შენ არ გახსოვარ, თორემ სარეისო ავტობუსზე რომ  
მუშაობდი, ხშირად მინახავხართ ტყვარჩელშიო. მეც მძლოლი  
ვარ, ტაქსისტი. ახლა სადღაა ტაქსიო. ესეც არ იყოს, ყოველ-  
დღე გიყურებთ მეც და ჩემი ოჯახიცო... მაშინ ავნიე თავი  
და თვალი კედლისკენ გავაპარე. სურათი! ჩემმა გოგომ იმ  
წელს სკოლა დაამთავრა. სამივე ერთად ვდგავართ თეატრის  
წინ, შადრევანთან. სასწაულივითაა ეს ყველაფერი. რატომ  
არ ჩამოხსნა ამ კაცმა ჩვენი სურათები.

პირველმა ელდამ გამიარა.

ისე მოვშინაურდი, ოთახებში გავიარ-გამოვიარე. აგერ ჩემი  
გოგოს როიალი, საწოლ ოთახში ჩვენი ავეჯი დგას. თითქოს  
ექვსი წლის წინ კი არა, გუშინ გავედით აქედან.

ცოლმა არაყი და ლელვის ჩირი შემოიიტანა.

– აჩჩ ააზიკვა აბლვა! – უთხრა მეუღლეს.

– აზნაუ, ზნაუ, ია სრაზუ უზნალა! – რატომღაც მოურუ-  
სულა დიასახლისმა.

რა უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, რაზე უნდა ვილაპარა-  
კოთ.

ოცდარვა სექტემბერს თქვენ ნახვედით და ოცდაცხრაში საღამოს მე ჩამასახლეს ამ ბინაშიო. აქეთ, შვიდ ნომერში რომ აფხაზი ჯონუები ცხოვრობენ, იმათ მითხრეს შენი ამბავიო.

ჯონუების გოგო და ჩემი გოგო სამედიცინო სასწავლებელში ერთად სწავლობდნენ. მერე რაღაცაზე წაიჩხუბნენ და ბოლოს აღარ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

არც ჩვენ, მშობლებს გვექონდა დიდი მეზობლობა და მისვლა-მოსვლა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ხვნეშით, მაგრამ რაღაცნაირად ღირსებით და სიამაყითაც ლაპარაკობდა ჩემი მასპინძელი:

მე შენთვის არაფერი წამირთმევიანო, ჩვენ რომ გავქცეულიყავით, თქვენ მოგეგოთ ომი, ალბათ, თქვენც ასე მოიქცეოდითო... ჩვენი შერიგება და ძმობა აღარ მოხდება, თქვენც კარგად იცით ესო. მე შენი სახლი დაწვას გადავარჩინე... ისე, რომ დაენვათ, შეიძლება უკეთესი ყოფილიყო, გული აღარ გამოგინევდა აქეთ და მეც ამ ჩემს სოხუმში სხვა ჭერს მოვძებნიდიო. თხუთმეტი საუკუნე ჩვენს მიწაზე ცხოვრობდით და მადლობელიც არა ხართო... არც მე ვარ ჩემს „ტარელკაზე“ ამ სახლშიო... ჯერ იყო და ცოცხალი არ გვეგონეთ, მერე, როცა გავიგეთ, რომ ცოცხლები ხართ, რაღაცნაირად მაინც ვნერვიულობდით მე და ჩემი ცოლი, თითქოსდა გელოდით კიდევო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგოთ ქართველებმა, რომ თქვენი აქ ჩამოსახლება აღარ იქნება. თუ მთავრობები რამეზე შეთანხმდნენ, შეიძლება სახლის და ნივთების ღირებულება ერთი-ორი კაპიკით სახელმწიფომ გადაგიხადოთო. ან ის რაში გეკუთვნით, რაც თქვენ დაგვანგრით და ზარალი მოგვაყენეთო...

ვუსმენდი.

ჩემს სათქმელს აქეთ მიუბნებოდა აფსუა ტაქსისტი. კამათს აზრი აღარ ჰქონდა.

მერე ბოდიში მოიხადა, ტელეფონი აიღო და სადღაც დარეკა.

– ბაშლაც, აბლაძერა... აბვაქ... აააქქვააა! – ჩასძახოდა ყურმილს.

ტელეფონი თითქმის დააგდო და, ცოტა არ იყოს, ამრეზილად მეკითხება:

როგორ ჩამოხვედი სოხუმში, მაჩვენე ერთი შენი პასპორტიო.

ცუდადაა საქმე.

ამოვიღე პასპორტი და სანამ ჩახედავდა, სხაპასხუპით დავაყარე.

ეს ჩემი ბიძაშვილის პასპორტია. მისი სურათი ამოვიღე და ჩემი ჩავანებე. ამ ჩემი სახლისთვის თვალი რომ არ შემეველო, შეიძლება გული გამსკდომოდა. იქ ჩვენ, თბილისში, თითქმის ვერაფერს ვიგებთ სოხუმზე, ოთხ საათზე უკან უნდა გავყვე ავტობუსს-მეთქი.

ადგა და ისევ მივიდა ტელეფონთან.

კარგა ხანს ისმოდა:

– აბლვერჯაა... ასკვლვექქეშაა, ჰრძულკვააბსბლკმქფსუაა...

მერე ცოლს მიუბრუნდა:

– ჰჯქსია... ავექჩქრუა?!

– სრქცხმშძფცაა! – გაბრაზებით მიუგო ცოლმა და კარი გაიხურა.

ცივად, უგულოდ დამემშვიდობნენ.

დავეშვი ჩემი სახლის კიბეზე და ფეხდოლაბიანივით მოვაბიჯებ ბაზრისკენ.

რა ჯანდაბამ წამომიყვანა.

ციხეში ჯდომა და აფსუა გამომძიებლის დაკითხვები შემიძლია ამ ხნის კაცს ანი მეე?

ოთხს აღარაფერი აკლია.

ჩემს ავტობუსს მივაკითხე.

რაც მომივა, მომივა. აქ რომ არ მოვსულიყავი, სულერთია, მაინც დამიჭერდნენ.

დაიძრა ავტობუსი.

რამდენ საგუშაგოსაც გაივლის და რამდენი აფსუა ავტო-  
ინსპექტორი მოგვიახლოვდება, ჩემი მემართება.

მგონია, ახლა ჩამომსვამენ და გამაქანებენ.

შიშით გატრუნული ვზივარ.

ენგურის ხიდამდე მოგვიყვანა ავტობუსმა.

ხიდთან უკვე რუსმა სამშვიდობოებმა გაგვისინჯეს პას-  
პორტები.

ფულს ვინ ჩივის, რალაცა ასი ნაბიჯი დამრჩა და სამშვი-  
დობოს ვიქნები.

ხიდი რომ გადავიარე და რუხის ციხეს შევუყევი, მაშინლა  
ამოვისუნთქე.

ტყუილად შეგშინებიაო, ჩემი ბიძაშვილი დამცინოდა, კე-  
დელზე შენი სურათი რომ ეკიდა, ამით იმ კაცმა ყველაფერი  
გითხრაო...

რა ვიცი.

აბა, რას ელაპარაკებოდა გაუთავებლად ტელეფონში ვი-  
ლაცას, ან ცოლი რატომ ერხებებოდა?

## ტერორი

*გორა ესებუას ხსოვნას*

შუალამე გადასული იყო.

ეძინა ქალაქს.

თებერვლის ცივი, ნოტიო ქარი ჰქროდა.

თავისუფლების ქუჩის დასაწყისში სამშვიდობო ჯარების  
საგუშაგოსთან ტანკი იდგა. ტანკის ქვეშ ღრუბლისფერი ნაგ-  
აზი იწვა და მთელ ქალაქში ერთადერთ განათებულ ადგილს  
– მწვანედ შელებილ, უშნო ჯიხურს შესცქეროდა.

ჯიხურში, ხის ნარზე, თავფეხშექცევით მიწოლილ ორ  
ნაარყალ რუსის ჯარისკაცს ეძინა.

შლაგბაუმი, ყოველ შემთხვევისათვის, დაწეული იყო.

დადიანების საგვარეულო ბალის განაპირას, ჩხოუშიას  
ძველ ხიდთან ლეგენდარული მოჭიდავის ნესტორ ესებუას  
ძველთაძველ, სვეტშემპალ-შემწვანებულ ოდაში ბუხარს ორი  
ტერორისტი მიჯდომოდა.

ბუხარში ცეცხლი მინავლულიყო. დროდადრო, ღველფი,  
თითქოს ამოისუნთქაო, გადარჩენილ ნკირს ფინთიხვიით  
გაუვლიდა და ამოიფუტებდა.

ტერორისტები ლადარს ჩასცქეროდნენ.

– რა ვიცი... კარგად უნდა დაფიქრება მაგ საქმეს.

– გეშინია, შენ, ხვიჩა, და მეტი არაფერი.

– ტყუილად არ ნავაგოთ თავი, თვარა ჩემი შიშის ნუ გე-  
შინია შენ. ჩემი შიში არ შეგიშლის ხელს.

– აბა, სხვანაირად ხომ ხედავ, არ გამოდის არაფერი. ხუთი  
წელია ნაცარს ვქექავთ. არავისი არ მრცხვენია ბავშვების  
გარდა მე. იზრდებიან ბავშვები. უმტკიცე მერე მაგნებს, ჩვენ  
ქვეშაფსიები არ ვიყავით-თქო.

– ეგ მესმის, მარა ჩვენი რომ იყოს ვინმე, კიდევე არაფერი. უცხო კაცი ასე ადვილად არ მოგატაცებოდა თავს და რა მოხდება, ვინ იცის,

– ხვიჩა, დამიჯერე, სხვანაირად არ მოიხედავს მსოფლიო ჩვენკენ. ჩვენებიდან ყვანიაც რომ მოვიტაცოთ, ვინ გამოიღებს თავს. ჩაგვატოვებენ ხელში. აღარ შემოიძლია, მომკლა ამ ტყუილებმა და მოწყენილობამ. ცოტა ხომ უნდა შეინძრეს ქვეყანა.

– მერე რალა დამკვირვებლებს მიაღებე.

– რა ჩემს ფეხებს აკვირდებიან. ხუთი წელია წაგვართვა რუსმა ნახევარი საქართველო. ასე მგონია, თუ გული არ გავიგლიჯეთ, თუ თავს არ მოვერიეთ და ერთად არ ავბლავლდით საჩხეში შერეკილი ირმებივით, ცოტა ხანიც და სათითაოდ გამოგვიხლავენ. დაცვედნებულ, დაყვერილ საქართველოში ვცხოვრობთ ჩვენ.

– შენ თუ რამე დაიჭინე, მამაზეციერი ვერ გადაგათქმევინებს, მე კი არა. კი ბატონო, მოგყვები, ოღონდ მერე არ მითხრა, რატომ არ მირჩიე, რამე ჭკვიანურიო.

– სიკვდილზე მეტი ხომ არაფერი მოგვივა, ძუკუ. უნდა გაიგოს ქვეყანამ, რომ მე და შენ მაინც არ შევგუებივართ ჩვენს თავლაფსხმას.

– ახლა ერთს გეტყვი მე შენ. რატომ გგონია, როგორც შენ ჩაიფიქრე, მაინცდამაინც ისე გაიგებს მთავრობა. რომ დაგვიშინონ ტყვია და ჩაგვცხრილონ ყველანი? სად მიდიხარ მერე. ჩვენი თავი ჯანდაბას, ის მოტაცებული ხალხი რომ დაგვიხოცონ, სირცხვილს და საცოდაობას სად მიუდიხარ.

– შენ „ბახტრიონი“ თუ გაქვს წაკითხული სკოლის წიგნში. ამდენი ჭოჭმანი არ დაუნყია, ვინც პირველი დაეცა ბახტრიონის ციხეს. ერთი კაცი იყო და გოგო ახლდა კიდევე, აშენდა მისი გამზრდელი. ჩვენს დასახოცავად რუსებს აღარ დაუძახებს მთავრობა. ეს ვიცი ნამდვილად. მიმხვდარია თვითონაც, ვინცაა რუსი. კაგებეს და მილიციის ბიჭები იქნებიან და, არა

მგონია, ჩვენი სისხლი დალიონ მაგნებმა. ქართველებია ბოლოს და ბოლოს. ჩვენ თუ არ გავუგეთ ერთმანეთს, ხომ ხედავ, ჩვენი პატრონი არავინაა ამ დუნიაზე.

– არ ვიცი... არ ვიცი... დაფიქრება უნდა ამ საქმეს. მოწყენილობის გულისთვის უცხო ხალხის მოტაცება არ გამიგია მე...

– მოწყენილობის კი არა, ქვეყნის გაღვიძებისათვის, ძუკუ. ერთხანს ჩუმად ისხდნენ.

ფურჩიში გატრუნულმა თავგმა იფიქრა, ახლა კი ჩემი დროაო, ლარდაყინზე გაცუნცულდა და ბუხრისთავს გამოკლებულ აგურში გამოყო თავი. ორ პანანინა ფეხზე შეიმართა. წანვეტებულ-წამახული სასაცილო პირსახე ჯერ ჭერისკენ შეაბრუნა, მერე ხელისგულზე ყბადაბჯენილ ორ ტერორისტს ჩამოხედა, ხვრელში შეტრიალდა და თვალისდახამხამებაში ისევ ლარდაყინზე გამოჩნდა თავისი უღიმღამო თავგური ცხოვრების გადამკიდე.

მამლები შორს, ჩხოუშიას გაღმა ყიოდნენ.

1998 წლის 19 თებერვალი თენდებოდა.

ოთხი მძევლიდან რუსული მხოლოდ ჩეხმა პუჩეკმა იცოდა. ტერორისტებმა თარჯიმანი, მიუხედავად მისი დაჟინებული თხოვნისა, არ მოიტაცეს. თარჯიმანი რუსეთის მოქალაქე იყო და ტერორისტებს არ სურდათ ჩრდილოელი მეზობლისთვის თავისი მოქალაქის გამოხსნის საბაბით ჩვეული „ლონისძიებების გატარების“ შანსი მიეცათ.

ოპერაცია ექსცესების გარეშე ჩატარდა.

ტერორისტებს არც ნიღბები ეკეთათ და არც ტყვიაგაუმტარი ჟილეტები ეცვათ.

„გაეროს ოფისად“ ხმობილ პარმენ მეზონიას ოდაში დღისით, მზისით სამი უყაბალახო ბიჭი შევიდა. მაგიდებთან მთვლემარე დამკვირვებლებს ზრდილობიანად, მაგრამ კატეგორიულად სთხოვეს, ცოტა ხანს დაკვირვებისთვის თავი გაენებებინათ და ქვევით ჩაჰყოლოდნენ.

ხიდას რომ გადაცდნენ და აღმართს შეუყვნენ, როგორც იქნა, გააგებინეს შემკრთალ უცხოელებს, რომ ისინი მძევ-

ლებად აიყვანეს. რომ ოთხი „გაეროელის“ მოტაცებას მხოლოდ პოლიტიკური სარჩული ედო და გამოსასყიდი თანხისთვის ნურც მოკრძალებულსახსრებიან „გაეროს“ შეანუხებენ და ნურც თავიანთ ათასი საზრუნავით გაბეზრებულ მთავრობებს.

„ალბათ დაგვხოცავენ“ – გაიფიქრა ურუგვაელმა დამკვირვებელმა და გული შეეკუმშა. პიჯაკის ჯიბიდან უბის ნიგნაკი ამოიღო, გადაშალა, ფერადი ფოტო მძლოლის გვერდით მჯდომ ესებუას ცხვირთან მიუტანა.

– მე ორი პატარა გოგო მყავს, აი, ნახეთ.

ესებუამ სურათს თვალი ჩაჰკრა და განზე გაიხედა.

„როგორც ჩანს, ამათზე სენტიმენტალური სცენები არ გაჭრის“, გაიფიქრა ურუგვაელმა და კიდევ უფრო შეეკუმშა გული. იგი წყველა-კრულვას უთვლიდა თავის ურუგვაელ შეფს, პერსპექტიულ, ნიჭიერ დიპლომატს ამ ცხელ წერტილში რომ უკრა თავი.

ნორვეგიელები წყნარად ისხდნენ. თითქოსდა ტერორისტებს თავს არ უყადრებდნენ. ზორბა ჩეხს ცნობისმოყვარეობა ანუხებდა და წამდაუნუმ ეკითხებოდა გამტაცებლებს: თუ შეიძლება, ამისხენით, სადაც მივდივართ, იქ ტელეფონზე დარეკვის საშუალება თუ იქნებაო.

ადგილზე გაიგებთ ყველაფერსო, მოკლედ და ბუნდოვნად პასუხობდნენ ტერორისტები.

ესებუა დროდადრო შემობრუნდებოდა და მძევალთა თავებს მიღმა გზას გასცქეროდა.

– არ ჩანს მდევარი? – ჰკითხა ძუკუმ.

– არა. მგონი, ვერც გაიგეს ვერაფერი, მაგ შობელძაღვლებმა, გააჩერე ერთი, დავრეკავ ტელეფონზე. დაგვინყებენ მერე ძებნას და ცოდოა ეს ხალხი.

მძევლებით სავსე „ნივა“ ძუკუმ კბილის ამბულატორიასთან დაამუხრუჭა.

ესებუამ კიბე აირბინა და პალტოზე თეთრხალათმოსხმულ, მკლავზე თავმიდებულ ექიმს ტელეფონზე ანიშნა.

– ხომ შეიძლება?

პასუხს არ დაელოდა. საფისტონე ჯიბიდან ქალაღლი ამოიღო, ტელეფონის ნომერს დახედა და დარეკა.

– დამიგდე ყური კარგად. მორიგე ხარ ხომ? გადაეცი მანდ შენს უფროსებს, ჩვენ, ტერორისტებმა, გაეროს ოთხი კაცი გავიტაცეთ და ჯიხაშკარისკენ მიგვყავს. ვერ გეტყვით, სად ვიქნებით. იქ ვიქნებით ვინმესთან, ჯიხაშკარში. რა უნდა ჩვენს მოძებნას. ჰო, ასე გადაეცი. კარგად იყავი აბა.

ავადმყოფების ამო ლოდინით დაღლილმა ექიმმა მშვიდად მოუსმინა ტერორისტს, რას აღარ საქმიანობს ხალხიო, გაიფიქრა და ახლა მარცხენა ხელს ჩამოადო თავი, რადგანაც მარჯვენა დაბუფებოდა.

ესებუა მანქანაში ჩაჯდა, ავტომატი ფეხებშია ჩაიდო და ძუკუს გაუღიმა.

– სად იქნებითო, მაგ სულელმა, ვითომ ნათლობაზე ვეპატიფებოდე.

ჯიხაშკარში სოფლის გამგებლის – მეგონა მარლიას სახლს მიადგნენ. ტერორისტები ვართო, აუნყეს და მასპინძლის უარზე, არ დაიდოთ ჩემი ოჯახის ცოდვა, სხვაგან მიდით, ბიჭებო, მე რაც უნდა იყოს, მაინც გამგებელი ვარო, ერთი პირობა დააპირეს უკან გაბრუნება, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მდევარს ყოჩაღად ევლო და პოლიციელებს სახლისთვის ალყა შემოერტყათ.

სხვა გზა არ იყო, უცნაური სტუმრებისთვის მეგონას ოჯახს უნდა ემასპინძლა.

მძევლები ტახტზე გამწკრივდნენ. მომტაცებლები ფანჯარასთან მისხდნენ და ავტომატები მოიმარჯვეს.

– არ ისროლოთ, არ დამლუპოთ, ბიჭებო, – იმეორებდა ნირნამხდარი მასპინძელი.

– შენს საქმეს მიხედე, შეშა ამოიტანე და შეანთე, არ გაყინო ეს ხალხი – უთხრა ესებუამ. მერე ფანჯარა გააღო და მანქანებთან მოფუსფუსე პოლიციელებს გასძახა:

– ჭიშკარში შემოსვლა არ გაბედოთ, თორემ თქვენს კისერზე იქნება ამ სტუმრების ცოდო. ჩვენ თქვენთან არა გვაქვს საქმე. მოვიდეს თბილისი და გავაგებინებთ ჩვენს მოთხოვნებს. არ მოტყუვდეთ არაფერში. თქვენი ცოლ-შვილი გაიხსენეთ და წყნარად იყავით მანდ. თქვენი ფაფხური არ ჭირდება არავის. არ გავრბივართ ჩვენ არსად და თქვენ მიხედეთ თქვენს საქმეს!

ტერორისტული აქტიდან ერთი საათის შემდეგ მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები უკვე გადასცემდნენ საქართველოში მომხდარ შემადრწუნებელ ამბავს.

მსოფლიომ უკვე იცოდა, რომ ოთხი მშვიდობის მტრედის, ოთხი უწყინარი დამკვირვებლის სიცოცხლე საფრთხეში იყო, რომ ისინი „ულმობელ ჯალათებს“ ციხესიმაგრედ გადაკეთებულ საცხოვრებელ სახლში ჰყავდათ შემწყვედი და ტერორისტები მხოლოდ მათთვის გასაგებ, რომელიც ტერორისტულ ენაზე ერთმანეთს უთანხმდებოდნენ, საქართველოსთვის თავმკვდარი ამ ოთხი დამკვირვებლისთვის რა ფორმით ამოეხადათ სული.

„გაერომ“ საგანგებო სხდომაზე სპეციალური რეზოლუციით დაგმო ტერორისტთა საქციელი და გამტაცებლებს მოუწოდდა სასწრაფოდ, უპირობოდ და ულაპარაკოდ გაეთავისუფლებინათ მძევლები, მაგრამ გაეროს რომელი რეზოლუცია შესრულებულა, ეს რეზოლუცია რომ შესრულებულიყო.

ყველას, არქტიკიდან ანტარქტიდამდე და შპიცბერგენის კუნძულებიდან მადაგასკარამდე „ჯიხაშკარი“ და „ესებუა“ ეკერა პირზე.

ამერიკის პრეზიდენტმა კლინტონმა თავისი ორასორმოცდაშვიდი თანაშემწიდან ერთ-ერთს – სიმპათიურ მის ქეთრინს უხმო და შევარდნაძისთვის გადასაცემი წერილი უკარნახა. წერილში თეთრი სახლის მესვეური თხოვდა ქართველ კოლეგას, ყველაფერი ელონა დამკვირვებლების გასათავისუფლებლად. კლინტონს ესებუას გვარის გამოთქმა გაუჭირ-

და, „ესებ“ რომ თქვა, ლოყები დაბერა და „ბუა“ ფრანგულ-პროვანსულ დიალექტზე ისე მჭახედ გამოისროლა ბაგეთაგან, რომ სული ძლივს მოითქვა. ახარხარებულ თანაშემწეს რომ გახედა, თვითონაც სიცილი აუტყდა და გახალისებულმა ერთი გაფიქრება გაიფიქრა, რა ქვეყანა დაიქცევა, მოვუსვამ გავაზე ხელს ამ კოხტა ქალსო, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა და სწორედაც მოიქცა. კლინტონმა იცოდა, რა იღბლის პატრონიც იყო. არც ერთი თანაშემწე გავაზე (და ცოტა ქვემოთაც) კლინტონის ხელის ჩამოსმაზე იმ წუთას უარს არ აცხადებდა, მაგრამ პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსული პირდაპირ სასამართლოში გარბოდა.

ნეიტრალურ და ნახევრადნეიტრალურ ქვეყნებში იქმნებოდა ფონდები და საზოგადოებები „ველურთა“ მიერ გატაცებული დამკვირვებლების გამოსახსნელად.

ურუგვაელი პოეტები ქართველებისთვის თავშენიწერილი თავიანთი თანამემამულის გმირობაზე ლექსებს თხზავდნენ.

მეგონა მარლიამ გადაწყვიტა სტუმრებისთვის (ინფორმაციულ ვაკუუმში რომ არ აღმოჩენილიყვნენ) სიდედრის ოთახიდან ტელევიზორი გაეტანა, რაზეც ლოგინს მიჯაჭვულმა ქალბატონმა სასტიკი პროტესტი განაცხადა და მასპინძელი იძულებული გახდა ძველთაძველი შავ-თეთრი ტელევიზორი „ტაურასი“ ამოეტანა სარდაფიდან.

ძველ ტელევიზორს ერთი სენი სჭირდა: ხმას თუ გაუსწორებდი, გამოსახულება ირღვეოდა და ეკრანზე ადამიანები თევზებს ემსგავსებოდნენ. თუ გამოსახულებას გაასწორებდი, ტელევიზორი აფეთქებისწინა შიშინ-ხავილს გამოსცემდა. ჯიხაშკარელმა მოხალისეებმა პოლიციის ალყას თავიანთი ალყა შემოარტყეს. ადგილობრივი მებრძოლები ფილთა თოფებით და მშვილდ-ისრებით იყვნენ შეიარაღებულნი.

შუადღისას საქართველოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს ქვედანაყოფები მოვიდნენ ბეტეერებითა და ამფიბიადგადაკეთებული ტანკებით. მალე ვერტმფრენებიდან

ტერორისტთა სწრაფამყვანი ჯგუფის „დელტას“ წევრები ჩამოხტნენ კობტა, მომცრო პარაშუტების და ჯიხაშკარელთა ირგვლივ განლაგდნენ.

ასე რომ, მეგონა მარლიას ისტორიული სახლი სამმაგ ალყაში მოექცა.

სანამ დიასახლისი სუფრას გაშლიდა, ტერორისტთა მეთაურმა სამპუნქტიანი მოთხოვნა გადასცა საქართველოს ხელისუფლებას. ულტიმატუმი მარტივი და, რაც მთავარია, იოლადშესასრულებელი იყო: 1. რუსის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოდან; 2. ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლება (მიუხედავად იმისა, სურს თუ არა გათავისუფლება და შეძლებს თუ არა ციხიდან გამოსვლას); 3. რეალური, მაგრამ უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლების მოლაპარაკება კანონიერი ხელისუფლების რუსეთში მიმოფანტულ წარმომადგენლებთან.

რეალური ხელისუფლებისთვის ამ მოთხოვნების შესრულება საპნის ბუშტის გაშვებასავით ადვილი საქმე იყო. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლებას გაეხარდა კიდევ ესებუას ულტიმატუმი. ჯერ ერთი, პოლიტპატიმრები სისხლს უშრობდნენ ციხის ადმინისტრაციას და თუ ისინი ციხეს დატოვებდნენ, ტაშისკვრით გააცილებდნენ, რუსის ჯარის გასვლა ახლა თვით მრავალგზის მოტყუებულ ხელისუფლებასაც სურდა. რაც შეეხება წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს, ბურჟუაზი და აბსნაძე დღევანდელ ხელისუფლებას ადამიანურად ენატრებოდა კიდევც.

სუფრას ტერორისტები და მათი „მსხვერპლნი“ ერთად მიუსხდნენ.

„მე ორი გოგო მყავს, აი ნახეთ“, – საცოდავად გაიღიმა ურუგვაელმა და ფოტო დააძრო. შავგვრემანი, კუდრაჭა ურუგვაელი ბავშვების სურათმა სუფრა ჩამოიარა. მაგრამ ურუგვაელს მაინც ვერ უშველა. მიუხედავად მისი ენერგიული უარისა, გმადლობთ, არ მშიაო, იგი ლამის ძალით დასვეს სუფრასთან.

„ალბათ გვნამლავენ“, – შიშისაგან ყელი გაუშრა ლათინური ამერიკის მკვიდრს. ეს შიში გაუათკეცდა, როცა ესებუამ ცხელ ღომში ქვასავით მაგარი, ყავისფერქერქიანი, შებოლილი სულგუნის ნაჭრები ჩაუდო.

– მიირთვი... ეს ჩვეულებრივი ყველი არ გეგონოს, სპეციალურადაა გამოყვანილი, – აუხსნა ტურჩაკანკალებულ ტყვეს.

„სპეციალურად გამოყვანილმა“ მთლად გადარია ურუგვაელი.

– ვიცი, ვიცი... სულგუნისანი ღომი განზე გასწია მან – ვიცი, რასაც ნიშნავს „სპეციალური“. მე გაეროს პატივს არ ვცემ... მატყუარა დაწესებულებაა. მე ორი პატარა გოგო მყავს...

ურუგვაელმა ნორვეგიელებს გახედა. ეშმაკ ევროპელებს ასეთი მულამი ჰქონდათ დამუშავებული: ზუსტად იმას მიირთმევდნენ, რასაც ესებუა ჭამდა. ურუგვაელი საბოლოოდ მაშინ დამშვიდდა, როცა გალალეულ ჩეხს მიაპყრო თავისი ცქვიტი, ურუგვაული მზერა. ჩეხი ყანწით ხელში ქართველი და სლოვაკი ხალხების სადღეგრძელოს სვამდა. ამ ორი მშვიდობიანი ერის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე ლაპარაკობდა.

ურუგვაელმა, ღმერთმა შეარგოს, გემრიელად ისადილა, მაგრამ ქართველი და ურუგვაელი ხალხის მეგობრობის ფაქტები ვერ გაიხსენა და სადღეგრძელო ჩეხთან შედარებით, მწირი, ნაკლებემოციური გამოუვიდა.

მეორე და მესამე დღეს ვნებები შედარებით დაცხრა. მსოფლიო მიხვდა, რომ ტერორისტები მძევლების ცოცხლად შეჭმას არ აპირებდნენ.

მოლაპარაკებები კი გრძელდებოდა ხან მრგვალ, ხან კი სულაც ოთხკუთხედ მაგიდასთან.

მეოთხე დღეს ტერორისტებმა ნორვეგიელები გაათავისუფლეს. ტყვეებმა არცთუ დიდი ხალხით მიიღეს თავისუფ-

ფლება. ერთმა მათგანმა გამოსვლისას იკითხა კიდევ, ხომ არაფერი დაგვიშავებია, ასე რომ გამოგვყავითო“.

ნორვეგიელებს ყველაფერი ეადვილებოდათ. რას წარმოიდგენდნენ ისინი, მსოფლიო პოლიტიკოსების რა ძალისხმევით და რაოდენ დაძაბული მოლაპარაკებით იქნა მიღწეული ტერორისტების ხელიდან მათი დახსნა და ზუგდიდში კვლავ „გაეროს ოფისში“ დაბრუნება.

„დაძაბული მოლაპარაკებები“ გრძელდებოდა.

მსოფლიო ზანზარებდა.

– ვერ გავიგე, მართლა ასე გიჭირთ მაგნების დაჭერა? რათ უნდა ამ ამბავს ამხელა ამბავი – განუცხადა ერთ-ერთი „დაძაბული მოლაპარაკების“ შემდეგ უშიშროების პოლკოვნიკს აგენტმა ციმინტიამ. ჟდანოვის ქუჩის მკვიდრს, ყოფილ დისიდენტს, ანშემორიგებულ ციმინტიას ძირითადად მეზობლების თვალთვალი და დასმენა ევალებოდა – დავიკავებთ მე და ორი ოპერმუშაკი აპარატებს ხელში. ვიტყვით, ტელევიზია ვართო, შეგვიშვებენ ხელად და დავაპატიმრებთ ხუთ წუთში ყველას, – ამას ციმინტია საოცარი თვითდაჯერებით ამბობდა.

– ხოხ, შენ მიხვდი და ჩვენ ვერ მიხვდით ამას, ციმინტია. ნადი ახლა, შეაყოლე აქედან და არ დაგინახო ჯიხაშკარში ამოსული. შენი ტვინი ასე წელი ვერ გაიგებს, რა ხდება აქ და რისთვისაა ეს ყველაფერი საჭირო, – მშვიდად მიუგო პოლკოვნიკმა და კარისკენ მიუთითა.

ტერორისტებს გამთენიისას ძილი ერეოდათ ხოლმე. მაშინ ესებუა ჩეხს მიაჩნებდა ავტომატს და სთხოვდა, თუ ძმა ხარ, ცოტა თვალს მოვატყუებ, ფანჯარასთან დაჯექი და თვალი ეზოსკენ გეჭიროსო.

ურუგვაელს რატომღაც არ ენდობოდა.

სადილ-ტრაპეზი ძველებურად მხიარულ, „გულთბილ ატმოსფეროში“ (დიპლომატიური ტერმინით) მიმდინარეობდა. რამდენჯერმე ალყის პოლიციელებიც მიიპატიჟეს სადილზე.

პოლიციელებს თავპატიჟი არ გაუდვიათ. ავტომატები ბუხართან მიაყუდეს და სუფრას მიუსხდნენ. დაღვეით კი ღვინო არ დაუღვეიათ, ტყუილს ვერ ვიტყვი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს არ ვსვამთო, აცხადებდნენ.

მეოთხე დღეს „დაძაბული მოლაპარაკების შედეგად“ ურუგვაელი გაათავისუფლეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა გულწრფელად ითხოვა: თუ შეიძლება ორი დღე კიდევ დამტოვეთო. ჩემი ხელისუფლება მძევლად ყოფნის ექსტრემალურ სიტუაციაში დღეში ორი ათას დოლარს მიხდის და ორი დღის პატიმრობის ფული მაკლია ურუგვაიში საკუთარი ვილა რომ შევიძინო. ახლა ცოტა შელანძღულ ბინაში ვცხოვრობ ჩემი ცოლით და ორი ქალიშვილითო.

გოგონების სურათი ამჯერად ჯიბიდან არ ამოულია.

ესებუამ მცირე ყოყმანის შემდეგ ურუგვაელის თხოვნა დააკმაყოფილა.

მეექვსე დღეს ესებუამ გაანდო ჩეხს, რომ, მიუხედავად ფაქტობრივი ხელისუფლებისადმი დიდი პატივისცემისა, არ სურდა სამართალდამცავ ორგანოებს ჩავარდნოდა ხელთ და გაქცევას აპირებდა. თუ გაქცევის დროს მესროლეს და მომკლეს, დედაჩემს გადაეცი, რომ მისი ლეჩაქი არ შემირცხვენიაო. ჩენმა ცრემლმორევით აღუთქვა, რომ მის სურვილს შეასრულებდა, თუმცა სიტყვა „ლეჩაქის“ მნიშვნელობა მთლად კარგად ვერ გაიგო.

გამთენიისას, როცა იარაღში ჩამჯდარი, ნაბადმოსხმული ესებუა ყველას ემშვიდობებოდა, ჩეხმა მძევლისთვის სრულიად უჩვეულო გადანყვეტილება მიიღო:

პროჟექტორით განათებულ გასაპარ ბილიკზე ორნი გამოჩნდნენ. ჩეხს ხელი გადაედო ესებუასთვის და ორივენი მდუმარედ, შეთანხმებული ნაბიჯით მიაბიჯებდნენ ტყისაკენ.

უშიშროების პოლკოვნიკს ცრემლი მოადგა. ახლა მას უკვე შეეძლო თამამად ეთქვა, რომ უცხოელის გვერდით მიმავალ ტერორისტს ვერ ესროდა დამკვირვებლის სიცოცხლის უს-

აფრთხოების თვალსაზრისით. თუმცა, მაპატიოს უშიშროების მთელმა სამსახურმა თუ მკითხველს საიდუმლოდ გავანდობ, რომ ესებუასთვის სროლას პოლკოვნიკი მაინც არ აპირებდა. იგი, თუ მაინცდამაინც, სამჯერ-ოთხჯერ ჰაერში ისროდა და მერე იტყოდა, დავაცილეო.

კიდევ ერთი უჩვეულო რამ მოხდა იმ დღეს: ჩეხს დამიხედე, ძვირფასო მკითხველო, ჩეხ დამკვირვებელს, ორმეტრიან ვაჟკაცს – იანომ პუჩეკს.

ესებუა რომ სამშვიდობოს დაიგულა, გამოემშვიდობა და... ხომ შეეძლო ალყის გარეთ „გაეროს“ მანქანისკენ წასულიყო, მოტრიალდა, თეთრი რიდე ჯოხის თავს მიამაგრა და მეგონა მარლიას სახლისკენ წავიდა.

აქაოდა, იქ კიდევ დარჩა „ტერორისტი“, იქნებ, მე რომ გარეთ დამიგულებენ, სახლზე მიიტანოს იერიში პოლიციამ და ვინ იცის, რა მოხდებაო.

ასე დამთავრდა ტერორისტობის ისტორიაში ეს უცნაური ტერორი, ძვირფასო მკითხველო.



## ხელმოწერათა შემგროვებელი

შემინებული, დაცვედნებული, ხელისუფლების დუდუკზე მროკავი ახალგაზრდობა მოვიდაო, ეროვნული იდეალები დაივიწყესო, ამათი რა იმედი უნდა მქონდეს, ნირვანაში მყოფნი უაზროდ აცეცებენ დაბინდულ თვალებს იქეთ-აქეთო, თქვენ წერთ, პატივცემულო.

ნანილობრივ მართალი ბრძანდებით, მაგრამ, ძალიან გთხოვთ, მეც მომისმინოთ.

იქნებ, მთლად ჩვენი ბრალიც არ იყოს, რამაც თქვენი სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

იქნებ არც თუ მცირეოდენი წვლილი თქვენ – მამებსაც მიგიძღოდეთ, ჩვენს, როგორც ამბობთ, გულგრილობაში.

შარშან ისტორიის ფაკულტეტიდან ომარ კალანდაძემ მომძებნა, კალანდაძე გეცოდინებათ, რასაკვირველია. პირდაპირ, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მითხრა: „საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ჰქვია ჩვენს საზოგადოებას. ჯერჯერობით ოცდაშვიდი სტუდენტი და ორი ასპირანტი ვართ. თუ გინდა, იყავი ჩვენთანო.

რა უნდა ვაკეთოთ-მეთქი. რასაც სხვა წესიერი პარტია თუ საზოგადოება აკეთებსო. მართალია, დამარიგა მამაჩემმა, იქ, თბილისში, ყველა ერთმანეთს ასმენს, არ გაერიო არავითარ ჯგუფში, სწავლას გაუხდი მუყაითად, თორემ ხარჯი ხარჯად დაგვეკარგება და, შეიძლება, თავიც დაილუპოო, მაგრამ წუთითაც არ მიყოყმანია, ჩავეწერე.

მეორე შეხვედრაზე კალანდაძემ ხელმოსანერი ქალაქების მთელი დასტა მომიტანა. ასი ათასი ხელმოწერა მაინც უნდა დავაგროვოთ, რომ პარლამენტმა რეფერენდუმი დანიშნოსო. „მოვითხოვ, რუსეთის საოკუპაციო ჯარი გავიდეს საქართველოდან“ – ეს ერთადერთი წინადადება ეწერა თავ-

ფურცელზე. ხელმოსანერი გრაფა სამ განყოფილებიანი იყო: 1 – ხელმონერა, 11 – სახელი, გვარი და მამის სახელი (მკაფიოდ), 111 – მისამართი.

ასე რომ, ზოგმა რომ იცის, გაკვრით, გაურკვეველად ხელმონერა, მამაზეციერსაც რომ გაუჭირდება დაადგინოს, ვინ ანერს ხელს, ასეთი რამ არ გამოვიდოდა. ან უნდა მოგეწერა სრულად ხელი – მისამართის ჩვენებით, ან – არა.

ეს ქალაქები ჩვენი საზოგადოების წევრებს ჩამოურიგე. პარალელიზმი რომ გამოირიცხოს, ყველას თავისი „ფენა“ მიუჩინე.

შენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან უნდა იმუშაო. ხვეწნა არავის დაუნყო. ვისაც უნდა ხელმონერა, მაშინვე მოაწერს. ვისაც არ უჯდება ჭკუაში, დილიდან საღამომდე რომ ეჩიჩინო, ვერ დაიყოლიებო, კალანდაძემ.

ჯერ ჩემს ფაკულტეტზე ჩემს ლექტორ-მასწავლებლებს შორის დავტრიალდი.

პროფესორ ევგენი ხელაძეს, ზარი რომ დაირეკა, აუდიტორიის კარებთან დავხვდი. ფანჯარასთან მივდექით. რამდენჯერმე წაიკითხა. დიდხანს ატრიალა ხელში და როდის-როდის მკითხა:

სხვები რატომ არ აწერენ ხელსო.

დღეს მომიტანეს, თქვენგან დავიწყე-მეთქი, პატივცემულო.

ვინ მოგიტანაო.

ჩვენ საზოგადოება გვაქვს, სტუდენტური, იქ გადავწყვიტეთ, ხომ ხართ მომხრე რუსის ჯარი გავიდეს საქართველოდან-მეთქი.

მთელი სიცოცხლე მაგაზე ვოცნებობ, ჩემო შანშე. ჩემს წიგნებში სხვას კი არაფერს ვწერო. ხელს მოვანერ, რასაკვირველია, მაგრამ მაინც მითხარი, რატომ დაიწყე ჩემგანო.

პირველი თქვენი ხელმონერა რომ იქნება, მერე სხვები ადვილად მოაწერენ, თქვენ ავტორიტეტი ბრძანდებით-მეთქი.

ეგ მართალია, მაგრამ, იცი რა, ჯერ სხვამ მოაწეროს. ჩემი საქმე სხვანაირადაა, იცი შენ. ისედაც არ მოფუდივარ მთავრობას თვალში. ჩემს ხელმონერას პირველს რომ ნახავენ, რალაცას მიხიბანებენ. შარზე არიან. ჯერ სხვამ მოაწეროს, თუ კაცი ხარ და მერე მოდი ჩემთან. ჩათვალე, რომ ჩემი ხელმონერა ჯიბეში გაქვსო.

ისეთი მუდარით მეუბნებოდა ამ სიტყვებს პროფესორი ხელაძე, რომ ბატონი ბრძანდებით-მეთქი და დერეფანს გავუყევი.

დეკანატიდან პროფესორი შეშელიძე გამოვიდა. გამახსენდა მისი ცეცხლოვანი ლექციები და ისიც, რა სინანულით ამბობდა ხშირად, სად ხუთი წლის წინანდელი სტუდენტები და სად ახლანდელი. ცა და მიწასავითაა განსხვავება. ისინი კი არ დადიოდნენ, ციციანათელებივით კვესავდნენ, ამათ ზეზეურად ეძინებათო.

თუ ვინმე მოაწერს, ბატონი შეშელიძე მოაწერს ხელს-მეთქი და წინ გადავუდექი.

გამარჯობა შანშე შენიო, სალამი აქეთ დამასწრო. ცუდ საქმეზე არ გაირჯებოდი, ვიცი, შენო. რა ქალაქი გიჭირავს ხელში, მაჩვენე ერთიო.

ხელმოსანერია-მეთქი, გავუნოდე.

წაიკითხა და მაშინვე მოაწერა. აი, ყოჩაღ, ეგ უკვე საქმეა, ასე უნდა, აბა რა, უნდა ამოძრავდეთ ახალგაზრდებიო.

დავხედე „შ“-ს მსგავსი პირველი ასოა და მერე კლაკნილი ხაზი. დავენიე.

პატივცემულო, სახელი, გვარი და მამის სახელი სრულად გვჭირდება და მისამართი-მეთქი.

კი, ბატონოო. ყველაფერი სრულად მიკარნახა და ჩამაწერინა.

ა, კაცი-მეთქი, გულში ვამბობ.

ოთხმოცდამეცამეტე აუდიტორიას არ იყო შეშელიძე გაცლილებული, რომ შემობრუნდა, ქალაქი გამომართვა და სათვალე მოირგო.

ვინ გამოგატანა ჩემთან ხელმოსანერადო.  
არავინ, მე თვითონ მოგართვით-მეთქი.  
სხვამ ხომ არავინ იცის ჩემთან რომ უნდა მოგეტანაო.  
არა, რატომ მეკითხებით-მეთქი.  
არაფერი, ისეო.

შენ გგონია, ჩემი ხელმონერით გავა რუსის ჯარი საქართველოდანო?

მარტო თქვენ კი არა, მე მგონი, ამას, ორიოდე გამონაკლისის გარდა, მთელი საქართველო მოაწერს ხელს-მეთქი.

არ დაიჯერო ეგ ამბავიო. ადამიანი ისეა გაორპირებული, ნახავ, ერთი პროცენტიც არ მოაწერს ხელსო.

დამიბრუნა ქალაღი და წავიდა. საპროფესოროსთან კიდევ ერთხელ შემოტრიალდა. შეშფოთებული სახე ჰქონდა. გამომართვა, მუხლზე დაიდო, გულდასმით წაშალა თავისი ხელმონერა. წაშალა ყველაფერი გასწვრივ – ტელეფონიც, მისამართიც, მამის სახელიც. დამიბრუნა ქალაღი და იდუმალი ჩურჩულით მაუწყა:

– ახლა არ მკითხო არაფერი. უნივერსიტეტს რომ დაამთავრებ, მერე მიხვდები, რატომ წავშალე ჩემი ხელმონერაო. საერთოდ, კარგი მინდა, იცოდე, შენთვისო, – ეს რებუსური პასუხი დამიგდო და, არ დამენიოსო, კიბე სულ ასკინკილით ჩაირბინა.

უნივერსიტეტის ბაღში პეტრე მელიქიშვილის ძეგლის გვერდით ჩვენი ყოფილი დეკანი სევერიანე მეხუზლა იჯდა.

მისკენ გავემართე.

ხელმონერებს ვაგროვებთ პატივცემულო, ნახეთ, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, იქნებ დაგვდოთ პატივი და მოაწეროთ-მეთქი.

გამომართვა, დახედა.

სათვალე შინ დამრჩა, რა წერია, მითხარი, რას მოითხოვთო.

რუსის საოკუპაციო ჯარის გასვლაზეა ლაპარაკი-მეთქი.

კეთილი და პატიოსანი, ვინ შემოგყავთ, სამაგიეროდო.  
არავინ. საქართველო დეოკუპირებული, თავისუფალი სახელმწიფო იქნება-მეთქი.

გველნაკბენით წამოხტა.

– იყო ეს ყველაფერი შანშე. ახალი არაფერია მაგაში. იყო ეგ და რაც მივიღეთ, კარგად იცი შენო. კი ბატონო, ვინ გიშლით ხელმონერების შეგროვებას, მარა ამის დრო გაქვს ახლა შენო? გამოცდები და ჩათვლები კარზეა მომდგარი. სად გცალია ამისთვის. თავისუფალი დრო რომ გექნება, მერე აგროვე ხელმონერები. კარგად იყავი ახლაო.

ჩემს პასუხს არ დაელოდა. წამოდგა. შარვალზე უკან ხელი გაისვ-გამოისვა და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავიდა.

პროფესორ თადუმაძეს საღამოხანს შინ მივაკითხე. ვიცოდე, ძველი სტუდენტის წინ ცხოვრობდა.

ძლივს მივაგენი სადარბაზოს.

ვრეკე ზარი.

არავინ მიღებს.

მოპირდაპირე კარებზე დავაკაკუნე.

სათვალისნა ქალმა გამიღო.

– ქალბატონო, ბატონი თადუმაძე ხომ არ დაგინახავთ დღეს-მეთქი. სტუდენტი ვარ, ხელმონერებს ვაგროვებ და ამ საქმეზე მინდოდა შემეწუხებინა-მეთქი.

რა ხელმონერებსო.

საოკუპაციო ჯარის საქართველოდან გასვლის მოთხოვნაზე-მეთქი.

მეც უნივერსიტეტის თანამშრომელი ვარ, თუ შეიძლება, მეც მოვანერო ხელიო.

კარგი იქნება-მეთქი.

ავტოკალამი და ქალაღი ერთად გავუწოდე.

თავფურცლისთვის არც დაუხედავს. ხელი სწრაფად მოაწერა. დანარჩენი ორი გრაფაც პირწმინდად შეავსო.

მერე შემომხედა დაკვირვებით.

რა ვიცი, იყო წელან, გრიშა, შინ. შეიძლება პურზე გავი-  
დაო.

კიდევ ერთხელ დავრეკე ზარი. ქალბატონს მაღლობა  
მოვახსენე და კიბეს ჩავუყევი.

თადუმაძე სადრბაზოსთან შემხვდა. ილლიაში ფიცრის ნა-  
ტეხები ამოეჩარა.

აქ რა გინდაო, მკითხა.

თქვენთან ვარ პატივცემულო-მეთქი.

ავიდეთ, აბაო.

შეშა გამოვართვი.

ასე ვწვალობ. ეზოში, მიტოვებულ მშენებლობაზე  
ნაფოტებს ვაგროვებ, რა ვქნა აბა, სულ ლოგინში ხომ არ  
იკოტრიალებ კაციო.

ავედით, ცეცხლის დანთებაშიც მოვეხმარე.

ხელმონერებს ვაგროვებთ-მეთქი, მოკრძალებით შევა-  
პარე ღუმელი რომ გახურდა და ცოტა ფერზე მოვიდა ჩემი  
მასპინძელი.

გამომართვა. ხმამაღლა წაიკითხა.

მე რა უნდა ვქნაო.

იქნებ, ხელი მოანეროთ-მეთქი.

რასო?

ამ ქალაქს-მეთქი.

მე საერთოდ კოლექტიურ განცხადებებს ხელს არ ვაწერო.  
მე თვითონ ჩემი ანგარიში მაქვს ამ ხელისუფლებასთან. მე  
მარტოხელა მეზრძოლი ვარ. სანამ ამათ არ დავამხობ, არ  
მოვისვენებ. რაც შეეხება კოლექტიურ ხელმონერას, ეგ ბავშ-  
ვური თამაშია და მაგნაირ მასობრივ თავისმოტყუებაში ვერ  
გავერევიო.

კამათი არ დამიწყია, რა უნდა მეთქვა, კაცს საკუთარი  
აზრი ჰქონდა ხელმონერათა შეგროვებაზე.

თავი რომ აღარ მოგაწყინოთ, ორი დღის წინ და უკან სირ-  
ბილის შედეგად სამად სამი ხელმონერა შევაგროვე: ერთი

– თადუმაძის პირდაპირ მცხოვრებმა პარლამენტის ყოფილ-  
მა წევრმა ივანე ფაჩულიამ მომიწერა უყოყმანოდ ხელი და  
მესამე – მესამე კორპუსის დამლაგებელმა კვინტრიშაძემ –  
ცალთვალა ქალმა, რომელსაც ქმარი რუსეთ-საქართველოს  
1992–1993 წლების სამამულო ომში დაეღუპა.

ეს იყო და ეს.

სამი დღის შემდეგ დავუბრუნე კალანდაძეს ფურცელი და  
„საქართველოს თავისუფლების ლიგასაც“ მეტი აღარ გავკ-  
არებოვარ.

გული გამიტყდა, პატივცემულო.



## ბკრიტი

ათი წელია, რაც აჩიკო აღარ არის ამ ქვეყანაზე.  
საკუთარ თავთან ბრძოლის, ღმერთის არსებობაში დაე-  
ჭვების, გაძღების ათი წელი.  
ოცდახუთი აგვისტოა – აჩიკოს დაბადების დღე.  
თაკარა, მბუგავი მზეა.  
ვზივართ საფლავთან მე, ჩემი ცოლი, შიო და ნათესავ-  
მეგობრები.  
იქნებ ჩრდილს შევეფაროთ, ამ მზეში ტვინი აგვიდუღდე-  
ბაო, ვილაცამ.  
იქვე, საფლავის გვერდით, კაკლის ხის ქვეშ ჩამოვლაგდით.  
ეს კაკალი ექვსი წლის წინ დავრგე.  
უეცრად აჩიკოს საფლავის ქვაზე გვრიტი დაფრინდა.  
საიდან მოფრინდა, როგორ დაემვა, არავის დაუნახავს.  
მეცსეულად გაჩნდა რუხი ფერის ულამაზესი გვრიტი.  
– სსუ, არ გაინძრეთ – თქვა შიომ.  
ისედაც გასუსულები ვიყავით ყველანი.  
ათი წელია ამ სასაფლაოზე ვათენ-ვალამებ და გვრიტი  
ჯერ არ დამინახავს.  
საერთოდ, არც თბილისში მინახავს გვრიტი.  
ღმერთო დაილოცა შენი სახელი. ეს ხომ სასწაულია.  
ეს ხომ სულიწმინდის გამოცხადებაა.  
ყველანი პირჯვარს ვინერთ.  
გვრიტი ერთხანს გაუწმენდა იჯდა წარწერიან მარ-  
მარილოზე, მერე ძირს ჩახტა და საფლავის შავ მიწაზე თა-  
ვისი პანანინა ფეფებით გაიარ-გამოიარა, ისევ გაირინდა,  
თითქოს რაღაცას აყურადებდესო, ბოლოს დამშვიდდა და ისევ  
გაშინაურდა, რომ ყვავილებს შორის თავისუფლად დადის,  
აქა-იქ ნისკარტს ჩაჰკრავს და შიგადაშიგ მუმიებივით მსხ-  
დომით ამოგვხედავს.  
ჩემს ცოლს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის.

თითები გამეყინა.

ნუთუ ის არის – ჩემი ტანჯული, გმირი ბიჭის სული ფარ-  
ფატიტ დაშვებული ჩვენს სახილველად?

ნუთუ ზეციდან უკვდავების ნიშნად გარდმოსული სული-  
წმინდაა?

მაპატიე, ღმერთო რაც შეგცოდე.

შემინდე, თუ ოდესღაც იმედგადაწურულს და სასო-  
წარკვეთილს შენზე აუგი დამცდა.

მინიერი ფინალი:

გვრიტი კარგა ხანს დანისკარტაობდა საფლავზე და ბო-  
ლოს გაფრინდა.

მაღე საფლავის მომვლელი ქალბატონი თინა გამოჩნდა.

ჩერთ ხელში მარმარილოს ქვებს შორის დაფათურობს.

– ამ დილას გადავწმინდე, მარა ქარი ერთს წამოუბერავს  
და ხელათ ამტვერიანებს, მეშინია, ეს ვარდები არ გახმეს.  
დღეში ორჯერ ვუსხამ წყალს და მაინც არ ყოფნის, ფერ-  
იცვალობის მერე აციება იცოდა, წელს რა მოუვიდა, ამნაირი  
გვალვა არ მახსოვს.

მივუახლოვდი, საფლავის ლოდზე ჩამოვჯექი და ჩუმად,  
ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ, ვკითხე:

– ქალბატონო თინა, გვრიტი თუ გინახავს აქ, ახლომახლო?

– ვაი, მაგენი გადაშენდნენ, რავა არ მინახავს, რაც მე მა-  
გენმა საქმე და სანმენდი მომიმატეს. რო შეახმება სკინტლი  
ქვას, დანით თუ აფხიკავ, თვარა ვერ მოაშორებ, ოთხი გვრი-  
ტია შემოჩვეული, ეიკლეს აქოურობა, ხან ერთ საფლავზე არი-  
ან, ხან – მეორეზე, ყვავილების თესლებს ჭამენ, წვრილ-წვრი-  
ლი თესლები რო ცვივა... ახლაა თესლის დაცვენის დრო...

ახ, საზიზღარო ცნობისმოყვარეობავ და აუტანელო, მო-  
საწყენო, ვერაგო სინამდვილე!

ჩემი ბრალია, რას ვეკითხებოდი,

თინა მეტს რას მეტყოდა.



## ნინიკო

*ვუძღვნი ნინო ტორონჯაძეს*

მეზობლის პატარა გოგოცუნა – ნინიკო.

პანანინა, ცის ნამივით სუფთა, ღაბუა ბარტყი, მოჭიკჭიკე და მოტიტინე.

ჯერ სამი წლისაც არ არი, მაგრამ მთელი ეზო აიკლო. დედა, მამა, ბებია, ბაბუა, გამდელ-მამიდები უკან დასდევენ და ვერ დაუოკებიათ.

ვერცხლისწყალივით ერთ ადგილას ვერ აჩერებენ.

ბოლო დროს მე შემომეჩვია.

შიოს ბაბუასთან მინდაო, აჩემებს და გაბედოს, ვინმემ უარი უთხრას.

ტირილით აიკლებს იქაურობას.

მოვა და ანგელოზებს დამიფეთებს. ქალაქებს თავზე გადამახევს, სკამიდან მხრებზე ამაცოცდება და ჩემს კისერზე მოიკალათებს.

შერჩენილ ორ ღერ თმას ამიჩეჩავს და „აჩუ-აჩუ“ ძახილით აივანს შემომარბენინებს.

რას გააკეთებს კაცი ნინოს გართობაზე უფრო ღვთიურს და აუცილებელს, მაგრამ ასე რომ არ არის მონყობილი ჩემი ცხოვრება?

ხანდახან, ჩემი ჭკუით, აუცილებელი სანერი რომ მაქვს და სანინოდ რომ არა მცალია?

ნინიკოს შენი სანერი და შენი „ერის მამობა“ ფეხებზე ჰკიდია. შიოს ბაბუასთან უფრო ერთობა, მორჩა და გათავდა.

რა მოვიმოქმედო ნინიკოს ჯიუტი ვიზიტების შესამცირებლად-მეთქი და ასეთი სისულელე მოვიფიქრე:

ამას წინათ შემოტკაპუნდა თუ არა ჩემს ოთახში, ღიპზე დავირტყი ხელი.

– ნინიკო, ხომ ხედავ, რამოდენა მუცელი მაქვს?

ნინიკომ თავი დამიქნია.

– თუ იცი, რატომ მაქვს ასე დიდი მუცელი?

ნინიკომ თავი გააქნია, არ ვიციო.

– ბავშვებს ვყლაპავ!

ნინიკოს შიში ჩაუსახლდა ღამაზე, თაფლისფერ თვალებში.

– ამინდა! – ჩაიჩურჩულა, უკანსვლით წავიდა კარებისკენ და კიბე ჩაირბინა.

ის დღე და ის დღე, ნინო ჩემთან აღარ მოსულა.

ახლა მე მივდივარ მასთან სტუმრად. ძველებურად ხელს გავშლი; მოდი, აგიყვანო, ჩაგინუტო, მხარზე შეგისვა, შენ ხომ ჩემი ნინიკო ხარ, ჩემი სიცოცხლე-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოდის.

ნინო შიშით ამაველებს მუცელზე თვალს, მოსმენით ყურადღებით მისმენს და როცა მგონია, ახლა კი ირწმუნა, რომ ბავშვების მყლაპავი არა ვარ-მეთქი, გადავდგამ თუ არა მისკენ ნაბიჯს:

– ამინდა! ალა, ალა! – დაიყვირებს და დედის კალთას ამოეფარება.

რა ვქნა, არ ვიცი, მოსვენება დავკარგე. ყველანი არწმუნებენ, ნუ გეშინია, შიოს ბაბუა კარგი ბაბუააო, მაგრამ შემომხედავს და ჩემს სიფათს ნინიკო მხოლოდ ერთი და იგივე სიტყვით აფასებს:

– ამინდა!

მორჩა და გათავდა.

ასეთია ნინიკო.

შენ კი... „მომატყუეს, მომატყუეს, მომატყუესო“, ყოველ პოლიტიკურ მარცხზე და უკომპასოდ გადადგმულ ნაბიჯზე აგიჩემებია.

ლამის გადაჩეხო უფსკრულში ეს უბედური საქართველო.  
ხომ ხედავ, ერთხელ მოვატყუე ნინიკო და ველარაფრით  
უკან ველარ გადმოვატყუე.  
ამიტომაც აღარ მჯერა, რომ ამ ხნის, ამხელა გამოც-  
დილების კაცს არძინბასთანა ნაძირალები და ელცინისთანა  
ნახევარლემნი წამდაუნუმ გატყუებენ.  
თავს იტყუებ და სხვა არაფერი.



## მკვლელობა

ამ დალოცვილ ბუნებაში არავინ და არაფერი ებრძვის ისე  
ერთმანეთს, როგორც ადამიანი ადამიანს.

ეს ბრძოლა, ალბათ, მაშინვე დაიწყო, როგორც კი ადამი-  
ანი გაჩნდა ქვეყანაზე.

ნახევრადველურ ტომებში დღესაც მოდაშია ნიანგებით  
სავსე ტბაში ადამიანის გადაგდება და ვეფხვმომრავლებულ  
ლაქაშებში ადამიანის დაბმა. ქვის დოლაბიანად მორევში  
მოსროლაზე, ან მახრჩობელა ჭაობში ჩატოვებაზე აღარას  
ვამბობ.

რომ ვუკვირდები, ადამიანის კვლის ფორმები დიდად არის  
დამოკიდებული გარემო პირობებზე და საზოგადოების გან-  
ვითარების დონეზე.

ადამის მოდგმის განადგურების ხერხები საუკუნეთა გან-  
მავლობაში იხვეწებოდა. გლუვი ქვით თავის გაჩეჩვა – წვე-  
ტიანი ქვით დაკეპვამ (უფრო მოხერხებულია, თანაც დროში  
იგებ) შეცვალა, ნაჯახით ან ხმლით თავის მოკვეთა – გილი-  
ოტინამ, სახრჩობელა – კეფაში სროლამ, კეფაში სროლა  
– ელექტროსკამმა, ელექტროსკამი – გოგირდმუავას ავზში  
არცთუ ნებით ჩაყურყუმელავებამ და ა.შ.

ცხოვრებისეული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ცივილიზებუ-  
ლი ადამიანი ერთფეროვნებისაგან თავის დასაღწევად ახლაც  
იყენებს მეორე ადამიანის მოკვლის მოძველებულ, ან უკვე  
ისტორიის კუთვნილებადქცეულ იმ მეთოდებს, მისი წინაპა-  
რი ასე წარმატებით რომ იყენებდა. კრიმინალური სამყაროს  
ქრონიკა დღესაც სავსეა ქვით თავის გაჩეჩვისა და ადამი-  
ანის დანაჯახების (ნაჯახით დაჩეხვა) მაგალითებით.

ახლა, თუ რესპუბლიკის პროკურორი ნებას მომცემს,  
ბოროტმოქმედთა არსენალს ადამიანის მოკვლის ერთი ულა-

ლატო ხერხით გავამდიდროებ. რესპუბლიკის პროკურორისგან ნებართვას იმიტომ ვიღებ, რომ ჯერ ერთი, მკვლევლებს მკვლევლობის მეთოდთა ათასსახოვნების ამ საუკუნეში ფორმათა გამრავალფეროვნება უნდათ კიდევ? და მეორეც, მე რომ ახალ მულამს გაგაცნობთ, ამ მეთოდით კაცის მოკვლაზე ჯერჯერობით სასჯელი არ არის დაწესებული, თქვენ წარმოიდგინეთ, ისე არასრულყოფილია ჩვენი სამართალი, რომ ეს შემთხვევა კანონით საზოგადოებრივ გაკიცხვასაც არ ითვალისწინებს.

მაშ ასე, აი, როგორ მოკლა ქალაქ ალაიას პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ქუჯი დიდქველიძე, ამავე ქალაქის სათათბიროს წევრმა, დეპუტატმა გერვასი ჩეჩენიძემ.

ბატონი ქუჯი ერთი უწყინარი დოცენტი იყო, ზამთარ-ზაფხულ მოჭადრაკული ბუკლეს პიჯაკით და ჭილოფის ქუდით დადიოდა, ჭილოფის ქუდს გაურკვეველი დანიშნულებისთვის მინეპებული აბრეშუმის შავი ზონარი დროთა განმავლობაში მზისგან განაცრისფერებოდა, ხოლო პიჯაკი ისე იყო გამოხუნებული, რომ მხრებზე ჭადრაკის ოთხკუთხედები აღარ აჩნდა. ხელში ამყადა, ღირსეულად, დოცენტისებურად, მრავალგანყოფილებიანი ძველთაძველი ტყავის პორტფელი ეჭირა, ხოლო რა ჰქონდა იმ პორტფელში, ამ სტრიქონების ავტორისათვის უცნობია.

სათათბიროს დეპუტატი ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო. კარტოფილური ცხვირით, ჩამრგვალებული ტან-სახით, კეფასაკრული ყურებით, ხუჭუჭა, წაბლისფერი თმით და წვრილი, ტიბეტური თვალებით იგი, ერთი შეხედვით, ხვლიკს მოგაგონებდათ. უნიჭო კაცი არ იყო, მაგრამ განსხვავებით სხვა, უამრავ ნიჭიერთაგან, სიავისა და უტიფრობის ნიჭიც (მოუკვდა მოხარბე) უხვად დაებერტყა ბუნებას მისთვის.

ვილაცას ეთქვა გერვასისთვის, შენაო ქუჯი დიდქველიძეს არ უყვარხარო. კაცმა რომ თქვას, ის ვილაცა მართალი იყო. ქუჯი არ იცნობდა გერვასი ჩეჩენიძეს. არც მისი სტუდენტყო-

ფილი იყო სათათბიროს დეპუტატი და არც რაიმე სამსახურე-ბრივი საქმე ჰქონია მასთან. ასე რომ, ქუჯი დიდქველიძეს გერვასი ჩეჩენიძე არ უყვარდა იმ მიზეზით, რა მიზეზითაც არ ვუყვარვარ მე – რევაზ მიშველაძე ნამიბიის პრეზიდენტს, მონღოლეთის დიდი ხურალის თავმჯდომარეს და, რაც უფრო გულდასაწყვეტია, ტოპმოდელ ნაომი კემპბელს. არც უყვარდა და არც სძულდა ჯერჯერობით, რამდენადაც ვიცი, ადამიანისადმი გულგრილი დამოკიდებულება გულგრილად დამოკიდებულებს ცოდვად არ ეთვლება. დავწერე ეს სიტყვები, მკითხველო და მივხვდი, რომ მართალი არა ვარ. განა გულგრილობამ არ დაუდო სათავე დედამინაზე უამრავ ბოროტებას? არა, არც გულგრილობა ეპატიება ადამიანს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონი ქუჯი გერვასის მიმართ გულგრილიც არ იყო, ქუჯი საერთოდ არავის მიმართ არ იყო გულგრილი და რალა გერვასის მიმართ იქნებოდა. არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონდა ქუჯი დიდქველიძეს გერვასი ჩეჩენიძის მიმართ – არც გულგრილი და არც გულთბილი.

რატომ უთხრა ვილაც ღვთის პირიდან შეჩვენებულმა გერვასის, შენ ქუჯი დიდქველიძეს არ უყვარხარო, ამას გამოძიება დაადგენს, ისეთი გამოძიება კი არა, ჩვენ რომ გვაქვს, ნამდვილი გამოძიება – ჩვენ რომ არა გვაქვს, ისეთი.

საკმარისი იყო გერვასის გაეგო, რომ ქუჯის არ უყვარს, მიზეზთა ძებნა არც დაუნყია, მაშინვე გადაწყვიტა, მოეკლა დოცენტი და შესაფერის მომენტს ეძებდა.

როცა ჩასაფრებული ხარ, მოგეხსენებათ, მომენტის შერჩევა ძნელი არ არის.

ერთხელ საკონსერვო ქარხნის კლუბში დოცენტი ქუჯი დიდქველიძე ცოდნის ხაზით ლექციას ატარებდა თემაზე: „ზრდილობიანი ქცევის ნორმები“. ის იყო პირველყოფილი ადამიანის უზრდელურ ქცევებს მოუთავა ხელი და ცივილიზებული საზოგადოების წევრებზე უნდა გადასულიყო, რომ დარბაზში ვილაცამ ხელი ასწია.

– რა გნებავთ? – ჰკითხა ლექტორმა.

– მე სათაბიროს წევრი ჩეჩენიძე გახლავართ. ზრდილობას რომ სხვებს ასწავლით, მოახსენეთ ამ ხალხს, როგორ ჩაიდეთ პირში ოთხი თითი და როგორ დაუსტვინეთ ამას წინათ ლექციაზე სტუდენტების თვალწინ.

– თუ ხუმრობთ – უადგილო ხუმრობაა და, თუ არ ხუმრობთ – საზიზღარი ცილისწამება. ხატზე შემოძლია დავიფიცო, რომ მსგავსი არასოდეს არაფერი მომხდარა და მე... მე საერთოდ სტვენა არ ვიცი! – სიბრაზისგან გალურჯდა ბატონი ქუჯი.

აუდიტორია გამოცოცხლდა. ზოგმა ხმამაღლა გაიცინა. ზოგი ორივე მხარისთვის გამამხნეველები შეძახილით დაკმაყოფილდა, იმ იმედით, რომ დაპირისპირება უფრო დრამატულ და ესე იგი, უფრო სასიერო განვითარებას შეიძენდა, მაგრამ ასე არ მოხდა.

– არ გეკადრებათ ამხელა კაცს ამ პატივცემული ხალხის მოტყუება – დააგლო გერვასი ჩეჩენიძემ და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

– არ წახვიდეთ! – მუდარაც და ბრძანებაც – ორივე იყო დიდქველიძის სიტყვებში, კარებისკენ წასულს რომ დაადევნა, მაგრამ დეპუტატი წავიდა და კარიც გაიჯახუნა.

ლექციის მეორე ნაწილი უღიმღამოდ ჩატარდა, მსმენელები ეჭვითა და უნდობლობით უსმენდნენ ამ სანდომიან, ჭაღარა, სათვალთან კაცს, რომელიც ქცევის ნორმებზე საუბრობდა და, თურმე, შიგადაშიგ ლექციაზე უსტვენდა კიდევ.

შეკითხვაც არავის დაუსვამს, ლექტორი წამდაუნუმ შუბლზე ცვარივით დაყრილ ცივ ოფლს ინმენდდა და გრძნობდა, რა უმწეო იყო ამ დაეჭვებული თვალების წინაშე.

შინ მისული თავის თავს არ ჰგავდა. უვანშმოდ დაწვა და დიდხანს ბუტბუტებდა გარეშე ყურისთვის გაურკვეველი ბუტბუტით.

მეორე დღეს ქალაქ ალაიაში გამომავალი ოცდათხუთმეტი გაზეთიდან (სექსუალურ გამოცემებს არ ვთვლი) ოცდახუთმა დაბეჭდა მომხდარის შესახებ. ინფორმაციებს და კორესპონდენტებს დიდქველიძის თემაზე სათაურებად ჰქონდა: „დოცენტი სტვენაში ამხილეს“, „გამაყრუებელი სტვენა ლექციაზე“, „დიდქველიძემ დაუსტვინა“ და ა. შ.

პრესას, რასაკვირველია, ტელეფონის ზარებიც მოჰყვა. არაკეთილმოსურნენი ურეკავდნენ და ეკითხებოდნენ: „უკაცრავად, თქვენთან, ინსტიტუტში, სტვენის ფაკულტეტზე, ფასიანი განყოფილება თუ არსებობსო“. „მონაფე-აბიტურიენტს თუ აიყვანდით სტვენაშიო“, „ძირითადად ლექციებზე ტურების და თითების დახმარებით უსტვენთ თუ სხეულების სხვა ნაწილებსაც იშველიებთო...“ ავად მზირალთა და მრუდედ გამხედავთა ყრანტალს კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ უფრო გულისმომკვლელი კათედრის წევრების და შორეული ნათესავების გამოტელეფონხმაურება იყო: „რა საძაგელი ვინმე ყოფილა ეგ ჩეჩენიძე, თვითონ არასდროს დაუსტვენია, ნეტავიო?“ „ვთქვით, დაუსტვინე, რა მოხდა მერე, წავიდეს და გიჩვილოსო“, „სტვენისთვის ფეხებსაც ვერ მოგჭამენ, ნუ გეშინიაო“, ერთმა ნათესავმა ასე „უთანაგრძნო“, „მოიყაროს შენი ხნის, ეგ ლანირაკი და ვნახავ ერთი, როგორ იქნებაო“. ქუჯის ფიცი-მტკიცი – არ დამისტვენია, ლექციაზე როგორ დავუსტვენდი, ცილს მწამებენო, უცხოებს, უცნობებს უფრო სჯეროდათ, ვიდრე ნაცნობებსა და ნათესავებს. მათ არ უნდოდათ სიმართლე, ადამიანში ყოველთვის ზის მეორე ადამიანთან შედარებით საკუთარი უპირატესობის დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების სურვილი დევიზით: „აი, ქუჯი დიდქველიძემ დაუსტვინა, მე ჯერჯერობით არ ვუსტვენ“.

ქუჯიმ მოსვენება დაკარგა. როდი ეჩვენებოდა, მართლა ლაპარაკობდა მთელი ქალაქი დიდქველიძის სტვენაზე. შესვენების დროს საპროფესოროში აღარ შედიოდა, მიუახ-

ლოვდებოდა თუ არა მოქალაქეთა ჯგუფს, მაშინვე შეწყვეტდნენ საუბარს და ქუჯისთვის ყველაფერი გასაგები იყო.

სტვენა ჭირივით შეძულდა. სადარბაზოსთან შეკრებილი მონარკომანო, უსაქმური მეზობლის ბიჭები რომ უსტვენდნენ, ეგონა, მე მაჯავრებენო და ნერვული ხველა ეწყებოდა.

სასამართლოში აპირებდა ჩივილს, მაგრამ ცოლმა არ ურჩია; ჩეჩენიძე დეპუტატია, შენ უბრალო დოცენტი ხარ, სასამართლოს (განსაკუთრებით რეფორმის შემდეგ) დეპუტატის გამტყუნება აკრძალული აქვსო.

„ცოდნის“ ხაზით ლექციების წაკითხვაზე ზრდილობიანი უარი უთხრეს; იმ ამბის შემდეგ ცოტა ხანმა გაიაროს, ხელისუფლებას სტვენის ამბავი უნდა მიავიწყდესო, უთხრა „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ყოფილმა თავადმა ფალავანდიშვილმა, აღარც თვითონ ეხალისებოდა ქუჯის ლექციის წაკითხვა, აუდიტორიას შიშით გადახედავდა ხოლმე, ე, მანდ, სადმე გერვასი ჩეჩენიძე არ იჯდესო.

მეზობელს სტვენია კანარის ჩიტი ჰყავდა. ერთხელ გაფითრებულმა ქუჯიმ დაუკაკუნა და სთხოვა: თუ კაცი ხარ, ეგ ჩიტი ნერვებს მიშლის და სხვა ოთახში გაიყვანეო. მეზობელმა, რა თქმა უნდა, თხოვნა არ შეუსრულა.

რაც ჩეჩენიძემ სტვენის შესახებ ცილი დასწამა, პარლამენტის სხდომებზეც აღარ უსმენდა, მაგრამ იმ საბედისწერო დღეს სიდედრს დარჩენოდა ტელევიზორი ჩართული და აბაზანიდან გამოსულ ქუჯის ჩეჩენიძის ხმა მოესმა.

ტელევიზორის გამოსართავად გამოიქცა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. საქალაქო სათათბიროს დეპუტატი ჩეჩენიძე სტვენაზე ლაპარაკობდა. ეროვნულობაზე საუბრის მორალური უფლება ყველა დოცენტს როდი აქვსო. როცა ლექციაზე უსტვენ, უნდა იცოდე, რომ შენს ნათქვამს ჭრა აღარ ექნებაო. მე შეიძლება პასპორტში ეროვნება არ მენეროს, მაგრამ ის მაინც ვიცი, რომ ლექციაზე სტვენა არ შეიძლებაო...

ქუჯი კენგურუს ნახტომით მიწვდა ჩამრთველს და გამოგლიჯა. ტელევიზორი დადუმდა, მაგრამ დიდქველიძე სათვლიან-ულვაშიანად ცახცახებდა. პულსი ყელ-მაჯიდან ამოხტომას ლამობდა. წნევა აღარ ესინჯებოდა, რადგანაც წნევმზომის ბოლო ხაზს აცილებული იყო პირველი დარტყმის ამპლიტუდა.

გამთენიისას წამით ჩათვლიმა და ვეღარ გამოაღვიძეს.

ზოგიერთები ამტკიცებენ, ქუჩაში სისხამ დილით ვილაცამ დაუსტვინა და მომაკვდავს გააჟრჟოლაო, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი.

თუმცა, ვინ იცის, ზოგჯერ სტვენითაც არკვევენ ხოლმე ადამიანები თავიანთ წვრილმან, საყველპურო ურთიერთობებს ერთმანეთთან.

დასასრულ, ამ ნოველის ავტორი რესპუბლიკის პროკურორს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სთხოვს, ადამიანის მოკვლის გერვასი ჩეჩენიძისეული მეთოდი სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანონ, რათა ამ ხერხით ადამიანის მოკვლა ან და მარადის ითვლებოდეს ნაჯახით დაჩეხვის, ან დარიშხანით მოწამვლის ტოლფარდ დანაშაულად.



## სომეხები სკვადამ...

ამერიკელ მამაკაცთა უმეტესობას თავზე თმა ღრმა მოხუცობამდე უნარჩუნდებათ. აქ ლაპარაკია ძირითადად თეთრკანიანებზე, თორემ ზანგებს თმა საერთოდ არ სცვივიათ. ყოველ შემთხვევაში, ამ ნოველის საკმაოდ ნავალ ავტორს მელოტი ზანგი ჯერ არ შეხვედრია. უფრო მეტიც, დადგენილია, რომ ამერიკელი მამაკაცები (ისევე თეთრკანიანებზეა ლაპარაკი) თმას ჩვეულებრივად მარჯვნიდან მარცხნივ ივარცხნიან. ზანგის თვითნაბადი, ხუჭუჭა თმა კი, მოგეხსენებათ, ვარცხნას საერთოდ არ ემორჩილება.

ეს, იქნებ, ზოგიერთის აზრით, ნოველისათვის სრულიად ზედმეტი შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ მკითხველისათვის ამკარად და დაუფარავად გვეთქვა (თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ თვითონაც სცოდნოდა); ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრს, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, ყოფილ სენატორს, ჯორჯ ოჰაიუსს, ქერა, თვინიერი თმა მარცხნიდან მარჯვნივ ჰქონდა გადავარცხნილი და, თუმცა ამას ჩასაფრებულად ცნობის-მოყვარე ჟურნალისტების გარდა თითქმის ვერავინ ამჩნევდა, მინისტრი გულის სიღრმეში ამაყობდა კიდევ თავისი ორიგინალური ვარცხნილობით.

დილის თერთმეტი საათი იყო.

ვაშინგტონს უღრუბლო, ბაცი ცისფერი ცა დაჰყურებდა.

ენერგეტიკის სამინისტროს ორსართულნახევრიანი, აგურიმიტაციისაგან ნაგები სახლის შესასვლელთან ორი უზარმაზარი პოლიციელი ბოლთას სცემდა.

პოლიციელები თითქმის არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს.

მათ შორის ყველაფერი გარკვეული იყო და საერთოდ,

ვაშინგტონის „ვაიტი სტარის“ („თეთრი ვარსკვლავი“) ქუჩაზე საქმიანი მონაცემილობა სუფევდა.

მინისტრის კაბინეტში მაგიდას ორნი უსხდნენ.

შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ფირმა „ჩეინჯის“ მენეჯერი, ხმელხმელი, მაღალკბილება, ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი, მაიკლ ბრაუნი, სანამ ამ კაბინეტის ზღურბლს გადმოაბიჯებდა, მთელი ორი დღე ამაოდ იმტვრევდა თავს იმის გამოსაცნობად, თუ რისთვის დაიბარეს იგი მთავრობაში საერთოდ და ენერგეტიკის სამინისტროში კერძოდ.

– საქართველო თუ გაგიგონიათ, სერ? – გეოგრაფიის მასწავლებელივით აჯახა მინისტრმა მოსულს იმის შემდეგ, რაც ერთმანეთის ოჯახური მდგომარეობა მიიკითხ-მოიკითხეს და გაზაფხულის წვიმებზეც საკმაოდ ისაუბრეს.

– თუ არ ვცდები, სადღაც რუსეთში უნდა იყოს, – მიუგო ბრაუნმა, თუმცა მთლად კარგად არ იყო დარწმუნებული, საქართველო შუაგულ რუსეთში იყო, თუ ცენტრალური აზიის მეზობლად, სადღაც ყაზახეთსა და თურქმენეთს შორის.

– მართალი ხართ, პოსტსაბჭოური ქვეყანაა. კავკასიაში მდებარეობს, – მინისტრმა ჯერ კიდევ დაუშლელი საბჭოთა კავშირის რუკაზე კავკასია შემოხაზა.

მაიკლი კიდევ უფრო დაიბნა. რა კავშირი შეიძლება ჰქონოდა შორეულ საქართველოს მასთან, ენერგობლოკების გამართვაზე დასპეცებული ფირმა „ჩეინჯის“ მენეჯერთან.

– თქვენ, როგორც მითხრეს, დაბალგანვითარებულ ქვეყნებთან მუშაობის გამოცდილება გაქვთ, – განაგრძო მინისტრმა.

– თითქმის არავითარი, სერ. ეგ არის, შარშან სამი თვით ტანძანიაში გახლდით.

– აი, რა, მისტერ ბრაუნ. სახელმწიფო დავალებაა – საქართველოში უნდა წაბრძანდეთ.

– მე ხომ სახელმწიფო მოხელე არა ვარ, სერ.

– მაგრამ ამერიკის მოქალაქე ხართ და სამშობლოს ინტერესები თქვენთვის უცხო არ უნდა იყოს.

– მერე და რა უნდა ვაკეთო საქართველოში?

– ნუ ჩქარობთ. კარგად დამიგდეთ ყური: რუსეთის იმპერიის დანგრევა არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა. სახსრებმომილილი, ძირსგართხმული ურჩხული წამოდგომას ცდილობს. ახლა მთავარია, უკანასკნელი საყრდენებიც გამოვაცალოთ. ამ თვალსაზრისით კავკასიაში საქართველო დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია. რვა წელია ვცდილობთ საქართველოს გადმობირებას, უამრავი ფულიც დახარჯეთ დახმარების სახით, მაგრამ ხალხის ნდობა ბოლომდე მაინც ვერ მოვიპოვეთ. ესეც არ იყოს, რუსოფილური ძალებიც აშკარად მოქმედებენ და ჯერჯერობით საკმაო გავლენაც აქვთ. ახლა გადავწყვიტეთ, ისეთ სფეროებზე გავიდეთ, ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა რომ აქვთ. მათ შორის უპირველესია ელექტროგანათება. მოგეხსენებათ, საქართველოს მთავრობის უჭკუო, დილეთანტური საქმიანობის გამო ქვეყანა ღრმა კრიზისმა მოიცვა. ილაჯგანწყვეტილი ქართველები ყველაფერს ჰყიდიან. მათ შორის თბილისის (თბილისი კი მოსახლეობის მიხედვით ლამის ნახევარი საქართველოა) ენერგოსისტემასაც, რომელსაც „თელასი“ ჰქვია. თქვენმა ფირმამ უნდა შეისყიდოს „თელასი“, დანარჩენი ტექნიკის საქმეა.

– ჯერ ერთი, ჩემს ფირმას საამისო სახსრები არ გააჩნია და მეორეც, მაპატიეთ, სერ, მთლად კარგად როდი მესმის ჩემი ფუნქცია.

– გიმეორებთ, ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებაა და, შესაბამისად, ფულად დახმარებასაც ჩვენ გაგინევთ. ჩახვალთ საქართველოში, შეისყიდით „თელასს“. გამართავთ ელექტროსისტემას. ფულის საქმე არ არის? გააჩახვებით საქართველოს დედაქალაქს მუდმივად. ოცდაოთხი საათით მისცემთ დენს თბილისს და ეს იქნება ყველაზე

თვალსაჩინო პროპაგანდა ჩვენ სასარგებლოდ. მოქალაქენი სამუდამოდ ირწმუნებენ ამერიკის ძალას. დაინახავენ რა, რისი მიცემა შეგვიძლია ჩვენ მათთვის, ერთბაშად ზურგს შეაქცევენ ვახტანგ გოგუაძეს და ამერიკისკენ შემობრუნდებიან. ამით, გარწმუნებთ, ისტორიულ საქმეს გავაკეთებთ, რუსის ხიშტით დამონებული კავკასიიდან იმპერიამ ფეხი რომ სამუდამოდ ამოიკვეთოს.

მაიკლს სურდა, რამდენიმე ორგანიზაციული ხასიათის შეკითხვა მიეცა მინისტრისათვის, მაგრამ მასში გაიღვიძა დიდი ხნის წინათ ამერიკის სამოქალაქო ომის მონაწილე მისი დიდი პაპის – ძია სემის სისხლმა, წამოდგა და მასპინძელს თანხმობის ნიშნად ისე პათეტიკურად ჩამოართვა ხელი, როგორც ერთ დროს ადმირალმა ნელსონმა – ბრიტანეთის მეფეს.

\* \* \*

თბილისი, ამერიკული კომპანია „ჩეინჯის“ მენეჯერს საკმაოზე მეტად მხიარულ, და, რაც მისთვის სრულიად მოულოდნელი გახლდათ, არცთუ ღარიბ ქალაქად მოეჩვენა.

ქუჩებში ფემენებელური, ულტრამოდური მანქანები დაჰქროდნენ და მაღალფეხება, შვლისთვალება, ულამაზესი გოგონები დააბიჯებდნენ.

მაღაზიები გაჭედილი იყო მოქალაქეებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ თბილისი მჩქეფარე სავაჭრო ცხოვრებით ცხოვრობდა.

რესტორანში წყნარად ისხდნენ სუფრის ტრადიციული რიტუალისგან გათანგულ-გადაღლილი, თვალებჩასისხლიანებული, საშუალოდ ასკილოიანი, ღიპოსანი მამაკაცები და ოხვრა-კვნესით სვამდნენ სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის სადღეგრძელოს.

თელასის დირექტორატთან მოლაპარაკება ნელა, მაგრამ დრამატულად მიმდინარეობდა.

მასპინძლები აღიარებდნენ, რომ „თელასის“ გაყიდვა მათ საბედისწერო უსახსრობამ გადააწყვეტინათ და სხვა გზა რომ ჰქონოდათ, ამას არ ჩაიდენდნენ. ასევე არ მალავდნენ, რომ დღედღეზე შეიძლებოდა, ბნელში მსხდომი ადამიანების რისხვა დასტეხოდათ თავს, მაგრამ მენეჯერს უცნაურ პირობას უდებდნენ: კი, ბატონო, გვიყიდე ინვენტარ-შტატებიანად, მაგრამ თვითმმართველობას ნუ ნაგვართმევ და კონტროლის უფლება დაგვიტოვებო.

მაიკლს თავიდან ეგონა, თარჯიმანი ვერ მითარგმნის, ალბათ, სწორად, თორემ ასეთი სულელები როგორ იქნებიან, ფული მე გადავუხადო და უფროსგანმკარგულებლად თვითონვე დარჩნენო.

ბოლოს, ორკვირიანი ვაჭრობა-დებატების შემდეგ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

მაიკლ ბრაუნმა ოცდახუთ მილიონ დოლარად შეიძინა „თელასი“ თავისი ყოველ ოც მეტრში ანაფეთქებ-გადაბმული კაბელებით, სამჯერ დამწვარ-შერემონტებული ტრანსფორმატორებით, გაურკვეველი პროფესიის მონტიორ-დისპეტჩერებით, გადახდისუუნარო, მაგრამ ამაყი მომხმარებლებით და ტროლეიბუსების კაბელებზე დაკიდებული ფანჯრიდან გამოსხივებული უთვალავი მავთულით, ჩიკაგოს ცნობილი ხანძრის სტიქიის დაბადების უკიდევანო საშუალებას რომ იძლეოდა.

გადაიხადა „ჩეინჯმა“ ოცდახუთი მილიონი „თელასში“ და პრესკონფერენციაზე კომპანიის შეფმა ამაყად განაცხადა: ჩვენი ფირმა გარანტიას გაძლევთ, ძვირფასო თბილისელებო, რომ ელექტროგანათების მხრივ შეფერხება ამიერიდან აღარ გექნებათ, ვინძლო, სხვა პრობლემები მოიგვაროთ და ენერგოპრობლემა გადაჭრილად ჩათვალეთო.

ვარდისფერტუჩა ჟურნალისტი გოგონას შეკითხვაზე, რა მოგებას ხედავთ, თბილისის გასანათებლად თავი რომ გაიგიჟეთ, რისი იმედი გაქვთო, მაიკლი ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგ-

რამ ამერიკული თავდაჯერებით უპასუხა: ჩვენ დოლარებს ჰაერში როდი ვფანტავთ, საქართველოს დემოკრატიული მომავლისადმი მოწინებას რომ თავი გავანებოთ, ამ ქვეყანას დიდი ენერგომომავალი აქვს. ასე რომ, ყველაფერი აწონ-დაწონილი გვაქვს; რასაც ჩავდებთ, უახლეს მომავალში ერთი-ორად ამოვიღებთო.

პრესკონფერენციიდან გამოსულმა ბრაუნმა თვალი ჰკიდა ქუჩის განაპირას მდგომ დემონსტრანტ ქალებს, პირველი პრეზიდენტის მომხრეებს ფაქტობრივი (მაგრამ უკანონო ხელისუფლების) გადაგომა-დაპატიმრების უწყინარი ლოზუნგები (სხვა დროსაც რომ რამდენჯერმე იხილა ამერიკელმა) ახალი ტრანსაპარანტი გაემდიდრებინათ: „ამერიკავ – ხელები შორს „თელასისაგან!“

სანამ მაიკლი თავის მანქანამდე მიაღწევდა, დემონსტრანტთა სიახლოვეს სამი შავადგაკრიალებული რაფი-„მერსედესი“ გაჩერდა. მანქანებიდან მეხანძრეთა ტემპით გადმომხტარი პოლიციელები ქორებივით დააცხრნენ ქალებს და თავკისერზე რეზინის ხელკეტების ზაპუნ-ბაზუნით მანქანებში შერეკეს, რათა ჯიუტი მემამბოხენი გაურკვეველი მიმართულებით წაეყვანათ და ყაყაჩო-გვირილებით მოჩითულ ველზე გაეშვათ დასამშვიდებელ-გასანაზებლად.

დემონსტრანტები სასტიკ პროტესტს აცხადებდნენ პოლიციელთა უპრეტენზიო სამსახურზე, შთამბეჭდავი ხმით კიოდნენ, მანქანის საფეხურს გაფშეკილ ფეხებს აბჯენდნენ და წყევლა-კრულვას უთვლიდნენ არა მარტო კანონიერი პრეზიდენტის ხელმყოფ ხუნტას, არამედ – მისი რეჟიმის უმოწყალო დამცველებსაც.

ამერიკელი ენერგომენეჯერი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობდა, რაკილა თბილისის ყველა სასტუმრო რუსის ჯარის მიერ აფხაზეთიდან გამოძევებულ ქართველებს ჰქონდათ დაკავებული.

ლტოლვილებს ყოველდღიურად ატყუებდნენ, ცოტაც მოითმინეთ და როგორც ღირსეულად გამოიქეცით, ისე ამაყად და ღირსეულად დაგაბრუნებთ აფხაზეთშიო.

მაიკლს გაუკვირდა, რომ სამასი ათასი ლტოლვილიდან კაკუბავას გარდა ყველა ტყუევდებოდა. ბორის კაკუბავას კი ხელისუფლება ადვილად უვლიდა. ხან „შემთხვევით“ ხელს მოსტეხავდნენ, ხან ზეთის საღებავს დაასხამდნენ თავზე. პოლიციას, რასაკვირველია, შეეძლო ურჩი ლტოლვილისთვის აკვარელის საღებავიც დაესხა თმაზე, მაგრამ ზეთის საღებავს ამ შემთხვევაში ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ძნელი მოსაშორებელი იყო და სანამ თავის ჭაღარა თმას ბუნებრივ ფერს დაუბრუნებდა, „ბუნტის თავი“ მორიგი აქციისთვის ვერ მოიცლიდა.

მოტყუებულ-გაცრუებულ ლტოლვილები დაღლილი თვალებით იმზირებოდნენ გაპარტახებული სასტუმროების აივნებიდან. მათი რიცხვი დღითიდღე მცირდებოდა, მაგრამ მაინც გაცილებით ნელი ტემპით იხოცებოდნენ, ვიდრე ხელისუფლება მოელოდა.

მაიკლი საღამოობით ტელევიზორს უყურებდა. ქართული არ იცოდა და, კაცმა რომ თქვას, არც ჭირდებოდა ტელევიზორის ყურებისას. გვიან ღამემდე დედაქალაქის ცისფერ ეკრანზე „ბედნიერი ქართველების“ ყურებამდე პირგახეულ, ღიმილით ამოვსებულ სახეებს და გაუთავებელ ცეკვა-თამაშს უჩვენებდნენ.

ერთხელ კედლებდაბზარულ, ულამაზეს თეატრში ეთნოგრაფიული სპექტაკლი ნახა. სპექტაკლი ფაფან-ხანჯლებიანი, რომელიდაც ველური ტომის ცხოვრებას ასახავდა. პიესა, ალბათ, ათი საუკუნის წინანდელ ამბავს ეხებოდა, რადგანაც სცენაზე კაციჭამიები დაშლივინებდნენ. მხარზემესმული ერთი ლამაზი გოგო კბილთაღრჭენით გაჰყავ-გამოჰყავდათ სცენაზე და თუ სადმე სამი-ოთხი მწყემსველური ერთმანეთს წაანყდებოდა, ჯერ მგლებივით გაქვავდებოდნენ, მერე თითო

ნაბიჯით უკან დაიხევდნენ, ავად დასჭყვივლებდნენ და ერთმანეთს ყელის გამოსაღდრავად დაერეოდნენ.

კიდევ კარგი, დღევანდელი ქართველები წინაპრებს რომ აღარ ჰგვანანო, შვებით ამოისუნთქა მაიკლ ბრაუნმა, როცა სპექტაკლი დამთავრდა. თუმცა დაძინებით იმ ღამეს ცუდად ეძინა. დროდადრო ხანჯლების ტრიალი და, სპექტაკლის ავტორის აზრით, ალბათ, ვაჟკაცური, სინამდვილეში კი ადამიანთა პაპუასური ღრიალი წამოაგდებდა სანოლიდან.

მაიკლი რომელიდაც ეროვნული გმირის ქუჩის სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა მეორე სართულზე. თუ უშუქობას და უთბილწყობას მხედველობაში არ მივიღებთ, ბინას არა უშავდა რა, ოღონდ ეგ იყო, დიასახლისი, მაიკლის სურვილის სანინააღმდეგოდ, ყოველ საღამოს მოდიოდა, კარებს უბოდიშოდ, დაუკაკუნებლად გააღებდა, გაზქურას და ონკანებს შეამოწმებდა და, რაც ყველაზე დამამცირებელი იყო, დანაჩანგალ-თეფშ-ფინჯანს გულმოდგინედ ითვლიდა. აქაოდა, ოკეანისგალმელმა სტუმარმა ხელს ხომ არ გააყოლაო.

ძილის წინ მაიკლი იაპონური ჯიბის ტრანზისტორით ამერიკის ახალ ამბებს ისმენდა. იგი ამაყობდა, რომ მის ხალხს ქართველებივით შუქლუკმა არ ჰქონდა ყოველდღიურ სადარდებლად ქცეული, რომ ამოდენა სუპერქვეყანა მონიკას უსუფთავეს სანმერთულს ჩაჰკვირვ-ჩასჭიჭინებოდა და მთავარ პრობლემად ექცია ამერიკის კოხტა პრეზიდენტის ის სრულიად ბუნებრივი გატაცება, რასაც შეიძლება ბილ კლინტონის იმპიჩმენტიც კი მოჰყოლოდა.

მონიკა კი ამასობაში გრძელ, დანვრილებით ინტერვიუებს იძლეოდა პრეზიდენტის სხეულის ნაწილთა პარამეტრების, მისი გამოცდილების შესაბამისად მტკავლით ჩვენებითაც კი. გამოდიოდა სექსით დაინტერესებული მოქალაქეების წინ მიტინგებზე და პრეზიდენტის ერთგულ ცოლზე უფრო მხიარულ-ბედნიერი ჩანდა.

„თელასს“ ოცდახუთი მილიონი რომ გადაუხადა, მაიკლმა საქვეყნოდ გამოაცხადა, საახალწლოდ თბილისს შუქი წამითაც არ შეუწყდებო, მაგრამ ვაშინგტონში ენერგეტიკის მინისტრს უჩვენეს ხელოვნური თანამგზავრიდან ახალი წლის ღამეს გადაღებული კადრები; თბილისის ერთი მეცხრედი (ვაკე-საბურთალოს მონაკვეთი, კრწანისის რეზიდენცია) განათებული იყო, ხოლო ქალაქის დანარჩენ ნაწილს დინოზავრების შავი ჩრდილი გადაჰფენოდა.

– რა მოხდა, სერ, რატომ ვერ განათდით?! – საახალწლო მილოცვას მოაყოლა მინისტრმა.

ეს შეკითხვა უფრო საყვედურს ჰგავდა და მაიკლმა ამოიოხრა, ეს დალოცვილები თბილისს იქედან უკეთ ხედავენო.

გავარდა-გამოვარდა მენეჯერი და „თბილსრესს“ მიადგა.

„თბილსრესმა“ მშვიდად მიუგო, დიალაც, ჩვენ არ მივეციტ „თელასს“ დენი, რადგანაც „თელასს“ თბილსრესის ვალი აქვსო. გადაიხადოს და მივცემთო.

რამდენი აქვს ვალიო, სათვალე დაეცვარა მაიკლს.

ბევრი არა, სულ ასორმოცდაათი მილიონიო, უპასუხეს.

თავზარდაცემულმა მაიკლმა ვაშინგტონში დარეკა.

გადაიხადეთ, ფულს ფაქსით ხვალვე მიიღებთო, დაამდედეს.

მართლაც, მეორე დღესვე ჩამოვიდა 150 მილიონი დოლარი და მაიკლმა „თელასის“ ვალი გაასწორა.

თბილისი ნაახალწლევსაც ბნელში იჯდა.

მაიკლი „თბილსრესს“ მიადგა.

მართალია, ვალი გაგვისტუმრეთ, მაგრამ მეცხრე და მეათე ბლოკი დაინვა და აღდგენის სამუშაოება არა გვაქვსო.

რა ვქნა აბა, მე ხომ თბილისელებს ამერიკული, ჯენტლმენური პირობა მივეციო.

კაი ერთი, თუ ძმა ხარ, რა დროს ჯენტლმენობააო, მშვიდად მიუგეს „თბილსრესში“ ბრაუნს.

როდის შეაკეთებთო, იკითხა სისხლგამშრალმა მენეჯერმა. როცა ფული გვექნებაო, უპასუხეს.

ეს ყოველივე ამერიკის წინააღმდეგ მიმართული დივერსია ხომ არ არისო? ხმა ჩაუწყდა მაიკლს.

არაო, დაამშვიდეს.

რამდენი უნდა რემონტს? ორმოცდაათი მილიონი დოლარიო.

მაიკლმა ამერიკას დამატებით ორმოცდაათი მილიონი რომ მოსთხოვა, ენერგეტიკის მინისტრმა, ჯორჯ ოჰაიუზმა, კბილებში გამოსცრა – ეშმაკმა დალახვროს, ამდენ ხარჯად არც უღირს ამერიკას ეს პატარა, ჭირვეული საქართველოო, მაგრამ ფულის გაგზავნის განკარგულება მაინც გასცა.

დააყარეს ამერიკული დოლარები „თბილსრესს“. შეაკეთეს და გაუშვეს მეცხრე-მეათე ბლოკები.

რომ ეგონა მაიკლს, ახლა კი ოცდაათი საათით გავანათე დედაქალაქიო, თქვენც არ მომიკვდეთ, თბილისის ერთი მერვედი (ვაკის, საბურთალოს ნაწილის, სახელმწიფო კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიის და კრწანისის რეზიდენციის გარდა) ისევ საიმედოდ იყო ჩაბნელებული.

რა მოხდაო?! შეჰბლავლა მთელი ღამის უძინარმა მაიკლმა „თბილსრესს“.

იმდენ ენერგიას ვერ ვიმუშავებთ, რომ მთელი თბილისის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთო, აცნობეს.

რაკი ასეა, იმპორტს მივმართავ, თურქეთის, ან სპარსეთის დენს შევიძენო, უკანასკნელ ხავსს ჩაებლაუჭა მაიკლი.

ელექტროენერჯის იმპორტზე საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ ამერიკელ მენეჯერს პატრიოტული მოსაზრებით უარი უთხრა – ჩვენ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო ვართ და რა გვჭირს, ღმერთო კი მომკალი, ენგურჰესის პატრონებს უწყლო თურქეთ-სპარსეთისაგან დენის საყიდო.

მაიკლმა ბოლოს თავისი გაიტანა და რუსეთ-თურქეთისაგან იმდენი ელექტროენერგია შეისყიდა, რომ მარტო თბილისს კი არა, რუსთავს, მცხეთას და გარდაბნის ქართულ ნახევარსაც გაანათებდა.

როცა იმპორტული დენისთვის ამერიკამ დამატებით 50 მილიონი დოლარი გადმორიცხა, ენერგეტიკის მინისტრმა მაიკლი სასტიკად გააფრთხილა – მეტს კაპიკს ველარ მიიღებთ, სერ, სამინისტრო გაკოტრების მიჯნაზეა, შეიძლება, ორივეს პასუხი გვაგებინონ ამერიკის ბიუჯეტის უყაირათო ხარჯვისათვის.

მაიკლს, თურმე, კიდევ ერთი ჯოჯოხეთის კარი უნდა გაევილო.

თბილისის ერთ მეშვიდედზე ისევ ბნელოდა.

გაცოფებამდე ცოტა აკლდა ამერიკელს. იგი თავისი „ჯიპით“ სადისპეტჩეროდან სადისპეტჩეროში გარბოდა.

როცა კარებში მაიკლი გამოჩნდებოდა, ჩართავდნენ შუქს, გავიდოდა და გამორთავდნენ.

ბოლოს ერთმა მთვრალმა დისპეტჩერმა აუხსნა: ეს თბილისია, ბატონო, ლოს-ანჯელესი არ არის, ჩვენ დისპეტჩერები ვართ, თუ მთელს ქალაქს დენი ერთბაშად მივეცი, ხომ შეგვჭამა მონყენილობამ და ხომ დაგვეხოცა ცოლ-შვილი შიმშილით. გამოვრთავთ სინათლეს, მოვა კაცი და შეგვეხვეწება: სიდედრი მყავს გარდაცვლილი, პანაშვიდებს ნუ ჩამიშლით, ნუ დამლუპავთ კაცსო. ჩვენ ჯერ სიდედრის გარდაცვალების მიზეზს გამოვიკითხავთ, მერე კი დაუმადლებლად ვეტყვით, სასიცოცხლო ობიექტებს გამოვურთავთ და შენს სახლს გაანათებთ, ამისთვის კი ამდენი და ამდენი უნდა გადაგვიხადოო. თუ გადაგვიხდის, ექნება შუქი, თუ იძუნებს, მოუნევეს ბნელში სიდედრის ტირილი. თქვენ კი გვეუბნებით, დენი დღედაღამ არ გამორთოთო. ხომ ვიქეციტო ჭოტებად, ხომ დაგვრია ხელი სევდამ – მტერი იჯდა რვა საათს „უგამარჯობოდ“ და უსტუმროდ. თარჯიმანმა დაახლოებით აუხსნა

მთვრალი დისპეტჩერის ნათქვამი, მაგრამ მეორე დღეს მაიკლმა ვაშინგტონს ვერაფრით გააგებინა, რა ხდებოდა საქართველოს დედაქალაქში.

– არ მესმის... რაო?! დენი აქვთ და საკუთარ ქალაქს არ ანათებენ?.. რას ბოდავთ, რა სიდედრი... სიდედრს სახლში რა უნდა... თქვენ სიცხე ხომ არა გაქვთ! – ჩაჰყვიროდა ყურმილს მინისტრი.

ბოლოს ერთბაშად გაჩუმდა, შუბლზე ოფლი შეინმინდა და ფირმა „ჩეინჯის“ პრეზიდენტს კატეგორიულად უბრძანა:

– მიატოვეთ ყველაფერი და დაუყოვნებლივ დაბრუნდით ვაშინგტონში, მისის ოლბრაიტს ყველაფერს მე თვითონ ავუხსნი!

\* \* \*

თვითმფრინავი ბეტონის ბილიკს რომ მოწყდა და მარჯვნივ შებრუნდა, მაიკლ ბრაუნმა ილუმინატორიდან ქალაქს ჩახედა...

თბილისი კვლავ ალაგ-ალაგ იყო განათებული და, კაცმა რომ თქვას, გორგასლის ქალაქს თითქოს უხდებოდა კიდევ ნაწილ-ნაწილ განათება.

მაიკლმა ამოიხვნეშა და მალლა ღილაკს, საიდანაც სინათლის ჩქერი პირდაპირ შუბლზე ურტყამდა, ცერა თითი მიაჭირა.



## დამწყები ნეკრასტიანიკის ჩანაწერი

გიორგობისთვე ინურებოდა, ღამლამობით ყინვა ეპარე-ბოდა ქალაქს და უძოს ფერდობზე მზის ამოსვლისას ჭირხ-ლივით ბრწყინავდა ავერცხლილი, ქარის მოტანილი თოვლი, როცა ჩვენს სახლში ჭრიჭინობელას გაბმული, მხნე ჭრიჭინი გაისმა.

ეს ამბავი დილით მოხდა.

ბუხარი გამოვნაცრე, შეშას ჩატნეულ გაზეთს ნაფუკიდე და ცეცხლი აბრიალდა თუ არა, აჭრიჭინდა.

რატომ გამეხარდა, არ ვიცი.

შიგა კიბე ავირბინე და ჩემი ზარმაცი ცოლ-შვილი გა-ვალვიძე,

– არ გესმით? სახლში ჭრიჭინობელა გვყავს!

ლოგინებიდან წამოიშალნენ და ქვევით ჩამოტყაპუნდნენ.

– რა კარგია! – იყვირა შიომ და ტაში შემოჰკრა.

– რა არის კარგი. ჭრიჭინობელა გვაკლდა ახლა. ეს უნდა ჩემს უძილობას, – ისე შემომხედა ცოლმა, თითქოს მე შემომეყვანოს ჭრიჭინობელა და ამეჭრიჭინებინოს.

ყოველგვარი სიახლე ნერვებს უშლის, თორემ რაა გასა-ბრაზებელი.

რა მშვენვირად და ერთგულად ჭრიჭინებს ბუხრის ღრი-ჭოში ჩარჩენილი ზაფხული.

რატომ ბუხრის ღრიჭოში?

კარგად მივაყურადეთ სამივემ.

ფეხაკრეფით მივეყვებით ჭრიჭინას კვალდაკვალ. მაცივარი გამოირიცხა, წიგნების ძველი კარადა და სიდედრის „ნამზ-ითვი“ სკივრიც. ბუხრის გვერდზე ჩადგმული ხის ყუთიდან შემა ამოვალაგეთ. ჭრიჭინი ისევ ისმის.

ისმის სწორედ რომ ბუხრიდან.

ბუხარშია, არ უნდა მარჩიელი.

ჩანს, ცეცხლს რომ შევანთებთ, თბება და ჭრიჭინის ხას-იათზე მოდის.

შიო სკოლაში წავიდა, მე – პარლამენტში.

შუადღისას დავრეკე.

– ისევ ჭრიჭინებს?

– წაილო ყურები. არ გაჩერებულა.

– მიეჩვიე, როგორმე, შე ქალო, არა აქვს ცუდი ხმა. ბუხ-არი გინთია?

– კი. სხვათა შორის, სტუმრებიც გვყავს.

– ?!

– შიომ ნახევარი კლასი მოიყვანა. ჩვენო, ჭრიჭინობელა გვყავსო. გაგიჟდნენ. ზოგი დანთებულ ბუხარში მიძვრებოდა, ზოგი ყურს ადებდა. კიდეც კარგი, ნახალწლევის ორი „კოკა-კოლა“ მქონდა და სახელდახელოდ ხაჭაპური გამოვუცხვე ბავშვებს. მაინც, რა ყველი მოგიტანია, ხაჭოსავით იფრხვნება.

– რაც იყო ქვევით, ვიყიდე.

– რამდენჯერ გითხარი, მაგ ქალისგან ნუ ყიდულობ-მეთქი. საუბრის დანარჩენი ნაწილი საინტერესო არ არის.

თქვენ კი არა, ნეტავ, მე არ მესმოდეს ყოველდღე.

გვიან დავბრუნდი. ბავშვს ეძინა. მეუღლე თავნაკრული იჯდა ტელევიზორთან.

მძიმე სურათია.

„კურიერის სტუმრებს“ ძლივს მოვუსმინე.

ჭრიჭინებს გაუთავებლად.

ბუხარს საკეცით ვუვლი.

ვუკაკუნებ.

წამით გაჩერდება, ისევ იწყება.

რომ გაჩერდება და ისევ იწყებს, თურმე უარესია.

სწორედ გაჩერება და დაწყების მოლოდინი გშლის, თურმე, ნერვებზე.

– ნუ გეშინია, – ვეუბნები, – ბუხარს ჩავაქრობ და გაჩუმდება.

შემა იქეთ-აქეთ გავაჩოჩე, ნალვერდალს ჩაიდნით წყალი დავასხი.

ათიოდე წუთის შემდეგ ჭრიჭინი შეწყდა.

– ხომ გითხარი!

შვებით ამოვისუნთქეთ.

ჩავრთეთ ტელევიზორი თუ არა, ისევ აჭრიჭინდა.

– იქნებ ტელევიზორის ხმაზე აქვს გართულება. გამორთე ეგ დასანჯავი.

გამოვრთეთ ტელევიზორი.

ჭრიჭინი არ გამოირთო.

საბნის თავზე ნაფარება, ყურებში ბამბის ჩაკვებება... არაფერი შველის გულისნამლებ, ერთნაირ, ჭკუიდანშემშლელ ხმაურს.

არც იღლება, არ წყინდება.

მოტივს მაინც იცვლიდეს.

მესამე დღეს კინორეჟისორი გენო ჩირაძე მესტუმრა ხმის ოპერატორთან ერთად.

გენო გვერდზე სადარბაზოში ცხოვრობს.

ფილმისთვის ჭრიჭინობელას ჭრიჭინი ჭირდებოდათ, თურმე. ვერც კინოსტუდიის და ვერც რადიო-ტელევიზიის არქივში ვერ მოიძიეს.

მითხრეს, რომ თქვენ ჭრიჭინობელა გყავთო, გენომ.

ჩაინერეთ-მეთქი, უარს როგორ ვეტყვოდი.

რომ გადიოდნენ, ყოველ შემთხვევისათვის, ვკითხე: ხომ არ იცით, როგორ შეიძლება ამის გაჩუმება-მეთქი.

სხვათა შორის, არ დავინტერესებულვარო, გენომ. ხმის ოპერატორმა კი – რატომ უნდა გააჩუმოთ, სასიამოვნო ხმა აქვსო.

რას დაეძებს სხვის ნერვებს ხმის ოპერატორი.

მთელი ღამე შამფურით და მდულარით სავსე საქონლის შპრიცით დავდივართ მე და ჩემი ცოლი.

ბუხარს ღრიჭო არ დავუტოვეთ, შამფური რომ არ შევუჩხიკინეთ და ცხელი წყალი არ შევასხით.

გაგიგონიათ? ჭრიჭინებს და ჭრიჭინებს.

ათ დღეზე მეტი ვერ გავუძელი.

ვილაცამ სანეპიდსადაგურის მწერების განყოფილების სამსახურის გამოძახება გვირჩია.

მოვიდნენ ორნი, ბუხარს ენერგიული მწერდებინფექცია ჩაუტარეს. ექვსი ლარი გამოგვართვეს და წავიდნენ.

ჭრიჭინი შეწყდა.

სიხარულით ცას ვენიეთ.

გაჩერებამდე არ იყვნენ მისულნი, რომ ისევ აჭრიჭინდა.

ჩავშლიგინდი კიბეზე. ტროლეიბუსის კიბიდან ჩამოვხსენი ორივე.

შემოვიდნენ თუ არა სახლში, ჭრიჭინი შეწყდა.

ათი წუთი იცადეს.

რომ აღარ განმეორდა, ნელანდელზე უფრო მხურვალედ გამომემშვიდობნენ და წავიდნენ. ჩანს, ნამალმა უკვე იმოქმედაო.

გაზეთების გადათვალიერებაც ვერ მოვასწარი, ისევ აჭრიჭინდა.

ვერსად დაემალეები.

ნახევარი საათი, ნახევარი! მეტი არ მინდა, რომ ცოტა ხანს მაინც ჩავთვლიმო.

ისტერიულ ხარხარამდე მისულ ცოლს უკვე აღარ დავეძებ. იმგვარი ხარხარიდან ხომ ერთი ნაბიჯია გაგიჟებამდე.

რომ აღარ გავაგრძელო: ორ კვირას გავუძელით, მეტს ვერა.

ნეტავ, გინესის წიგნში რა წერია: რეკორდსმენმა ცოლქმარმა რამდენი დღე გაუძლეს.

მოვიყვანეთ მებუხრე.

ბუხარი უნდა დავანგრეოთ და თავიდან ავაშენოთ.

მებუხრემ – მე აშენებით აგიშენებთ, დანგრევით სხვას დაანგრევინეთო.

მოვიყვანეთ დანგრევის სპეციალისტი.  
სხვათა შორის, დიდებული სპეციალისტი აღმოჩნდა.  
ერთ დღეში იატაკზე დაგვიწყო ჩვენი ბუხარი თავის აზ-  
ბესტის მილიან, ცეცხლგამძლეაგურიანად.  
რაც შეეხება ჭრიჭინს, დაიწყო თუ არა დანგრევა მნგრევე-  
ელმა, მაშინვე შეწყდა, მაგრამ ისე ვიყავით შეშინებულები,  
ბოლომდე დავანგრევეთ.  
ერთი კვირა აშენებდა მებუხრე ბუხარს.  
გაქრა ჩვენი ჭრიჭინობელა.  
ღმერთო, შეგცოდე, მებუხრის გაურკვეველ ღიღინსმიყუ-  
რადებულებს, მგონი, მოგვენატრა კიდეც.  
შესახედავად თუმცა იგივე მასალით აშენდა, მაგრამ რომ  
იყო, იმაზე უკეთესი ბუხარი გამოვიდა.  
შევანთეთ. კვამლი დიდებულად მიაქვს.  
წევა კარგი აქვს.  
მებუხრე გავისტუმრეთ.  
ისევ დაბრუნდა ჩვენს ბინაში ოჯახური სიმშვიდე, იდილია,  
ძილი, ტელევიზორი... რა ბედნიერებაა!  
...ბუხრის აშენებიდან მესამე დღეს, სწორედ მესამე ღამეს  
ისევ გაისმა ჭრიჭინი.  
არ იყო ძალიან გვიან, „მოამბე“ ახალი ჩამთავრებული იყო.



## ფისო

ვზივარ სანერ მაგიდასთან.  
სუფთა ფურცელზე გრძელცხვირა კაცის თავებს ვხატავ.  
სკამზე მი და მო ვტრიალებ.  
მარჯვენა ფეხს როიალის დამკვრელივით ვათამაშებ.  
არა და არ მოდის პირველი სტრიქონი.  
სხვა, ათასი სისულელე აწვება გონებას.  
ათასი ფრაზა ტივტივებს.  
ათასი სიტყვა ყურთასმენაში შემოღწევას ღამობს.  
ის პირველი სტრიქონი კი, რომ მინდა, არა და არ მოდის.  
რა ბედნიერია გრაფომანი. დაწერს ენისწვერზე მომდგარ  
პირველსავე ფრაზას და არის არხეინად.  
პასუხსაც არავინ თხოვს.  
მე კი ვწვალობ, ვუძალიანდები სიტყვათა ქარავანს, ვეჯა-  
ჯგურები ფრაზათა ლეგიონებს იმ ერთის ძებნაში.  
კარებზე ფხაჭუნი გაისმა.  
ფისოა.  
საკმარისია ახლა კარი გავაღო, ერთს შემომკნავლებს,  
რად მაცდევინებ, რატომ დროზე არ გამეხმაურეო... შემოვა  
აქაურობის ბატონ-პატრონივით.  
ჯერ იატაკზე გაშლილ წიგნებს გადაუვლის, გადმოუვლის  
თავისი თეთრი ფეხებით, მერე მაგიდაზე ამოხტება და კალ-  
მის მოძრაობას პანანუნა კბილნემსებით დააცხრება.  
ხელს რომ მოვკიდებ და ხალიჩაზე დავსვამ, ასეა, ალბათ,  
საჭიროო და გულაღმამოკოტრიალებული ფეხებთან ჩამის-  
აფრხაფანგდება.  
ხან ფოსტლებს წამაძრობს და მთარბენინებს, ხან წინდ-  
ებიან თითებს მოიქცევს კბილკლანჭებში და მეფხაკურება.  
ისე, გაუმეტებლად მკბენს, რომ არ გამკანროს, მაგრამ  
წინდისგან გამოქაჩულ ძაფზე დიდად არ ინალვლებს.

– ფისო, მოშორდი კარებს, არ მცალია შენთვის.

ნებისყოფის ნარჩენებს ერთ მუშტად ვკრავ და ფისოს სი-  
ჯიუტეს ვუპირისპირებ.

საკმარისია, გავალო კარი და მორჩა, მთელი დღე დაკარ-  
გული მაქვს. ეს მე წერას არ მაცლის.

ახლა ფანჯრის რაფაზე გაისმა ფხაჭუნი.

მივიხედე.

ორ თათზე აღმართული თავისი თეთრი ფაფუკი მუცლით  
და ულამაზესი სამკუთხა პირით მინას მოსწოლია.

ელვასავით, შავშვეულად გახაზული დიდი მოყვითალო-  
მონაცისფრო თვალებით ოთახში იხედება და კნავის.

მოდო და გაუძელი მინაზე კლანჭების ფხაჭუნ-სისინს.

– ფისო, არ მცალია შენთვის. ჩადი ძირს, შე სულელო  
ფისუნია.

ფისუნიას ჩემი არ ეყურება, ან არ სურს, გაიგოს. ორში  
ერთია.

ფისომ თავისი საქმე იცის.

გუშინაც ასე იყო, – ამბობს გულში, – ძალიან არ გინდოდა  
გაღება, მაგრამ გაგაღებინე. არა ხარ ისე პრინციპული და  
გულქვა, შენ რომ გგონია.

...და ფისო განაგრძობს კნავილს და მინის ფხოჭნას... მინ-  
ის ფხოჭნას, კნავილს და თავისი გაოცებული, ფართო თვა-  
ლებით ოთახში ყურებას.

...კაცმა რომ თქვას, რას ვნერ ახლა ისეთს, ფისოს კარი  
რომ არ გაუფლო და ჩემს მოსაწყენ კაბინეტში არ შემოვუშვა?

## „აულის ელდა“

სირბილი, ღობეზე გადახტომა, ხეზე ასვლა და ცურვა რავა  
არ ვიცოდი, ვიცოდი და სოფელში ორი ბიჭი ვერ მჯობნიდა  
ცხენის ქენებაშიც, მარა ომი მაინც სხვაია, თურმე.

ჩვენი ზემდეგი – ტიბანელი ჩაჩხუნაშვილი, ცოდვას ვერ  
დევიდებ, ერთგულად გვწვრთნიდა. აკოპის თხრა, მინისძვრის  
დროს კარლია სარდაფში (კარი რო არ ჩეგეკეტოს) რკინა-  
ბეტონის სარტყლის ქვეშ დადგომა და ხანძრის შემთხვევაში  
მესამე სართულიდან თოკით ჩამოხობება, მაგან გვასწავლა,  
მარა ეს ყველაფერი, თურმე, ომის დროს საბავშვო ბაღში  
რო პირველად სამი თითით, ჩანგლის სწორად დაჭერაში გა-  
ვარჯიშებენ, ისაა, მეტი არაფერი.

ჩამევიდნენ, რავარც იქნა, ამერიკელი ინსტრუქტორები და  
ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ჩაჩხუნაშვილს კი არა, ჩვენთან პოლკოვნიკს არ დაესიზმ-  
რებოდა, ისეთი ყოფილა ნამდვილი სამხედრო მომზადება.

ჯერ იყო და ფორმა დაგვირიგეს იმნაირი, ღამე რომ ვიხ-  
დიდი, ახლოს, სკამზე მენყო და ხვანჯარი ხელზე მქონდა  
დახვეული, არ დევილუპო, არ მომპარონ-თქვა.

რაცხა აბრეშუმნარევი კაპროლაქტამისგან იყო შეკერილი.  
ლურსმანს რო წამოდებოდი, არ იხეოდა და რაც მთავარია,  
მთელი კომბინეზონი ნიფხავ-პერანგიანად ნახევარ კილოს არ  
იწონიდა.

ახლა ბატინკებს არ იკითხავ? ბატინკები დაგვირიგეს, სამი  
ნომრით მეტი რო შეგხვედროდა, თვითონ ჯდებოდა ფეხზე.  
ძირი ჰქონდა სასწაული: სიპ ყინულზე მეიკიდებდი ფეხს. მე  
მგონია, წებოვანი კაუჩუკისგან იყო დამზადებული.

რაც მთავარია, პარტიანკების დახვევა აღარ გვჭირდებო-  
და. შიშველ ფეხზე უნდა ჩაგეცვა. თვითონ ჰქონდა ღრუბლის

წინდები შიგნით ბატინკებს. სუნი? ახლა ფეხზე სუნი თუ გაქვს საერთოდ, ამერიკული ბატინკები ვერ გაგიქრობდა, რასაკვირველია. ღამით აივანზე გაიტანეთ, ან ხეზე ჩამოკიდეთო, გვაფრთხილებდნენ, მარა ვინ იყო ამერიკული ბატინკების გარეთ გამტანი გასანიავებლად.

კარგად რო გამოგვანყვეს, ათ-ათად დაყვეს ჩვენი ბატალიონი. მე მეორე ჯგუფში მოვხვდი. ინსტრუქტორად ორმეტრიანი ამერიკელი კიმ სერფოლდი დაგვინიშნეს.

ჩვენ ინგლისური არ გვესმოდა და იმას – ქართული, მარა სამხედრო წვრთნას არაფერი ენის ცოდნა არ ნაჭირვება.

დილიდან სალამომდე ჩვენთან იყო კიშია. ნაბიჯზე არ გვშორდებოდა. არც თარჯიმანი გვყავდა და არც გრამატიკის მასწავლებელი, მარა მშვენივრად ვაგებინებდით ერთმანეთს.

ჯერ თვითონ გვაჩვენებდა, რა უნდა გვეკეთებინა, მერე სამამდე დათვლიდა: „ვან, ტუ, სრიი!“ დაიძახებდა და დავიძროდით ადგილიდან. „სტოპზე“ უნდა გავჩერებულიყავით. თუ მთლად ვირი არ იყავი, „სტოპ“ უნდა გცოდნოდა. ბოლოს „ოკეის“ დასძენდა და ეს იყო სულ. „ოკეი“ ამერიკულად რავარც შევატყვე, ყველაფერს ნიშნავს. მაგალითად, „კარგია“, „დავისვენოთ“, „მოვრჩეთ“, „შევთანხმდით“, „ვისადილოთ“, „მომენონა“, „ძილი ნებისა“, „ხვალამდე“ და ასე შემდეგ.

„ოკეისთანა“ მუშა სიტყვა რომ მოგვცა ქართველებს, აღარ დაგვჭირდებოდა ამდენი „იმე“? „შენ ხარ ჩემი ბატონი“, „რავა გეკადრება“, „გამოთ“, „ღმერთმა ფრჩხილი ნუ წამოგატკიოთ“, „ერთობ სასიამოვნოდ გამოიყურებით“, „ნამეტანი გვალვები დეიჭირა წლეულს“ და სხვა ზედმეტი სიტყვები. ისე, ზრდილობის გულიზა, წამდაუნუმ რომ ვუცვლით ხოლმე ერთიმეორეს.

რა ყოფილა ამერიკული სამხედრო მომზადება, სიტყვით ვერ აღვინერ. ბოვეიკების კინო ხომ გინახავს, ისაა პირდაპირ. არაფერსაც არ აჭარბებენ სტალონე და შვარცენეგერი. ჯარისკაცსო, კიშია გვეუბნებოდა, ყველაფერი უნდა შეე-

ძლოსო. საცხა ტანკი ვერ გავა, იქ ჯარისკაცი უნდა გვეიდესო. თვითონ რობოტივითაა, დალლა არ იცის. ჩვენ რო მივსავათდებოდით, მერე ორას მკლავზიდს აკეთებდა ბალახზე. დღეს ვერ დავტვირთე ორგანიზმი, ვარჯიში მაკლიაო, რისი დალვეა, რისი მოწევა.

ჩაჩხუნაშვილს რუსული ჯარიდან „ატბოი“ და „პერეკური“ რო ჰქონდა გადმოღებული და ორ საათში ერთხელ რო „პერეკურს“ გვაკეთებოდა, გაგიგონია? ვერაფრით რო ვერ ვაგებოე კიშიას, რას ნიშნავდა „პერეკური“, ტუჩებთან ორი თითი მივიტანე, ლოყები დავბერე და ჰაერი ამოვუშვი, კაცი დასაბმელი გახდა. სტეჩკინისნაირი შავი პისტოლეტი დააძრო ბუდიდან და დაგვემუქრა: მე მგონია, ნარკომანები ვეგონეთ, თვარა სიგარეტზე ასე რავა გაგიჟდებოდა.

რალა დაგიმალო, ჩვენ რაც ვიცოდით, არაფერი გამოგვადგა ამერიკელებთან. თურმე ჩვენ ბუდიონის დონეზე დავრჩენილვართ წვრთნაში. ქეც იმიტოა, თეთრი ხელთათმანებით რო ომობენ ამერიკელები და მაგენის მომრევი არავინაა დუნიაზე.

მოწინააღმდეგის ათასი ჯარისკაცი რო წეიცვლება, ამერიკელი ერთი კვდება და ისიც შემთხვევით – ან მზის დარტყმას ლებულობს, ან თავისით ჩამოვარდნილი ქოქოსის პალმის ნაყოფი (სირაქლემას კვერცხზე დიდი და უფრო მაგარია) ხვდება თავში.

ა, გეტყვი, აგერ, თუ გაინტერესებს, რა ვიცოდით ჩვენ და რა გვასწავლა ამერიკელმა ინსტრუქტორმა: ბაგირზე ცოცვის დროს ხელისგულზე თურმე არავითარ შემთხვევაში არ უნდა დეიფურთხო, სრიალებს ხელი. პირიქით, სველი თუ გაქვს, საგულდაგულოდ უნდა გეიმშრალო და თუ გაქვს ჯიბეში ცარცის ნაჭერი, უნდა წეისვა, მესამე (ან თუ გინდა, მეოთხე) სართულიდან ჩამოხოხების დროს წეილონის თოკი მარცხენა ბარძაყზე კი არა, მარჯვენაზე უნდა დეიხვიო და არავითარ შემთხვევაში მხარზე არ უნდა გადაიკიდო, შეიძლება სიჩქა-

რეში კისერზე ვერ გადავიგდო და მარყუჟში გაყო თავი. შეტევის დროს ტანკს გვერდზე კი არ უნდა მიყვე, რაგვარც მახარაშვილი მიყვება „ჯარისკაცის მამაში“, უკან უნდა დოუდგე, თანაც ოცდახუთ მეტრზე ახლოს არავითარ შემთხვევაში. ხომ შეიძლება, ტანკი მინაზე აფეთქდეს. ხუთი ომი ჩაატარა საბჭოთა კავშირმა და ეს ვერ გეიანგარიშეს რუსის გენერლებმა? იცოდნენ, რასაკვირველია, მარა ჯარისკაცი ფეხებზე ეკიდათ. კვდებოდნენ, ალბათ. სიცილით ამერიკელები ერთ კინოში კაპიტანმა „სვიაზის“ აღსადგენად ხუთი ანგელოზით ბიჭის სიცოცხლე რო შეაგდო სასწორზე. რისი „სვიაზი“, რას მიქვია „სვიაზი“, რავა შეიძლება, შნურით ხელში ცეცხლის ხაზზე არბენიო ჯარისკაცი. კაცია, თხა ხომ არ არის. თვარ დოურეკავს ლეიტენანტი პოლკოვნიკს მოსრია პატრონო, იტყოდა ამერიკელი ჯარისკაცი, თვითონ ლეიტენანტიც არ მიცემდა ამნაირ სულელურ დავალებას. როცა ხელყუმბარა უნდა შეაგდო სადმე, ჩვენ ასე გვასწავლიდა ჩაჩხუნაშვილი, ჯერ შეიხედე ოთახში, მერე მარცხენა ხელით შეაგდე ხელყუმბარა და შენ იქვე, მარჯვნივ, კედელს ამოეფარეო. რამდენი მოკვდებოდა რო იცოდე ამნაირი მოქმედებით. რავა, რო შეიხედავ, მოწინააღმდეგეს ყვერებზე კი არა აქვს ხელები დანყობილი. გრეკავს შუბლში და უყარე კაკალი. პარაშუტით გადმოხტომის დროს ხელფეხგამლილი ფრენა თურმე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, სამიზნე ხარ მტრისთვის. თანაც, რაც შეიძლება, ახლოს უნდა გაშალო დასაფრენ ნერტილთან პარაშუტი, თვარა ქარი წაგიღებს და ვინ იცის, სად ამოგაყოფიებს თავს. ხომ უბრალო ამბავია, მარა „კოკაკოლა“ არავითარ შემთხვევაში კბილით არ უნდა გახსნა, ბარე ორ მაგარკბილიანს შერჩა კბილი ზედ.

ერთი სიტყვით, იმ ორ თვეში, მართალია, მაგრად გაგვწურა კიმ სერფილდმა, მარა ჩვენგან ნამდვილი ბოევიკები დააყენა. რაც გითხარი, იმის გარდა, ხელჩართული ჩხუბის ისეთი ილეთები გვასწავლა, თითო ჯარისკაცი ხუთ ნაკლებადნა-

ვარჯიშებ თავდამსხმელს ორ წუთში ყურებს დავახევთ, განვაიარალებთ და ზურგსუკან ხელშეკრულებს ვანვენთ მინაზე (თუ ნამეტანი წინააღმდეგობა არ გაგვინიეს, რასაკვირველია).

განსაკუთრებული ენერგია და დრო კიმიამ მთიანი რელიეფის საოპერაციო წვრთნას მოანდომა. სამმაგ ხტომაში ისე დავვოსტატდი, ხუთმეტრიან თხრილს ვეველებოდი თავზე. თხრილზე გადახტომის დროს ერთი რამ უნდა იცოდე: მაღალი ნაპირიდან დაბალზე უნდა გადახტე. დაბალიდან – მაღალზე ჭირს ძალიან. რატო, იცი? შეიძლება, კედელს შეახტე, თავი ვერ შეიმაგრო და დურთო თავი ძირს. წყალში კიდო არა უშავს, მარა სიპ კლდეზე ხარ ცოდვა.

ყველაფერი დავძლიეთ. ცოტა პარაშუტიდან ხტომა გაგვიჭირდა, მარა მაინც დავეუფლეთ. თუ მეინდომებს ადამიანიშვილი, თურმე ყველაფერი შენაძლება.

ასე, ამნაირად, განვრთნილ-ნავარჯიშები ჩვენი ბატალიონი 2002 წლის 7 აპრილს ჩაგვაფრინეს თელავში საღამოს ცხრა საათზე. დავგირიგეს სამ-სამი ხელყუმბარა, თითო აკეესის მოკლე ავტომატი, ამერიკული „ოხუესის“ ბარაბნიანი პისტოლეთი (შვიდტყვიანი) და კნოპკიანი იაპონური დანები. ზურგჩანთა გაგვივსეს სამი დღის პაიოკით (მშრალი ძეხვი, პაშტეტი, თეთრი და შავი პური, წითელი ხიზილალა (მგონი, ხელოვნური უნდა ყოფილიყო), თორმეტ-თორმეტი ბანანი, თხლად დაჭრილი შოტლანდიური ყველი და კიდო იყო რაცხარაცხა, არ მახსოვს).

ამალამ ადრე უნდა დევიძინოთ და ხვალ დილის ოთხ საათზე პანკისში წმენდის ოპერაციაზე უნდა გაეფრინდეთო, კიმიამ. ოპერაციის სახელიც გვითხრა: „აულის ელდა“, თუ რალაცა ამნაირი.

მშვიდად მეძინა-მეთქი, ვერ გეტყვი, მარა შიში არ გამივლია გულში. რა მაქვს საშიში. ყველაფერი გვასწავლეს ამერიკელებმა, რაც თვითონ იცოდნენ. ახლა ცოტა შენც უნდა

იმარჯვო. ისე, კიმია რომ თვითონ მოგვყვებოდეს, რა თქმა უნდა, უკეთესია, მარა დაწოლის დროს გამოგვიცხადა: ჩემი წამოსვლა არ შეიძლებაო. პანკისის განმეხდა ტერორისტებისგან და მაფიური კლანებისგან თქვენი შინაური საქმეა, ჩვენ, ამერიკელები, ვერ ჩავერევითო.

ოთხის ნახევარზე აფრინდა ჩვენი ვერტიფრენი. ათივენი გვერდიგვერდ ვზივართ. ნამეტანი ძიგძიგებს მანქანა. ქარია, როგორც ჩანს, ზევით. თელავში იმდენად არ იგრძნობოდა. მთვარით განათებულ პანკისის ხეობას ჩავყურებთ მდუმარედ. დავალება ხუთი თითივით ვიცი. სიგნალს რომ მოგვცემენ ათამდე სწრაფად დათვლის შუალედით, მიყოლებით უნდა გადავხტეთ, პარაშუტი იქვე, ბურქებში, საგულდაგულოდ მივმალვით და გათენებას დაველოდოთ. გათენებულზე საცხოვრებელი პუნქტის „ნ“ ობიექტზე (მერიდიანი – 3, აზიმუტი – 14) უნდა მოვიყაროთ თავი. დანარჩენი, რაც უნდა გავაკეთოთ, სამხედრო საიდუმლოებაა და ვერ გავამხელ.

გადავინერე პირჯვარი და ჩაფხტი. ყველაფერი ვიცი. განვრთნილი ვარ ისე (თანაც მთიანი რელიეფის შესაფერისად), რომ გაგეხარდება. ნეტავი შემნიშნავდეს ვინმე ჩახტომის დროს და თავს დამესხმოდეს. კაი ჩიტს დაიჭერს. ისეთი ილეთები მასწავლა კიმამ, ხუთ კაცს ცხვირით მიწას ვახნევინებ (თუ ჩემზე უფრო ნავარჯიშები თვითონ არ აღმოჩნდნენ, რასაკვირველია).

სიბნელეში მთლად ზუსტად ვერ მოვზომე და, მგონი, მეათედი წამით ადრე გავხსენი პარაშუტი. თანაც, ჩემდა ილბლად, ქარი უბერავდა, ეს უპატრონო. მიწას რომ დოვუახლოვდი, ბევრი ვქაჩე მარცხნივ პარაშუტი, ჰაერში სამი-ოთხი სალტომორტალე გავაკეთე (როგორც გვასწავლა კიმამ), მარა ხეებს ვერ ავაშორე პარაშუტი.

ორ უზარმაზარ წიფელზე ვკიდივარ. პარაშუტი ისე საიმედოდაა გაჩხერილი, რომ ვერაფრით ჩამოვხსენი. გადავჭრიდი თოკებს და ჩავხტებოდი, მარა ოციოდე მეტრის სიმაღლეზე

ხავსიანი ლოდის თავზე ვკიდივარ. რომ გადავხტე, უეჭველად დავიმტვრევი. ნერვიულობისგან ცივი ოფლი მასხამს. ყველაფერი გვასწავლა იმ ოჯახაშენებულმა ამერიკელმა, მარა ხეს რო პარაშუტი გამედეება, მაშინ როგორ უნდა მოიქცე, არ უსწავლება. არადა თენდება. შვიდის ნახევარზე შეკრების ადგილას „ნ“ ობიექტზე (მერიდიანი – 3, აზიმუტი – 14) უნდა ვიყო.

ავტეხო ყვირილი, მიშველეთ-მეთქი, უფლება არა მაქვს, კიდეც რომ მექონდეს, საშიშია. ვინაა ამ ულრან ტყეში შენი პატრონ-მოყვარული. ათასი თული დადის პანკისის ტყეებში. არა, არა, ასე რომ ჩამოვხმე თოკზე ტარანივით, საშველად არავის ვუხმობ, თავი მომეჭრება. ქე დამავიწყდა. მობილურები ბანაკში დაგვატოვებინეს, რა ქვია იმას, კონსპირაციის მიზნითო.

ამ ფიქრებში ვარ, რომ ქვევით ლაპარაკი მესმის. ვინ იქნება ამ დილაუთენია. იქნებ მე მეძებენ. ალბათ, შეშფოთდნენ, ობიექტზე (მერიდიანი – 3, აზიმუტი – 14) რომ არ გამოვცხადდი და მზვერავები აფრინეს.

სინათლის წრეში ჩემგან მარცხნივ ორი ჩექმებიან-ფაფახიანი კაცი გამოჩნდა. ერთს – შავწვეროსანს, მხარზე ძველთაძველი შაშხანა ჰკიდა. მეორე, შედარებით ახალგაზრდა, უთოფოდაა.

რასაკვირველია, შემნიშნეს. ხმა არ ამომიღია, მაგრამ წელს აზლუდი ჩამივარდა. შავწვეროსანმა თვალი ჰკიდა, აილო, ამოიხედა, მაგრამ თითქოს მელოდაო, ხეებს შერჩენილ პარაშუტზე დაკიდებული კაცის ნახვა არ გაკვირვებია.

წინ მიმავალ ჭაბუკს ქისტურად რაღაც დაუძახა.

მერე შუბლზე ხელი მიიჩრდილა, თოფი კომბალივით დაიბიჯგა და ქართულად მკითხა:

- შენ მანდ რა გინდოდა?!
- ქართველები ხართ?
- ქისტები.

– ვვარჯიშობდი და პარაშუტი ხეს გამოედო.  
 ისევ გადაულაპარაკა თანამგზავრს ქისტურად.  
 – რატომ აქეთ, სხვაგან არ ვარჯიშობთ, აქ ვარჯიში ხომ  
 ხედავ – საშიშია!  
 მე ჩემი მჭირს და ესენი დგანან და იცინიან.  
 – ჩამომხსენით როგორმე და მერე ვილაპარაკოთ.  
 ისევ გადაულაპარაკა თანამეინახეს. იმანაც ღიმილი  
 მოისხიპა და პასუხი ქისტურადვე დაუბრუნა:  
 – ჯერ ეგ ავტომატ გადმოგდე!  
 გადავაგდე ავტომატი.  
 – ახლა პისტოლეთ გადმოგდე!  
 გადავაგდე პისტოლეთი.  
 – გრანატები იქეთ ბალახისყე გადმოყარ!  
 – საშიში არ არის?  
 – კრუჩოკი თუ არ მოხსნი, ა?  
 – არა.  
 – აბა გადმოყარე, ნუ გეშინია!  
 გადავყარე ხელყუმბარები.

\* \* \*

ერთი კვირა ვყავდით ორმოში, მეტი არა.  
 ყველაფერი ტყუილია, რაც ჭორად გავრცელდა.  
 ცოდვას ვერ დევიდებ, გლახათ არ მეპყრობოდნენ.  
 მე ქისტური არ მესმოდა, მარა მიწურში ვინც შამევიდოდა  
 და ჩემს თავგადასავალს შეიტყობდა, კვდებოდა სიცილით.  
 ერთი კვირის თავზე თვითონ გამათავისუფლეს.  
 საგუშაგოსთან ნახევარ კილომეტრში თვალახვეული მომი-  
 ყვანეს და გამომიშვეს.  
 გამოსასყიდზე ლაპარაკი არ ყოფილა. ვინ იყო ჩემი გამომ-  
 სყიდველი.  
 კაცური სიტყვა ჩამომართვეს, ჩემი მასპინძლების ამოც-  
 ნობა-დასმენა არ დამეწყო.

ახლა, რაც შეეხება ჩემს ბრალდებებს, არ დეიჯერო, თუ  
 ძმა ხარ, ყველაფერი ჟურნალისტების და სამხედრო პროკუ-  
 რატურის მოჭორილია.

ფრიადოსანმა კურსანტმა, ამერიკელი ინსტრუქტორების  
 მიერ საგულდაგულოდ განვრთნილმა, შალიკონა ვაჩიბერი-  
 ძემ, ავტომატი, პისტოლეთი, სამი ხელყუმბარა და პარაშუტი  
 ნაღდ ანგარიშზე ქისტებს მიყიდაო, ოუჭრელებიათ გაზეთები.

ისე ოუშენდათ პატრონი მაგენს, ეგ მართალი იყოს.

იქნება აგერ სასამართლო ცხრამეტში და გაირკვევა  
 ყველაფერი.



## „მრის ხსნა“

ყველაფერი უკუღმა, კაცო, ყველაფერი? ერთი საქმე ძალაუნებურად გამოერევა კაცს საწმომოხონო და საწაღმართო. ამათ ის ერთიც არ გამოერიათ.

ხანდახან მინდა ვთქვა; მართალია, ეს, ეს და ეს ჩაუფლავდათ, არ გამოუვიდათ, მაგრამ მთლად უმადურებიც ნუ ვიქნებით, სამაგიეროდ, ეს ხომ სწორად გააკეთეს-მეთქი.

ეტყობა, „ხელის წასვლა“ პოლიტიკაშიც არის.

ერთხელ რომ წაიუკუღმავებს, მიყვება და მიყვება, არ გამოდის, მორჩა და გათავდა. მაგრამ ერთი საქმე კაცო?

დედაბერი რომ უღელს გადააგდებს და კურდღელს მოკლავს, ისე, ერთი შემთხვევით გამოსული მაინც გამორეოდეთ რამე ფიცში ჩასაყოლებლად.

იმ ერთს დავიხვევდი ხელზე და ქვეყანას მოვდებდი, არც ისეა საქმე, თქვენ რომ ფიქრობდით-მეთქი. გაგიგონია?

ყველაფერი უკუღმა აკეთეს. ვერაფერს თავი ვერ დაადგეს.

სანამ ოპოზიციონერია, მშვენივრად იცის სახელმწიფო საქმეების ხლართ-გვირისტი. ასე კი არა, ასე უნდაო, ბრძენ-მოძღვრობს.

მოირგებს ბეჭებზე ხელისუფლების ხალათს და იმ საათიდან, არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს მტერი ხდება. გინახავს ასეთი რამ, კაცო?

შესცქერი და ფიქრობ, სად გაქრა ამის ჭკუანიჭი და ქვეყნის შველის წყურვილი.

ნუთუ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო და ხალხისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად გამიზნული?

ეტყვს ამათი მარცხუილბლობა როდი იწვევს.

რა ვუყოთ, იცის ასეთი რამეები ისტორიამ.

საბრალოა დევებში მოყოლილი ქონდრისკაცი.

იგი მი და მო აწყდება, მანდც ფეხი რომ არ დაადგან და არ გაჭყლიტონ.

მისი არც ბრძნული ღალადისი ესმით დევებს და არც საწყალობელი ბლავილი.

იმ ქონდრისკაცების დღეშია დღეს საქართველო და რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არაა.

მე ამათგან ყველაზე უფრო ის მაოცებს, იხტიბარს რომ არ იტეხენ და დაბეჩავებულ ქვეყანას მარცხს გამარჯვებად შეასაღებენ.

აღარ გათავდა, აღარ დაეფუშათ ტყუილების გუდა, აღარ გაუცვდათ ამო ლოკვის იმედითი.

იმაში მაინც დამარწმუნე, შე კაი კაცო, რომ ცდილობ, მაგრამ არ გამოგდის. რატომ მაფიქრებინებ, შემოგზავნილი ხომ არ არის ეს ჯგუფპარტია ჩემს დასაღუპავად-მეთქი.

აბა, რა ვიფიქრო, როცა მსოფლიოს სავალუტო ფონდის მელაკუდა მრჩეველი უტიფრად მარიგებს – ნუ ააშენებ, მოეშვი ჩარხტრიალს და კერვა-ქსოვას, ნუ დათესავ და ნუ მოიმკი, შენ მხოლოდ სხვისი შემოტანილი გაასაღე და კარგი დახლი დაგიდგებაო.

ამ დროს შენ იქვე დგახარ და ყვავივით დამჩხავი; დაუჯერეთ ვალავს, თორემ დავიღუპებითო.

მთელი საქართველო ჯიხურეთად აქციე, ხალხი გააქორვაჭრე და უცხოურ კაპიტალს დაუმონე, დაუთვალმათხოვრე.

თითს თითზე არ აკარებ, ხელი რომ გამოვილო და კიდევ გიკვირს, რატომ არ მჯერა შენი?

მასწავლებელი გაამათხოვრე და სკოლის რეფორმა დაარქვი სკოლის დაქცევას, ოთხმოცდაცხრამეტი წლით ბაზალეთის წმინდა მინა ისტორიულ მტერს გაუფარდაგ-გაუდარბაზე, რუსისგან ნანათხოვარი ტანკებით ყოველ კვირაში ცხვირწინ აღლუმს მიტარებ და მე მაშინებ, გლახა არაფერი გაივლო გულშიო.

ჩემი უფრო გეშინია, ვიდრე პირსისხლიანი არძინბასი,

რომელსაც ღამღამობით ტელეფონითაც ესაუბრები, ეს იმედი მქონდა შენი?

ერთხელ მაინც შენს ბობოქარ ცხოვრებაში მოითავმდაბლე და კაცურად მითხარი – ვცდილობ, ჩემო იმანო, მაგრამ არ გამომდის არაფერი, გამიგე კაცურად-თქო.

მოგიკვდეს, ვინც არ გითანაგრძნოს და არ შევიდეს შენს მდგომარეობაში.

ნუ მატყუებ, თუ ღმერთი გნამს, შენი მოსატყუებელი კბილი, კარგა ხანია მოვიცვალე. მოსკოვის ყოველ ახალ აფიორა-გაცურებაზე ხბოს აღტაცებით რომ გამომიცხადებ, – აფხაზეთის დაბრუნების გზაზე დიდი ნაბიჯი გადავდგით წინო, რატომ გგონივარ ასე უტყუარ და ჭკუასიპი, ვერ გამიგია.

შენმა პოლიტიკურმა სალტო-მორტალემ და შიშასხრეობამ თუ შიმშილ-ელდამ ხალხი ისე დააგლახა-დაამღიერა რომ თავის ამწევი და ხმის ამომღები არავინ დარჩა. თავჩაქინდრულნი, დადეღელებულნი, ნაზამთრალი და მგელდაცემული ხბორებივით მივდევთ ერთმანეთს კვალში და ერთმანეთის უკანალში ცხვირნაყოფილნი ოდენ ხენეშა-ურვით ვიოხებთ დაწყლულ-ბულ გულს.

სკოლის რეფორმამ, გითხარით მისი არ იყოს, სკოლა ნაგვგვარა, სამედიცინო რეფორმამ – ექიმი და წამალი, პურ-პროდუქტების რეფორმამ – პური, ახლა ჰაერ-წყლის რეფორმას ველოდებით და საბოლოოდ მოგვემართება ხელი.

არა გიშავს რა, ქართველო, როგორც ჩანს, ჯერ არ აგვესება მოთმინების ფიალა, რაკილა ასე გულდაჯერებით ბაირამ-ნავარდობენ შენს ქედკისერზე.

ჯერ კიდევ ვერ მორევიხარ ბოლმისბორკილს და შენს მუხლებში ავად გამდგარ შიშისქარს.

ხალხის დადეღელება-დაცვედნების მანქანის ოთხწლიან ბრუნვასისინს რა შედეგიც მოჰყოლია, ახლავე შეიტყობ.

ამასწინათ ერთ წვეულებაზე მოვხვდი. რა არ იღონა თამადამ, პოლიტიკასარიდებული ტრაპეზი გაემართა, მაგრამ არ გამოუვიდა.

მოხუცმა ნოტარიუსმა ბახვა სულაკაძემ ოცდაჩვიდმეტზე ჩამოაგდო სიტყვა. ძმა ძმას ვერ ენდობოდაო, თქვა და ასეთი ანეკდოტი გვიამბო: „მეყავრე ამბობს – რა კარგად მუშაობდა ოცდაჩვიდმეტში კაგებე. რა იციო, ეკითხებიან. როგორ არ ვიცი. მე და ჩემი ძმა ვთიბავდით ოცდაჩვიდმეტში მთის ფერდობზე. ირგვლივ ათ კილომეტრში კაციშვილი არ იყო. ჩემმა ძმამ ყურში მიჩურჩულა: რას ამბობს, თუ იცი, ამერიკა, როდის ეტირებათ კომუნისტებს ყოფაო, იმ საღამოსვე დაიჭირეს“.

ნოტარიუსის ამ ანეკდოტზე ყველას არ გაცინებია. ჩანს, ზოგი ვერ მიხვდა, რომ ორ ძმას შორის ერთ-ერთი გამცემი იყო.

შემჩნეული მაქვს, ანეკდოტის ახსნას რომ დაიწყებ, სიცილი ჩავლილია და იუმორი კი ისე ფაქიზი რამეა, რომ განმარტებას ვერ იტანს.

ასე იყო თუ ისე, ამ ანეკდოტიდან ჩვენს უბედურ ყოფამდე ერთი ნაბიჯი რჩებოდა და ის ერთი ნაბიჯიც მალე გადაიდგა. სუფრის წვერებმა ენაპირი მოილალჯირითეს და თავიანთ სატკივარს თუ ხელისუფლების უნიათობას აზრის პატრუქი შეაშუქეს.

მძიმე სურათი დაიხატა. შეჭირვებული ქართველნი ისე გულიანად მსჯელობდნენ, რომ გავიფიქრე, ამ ხენეშაპროტესტს სადინარი რომ მიეცეს, მყინვარს ნალეკავს-მეთქი.

თვალდგამი ეშმაკმა გამინათა და უბის წიგნაკი ამოვიღე:

– ამ ცხოვრებაზე ყველანი ერთი აზრისა რომ ვართ, ნათელია. მეტის მოთმენა მართლაც არ შეიძლება – მოდით, არსებული ხელისუფლების დასამხობად იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ხსნა“ ჩამოვაყალიბოთ-მეთქი.

ოლონდაც! ოლონდაც. ჩინებული აზრია. დღეს ჩვენს ქვეყანას მხოლოდ „ერის ხსნით“ თუ ვუშველითო, სახეანთებულნი დათანხმდნენ ჩემს წინადადებას.

ჩემმა უწყინარმა ხუმრობამ მევე შემაკრთო, მაგრამ ცოტას შევეყვები-მეთქი და უკან არ დავიხიე.

– ვისაც სურვილი გაქვთ, ბატონებო, განვერიანდით „ერის ხსნაში“. ანუ, მოკლედ რომ გითხრათ გვარსახელი და ტელეფონი ჩამანერინეთ.

კეთილშობილ ქალწულთა კოლეჯის მისიონერი ქალები განზე გადგნენ – სროლა არ ვიცითო, ვეტერან მოკრივეთა ნაკრების მწვრთნელმა სოსო ბუხაიძემ თავი შეიკავა, რომ რამე მოხდეს, ადვილად გამომტეხავენ, ვიცი ჩემი თავის ამბავი, უნებისყოფო კაცი ვარ და თქვენთვისვე აჯობებს გარეთ დავრჩეო. ყოფილმა პარლამენტარმა კვესელავამ, მაღლობელი ვარ ნდობისათვის, მაგრამ უკვე ვარ განვერიანებული სამ საიდუმლო პარტიაში და ერთ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაშიო.

სანამ სუფრას მცირე ფოქსტროტშესვენების შემდეგ ხელმეორედ მივუსხდებოდით, ჩემი უბის წიგნაკი ახალი იატაკქვეშა ორგანიზაცია „ერის ხსნის“ ხუთი მოქმედი წევრით გამდიდრდა: მე, ნოტარიუსი ბახვა სულაკაძე, სენაკის ომის ინვალისტი ტოტო მაქაცარია, კომერციულ უნივერსიტეტ „ქვემო ჭაჭაანის“ რექტორი, სატყეო ტექნიკუმის კურსდამთავრებული (დაუსწრებლად) ჯანიკო ნასყიდაშვილი და ფირმა „თურთუოლის“ ნდობით აღჭურვილი პირი, დამწყები მენეჯერი ვიტალი სირბილაძე.

მაგნიტოფონი „ჯივისი“ კვლავ ძველებურად ხრიალებდა გაურკვეველი სქესის რუსი მომღერლის ხმანაზ ულტრაამერიკულ ჰანგზე, თამადაც ძალღონეს არ იშურებდა სუფრის გასამხიარულებლად. დრამწრის ენერგიული (თუმცა საეჭვო ნიჭიერების) წევრი მონდომება-არტისტიზმით პათეტიკურად წარმოსთქვამდა გრძელ და ბუნდოვან სადღეგრძელოებს, მაგრამ ლხინი ჩაკვდა. სუფრას მელანქოლიის ნაცრისფერი ციალი დაადგა.

ვგრძნობდი, ყველაფერი ჩემი ბრალი იყო. შემეძლო ავმდგარიყავ და მეთქვა ვიხუმრე-მეთქი, მაგრამ რალაც უხილავი ძალა მაკავებდა. ესეც არ იყოს, დიდი იმედი მქონდა, რომ

ჩემი განცხადების შემდეგ სუფრა გამხიარულდებოდა. ზაფრა ისე სწრაფად იზრდებოდა, როგორც ალვისხის ჩრდილი მზის ჩასვლისას.

დროდადრო გავხედავდი „ერის ხსნის“ თავდადებულ წევრებს. ჩემს „საიდუმლო თანამებრძოლებს“ დანა პირს არ უხსნიდათ. ისხდნენ სახეზე ურვაშეყინულნი, პირგამეხებულნი, ფერგაცრეცილნი, ლხენასეტყვილნი.

ვერ გავუძელ მათს საცოდაობას. თამადას ბოდიში მოვუხადე და აივანზე გავვედი.

ნოტარიუსი ბახვა სულაკაძე ფეხდაფეხ გამომყვა.

– ბატონო რომან, არ გენყინოთ კია და უარი უნდა გითხრათ.

– რაზე, ბატონო?

– „ერის ხსნის“ წევრობაზე. დავფიქრდი და არ მირჩია გუმანმა. თანაც ჩემთვის არ შეიძლება წევრობა. მოგეხსენებათ ნოტარიუსი ვარ. ცუდად გაიგებენ.

– ნება თქვენია, – მშვიდად მივუგე, – ოღონდ ერთი პირობა უნდა მომცეთ.

– ბრძანეთ.

– ამ ორგანიზაციაზე კრინტი არავისთან დაძრათ.

– შეურაცხყოფას მაყენებთ, ბატონო რომან. შეგეძლოთ არ გაგეფროთხილებინეთ. რას ქვია კრინტი დავძრა. გუშინდელი ლლაპი კი არ ვარ. მშვიდად იყავით, შუაზე რომ გამხერხონ, ჩემგან ვერაფერს გაიგებენ.

– ასეც ვიცოდი, – გავუღიმე, – ჭეშმარიტი პატრიოტი ყოფილხართ.

ხელი ჩამომართვა და ფრთაშესხმული გამშორდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ასე იოლად დააღწია თავი იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრობას.

ხელის გადასაბანად აბაზანაში შესულს კონტუზირებული ტოტო მაქაცარია ფეხდაფეხ შემომყვა:

– ნელან ვერ გითხარი, პატივცემულო. ხალხში ვერ გეტყოდი ყველაფერს. მე ჩემი მჭირს, პატივცემულო, გვარიანად მი-

ბრაგუნეს ფერდებში. ჩატეხილი მაქვს ორი ნეკნი და ჭაჭები ჩამოვარდნაზე მაქვს ნამდვილად. მე არაფერში გამოგადგებით მაინც და ტყვილად რათ გინდა, კაცად გეთვლებოდე სიაში. ნამშალე მაქ და თუ რამე შევძელი, მე თვითონ, ჩემით გავაკეთებ, რაც გასაკეთებელია.

– ნაგშლი, მაგრამ მერე სანანებლად არ დაგრჩეს.

– ნამშალე და თუ ვინანებ ნანანები იქნება და ის იქნება. ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, თვარა ვინ მამაძალდი დაზოგავს თავს. კარგად იყავი. ნამშალე, არ დაგავინწყდეს, არ დამღუპო!

– კარგად, კარგად. ფიქრი ნუ გაქვს, ნაგშლი.

თავი მოიკლა და ჩემზე ადრე არ გავიდა აბაზანიდან.

თავისუფალ უნივერსიტეტ „ქვემო ჭაჭაანის“ რექტორმა ჯანიკო ნასყიდაშვილმა სკამი ჩემს სკამთან მოაჩოჩა.

– მაშ, „ერის ხსნა“ არა?

– დიახ. დიდი საქმეა. მიხარია რომ ერთად ვიბრძოლებთ,

– რამდენადაც შევძელი, დამაჯერებლად შევიდუმალდიმილე.

– გაგიხაროდა ბრძოლა კარგი რამ იყოს, მაგრამა.

– ჰო?

– ყური მოსწიე.

მივწიე. ისეთი რამ მითხრა, რომ „ერის ხსნის“ წევრობა მართლაც გაუჭირდებოდა.

– მართალია?

– მაშ, კაცო. ვიტანჯები პირდაპირ. აი, ახლაც ძლივს ვაზივარ სკამზე.

– გავითვალისწინებთ. ძალიან არ დაგტვირთავთ, ცეცხლის ხაზზე არ გაგიყვანთ, მხოლოდ სანგრის მთხრელად გამოგიყენებთ.

– რა სანგარი, რი სანგარი, სიყრმეს გეფიცები, სანგრი თხრა კი არა, ყურძნი კრეფა ვერ შემოძლიან.

– რა ვქნათ, აბა?

– სიიდან უნდა ამამშალოთ.

– იქნებ გემკურნალათ...

– თუ მოვრჩი, აქ არა ვართ, კაცო. განა გამქცევები ვართ. ერთი სიტყვით ახლა ამომიღეთ და მერმე ვინ იცის მარტო მე კი არა, იქნებ ჩემი ორი ძმაც გვერდით ამაგიყენოთ.

– ნაგშლი, ოლონდ.

– ყველაფერი გასაგებია. აქ არა ვართ. მაღარიჩი ჩემზეა.

დამწყები მენეჯერი ვიტალი სირბილაძე შინ მიმავალს დამეწია. მეო, ბელგიაში გადავდივარ საცხოვრებლად, მადლობელი ვარ ნდობისათვის, მაგრამ უნდა გაგანზილოთ, „ერის ხსნაში“ მონაწილეობას ვერ მივიღებო.

იქნებ, იარაღით დაგვეხმაროთ-მეთქი.

ვერ მოგატყუებთო. მეო, პატიოსანი მენეჯერი ვარო, იარაღთან საქმე არ მქონიაო.

მაშ გვტოვებ-მეთქი?

არა მარტო მე გტოვებთ, არც თქვენ გირჩევთ საიდუმლო ორგანიზაციის წევრობას, არ ღირს დღეს ასეთი რამეებიო. მაინც ვერაფერს მიაღწევთ და ცხოვრებას კი აინუნავთო.

მონყალეო ხელმწიფე, თქვენი საქმეებისა თქვენ იცით, მაგრამ მე ჩემი გზა მაქვს და ფრიად მადლობელი დაგრჩებით, თუ რჩევა-დარიგებისაგან გამათავისუფლებთ-მეთქი.

მნუხრი მშვიდობისა ვუსურვე და ნაბიჯს ავუჩქარე.

... ასეთი საქართველო გვაქვს დღეს, ძვირფასო მკითხველო.

ამ ამბიდან ერთი კვირა გავიდა.

გუშინ დამირეკეს – პარლამენტის საგანგებო კომისიიდან განუხებთ, იქნებ ხვალ ჩვენთან ამობრძანდეთ. ცოტა რამ გასარკვევი გვაქვსო.

როგორ ფიქრობთ, „ერის ხსნის“ ოთხი წევრიდან რომელი დამასმენდა?



## მწვალკელი

შუადღეა. აგვისტოს მომთენთავი, ძილისმომგვრელი, ჭრინობელებით აკლებული შუადღე.

ტაძრის ეზოში სამი მორჩილი ზის. სხედან ღვედექსოვილ, დაბალ სკამებზე ახალგაზრდა მორჩილნი, წვერებიანი ლამაზი ბიჭები და საუბრობენ.

– რასაც შენ ლაპარაკობ, მამაო შანშე, მეტი კი არაფერია მკრეხელობა.

– რატომაა მკრეხელობა, ვერ გევიგე მე და ვკითხულობ, რომ არ მესმის, ესეც უფლის ნება არაა?

– რა ვერ გევიგე?

– დავინწყოთ ახლა თავიდან? ა, ბატონო, ხომ წერია მათეს სახარებაში. ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს ვარგის ნაყოფს მოიჭრება და ცეცხლს მიეცემო. რატომ, შე კაი კაცო. ეგებ მთლად უნაყოფო ხე ვარ, ვერც ვარგისი ნაყოფი გამევიღე და ვერც უვარგისი, ამიტომ უნდა მომჭრა?

– შენ რა იცი, რა არი ვარგისი ნაყოფი.

– უვარგისი ნაყოფი არ არსებობს, – ჩაერია ლაპარაკში მესამე, წვერებიანად ხუჭუჭა მორჩილი.

– კაი ერთი, თუ ძმა ხარ, ლელვის ხეს არაფერი რომ არ ესხა, არ გაახმო?

– რომელი ლელვის ხე?

– რომელი და გაიხსენე, ბეთანიიდან მომავალ ქრისტეს რომ მოშივდა, გზის პირას ლელვის ხე რომ დაინახა, რომელსაც ფოთლების მეტი არაფერი ესხა, „ალარასოდეს გამოგელოს ნაყოფი უკუნისამდეო“ და მაშინვე გახმა ლელვის ხე. ტყუილს ვამბობ?

– მამაო შანშე, რამდენჯერ გითხარით, ეს სიმბოლური ნათქვამია-მეთქი.

– რა არის სიმბოლური, მამაო ნიკო, ხე მართლა გახმა.

– იქვე წერია: არ დოუყარო ღორს მარგალიტით. შენი არ გესმის და ჩვენი არ გინდა გაიგო.

– რატომ ვარ ღორი, მამაო სევარიონ, რომ არ მესმის, იმიტომ? გამაგებინეთ, ამიხსენით, ბატონო. „ვინც ჩემთან არაა, ჩემი წინააღმდეგია“, ბრძანებს მაცხოვარი. ეგება არ ვარ შენთან, მარა წინააღმდეგიც არ ვარ შენი. ხომ შეიძლება, ესეც იყოს?

– სიმბოლურია, ბიჭო, ეგ ყველაფერი, გაიგე სი-მბო-ლუ-რი!

– ყველაფერი სიმბოლური რავაა. პატივი ეცი დედასა და მამას შენსასო, ხომ ქადაგებს.

– კი, მერე რა გინდა?

– ის რავა იყო, მონაფემ რომ უთხრა, უფალო, ნება მიბოძე, ჯერ მივიდე და დავმარხო მამაჩემიო და უფალმა „შენ მე გამომეყვი და მკვდრებს მიანდე თავიანთი მკვდრების დამარხოვაო“. ამიხსენი, ხვარსათ გავრბივარ, მამაჩემი რომ მოკვდეს, არ დავმარხო აპა მეე?

– მოუვლიან უშენოდაც, არ დატოვებენ მინის ზევით, შენ სხვა საქმეზე გიკიდია ხელი.

– ესაა პასუხი?

– სიცხემ დააჭირა ტვინზე, – თქვა მამა სევარიონმა.

– რა შუაშია სიცხე. ბერძენი ქალი რომ მივიდა, ჩემ გოგოს უმკურნალო, რა უპასუხა მაცხოვარმა! არ არის კარგი შვილებს წავართვა პური და ძაღლებს გადავუგდოვო. რაკი ებრაელი არ იყო, ძაღლად ჩათვალა. ეს ეკადრება მაცხოვარს?

– მერე? არ განკურნა მისი ქალიშვილი? კარგად ჩახედე იმ სახარებას.

– განკურნა იმის შემდეგ, მამაო ნიკო, რაც ქალმა ლამის, აღიარა თავისი „ძაღლობა“ და ტაბლიდან გადაცვენილ, ძაღლებისათვის განკუთვნილ ნასუფრალს დასჯერდა.

– შენ, მამაო შანშე, სახარებას კითხულობ, როგორც მწერლის დაწერილს და არა, როგორც უფლის მიერ ჩაგონებულს.

როგორ შეიძლება მასე. მათე და მარკოზი შენ დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე ხვარ გგონია?

– ნურც მაგენს ნამოკრავ ხელს, მამაო სევარიონ, იგენიც ღვთის შვილები იყვნენ.

– კი მარა, არ იცი შენ: არა გამოსცადო უფალი ღმერთი შენიო? რაღა ეჭვის თვალთ უყურებ, შე კაი კაცო, უნდა ირწმუნო უკრიტიკოდ, მორჩა და გათავდა. თუ არ გჯერა, გეიხადე ეს ანაფორა და წადი, დაგპატიჟა ვინმემ აქანა?

– კაი ახლა, გული ნუ მოგივა, მამაო ნიკო, მე რომ ახლა ვლაპარაკობ – სისულელეა თუ სიჭკვიანე. ღმერთისგან არ ვლაპარაკობ, ღმერთი არ მალაპარაკებს? ვთქვათ, ყველაფერი ვირწმუნე და ყველაფერი ისე შევასრულე, რავარც წერია: არ ვიზრუნე ხვალისთვის, საჭმელი სახვალიოდ არ შევინახე (ცოტა წარმოუდგენელი ქეა მარა), არ ვიქონიე ორი პერანგი (ერთი მივეცი სხვას), მარჯვენა ყვრიმალში რომ გამარტყეს, მარცხენა მივუშვირე, ჭამის წინ ხელი არ დავიბანე, რავარც ქრისტეს მონაფეები არ იბანდნენ. მაინც რომ არ გამოდის?

– რა არ გამოდის?

– ბოლომდე მიყოლა. ამ დილას რომ ტაძარში ორი გოგო შემევიდა, ლოტოს კოჭივით კაცი რო ახლდა, ორი მაღალკანჭიანი გოგო. შენ რომ გკითხეს, მამაო ნიკო, სანთელი სად იყიდება აქანაო, ხომ გახსოვს?

– კი. რა გინდა მერე?

– კარგად გააყოლე თვალი, მშვენივრად შეათვალიერე ორივენი უკნიდან?

– მერე რა მოხდა, გავხედე, სხვათაშორის აქაურები არ იყვნენ.

– გახედე ხომ? მშვენიერ გოგოებს, ახლა მოუსმინე მაცხოვარს: „ყველამ, ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში“. რა უნდა გექნა, ხომ იცი, მაგ შეხედვის მერე? „თუ კი გაცთუნებს შენი მარჯვენა თვალი, ამოითხ-

არე და გადააგდე“. ამოითხარე და გადააგდე? საერთოდ თვალის ამომთხრელი, ქალს რომ უკანა ადგილზე შეხედო, ამის გულობიზა ვართ რომელიმე აქანა? ან ჩვენ და ან, თუ გინდა, ეპისკოპოსი მამა იოანე?

– დემაგოგიას ნუ ენევი. ნდომით შეხედვაზეა ლაპარაკი. მე გლახად არ შემიხედავს.

– არა, ნდომით რავა შეხედე. შენ გაინტერესებდა, უბრალოდ კაბა რავა ჰქონდა ტრაკზე მორგებული.

– ფუი ეშმაკს, ფუი ეშმაკს, – პირჯვარი გადაიწერეს მამა ნიკომ და მამა იოანემ.

– ახლაც თქვენს თავზე ფიქრობთ, არც ერთს არ გითქვამთ, შეუნდე უფალო, მამა შანშეს, თვითონაც არ იცის, რას ბჟუტურობსო.

წაბლის ხეზე ეული ყვავი დაფრინდა. მიიხედ-მოიხედა. ტაძრის ჩრდილში მწვანე მინდორი გულდასმით მოათვალიერა და ჩანს მისთვის საგულისხმო ვერაფერი დალანდა, რაკილა „ყვავა! ყვავა!“ დაიჩხავლა და ფრთების ტყლაშუნით გაფრინდა სხვა ხეებისაკენ.

მიფრინავდა ზანტად, უხალისოდ, ალბათ დიდი სახეირო რამ არც სხვა ხეებთან ეგულეობდა.

– მამაო სამშე! – გრძელი სატრაპეზო შენობის აივნიდან საინვალიდო ურიკაზე მჯდომმა, მსუქანმა ბიჭმა დაიძახა.

შანშემ წაუყრუა.

– არ გესმის? გეძახიან – თქვა მამა ნიკომ.

– მამაო სამშე! – უფრო ხმამაღლა დაიძახა ინვალიდმა.

– რამდენჯერ გითხარი შანშე მქვია-თქვა! – გაეპასუხა მორჩილი.

– ჩამომიტანე კალიასკა, მამაო სამშე!

შანშემ განზე გაიხედა.

– მიდი, ჩამოატანინე, – მამა სევარიონის ნათქვამის შორეული ქვეტექსტიდან, ღმერთო შეგცოდე, ირონია გამოსჭვიოდა.

– ხომ გითხარი, ხელი მეტკინა-თქვა! დოუძახე სხვას, ჩემს მეტი არაა აქანა, არავინ?!

– მამაო სამშე!

– რა იყო.

– ჩამომატანიე, გეხვეწები, არ მოდის სხვა არავინ.

– რა ვენა მე, თვარ მოდის. ხვარ გადაგყობიყენ ყველას. დილას რო ჩაი დავლიე, იმის მერე ლუკმა არ ჩამსვლია პირში!

– სამშე! – გაჯიუტდა „ღვთის შვილი“, – მასე ჩვენს შორის, სამშე? არ გეცოდები, ბიჭო?

– მე არ გეცოდებიყენ არც ერთს!

– მიდი, ბიჭო, ჩამოატანიე, – ჩაილაპარაკა მამა ნიკომ.

– შენ ვერ მიხვალ?

– შენ გეძახის და მე მივიდე?

– კაი ჭკუა გაქვთ, თქვენ, ყველას. თქვენთვის მშვენიერი კაი ჭკუა გაქვთ. რავარი ჩამოსათრევია კიბეზე კალიასკა ამ მტკივანი ხელით. მჩატე მაინც იყოს.

– სამშე ! – ურიკაზე მჯდომს ხმაში ტირილი გაერია.

შანშე წამოდგა და წვერის ქექვით, ბუზღუნით წავიდა სატრაპეზოსკენ.

ჭრიჭინოებლები შეუსვენებლად, დაუღალავად, ჯიუტად ჭრიჭინობდნენ და მსმენელს არავითარ იმედს არ უტოვებდნენ იმისას, რომ უახლოეს ხანში შეწყვეტდნენ ჭრიჭინს, რათა აქაურობას სანატრელი, ბიბლიური, ღვთიური სიჩუმე დაუფლებოდა.



## მეორე დღე აღარ ბათინდა

– მაინცდამაინც ეს ჩაიცვი, ამ ყინვაში, კარგად რომ მოიტეხო კისერი ხომ?!

– რა გაყვირებს, დაბლებზე სულ ვერ დავდივარ.

პროფესორმა სულხან კაკაბაძემ მეუღლეს ხელი მოჰკიდა და კიბეზე ისე ფრთხილად ჩაიყვანა, როგორც სამოცსგადაცილებულმა მოყვარულმა ცოლ-ქმარმა იციან ხოლმე ერთმანეთის მიხედვა.

1997 წლის 27 იანვრის სუსხიანი დილა.

ვაკე-საბურთალოს დაღმართს ჩვენი გმირები ფეხით დაუყვნენ.

უძოზე შემომჯდარი მზე მხოლოდ ანათებდა ქვეყანას. გათბობით ვერ ათბობდა და ვერც ვერეს ხევს ამოყოლილ ნამქერიან ქარს უხერხებდა რამეს.

– შენ ეს მითხარი, ასოცდამეექვსე კომაროვის სკოლა არ არის? – ჰკითხა ქმარმა.

ქალბატონმა ნინომ მარჯვენა ხელზე შავი, ნაქსოვი ხელთათმანი წაიძრო, საათს დახედა და ხელთათმანი ისევ გაიკეთა.

– რა უნდა კომაროვთან. ცხრაჯერ გითხარი, ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონის ასახვევს რომ გასცდები, იქვეა, მარცხნივ.

– ჭკუა ვერ ისწავლე. ბავშვივით თავის გამოჩენა გიხარია, თორემ კარგად იცი, რომ ატესტაცია შენ არ გეხება. რა დროს შენი ატესტაციაა, პენსიამდე ერთი წელი დაგრჩა.

– იქ არ იჯექი, ნუხელის რომ დამირეკეს?

– კი ბატონო, მაგრამ ვინ უნდა გამოგცადოს, ორმოცი წელია ბიოლოგიას ასწავლი.

– არ ვიცი, არაფერი.

ნოველისთვის საყურადღებო მეტი არაფერი უთქვამთ ერთ-მანეთისთვის. კაცმა რომ თქვას არც ეს საუბარი იყო მოსატანი. უბრალოდ ასე უნდა დამენყო: „პროფესორ სულხან კაკაბაძეს თავისი მეუღლე ბიოლოგიის მასწავლებელი ქალბატონი ნინო გამოსაცდელად მიჰყავდა“.

იპოდრომს რომ ჩასცდნენ, ჩაივაკეს და სიარული აღარ უჭირდათ.

დელისის მეტროსთან ჩოჩქოლ-გნიასი იდგა.

გრძელშავპალტოიანი, თეთრპერანგ-ჰალსტუხიანი, უკაშნო, მოხდენილი მამაკაცები იაპონურ ამნესთან იდგნენ და მონყენილი სახით შეჰყურებდნენ ჯიხურში მჯდომ თავმალმოხვეულ დედაკაცს, რომელიც მოჩვენებით მზერას არ აცილებდა პროფკავშირის ყოფილ კულტსასახლეს. სინამდვილეში კი ძალიან აინტერესებდა, რას მოიმოქმედებდნენ შავპალტოიანი საქმიანი კაცები.

სეირის მოყვარულნი გამამხნეველები შეძახილებით შეეხმიანებოდნენ ხან ჯიხურ-გალიაში თუთიყუშივით მიმჯდარ ქალბატონს და ხან კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

– უკანასკნელად გეუბნებით, დატოვეთ ჯიხური, ქალბატონო!

„ქალბატონმა“ მოხედვით მოიხედა, მაგრამ ქალაქისთვის ძველებური ლაზათის დამბრუნებელნი პასუხის ღირსად არ ჩათვალა.

– არ გამოდიხარ, აბა, ქალბატონო? არ გვაძლევთ დადგენილების შესრულების საშუალებას? – კატეგორიულად ჰკითხა ჯიხურს მიახლოვებულმა კანცელარიის მოხელემ.

– არა!

ოფიციალურმა პირმა მეამნეს ხელი აუქნია.

– ვირა!

– მაინა!

– ვირა!

– მაინა!

ახმაურდა მიტინგსდაჩვეული ბრბო.

ორი მუშა ჯიხურის თავზე მოექცა. ჯაჭვი ჩააბეს. ჩამოხტნენ და ამნეონკანის უზარმაზარი ბორბლების უკან მიიმალნენ.

ჯიხური ჯერ შეინძრა და მერე ნელ-ნელა, დინჯად მოწყდა მიწას.

მოსეირენი გაჩუმდნენ.

მეჯიხურე კიოდა.

ამნემ ნახევარწრე შემოხაზა და ჯიხური კრაზის ტიპის საბარგო მანქანაზე მძიმედ დაუშვა.

მეჯიხურე ქოქოლას აყრიდა ლტოლვილთა განსახლების კომიტეტს. სეპარატისტული ხელისუფლების თვითმარქვია საგარეო საქმეთა მინისტრს – ოზანს და, თუ ყურმა არ მომატყუა, მგონი, ქალაქის მუნიციპალიტეტსაც, რომელმაც ამ შუა ზამთარში სრულიად მოულოდნელად გადაწყვიტა ჯიხურებისგან ქუჩა-გაზონების გათავისუფლება.

ორმა მარჯვე მუშამ ამნე-ონკანის ჯაჭვი თავის ადგილს დაუბრუნა.

„კრაზი“ ადგილს მოწყდა. წაიღო ჯიხური და მწარე ფიქრებს მიცემული ჯიხურის კანონიერი მფლობელიც თან გაიყოლა.

კანდელაკისკენ ვიწრო ქუჩას დაადგნენ.

ამ ქუჩასაც შეხებოდა სასიკეთო რეკონსტრუქცია. ფულის დამხურდავებელ-გადამცვლელი თერთმეტი ჯიხურიდან მხოლოდ ცხრა დარჩენილიყო.

ლისის ტბის საბაგირო, როგორც ყოველთვის, არც ახლა მუშაობდა. თუმცა საბაგიროს კიდეც რომ ემუშავა, ამ შემთხვევაში ბატონი სულხანისთვის და მისი მეუღლისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ისინი ლისის ტბაზე არა თუ ზამთარში, ზაფხულშიც არ ადიოდნენ.

ასოცდამეექვსე სკოლაში არდადეგული სიჩუმე სუფევდა.

– დღესო ნამდვილად?

– ოცდაშვიდი დღესაა. ათ საათზეო, – ქალბატონმა ნინომ ხელთათმანი წაიძრო და საათზე დაიხედა, – სულ რაღაც ათი

ნუთი დავიგვიანეთ, – ხელთათმანი აღარ გაუკეთებია, მარჯვენაში ეჭირა, როგორც მკვდარი შაშვი.

მესამე სართულზე, ფანჯარასთან, ორი მამაკაცი მიმდგარიყო. „სისულელეა! ეუბნებოდა დაბალი, წითური, ჩოფურა კაცი, გვერდით მდგომ ქალაროსანს, რომელსაც მოსასხამის საყელო და უღვაში ზუსტად ერთი ფერისა ჰქონდა – ჟირაფის კუდისფერი. „სისულელე, თუ სიმართლე გინდა, რასაც შენ ამბობ, სწორედ ის არის“. ხმის აუნეველად, მაგრამ საოცარი დაჯერებით უხსნიდა მეორე.

– ბოდიში, დღეს აქ ატესტაცია უნდა ყოფილიყო, – რატომ-ღაც დაბალს ჰკითხა ბატონმა სულხანმა.

– არის, ბატონო, ჩვენც მაგ საკითხზე ვართ. თქვენ ბატონი სულხანი არ ბრძანდებით?

– მე ვარ, სამწუხაროდ, – პროფესორი მიჩვეული იყო ასეთ დამოკიდებულებას: რაკი იცნობდნენ, მაღლიერი ქართველები მაშინვე მოაყოლებდნენ; თქვენ როგორ შენუხდით ასეთ პატარა საქმეზე. დაგერეკათ, ან ვინმე გამოგეგზავნათ, ნაბრძანდით შინ. ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მსგავსი რამ დამხვედურთაგან არც ერთს არ წამოცდენია.

– ბატონო სულხან, მე თქვენს ოჯახს დიდ პატივს ვცემ, – თქვა მაღალმა.

– გმადლობთ, რას ვაკეთებთ, მაინც არაფერი გამოდის.

– მე, სხვათაშორის, თქვენს ოჯახზე დიდი ამაგი მიმიძღვის. თქვენს ძმას ვასწავლიდი სკოლაში ფიზიკას.

– გმადლობთ, – გულწრფელად გადაუხადა ძმის განმანათლებელს მაღლობა სულხანმა, – მე ჩემი მჭირს, მაგრამ თქვენ რამ შეგანუხათ ამ სიცივეში?

– ჩვენ გამგებლობიდან ვართ მომაგრებული ატესტაციაზე, ბატონო სულხან. თქვენ?

– მეუღლე მოვიყვანე გამოსაცდელად, – ამოიხვნეშა პროფესორმა კაკაბაძემ.

– სპეციალობა? – დაბალმა იკითხა.

– ბიოლოგია.

– ბიოლოგები, მგონი, მეოთხეზე არიან.

ფიზიკის მასწავლებელმა, ჩანს, პროფესორის ძმის მასწავლებლობით, კაკაბაძეთა წინაშე დამსახურების გაზრდა საჭიროდ არ ჩათვალა – აბრძანდით, მიგასწავლიანო.

მეოთხეზე ყველა საკლასო ოთახი დაკეტილი იყო.

მესამე დაკაკუნების მერე დატანჯული სახის ბერეტიანი ქალი აღებდა კარს და ამბობდა, რომ „ბიოლოგები, მგონი სადღაც პირველზე, მეორეზე თუ მესამეზე უნდა ყოფილიყვნენ“. ყველანი ლამის ერთნაირად პასუხობდნენ, მხოლოდ ბერეტის ფერში იყო განსხვავება.

ბოლოს, როცა იმედი გადაენურათ, როგორც იქნა მეორე სართულზე მიაგნეს ბიოლოგიის მასწავლებელთა საატესტაციო ოთახს. ქალბატონმა ნინომ სანყალი თვალებით გამოხედა თანამეცხედრეს და აუდიტორიის მაღალ კარებში გაუჩინარდა.

მტანჯველი ლოდინის სამი საათი.

სულხანმა მე-10 კლასის სულელური კედლის გაზეთი ლამის ზეპირად ისწავლა.

ქალბატონი ნინო პირველი გამოვიდა. თმაგარდატევებული, თვალებადქცეული, შეშლილი სახით ჯერ ქმრისკენ წამოვიდა, უეცრად შეტრიალდა, კარი შეაღო და გამომცდელებს რალაც (არცთუ სასიამოვნო) დაუყვირა, მერე კარი გამოიჯახუნა, ბატონ სულხანს ჩაუარა და მოუხედავად დაუგდო:

– ნაველით!

პროფესორს არაფერი უთქვამს, მიჰყვა.

– მე მაგათ ვუჩვენებ... მე... მე... ხვალიდან სკოლაში დავჯდები და შიმშილობას გამოვაცხადებ, – ქალბატონი ნინო პირგამეხებული, ხმაგამშრალი ამბობდა. ისე იყო გაბრაზებული, რომ გზა აერია და ნუცუბიძის ქუჩას აღმა შეუყვია.

– სად მიდიხარ, ასე უნდა ჩავიდეთ. რატომ მოიკალი თავი. ღირდა ამაღ? ხომ გეუბნებოდი, არ უნდა წამოვსულიყავით. რა მოხდა, გამაგებინე. ადამიანის ფერი აღარ გადევს.

– ა, ნახე, ნახე ერთი, – ქალბატონმა ნინომ ხელთათმან-

ში ჩაკუჭული ქალაღდი დაადრო და გაუხსნელად გაუნოდა – ნაიკითხე, ეს დაციწვა არ არის? ნაიკითხე... ნაიკითხე...

სულხან კაკაბაძე ტელეგრაფის ბოძს მიეყრდნო, სათვალე გაიკეთა, ქალაღდი გაშალა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა. ქალაღდს თავზე ბექღური ასოებით „საატესტაციო ბარათი“ ეწერა.

ტესტი პირველი:

„რობინზონ კრუზომ უკაცრიელ კუნძულზე ბევრი იარა, მაგრამ თავშესაფარს ვერსად წააწყდა. ბოლოს, ხეტიალით დაღლიღმა, ჰორიზონტზე უზარმაზარი ხე შენიშნა და იქით გაეშურა. ქვის ნაჯახით ხის ფულურო გააგანიერა და დაბინავდა. დიღით როცა მოშივდა, გამოვიდა და თავის ხე-სასახლეს ახედა. ხეს გოგრისხელა ყვითელი ნაყოფი ესხა. ქვის ნაჯახი ესროლა და ორი ნაყოფი ჩამოაგდო. ერთი შეჭამა და მეორე ვახშმად შეინახა. ნაყოფს კვახის, ბანანის და ანანასის შერეული გემო ჰქონდა. შუადღისას რობინზონს მოსწყურდა. წყარო ახლომახლო არსად დიოდა. გაბრაზებული დაბრუნდა და ნაჯახი ხის მერქანს დაარჭო (არ დამეკარგოსო). ცოტა ხანში, ხის ქრიღობიდან სქელმა, სიროფისმსგავსმა სითხემ იწყო დენა. რობინზონმა პეშვი შეუშვირა და ხის ნექტარი იგემა. რა ხე იყო რობინზონ კრუზოს სიცივისაგან, შიმშილისაგან და წყურვიღისაგან გადამრჩენელი?“

ტესტი მეორე:

„ბიოღოღიაში დიდ მეცნიერულ აღმოჩენებს ხშირად არასპეციღლისტებიც აკეთებენ. სანამ ბიოღოღია ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბდებოდა, ბუნებრივია, ბიოღოღიური განათღების მიღება შეუძღლებელი იყო და ცხოველ-მცენარეთა სამყაროს შეცნობით ძირითადად ფიღოსოფია იყო დაკავებული. დაასახეღეთ:

ცნობიღ ბერძენ და აღმოსავღეთელ ფიღოსოფოსთაგან ვინ იყო იმავე ეპოქის დიდი ბიოღოღი?

დიდი რუსი ბიოღოღი, ნობელის პრემიის ლაურეატი სკოლა-

ში ბიოღოღიას თურმე ყვეღაზე ცუდად სწავღობდა და ამ საგნისადმი პროტესტის ნიშნად პეტერბურღის უნივერსიტიტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტიტი დაამთავრა. ვინ იყო იგი?

ფრანღული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, ამავე დროს დიდი ბუნებისმეტყველი გახღდათ. რა ერქვა მას?“

ტესტი მესამე:

„ინდოეთში ტაჯმაჰღლის ტაძრის დასავღეთის კედელზე ყურადღებას იპყრობს ერთი უძვეღესი მცენარის ფიღუზის, ლღლის და ზურმუხტის ქვებით გამოყვანიღი მოზაიკა. იმ მცენარის ფოთღები ბღლზამირებული სახით ტუტანხამონის აკღდამაზე ოთხი ათასი წღის წინათ დააწყო მისმა ღრმად დამწუხრებულმა თანამეცხედრემ. ამ უნიკღლური მცენარის ნაყოფი მოიხსენიება აგრეთვე კრეტა-მიკენის კულტურის ფოღიანტებში, ხოლო ნაყოფი გაქვავებული სახით ახღახან იპოვეს ამერიკაში მაიას ტომის არქეოღოღიური ექსპედიციის წევრებმა. რა მცენარეა, სადაა ამჟამად შემორჩენიღი და რა მამაკაცურ ავადმყოფობას ჰკურნავს მისი რძეში დამღალი ჩირი?“

პროფესორმა სულხან კაკაბაძემ მისი ასაკისათვის სრულიად შეუფერებელი სიციღ-ძიღძიღი ასტეხა. საატესტაციო ბიღეთს აფრიღლებდა და ისე გულიანად ხარხარებდა, გეგონებოდათ გვერდით მდგომ მწუხარე სახის ქღლს, რომელიც გამოცდაზე ეს-ესაა ჩაიჭრა, პირვეღად ხედავდა და დამსახურებული მასწავღებღის საქვეყნოდ შერცხვენა მას სრულიად არ ეხებოდა.

– რა გაციწებს. სასაციღოა? მითხარი ერთი...

ქღღბატონმა ნინომ სიციღისგან ამჩატებული ქმრის ყურებას ვერ გაუძღლო და თვითონაც გაიციწა. თუმცა, ვერ დავუკარგავ, მეუღღესთან შედარებით გაციღებით უფრო თავშეკავებულად, სერიოზულად იციწოდა.

„დაზარღლებულებმა“ მხოლოდ მაშინ მოსხიპეს სიციღი, როდესაც „კარგ ხასიათზე მყოფ“ ბეზიასა და ბაბუას მანწანწა-

ლა ბიჭები შემოეხვივნენ და „დამეხმარე დამეხმარეს“ ხვეწნა-მუდარით მკლავებზე ეპოტინებოდნენ.

პროფესორმა ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ მომზადებული ათთეთრიანები ჩამოურიგა ბავშვებს და რაკი ეს უკანასკნელნი „მხიარული მოხუცებისაგან“ ამ მოკრძალებულ მონყალებას არ დასჯერდნენ, „კიდე რა, კიდე რას“ ძახილით ცოტა არ იყოს, „იმ ოთახის გასაღებსაც ითხოვდნენ, სადაც ფული იდო“, ქალბატონმა ნინომ დამწყებ მათხოვრებს რბილად, მაგრამ კატეგორიულად დაუტაცანა.

ბავშვები ისეთი სახეებით გაიქცნენ, რომ აშკარად ეტყობოდათ, მონყალების გამღებთა საქციელით დიდად კმაყოფილნი არ უნდა ყოფილიყვნენ.

დელისის მეტროსთან მიჯრით მიდგმული ჯიხურების ნიშანწყალიც აღარ ჩანდა.

სასურსათო მაღაზიის წინ შაოსანი ქალები ჩამომსხდარიყვნენ არაორაზროვანი ტრანსპარანტებით ხელში. ერთ ტრანსპარანტზე ეწერა: „დაუყოვნებლივ დაგვაბრუნეთ აფხაზეთში“, მეორეზე – „ჩვენ მშვიდობიანი მოლაპარაკების მომხრე ვართ“. ამ ორი ტრანსპარანტის მოთხოვნის შესრულება ხელისუფლებას თუ არ გაუჭირდებოდა, სამაგიეროდ მესამე ტრანსპარანტი შემადრწუნებლად პირდაპირი იყო: „ან დაგვხოცეთ, ან დაგვიბრუნეთ მარჩენალი ჯიხურები“.

ტროტუარის გასწვრივ მწვანეთა პარტიის დიდი ძალისხმევით მასობრივ განადგურებას გადარჩენილი ძალები ცივ ასფალტზე იწვნენ და ტრანსპარანტიან დემონსტრანტებს ისე გაცხოველებული ინტერესით როდი შესცქეროდნენ, როგორც სასურსათო მაღაზიასთან მოფუსფუსე მოქალაქეებს.

მაღაზიის მბრუნავი კარებიდან დროდადრო ნიავს გამოჰქონდა თურქული წითელი ძეხვისა და „ივერია-სოსისის“ დამათრობელი სუნი.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი რუსული ჯარის სარდლობის შენობასთან უგაზობის გამო მუდმივი ცეცხლი აღარ ლუოდა. რკინის ალყაფთან შავი ლიმუზინი იდგა, ლიმუზ-

ინს ორი ავტომატიანი, ფოთლოვანფორმიანი სამხედრო დარაჯობდა.

– მე ამ აბურად აგდებას არავის შევარჩენ... მე მაგათ ვუჩვენებ... რისთვის... რისთვის... ჩემი ორმოცწლიანი კანკალისთვის? არიქა, სკოლაში არ დავიგვიანო-მეთქი? ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე უფასოდ რომ ვიმსახურე, იმის საფასურია? მე მაგათ ვუჩვენებ... მე... მე ხვალიდან შიმშილობას გამოვაცხადებ...

ჩიფჩიფებდა ქალბატონი ნინო და თან ცდილობდა წინ წასულ ქმარს დასწეოდა, რათა როგორც აქ, ქვაცვენია კლდე-თან გავლისას სჩვეოდა, მეათასეჯერ მაინც გაეფრთხილებინა მეუღლე: „ზევით აიხედე, ქვა არ დაგეცესო“.

მეორე დღეს შიმშილობის გამოცხადება არ დასჭირვებია. იმ საღამოსვე დაურეკეს: ოთხ თებერვალს, 183-ე სკოლაში ატესტაციის მეორე ტურია დანიშნული და ვინც პირველში ვერ გავიდა, შეუძლია მეორეჯერ სცადოს ბედო“.

იმსჯელეს და ორივენი შეთანხმდნენ, რომ ამ დამამცირებელ, მგლურ ატესტაციაზე არ გამოცხადდებოდნენ. ერთი დღის შემდეგ უარზე მტკიცედ მხოლოდ ბატონი სულხანი იდგა. „ხალხი რას იტყვის, არ სცოდნია საგანი, შეეშინდაო“, – ეს იყო ქალბატონი ნინოს რკინის არგუმენტი. ბოლოს, ოთხ თებერვლამდე სამიოდე დღე რომ დარჩა, ორივენი ისხდნენ და ბეჯითი აბიტურიენტებივით მეცადინეობდნენ. პროფესორი ენციკლოპედიებს დაარბენინებდა. ფრონტალურ (პედაგოგიური ტერმინია) შეკითხვებს უსვამდა მეუღლეს. სახელდახელო ტესტებს ადენდა და აიძულებდა გონება დაეძაბა. ნინო ნერვიულობდა. წნევის წამალს წამდაუნუმ ყლაპავდა და კატაბალასას ძირებისაგან დამზადებულ ნაყენს „უპრაგონოდ“ სვამდა.

ოთხ თებერვალს 183-ე სკოლის ეზოში (გულშემმატკივრებს შენობაში არ უშვებდნენ) ცოდვის გაკითხვა იყო.

საატესტაციო გოლგოთისთვის განწირულ მასწავლებლებს საშველად ეხმოთ დოცენტი ძმიშვილები, ასპირანტი მეზობლები, მასმედიის წარმომადგენლები, მუზეუმის უმცროსი

და უფროსი მეცნიერ-მუშაკები, ფრიადოსანი მონაფეები და ვისაც ხელი მიუწვდა, იმ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრებიც, ვინც ერთ დროს მასწავლებლის უბადრუკ დიპლომს ხელი მოაწერა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრები საერთო ყაყანში არ მონაწილეობდნენ. მდუმარედ იდგნენ ფიზკულტურის ეზოში ჟანგბადისაგან შეჭმულ ფარებქვეშ და ერთმანეთს უსიტყვოდ შესცქეროდნენ. მათი რეპუტაცია და პროფესიონალიზმიც ეჭვის ქვეშ დამდგარიყო.

მესამე სართულიდან (ამ დღეს მხოლოდ ბიოლოგიის მასწავლებელთა ატესტაცია ტარდებოდა), ისე, როგორც კინოფილმ „აკაკის აკვანშია“ – ფანტელეებივით ცვიოდა შემოფოთებულ მასწავლებელთა ხელით დანერილი სასონარკვეთილი სტრიქონები:

„რა ცხოველია მეზოზოურ ეპოქაში ხის ფესვებით რომ იკვებებოდა. ერთდროულად ძუძუმწოვარიც რომ არის და კვერცხისმდებელიც?“

„რა მცენარის ნაყოფი გასინჯა მიკლუხო-მაკლაიმ ახალ ზელანდიაში პირველად?“

„რომელ ფრინველზე სთქვა ზაქიჭამია მეფემ, – რას უგავს თავ-ნისკარტი, ჩემდა თავად მაგის ხორცის შემჭმელს ექცა შავად და ბნელადო?“

იყო აქედან პასუხების აძახება, კენჭებზე მავთულით მიმაგრებული წერილების სროლა, ასანთის კოლოფზე გამობმული ძაფით სავარაუდო (მთელ სისწორეზე ვერც ეზოში მყოფნი დადებდნენ თავს) პასუხების აგზავნა.

განსაკუთრებით ფრიადოსანი მოსწავლეები აქტიურობდნენ. ისინი კანში ძვრებოდნენ თავიანთი საყვარელი მასწავლებლების გადასარჩენად.

ატესტაცია უმკაცრესი ობიექტურობით, დემოკრატიული დიდებულებით, საბაზრო შეუვალობით ჩატარდა.

ქალბატონი ნინო მეორეჯერაც ჩაიჭრა.

\* \* \*

შეგვეძლო აქ დაგვემთავრებინა ნოველა, მაგრამ სინდისის წინაშე მართალი არ ვიქნებით, რადგანაც არსებობს საშიშროება ქალბატონი ნინოსა და ბატონი სულხანის ცხოვრების უკანასკნელმა წლებმა ისტორიკოსთა ნაშრომებში გაჟონოს.

ისტორიას ხომ მხოლოდ ფაქტი აინტერესებს. ფაქტი კი სავალალო გახლავთ.

გულსუსტ და ნერვებმოშლილ მკითხველს ავტორი დაბეჯითებით თხოვს, ნოველის ის ბოლო ორიოდე სტრიქონი აღარ წაიკითხოს.

საატესტაციო მარათონში მეორეჯერ დამარცხებულმა ქალბატონმა ნინომ გადაწყვიტა მეორე დღეს შიმშილობა გამოეცხადებინა, მაგრამ აღარ დაჭირდა.

მეორე დღე აღარ გათენდა მისთვის.

ქალბატონი ნინოს დაკრძალვის ხარჯები ხელისუფლებას არ გაუღია, იმიტომ, რომ სახელმწიფოს იმ დღეებში ძალიან უჭირდა.

დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მოვიდა.

კუბოსთან მდგარ, ეულად დარჩენილ პროფესორს თანაგრძნობის ნიშნად ისინიც კი ართმევდნენ ხელს, ვინც საატესტაციო ტესტები შეადგინა, მაგრამ თავმდაბლობის გამო თავისი სახელი არ დაუტოვა მადლიერ შთამომავლობას.



## აი, ძვეყანა

გალაკტიონის დაკრძალვის მეორე დღეს მწერალთა კავშირის ბაღში ისეთი შეუმკრთალი სიჩუმე სუფევდა, ისე უმფოთველად დახტოდ-დანისკარტაობდა შაშვი კარგა ხნის გაკიკნილ სუროსთან, თითქოს აქ გუშინ არაფერი მომხდარიყო.

დამშრალ ონკანთან ლურჯ სავარძელში ოთხი ახალგაზრდა მწერალი იჯდა.

გალაკტიონის სიკვდილზე ლაპარაკობდნენ და ზედაც არ უყურებდნენ ძელსკამებს შორის მოფუსფუსე ბებერ შაშვს, რომელიც ხანდახან ფიტულივით გაქვავდებოდა, კარგა ხნის შემდეგ კოპნია თავის აბრუნებით ახედავდა მოსაუბრეთ და დარწმუნებული იმაში, რომ ახალგაზრდა მწერლები არას ერჩოდნენ, საქმეს წინ წაიგდებდა; ქათმისაგან განსხვავებით, ჯერ ნისკარტს ჩაჰკრავდა ხრეშში არეულ კურკანტელის მარცვლებს და მერე ნაზამთრალი, ქერქდამსკდარი ფეხებით გაქექავდა.

დაკვირვებული მკითხველი არ მკითხავს „ქათმისაგან განსხვავებით“ რას ნიშნავსო. ვისაც არ ჰგონია, რომ ქათამი პირდაპირ ფეხებგაჩაჩხული შემწვარ-მოხარშული ჩნდება, უნდა იცოდეს, რომ ქათამი ჯერ ქექავს და მერე ურტყამს ნისკარტს.

ციოდა.

მარტს გაზაფხულის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

ახალგაზრდა მწერლებს ზუსტად ისე ეცვათ, როგორც სოფლიდან ჩამოსულ, სტუდენტალაქსმინდობილ, მეოცნებე ბიჭებს ეცვათ ხოლმე ორმოცდაათიანი წლების მიწურულს. თხელი, ციცრისფერი ფრენჩები, გახუნებული სატინის ხალათები, ფართხუნა „სუკნოს“ შარვლები და კაუჩუკის სქელლანჩიანი ფეხსაცმელები.

სწორედ იმ დღეს მწერალთა კავშირის ბაღში დაიბადა აზრი თბილისში, მარჯანიშვილის ოთხ ნომერში (სადაც პოეტი ცხოვრობდა) გახსნილიყო გალაკტიონის სახლ-მუზეუმი.

შაშვს, რასაკვირველია, არაფერი გაუგია.

მან მხოლოდ დაინახა, ლამის ერთდროულად რომ წამოდგნენ ბიჭები. ფილმ „ჩიკაგოს ხანძრის“ მთავარი გმირებივით მარჯვენა ყურს ზემოთ გაყოფილი თმები ორივე ხელით (უსავარცხლოდ) გაისწორ-დაილაგეს და ერთმანეთის მიყოლებით გაილაღნენ ბალიდან.

\* \* \*

ერთ საათში ისინი უკვე პრემიერ-მინისტრის კაბინეტში ისხდნენ. პრემიერ-მინისტრსაც (ცეკას მდივნის მსგავსად) შეეძლო აეცილებინა ეს ვიზიტი თავიდან. რა დიდი საქმე ეგ იყო, არ სცალია, თანაშემწესთან მიბრძანდითო, ათქმევინებდა მდივანს, მაგრამ პრემიერ-მინისტრს ამჯერად ცნობისმოყვარეობამ სძლია, ვერ გაიხსენა სხვა შემთხვევა მინისტრთა საბჭოში მუშაობის ოცი წლის განმავლობაში, რომ მასთან ახალგაზრდა მწერლები მისულიყვნენ. ესეც არ იყო, აინტერესებდა, როგორები იყვნენ ახლოდან ახალგაზრდა მწერლები და რა სათხოვარზე დადიოდნენ ისინი საერთოდ.

აღმასრულებელი ორგანოს თავკაცმა ოთხი ახალგაზრდა მწერლის სურვილი რომ მოისმინა, აღმფოთება ვერ დამალა. მე მეგონა, თქვენ, სტუდენტი კომკავშირლები, რამე სერიოზულ საქმეზე მოხვიდოდით. რა დროს გალაკტიონის მუზეუმი, ომის ჭრილობების მოშუშების და ყამირი მინების ათვისების ამ ჰეროიკულ ეპოქაშიო.

ეს კატეგორიული უარი, ძვირფასო მკითხველო, იმდენად გალაკტიონის შემოქმედების არცოდნით როდი იყო გამოწვეული. მინისტრთა თავკაცმა არც სხვა პოეტის შემოქმედება იცოდა და, იქნებ, მათი სახელის ხსენებაზე არც გაბრაზებულიყო, მაგრამ იმხანად ხელისუფლება გალაკტიონზე ერთობ ნაწყენი გახლდათ. ჯერ იყო და „ლურჯა ცხენების“ ავტორ-

მა საქმე გაუჭირათ კომუნისტური მორალისთვის სრულიად შეუფერებელი ლოთობით, მერე იყო და სამჯერ (ვაითუ ესეც სმის მიზეზით) დაკარგა ლენინის ორდენი და ბოლოს ესეც არ იკმარა, ადგა და საბჭოეთში ფართოდ გაშლილი სოციალისტურ-ალმშენებლობითი მოძრაობის ჯიბრზე თავი მოიკლა.

ერთი „აბეზარი“ პოეტით მეტი იქნებოდა თუ ნაკლები, ამაზე ხელისუფლება არ დაღონდებოდა, მაგრამ საშიში ის იყო, რომ შეიძლებოდა, პოეტის ამ საქციელს მაგალითის ძალა ჰქონოდა და მიმბაძველები გასჩენოდა.

განბილებული ახალგაზრდა მწერლები პრემიერ-მინისტრის კაბინეტიდან გამოიძურნნენ და მეორე დღიდან თავიანთ, გალაკტიონზე ბევრად ნაკლებ, მაგრამ მაინც საინტერესო შემოქმედების გვირისტს უფრო მონდომებით ჩაუღრმავდნენ.

რასაკვირველია, სახლ-მუზეუმის გახსნის იდეა გულიდან არ ამოუღიათ და გალაკტიონზე ნაწყენ მთავრობის მოხელეზეც დიდხანს გაჰყვათ იმგვარი მწერლური აზრი, რომელიც ხშირად ოფიციალურ, სახელისუფლებო აზრს არ ემთხვევა ხოლმე. გადიოდა წლები.

ჩვენი ნაცნობი ლიტერატურული ოთხეული გაუმხელლად დაპყრობილი თავისი უბედური ქვეყნის ცხოვრებით ცხოვრობდა. ჟანრებთან ერთად იშვიათად შეხედულებებსაც იცვლიდნენ. მაგრამ უცვლელი იყო მათს არსებაში სიყრმისდროიდან ჩაკირული სურვილი – თბილისში გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის გახსნისა.

„მერის“ დამწერს მთანმინდაზე კარგა ხანია აწვიმდა და ათოვდა.

მისი ბინა (ქონება ბევრი არაფერი გააჩნდა) ახლო ნათესავებმა დაინაწილეს. ნათესავთა ერთმა, მარცხენა შტომ იმარჯვა და გალაკტიონის ბინა თბილისელ სომეხს მიჰყიდა.

სომეხმა ერთ მშვენიერ დღეს შეიტყო, რომ საუკუნის უპირველესი პოეტის ბინაში ცხოვრობდა და შეიძლებოდა ოდესმე ეს მამასისხლად ნაყიდი ბინა სამუზეუმოდ წაერთმიათ.

წინდახედულმა სომეხმა მეორე დღესვე გაყიდა გალაკტიონის ბინა და, როგორც შეუმონმებელი წყარო გვიმტკიცებს – რეკორდულად მოკლე დროში გალოთდა კიდეც.

გალაკტიონისგან სრულიად დამოუკიდებლად რუსეთის იმპერიამ რღვევა რომ იწყო, საქართველოში შედარებით რბილი ლიბერალურ-კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა.

ოთხეულმა იფიქრა, ლამის ოცდაათი წელი გავიდა გალაკტიონის გარდაცვალებიდან, იქნებ გაუარა ხელისუფლებას პოეტისაგან რაც რამ სწყენიაო.

უარი. რა დროს გალაკტიონია, მთელი ბოლშევიკური მონაპოვარი წყალში გვეყრებაო.

წავიდა ლიბერალ-კომუნისტური და მოვიდა ეროვნული ხელისუფლება.

ახლა კი დადგა გალაკტიონის დაფასების ჟამიო, სიხარულს ვერ მალავდნენ ყოფილი ახალგაზრდა მწერლები.

ადგნენ და ერთ მშვენიერ დღეს საგარეოდ გამოწყობილნი მიადგნენ „ზამთრის სასახლეს“. მამაც პუტჩისტთა შტურმი ჯერ არ იყო დაწყებული. ხელისუფლება თავის ფემენებულურ კაბინეტში თვლემდა იმ ეროვნული თვლემით, რომელიც ქვეყანას ჭირს ვერ მოაშორებს და ვერც ავად მზირალთაგან იხსნის.

ოთხეული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთაგან იმ კაცს ეახლა, ვინც ეროვნულ მოძრაობაში კომუნისტური წყობის დამხობამდე სამი თვით ადრე იყო ჩაბმული.

რა გვეგალაკტიონისმუზეუმება, კრემლის აგენტები ლამისაა ყელში გვწვდნენ. დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და ერთი ტანკიც არ გვიცავს. ორი კაპიკი რომ გვექონდეს, აქაურობას მოვახმარდით, ხომ ხედავთ, რა დღეში გვაქვს ბუნკერიო, ცრემლნარევი ხმით თქვა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელმა.

გაიქცა კანონიერი ხელისუფლება და მოირბინა უკანონო ხელისუფლებამ. განამებულმა ხალხმა ეს უკანასკნელიც დააკანონა, იქნებ ახლა მაინც გვეშველოსო.

გაირკვა, რომ გალაკტიონის დრო არც ახლა, პოსტკომუნისტურ ეპოქაში დამდგარა. რა დროს გალაკტიონის მუზეუმი, ბიუჯეტს უჭირს, წართმეული აფხაზეთი და სამაჩაბლო დასაბრუნებელია. მადლობა ღმერთს, ამ ბოლო დროს ჯერგენიასთან მოლაპარაკებას კარგი პირი უჩანსო.

... 1998 წლის 2 აპრილს მწერალთა კავშირის ბაღში ცხოვრებისაგან ნაჯანჯლარევი სამი მწერალი იჯდა.

ოთხიდან ერთი უკვე გასცლოდა წუთისოფელს და თან წაელო ოცნება გალაკტიონის მუზეუმზე.

შაშვი აღარსად ჩანდა. ქალაქის შაშვეები ცოტა ხანს ცოცხლობენ.

მეგალაკტიონე სამი მწერალი ძმებივით ჰგავდა ერთმანეთს. ხმა ერთნაირად გაბზარვოდათ, თვალეებში სამივეს სევდა ჩადგომოდა და, რაც უფრო საოცარი იყო, გაძარცვულ-შეთხელებული თმა სამივეს ერთნაირად ფთილა-ბლუჯად შერჩენოდა თავზე.

წუთისოფლის ბრუნვა-დგანდგარში, სიყმანვილის ქოჩრის ხსოვნასავით უჩანდათ თმები, თუმცა მათთვის აუხსნელი მიზეზის გამო სურათებში პირნმინდად მელოტები გამოდიოდნენ. შეთხელეებულ, გამჭვირვალე თმას იაპონური ფოტოაპარატიც ვერ აღბეჭდავდა გამოცდილი ოსტატ-პორტრეტისტის ხელში.

– წავიდა ვახტანგი. არც ჩვენ დაგვტოვებს დიდხანს არსთაგამრიგე, თუ გალაკტიონის საქმეს არ დავაყენეთ საშველი, პოეტის საფლავთან დადებული პირობა შეუსრულებელი დაგვრჩება. – თქვა ერთმა მწერალმა.

– მაინც ვერაფერი გამიგია. ოთხი მთავრობა გამოვიცვალეთ და ვერც ერთმა ვერ მოაბა თავი გალაკტიონის სამოთახიანი ბინის გამოსყიდვას. მეტ სხვა არაფერს ვთხოვთ, – ჩაილაპარაკა მეორემ.

– შენ მართლა გჯერა, რომ რა გალღეტილი ხელისუფლებაც უნდა იყოს, სამოთახიანი ბინის ფულს ვერ გამოძებნიდა?

რალაცაშია საქმე. რალა გალაკტიონისადმი გულგრილობაში დაემსგავსა ოთხივე მთავრობა ერთმანეთს, – თქვა მესამემ.

– იმნაირი ულექსო ბავშვები იზრდებიან, ხვალ უარესი იქნება. სასაცილოდ არ ეყოფათ რომ ნახავენ, რა რუდუნებით, კარიდან კარად გვიგროვებია გალაკტიონის ავტოგრაფიანი ასანთის კოლოფი, ჭილოფის ქუდი, ძველი ჩანთა და რესტორანში, ფარდაგზე დანერილი სტრიქონები, – თქვა პირველმა.

გადაწყვიტეს, გაეხსნათ ბანკში ანგარიში გალაკტიონის სახლის შესაძენად და წერილები დაეგზავნათ გამგებელ-გუბერნატორებისთვის თხოვნით, გადმოერიცხათ შესაძლებლობისამებრ მცირეოდენი თანხა გალაკტიონის ბინის გამოსასყიდად.

სამი თვის შემდეგ გალაკტიონის ფონდში ზუსტად ის სამასიოდე ლარი იდო, ფონდის დამფუძნებლებმა სამმა მწერალმა რომ დადო ანგარიშის გასახსნელად.

რაკი „წერილობითმა მიმართვამ“ საქართველოში გული ვერავის აუჩუყა, 1998 წლის 2 თიბათვეს მწერალთა კავშირის ბაღში შეკრებილმა სამმა ჯანმრთელობაშერყეულმა მწერალმა გადაწყვიტა ჩამოეველოთ შეძლებული ფირმები, ბანკები, ძალოვანი და შედარებით უძალო სამინისტროები, დეპარტამენტები და ასოციაციები (გარდა პოლიტიკური პარტიებისა, რადგანაც, მიუხედავად თავიანთი უპარტიობისა, სამივემ კარგად იცოდა, რომ პოლიტიკურ პარტიებს და მათგან განსაკუთრებით ოპოზიციურ პარტიებს ფინანსურად ძალიან უჭირთ), რათა გალაკტიონის ბინის გამოსასყიდი ორიოდე გროში შეეჭურებინათ.

ძველთაძველი (პირველი გამოშვება), მეორე წრეზე გასული, პარპრიზებდაბზარული „ჟიგული“, როგორც იქნა, დაქოქეს და მზეს შუბის ტარამდე ერთი მტკაველი აკლდა ჩამოვლას რომ შეუდგნენ.

წერილები ბანკის ანგარიშის ხაზგასმით გამზადებულ-ხელმოწერილი ჰქონდათ. „პატივცემულოს“ გაყოლებაზე მრავალ-

წერტილის ადგილას ოდენ ადრესატის სახელი და გვარი იყო ჩასაწერი.

„უიგული“, თუ ალაგ-ალაგ ხრინწვა-ყეფას მხედველობაში არ მივიღებთ, ურიგოდ არ დადიოდა. ეგ იყო, ქუჩაში ცისფერ, გაუმჭვირვალე ბოლს ტოვებდა და გახვრეტილი ხმამხმოიდან ახალგარემონტებული ტანკის ხმას გამოსცემდა.

გაუგონარი ამბავი მოხდა.

სამივე მწერალი ერთად და ცალ-ცალკე ვერ წარმოიდგენდა, თუ შეძლებული ფირმების, კომერციული და სახელმწიფო ბანკების, უცხოურმენეჯერებთან დაკავშირებული დეპარტამენტების და შინაურ მენეჯმენტთა ასოციაციების პრეზიდენტებს გალაკტიონი ასე უყვარდათ.

ფირმა „ოქროს ვერძის“ პრეზიდენტმა წანალაძემ სამეულის მოსვლის მიზანი რომ შეიტყო, ჯერ შეიცხადა, როგორ, აქამდე არ გვექონდა გალაკტიონის მუზეუმი თბილისში? მოგვეჭრა თავი და ეგ არისო. თუ შეიძლება, ორი წერილი დამიტოვეთ. მე ხომ გადმოვრიცხავ და გადმოვრიცხავ, ჩემი უმცროსი ძმა ფირმა „კვირიონის“ პრეზიდენტია და იმასაც გადმოვარიცხვინებ, თუ შეიძლებაო.

ფირმა „ლალის“ პრეზიდენტმა ლომიძემ, სამუდამოდ დაგკარგავდით, ჩემთან რომ არ მოსულიყავით და ამ საქვეყნო საქმისთვის ფულის დადების სიხარული აგეცილებინათ ჩემთვისო. სხვა ფირმა რასაც გაიღებს, ორ იმდენს დავდებ. მეკუთვნის და იმიტომ, მე ბებია ვანელი მყავდაო.

ასოციაცია „ნატურის ხის“ პრეზიდენტმა კალაძემ, რას ჰქვია გადმოვრიცხავ, ასეთ კეთილშობილურ საქმეს თუ არ მოვახმარე, აბა, რისთვის მინდა ეს ფულიო. სხვა დროსაც დაგჭირდებათ თქვენ ფული, ათასი საქმე აქვს მწერალთა კავშირს, არ მომერიდოთ და გვერდი არ ამიაროთ, ცოლ-შვილს გაფიცებთო. ვიზიტის დასასრულს ფოტოგრაფს უხმო, მინდა, ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად, თქვენთან სურათი გადავიღო და უარს ნუ მეტყვითო.

დეპარტამენტ „ტარტარას“ პრეზიდენტი ხრიკაძე თავისი თანამშრომლებიანად საზეიმოდ მორთულ ეზოში შეეგება ძვირფას სტუმრებს. ტრანსპარანტებს გალაკტიონის სტრიქონები და სეპარატისტ არძინბას განმაქიქებელი ლოზუნგები ამშვენებდა. ხრიკაძემ გრძელი, ანდაზებით და აფორიზმებით დამშვენებული სიტყვა ბრძანა და სიხარულისაგან კინალამ ატირდა, როცა შეიტყო, რომ სამი თავგანწირული მწერალი გალაკტიონის სახლ-მუზეუმისთვის ფულს აგროვებდა. ბულალტერს ელვადავალება მისცა, როგორც კი ბიუჯეტიდან ფულს ჩაგვირიცხავენ, ფონდს ჩაურიცხეო. „ბიუჯეტის ფული“ ცუდად ენიშნათ მწერლებს, მაგრამ არ შეიმჩნიეს.

ბანკ „მოუშოუს“ მმართველ ჯიჯივაძეს ცრემლი მოადგა, თავისი უზარმაზარი კაბინეტის პარმაღზე სამი სახელოვანი მწერალი რომ დაინახა. ანი თუ მოვეკვდები, აღარ ვინაღვლებ. ამას რას მოვესწარი, მთელი სიცოცხლე თქვენი გაცნობის ლოდინში გავატარეო. წერილი რომ გადაიკითხა, ხმის ათრთოლებით განაცხადა – აღფრთოვანებული ვარ, ბატონებო, თქვენი საზრიანობით და გონებამახვილობითო. რა წერილი არ მოაქვთ ჩემთან გამოგონილი თხოვნა-ტყუილებით სავსე – ვითომ ლტოლვილებისათვის ქამრების შესაძენად, ან ხეიბრებისათვის საინვალიდო ეტლების ჩამოსატანად უნდათ, მაგრამ გალაკტიონის მუზეუმისთვის ფული ჯერ არავის მოუთხოვიაო. არადა, ფული თუ რამეში უნდა დააბანდოს დღეს ჭკვიანმა კაცმა, ეგ არის გალაკტიონის მუზეუმი. როცა მუზეუმი გაიხსნება, სამ თვეში ამოიღებ შენს კაპიტალს და მერე მოგებაზე იმუშავებო. გაცილების დროს უბის წიგნაკი დააძრო და სამივე მწერალს ავტოგრაფი გამოართვა. როდის მოვესწრები ანი ასე ერთად თქვენს ნახვასო.

... ერთი კვირის თავზე მწერლებმა ჩამოვლა შეწყვიტეს. მათი ვარაუდით მარტო გალაკტიონის ბინის გამოსასყიდი კი არა, ბინის რემონტის, ექსპოზიციის ხარჯების და მუზეუმის მომსახურე პერსონალის სამი წლის ხელფასის ფულიც შეგროვილი ჰქონდათ.

\* \* \*

ხვალ შესრულდება სამი თვე, ძვირფასო მკითხველებო რაც სამმა მწერალმა ფირმა „ოქროს ვერძის“ პრეზიდენტის კარზე დააკაკუნა და ნანალაძის გაბადრულ სახეს შეავლო თვალი.

არ დაიჯერებთ, გალაკტიონის ფონდის ანგარიშზე „მთან-მინდის მთვარის“ ავტორის ბინის შესაძენად დღემდე არც ერთი ლარი არ ჩარიცხულა.

ეს ცნობა გუშინ სამეულის ერთმა წევრმა მოგვანოდა.

რაც შეეხება თვით მწერლების ჯანმრთელობის მდგომარეობას, ერთ მათგანს წნევამ დაარტყა და მარცხენა მხარე წართმეული აქვს, მეორე მძაფრი ნევროზის დიაგნოზით ამბულატორიულ მკურნალობაზეა გადაყვანილი.

მესამე მწერალიც ვერ არის მთლად კარგად. ტუჩს ზემოთ, ლოყის გამყოფ ნაოჭთან ნერვი უთიმთიმებს



## ნაძვის ათი ბირჩა

ერთმა უმნიშვნელო შემთხვევამ შეიძლება ადამიანის ცხოვრება მთლიანად შეცვალოს და არა მარტო იმ ერთი კაცის, მისი შთამომავლობის ცხოვრებაც.

თვითნასწავლი ხეზემჭრელი ვალიკო სალდაძე მონღოლეთში ხის მხატვრული დამუშავების ოსტატთა ფორუმზე მიიწვიეს.

ხის ცივად დამუშავება ვალიკოს დიდი ხნის დაწყებული როდი ჰქონდა, როცა ეს ამბავი მოხდა. აქვე საიდუმლოდ გაგიმხელთ, რომ ხეზე ჭრა მისი მოწოდება სრულიადაც არ იყო და არც უყვარდა ეს საქმე მაინცდამაინც.

სამსახური (პროფესიით გვირაბგამყვანი ინჟინერი გახლდათ) რაკი ვერ იშოვა (ვის უნდა ახლა გვირაბი, რაც გაყვანილია, ნეტა ისიც არ გაეყვანათ, წვლების მეტი რა მოუტანა მშრომელ მოსახლეობას) ვილაცამ ურჩია, ხეზე ჭრას მოკიდე ხელი, უსაქმობას მაინც სჯობია და ერთ-ორ კაპიკსაც იშოვიო.

ხეზე ცოტნე დადიანის ბარელიეფურ გამოსახულებებს ჭრიდა და ჰყიდიდა. ვალიკოს მიერ ხეზე ამოგვირისტებული ცოტნე წელსზემთ შიშველი იყო, თორემ სხვაფრივ ძალიან ჰგავდა დავით აღმაშენებელს. პროფილით მჯდარ ცოტნეს უზარმაზარი დაკუნთული ზურგი მოუჩანდა და ზურგზე დაკვირვებული თვალი შავ ნერტილებად ბუზებსაც შეამჩნევდა. მყიდველთაგან ვინც ცოტნეს გმირობის ამბავი იცოდა, სწორედ ის ეძებდა ბუზებს ეროვნული გმირის ზურგზე და როცა ვალიკო თითით უჩვენებდა, „ბუზია, აბა, რა არის ესო“, დარცხვენილი მომხმარებელი თავის მაღალ პენსიაზე მორჩენილ ლარნახევარს არ ზოგავდა უკვდავი ცოტნეს ხეპორტრეტის შესაძენად. ისე, თავის ნაჭრელ-ნამუშევრების შორიანლო მდგარი ხეოსტატი, თუ ინიციატივა მყიდველიდან არ მოდიოდა, ბუზებზე ყურადღებას საერთოდ არ ამახვილებდა.

ეპოქა იყო ისეთი, რომ ადამიანები თავიანთი ჰეროიკუ-

ლი წარსულის ეროვნულ ორიენტირებს ებღაუჭებოდნენ და სწორედ ამიტომ ვალიკო სალდაძის ნამუშევარს შედარებით უკეთესი მაზანდა ჰქონდა, ვიდრე სხვა ხეზემჭრელების ძნელად აღსაქმელ, ნახევრადსეკულარულ ხესიუფეტიებს.

ჩანს, ჩუქურთმის რომელიღაც უცხოელმა სპეციალისტმა შეიძინა ვალიკოს ნახელავი. ხეხელოვნების საზღვარგაღმედი მცოდნე დაინტერესდა ცოტნე დადიანის იერსახის სალდაძისეული ინტერპრეტაციით („ინტერპრეტაცია“ მე არ დამაბრალოთ, ხელოვნებთმცოდნეთა ტერმინი გახლავთ, ავტ.) და აი, შედეგიც, ხის ცივად დამუშავების თვითნასწავლ ოსტატთა ფორუმზე მონღოლეთში მიემგზავრება ხეოსტატი ვალიკო სალდაძე.

ცალკე ნოველის თემაა, როგორ ჩამოისპონსორა მთელი ქალაქი და რა სიმწრით (დამცირებითაც) შეაქურა ვალიკომ ფორუმზე წასასვლელი ფული. ამიტომ ამ საკითხს სხვა, ცალკე ნოველაში შევხები და აქ მკითხველს არ გადავდლი.

გამგზავრების წინა დღეს ვალიკოს ვილაცამ დაურეკა: მეო, არასამეურნეო ანგარიშზე მოქმედი, გიტარაზე დაკვრის მოყვარულთა წრის მასწავლებელი საბანაძე ვარო. მე თქვენ არ მიცნობთ და, გულახდილად რომ გითხრათ, არც მე გიცნობთ თქვენ, მიუხედავად იმისა, რომ ხეზე ნაჭრელობა ძალიან მიყვარს და იმ საქმის ოსტატებს უდიდეს პატივს ვცემო. თქვენი გვარი, აგერ გაზეთში ამოვიკითხე, თუ ძმა ხარ, არ გაგიკვირდეს ჩემი თხოვნა, მონღოლეთი ძველი ქვეყანაა, თუ ჩაგივარდეს მომენტი, გაიკითხე, ეგება იციან რამე ხალხური წამალი პროსტატის სამკურნალოდ. შარდის შეკავებას რომ ეძახიან, ის მკლავს, აღარა ვარ კაცი პირდაპირ. თუ მოჰყვეს სადმე ლაპარაკს, იკითხე, თუ არა და, შენ კარგად იყავი. მიინერე სადმე წვრილად ჩემი ტელეფონი – 37-70-70. აგრემც ღმერთი გიშველის. გვარი, ქე გითხარი, საბანაძე ვარო.

კი, ბატონო, სპეციალურად ვიკითხავ და, თუ რამე იციან, ჩამოსვლისთანავე დაგირეკავთო; აბა რას ეტყოდა შარდის შე-

კავებით შენუხებულ ადამიანს ზრდილობიანი იმერელი, ხის მხატვრული დამუშავების თვითნასწავლ ხელოვანთა მსოფლიო ფორუმის მონაწილე – ვალიკო სალდაძე.

სამ დღეს გაგრძელდა ულან-ბატორში ფორუმი.

მესამე დღეს ფორუმის ასივე მონაწილე ხის დამუშავების კონკურსის ლაურეატებად გამოაცხადეს. ყველას მონღოლურ და ჩინურ (?) ენებზე შევსებული დიპლომები გადასცეს, ბოლოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრის დონეზე მიღება-ბანკეტი გაუმართეს, თითო მონღოლური ხალათი ჩამოურიგეს და თავაზიანმა მასპინძლებმა, როგორც ეს ყველა მსოფლიო ფორუმზე ხდება, აეროპორტშიც გამოაცილეს.

თვითმფრინავი თბილისის თავზე რომ დაეშვა, შუალამეგადასული იყო.

რუსთვე (თებერვალი) ინურებოდა.

საქართველოს დედაქალაქი სრულიად არაკონსპირაციული მოსაზრებით ჩამუქებულ-ჩაბნელებული გახლდათ.

ვალიკო ილუმინატორის შუქზე უბის წიგნაკს ათვალეიერებდა და საბანაძის გვარს რომ ნაანყდა, ელდა ეცა.

დავინყნოდა გიტარის მოყვარულთა წრის დამსახურებული მასწავლებლის თხოვნა.

ანი რალა ეშველება ამ საქმეს, რას იტყვის შარდშეკავებული კაცი, რა წარმოდგენა ექნება მას ჩემზე კერძოდ და ხის ცივად დამუშავების თვითნასწავლ ოსტატებზე საერთოდ.

და ვალიკო საბანაძემ ხეხელოვანთა პრესტიჟის გადასარჩენად სიცრუეს მიმართა:

შველით ხომ ხალხური მედიცინის საშუალებათა დაახლოებით ნახევარი არ შველის ავადმყოფს. მოდი, რამე იოლადგასაკეთებელ და უვნებელ წამალს მოვიფიქრებ, ვითომ მონღოლეთში მასწავლესო.

მეორე დღეს ტელეფონით მსოფლიო ფორუმის ლაურეატმა სიხარულისაგან აცახცახებულ საბანაძეს შარდის შეკავებისა-

გან ადამიანის განმკურნავი, უძველესი და უებრო „მონლოლური“ წამალი უკარნახა:

– ათი ცალი ნაძვის გირჩა, ნახევარი კილო გათლილი კარტოფილი, ერთი ჩაის ჭიქა გამხმარი ასკილი სამ ლიტრ წყალზე უნდა ადულოთ ერთი საათის განმავლობაში. რომ გაცივდება, ღვინის ჭიქით უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ დღეში სამჯერ.

– გაუნურავად? – ბოდიშ-ბოდიშ ჰკითხა მეგიტარემ.

– განურვაზე ვთქვი მე რამე? განურვა რომ საჭირო ყოფილიყო, არ მეტყოდნენ, მე, იქ, მონლოლეთის სახალხო მედიცინის ცენტრის შარდგამგებების განყოფილებაში?

– რამდენ ხანს უნდა ვსვა ეს ნაყენი, პატივცემულო? – რცხვენოდა შეკითხვის, მაგრამ ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა საბანაძეს.

– ორ თვეს. ოღონდ ამ ორ თვეს ღვინო არ უნდა დალიო, ფეხით უნდა იარო, გრძელი ნიფხავი უნდა ჩაიცვა და ქონიანი არ უნდა ჭამო, – რა ადვილი ყოფილა ხალხური მედიცინის ქურუმობაო, გაიფიქრა თავისივე ტყუილით კმაყოფილმა ხეზემჭრელმა და, როგორც ვატყობ, პირველად მაშინ გაკრთა მის მაძიებელ გონებაში ცუდლუტური ფიქრი; ხეზე ჭრა-კანვრის უძნელესი საქმისთვის თავი გაენებებინა და დარჩენილი სიცოცხლე სახალხო ექიმის კეთილშობილური მოღვაწეობისთვის შეენირა.

მერე, დამწყები ისტორიკოსის საყვარელი ფრაზით რომ ვთქვა, მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

ერთ უქარო საღამოს ვალიკოს გიტარის კვრის მასწავლებელი საბანაძე ესტუმრა და აუწყა:

მეო, სასიკვდილოდ მქონდა თავი გადადებულო. გითხრა სიმართლე, ისე, სხვათა შორის დაგაბარე, თორემ იმედი უკვე გადანურული მქონდა, გულში ვამბობდი, ეგებ არც არსებობს მონლოლეთში საერთოდ შარდის შეკავება-მეთქი. შემოვლილი მქონდა მანამდე მთელი საქართველო. არ დამიტოვებია, თუ სადმე იყო ექიმი და ექიმბაში. ვერავინ მიშველა. არ დავმა-

ლავ, შენ რომ რეცეპტი მიკარნახე, თავიდან ტყუილი მეგონა. ალბათ, დაავიწყდა მონლოლეთში ეკითხა ვინმესთვის ან ეუხერხულა, რა ვიცი, კაცნი ვართ, და თვითმფრინავში თუ მოიფიქრა ეს უბრალო რეცეპტი-მეთქი. ერთი თვის მერე ჩემს თავს გავუწყერი, იმხელა კაცი ტყუილს როგორ იკადრებს-მეთქი. ერთი სიტყვით დავიწყე სმა, როგორც დამარიგე.

ორი თვე ვსვი და სასნაული მოხდა, ასე მგონია, ახლად დავიბადე. თექვსმეტი წლის ბიჭვით ვფსამ, ბოდიში თქვენთან მომითხოვია, ჩემი გადამრჩენელი თქვენ ხართ. თქვენს პატივისცემას ვერ გადავიხდი. ერთი შეკითხვა მაქვს; ბევრია ასე ჩემსავით გაჭირვებული და გამოვუშვა თქვენთან? კაი ხალხია, უპატივცემულოდ არ დაგტოვებენ.

ბოლო წინადადებას გაჭრა. ცდუნება დიდი იყო, მაგრამ საუბედუროდ ხეზემჭრელს მონლოლური რეცეპტი უკვე აღარ ახსოვდა. გამოსავალი მაინც იპოვა, საწერ-კალამი მოიმარჯვა და ყოფილ პაციენტს ჰკითხა:

– რამდენიმე რეცეპტი ჩამანერინეს მონლოლეთში, თქვენ რომელი გითხარით?

– ათი ცალი ნაძვის გირჩა, ნახევარი კილო გათლილი კარტოფილი და ერთი ჩაის ჭიქა გამხმარი ასკილი უნდა ადულო ერთი საათიო.

– რამდენ წყალზე?

– სამ ლიტრზე.

– კარტოფილი ძველი თუ ახალი?

– ეგ არ გითქვამთ. ისე მე ძველს ვხმარობდი.

– რამდენი უნდა დალიოთ-მეთქი?

– ღვთინის ჭიქით, დღეში სამჯერ.

აქ საბანაძემ მონლოლური წამლის ოსტატს, ცოტა არ იყოს საეჭვოდ გახედა.

ვალიკომ ყველაფერი დაწვრილებით ჩაიწერა და გამომშვიდობებისას გიტარის სპეციალისტს წყნარად, შეთქმულივით უთხრა.

– ვინც ძალიან გთხოვს, გამოუშვი, ისე, ბევრი მანუხებს, უკვე და ჩემს მთავარ საქმეს (ხეზე ჭრას გულისხმობდა) ვცდები.

რაკი ფინალის ბილიკზე გავიყვანე, აწი თავადაც მიხვდება პატივცემული მკითხველი, რომ შარდის შეკავების წინააღმდეგ ბრძოლის „მონღოლური“ მეთოდი თბილისში უაღრესად პოპულარული გახდა. ვალიკო სალდაძის სახლთან რიგი არ წყდებოდა. გაზეთებში ცნობა-ცნობაზე იბეჭდებოდა იმის შესახებ, რომ ქართველმა თვითნასწავლმა ექიმმა სტაჟირება მონღოლეთის სახალხო მედიცინის ცენტრში გაიარა და ქართულ-მონღოლური მკურნალობის მეთოდთა შერწყმით შექმნა მსოფლიოში უნიკალური სისტემა შარდსაქესო გზების და წინამდებარე ჯირკვლის ანთების მკურნალობისა. სალდაძემ მიღების საათები დაანესა, ხოლო გასამრჯელოს, ტყუილს ვერ ვიტყვი, თვითონ არ ეუბნებოდა პაციენტს, რამდენიც გიღირთ და რა საშუალებაც გაქვთ, იმდენი დატოვეთო. საერთოდ ნუ ჩქარობთ გადახდას, ნაბრძანდით, იმკურნალეთ, თუ გიშველათ ჩემმა წამალმა და მერე თუ გაგახსენდით, მინახულეთ. თუ არ მინახულეთ, შედეგი ტელეფონით მაინც შემატყობინეთო.

ეს უკანასკნელი ფრაზა-დანამუსება უფრო ჭრიდა. დიეტას და ფეხით სიარულს (ვერც გრძელ ნიფხავს გამოვრიცხავთ) თავისი გაჰქონდა. ორ თვეში ყველაზე მომჭირნე მფსმელიც კი ცოტაოდენ შევებას მაინც გრძნობდა. ვინ იცის, იქნებ გირჩ-კარტოფილ-ასკილის ნახარშიც რალაცაში ეხმარებოდა. მერე რა, რომ ეს „უებარი რეცეპტი“ ხეოსტატმა თვითმფრინავში სახელდახელოდ მოიფიქრა. განა გენიალური აღმოჩენებიც ზოგჯერ ასე ნაუცბათევადა, შემთხვევით არ კეთდება და ზოგჯერ ვალიკო სალდაძეზე უფრო უბრალო ადამიანების მიერ?

გავიდა სამი შინაარსიანი წელი. ვალიკოს სახელი და დიდება თვიდან თვემდე იზრდებოდა. პროკურატურის, რადიოტელევიზიის და არასექსუალური გაზეთების მუშაკებს თვით-

ნასწავლი ექიმი უფასოდ მკურნალობდა. სამაგიეროდ ჟურნალისტიები თვითონვე სცემდნენ გამანადგურებელ პასუხს მოშურნე მეცნიერ-სპეციალისტის, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის (დოქტორები არაპროფესიონალურ კამათში არ ებმებიან, სახალხო მედიცინის წარმომადგენელთა მიღწევებზე ისინი დიდსულოვნად, მაგრამ ცოტა არ იყო, ირონიულად იღიმიებიან) გამოხდომებს სათაურით „ეჭვს იწვევს“. ვალიკოს დამცველ ჟურნალისტებს წერა დოცენტებზე უკეთესად ეხერხებოდათ, ხოლო მონინააღმდეგის გასაბიჯრუებლად რკინის არგუმენტები ჰქონდათ: ალაპარაკებდნენ ორ-სამ განკურნებულს. მე შენ გეტყვი და გულისამაჩუყებელი ლაპარაკი არ იციან მორჩენილებმა. კაცი ვკვდებოდიო. შარდი კატეტერით გამომქონდაო. არ დამიტოვებია, თუ სადმე იყო გამოჩენილი უროლოგ-პროფესორიო, ორჯერ საქველმოქმედო საზოგადოება „პედაგოგის“ დასპონსორებით საზღვარგარეთის კლინიკებშიც ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. რაც სალდაძის წამლის სმა დავინწყე, თითქოსდა, ახლად დავიბადეო. გირჩევთ ყველას, ახალბედა ავადმყოფებსაც და იმასაც, ვისაც ასე ჩემსავით თქვენი წონა ფული გაქვთ გადაყრილი წამლებშიო, მიაკითხეთ ბატონ ვალიკოს, არ გადადოთ ეს საქმეო.

ზემოთ, დაახლოებით ოცდასამი სტრიქონის წინ, ნოველის ავტორს უნდა ეთქვა, რომ ვალიკომ ქურთის ქალი („ლაბორანტს“ ეძახდა) დაიქორავა და წამალს ამზადებინებდა. მზა წამალი ფსიქოლოგიურად მომზადებულ ავადმყოფზე მაგიურად მოქმედებდა. რაც შეეხება ქურთის ქალს, პატრიოტ სალდაძეს იგი ეროვნული ნიშნის მიხედვით არ შეურჩევია. უბრალოდ ქურთი ქალბატონი ნაკლებად პრეტენზიული იყო და გასამრჯელოსაც მოკრძალებულს სჯერდებოდა.

სახელგანთქმულ სახალხო მკურნალს ხეზე ჭრა თითქმის მიავიწყდა. ხელოვნებას ველარ სწყალობდა. არ გაამხილოთ და ხანდახან მინის ხუფის ქვეშ დალაგებულ ხეზემკვეთ ხელსაწყოებს რომ გადახედავდა, მისდაუნებურად გაიფიქრებდა;

რა სულელი ვიყავი, რაზე ვიგლიჯავდი თითებს, იმას დეექცა ოჯახი, ვინც მე ხეზე ქრა მირჩია, ვის უნდა ცოტნე დადიანი ახლაო. რა დრო მაქვს გაცდენილი. მომეკიდა თავიდან ექიმობისთვის ხელი. რამდენი ავადმყოფი მეყოლებოდა აქამდე მორჩენილიო.

სამი წლისთავზე ვალიკო სალდაძემ ისევ მიიღო მონღოლეთიდან მინვევა. გულუბრყვილო მკითხველის გაცეხული სახე დამანახა ნეტავ, როცა შეიტყობს, რომ ულან-ბატორის ბიენალეზე სალდაძეს როგორც მკურნალს კი არა, კვლავ როგორც ხეზე ქრის ოსტატს უხმობდნენ.

საერთოდ ასე ხდება. ერთხელ რომ მოხვდები მსოფლიო ფორუმზე, თუ პირველ მინვევაზე რამე არ დააშავე, გინვევენ და გინვევენ ყოველ მესამე წელიწადს, თანაც ყოველ სიმპოზიუმზე ლაურეატის წოდებით, სიგელით და სამახსოვრო საჩუქრით გაჯილდოებენ. ხომ წაგიკითხავთ, მავანი და მავანი გახლავთ პირველი, მეორე და მესამე მსოფლიო ფესტივალების ლაურეატიო.

გრიალით ჩაიარა ამჯერადაც ხეზემჭრელთა მსოფლიო ბიენალემ. ცოტნე დადიანის ხებარელიეფზე ისევ იმ მონღოლმა ხელოვნებამცოდნემ ილაპარაკა და, როგორ დაუუკარგავ, ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდა, თითქოს პირველად ხედავდა.

ლაურეატს დიპლომები და ულამაზესი მონღოლურ-ტიბეტური კიმონო რომ მოახურეს, ვალიკო სალდაძემ ფორუმის ავტორიტეტულ ჟიურის მადლობა გადაუხადა ქართული სახეზემჭრელო სკოლის მიღწევათა ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

ოფიციალურ ბანკეტამდე სამი საათი რჩებოდა. ახალბედა ლაურეატები საყიდლებზე გაიქც-გამოიქცნენ, ვალიკო სასტუმროს ფოიეში ყავას შეექცეოდა, იცოდა სალდაძემ რომ მონღოლეთში კი არა, ალექსანდრიის ბაზარზეც არ იპოვება ისეთი რამ, ისნის და ლილოს ბაზრობაზე რომ ვერ იშოვი.

სანამ ყავის ფინჯანს ლამბაქზე გადააპირქვავებდა, ხეზე ქრის ფესტივალის ორგზის ლაურეატმა თარჯიმანს ჰკითხა:

რა მაგის პასუხია და აქ, ულან-ბატორში სახალხო მედიცინის ცენტრი თუ არისო.

მერე როგორიო, გაულიმა თავაზიანმა მასპინძელმა, მონღოლური სახალხო მედიცინა მსოფლიოში ცნობილიაო.

თუ არ შენუხდები და შორს არ არის, იქნებ, წამიყვანო. მეგობარმა შარდის შეკავების ხალხური წამალი დამაბარა და იქნებ გავუგოვო.

წავიდნენ.

ულან-ბატორში უდაბნოს თბილი, მაგრამ ქვიშაგარეული ქარი ქროდა.

ზეგნებიდან ქარს მშობლიური ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი იურტების და ცხვრის სუნი მოჰქონდა.

ხალხური მედიცინის ცენტრი სართულნახევრიან, უფანჯრო გრძელ შენობაში გახლდათ მოთავსებული.

თქვენ აქ დამელოდეთო, უთხრა თარჯიმანმა და ყვითლად განათებულ დერეფანში გაუჩინარდა.

ვალიკო დოლისმსგავს მონღოლურ სკამზე ჩამოჯდა.

ირგვლივ ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და პუტუნებდნენ. სახალხო მკურნალებიც და ავადმყოფებიც ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

თარჯიმანი ჩქარა დაბრუნდა. ცოტა არ იყოს დარცხვენილი ჩანდა.

როგორც იქნა მივაკვლიე შარდგაშვების განყოფილებასო. სამწუხაროდ, კონსულტაცია-რეცეპტი ფასიანი ყოფილაო.

რაზეა ლაპარაკიო, ვალიკომ, ფული მაქვს, გადავიხდი, გამიძეხიო.

ორიოდე წუთის შემდეგ გრძელხალათიანი, ჩალმიანი, თხისწვერება მონღოლის წინ იდგნენ.

ვიცი, ვიცო, სიტყვა შეაწყვეტინა დამხვდურმა, ამ კაცმა (თარჯიმანზე ანიშნა) ყველაფერი მითხრაო. თქვენ რომ უძვე-

ლესი და უნიკალური რეცეპტი გჭირდებათ, 150 დრაჰკანი ღირსო, გნებავთ, დოლარით გადამიხადეთო.

ვალიკოს, რა თქმა უნდა, ეძვირა, მაგრამ უკან ხომ არ დაიხევდა.

ფული გადაიხადა და კუთხეში დოლ-სკამზე ჩამოჯდა.

მონლოლური სახალხო მედიცინის ლომმა უზარმაზარი წიგნი გადმოიღო და დიდხანს, ბუტბუტით, წვერ-ტუჩის ცანცარ-ცმაცუნით წერდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მორჩა წერას, ქალაღდი მრგვლად დაახვია, აბრეშუმის ძაფით შეკრა და ვალიკოს გაუნოდა.

სტუმარმა ხელი ღონივრად ჩამოართვა და მადლობის ნიშნად ქართლის დედის გამოსახულებიანი მედალიონი აჩუქა.

სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, ვალიკო სალდაძემ ძვირფასი რეცეპტი გაშალა.

ტექსტი რასაკვირველია მონლოლური იყო.

თარჯიმანს სთხოვა, ეთარგმნა და კალამი მოიმარჯვა.

„ათი ცალი ნაძვის გირჩა, ნახევარი კილო გათლილი კარტოფილი“.

სალდაძეს ციემა ოფლმა დაასხა.

„ერთი ჩაის ჭიქა გამხმარი ასკილი სამ ლიტრ წყალზე უნდა ადულო ერთი საათის განმავლობაში“, – განაგრძობდა თარჯიმანი, – რატომ არ იწერთ?

– ვიცი, ვიცი. რომ გაცივდება ღვინის ჭიქით უნდა დალიოთ ჭამის შემდეგ სამჯერ. – მიუგო ვალიკომ და მწარედ გაუღიმა.

## არ იძნეება...

მინის დარიგება რომ დაიწყეს, ქალაქში რა გამაჩერებდა. რომელი გუბერნატორი მე ვიყავი, ქალაქს რომ უჩემოდ ვერ გაეძლო. ორმოცი წელი გავატარე თბილისში და მაინც ვერ შევეგუე აქაურობას. ჩემი ცხემლისხიდი მეძახდა ყოველდღე. მივლინებით რომ კაცი ჩამოვა და ერთი სული აქვს, როდის დაბრუნდება შინ, სულ ასეთი გრძნობა მქონდა.

მივაყიდე ჩემი ოროთახიანი (ულოჯო) ბინა თავისი ავეჯ-მაცივრიანად და მოვუსვი სოფლისკენ.

მამაპაპეულ ნასახლარზე ჩაბრადე ცხოვრობს. ღმერთმა კარგად ამყოფოს, რა ხელი მაქვს ჩაბრადესთან. ავსახლდი მე და ჩამოსახლდა ჩაბრადე.

მივედი სოფლის გამგებლობაში. ვერ ვიტყვი ძვირს, მაშინვე წამომყვნი და მომიზომეს მიწა, იქვე, ჩვენეულ სამოსახლოსთან, რუ ჩამოდის, იმის გაღმა-გამოღმა. კაი ხანს ზომეს. სამნი იყვნენ საკრებულოდან. ერთი მათგანი ჭალაძე, ჩვენი გამგებელი.

ა, ჩემო გრიგოლო, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსო. ორჰექტარნახევარი მოგეცითო.

გავიხარე. ავშენდი კაცი. მინის პატრონი ვარ. მიწა რომ წაართვეს ბოლშევიკებმა, სწორედ იმ მინის ჯავრმა ჩაანვინა ბაბუაჩემი – ორმოცი წლის კაცი მინაში.

მეორე დღეს სარებს ვარჭობ ამ ჩემს ახალთახალ სამოსახლოზე და ნაფოსტალიონარმა გვიმრადემ ჩამოიარა. ოთხწლედში ერთად ვსწავლობდით.

გაუმარჯოს შენს ჩამოსვლას, ჩემო გრიგოლო, სოფელშიო. ასე უნდა, აბა რაო. მიწაც არ მოუციათ ურიგო ადგილზეო.

არ ვუჩივი ბედს-მეთქი.

რამდენია, თუ გიყვარდეთო.

რაი-მეთქი.

რამდენი ჰექტარი მოგცესო.

ორჰექტარ-ნახევარი-მეთქი.

შემოვიდა ეზოში. რა შემოსვლა უნდოდა. შელობილი მქონდა თუ რაი.

გაიარ-გამოიარა. ხან ერთ კოლთან მივიდა, ხან – მეორესთან. ნაბიჯით ზომავს, ბუტბუტებს. არ ვაქცევ ყურადღებას. ხენეშის, ოხრავს, ხელებს ერთიმეორეზე უტყაპუნებს.

მევიდა მერე, დამიდგა წინ და სერიოზულად მითხრა:

არაა ეს ორჰექტარ-ნახევარი, გრიშა, მოუტყუებიხართ მაგ უნამუსოებსო.

კაი, თუ კაცი ხარ, შენს ჯავრსაც მაგაზე გადაუვლია. არაა და ნუა. მისი ნახევარი ხომ იქნება. მე ქე მეყოფა ამაზე მოწეული სიმინდ-ლობიო. რაც ნაკლებია, ჯაფაც ნაკლები დამჭირდება-მეთქი.

შენი საქმე შენ იციო. რა უნამუსო ხალხთან მაქვს საქმე, რავა გაფუჭდა ქვეყანა, რავა მოატყუეს ეს ჩამოსული, ალალი კაციო, ჩაიბუტბუტა გვიმრაძემ, კიდევ ერთხელ გახედა მინდორს და გააბიჯა.

ვსხლავ სარებს და ვარჭობ სალობედ.

ცოტა არ იყოს, გუნება გამიფუჭა იმ ოჯახდასაქცევმა გვიმრაძემ.

შემოვივლი დიდი ნაბიჯით. მთლად მეტრიანი ნაბიჯი თუ არ მაქვს, კარგად, ფეხგაშლით როცა მიდიხარ, ოთხმოცი სანტიმეტრი ხომ იქნება.

პიჯაკი მეკიდა ქაცვზე. მივედი, ამოვიღე ქალაძის მოცემული ქალაღი – ორჰექტარ-ნახევარი სწერია.

ცოტა დავმშვიდდი, მაგრამ მაინც მღრღნის ეჭვის ჭია.

ნეტავ, მართალი არ აღმოჩნდეს გვიმრაძე.

ქვეყანა კი არ იქცევა, კაცმა რომ თქვას, ჩემნაირს ათასს მოიძნობს ეს მინა; საფლავში მიმაქვს თუ რაი. მარა, მაინც გენყინება კაცს.

რატომ უნდა აგიგდონ, თვარა კი.

რომ მოსალამოვდა, მივედი გვიმრაძესთან.

სადაც მეგულეობდა, ტყემლისერზე, იქ კაიხანია აღარ ნაცხოვრება. ჩამობარებულა ქვევით. ნანისქვილართან გაუმართავს ოდა. ცოლი ქე მოკვდომია შარშან სანყალს (არც ეს ვიცოდი). შვილები ტყიბულში ჰყავს.

იმისი არ იყოს, გულში ჩამრჩა შენი ამდილანდელი ნათქვამი. ქალაღში ორჰექტარ-ნახევარი მინერია. წამოდი ერთი, თუ კაცი ხარ, წამეიღე მეტრიანი და ავზომოთ-მეთქი.

ბატონი ხარ. აზომვას რავა დაგზარდები, მარა ახლა გვიანია, დაღამდა. ვერაფერს დევინახავთ. „რულეტკა“ აქვს სამსონის ბიჭს. მევიტან ხვალ დილით და მისხალ-მისხალ აგიზომავ შენს ნაკვეთსო.

ბაბუისეულ ჯარგვალში მძინავს. მეხვეწა ჩემი ძმა, ზევით ამოდი ოდაშიო, მარა ჯარგვალი ვარჩიე. ჩემს გემოზე ვარ.

ვერ დავიძინე იმ ღამეს ხეირიანად.

დილაუთენია დამადგა გვიმრაძე.

ავზომეთ ორივემ ერთად და ჰექტარ-ნახევარი აღმოჩნდა ჩემი მინა.

ხომ გეუბნებოდნი, თვალთაც ეტყობოდა, მეტი რომ არ იქნებოდაო, გვიმრაძემ.

კი მარა, მინის მეტი რაია, რაში დაჭირდათ ჩემი მოტყუება. რავა ისეთ ყრუდ ჩამთვალეს, რომ ვერ გავზომავდი ამ მინას-მეთქი? ეს ისე, გულში ვთქვი, ჩემთვის, გვიმრაძეს მადლობა გადავუხადე და გავაცვილე.

თხუთმეტი ნუთი ნავიმუშავე, მაგრამ ცული ხელში არ მომყვება წინანდებურად. სარებს გული ვერ დაფუდევია.

გავიფერთხე შარვალი, მოვიხურე პიჯაკი და გავედი გამგეობაში.

კაი ორი საათი ვუცადე, სანამ გამგებელი მოვიდოდა,

რამ შეგანუხა, ჩემო გრიგოლ, ამ დილაადრიანო, გაიკვირვა ქალაძემ.

მინის საკითხზე ვარ, მე ვუთხარი.

ხომ მოგიზომეს მინა, გუშინ, შენო?

კი მომიზომეთ მარა, დამდეთ პატივი და ერთხელ კიდევ ამაზომიეთ. მე მგონია რალაცა შეცდომა გვაქვს დაშვებული-მეთქი.

რა შეცდომა, შე კაი კაცო, ვირო მაღლიო, ისე ხვარაა შენი საქმე. რავა ფიქრობ, ახლა სამი კაცი ორ ჰექტარ მინას ვერ გავზომავდით ჩვენო? – განყრა ჭალაძე.

მაღლობელი ვარ ყველაფრისთვის. რატომ ცხარობ, შე კაი კაცო. ხომ შეიძლება შემცდარიყავით. ეგებ აქეთ გადმომაცო-ლეთ ჩემკენ. რაც მეკუთვნის, იმაზე მეტი მისხალი არ მინდა. საჩხუბრად კი არ მოვსულვარ. სულ რომ არ მოგეცათ, არც მაშინ დაგემდურებოდით-მეთქი.

მომიცადე აქო, ჭალაძემ. აირბინა კიბეზე, გავარდ-გამ-ოვარდა ოთახებში და ჩამოირბინა. უკან ჩემი მოგვარე – ყარა-მან ჩიტაიშვილის ბიჭი მოსდევს, პარმენია. ამ ოთხი წლის წინ ვინცხა სომეხს ჩაესიდა თბილისში. მიუტოვებია ახლა ცოლი და ჩამოსულა სოფელში. მოქალაქეთა კავშირის წევრია. არაა ურიგო ბიჭი.

ა, ბატონო. რალაი ჩვენი არ გჯერა. შენს სახლიკაცს გაგა-ტან. აზომავს მინას. ეს ხომ შენიანია, ხომ არ მოგატყუებს. ამისას ხომ მაინც დაიფერებო. აშკარად ნაწყენი კაცის კილო-თი მეუბნება ჭალაძე.

ვერ გამიგე სწორად, მე ვუთხარი. რა მოხდა, შე კაცი კაცო. შენ კი არა, სტალინი ცდებოდა ხანდახან. რომელი ინტრიგანი მე მნახე. მეპატარავა თვალში და არ მეთქვა? მე ვუთხარი.

მოვდივარ ორლობეში და მომყვება წყნარად, თვინიერად ყარამანას პარმენია.

ყოფილ ბრიგადირს, გუგუნავას, სარები გაუდვია მხარზე და აქეთ მოდის. ჩემი სარები ხომ არ მოაქვს ამ ოჯახქორს-მეთქი, გავიფიქრე. რავა ვკადრებდი რამეს.

სატალახე სერი ავიარეთ.

სადაა ჩემი სარები.

გუგუნავამ ნაილო, რად უნდა ლაპარაკი. გამარჯობაც რალაცნაირად მორცხვად გვითხრა. არ ვქენი გაბრუნება-გამოკიდება. მშვიდობა იყოს და სარების მეტს რას მოვჭრი.

არ ღირს კაცის შერცხვენა ამნაირი უბრალო საქმისთვის.

აზომა მინა პარმენიამ და, მიუხედავად იმისა, რომ ტრიალ მინდორზე ჩვენ გარდა არვინ იყო, ხმადაბლა, საიდუმლოსა-ვით მითხრა:

რომ არ დაგიმალო, ჰექტარ-ნახევარია ეს ნაკვეთი, გრიგოლ ბიძიაო.

მართალი ყოფილა გვიმრადე, რას ერჩი.

პარმენი წასვლას აპირებს.

ახლა რა მინდა შენგან, თუ იცი, დამინერე ქალაღზე, რომ ჰექტარ-ნახევარია, მეტი არაფერი, ჩემო პარმენ, მე ვუთხარი. არა, ბიძიაო, არ გენყინოს და ვერ ვიზამ მაგ საქმესო.

კი მარა, შენ ხომ მინის გასაზომად გამოგვზავნა ჭალაძემ, მე ვუთხარი.

კიო.

ხომ უნდა უთხრა პასუხი, ჭალაძეს-მეთქი.

სიტყვიერად ვეტყვი იმას, დაწერით ვერ დაგინერო.

რატომ-მეთქი.

ვერ ვეტყვი ყველაფერს, გრიგოლ ბიძიაო.

წავიდა პარმენია.

ვუცადე ორი დღე. არა ხაბარი გამგეობიდან. ჭალაძე ყურს არ იბერტყავს.

არა და, რომ მივიდე მე თვითონ ჭირვეულ, აბეზარ კაცს დამიძახებს სოფელი.

ორი კვირის თავზე ბიკენტი ჯლამაძე გარდაიცვალა.

სატირალში ჭალაძემ თვალი ამარიდა.

გვერდითე შუბლის ძარღვი და მივედი მეორე დღეს ჭალა-ძესთან.

არ დამხვდა. გვერდზე ოთახში ჟღენტის გოგო იჯდა. გამ-

გეობის მდივანი ვარო. გაუთხოვარი, კოჭლი ქალია.

შენ შემოგველე, არ დამზარდე, მე ვუთხარი. გამყევი აგერ, ორ ფეხისნაბიჯზე, ამაზომიე ჩემი ნაკვეთი, მე ვუთხარი.

კი, ბატონოვო, უჯრა გამოსნია, „რულეტკა“ ამოიღო და ნა-მომყვა.

გავზომეთ.

რამდენად განერია, ეს ნაკვეთი, ბატონო გრიგოლ, შენო, დამასწრო კითხვა.

ორიათასხუთასად, მე ვუთხარი.

ათასხუთასია ზუსტად, არც მეტი, არც ნაკლებიო.

ხოდა, ნავიდეთ ახლა შენს კაბინეტში და დამინერე, რომ ჩემი ნაკვეთი ათასხუთასია-მეთქი.

ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

მთხოვე რაც გინდა, გრიგოლ ბატონო, მაგას ვერ ვიზამ ვერაფრითო.

მიზეზი?

მიკიბ-მოკიბა რაღაცა, ისე დაბნეულად მელაპარაკება, შემ-ეცოდა ადამიანიშვილი.

გული ამიცრუვდა ჩემს მინაზე. მოუხნავი დავტოვე იმ წელს ნაკვეთი.

სიმინდის დათესვას ვაპირებდი და არ დავთესე.

გულს მიჭამს მიწის სიმცირე კი არა, შეურაცხყოფის გრძნობა.

ამაზე უარესი არაფერი ყოფილა.

სექტემბერში თბილისს გავემგზავრე.

მინათმონყოფის სამმართველოში მივედი. ორჰექტარ-ნახევრად ჰექტარ-ნახევარი მიწა შემომჩაჩერეს, წამყვეს ვინმე და გაზომოს. მიწის მომატებას არ ვითხოვ, რამდენიცაა, იმდენი გამიპროვონონ-მეთქი.

გამომაცოლეს თბილისიდან ხონელი კაცი, სვინტრაძე.

კაი მოლაპარაკე, თბილი კაცი. ისე ვიმგზავრეთ თბილისი-დან ცხემლისხიდამდე, პირი არ გაუჩერებია.

საერთო ნაცნობები კი არა, ნათესავებიც აღმოგვანდა.

აზომა გულდასმით ჩემი ნაკვეთი სვინტრაძემ და არ დაუმა-ლავს, გულახდილად, პირდაპირ მითხრა:

ათასხუთასიაო.

ახლა მეცი პატივი და დამინერე რამდენიცაა-მეთქი, დაველ-რიჯე.

ვერ ვიზამ ამასო.

აბა, რისთვის წამომყევი, შე კაი კაცო, თბილისიდან. მე უკანონოს ხვარაფერს გთხოვ, ვუთხარი.

ერთადერთი, რაც შემიძლია გაგიკეთო, ისიც შენი დიდი ხა-თრით, ისაა, რომ დავაყენებ საკითხს ქალაქესთან და სხვა ადგილას გამოვაცოფებ შენთვის ნაკვეთსო.

რამდენს-მეთქი, ვკითხე.

რაც გეკუთვნის, ორიათასხუთასსო.

მივიდა ქალაქესთან და მეორე დღეს სოფლის ბოლოს, სა-შაშვიას ქალაში, მომიზომეს ახალი ნაკვეთი.

გავაცვილე თბილისის ავტობუსზე სვინტრაძე, უკან გამო-ბრუნებულმა ტყეში სასარეები მოვჭერი და გამოვიძვანე, რასაც ვწიკავდი.

ვთლი სარებს, თან ჩემს ახალ ნაკვეთს ვათვალეერებ.

რაც მქონდა, იმაზე ცოტა მეტი ჩანს, მარა ორიათასხუთასი არც ეს იქნება.

ჯანდაბას.

რაც არი, ეს არი.

ახლა მთავარია, გვიმრადემ არ ჩამოიაროს.

თუ შევნიშნე შორიდან, ცულს დავაგდებ და კვადაცის ბარდებში ვტყუცავ თავს.



## კრაზანებთან ომი

სოფელში, მამაპაპისეულ ეზოში, პატარა ძველთაძველი ქვითკირის სახლი გვიდგას.

დაბერდა სახლი. ალაგ-ალაგ წვიმაც ატანს ქერში, მაგრამ ვისა აქვს ახლა გადახურვის თავი.

ძველი კრამიტითაა დახურული.

ვიყიდე ოცი კრამიტი ამას წინათ ქავთარაძის ბაზრობაზე, მაგრამ რად გინდა, ახალი კრამიტი ძველს არ მოერგო.

იატაკიც გამოსაცვლელია.

დალპა და კი არ ჭრაჭუნობს რომ გაივლი, რალაცნაირ ფშვინვის მსგავს ხმას გამოსცემს, გეგონება, სუნთქავსო.

წელიწადში ერთხელ ვაცოცხლებთ სახლს. ერთი თვით ჩავდივართ შვებულების დროს. ახლოს რომ იყოს, ჩაკითხავდი შაბათ-კვირას.

ჩემი სოფელი ლენტეხის რაიონშია.

იქ თუ ჩახვალ, გასაჩერებლად უნდა ჩახვიდე, გაქცევა-გამოქცევა არ გამოდის.

თბილისიდან, მოგეხსენება, კაი შორსაა და გზებს ნულარ იკითხავ, ბევრ ადგილას საათში ხუთ კილომეტრს ძლივს გადის მანქანა.

შარშანაც ჩავედით. ზუსტად მახსოვს, ოცდაექვსი ივლისი იყო.

სიცხისაგან გათანგულმა საბარგულიდან კონდარზე ფუთა-სუმკების გადმოლაგება დავიწყე, შიომ აივანზე აირბინა და შიშნაჭამი ხმით გამოგვძახა:

– აქ ბზიკებია!

ბზიკი (ძალიან კულტურულად კრაზანას ეძახიან), რაკი ღმერთმა გააჩინა, რალაცა ხეირი მოაქვს, ალბათ, ბუნებისათვის, მაგრამ იმდენჯერ ვყავარ ბავშვობაში გამწარებული, რომ მამალი მგლის არ მეშინია ისე, როგორც ბზიკის.

ავირბინეთ აივანზე მე და ჩემმა ცოლმა, ელდა გვეცა. ზედ კიბის თავზე აივნის ბოლოში, სწორედ გასასვლელთან, იატაკის ფიცარში ორ ადგილას ღრიჭო უპოვიათ (იქნებ, თვით გამოღრღნეს) და ლარდაყინებს შორის ბუდე დაუდევთ კრაზანებს.

ნათქვამია, კრაზანები მიტოვებულ სახლებს ეპატრონებიანო. ვერ გეტყვით, რატომ დაასკვნეს ამ აბეზარმა მწერებმა (ისე, არც კი მემეტება შხამიან კრაზანებს, ეს უწყინარი სახელი – მწერი ვუნოდო), რომ ჩვენ აქ აღარ ჩამოვიდოდით. ეს კია, ჩანთებით გვერდით რომ ჩავუარეთ, ერთი ალიაქოთი შექმნეს; როგორ თუ მყუდროება დაგვირღვიეთო; მაშინვე ბზუილს უმატეს და მოიერიშე რაზმიც დაგვადევნეს.

მეორე ამოსვლაზე ჩემს ცოლს ჩაასვეს შხამიანი ნესტო. საღამოსკენ შიო ააყვირეს. ლოყაზე უკბინა კრაზანამ და ერთ საათში ისე გაუსივდა ყბა-სიფათი ბავშვს, რომ მარჯვენა თვალს ძლივსლა ახელდა.

ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა. ჩვენ და კრაზანები ერთ ქერქვეშ ვერ ვიცხოვრებდით და გადავწყვიტეთ საშიში მღვმურების თავიდან მოშორება.

ძლივით შევუდექით საქმეს.

ჯერ იყო და ჩემმა ცოლმა კრაზანების საძრომ-ღრიჭოებში ძმარი ჩაასხა.

ძმარმა არც კი შეაკრთო სტუმრები.

მერე წყალი ავადუღეთ და ერთი ჩაინიკი მღულარე ჩავუსხით.

თქვენც არ მომიკვდეთ, კრაზანებს ცხოვრების წესი არ შეუცვლიათ. ცოტა ხანს იყურეს და ახალი ენერგიით გააჩაღეს ფრენა-ბზუილი.

აშკარად ჩანდა, გვეჯაბნიდნენ.

ჩვენც შურისგების ექსტაზმა შეგვიპყრო. ჩემს ცოლს მკლავი დევის ცოლის მკლავს მიუგავს. შიო ტირის და წამდაუნუმ სარკისკენ გარბის.

მახსოვდა, კრაზანებს ნავთი არ უყვართო, ცეცხლის დასან-  
თებად გადანახული ორი ლიტრი ნავთი გამოვიტანე საბძლი-  
დან და პირწმინდად ჩავცალე საბზიკე ხვრელებში.

აშკარად არ მოეწონათ ნავთი.

ერთხანს აირივინენ, შურდულივით მიმოქროდნენ. ბარძაყ-  
ში ჩამაფრინდა ერთი და სანამ ხელს მივირტყამდი, მოასწრო  
კბენა. მართალია, ძირს დავარდნილი უმოწყალოდ გავსრისე,  
მაგრამ მე მაინც გამამწარა.

წავედი, მეზობელს ხუთი ქაფჩა ცემენტი გამოვართვი,  
ქვიშაში (ეზოში მეყარა) ავურიე და კრაზანების ბუდე გულ-  
მოდგინედ დავაბათქაშე.

ახლა რას იზამთ-მეთქი, კბილებს ვაკრაჭუნებდი.

ნახევარ საათს აივნის იატაკიდან ავი ბზუილ-გუგუნე ისმო-  
და. სწორედ მაშინ, როცა მეგონა გავიმარჯვებო-მეთქი, ჩემმა  
ცოლმა დამიძახა:

– აქ უყურე!

კიბე ჩავირბინე და სიბრაზისაგან ენა გამიშრა.

ქვემოთ გამოსასვლელი უშოვიათ და ზუსტად იმ ადგილას,  
სადაც ჩემი ცოლი საქმიანობს, დამოკლეს ხმალივით დაკიდ-  
ულა კრაზანების ლაშქარი. შედიან და გამოდიან. ამყად დაბ-  
ზუიან. ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამინა ქალამნად.

– არიქა, ისევ იქ გაუხვრიტე შესასვლელი, ძველი გზით  
იარონ, თორემ აქ ხელს ვერ გავანძრევ. ხომ ხედავ, რა ახლო-  
ახლო მივლიანო, ჩურჩულით მითხრა სვეტამ. თითქოსდა ხმა-  
მალლა რომ ეთქვა, კრაზანები გაიგონებდნენ და დამარცხებუ-  
ლებს ქოქოლას დაგვაყრიდნენ.

ავედი და გულშემოყრილმა, დამცირებულმა გავუხვრიტე  
რკინის ჯოხით ორ ადგილას ბათქაში კრაზანებს.

ისევ ზემოდან განიახლეს გზა.

ამის შემდეგ უფრო გაბრაზებულნი, ფრთხილნი და უფრო  
აგრესიულნი ჩანდნენ.

გულისხმეთქვით, მანჭვა-გრეხით ჩავურბენდით გვერდით. მთე-  
ლი ზაფხული ასე უგემურად, შიშის ზაფხრის ქვეშ გავატარეთ.

ერთხელ გემრიელად არ დავმჯდარვართ ჩემს საყვარელ,  
მამაპაპეულ აივანზე.

რატომ მოგიყევი, ჩემო ძიკი, თუ იცი ეს ამბავი?

იყო კი, გეთანხმებით, ლალატიც იყო, ვერც ხელისუფლება  
გადაგეფართ, როგორც საჭიროა, მაგრამ თქვენ? რა იყო,  
თქვე კაი ხალხო, ასე როგორ დაგიფრინათ აფსუა ნაძირალამ  
– ორმოცი ათასმა ბრიგინ-ბრიგინით რომ ჩამოირბინეთ ზუგ-  
დიდში?

სახლი დასანვავად როგორ დაუთმეთ ასე უბრძოლველად  
გადამთიელს?

ასეთი რა ხონჩა-ტაბლა გელოდებოდათ ზუგდიდში, რომ  
მიატოვეთ სახლ-კარი, ხარ-ურემი, კრუხ-წინილა და გადამ-  
თიელს დაუგდეთ სათარემო-მოსაოხრებლად?

აბა, გეკვილათ ყველას ერთად, აბა, დამდგარიყავით კეტი-  
თა და ქვა-ფინალით ხელში, აბა, წაეკითხა თქვენს თვალეში  
მომხვდურს თავგანწირული სულისკვეთება, თუ ჩამოადგამდა  
ფეხს თქვენს ეზოში?!

შენ არ მოინდომე შენი თავის შველა და მე რა გიშველო.

კრაზანამ, სხვის სახლში შებუდრულმა მწერმა, ლამის მე  
გამომადგო ჩემი სახლიდან, თავი მოიკლა და არ დამითმო, არ  
შემეპუა, შენ შენი კერიიდან ასე როგორ აგიფსკვენს კუდი. ასე  
როგორ დათმე, შე კაცო?!

არ გენყინოს, სხვა სხვის ომში ბრძენი ყოველთვის როდია,  
მაგრამ კრაზანების ამბავშიც იქნებ რაიმე გენიშნოს, ამ ამბავ-  
მა იქნებ ერთხელ კიდევ მწარედ ჩაგაფიქროს, ჩემო უბედურო  
სახლიკაცო.

სამწუხაროდ, გარემოებისაგან ხელფეხშეკრულს, ჯერჯერ-  
ობით მხოლოდ ესაა, რაც მე შენი დახმარება შემიძლია.

ხვალ კი ვნახოთ. ან თავს შევაკლავ შენს მტერს, ან რალა-  
ცით დაგიამებ წყლულს.

ყოველ შემთხვევაში, ასე არ დაგტოვებ.

## სამართალი

მოსამართლე დავით ხელაიას გულის სიღრმეში უხაროდა, რომ პროცესს მომჩივანთა გამარჯვების პირი უჩანდა.

მართალია, დილით თათბირზე ითქვა, დღეს საარჩევნო სარჩელი იხილება და მოსამართლეს ვთხოვ, ობიექტურობა დაიცვასო, მაგრამ დავითმა კარგად იცოდა, რას ნიშნავდა „ობიექტურობის დაცვა“ და საარჩევნო კომისიის გადაკიდება.

გუშინ პარტია „სამშობლოს“ თავმჯდომარესთან საუბარში საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მომჩივანი მხარე მართალი იყო, თუმცა ისიც იგრძნო, რომ „სამშობლოს“ საარჩევნო კომისიის პროფესიონალ იურისტებთან ბრძოლა და თავისი სიმართლის დამტკიცება გაუჭირდებოდა.

აი, რა უამბო „სამშობლოს“ თავმჯდომარემ, მოხუცმა პროფესორმა რომანოზ მერკვილაძემ მოსამართლე დავით ხელაიას: ჩვენაო, არჩევნებში მონაწილეობა ბოლო დღეებში გადაწყვიტეთო. გამოცდილება არ გვქონდა და დეპუტატობის კანდიდატთა სიების შედგენა გაგვიჭირდაო. ბოლოს, როგორც იქნა, შევადგინეთ სია, მაგრამ გადაბეჭდვას ვერ ვასწრებდით 6 საათამდეო. ოთხზე შავი სიით ხელში ჩემი მდივანი გავაგზავნე, რათა რიგი დაეკავებინაო. ექვსის ნახევარზე გადაბეჭდილ-ხელმწიფილ-ბეჭედდასმული სიით ხელში მეც მივირბინე, მაგრამ კარი დაკეტილი დამხვდაო. ვაკაკუნე, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ რკინის კარი საიმედოდ იყო ჩარაზული. ჩემს გარდა კარებთან სხვებიც იდგნენ და აღშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ კომისიამ პირობა დაარღვია და კარი ნახევარი საათით ადრე დაკეტაო. ამ განამანიაში რომ ვარ, მდივანი გამოვიდა და მითხრა, ყველაფერი რიგზეა, ჩვენი სია გასინჯეს და ჩაიბარესო. ერთი კვირის მერე გვაცნობეს, რომ რეგისტრაციაში გაგვატარა საარჩევნო კომისიამ და ნომერ-

იც მოგვცესო. დავიწყეთ საარჩევნო კამპანია. არჩევნებამდე დაახლოებით ოცი დღით ადრე ჩვენთან მოვიდა საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი ქალი და გვაუწყა, რომ ჩვენს სიაში ყველაფერი რიგზე არ იყო და, თუ ქრთამად ორიათას დოლარს არ მივცემდით, მოვიხსნებოდით რეგისტრაციიდან. მე ისე მაღალი წარმოდგენა მქონდა კომისიის თავმჯდომარეზე (სამწუხაროდ, ახლა სულ სხვა წარმოდგენა მაქვს), რომ ეს ამბავი სასაცილოდ არ მეყო. მესამე დღეს ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ „სამშობლო“ მოხსნილია რეგისტრაციიდან კანდიდატთა სიაში დაშვებულ უზუსტობათა გამო. მივედი თავმჯდომარესთან და დანვრილებით ვუამბე, რაც თქვენ გითხარიო. საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა მათი თანამშრომლებისაგან ქრთამის გამოძალვის მცდელობას ოდნავადაც არ აღუშფოთებია. თქვენაო, პატიოსან კომისიას ცილს სწამებთო და კარებისკენ მიმითითეს. მოვედი თქვენთან, რათა სასამართლომ აღადგინოს ჩვენი რეგისტრაციის კანონიერება. რაც შეეხება მექრთამეობის ფაქტს, მიუხედავად იმისა, რომ ის ქალი ციხეს იმსახურებს, იმ წუწკი ქალბატონის დონეზე ვერ დავეშვები, რადგანაც, ჯერ ერთი, არ მეკადრება სიბინძურეში ხელის ფათური და მეორეც, ქრთამის გამოძალვის მცდელობის დამტკიცება გაგვიჭირდება, თუმცა იმ ქალის დანაქადნები („ხვალ კარგად მოუსმინეთ ტელევიზორს“) და რეგისტრაციის მეყვსეულად გაუქმება, მთლად კარგად როდი ახასიათებს საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობასო.

არც დავით ხელაიას მიუცია რჩევა „სამშობლოს“ წარმომადგენლისთვის, გინდათ თუ არა, ის ქალი ამხილეთო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საქმე სხვა კვალიფიკაციას მიიღებდა – სამოქალაქო საქმეთა რიგიდან სისხლის სამართლის საქმედ გადაკეთდებოდა. კომისიის მექრთამე თანამშრომლის საქმეს ცალკე ხანგრძლივი ძიება დასჭირდებოდა. „სამშობლო“ კი იმ ქალის დაპატიმრებას კი არა, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოითხოვდა სხვა ორმოცდაათ პარტიასთან ერთად.

თანაც საარჩევნო საქმე დღესვე უნდა გარჩეულიყო, ხვალ კიდევ მიიღებდა კომისია განაჩენს სამოქმედოდ, ზეგ – უკვე არა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არჩევნებამდე დათვლილი დღეები რჩებოდა.

ორი საათი უცადეს მსაჯულს. „მეტროში“ დენი გამოირთო და იმიტომ შემაგვიანდაო, მოიბოდიშა. პროცესი რომ დაიწყო, დავით ხელაია საარჩევნო კომისიისადმი თავის დამოკიდებულებას არ მალავდა და მისი უშუალო უფროსების არაორაზროვანი დამოძღვრის კვალიც აშკარად ჩანდა მის რეპლიკებში, მაგრამ მერე და მერე, რაკილა მოპასუხის დანაშაული აშკარა იყო, გადანყვიტა, ამ ერთხელ მაინც მართლად განესაჯა, ბოლომდე ერთგული დარჩენილიყო თემიდას სასწორისა, თუნდაც ამისათვის „ძლიერთა“ საყვედური დაემსახურებინა.

ბატონმა რომანოზ მერკვილაძემ, რომ იტყვიან, კუთხეში მიაყენა თავისი ოპონენტები. თუ ჩვენი სია არ ვარგოდა, თავიდან რატომ მიიღეთო, ჰკითხა.

თქვენს სახელს ვეცით პატივი, არ გაგანბილეთო.

კარი ნახევარი საათით ადრე რატომ დაკეტეთო.

ჩვენ ექვსი გვეგონაო.

თქვენ პირადად, საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა, კარი რომ დაიკეტა, საათს თუ დახედეთო.

არაო.

რატომაო?

იმიტომ, რომ საათს საერთოდ არ ვატარებო.

პარტიის მდივანმა ხომ გითხრათ, რომ სია, რომელიც ხელში ეჭირა, შავი, სამუშაო სია იყო და მე გარეთ ვიდექი საბოლოოდ დახვეწილი, გადაბეჭდილი სიით ხელშიო, იკითხა რომანოზმა.

მითხრა, მაგრამ დაკეტილ კარს ველარ გავაღებდი. გამონაკლისს თქვენთვის ვერ დავუშვებდი, სხვებიც შემოცვივდებოდნენ... ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ადამიანები ვართო.

თუ იცოდით, რომ თქვენი სახელით აფერისტები დადიოდნენ და ფულს სძალავდნენ დეპუტატობის კანდიდატებსო?

არაო.

ახლა ეს მიბრძანეთ, როცა ყველაფერი დამთავრდა. თქვენ ჩაკეტილ კარს მიღმა მთელი კვირის განმავლობაში, ნელ-ნელა, გულდაგულ, ხომ ამონმებდით სიებსო.

კიო.

ჩვენი სიაც ხომ შეამონმეთო.

რა თქმა უნდაო.

და, როგორც ჩანს, ვარგისად მიიჩნიეთ, რაკი რეგისტრაციაში გაატარეთ და ნომერიც დაუსვით, ხომაო?

როგორც ჩანსო.

თუ ასე იყო, არჩევნებამდე ოცი დღით ადრე, როცა ყველაფერი დამთავრებული იყო, რატომ დაუნყეთ მაინცდამაინც ჩვენს საბუთებს ჩხრეკაო.

ეგ ჩვენი საიდუმლოაო.

როცა აღმოაჩინეთ, რომ ჩვენს სიაში შეცდომებია, თუ უხმეთ „სამშობლოს“ ხელმძღვანელობას კომისიის სხდომაზეო.

ჩვენ ვალდებული არა ვართ ცალკეული პარტიები ვეძებოთო.

აბა, ვინ არის ვალდებული, რეგისტრაციიდან რომ გვხსნიდით, რისთვის გვხსნიდით, ხომ უნდა გვცოდნოდაო.

ტელევიზიით ხომ გაიგეთო.

იქნებ არ ვუსმენთ ტელევიზორს, ოფიციალურად რატომ არ გვაცნობეთო.

ფოსტა არ მუშაობსო და როგორ გვეცნობებინაო.

ისეთ ქვეყანაში, სადაც ფოსტა არ მუშაობს და მესამედი ტერიტორია მტერსა აქვს მიტაცებული, თუ შეიძლება არჩევნების ჩატარებაო, იკითხა პროფესორმა.

ეგ ჩვენი საქმე არ არის! ეგ შეკითხვა ოქმში არ შეიტანოთ! – ერთადერთხელ განყრა მოსამართლე დავით ხელაია.

გეკითხებით, თუ გინერიათ საარჩევნო კანონში, რომ არჩევნებამდე დარჩენილი ოცი დღის განმავლობაში, გაგანია საარჩევნო კამპანიის დროს საარჩევნო კომისიას მის მიერვე

დაშვებული შეცდომების გამო უფლება აქვს რეგისტრაცია მოუხსნას უკვე რეგისტრირებულ, ნომერდასმულ პარტიასო.

ზუსტად ასე არ გვინერია, მაგრამ, მე მგონი, საარჩევნო კომისიას ყველაფერი შეუძლიაო.

არჩევნების დამთავრების შემდეგ თუ აღმოაჩენდით, რომ დეპუტატობის კანდიდატის საბუთებში ყველაფერი რიგზე ვერ იყო, უკვე არჩეულ დეპუტატს თუ გაიწვევდით პარლამენტიდანო.

რატომაც არაო.

აბა, თქვენ ყოფილხართო, გაელიმა მოხუც პროფესორს.

არ არსებობს ინსტანცია, თქვენ რომ პასუხს მოგთხოვთ თქვენი შეცდომებისთვისო? ეს გახლდათ რომანოზ მერკვილადის ბოლო შეკითხვა.

ამ არჩევნებზე არაო, მშვიდად მიუგო კომისიის წარმომადგენელმა.

სხდომა დამთავრდა.

„სამშობლომ“ აშკარად დაჯაბნა საარჩევნო კომისია.

რომანოზ მერკვილადეს გამარჯვებას ულოცავდნენ.

„მართალია ეს ხალხი, როგორ შეიძლება ასე ქურდულად, დაგვიანებით, პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნა. ახლავე დავწერ განაჩენს და დავაბრუნებ არჩევნებში „სამშობლოს“, ფიქრობდა დავით ხელაია.

სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა.

\* \* \*

მსაჯულებმაც ერთხმად დაადასტურეს, რომ „სამშობლო“ უსამართლოდ იყო მოხსნილი რეგისტრაციიდან და მისი საარჩევნო უფლებები დაუყოვნებლივ უნდა აღდგენილიყო.

სანამ განაჩენის წერას დაიწყებდა, მოსამართლე დავით ხელაიამ, ჩვეულებისამებრ, დარეკა იქ, სადაც მოსამართლეები რეკავენ ხოლმე განაჩენის გამოტანის წინ.

როგორაა საქმეო, ჰკითხა ინტელიგენტურმა ხმამ, გამორ-

ჩეულმა მკაფიო მეტყველებით და იურიდიული დახვეწილობით.

როგორც ვვარაუდობდიო, დავითმა, რომანოზ მერკვილადემ ლოგიკურობის ისეთი ფეიერვერკი დაატრიალა, კინალამ გამომგლიჯა პროცესის მართვის სათავეები ხელიდანო.

რა გაირკვაო.

რა და აბსოლუტურად მართალია „სამშობლო“. ჯერ ერთი, საარჩევნო კომისიას კარი მართლაც ნახევარი საათით ადრე დაუკეტავს, მეორეც, თვით ბატონი რომანოზი გადაბეჭდილობეჭედდასმული სიით ხელში ექვსის ნახევრიდან შვიდ საათამდე ემუდარებოდა კომისიის გულქვა წევრებს, მდივანი მანდ შენობაშია, რიგი დაკავებული გვაქვს, ხელთ შავი სია უჭირავს, გამოართვით და ეს ბეჭედდასმული სია გადააწოდეთო (ამის მხილველნიც არიან), ესეც არ იყოს, კომისიას უფლება არ ჰქონდა სამუშაო სია გაეტარებინა რეგისტრაციაში და არჩევნებამდე ოცი დღით ადრე პარტიის ხელმძღვანელობასთან მოუთათბირებლად, ქურდულად მოეხსნა რეგისტრაციიდან, დანვრილებით აუხსნა ხელაიამ საქმის ვითარება იმ რაფინირებულ, ინტელიგენტურ, საყვარელ ხმას.

მე რას მიხსნი, რომანოზ მერკვილადეს ორმოცი წელია ვიცნობ და ისიც კარგად ვიცი, მართალი რომ არ იყოს, სასამართლოს კარზე არ მოვიდოდა, შენ ის მითხარი, რა ეშველება ამ საქმესო.

ახლა არაფერი, მერკვილადემ თვითონ შეატანია ოქმში მდივანს თავისი სიმართლის და მოპასუხეთა სიბეცის დამადასტურებელი ფაქტები, კომისიის დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ „სამშობლო“ უნდა გავამართლოო.

შენ ხომ არ გაგიჟდიო, ყველას გაგვყრიან აქედანო, ინტელიგენტის ხმამ.

რა მოხდა ასეთიო, ცრემლი გაერია ხმაში ხელაიას.

როგორ რა მოხდა, ძლივს სტაბილიზაცია დამკვიდრდა, რომანოზ მერკვილადე და მისი გამოსვლები უნდათ ახლა პარლამენტშიო?

პარლამენტამდე ჯერ დიდი გზაა. მე მგონი, ეს პატატვრანი პარტიები ვერ მოხვდებიან, ხუთპროცენტიან ბარიერს ვერ გადალახავენო.

ეგ ჩვენი საქმე არ არის, ჩვენ რაც დაგვავალეს, ის უნდა ვაკეთოთ. ხომ იცი მერკვილაძის ავტორიტეტი, ეგ ხმებს უეჭველად დააგროვებს და ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდებაო.

მერე, იქ მოუარონ ხმებს, რალა მე მაკეთებინებენ აშკარა უსამართლობასო, ტირილამდე ცოტა აკლდა მოსამართლეს.

რომანოზ მერკვილაძე შენ ჩემზე მეტად არ გეყვარება, ჩემი ბავშვობის მეგობარია, ვიცი, ამ ამბის მერე გამარჯობასაც დამიძვირებს, მაგრამ დრო რომ გავა, თვითონვე გამიგებს, ახლა სხვა გზა-გამოსავალი არა გვაქვსო, თქვა დახვეწილმა, ინტელიგენტურმა ხმამ და ყურმილი დადო.

\* \* \*

მოსამართლე დავით ხელაია გაფითრებული სახით და გამშრალი ხმით კითხულობდა განაჩენს.

მსაჯულებს თავები აენიათ და დაგმანულ ფანჯრებს შესცქეროდნენ, აქაოდა, ჩვენ პატარა ხალხი ვართ, რაც აქ ხდება, ჩვენ არ გვეხებაო.



## ცოტნე

სოფელ საქვაბიას საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, სამოციოდე წლის, წარბეზიან-ჰალსტუხიანად გამოხუნებულმა, დიდთავა კაცმა, გაკვეთილებზე დაყენებული ყიყინა ხმით მითხრა:

– ყველაფერი მომწყინდა, ბატონო. არ დაიჯერებთ და სკოლაში შესვლაც აღარ მინდა. გემო დაკარგა ყველაფერმა. ისტორიას რომ ვუხსნი ბავშვებს, ისე ამაყად ველარ ვლპარაკობ. რალაცნაირი დროა. მე თვითონ აღარ მჯერა ბევრი რამის. ასე მგონია, ვილაცა მოგვყვებოდა ოცდაათი საუკუნე და ძალით გვალამაზებდა. წიგნში სხვა წერია, გამოხვალ გარეთ და ლალატით, ძმაზე წანევიტ, შურით სავსე ცხოვრებას რომ შეეჯახები, გული გიტყდება. არადა, მე მგონია, ერს საბოლოოდ მაშინ ეღება ბოლო, საკუთარი ისტორიისადმი რწმენას რომ დაკარგავს და თავის გუშინდელ დღეს ეჭვით შეხედავს. თქვენ წარმოიდგინეთ, მოწაფეებიც ის მოწაფეები აღარ არიან, გაფართოებული თვალეებით რომ მისმენდნენ და ლამის ყლაპავდნენ ჩემს ყოველ სიტყვას. ისინიც, ჩემი არ იყოს, გადასხვაფერდნენ. აგერ გეტყვით ერთ მაგალითს: ამას წინათ, კობტასთავის შეთქმულებაზე ვატარებდი გაკვეთილს. ვუამბე, რაც შემეძლო, რაც ვიცოდი ცოტნე დადიანის გმირობაზე. რას ეტყვი უკეთესს. ერთი ბუცხრიკიძე მყავს კლასში უბედურნახევარი: რა გმირობაა თაფლის წასმა და მზეზე დაჯდომა, პატივცემულო. არც იმ მონღოლს გაუწირავს მაინცდამაინც შეთქმულები, თვარა უარეს სასჯელს მოიგონებდაო. ესეც არ იყოს, ცოტნე დადიანს სხვა გზა არ ჰქონდაო. თაფლი რომ არ წაესვა და თანამოძმეთა ხვედრი რომ არ გაეზიარებინა, გამცემის სახელი არ ასცდებოდაო.

ორმოცი წელია ისტორიას ვასწავლი და ჯერ ასეთი შემთხვევა არ მქონია. გავბრაზდი. რა თავს იგდებ, ბუცხრიკიძე, მე ვუთხარი, თქვენი იმედი უნდა გვქონდეს? თქვენ ხართ ცოტნეს გმირობის გამმეორებლები-მეთქი? ყველაფერზე შეიძლება მასხრობით ლაპარაკი-მეთქი? მე არ ვხუმრობ, პატივცემულოვო, არ შემეპუა ბუცხრიკიძე. შენ იცი და ქართველმა ხალხმა არ იცის რვაასი წელია ცოტნეს გმირობას რომ დიდებით მოსაგვს-მეთქი? ცოტა მაღალფარდოვანი პასუხი გამომივიდა და ბუცხრიკიძემაც დაკარგა ჩემთან კამათის ხალისი, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სამასწავლებლოში რომ შემოვბრუნდი, მე თვითონ გადამედო ბუცხრიკიძის ეჭვი და დღემდე იმ ეჭვისაგან თავი ვერ დამიღწევია.

ბუცხრიკიძისგან არ მიკვირს, არცოდნით მოუვიდა, თქვენ კი, ისტორიის მასწავლებელს, არ გეპატიებათ-მეთქი. ჯერ ერთი, მონღოლი შეთქმულებს მხოლოდ თავლის წასმით და მზეზე დაყრით კი არ სჯიდა, ამ მეთოდით მათ გამოტყვევას აპირებდა და აღიარების მერე არც ერთ მათგანს სიკვდილი არ ასცდებოდა-მეთქი. ასე რომ, თავლის წასმით ცოტნე დადიანმა ჯალათის მახვილსაც შეუშვირა კისერი-მეთქი. რაც შეეხება თავლის წასმას და მზეზე დაჯდომას, ეს უძველესი და უსასტიკესი აღმოსავლური სასჯელი გახლავთ, თავლში ბუზები კვერცხებს დებენ, კვერცხებიდან მაშინვე მატლები იჩეკებიან და ადამიანის ცოცხლად ჭამას იწყებენ-მეთქი.

მადლობელი ვარ, ბატონო, თქვენ ახლა, დაუფარავად უნდა გითხრათ, თვალი ამიხილეთო. სწავლა, მართლაც, რომ სიბერემდე ყოფილა. აგაშენათ ღმერთმა, აწი მე ვიცო.

ეს საუბარი ათი წლის წინ შედგა.

გადავიკითხავდი ამ ჩანახატს და ისევ უჯრაში ჩავაბრუნებდი. გამოქვეყნებას არ ვჩქარობდი. ვგრძნობდი, რაღაც აკლდა. მე, ცოტა არ იყოს, პრეტენზიულად გამოვიყურებოდი, ხოლო მასწავლებელი გულუბრყვილოდ.

წლეულს, გაზაფხულზე, ისეთ სურათს წავანყდი, ამ ნოვ-

ელის ფინალად უკეთესს რომ ვერ ვინატრებდი:

სამეგრელოს ერთ სკოლაში შეხვედრა მომიწყვეს.

კონცერტი სკოლის ეზოში გაიმართა, რაკილა კლუბი არ ჰქონდათ.

ერთ-ერთ ნომრად მოსწავლეებმა „ცოტნეს გმირობა“ წარმოადგინეს.

მათრახიან-ჩალმიანმა მონღოლებმა სუსტ ლორთქო ბალახზე ათიოდე შეთქმული გამოათრიეს, დააჩოქეს. წელ-ზევით გააშიშვლეს, ალაგ-ალაგ რაღაც წაუსვეს, მინაზე დაყარეს და თვითონ ჯალათები ოთხკუთხივ ტაბურეტის სკამებზე ჩამოსხდნენ სეირის საყურებლად.

ზუსტად მახსოვს, თვრამეტი მარტი გახლდათ.

ცივი, ღრუბლიანი დღე იყო.

ოდნავ ცრიდა კიდეც. ცოტა ხანში ცოტნემ შემოირბინა. შუბლზე ხელი მიიღო, თავისი მოძმეები ამ დღეში რომ ნახა, ვაჰმეო, ამოიგმინა, ფარჩა-ახალუხი მოისროლა, თავლი წაისვა და დასჯილებს შორის ინახით ჩაჯდა.

იქით ნოინი და მისი ნაზირ-ვეზირები რაღაცას ჩურჩულებდნენ, აქეთ კი თავლწასმულნი ეყარნენ.

დასჯის ეფექტი მაინც არ შედგა.

ბუზი წამლად რომ გექებნა, არსად იყო.

დრო გადიოდა. კიდეც უფრო აცივდა. დასჯილები წელ-წელა წამოჯდნენ ტანზე ხელის სმითა და კანკალით. ვილაცამ ცოტნეს როლის შემსრულებელს ლაბადა მოახურა. მაყურებლებში აქა-იქ ფხუკუნი გაისმა. მარტო ერთი ლურჯთვალეა თხუთმეტიოდე წლის ბიჭი ინვა გაუნძრევლად ცივ ბალახზე და ლამაზი ცისფერი თვალებით, ღრუბლიან ცას აჰყურებდა.

ჩემ უკან, ჩინარების ბუნებრივი კულისებიდან მოხდენილი ქალი გამოვიდა ცალ ხელში მოსწავლის ჩანთა ეჭირა, მეორეზე ტანსაცმელი ჰქონდა გადაკიდებული.

– ძიკი! – დაუძახა მინაზე გაშხლართულ „შეთქმულს“.

ძიკიმ არ მოიხედა.

ქალმა სერთუკი ესროლა და ზედ გულზე დაუგდო.  
მაყურებელი ისევ შეჩოჩოქოლდა.

– ქვეშ მაინც დაიფინე, ბიჭო, გეხვენები!  
წრიალებდა ძიკის დედა.

ძიკი არ განძრეულა.

– ძიკი! გაცივდები, შე სასიკვდილე, წამოჯექი და ისე იყავი,  
დედა. არ გესმის, ძიკი, შენ?!

– ასეა როლში. დამანებე თავი – კბილებში გამოსცრა ძიკიმ.

– ჩაიცვა ყველამ, დედა, მარტო შენ გაქვს ასეთი როლი?!  
ძიკი! არ გესმის ხომ ჩემი, ნახე რას გიზამს ამ საღამოს მა-  
მაშენი, მოხვალ სახლში, ძიკი, შენ!

ძიკი არ განძრეულა.

ამასობაში ლაბადამოსხმულ ცოტნე-მოსწავლეს ნოინთან  
უხმეს, მაგრამ მე მათი საუბარი არ მომისმენია, ჩემი არსება  
მთლიანად ძიკისკენ და გნოლივით აფრთქილებული, მისი  
გამწყრალ-გაბრაზებული დედისკენ იყო მიმართული.

მინანერი: ეს იყო სულ, ძვირფასო მკითხველო. ეს გახ-  
ლავთ ათი წლის წინათ შეწყვეტილი ნოველის გაგრძელება და  
ჩემი ფიქრით პასუხიც ისტორიის მასწავლებლის კითხვაზე –  
შეძლებენ თუ არა თანამედროვე ქართველები ცოტნე დადიან-  
ის გმირობის გამეორებას.

## დიალოგი უთანაშემოდ

პრეზიდენტი სტუმარს კარებში შეეგება. ხელი ჩამოართვა,  
გადაეხვია, ტელეფონებიანი მაგიდისკენ კი არ წაიყვანა, მარ-  
ჯვნივ, შავტყავგადაკრულ სავარძელში ჩასვა და თვითონაც  
წინ დაუჯდა.

გივის მოეჩვენა, რომ სავარძლები დაჯდომის დროს ფშვინ-  
ვისმაგვარ ხმას გამოსცემდნენ.

თმაგადასლექილი, თავისფერკოსტიუმისანი თანაშემწე  
შემოვიდა, დაჯდა, ჯიბიდან გრძელი შავყდიანი ბლოკნოტი  
ამოიღო და სმენად იქცა.

სტუმარმა თანაშემწისკენ გაიხედა.

– კი, ბატონო, – თქვა პრეზიდენტმა და თანაშემწეს თვალით  
ანიშნა.

თანაშემწემ ბლოკნოტი პიჯაკის ჯიბეში ჩაიბრუნა და გაე-  
იდა.

– შინ მოსულიყავი, – უთხრა პრეზიდენტმა.

– რა ვიცი, აქ ვარჩიე. შენთან შემოღწევა არაა ახლა იოლი  
საქმე.

– დარეკავდი და...

– ყურმილს იღებენ და ზრდილობიანად მეუბნებიან, ბოდიშს  
ვიხდით, მაგრამ პრეზიდენტი დაკავებულია, ხვალ სამსახურში  
დაურეკეთო.

– შენ ეტყოდი, ვინცა ხარ.

– არ იცი ჩემი ხასიათი? არაფერი მიშლის ისე ნერვებს, რო-  
გორც ყურმილში ნათქვამი – „ვინ ბრძანდებითო?“

– წესია, მაგათ უნდა იცოდნენ, ვინ დარეკა.

– გცალია ერთი ოცი წუთი, გულდასმით რომ მომისმინო?

– მეტი იყოს.

– არ ვიცი, საიდან დავიწყო, თორემ სათქმელი, იცოცხლე,

მაქვს და ისეთი უცნაური სათხოვარით ვარ მოსული, გაგიკვირდება.

– ჰო.

– მერაბ, თუ ვინმეს გაუხარდებოდა პრეზიდენტად შენი არჩევა, ხომ იცი, მე გამეხარდა.

– ძალიან შორიდან იწყებ.

– საჭიროა. ჯერ მითხარი, ჩემში ეჭვი ხომ არ გეპარება?

– ვუმტკიცოთ ახლა ერთმანეთს ერთგულება? შენ რა, ურთიერთობის გასარკვევად მოხვედი ჩემთან? ხომ არ გავინწყდება, რომ კურსის ძმაკაცები და ზუსტად ოცდაცხრა წლის მეგობრები ვართ.

– ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ცას ვენიე სიხარულით შენ რომ პრეზიდენტად აგირჩიეს. გავიდა ხუთიოდე თვე და ახლა ვხვდები, რომ ცხოვრებაში ვერაფერს გამინწევდა ისეთ ცუდ სამსახურს შენმა ამომრჩეველებმა რომ გამინიეს, შენი გაპრეზიდენტებით.

– რაღა ეშველება ახლა ამ საქმეს, გინდა არ გინდა, ხუთი წელი უნდა აიტანო პრეზიდენტი ძმაკაცი, – გაეცინა პრეზიდენტს.

– მართლა გეუბნები. მე რომ სხვა პროფესიის კაცი ვიყო, კიდეც ჰო, მაგრამ მე მწერალი ვარ, მერაბ.

– მერე? ნერე, შე კაცო. მე ხელს თუ შეგიწყობ, თორემ ხელს ხომ არ შეგიშლი?

– სწორედ რომ შემიშლი.

– რანაირად?

– შენი პრეზიდენტობა შემიშლის ხელს. შენზე რასაც ვფიქრობ, ის რომ დავწერო, იმ დღეს გათავდება ჩემი მწერლობა.

– ვერ გავიგე?

– რა გაგება უნდა. მე შენი მეგობარი ვარ. ესე იგი უნდა გაქო და ეს იმას ნიშნავს, რომ კარის მწერლად ვიქცე, და სასწორზე შევაგდო წვითა და დაგვით აქამდე მოტანილი ჩემი მწერლური სახელი.

– შენ ფიქრობ, ისე სუსტი პრეზიდენტი ვარ, რომ სირცხვილი იქნება შენთვის ორიოდე თბილი სტრიქონი გაიმეტო?

– საქმეც მაგაშია, რომ არა ხარ ურიგო პრეზიდენტი, მაგრამ ჩემ ყოველ სიტყვას – შენ საქებრად აღვლენილს, უკუღმა გაიგებენ. გუგულის და მამლის იგავს გაიხსენებენ და „მეხოტბეს“ დამიძახებენ.

– გათავისუფლებ ჩემზე კარგის თქმის მოსაწყენი ფუნქციონისაგან. ჩემზე ნურაფერს იტყვი. ქვეყანაზე დაწერე.

– ეგ სულერთია. ახლა „დადებით საქვეყნო ძვრებზე“ ნათქვამი ყოველი სიტყვა შენამდე მოვა, შენთან იქნება დაკავშირებული და ამ ეშმაკობასაც მიმიხვდებიან.

– შენც ნუ იეშმაკებ, რა ვქნა ახლა. ნულარაფერს დაწერ.

– აი, როგორ მიშლის ხელს შენი პრეზიდენტობა. არდანერა ხომ ჩემს ლიტერატურულ სიკვდილს ნიშნავს.

– რა გიყო, აბა?

– სწორედ იმიტომ მოვედი, რომ შეგითანხმდე, როგორც მეგობარს.

– რაში?

– ხომ იცი, მე ცნობილი ვარ, როგორც ისეთი მწერალი, რომელიც ხშირად მიმართავს იუმორს, ირონიას, ერთი სიტყვით მხილების გზას ადგას.

– მაცნობ შენს თავს? ჩემზე ერთგული მკითხველი ვინ გყავს?

– ჰოდა, თუ გინდა, მე, როგორც მწერალი, არ გავთავდე და ხალხმაც არ შემიძულოს, მკითხველმა ზურგი არ შემაქციოს, ჩემს სტილს უნდა ვუერთგულო. ისევ კბენია მწერლად დავრჩე.

– ვერ გავიგე. თან მეუბნები კარგი პრეზიდენტი იქნებიო, თან კბენია მწერლად დავრჩებიო. ვთქვათ, მეთანხმები ჩემს ეკონომიკურ და ეროვნულ პოლიტიკაში, მაინც უნდა მაკრიტიკო?

– აუცილებლად... უნდა გამიგო მერაბ.

- რომ ვერაფერი მომიძებნო სახიდანო?
- მოგიძებნი რაღაცას.
- ნაკლის პოვნა იოლია, მაგრამ შენ ხომ მართალი არ იქნები შენს თავთან.
- რა ვქნა, მირჩიე, აბა. ვათქმევინო მკითხველს, ძმაკაცი გაუპრეზიდენტდა თუ არა, გივი ვაშაყმაძე დამტკბარდა მაქრულ, პანეგირიკოს მწერლად იქცაო?
- ვინ გთხოვს ქება-დიდებას. ობიექტური მწერალი იყავი.
- არ გამოვა ეგ საქმე, მერაბ. მე შევიცვლები, მე ის აღარ ვიქნები, რაცა ვარ.
- ესე იგი, მე შენ უნდა გადაგარჩინო, როგორც მამხილებელი მწერალი და შენ ერთი ნაბიჯიც არ უნდა გადმოდგა ჩემი
- როგორც პრეზიდენტის სახელის გადასარჩენად?
- ასე გამოდის.
- რას იტყვის ისტორია ამ ჩვენს უსამართლო, საიდუმლო გარიგებაზე?
- ჯერ ერთი, ამას ვერაფერს გაიგებს და მეორეც, ღირს იმად ერთი სახელიანი ქართველი მწერლის ღირსება, რომ შენი პრეზიდენტული თავმოყვარეობა შეეწიროს მას.
- კი მაგრამ, ჩემი პრეზიდენტობა ჩემი ასპარეზი და სამსახურის ფორმაა ჩემი ქვეყნისადმი. ყველა ნოველებს ხომ არ დანერს.
- მაგრამ შენი პრეზიდენტობა, უკეთეს შემთხვევაში, ათ, თხუთმეტ წელიწადში დამთავრდება, ჩემმა წიგნებმა კი საუკუნეებს უნდა გაუძლოს, როგორც შენ არაერთხელ გითქვამს სადღეგრძელოში კი არა, ჩემი ახალი წიგნის ნაკითხვის დროს, პირად საუბარში.
- ხომ არ გეჩვენება, რომ ძალიან დიდ მსხვერპლს მოითხოვ ჩემგან. შენ რომ იყო რიგითი მწერალი, ჯანდაბას, ყურადღებას არ მოგაქცევდი, მაგრამ შენ გივი ვაშაყმაძე ხარ და ჩემი საპრეზიდენტო ეპოქაც თითქმის ისე შევა ისტორიაში, როგორც შენ დახატავ. შენ კი მოდიხარ და მეუბნები - შევთანხ-

- მდეთ რომ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, განუწყვეტლივ უნდა გაკრიტიკო და არ გენყინოსო.
- ეგ უკანასკნელი არ მითქვამს.
  - კიდევ კარგი, ნებას მაძლევ ხანდახან თავი დავიცვა?
  - რა თქმა უნდა. ეგ რომ არ გააკეთო, ჩემთვის უარესია. იტყვიან, ეგენი შეთანხმებულნი არიან და დაშვებული კრიტიკის დოზით აკრიტიკებს მწერალი, პრეზიდენტი კი დემოკრატიულობას თამაშობსო.
  - ესე იგი, მწვანე გზა მივცე იმ მოპასუხეთ, ვინც შენი ეკლემისაგან დამიცავს?
  - აუცილებლად.
  - რაც მეტ რისხვას დამაფრქვევ თავზე ჩემი მწერლური პრესტიჟისათვის უკეთესი იქნება. ამით შენ ბიოგრაფიას მიქმნი.
  - „რისხვაში“ რას გულისხმობ?
  - ყველაფერს რაც მოეძევა ხელისუფლებას თავის არსენალში მემამბოხე მწერლის გასაჩუმებლად.
  - სასამართლოში ხომ არ გიჩივლო?
  - დიდებული იქნება.
  - კარებზე ხელყუმბარა ხომ არ ჩამოგიკიდო?
  - მშვენიერი პასაჟია ბიოგრაფიული რომანის ავტორისათვის.
  - ციხეში ხომ არ ჩაგსვა?
  - ეგ იქნება ყველაზე დიდი პატივისცემა. მოკვლით ნუ მომკლავ და სხვა ყველაფერი ჩემს გაუკვდავებაზე იმუშავებს. ხომ წარმოგიდგენია, მწერალი ციხეში თავისი მამხილებელი სტრიქონებისათვის...
  - და ციხიდან ერთი ნაბიჯი რჩება ნობელის პრემიაზე წარდგენამდე.
  - გამოცანა გერგება.
  - ერთი რამ მაინც ვერ გავიგე. ეს ყველაფერი შენ - სახელი, დიდება, სამართლისათვის დევნილი კაცისადმი საყოველთაო სიმპათია, მაგრამ მე? მე რატომ გამწირე ასე?

- როგორ, გაგნირე?
- შენ მხოლოდ შენზე ფიქრობ და ფეხებზე გკიდია, რას იტყვიან პრეზიდენტზე, რომელმაც კრიტიკა ვერ აიტანა და მწერალს სასამართლოში უჩივლა, ან მით უარესი - ციხეში ჩასვა.
- ეგ შენი ხელობაა. ქვეყნის მართვა სხვანაირად არ გამოვა. პრეზიდენტობაზე რომ დათანხმდი, უნდა გცოდნოდა, რომ ვილაც-ვილაცების დაპატიმრება და ჩასმა მოგიწევდა.
- გააჩნია რისთვის.
- დამნაშავე რომც არ არსებობდეს, ქვეყნის მმართველმა უნდა გამოიგონოს, რათა სხვები გაუფრთხილდნენ და ქვეყნის ორგულობა გულში არ გაივლონ.
- ეგ ყველაფერი ვიცი, მაგრამ მე შემძლია წყნარი, მშვიდი, შემბრალები, მპატიებელი, ბრძენი, წინდახედული, აუჩქარებელი, მიმტევებელი პრეზიდენტის სახელით შევიდე ისტორიაში.
- ამ შემთხვევაში ისტორიაში ჩემი ადგილი აღარ დარჩება. ან თუ ვინმე მახსენებს, როგორც ფუნქციონერ, ერის გულის დარდის ფეხზე დამკიდებელ მწერალს. მეტი არაფერი.
- ესე იგი, მე და შენ ნორმალური ურთიერთობით ვერ დავტეულვართ ამ ქვეყანაზე. ვთქვათ, დაგეთანხმე. ხომ იცი რა ეპიგონების იღბალი გაქვს. სხვებიც ხომ მოგბაძავენ.
- ალბათ მომბაძავენ. რას იზამ, უნდა აიტანო.
- ესე იგი, შენ, ჩემმა ძმაკაცმა, უნდა მისცე პირველი ხმა იმათ, ვინც, ნებით თუ უნებლიეთ, ჩემ ჩამოგდებას შეეცდება?
- ავანტიურებში არ გავერევი. მე მხოლოდ ობიექტურად გაგაკრიტიკებ.
- მაგაზეც დიდი მადლობა.
- პრეზიდენტი გაჩემდა. პეშვს სული შეუბერა და სტუმარს ცერად გახედა.
- იქნებ სჯობდა შევთანხმებულიყავით და ერთმანეთისთვის ნერვები არ მოგვეშალა?
- რითი?

- შენ შენი სუსხიანი მწერლობით და მე ჩემი „ზომების მიღებით“.
- დამიჯერე მერაბ, ასეა საჭირო. ამით შენ დავინწყებისაგან და მკითხველთა გულგრილობისაგან იხსნი გივი ვაშაყმაძეს.
- აღარ არის საშველი?
- რა საშველი?
- თუნდაც მცირეოდენი კომპრომისი ორივე მხრიდან.
- არამც და არამც. თუ ჩემი ნამდვილი მეგობარი ხარ, სწორად უნდა გამიგო.
- დარწმუნებული ხარ რომ სწორად გაიგებს ამას ქვეყანა?
- აბსოლუტურად. ქვეყანას სერიი ხელს აძლევს.
- ჩვენი საერთო მეგობრობა?
- ცოტას გაიკვირებენ და დაწყნარდებიან.
- ჩვენი ოჯახები?
- ნუ ეშვები, მერაბ. წელან ჩვენ საუკუნეებში სასიარულო ჩემს ლიტერატურულ სახელზე და მის გადარჩენაზე ვლაპარაკობდით. რა შუაშია, მეგობრები და სიდედრ-ცოლისძმა.
- რა ვიცი. მე შენი ძმობა უფრო ძვირად მიღირდა, ვიდრე პრეზიდენტობა.
- სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვი ჩემს საქმეზე. მწერლობა სხვა კერპია.
- კეთილი. ოღონდ ყველაზე მეტად რომ გაგიჭირდეს, ეს საუბარი გაიხსენე და განსაკუთრებით ის ადგილი, როგორ გეხვეწებოდი კომპრომისზე.
- კი ბატონო.
- სტუმარი წამოდგა.

\* \* \*

სამწუხაროდ, ეს შეთანხმება შეთანხმებად დარჩა. მწერალმა გივი ვაშაყმაძემ შეასრულა, რაც პრეზიდენტს განუცხადა. იგი პირდაპირ და დაუფარავად, რომ იტყვიან, სახელდებით აკრიტიკებდა პრეზიდენტს თავის ნოველებში, წერილებში, ინტერვიუებში...

მკითხველთა შორის დღითი დღე იზრდებოდა მისი სახელი. ერი უკომპრომისო, მართალ, მებრძოლ მწერლად რაცხდა.

პრეზიდენტმა დაარღვია პირობა.

არსად ჩანდა დაპირებული თავის დაცვა, საპასუხო ნაბიჯი, კრიტიკული განსჯა, პრეზიდენტული „ზომები“ და იქნებ რეპრესიებიც...

წამებულის გვირგვინი ხელუხლებლად იდო საიმედოდ დაკეტილ საპრეზიდენტო საცავში.

19... წლის ექვს აგვისტოს მწერალმა გივი ვაშაყმაძემ თავი მოიკლა.

თუ რამე მნიშვნელობა აქვს, აქვე დავძენ რომ ბრაუნინგის საფეთქელზე მიდებით კი არ მოიკლა თავი, ყელი გამოიჭრა ძველი, ჟანგიანი მამაპაპური ხანჯლით.

„მიღალატეს“. ეს ერთადერთი სიტყვა ეწერა მწერლის სანერ მაგიდაზე დატოვებულ ქაღალდზე.

ვინ უღალატა და რატომ, ამაზე ბევრი იმსჯელებს ბიოგრაფებმა, მაგრამ ცნობილი მწერლის სიკვდილის მიზეზს ვერა და ვერ მიაგნეს.

სიმართლე მხოლოდ ერთადერთმა კაცმა – პრეზიდენტმა იცოდა.



## ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს

(საყმაწვილო მოთხრობა)

„ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს“ გახლავთ ჩემი პირველი მოთხრობა. დავწერე იგი ქუთაისში 1959 წელს, თვრამეტი წლის ბიჭმა, მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ.

ორიოდე წლის შემდეგ უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა გავბედე და წარვუდგინე „საბლიტგამს“. დიდხანს ედოთ რედაქციის პორტფელში. ყოველ მისვლაზე მპასუხობდნენ, რეცენზენტს გადავეცითო. ბოლოს, როგორც იქნა, მაღირსეს პასუხი. სარედაქციო დასკვნა ხელმოუწერელი იყო. ასე რომ, დღესაც არ ვიცი, „ვინ გამოიჭრა ყელი“.

რევაზ მიშველაძის მოთხრობა, ეწერა რეცენზიაში, დანერილია საბჭოთა წყობილებაზე გულაღრენილი ახალგაზრდა მწერლის მიერო. არა მარტო მოთხრობის გმირი – მეცხრეკლასელი ვაჟა ჯღამაძეა დაბნეული და იმედგაცრუებული, მისი მოძღვარი გურამიც გაურკვეველი პოზიციის კაციო. ვაჟას არც კომკავშირის სჯერა, არც კლასის ამხანაგების და არც იმ სამკერვალო ფაბრიკის პერსონალისა, სადაც პრაქტიკის გასასვლელად მიაბარესო.

ვურჩევთ უცნობ ავტორს, თუ ასე მუქი სათვალით აპირებს ლიტერატურაში მოსვლას, იგი ვერ გაუნევეს სათანადო სამსახურს ჩვენს ჯანსაღ ახალგაზრდობას და აჯობებს სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელიო.

იქნებ მართლა სჯობდა, სხვა საქმე გამომეწყო, მაგრამ ვერ შევძელი, არ მეწერა და დაგვიანებულ ბოდიშს ვუხდი ჩემს მკაცრ მოქალაქე-რეცენზენტს.

დასეტყვილი პირველი მოთხრობა კი ლამის ორმოცი წელია აღარავისთვის მიჩვენებია.

ახლახან, უფრებს რომ ვალაგებდი, წავანყდი ჩემს პირველ ლიტერატურულ შეცოდებას, სიყმანვილის პირმშოს, გადავიკითხე და გადასაგდებად ვერ გავიმეტე. რაც მთავარია, ბევრი ვერაფერი აღმოვაჩინე შიგ ისეთი, საბჭოთა ახალგაზრდობას სწორი გზიდან რომ გადაახვევინებდა და ქვეყანას რომ დაანგრევდა.

გთავაზობთ ორი პატარა მიზნით გულმოცემული: ჯერ ერთი, იქნებ ოდესმე ვინმეს დააინტერესოს, როგორ იწყებოდა რევაზ მიშველაძე და მეორეც, იქნებ ვინმეს ერთ ჯიუტ ფაქტად გამოადგეს იმის საილუსტრაციოდ, თუ რას ერქვა კომუნისტური ცენზურა.

**რევაზ მიშველაძე**  
**05.01.1999 თბილისი**

როგორც კი რუსულის გაკვეთილზე სიჩუმე ჩამოვარდა, ჩანთიდან ღამურა ამოვაძვრინე, ფეხები შევუხსენი და შავ, ტიტველ ფრთებზე სული შევუბერე. ღამურამ ორჯერ შემოუფრინა კედლებს, მერე დაფას შეასკდა და ნისკარტგახეთქილი დაეცა ძირს. ბავშვებს არ გასცინებიათ, მაგრამ მე მაინც დამიბარეს მშობელი.

\* \* \*

- ბებია!
- ბებიაა!

ჭიშკარს არავინ მიღებს, როგორც ჩანს, ბებიაჩემი ბაზრიდან ჯერ არ მოსულა. ბებიას ყოველთვის ავინყდებოდა ჭიშკრის ურდულით დაკეტვა და დღეს რალამ გაახსენა.

- ყურმა, სად შეინახა ბებია გასაღები?

ყურმამ თავისი ფიცრულიდან თავი გამოყო, წელში გაიზინქა და კუდის ქნევით მომესალმა. მერე წინა ფეხებში ჩარგო თავი და უხალისოდ მომამტერდა. ყურმას დიდი თავი აქვს და

ლონიერი ფეხები. ჯერ მხოლოდ სამი წლისაა, ალბათ, კიდევ გაიზრდება. ყურმას ჩვენი ქუჩის ძაღლებში ყველაზე ბოხი ხმა აქვს, მაგრამ ამ ბოლო დროს აღარავის უყევს. ზის თავის ჯიხურში და თვლემს. და მაინც ყურმა მსხვილი ჯაჭვით გვიბია. დედაჩემი ამბობს, ქურდს ჯაჭვით დაბმული ძაღლის უფრო ეშინიაო. შიშისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ყურმა ფიცრულიდან გამოყოფილი დიდი თავით და ყელზე ვერცხლისფერი მედალიონით (რომელსაც არაფერი აწერია), უფრო მეტს ეუბნება ეზოში შემომსვლელს, ვიდრე ზოგიერთი მეტიჩარა ძაღლი, ყველაფერს რომ უყევს და თავისი ჩრდილისაც კი ეშინია. მე მაინც მგონია, რომ ყურმას ჩვენებმა გაუფუჭეს გუნება. დააბნიეს. ერთხელ, როცა ყურმა ჯერ კიდევ პატარა იყო, მეზობლის სტუმარი დაითრია შარვლით. ამჯერად ლეკვს გალანძღვა აკმარეს. მერე ეზოში გადმობალახებულ დომენტის უშობელს წაეთამაშა კბილებით; ახლა კი გაჯოხეს ყურმა; მგელი და უშობელი ვერ უნდა გაარჩიოს შენხელა ძაღლმაო? ბებიაჩემმა სულ აურია დავთარი; ეს თეთრსაყელოიანი კაცი ნათესავია, ნუ აწყენინებო, ეს კარაკულიანი ცხვარი მეზობლისაა – იყოსო. ეს ბავშვიაო, ეს ქალიაო, ეს ქალიშვილია და გული გაუსკდებაო, ეს ფოსტალიონია და ყეფას როგორ შეჰკადრებო. ჰოდა, ჩაიქნია ხელი ყურმამ. ახლა მისთვის სულერთია, ვინ შემოდის ეზოში და ვინ გადის; ნაცნობია თუ უცნობი; რა შემოაქვს თუ რა გააქვს. ხანდახან შემოვა სტუმარი ეზოში, დაინახავს ამხელა ძაღლს, უიმეო, იყვირებს, თოფნაკრავივით გატრიალდება და ჭიშკრის ღრიჭოდან იჭვრიტება. ყურმა შესცქერის სტუმარს და უხარია, რომ ეშინიათ მისი. ამ დროს გადმოდგება აივანზე ბებიაჩემი და ცივ წყალს გადაასხამს. – შემობრძანდით ბატონო, ნუ გეშინიათ, მაგი ტანათაა დიდი, თორემ კბენით არ იკბინებო.

- ყურმა მე მალე მოვალ.

ყურმას სულ არ აინტერესებს, როდის მოვალ. ჩანთა კონდარში გადავაგდე და ქუჩას დაუყუყვი.

ნოემბერი ქარიანი იცის ჩვენს ქალაქში. ახლა გამვლელები წინანდელზე უფრო ჩქარა დადიან. ქუჩაზე რატომღაც უფრო მეტი ფოთოლი ყრია, ვიდრე ახლომახლო ხეებზე იყო. ათასნაირი ფოთოლი წინილებივით ირევა ქუჩაზე და ფეხქვეშ სასიამოვნოდ ფაჩუნობს. ქარი კი არ ცხრება და ხეებზე შერჩენილ ყვითელ, ფართო ფოთლებს საცოდავად აკონწიალებს. ახლა ჩქარა დადიან ქუჩაში. მოხუცებს ყველაზე ჭკვიანურად აცვიათ, შუახნისანი ქუდებს დაეძებენ. გოგონები გულზე მიხუტებული ჩანთებით გარბიან და აბეზარი ქარისგან აფრიალებულ კაბებს ხელით იჭერენ. ჩემხელა ბიჭები თავშიშველნი ჩანან და ყოველ მოსახვევთან ქოჩორს ისწორებენ. ჩემხელა ბიჭები არ ჩქარობენ. ისინი ხმაურით მოჰყვებიან ტროტუარს და გამვლელ-გამომვლელს თვალს აყოლებენ. ჩემხელა ბიჭებს არ სცივათ. მეცხრე კლასში ვარ მე.

\* \* \*

ჩემი სახლის გვერდით, ქუჩის პირას, სოკრატის სახელოსნოა. სოკრატი ახალ ფეხსაცმელს არ კერავს, მხოლოდ შეკეთება ემარჯვება. სოკრატს ბევრი მუშტარი ჰყავს და ერთი შვილი. შვილს ავთანდილი ჰქვია. შინაურები ვათას ვეძახით. ვათა ჩემი ხნისაა, მაგრამ ჯერ კიდევ მეშვიდეშია, მოსწავლე მკითხველისათვის ადვილად მისახვედრი მიზეზის გამო.

სოკრატი ხელს მიქნევს. სახელოსნოში შევდივარ, სკამს ვაბრუნებ და ვჯდები. ვილაცის უშველებელ ფეხსაცმელს უკანასკნელ ლურსმანს ურტყამს და ფანჯრის რაფაზე ალავებს. მერე სათვალეს იხსნის და მეკითხება:

– არც ხვალ იქნება ვითომ სწავლა?

ვერ გავიგე.

– მოასწრებენ ვითომ იატაკის შეღებვას ხვალამდე?

მივხვდი, დღეს ვათა სკოლაში არ წასულა. მამამისისათვის უთქვამს, დღეს სწავლა არ არის, რადგანაც სკოლაში იატაკს ლებავენო.

– რა ვიცი, უნდა მოასწრონ, – ვპასუხობ მე და, ვინ იცის, მერამდენედ ვათვალთვლებ სახელოსნოს კედელზე გაკრულ კინომსახიობების სურათებს. ნეტა ვინ ამოჭრა ჟურნალებიდან ეს სურათები და ვინ გააკრა ასე გულმოდგინედ. სოკრატი არასოდეს უყურებს მათ.

– ვათა! – ყვირის სოკრატი.

ვათა კიბეზე ეშვება და ხელით რაღაცას მანიშნებს.

– რა იყო? – ისე უხალისოდ ეკითხება მამამისს, თითქოს საქვეყნო საქმეს მოაცდინესო.

სოკრატმა ბასრი დანით კობტად შემოხაზა ლანჩა და შემოსულს ახედა.

– ხომ ხედავ, რას მიგავს თითები.

სოკრატ ბიძია ხელებს თავის პატარა მაგიდაზე აწყობს. მე შევეყურებ მის თითებს. მიკვირს; სოკრატს დიდი რუხი ხელები აქვს. მარცხენა ხელის ცერა თითი კი იმსისხოა, რომ ჩემს ხუთივე თითს აინონის.

– იმას უყურებ? – თქვა სოკრატმა. სახელოსნოს ჭერზე ბაირალივით ჰკიდია დიდი მათრახი.

– რა იყო? – ისე ეკითხება ვათა, თითქოს პასუხი არ აინტერესებდეს.

– რა და, ყოფილა ხვალ სწავლა.

– ვინ თქვა?

– მე ვთქვი, – ჩავერიე მე.

– რა ვიცი, ჩვენ გამოგვიცხადა დამლაგებელმა, ხვალ იატაკს ვლებავთო და...

– ელაპარაკე ახლა ამას, – მეუბნება სოკრატი და ვათაზე მანიშნებს, – რატომ არ სწავლობს თუ იცი ხვალინდელ გაკვეთილებს?

ვათა ჩემკენ იხრება და საქმიანად მიხსნის:

– გააგებინე ერთი, ქართულში იგივე გვაქვს, რუსულში კარნახია, ალგებრამ ახალი უნდა აგვიხსნას, ფიზიკაში ცდა იქნება და გეოგრაფიამ კითხვით მოგვცა.

– რა მოგცათ კითხვით გეოგრაფიამ?

– ტბა.

სოკრატი გამომცდელად მიყურებს. არ მეცინება. თუმცა ძალიან კარგად ვიცი, რომ არა აქვს იგივე ქართულში, ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი კარგა ხანია ცდებს არ ატარებს და გეოგრაფიაც არასოდეს იძლევა გაკვეთილს კითხვით!

მაგრამ მე ჩუმად ვარ, ხალათის ღილს ვანვალებ და საუბარი სხვა საგნებზე გადამაქვს.

– ნინოშვილის ქუჩიდან უკვე დაუნყიათ ახალი გზის გაყვანა.

დღეს ტრაქტორები მუშაობენ. ოცდაათი მეტრი სიგანე იქნებაო, პირდაპირ სტადიონთან უნდა მივიდეს.

– ამ ჩვენს სახლებზე რა გაიგო მამაშენმა? – მეკითხება სოკრატი.

– ჩვენ ვრჩებით, მაგრამ ქუჩის პირას ვიქნებით, ასე ა, მსხლამდე ჩამოგვაჭრიან.

– რად უნდათ ამ სიფართე გზა?

– ფეხბურთისთვის, – ჩაერია ვათა.

– კი მაგრამ, გზაზე აპირებენ ფეხბურთის თამაშს? – ისევ მე მეკითხება სოკრატი.

– ბევრი ხალხი ივლის სტადიონზე, წელს „ა“ კლასში ვართ. ჰოდა, იმ ხალხს გზა ხომ უნდა, – კვლავ ჩემს მაგივრად პასუხობს ვათა და საუბრის გაგრძელებას ზედმეტად თვლის.

\* \* \*

სოკრატე ბიძიას სახელოსნოდან გამოსულს ზურგს მიწვავს იმის გახსენება, რომ დღესვე უნდა მივიყვანო სკოლაში მშობელი. მაინც რა ჯანდაბამ გამაშვებინა ის ღამურა. მეოთხედის ბოლოა. ვინ იცის, რა კუდს გამოაბამენ. დღეს საკონტროლო წერა გვქონდა. ისეთი სიჩუმე იყო კლასში, ისეთი, რომ არ შეიძლება ხელში ღამურა გყავდეს კაცს და არ გაუშვა.

ქუჩაში ძალიან ბევრი მშობელი დადის. ეტყობა, ბებიაჩემს დაავგიანდება. ნახევარი საათიც და გაკვეთილები დამთავრდე-

ბა. იჯდეს რუსულის მასწავლებელი სამასწავლებლოში და მელოდოს. რა ჩემი ბრალია, დედა მსახურობს, მამა ყოველთვის მივლინებაშია. რა იქნება, რომ?..

– ბოდიში, დედა, – სათვლიანმა ქალმა ნაბიჯი შეანელა.

– სკოლაში ხომ ვერ წამომყვებოდით? ჩვენი სკოლა აქვეა, არტილერიის ქუჩაზე.

– კი მაგრამ, რატომ?

– მშობელი დამიბარეს, დედა სამსახურშია, თანაც... იქნებ... ძალიან გთხოვთ.

– დაამავე რამე?

სათვლიან დედას, რაც შეიძლება მსუბუქად მოვაჩვენე ჩემი დანაშაული.

– კი მაგრამ, მე რომ არ ვიცნობ რუსულის მასწავლებელს? რუსულის მასწავლებელი დედაჩემს იცნობს. თქვენ ვითომ ჩემი დეიდა ხართ.

სათვლიანმა ქალმა ნარბები შეიკრა.

– ესე იგი, მოვატყუოთ აღმზრდელი?! – მან სათვალე მოიხსნა და დარიგება დამიწყო. სიცრუე ცუდი თვისებააო მითხრა, შემდეგ მიაბო, რა კარგად სწავლობდა თვითონ ამ ოცდაათი წლის წინათ, თურმე არასოდეს ტყუილს არ იტყოდა და გაკვეთილზე ყოველთვის წესიერად იჯდა. სიტყვის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ სახეზე შემატყო, რომ აღარ ვუსმენდი, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

რუსულის მასწავლებელი, ალბათ, კარგა ხანია მელოდება.

ქუჩაში ძალიან ბევრი მშობელი დადის.

ის ჭალარათმიანი კეთილი კაცი ჩანს, მაგრამ, ეტყობა, ძალიან ეჩქარება, ეს ქერათმიანი ქალი... არა, არ გამოდგება მშობლად. დინჯი უნდა იყოს, სერიოზული, თანაც არცთუ ისე ახალგაზრდა... ის პლაშჩიანი, ზედგამოჭრილია, ნეტავი წამომყვებოდეს.

მაღალი კაცი რომ გამისწორდა, წინ გადავუდექი.

მან ყურადღებით მომისმინა. არც ნარბები შეუქრავს, არც გალიმებია. მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– წავიდეთ.  
ჩემს ახალ „მშობელს“ ფართო ბეჭები აქვს და დიდი ღონიერი ნაბიჯები.  
– რა გქვია? – მეკითხება იგი.  
– ვაჟა.  
– რამდენი წლის ხარ, ვაჟა?  
– თხუთმეტი.  
– რომელ ქუჩაზე ცხოვრობ?  
მე ვუთხარი რომელ ქუჩაზეც ვცხოვრობ.  
ვერ იქნა და ფეხი ვერ ავუნყე. ისე ჩქარა მიდის ეს დალოცვილი. ასკინკილით ძლივს ვუსწორდები. ნეტავ, ვინ არის, ასე ბრმად რომ ვანდე მშობლობა.  
– დედა სად მუშაობს, ვაჟა?  
– ბუხჭლალტერია.  
– მამა?  
– გეოლოგი.  
მერე ცოტა ხანს ჩუმად მივდივართ. მოსახვევიდან გამოჩნდა ახალი ფართო ქუჩა. ქუჩაზე ათიოდე მუშა ჩამუხლულა და ტროტუარს აგებს. ამ დანგრეული სახლებისა და ღობეების, ამოთხრილი ხეებისა და მოშლილი ბუდეების ხარჯზე ნელა, ძალიან ნელა მიდის სტადიონისაკენ. გუშინ ის მწვანე ჭიშკარი ჯერ ისევ ჭიშკრობდა. აქეთ, გზის შუაგულში გრუხუნებს ტრაქტორი და მთელი ქვეყნის მინას ერთ ადგილას აგროვებს.  
– დიდი ქუჩა იქნება, ხომ?  
– ძალიან.  
– ამ ქუჩაზე ალბათ ტროლეიბუსიც გაივლის, ვაჟა, ა?  
– რა ვიცი.  
არტილერიის ქუჩის დასაწყისში მოჩანს ჩვენი სკოლის აგურისფერი შენობა. ამ შენობაში თურმე უნინ ჰოსპიტალი იყო. სკოლის წინ ძველთაძველი დანგრეული ეკლესიაა. ეკლესიას სკოლისაგან მაღალი ფიცრული ღობე ჰყოფს, ისე მჭიდროა ღობე, რომ კაცს ეკლესიის ეზოში შეხედვა გაუძნელდება და

მაინც ჩვენ იმ დანგრეული საყდრის ხშირი სტუმრები ვართ. ალბათ, ასე მაღალი ღობე რომა აქვს, იმიტომ ეკლესიაში ახლა არავინ დადის. როცა ბურთის სათამაშოდ მივდივართ, შიგ საკურთხეველში ვინახავთ ჩანთებს და შურდულებს. ეკლესიას არსად არაფერი აწერია და, ალბათ, თვით ისტორიის მასწავლებელმაც არ იცის, რომელ საუკუნეშია აგებული... ახლა კი სტადიონისაკენ მიდის უშველებელი გზა და პირდაპირ ეკლესიას უმიზნებს.  
– ეკლესიასაც დაანგრევენ? – ვეკითხები ჩემს თანამგზავრს.  
– დანგრეული არ არის?  
მართალია, ეკლესიას ორი კედელი არა აქვს და გუმბათიც სანახევროდ ღიაა, მაგრამ მე ჯერ არსად მინახავს ახალი ეკლესია და ასე მგონია, ვერ მოერევა ტრაქტორი ამისიქე კედლებს.  
– გაუჭირდება – ჩავილაპარაკე ჩემთვის.  
– მე მითხარი, ვაჟა, რამე?  
– არაფერი.  
სკოლის გზაზე აქეთ-იქით ჩამწკრივებულან პატარა ალვის ხეები. შარშანწინ დაგვარგვევინეს ეს ხეები. მახსოვს, ასტრონომიის გაკვეთილი გაგვაცდენინეს. ზოგმა ალვისხემ გაიხარა, მაგრამ, რატომღაც ძალიან ნელა იზრდებიან და უღლეურნი ჩანან.  
– როგორ სწავლობ, ვაჟა!  
ასეთ შეკითხვას დიდი ხანია მოველოდი.  
– მესამე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, როგორც ყველა. ისე, ალგებრის მაგალითებს ყოველთვის ვიყვან.  
– რომელ კლასში ხარ?  
– მეცხრეში.  
– კარგი ბავშვებია?  
– სულ ოცდახუთნი ვართ, ჩვიდმეტი ვაჟი და რვა გოგო... ყველანაირი ხალხია. თქვენ რა გქვიათ?  
იგი შეჩერდა, მხარზე მძიმე ხელი დამადო და გამიღიმა.

– ჰო, მართლა, სულ დამავინწყდა, გურამი. რა ვართ ჩვენ ერთმანეთის?

– თქვენ ჩემი ბიძა ხართ, დედის ძმა.

– მკაცრია რუსულის მასწავლებელი?

– არც ისე, მაგრამ არ უყვარს, როცა ეკამათებიან. თქვენ ყველაფერში დაეთანხმეთ. უთხარით, რომ მე ცელქი და ზარმაცი ვარ, რომ ქუჩაში ზამთრობით გოგოებს თოვლის გუნდებს ვესვრი და მგონი ჩუმ-ჩუმად პაპიროსსაც ვენევი. მერე უთხარით, რომ თქვენ შორეული ცურვის კაპიტანი ხართ. ახლახან ჩამოხვედით და გადანწყიტეთ, სერიოზულად მოკიდოთ ხელი ჩემს გამოსწორებას. უთხარით, რომ თქვენ ყოველგვარ აღმზრდელით ღონისძიებას იხმართ. გურამს გაეცინა.

სკოლის ეზოში მეორე ცვლის პატარები ირევიან. ერთმანეთს დასდევენ. უნდათ, ყველანაირი თამაში მოასწრონ ამ ხუთ წუთში. ჩიტებივით ჭყვიან და ასე მეჩვენება, რომ ზედმეტად მხიარული და ცოტათი თავქარიანები არიან.

სამასწავლებლო მეორე სართულზეა.

პირველი სართულის დერეფანში სამ ადგილას ჰკიდია შავად გაფორმებული წარწერა: „გაკვეთილების დროს აკრძალულია დერეფანში დგომა და ხმაური. შესვენების დროს კი დერეფანში ბურთის თამაში, თავდაყირა სიარული და საკლასო ოთახებში ველოსიპედით ან ფეხბურთელის ფორმით შემოსვლა“.

სამასწავლებლოში მარტო იულია პლატონოვნა (ასე ჰქვია რუსულის მასწავლებელს) ზის და უსათვალოდ კითხულობს გაზეთს. მე პირველად ვნახე იგი უსათვალოდ. იულია მხოლოდ მაღალ კლასებს ასწავლის. ნელს პირველ სექტემბერს შემოვიდა იგი ჩვენთან. მანამდეც ხშირად მინახავს, მაგრამ, რუსულის მასწავლებელი თუ იყო, არ ვიცოდი. შემოვიდა და მაშინვე გაგვაფრთხილა: მე სიჩუმეს ვარ მიჩვეული გაკვეთილზე და შარშანდელი თქვენი საქციელი ქარს უნდა გაატანოთო. არ მიყვარს, მოსწავლეები ერთმანეთს რომ კარნახობენ, გაკვეთილზე ბუზებს რომ იჭერენ, მასწავლებელს ჟურნალს

რომ ჰპარავენ და მორიგეები სამფეხა სკამს რომ ახვედრებენო. შეიძლება სხვა მასწავლებლები ამას მიჩვეულნი იყვნენ, მაგრამ მე, ნურას უკაცრავადო.

კიდევ ბევრი რამ გვითხრა იმ დღეს იულია პლატონოვნამ (სხვათა შორის, მაშინ გვითხრა იულია პლატონოვნა დამიძახეთო). მერე სია ამოიკითხა. ჩვენი გვარები წამდაუნუმ ეშლებოდა. ჩვენ გაუბედავად ვიცინოდით. დეგამადზე რომელია, იკითხა რუსულად. ავდექი. შენ ეშმაკს გავხარ ძალიანო. თავი დავხარე, როგორ მიხვდა-მეთქი, გავიფიქრე. ჭკვიანად იყავი, ჩემთან ხუმრობა არ გაგივაო. ბავშვებს გაეცინათ. არ ვიცი, რატომ და თვითონ პლატონოვნასაც გაეცინა. ჩემმა კლასელებმაც რომ ნახეს, თვითონ მასწავლებელი იცინისო, მოუმატეს და მოუმატეს სიცილს. იულია პლატონოვნამ იფიქრა, ესენი სიცილს არ დაამთავრებენო და დაჰკრა მუშტი მაგიდას. სავსე სამელნე აყირავდა და რატომღაც არ ნაიქცა. მასწავლებელმა წარბშეკრულად შემომხედა და დაჯექიო, – დამიყვირა, არ დაგინახო მეორედ რომ იცინოდე; ახლა რომ ამას აკეთებ, მერე რას მოიმოქმედებ; ბევრი მინახავს შენისთანებიო. ჩემთან რომ ამას შვრები, სხვასთან რას იზამო.

მე გაოცებისაგან მხრები ავიჩეჩე.

პლატონოვნა მიხვდა, რომ უსაფუძვლოდ მიჯავრდებოდა და წყნარად, ქართულად მითხრა:

– სადაური გვარია, ბოშო, ჯღამაძე? – ეს იყო მისი ერთადერთი ქართული სიტყვა, რომელიც იმ პირველ გაკვეთილზე წარმოთქვა.

მე ვუთხარი, ბაბუაჩემის გვარია-მეთქი, მამაჩემიც ჩემ გვარზეა-მეთქი. მერე შარშანდელი გაკვეთილები გამოგვკითხა და რაკი ყველას დავინწყებულები გვქონდა – რუსულში სუსტები ყოფილხართო. ასეთი ცოდნით მე მეცხრე კლასში არ გადმოგიყვანდითო. ყველას შეგვრცხვა. დალიც კი განითლდა. დალი ლალიძე – კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ჩვენს კლასში ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი გოგოა.

როცა გაკვეთილი დამთავრდა, იუღია მასწავლებელმა გამოგვიცხადა, დღეს პირველი სექტემბერია. ეს გაკვეთილი თქვენს გაცნობას მოვანდომე, ხვალ კრილოვს აგიხსნითო. გასვლისას საკლასო ჟურნალი დაავინყდა. მერე დერეფანში დავენიე, ჟურნალი დაგრჩათ-მეთქი. იუღია პლატონოვნამ გულმოსულად დახედა ჟურნალს და სათვალის ზემოდან ძალიან, ძალიან ეჭვიანად შემომხედა, ორჯერ მოიხედა უკან, გაფრთხილების ნიშნად თითი დამიქნია და კარი შეაღო.

იმ დღის შემდეგ იუღია პლატონოვნა მშობელს ხშირად მიბარებს. ბებიაჩემი იუღია პლატონოვნას საყვედურებს ყოველთვის ოლიმპიური სიმშვიდით ისმენს და ყველაფერს იმახსოვრებს. ხანდახან გაკვირვებით ჩაილაპარაკებს; ღმერთო, ეს ბავშვი ვის დაამგვანეო. ბებიაჩემი და იუღია პლატონოვნა ერთი ხნისანი არიან. მე მგონია, ძალიან უყვართ ერთმანეთი, იმიტომ, რომ ბევრი რამ აქვს საერთო. ეს თუნდაც იქიდანა ჩანს, რომ ისინი ჩემით იწყებენ მუსაიფს (ო, რა მკაცრი, სერიოზული სახეები აქვთ მაშინ), მერე თანდათანობით საუბარი სხვა თემაზე გადააქვთ და ამთავრებენ იმით, რომ ხახვს ცეცხლი ეკიდება ბაზარში, რომ წმინდა ნინოს ქალთა რეალური სასწავლებელი გადასარევი რამ იყო და რომ ჩვენს ქალაქში ავტობუსების გაჩერება ძალიან შორი-შორს არის. დიდხანს, ძალიან დიდხანს საუბრობენ ისინი და უნდა ნახოთ, რა ტკბილად შორდებიან ერთმანეთს. ხანდახან, როცა მოენატრება იუღია პლატონოვნას ბებიასთან საუბარი, მგონია, უხარია კიდევ ჩემი მორიგი ოინბაზობა და სწუხს, როცა არაფერს ვაშავებ. თურმე ერთ დროს ბებიაჩემიც მასწავლებლობდა, ახლა უბრალოდ – ბებიაა და პენსიას ღებულობს. პენსია მოხუც ფოსტალიონს მოაქვს, იგი ცხრაჯერ მაინც შეისვენებს მოსახვევიდან ჩვენს ჭიშკრამდე და მე მგონია, პენსიონერი ჩემი ბებია კი არა, ის ფოსტალიონი უნდა იყოს.

\* \* \*

იუღია პლატონოვნამ შეგვამჩნია თუ არა, სათვალე გაიკეთა და შემოგვხედა, მერე სათვალე მოიხსნა და ისე შემოგვხედა.

– ჯღამაძე, სად არის თქვენი მშობელი? – მკითხა მან ისე, რომ გურამისთვის თვალი არ მოუშორებია.

– დედა სამსახურშია, პატივცემულო, ბებია ბაზარში წასულა და ბიძაჩემი მოვიყვანე.

იუღია პლატონოვნამ სცადა, კმაყოფილის სახე მიეღო, მაგრამ, რომ არ გამოუვიდა, გურამს სკამზე მიუთითა, მე კი მკაცრი ტონით მითხრა.

– ჯღამაძე, გადი გარეთ.

სიტყვები არ მესმის, მაგრამ ღრიჭოდან მშვენივრად ვხედავ მოსაუბრეთა სახეებს. იუღია პლატონოვნა ხელებს ასავსავებს და შეიძლება აზვიადებს ჩემს მცირე „დამსახურებას დისციპლინის დარღვევის საქმეში“. გურამი ყველაფერზე თავს უკრავს და არ ილიმება.

კარგა ხნის შემდეგ გურამი კარისაკენ გამოემართა, და ფანჯარასთან მიმდგარს ხელი დამიქნია.

– შემოდი!

შევედი. ვატყობ, ყველაფერს მშვიდობიანად ჩაუვლია, მაგრამ ამჟამად ჩემს წინაშეა სათნოების გამომჟღავნების ყველაზე რთული ეტაპი. იუღია მასწავლებელს წინ დავუდექი და თავი რაც შეიძლება მარჯვნივ გადავხარე, სიმორცხვის და სინანულის ნიშნად.

– სიკვდილი არაა ახლა ეს შენთვის?– მეკითხება პლატონოვნა.

ხმას არ ვიღებ.

– ხომ შეგპირდი, არავის არაფერს დავუმალავ-მეთქი. რა ღმერთი გაგინყრა დღეს. სად გყავდა, ბიჭო, ის უბედური ღამურა?

მე კვლავ ჩუმად ვარ და თვალს არ ვაშორებ ჟურნალების გრძელ ყუთს, რომელიც კედელზე ჰკიდია. თითოეულ დანაყოფს კლასის ნომერი აწერია. აგერ ჩვენი ჟურნალიც IX<sup>2</sup>.

– ამოიღე, ბიჭო, ხმა. ბიძაშენს მაინც რატომ არცხვენ, კაცს ცრემლი მოადგა, შენი საქციელი რომ მოვუყევი.

მე მეოთხედ ვარ სამასწავლებლოში. გრძელ მაუდგადაფარებულ მაგიდაზე მაღალყელიანი სურა დევს. სურაში ყოველთვის ნახევრამდეა წყალი. სურის გვერდით ჭიქის ნაცვლად მინის ქილა იდგა ახლაც.

– რაკი ხმას არ იღებს, ალბათ გრძნობს თავის დანაშაულს, – სულზე მომისწრო გურამის ხმამ.

– თქვი, ბიჭო, რამე?!

– დამნაშავე ვარ, მასწავლებლო.

– რა პირობას აძლევ ბიძაშენს?

– ყოველგვარ პირობაზე თანახმა ვარ.

– აბა, ჰე, თქვი, როგორ მოიქცევი.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ის იყო, უნდა მეთქვა, ხვალღიდან სულ სხვა ჯღამაძე ვიქნები-მეთქი, რომ პლატონოვნას მონდომებულ სახეს რომ შევხედე, გამეცინა.

უეცრად გურამი წამოწითლდა, თვალები დამიბრიალა და მართლა გაჯავრდა.

– ხედავთ, იუღია პლატონოვნა, პირობის დადებაც არ სურს. არა, იგი ღირსი არ არის მოსწავლე ერქვას. მე შენ გასწავლი ჭკუას! ამ სიტყვებთან ერთად გურამი ყურზე მწვდა და ისე მაგრამ ამქაჩა, რომ კინალამ ვიყვირე – თუ კაცს პატივი ეცი, კეთილი ინებე და ნერვები დაიწყნარე ვიღაცა ოხერი ხარ-მეთქი.

განითლებულ ყურზე ხელი მოვისვი და შიშით ავხედე „ბიძაჩემს“.

არა, იგი არ ხუმრობდა.

ისევ იუღია პლატონოვნას შევეცოდე.

– ისე, კაცმა რომ თქვას, მთლად წყალწაღებული კი არაა. მაგაზე უარესებიც არიან. მაგრამ შენ სხვებს რას უყურებ, ასეთი ბიძის პატრონი, – მერე ისევ გურამს მიუბრუნდა – შინ ნამეტანს ნუ გაუჯავრდებით, დღევანდელი დღე ეყოფა გაკვეთილად.

ცოტა ხნის შემდეგ პლატონოვნას გამოვემშვიდობეთ და კიბეზე დავემშვიტ.

გურამი ჩუმადაა. შვიდ საათზე უკვე კარგა შელამებულია და სიცივეც ღონივრად უჭერს.

გურამი წინანდებურად გრძელი ნაბიჯებით მიდის. მე მის ნაფეხურებს ვუყურებ და თავდახრილი მივდივარ. ჩემთვის ჯერ ყური დედაჩემსაც არ აუნევიან.

მოსახვევთან გურამი შეჩერდა და ხელი გამომინოდა.

– აბა, კარგად იყავი, უნდა ნავიდე, რამ დაგამუნჯა, ბიჭო?

– მაღლობელი ვარ.

– ხომ არ გენყინა, ყური რომ აგინიე?

– რას ამბობთ, პირიქით, ასე იყო საჭირო.

გურამს გაეცინა.

– ველარ მოვითმინე, თანაც ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე.

– ვიცი... ერთბაშად ხომ არ სწავლობენ ჭკუას.

– ჩქარი ბიჭი ჩანხარ, თუმცა შენი საქმისა შენ უკეთ იცი. ნახვამდის.

თავი დავუქნიე.

იგი შემობრუნდა და აკრიალებულ სიბნელეში კიდევ კარგა ხანს ირხეოდა ჩქარი ნაბიჯით მიმავალი.

\* \* \*

სოკრატის ეზოდან ყვავივით ამოფრინდა ჩექმა და კინალამ თავში დამეცა. ჩექმას სოკრატის ყვირილი და მუქარა მოჰყვა. მე და ვათამ ერთდროულად გავალეთ ჭიშკარი. ვათამ კარი მიიჯახუნა და ბუზღუნით ჩაილაპარაკა:

– ჰო, კარგი, არ ნავალ.

– სად არ ნახვალ, ვათა? – ვკითხე და გვერდით ამოვუდექი.

მან შეწუხებული სახით შემომხედა და კეფა მოიფხანა.

– კინოში არ მიშვებს.

– რა გადის ამაღამ?

– რალაცა კარგი იქნება. თექვსმეტ წლამდე არ უშვებენ.

ჩვენ ვალიკოს სახლის წინ მერხზე ჩამოვსხედით და გავაბო-  
ლეთ. პაპიროსს კვირაში ერთხელ ვყიდულობთ და აქვე, მერხის  
ქვეშ თუნუქის კოლოფში ვინახავთ, რომ არ დასველდეს. სულ  
დამავინწყდა თქვენთვის გამეცნო ვალიკო, მაგრამ ვალიკოს მე  
თვითონაც არ ვიცნობ. მხოლოდ ვიცი, რომ ეს ფიცრის ერთ-  
თვლიანი სახლი მისია. თვითონ ვალიკო არასოდეს მინახავს.  
სახლს დიდი ბოქლომი ადევს და ეზოში საცალფეხო ბილიკზე  
ბალახი ამოსულა. სოკრატმა მითხრა, ვალიკო ერთი მარტოხ-  
ელა კაცი იყო, პოლიტიკურზე დაიჭირეს და სულ ციხეშიაო.  
სასჯელს რომ მოიხდის, გამოუშვებენ, მაგრამ, სანამ სახლ-  
ში მოვიდოდეს, გზაზევე იწყებს კომუნისტების ლანძღვას და  
ისევ ციხეში აბრუნებენო. მე და ვათას ძალიან გვინდა ვნახოთ,  
რა კაცია ეს ვალიკო.

- რამდენი წელი დარჩაო ნეტა? – მეკითხება ვათა.
- არ ვიცი.
- უკანასკნელად რომ დაიჭირეს, ორმოცის ყოფილა.
- ვალიკოს სახლი ყველაზე ძველია.
- გუშინწინ ვილაც ბებერი ქალი ფათურობდა ეზოში.
- ვალიკოს მამიდაა, სოფელში ცხოვრობს.

ვალიკოს სახლში არასოდეს ვყოფილვართ. ორი ძირი ხე  
დგას ეზოში – ვაშლი და ქლიავი. ვაშლი საადრისა, ივნისში  
უკვე მწიფდება და ცვივა. ჩვენი ქუჩის ბიჭებიდან ფიქრადაც  
არავის მოსვლია ვალიკოს უპატრონო ეზოში გადაპარვა და  
ვაშლის მოკრეფა.

- რვა კლასს რომ დავამთავრებ, ნავალ სახლიდან, – ფიქრს  
მანყვეტინებს ვათა.
- სად ნახვალ, ბიჭო?
- თბილისში, ბენდელიანის სკოლაში, რვა კლასის მერე ლე-  
ბულობენ.
- იცის მამაშენმა?
- არა.
- გაგიშვებს?

- არ გამიშვებს და გავიპარები. პირდაპირ სული ამომართ-  
ვა მაგისმა ჯაჯლანმა. მეოთხედის ბოლო რომ გამახსენდება,  
ტანში მაჟრჟოლებს. მოვა და ატეხავს ყვირილს. დამლაგებელ-  
იც კარგი ბედოვლათი მყავს, შენს ბიჭსო, ეუბნება, სწავლა  
ძალიან კარგად შეუძლია, მაგრამ ზარმაციაო. არ შემეძლია,  
კაცო, რომ შემეძლოს – ვინ მამაძაღლი. ვკითხულობ და თავში  
არ შედის. ყოველდღე ხუთი გაკვეთილი რავარი საზეპიროა.  
ერთხელ მოვუყევი ფაციას ლექსი და თმები გამაცალა, რა-  
ტომ მცემ-მეთქი, თურმე შეგიძლია სწავლა და არ სწავლობო.  
ის ლექსი სიმღერით ვიცოდი და ადვილად დამამახსოვრდა.  
გარჩევის წიგნში მაინც სულ უკუღმაა ყველაფერი. ყორანი თუ  
სადმე შეგხვდეთო, ფაციამ, ის მართლა ყორანი კი არ არის,  
რეაქციის სიმბოლოაო. გაზაფხული თუ ვინმემ ახსენოს, ტყ-  
ემლის აყვავილება კი არ არის, რევოლუციის მაუნყებელიაო,  
ზამთარი წყეული მეფის რეჟიმს გამოხატავს, ხოლო მელია  
მატყუარა და მლიქვნელ ადამიანსო. მოდი და გაუგე რამე.

ბევრ რამეში არ ვეთანხმები ავთანდილს, მაგრამ ახლა კა-  
მათის დრო არ არის, „არომატს“ უკანასკნელ ნაფაზს ვარტყამ  
და შინისაკენ მივდივარ.

\* \* \*

ყურმა წინა თათებზე ხტუნავს და წკმუტუნით დააჟღერია-  
ლებს ჯაჭვს. იგი არც კი მაცლის ყელსაბამის შეხსნას. ისე  
უხარია თავისუფლება, ერთ ადგილას ვერ ვაკავებ. სანყალი  
ყურმა, ალბათ, ერთი სული აქვს, როდის დაღამდება და გულ-  
ზე ეყრება, როცა თენდება.

სარდაფიდან ნაჯახის კაკუნი ისმის.

ნეტავ ვინ უნდა იყოს? ორი ნახტომით ჩავრბივარ კიბეს და  
დედაჩემს ვუყვირი:

- რას შვრები, დედა?!
- დედამ ჰაერში შეაჩერა ნაჯახი.
- სად ხარ, ბიჭო, აქამდე?

- წუხელის იმდენი შეშა რომ დავჩეხე, გათავდა?
- შე კაცო, იმის შემდეგ სამჯერ დავჩეხე.
- მერე შენ სად შეგიძლია შეშის დაჩეხვა.
- მაგდენი რომ გესმოდეს, დროზე მოხვიდოდი სახლში.
- მომეცი ნაჯახი.

შეშა ბევრი გვაქვს. ზაფხულში მოვიტანეთ ორი მანქანა და ზაფხულშივე დავახერხინეთ მუშებს პატარ-პატარა მორეზად. მორეზიდან ზოგი ადვილად იჩეხება, ზოგი კი კორძიანია და ძალიან ჯიუტობს. სწორედ კორძიანი ჯირკვები მიყვარს საჩეხად და, რამდენიც უნდა ვენვალო, სულ რომ ჩამომწყდეს მკლავები და ზურგზე სამი პირი ოფლი შემამრეს, სანამ არ გავჩეხავ, არ მოვეშვები.

\* \* \*

... რა დიდია დღელამე.

სახლში სინყნარეა. ბებია ღუმელთან ზის და ჩემს პერანგს ღილებს აკერებს. დედა მეორე ოთახშია, კითხულობს. თორმეტის ნახევარია. ვზივარ ჩემს მაგიდასთან და „ნიანგს“ ვათვალთვლებ. ალგებრის ამოცანა გამოვიყვანე, მაგრამ კითხვები ჯერ არ შემიდგენია, ხვალ დილით გადავწერ. ერთუცნობიანი განტოლებაა, სულ ადვილად გამოდის. ისტორიას სკოლაში ნავიკითხავ. დღეს პუგაჩოვის აჯანყება აგვიხსნეს და ძალიან კარგად მახსოვს.

ჩვეულებად მაქვს, როცა ვზივარ, ფეხს ვაქანავებ და ჩვენს სულელ კატას ჰგონია, ვეთამაშები. ახლაც იატაკზე გულაღმა კოტრიანებს და თათებს მონდომებით მიცაცუნებს. მე არ მიყვარს კატები. ჩვენს კატას, ალბათ, ნამდვილი თაგვი არასოდეს უნახავს და ამიტომ ყველაფერი თაგვი ჰგონია – იატაკზე გაგორებული კოჭის ძაფი, ბებიას საქსოვი გორგალი და მაგიდიდან მოტაცებული ძეხვის ნაჭერიც კი. „ნიანგში“ ერთმა ხუმრობამ გამაცინა: განათლების ინსპექტორი ეკითხება მასწავლებელს: „– თქვენი ბავშვების ნაწერებში ბევრი შეცდომაა, არ უსწორებთ?

– რაფრა არ ვუსწორებყენ, მარა ესმითყენ?“ – პასუხობს მასწავლებელი და სასაცილო ის არის, რომ მასწავლებელს ჭრელი თავსაფარი ახურავს, ფეხებზე დახურული ბოტები აცვია და, სათვალე რომ ჰქონდეს, ძალიან ემგვანება იულია პლატონოვნას.

დღეს იმ უცხო კაცისათვის წესიერი მადლობაც კი არ მითქვამს; რა ერქვა? გურამი. როცა შევხვდები... ან შევხვდები კი ოდესმე?

– ვაჟა! – დედა მეძახის.

მაგიდის ნათურა ჩავაქრე და მეორე ოთახში გავედი.

დედაჩემი საბუღალტრო აღრიცხვის ახალ სახელმძღვანელოს კითხულობს. წიგნს ყდაზე დიდი შავი საანგარიშო ახატია.

– რა ამბავი იყო დღეს სკოლაში?

– არაფერი.

– გაგიძახა ვინმემ?

– არავინ.

– ინგლისურთან იყავი?

– ხვალ უნდა მივიდე.

დედაჩემი თმაში მიყოფს ხელს და გულზე მიხუტებს.

მანც რა გაუთავებელი ფერება იციან ქალებმა.

– გაკვეთილები მოამზადე?

თავს ვუქნევ.

– წადი ახლა, დაიძინე.

... სანოლ ოთახში ცივა. ჩემი ლოგინი ფანჯარასთან დგას. მე ვწვები და დიდხანს არ მეძინება. რადიო მთელი საათია უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემს და ვერ გაათავა. ვდგები და ვაჩუმებ, მანც არ მეძინება. სიჩუმეში უფრო არ მეძინება. ათას რამეზე ვფიქრობ და ფანჯრიდან დიდი შავი ლამე მოჩანს.

\* \* \*

ამოდენა ბიჭი ვარ და აქამდე არ ვიცი, რომელ საათზე იძინებს ან რომელ საათზე იღვიძებს დედაჩემი. აი, უკვე ფეხზეა და სამზარეულოში საქმიანობს. 8 საათია.

წუხელ უწვიმია. ახლა აღმოსავლეთისკენ ცა მოსარკულია და ალვისფერი ღრუბლის ფთილები უნა-უნა გარბიან დასავლეთისაკენ. ჰორიზონტზე კავკასიონის მთაგრეხილი მოჩანს, თეთრ-ლურჯი მთები ახლა შორიდან ძალიან ჰგვანან ჩვენი თეატრის სპექტაკლის „ახალგაზრდა მასწავლებლის“ მეორე მოქმედების დეკორაციას.

ფანჯარა გამოვალე. ოთახში სუსხი დატრიალდა. კალენდარს ფურცელი ჩამოვახიე და დაორთქლილ მინას კაცის თავი დავახატე. ძალიან მიყვარს კაცის თავების ხატვა. ყველაფერს კაცის თავს ვახატავ. თუ სადმე ნახოთ, რკინის ქიშკრებზე ან ლობის ფიცრებზე ცარცით დახატული უღვაშიანი კაცის თავი სწორი წარბებით და ლამაზი კეხიანი ცხვირით, იცოდეთ, ჩემი დახატულია. თავებს კარგად ვხატავ, მაგრამ, რაც მართალია, ადამიანის ფიგურა არა და არ გამომდის, ან ფეხები აქვს მოკლე, ან ბეჭები სხვადასხვა ზომის და წელში ისეა გამართული, კედელზე ლურსმნით მიჭედდის ჰგავს. ხანდახან ვუყურებ და ვფიქრობ; არა, ეს თავი ამ ტანისა არ არის-მეთქი.

ჩვენი სარკე ძალიან მხიარული სარკეა. თუ თავს ცოტათი მაღლა ასწევ და ისე ჩაიხედავ, სახეს ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოგიქცევს და შემჭიდროებულ შუბლ-ნიკაპზე საკუთარ თვალებს და პირსაც ვერ დაინახავ. ხოლო როგორც კი ოდნავ დასწევ თავს, გამოსახულება დაგრძელდება, ცხვირი და თვალები არაჩვეულებრივად იწელებიან და სარკიდან ვილაც მახინჯი, თავკიტრა არსება გიცქერის. მე ძალიან მიყვარს ეს სარკე, რადგანაც ყოველ დილით კარგ გუნებაზე მაყენებს.

დილით ყველა საათი ჩქარობს. ნეტავ, ასე სწრაფად გაკვეთილზე გადიოდეს დრო. ამ ქოჩორმა სულ გამიჭირა საქმე, ყოველ დილით ისე ჯიუტობს, ძლივს ზევით მივაჩვიე მაინც, როცა ვივარცხნი, მეხამრიდევით პერპენდიკულარად დგას.

– ვაჟა, დაგვაგვიანდა! – ქიშკრიდან იძახის ვათა და სიცივისაგან ცალ ფეხზე ხტუნავს.

– ამ წუთში, – ვპასუხობ მე და ჩანთაში გაკვეთილების ცხრილის მიხედვით უკანასკნელ წიგნს ვდებ.

სირბილით მივდივართ ქუჩაში.

ჩვენ პირდაპირ მუსიკალური სასწავლებლის სამი „ფისუნია“ მოდის. ისინი მე და ვათას ყოველთვის ამ ადგილას გვხვდებიან. ჩვენ მათი სახელები დიდი ხანია ვიცით. მათაც კარგად იციან, ვინა ვართ, მაგრამ მაინც არასოდეს არ ვესალმებით ერთმანეთს. ერთხელ ვათამ ჰკითხა იმ გოგონათა შორის ყველაზე ლამაზს – როზა გოდუაძეს, გრძელი, ქერა ნაწნავები რომა აქვს და რალაცნაირი ფერის თვალები, სად სწავლობთო? – ნიჭიერთა ათწლეუდი. ისე ამაყად უპასუხა გრძელნაწნავებიანმა, რომ მე ხმამაღლა გამეცინა. ის დღე და ის დღე, ჩვენ მათთან არ გვისაუბრია.

... ახალგაზრდა დედებს საბავშვო ბაღში თითქმის ძალით მიჰყავთ აზღუქუნებული პატარები...

... ტაქსის შოფრები ელვის სისწრაფით მიაქროლებენ მწვანენათურიან მანქანებს და არავის უჩერებენ. აქაოდა ამ ქუჩაზე ტაქსის გაჩერება არ არისო.

... უნივერსალის წინ დღესაც ძველთაძველი გაზეთი ჰკიდია: „აი, ვინ გვარცხვენს“. გაზეთის ფურცლიდან გამვლელ-გამომვლელს სამი თვეა ეჯღანება 22 წლის უპარტიო ჟორა მარგველაშვილი, რომელიც თურმე არსად არ მუშაობს და ამ რამდენიმე ხნის წინ ვლადივოსტოკში უბილეთოდ აპირებდა გაფრენას.

– სალამი – მე და ვათა ერთდროულად მივესალმეთ ბუთხუზა მეორეკლასელს, რომელსაც მკლავზე საზოგადოება „ნითელი ჯვრის“ ნიშანი აქვს ამოქარგული. ბუთხუზამ ჩანთა ლაჯებში ამოიღო და გამწარებული ეცა ყურებიან ქუდს მოსახდელად, ქუდს, რომელიც, ალბათ, ამ დილით ასე გულმოდგინეთ გაუნასკვა ნიკაპთან დედიკომ.

– იყოს, იყოს, – სიცილით ვუთხარი მე და ცხვირზე ცერა თითი მივაჭირე.

– პი-პი!! დაიპიპინა ბუთხუზამ და შვეებით გაიცინა.

მოსახვევთან ახალი ქუჩა გამოჩნდა. მუშები გუშინ დაგებულ ქვაფენილზე სხედან და ბრეზენტის უხემ ხელთათმანებში პაპიროსები უჭირავთ. ტრაქტორი წინ და უკან დახრივინებს და სველ მიწას თავის უშველებელ მუხლუხოებს ახატავს.

სკოლის პირდაპირ, ეკლესიის მაღალ ღობესთან, ხალხს მოუყრია თავი. ამ ადგილას ამდენი ხალხი არასოდეს დამინახავს. გამვლელები ჩერდებიან და ერთმანეთს საყდრის ეზოში მდგარ მაღალ ჭადარზე ანიშნებენ. მივუახლოვდით.

– დაბმულია?

– ალბათ, მახე დაუგეს!

– მახე კი არა, ვერ ხედავთ, ფეხზე ზონარი აქვს!

– მაინც ასე როგორ დაება?

– ცოდოა!

სანოვაგიან ქალს ვეკითხები:

– რა მოხდა, დეიდა?

– ვერა ხედავ? ჩიტია ჩამოკიდებული – მიპასუხა მან და ჭადრის კენწეროზე მიმითითა. ფოთლებგადარცულ ჭადრის კენწეროზე თავდაღმა ჰკიდია ნაცრისფერი ჩიტი და ფართხალებს. ქვემოთ კი უამრავი საქმიანი გამვლელი შექუჩულა და გულით განიცდის ნაცრისფერი ჩიტის გაჭირვებას.

– ალბათ, ვილაცხას გაექცა.

– ფეხზე ზონარი ება და ტოტმა დაიხვია.

– რა ეშველება?!

ბევრი არ მიფიქრია, ჩანთა ვათას მივაჩეჩე, საყდრის ღობეში მონიშნული ფიცარი გამოვაძრე, ჭადართან მივირბინე, ფეხზე გავიხადე და ფორთხვით ავუყევი სველ ხეს.

პირველ მსხვილ ტოტამდე ძალიან გამიჭირდა. ჭადარი ბებერია და მკლავებით ვერ ვწვდები, თანაც ნანვიმარია და ფეხი წამდაუნწმ მისრიალებს. თითები მეტკინა, შუბლზე სიმწრის ოფლმა დამასხა, ერთი გადაწყვეტა გადავწყვიტე, დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ, ქვემოთ რომ ჩავიხედე და ჩემკენ მოქცეუ-

ლი უამრავი თვალი დავინახე, უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე და ჭადრის ტანზე ქოშინით ავფორთხდი.

ის-ის იყო ჩიტს ზონარი შევუხსენი და მისი პატარა ფრთები ხელში მოვიმწყვდიე, რომ სკოლის ზარი დაირეკა.

ნაცრისფერი ჩიტი ძვირფასი ნადავლივით ჩავბლუჯე და ქვევით ჩამოსვლა დავინყე.

– ყოჩაღ!

– გიშველა, ბიძია, ღმერთმა.

– ჩიტს ხელს ნუ მოუჭერ, თორემ გაიგუდება, – დამიძახა ქვემოდან ძალიან ლამაზმა ხმამ.

ის-ის იყო მიწაზე უნდა დავშვებულეყავი, რომ ჩიტს ცოცხალი თავისუფლება მივეცი, მანაც არ დაახანა და ხელიდან გამიფრინდა. ქვემოთ ერთდროულად აყაყანდნენ. ზოგს, ალბათ, გაეხარდა, რომ გამექცა ჩიტი, ზოგს ეწყინა, რადგანაც შეიძლება სხვა ხეზე დააბას იმ საბედისწერო ზონარმა, ფრანივით რომ მიაფრიალებს ჰაერშიო. ჩიტი იქითა ორსართულიანი სახლის სახურავზე შეფრინდა.

ცოცხალმკვდარი ჩამოვედი ხიდან და როცა ეკლესიის ღობიდან თავი გამოვყავი, დავინახე უამრავი ზურგი. ხალხს ყურადღება ორსართულიანი სახლის სახურავზე გადაეტანა. გული დამწყდა. ვათას ჩანთა გამოვართვი და თავდახრილი გავემართე სკოლის ეზოსკენ, უეცრად ვილაცხამ მხარზე დამადო ხელი და მომაბრუნა.

– გამარჯობა, ვაჟა!

შევხედე, გურამი იყო, თვალებში გუშინდელი ღიმილი უჩანდა.

– გაგიმარჯოს.

– რაო, გაგიფრინდა ჩიტი?

– გამიფრინდა.

– არა უშავს, სხვა დროს დაიჭერ. წადი ახლა და იულია პლატონოვნას ჩემგან მოკითხვა გადაეცი.

– კეთილი.

იგი წავიდა. ვერ მოვახერხე ამეხსნა მისთვის, რომ მე ჩიტის დაჭერა კი არა, მისი განთავისუფლება, გადარჩენა მინდოდა მხოლოდ.

... სკოლის ეზოში შემოსულს ვათამ ხეივნიდან მანიშნა, უკან გაბრუნდიო.

ჭიშკარს ამოვეფარე, ვათა ქოშინით მოვარდა.

პირველი გაკვეთილის გამოსვლამდე აქ ვიყოთო.

– რა მოხდა?

– ოთარია ბრეგვაძეს დაგვიანებულები დაუჭერია და უკანა ეზოში ქვებს აზიდვინებს.

ოთარ ბრეგვაძე ფიზკულტურის მასწავლებელია. იგი თავის გაკვეთილებს ხშირად სიამოვნებით უთმობს ეზოს კეთილმოწყობას.

\* \* \*

პირველი გაკვეთილის დამთავრების ზარმა არ დაიგვიანა. სკოლის ეზო სირბილით გავიარეთ.

მეორე სართულზე მთელი დაფა უჭირავს განცხადებას: „ხვალ 2.30 საათზე გაიმართება სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის ღია კრება. დღის წესრიგი: პირველი მეოთხედის შედეგები და მეორე მეოთხედში ორგანიზაციის ამოცანები (მომხს. კომკავშირის კომიტეტის მდივანი დალი ლალიძე)“. განცხადების ქვემოთ ვილაცას ლურჯი ფანქრით მიუწერია: „კრების შემდეგ გაიმართება ცეკვები და გათამაშდება ლატარია“. ეს განცხადება არჩილ ფხაკაძემ დახატა, მთელი დღე ეხვეწებოდა გუშინ დალი, ოღონდ ეს ერთი განცხადებაც დამინახტე და ყოველდღე გადაგიწერ ფიზიკის დავალებასო.

ოთახში შევედი თუ არა, ფხაკაძეს მივვარდი.

– „არა“ ჩამინერა?

ფხაკაძემ თავი დამიქნია.

– ვერაფერი ვერ უთხარით?

– არ დაგვიჯერა.

– რა უთხარით მაინც ასეთი?

– გუბელაძემ უთხრა, შორს ცხოვრობსო, ბალანჩივაძემ უთხრა, გუშინ თავი სტკიოდაო, ბემკენაძემ უთხრა, მგონი სახლი დაენვა, გუშინ მაგის სახლისკენ სახანძრო მანქანა მიქროდაო, ხახალეიშვილმა დაადასტურა ბემკენაძის ნათქვამი, მე ვუთხარი, ვაჟას ეზოში სტადიონის გზა გაჰყავთ-მეთქი და დალი ლალიძემ...

– რა უთხრა ლალიძემ?

– ლალიძემ უთხრა, გატყუებენ, პატივცემულო, ამ დილით ვნახე, სკოლისკენ რომ მოვდიოდი ეკლესიის ხეზე მიფორთხავდაო.

გამეცინა.

ნინასწარ ვიცოდი, რომ დალის ასე უნდა ეთქვა. თუ ვინმეს შეეძლო დავენახე ამ დილით, იგი უსათუოდ დალი უნდა ყოფილიყო.

– არ ადიოდა ხეზე? თქვას, აბა, თვითონ – შემობრუნდა ფანჯარასთან მიმდგარი დალი და თეთრქალაღდადაკრული ნიგნი გულზე მიიხუტა. მისკენ წავედი.

– საიდან დამინახე?

– ავტობუსიდან.

– ხომ შეგეძლო, არ გეთქვა მასწავლებლისთვის?

– შემეძლო.

– გაგეხარდა, „არა“ რომ ჩამინერეს?

– მაინც ჩაგინერდნენ, ჩემს ნათქვამს არაფერი შეუცვლია.

– რატომ ხარ ასეთი?

– როგორი?

– მეტიჩარა.

– ერთხელ ხომ მიიღე მაგის გულისათვის, აღარ ისწავლი ჭკუას?

– არ გიხარია?

– რა?

– მეტიჩარა და ლამაზი რომ ხარ.

– ახლა... დედას ვფიცავარ... დალი განითლდა და წიგნი მომიღერა, – კაცმა ხმა სულ არ უნდა გაგცეს.

– ოჰო, არ ამატირო, ნუ გამცემ მერე, მე ვლაპარაკობ შენზე რამეს?

– აბა, ბიჭო, მე სულ შენზე ვლაპარაკობ, ხომ იცი.

– ჯერ უნდა იკითხო.

– რა უნდა ვიკითხო?

– რატომ ავდიოდი ამ დილით ხეზე.

– ჩემთვის სულერთია.

დალი თავისი მერხისკენ წავიდა. ბავშვები რიგრიგობით გადიან დაფასთან და ცარცს უკაკუნებენ. რალაცებს წერენ. ფრიადოსნები ერთხელ კიდევ იმეორებენ პუგაჩოვის აჯანყებას. მორიგე დაფის შლას ვერ აუდის. ახლა ისტორიის გაკვეთილი გვაქვს. ისტორიის მასწავლებელი ახალგაზრდაა და მკაცრი. მან წელს დაამთავრა ინსტიტუტი და გაკვეთილზე ოდნავ ხმაურსაც კი ვერ იტანს. მას ვახტანგი ჰქვია. სალდაძეა გვარად. ვახტანგი ქუჩაში არასოდეს მინახავს, გარდა ისტორიისა, არასოდეს არავითარ საკითხზე არ გვესაუბრება და მთელ ჯგუფს თოფით ეშინია მისი. ვახტანგი გაკვეთილზე ყოველთვის ჩახმახით შემართული დგას, ხანდახან შუბლს ცხვირსახოცით ინმენდს და წამდაუნუმ საათს დაჰყურებს. ვახტანგი გაკვეთილიდან ძალიან დალლილი გადის.

... კლასში ვახტანგის ნაცვლად იუღია პლატონოვნა შემოდის.

იგი სკამის მთელობას ამონმებს და ნელ-ნელა ჯდება. იუღია მასწავლებელს გრძელი შავი პალტო აცვია, რადგანაც ჯერ ნოემბერია და სკოლას არ ათბობენ.

– დასხედით!

ზოგიერთები დასხდნენ.

– არ გესმით თქვენ, რას ჰქვია დასხედით?

– პატივცემულო, ახლა ვახტანგის გაკვეთილი უნდა გვეკონოდა.

– შენ ნუ მასწავლი გუბელაძე, რა უნდა გქონოდათ. ვახტანგი ხვალ ჩემ მაგივრად ჩაატარებს.

– დღეს თქვენ ატარებთ მის მაგივრად? – არ ისვენებს გუბელაძე.

– რა გინდა, ბოშო, სამხედრო კომისარიატში დაუძახეს კაცს და წავიდა, არ გესმის შენ?!

– სად წავიდა, პატივცემულო?

– კომისარიატში, დანყნარდით ახლა.

– უი, ალბათ, ჯარში ეძახიან.

– არ ვიცი... ჯარი თვარა, ომია ახლაც, ახლანდელი ჯარი თამაშობაა.

– ომის დროს ძნელი იყო ხომ, პატივცემულო? მოგვიყვივით რა?!

პლატონოვნა მიხვდა, რომ გუშინინდელივით მოგონებებში გაატარებინებდნენ მთელ გაკვეთილს და დროზე გამოერკვა.

– ხმა არ გავიგონო ახლა. გუბელაძე, ადექი ზევით!

გუბელაძე ადგა.

– შენ დაჯდები გვანცელაძის გვერდით, გვენეტაძე, შენ აქეთ გადმოხვალ ხახალეიშვილთან, სირაძე...

ერთი სიტყვით, იუღია მასწავლებელს გადაუწყვეტია „დისციპლინის განმტკიცებისა და მონაფეთა შრომისუნარიანობის ამალღების მიზნით“ მერხზე ქალ-ვაჟი დასვას. აქამდე ბიჭებს ორი რიგი გვეჭირა, ერთად ვისხედით, ხოლო გოგონები ფანჯრის გასწვრივ იყვნენ ჩამწყრივებულნი. იუღია მასწავლებლის ახალი განრიგით მე დალის გვერდით მომიწია დაჯდომამ და ისიც პირველ მერხზე.

რა გაენყოზა, ამოვიღლიავე ჩანთა და დალის გვერდით მოინებით დავეშვი.

იუღია მასწავლებელმა გამოგვიცხადა, ქალ-ვაჟთა ერთად დაჯდომა პედსაბჭომ დაადგინაო. დღევანდელი თქვენი მერხებზე განაწილება საბოლოოა და არავითარი პრეტენზიები მხედველობაში არ მიიღებო.

ამის შემდეგ ჩვეულებრივი გაკვეთილი დაიწყო.

– რაკი დრო ცოტა დაგვრჩა, წინადადება გავარჩიოთ, – გვითხრა იულია პლატონოვნამ და დაფასთან ხახალეიშვილი გაიძახა. ხახალეიშვილი ნელა წამოდგა და დაფასთან გავიდა. ზურგზე ქინძისთავით დამაგრებული ქალაღი მოუჩანს წარწერით „ცრუ“. ჯგუფი ახარხარდა. ხახალეიშვილი ჯერ ვერაფერს მიხვდა. ეგონა, ფართო შარვალი რომ მაცვია, იმაზე ეცინებათო და იულია პლატონოვნას სთხოვა, ჯგუფი დაეწყინებინა. იულია პლატონოვნამ ზურგიდან ქალაღი ჩამოგლიჯა და დიდხანს დასცქეროდა. მერე ქალაღი ჟურნალში ჩადო და ხახალეიშვილს გრძელი ქვეწყობილი წინადადება უკარნახა რომანიდან „კაპიტნის ქალიშვილი“. სანამ ხახალეიშვილი წინადადებას გაარჩევდა, მე შევცქეროდი მის ანონილ ტანს, რომელსაც სიმალლეში გაზრდის საოცარი თვისება ჰქონდა. ხახალეიშვილი რატომღაც ასო „ჰ“-ს შევადარე და გამეღიმა.

\* \* \*

... დღეს ბოლო ორი გაკვეთილი ცხრილის მიხედვით პოლიტექნიკურ სწავლებას უჭირავს. შარშან სოფლის მეურნეობის საფუძვლებს გვასწავლიდნენ. სკოლის ნაკვეთზე სამ-სამი მეტრი მოგვიზომეს და გვითხრეს, თქვენ თვითონ დაამუშავეთ და, რაც გინდათ, დათესეთო. სექტემბერში თესვის დრო აღარ იყო, ამიტომ ჩვენს ნაკვეთებს მზრალად ბარვა ვაკმარეთ და გაზაფხულზე მომდევნო ჯგუფს გადავაბარეთ, ჩვენ კი სიმინდზე და მის სარგებლიანობაზე შალვა ბემკენაძის თეორიული გაკვეთილებით დავკმაყოფილდით. ნელს სექტემბრიდან სანარმოო სწავლება კვირაში ორჯერ გვაქვს, პირველ მეოთხედში ახალგაზრდა, ხალათიანი მასწავლებელი, ნაზი სირბილაძე, სკოლის ერთადერთ ძველ ჩარხზე ჩაქუჩს გვაკეთებინებდა...

ზარი დაირეკა. ნაზი მასწავლებელი შემოვიდა და გამოგვიცხადა: სახელოსნოში ნუ ჩახვალთ, დღეიდან მეცა-

დინეობა სამკერვალო ფაბრიკაში გვექნებაო. ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექონდა, დავავლეთ ჩანთებს ხელი და სამკერვალო ფაბრიკისაკენ გავემართეთ.

\* \* \*

ჩვენი სკოლის ახლოს, ნულუკიძის ქუჩაზე დგას სამსართულიანი გრძელი შენობა. შენობა ყურადღებას იქცევს მაღალი გალავნით (ისე მაღალი გალავნით, რომ ქუჩიდან მხოლოდ სენობის მესამე სართული ჩას) და ფართო ქიშკრის თაღზე ოქროსფერი წარწერით „№2 სამკერვალო ფაბრიკა“. რაკი ეს ფაბრიკა ჩვენს სკოლასთან ძალიან ახლოსაა, როგორც ნაზი მასწავლებელი ამბობს, ამიტომაცაა ჩვენთვის საშეფო ფაბრიკა; ხოლო, შესაბამისად, ჩვენი სკოლაც სამკერვალო ფაბრიკისათვის საშეფო სკოლას წარმოადგენს. საშეფო სკოლას და საშეფო ფაბრიკას მეტად რთული და საინტერესო ურთიერთვალდებულება აქვთ. საშეფო სკოლამ საშეფო ფაბრიკაში უნდა ჩაატაროს მეგობრობის საღამოები და სკოლის თვითმოქმედი ძალებით გამართოს კონცერტები საშეფო ფაბრიკის უფარდო კლუბში – დეპუტატებთან შეხვედრის ან სხვა საზეიმო ღონისძიების ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ. შესაბამისად, საშეფო ფაბრიკამ დახმარება უნდა გაუწიოს სკოლას ეზოს გამწვანების, საცეკვაო ფორმების შეკერვის და წითელი კუთხეების გაფორმებაში. და, რაც მთავარია, საშეფო ფაბრიკაში საშეფო სკოლის ყველა მოსწავლე უნდა დაეუფლოს, ამ შემთხვევაში, მკერავის პროფესიას. ჩვენი სკოლის ახლოს ელმავალმშენებელი ქარხანა რომ ყოფილიყო, მაშინ იგი ჩვენი საშეფო ქარხანა იქნებოდა და ჩვენ ელმავლების კეთებას ვისწავლიდით, ჩვენი სკოლის ახლოს რომ ყოფილიყო საათის ქვების ქარხანა „აქათი“, მაშინ ჩვენ საათის პანაწინა ქვების კეთებას ვისწავლიდით, მაგრამ ჩვენი სკოლის ახლოს, ნულუკიძის ქუჩაზე მდებარეობს სამკერვალო ფაბრიკა №2 და ჩვენც მკერავის პროფესიას უნდა დავეუფლოთ.

ზოგ ფაბრიკაში შესვლაზე საშვი საჭირო, ზოგში კი გამოსვლაზე. ეტყობა, ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება №2 სამკერვალო ფაბრიკაც. ნაზი მასწავლებელმა კიბესთან გაგვაჩერა და გვითხრა: მომიცადეთ, ადგილკომს ვნახავ და ახლავე დავბრუნდებიო. იგი ისე ნელა ადიოდა კიბეზე, რომ ჩვენი ჯგუფის ოცდახუთივე მოსწავლემ ერთდროულად გავიფიქრეთ – რა შესაფერისი სახელი გქვიათ თქვენ, პატივცემულო მასწავლებლო.

ხახალეიშვილმა კიბის საფეხურს სული შეუბერა, თავისი ტყავის ჩანთა დადო ზედ და გუბელაძეს სთხოვა, დაბრძანდითო. გუბელაძემაც დინჯად მოიკალათა შემოთავაზებულ ადგილზე.

ფხაკაძემ ჩანთიდან ძველთაძველი მარაო ამოაძვრინა და ლეილა აბრამიძეს ნაზად უნიავებს; ლეილამაც სიამოვნებით მიუშვირა სახე მარაოს და ისე ნეტარებით ხუჭავს თვალებს, თითქოს ჩვენ გვახარებებს, აქაოდა, შემომხედეთო, რა პატივისცემაში ვყავარ თანაჯგუფელსო. ამასობაში ხახალეიშვილმა მოასწრო, ამოეცლია მისთვის შოკოლადის ფილა, რომელიც ლეილას გამოუღვევლად აქვს ჩანთაში. და ფხაკაძემაც ბოდიშმოუხდელად შეწყვიტა მარაოს ქნევა.

გოგონები კუთხეში მიყუჟულან და თავიდან იწყებენ საუბარს იმის შესახებ, რომ თმის შეჭრა ყველას არ უხდება, რომ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ქალს ალამაზებს და რომ უშოვო ჩულქი არსად არ იშოვება.

ამასობაში ნაზი მასწავლებელი დაბრუნდა. მან ერთი საფეხურით აინია კიბეზე და გვითხრა – ბავშვებო, როგორც იცით, დღეიდან თქვენი პრაქტიკის ობიექტად ეს ფაბრიკა იქნება. თქვენ სკოლას რომ დაამთავრებთ, სიმნიფის ატესტატთან ერთად მიიღებთ მკერავის მოწმობასაც და უფლება გექნებათ, ნებისმიერ სამკერვალო ფაბრიკაში იმუშაოთ. დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული. მეცადინეობა ფაბრიკაში გვექნება, ჩვეულებრივად კვირაში ორჯერ, ვისაც სურვილი აქვს, ზედ-

მეტ საათებშიც შეუძლია მოსვლა. კერვას დავუფლებით სამკერვალო საამქროში, სადაც თქვენს მუშაობას ჩემთან ერთად უხელმძღვანელებს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი ჯუმბერ ... (გვარი დამავინწყდა), ჯუმბერი, რომელიც სამკერვალო საამქროს გამგის მოადგილედ მუშაობს. ახლა ყველანი წავალთ საამქროში. მინდოდა თქვენთვის ექსკურსიის სახით მთელი ფაბრიკა გამეცნო, მაგრამ ადგილკომი ადგილზე არ არის და ამას თქვენ სხვა დროს უჩემოდაც მოახერხებთ. ძალიან გთხოვთ, ფრთხილად იყავით. ეს სკოლა არ არის – ფაბრიკაა და კედლების ფხაჭნას, უადგილო ადგილას დგომას და უსაქმურ ლაპარაკს დროებით მაინც უნდა მოეშვათ. ნავიდეო, ჩანთები სამორიგეოში დატოვეთ.

სამორიგეოში შევცვივდით, ჩანთები მაგიდაზე დავყარეთ და ნაზი მასწავლებელს გავეყვით. მასწავლებელმა აიარა ერთი კიბე, გაგვატარა ბნელ, ვინრო დერეფანში, ჩამოგვიყვანა ფართო ვესტიბიულში, ისევ შეუდგა კიბეს, მარჯვნივ გაუხვია, ვინრო დახვეული კიბით დაემვა ქვემოთ და, როგორც იქნა, მივადექით პატარა, შავად გამურულ ზამბარიან კარს წარწერით: „სამკერვალო საამქრო“.

... კარი შევალეთ უზარმაზარ დარბაზში, რომლის ჭერზე უამრავი თეთრი ნათურა ციმციმებს და შიგ ამ ნათურების წყალობით თეთრი დღეა, ისეთი თეთრი დღე, რომ საკერავ მანქანებთან მჯდომ უთვალავ სახეებს ქალაღდის ფერი დასდებიან. ჩავიძირეთ გამაყრუებელ ხმაურში და დგანდგარში, მობუზულები ვდგავართ კართან, ყურადღებას არავინ გვაქცევს და ამ მაღალ ჭერქვეშ ხახალეიშვილიც კი საოცრად პატარა ჩანს. დარბაზის მარჯვნივ და მარცხნივ მთელ კედელზე ორი გიგანტური პლაკატია. ერთს აწერია: „ვალდებულება აიღე? შეასრულე კიდეც“, ხოლო მეორეს – „თუ ერთმა შეძლო, ყველა შეძლებს“.

ცოტა ხნის შემდეგ დაბალი ტანის, შავხალათიანი ახალ-

გაზრდა კაცი მოგვიახლოვდა. მას ხალათის ერთ-ერთ ჯიბეში მკერდთან გრძელი წითელი ფანქარი უდევს და ჯიბე ისე გაუტენია ქალაღებით, რომ ალბათ ქინძისთავიც არ ჩაეტევა. იგი უსათუოდ ჯუმბერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ნაზის ხელი ჩამოართვა და გვანიშნა, გავყოლოდით.

ჯუმბერმა უზარმაზარ საამქროში საკერავ მანქანებთან ჩამოგვარია. მკერავებს სათითაოდ აუხსნა, ვინ ვიყავით და რისთვის მოვედით, ჩვენი გვარები ბლოკნოტში ჩაინერა და ნაზისთან ერთად საამქროდან გავიდა.

ხმაურს თანდათანობით მიეჩვია ყური.

ვდგავარ თავმოპარსული ბიჭის სამუშაო მაგიდასთან და შევცქერი. როცა ჯუმბერმა მასთან მიმიყვანა და უთხრა, შენი მონაფე იქნებაო, თავმოპარსულმა ამხედ-დამხედა, ჯუმბერს მოპარსული თავი დაუქნია და თავისი საქმე განაგრძო. საქმე, კაცმა რომ თქვას, არც ძალიან რთული აქვს. თეთრი ლურჯზოლებიანი პერანგის საყელოებს აუტოებს და ლურჯი თეთრზოლებიანი შარვლის ქუბას აბრტყელებს. ხელში დიდი უთო უჭირავს და პინგპონგის ჩოგანივით ხმარობს. უკვე ერთი საათია აქ ვდგევარ და ოსტატი არავითარ ყურადღებას არ მაქცევს. ჩემზე ასე ხუთი-ექვსი წლით უფროსი იქნება. სამი საათია. ერთ საათში ცვლაც დამთავრდება. თავმოპარსულს მივუახლოვდი და სერიოზულად განვუცხადე:

– რა გავაკეთო?

– ა?! – შემომიბრუნდა იგი და ხელისგული მიახმარა. – სახამ ვიდგე ასე?

– ვერ გავიგე, რას მეუბნები.

– მასწავლი რამეს?

– თქვი ხმამალლა!

ტუჩები ყურებთან მივუტანე და მთელი ხმით ჩავძახე:

– მასწავლი რამეს?!

ჩემს ოსტატს გაელიმა, ერთხელ კიდევ ამხედ-დამხედა და მეორე უთოზე მიმითითა.

– რა სწავლა გინდა, აილე უთო და იმუშავე.

უთო მაშინვე გახურდა.

თავმოპარსულის მაგიდიდან ერთი პერანგი და შარვალი ავიღე და ვაუთოებ.

– მარტო საყელო? – ვეკითხები.

– ჰო.

დავადე უთო საყელოს და ვერაფრით ვერ გავასწორე. ნაოჭი ხან აქეთა მხარეს რჩება, ხან იქით. მაინც რა ჩქარა ისვრის პერანგებს ეს ოჯახქორი. მივედი, დავხედე, აბა, ლილებს როგორ არიდებს უთოს-მეთქი. ჩემს მაგიდასთან რომ დავბრუნდი, საყელოს ლურჯი ბოლი ასდის და თეთრ ზოლებზე ყავისფერი გადაჰკრავს. არავინ შეამჩნიოს-მეთქი, სწრაფად დავკეცე და გაუთოებულებში შევურჩიე. სახამ შარვალს წყლით ვასველებ, ამასობაში საუთოო შარვალს აუვიდა ბოლი. უთო სწრაფად ავიღე და რკინის დასადგამზე დავდგი. თავმოპარსული ხანდახან შემომხედავს და ილიმება.

საამქროში შემოდის ელექტროდიზელი და იატაკზე დახვავებული შარვლები და პერანგები გააქვს. მაინც რა სწრაფად კერავენ, რა ამბავია. ვის სჭირდება ამდენი თეთრზოლიანი შარვალი და ლურჯზოლიანი პერანგი. მე ისინი არასოდეს არავის ტანზე არ დამინახავს.

საყვირის ხმა გაისმა.

საამქრო ერთბაშად დადუმდა, მკერავები სწრაფად მოსწყდნენ მანქანებს და გასასვლელისკენ გაემართნენ. ჩემს ოსტატს თავი არ აუწევია. როცა საამქრო დაცარიელდა, მივედი, მხარზე ხელი დავადე და ვკითხე:

– წავიდე?

თავი დამიქნია, უთო გამორთო, ქუდი დაიხურა და ერთად გამოვედით.

– რომელ კლასში ხარ? – მეკითხება.

– მეცხრეში.

სხვა არაფერი უკითხავს.

– დიდი ხანია მუშაობთ ამ ფაბრიკაში? – ახლა მე ვკითხე.  
– არა, მე პრაქტიკაზე ვარ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში  
ვსწავლობ.  
– ჰოო... მე მეგონა...  
– რა გეგონა?! – გაიცინა მან, მხარზე ხელი დამარტყა და  
გაიქცა.  
... სამორიგეოში მარტო ჩემი ჩანთა დარჩენილა, ყველანი  
წასულან.

\* \* \*

დღეს კვირაა. ახალგაზრდული გაზეთის პირველ გვერდზე  
ინყება და მეორეზე თავდება წერილი: „ახდენილი ოცნება“.   
წერილში ლაპარაკია ერთ არაჩვეულებრივ ახალგაზრდა კაც-  
ზე, ქვანახშირის მალაროში მნგრეველად რომ მუშაობს. ამ ახ-  
ალგაზრდა გმირსო, გვიყვება ნარკვევის ავტორი, ბავშვობი-  
დანვე მალარო იზიდავდა, საბავშვო ბაღიდან გაიქცეოდა და  
სპეცტანსაცმელში გამონყობილ მეშახტეებს უთვალთვალე-  
დაო. აღმზრდელი კი ამოდ დაეძებდა მურაბიანი ჩაით ხელში.  
თურმე ბიჭი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ხელში აბუშოკით,  
თავზე კასკით და გამურული სახით სხვებთან ერთად გამოვ-  
იდოდა მალაროს შავი, ნესტიანი ჯურღმულებიდან. მესამე  
კლასს რომ გადაშორდა, მას შემდეგ ყოველწლიურად აკითხ-  
ავდა თურმე მთავარ ინჟინერს, მიმიღე და მიმიღე მეშახტედო;  
არასრულწლოვანი იყო და არ ლებულობდნენ. სკოლა რომ  
დაამთავრა, ატესტატის მიღებასაც არ დაუცადა, გახარებული  
ეცა მალაროს და აი, გეგმას ყოველწლიურად 140-150 პრო-  
ცენტით ანაღდებს. წერილის შუაგულიდან მისი გმირის პორ-  
ტრეტი იღიმება. საკვირველია, გაზეთში მუშას ყოველთვის  
გაღიმებულს ხატავენ.

... დღეს პირველად ჩავიცვი ახალი საწვიმარი, რომელიც  
მამამ ამ ზაფხულზე მოსკოვიდან ჩამომიტანა. ცოტა დიდი  
მაქვს. საწვიმარი ჩეხურია და სინათლეზე მწვანედ ბზინავს.

თბილი, უქარო დღეა, ასე რომ, კაცი უსანვიმროდაც იო-  
ლად გავა, მაგრამ მე ახალი საწვიმარი მაცვია და მზის ჯინაზე  
არ გავიხდი.

სოკრატის სახელოსნოს თავზე თეთრი მამალი დგას და  
დაბლა იყურება.

– გამარჯობა, სოკრატ!

სოკრატის კბილები წვრილი ლურსმნებითა აქვს სავსე და  
სალამზე მხოლოდ თავის დაქნევით მპასუხობს.

– ვათა არ არის სახლში?

სოკრატი უარის ნიშნად თავს აქნევს.

სახელოსნოს მოვშორდი და ქუჩას გავუყევი. ჩვენი ქუჩა  
ყველაზე წყნარია მთელს ქალაქში. ჩვენს ქუჩაზე ყველანი  
ერთმანეთს ვიცნობთ და ვესალმებით. ჩვენს ქუჩაზე სამი საყ-  
ვავილე მალაზია და ერთი ბიბლიოთეკაა, სადაც სათნო ბიბ-  
ლიოთეკარი, ყველასათვის საყვარელი ვენერა მუშაობს.

– ვაჟა!

სოკრატს სახელოსნოდან თავი გამოუყვია და ხელს მიქნევს.  
მოვბრუნდი.

– მიდი, ერთი ნახე, – სოკრატმა თავისი ფართო, შავი თითი  
უკან გაიშვირა, – ფანჯრიდან შეიხედე, შუშაბანდში ზის და  
თუ კითხულობს, მოდი და მითხარი.

სახელოსნოს უკანა კარიდან ეზოში გავედი.

– ოღონდ არ დაენახვო! – მომაცხა სოკრატმა.

კიბეზე ავედი და შუშაბანდის კარებში შევიჭყიტე.

ვათა გულმკერდით დასწოლია მაგიდას და ჭერს შესცქერის.  
რა თქმა უნდა, მაშინვე დამინახა და კარებს მოადგა.

– რას შვრები? – ვკითხე.

– რა უნდა ვქნა, კარები ჩამიკეტა და გარეთ არ მიშვებს.

– ასე სჯობია, იკითხე.

– რა ვიკითხო ამ კარცერში, მიდი, უთხარი გამიღოს კარი,  
გამიღოს და, დედას ვფიცავარ, არსად არ წავალ.

... სოკრატმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

– მასე მოუხდება, ანი ყოველდღე ჩავკეტავ და ძალით ვასწავლი გაკვეთილებს.

... ისევ ქუჩაში ვარ. უკვე გითხარით, ჩვენი ქუჩა ყველაზე წყნარი და პატარა ქუჩაა. ახლა კი აგერ სტადიონისაკენ მიდის ახალი ქუჩა, რომელიც ჩაყლაპავს ჩვენს ქუჩას, დაანგრევს სახლებს, მოსპობს კოინდარს და ალუჩის ნერგებს და გრუხუნა ტრაქტორი წაიღებს ჩემი ეზოს მიწას. აგერ ამ მსხლამდე ჩამოგვაჭრის და ქუჩას მიუტანს ჩასანთქმელად.

ამ შუშაბანდიან სახლში მსახიობი საშურა ცხოვრობს. იგი სულ თეატრში მსახურობს და თითო სპექტაკლში 3-4 როლს ასრულებს.

ისე სწრაფად გაიქროლებს სცენაზე საშურა, რომ მეზობლებიც კი ვერ ვცნობთ.

ამ ხის სახლში ძია „სემიონი“ ცხოვრობს. სემიონმა თვითონ აიშენა ეს სახლი და ახლა სხვას უშენებს – იგი დურგალია. უწინ მოსკოვში სამინისტროში უმუშავია. მერე ომში წაუყვანიათ და ტყვედ ჩავარდნილა.

ახლა დურგალია და ლოთობს.

იმ ორსართულიან სახლში ორი სული ცხოვრობს – მაღაზიის გამგე კაკო და მისი ლამაზი ცოლი. ცოლს ძალიან უყვარს კაკო, ისე ძალიან უყვარს, რომ ყოველდღე ახალ სახელებს არქმევს.

ჩვენი ქუჩის პარალელურ ქუჩაზე რკინის მწვანეჭიშკრიან სახლში ცხოვრობს დალი ლალიძე. მე და დალი ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით. სკოლაშიც ერთად შევედით და პირველად ერთნაირად ვსწავლობდით. ახლაც ერთ მერხზე ვსხედვართ. ჩვენ არასოდეს არ ვიყავით მეგობრები, არც ახლა ვართ. ნელიწადში ერთხელ ისე მაგრად შევკამათდებით, რომ მთელი წლით ჩამოყალიბებული გვაქვს აზრი ერთმანეთზე. მე დალის ძალიან კარგად ვიცნობ, დალი კი სულ არ მიცნობს. მას ყველაფერი ისე ჰგონია, როგორც კომკავშირშია. მოგცემენ საყვედურს ბიუროზე, შეიგნებ შენს დანაშაულს, გამოსწორდები და მოგიხსნიან საყვედურს.

აგერ დომენტის ეზოც. დომენტი ჩვენს ქუჩაზე ყველაზე მკაცრი კაცია. შარშან ეზოს ნახევარი ჩამოაჭრეს და კიდევ უფრო ბრაზიანი გახდა. დომენტის ჩამორთმეულ ეზოში ახლა ჩვენ ბურთს ვთამაშობთ, რადგანაც ეს ეზო ჯერჯერობით არავის ეკუთვნის.

ახლაც დომენტის ყოფილ ეზოში გახურებული ფეხბურთია. ლობეზე გადავხტი.

ლაბადა მესერზე ჩამოვკიდე, შარვალი ავიკაპინე და მეკარეს ვეკითხები.

– საით ვურტყა?

– იქეთ.

ჩემკენ წამოსულ დომენტის შვილიშვილს ფეხებში ჩავუხტი და, ბურთი რომ ავაცალე, იყვირა:

– გააჩრეთ თამაში, თქვენკენ კაცი ჩაემატა!

მივირბინე და ბურთს ფეხი დავადე.

– ვაჟა ჩვენკენ იყოს, – თქვა დომენტის შვილიშვილმა.

ჩემთვის სულერთია, მაგრამ მაინც ვიკითხე:

– რა ანგარიშია?

– ოთხით ორი, ჩვენ ვიგებთ.

– მაშინ მე ამათკენ ვიქნები, აგებენ, ცოდონი არიან.

– ეე... უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა დომენტის შვილიშვილმა და ბურთს ფეხი გულმოსულად მოუქნია.

მაღე ვილაცამ დარტყმა ვერ მოზომა და ბურთი დომენტის ეზოში გადაფრინდა.

„ფეხბურთელებს“ თვალზე ცრემლი მოადგათ. იციან, რაც ნიშნავს დომენტის ეზოში ბურთის გადავარდნა.

– გადადი, – ეხვეწებიან დომენტის შვილიშვილს.

– გაგიჟდი? მომკლავს!

ამ საუბარში რომ ვიყავით, ნაჯახით შუაზე გაჭრილი ბურთი გადმოვარდა დომენტის ეზოდან.

ამის შემდეგ იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა, სანვიმარი მხარზე გადავიგდე და ისევ ქუჩაში გამოვედი.

ეს მემტრედე კოლიას სახლია. კოლიას სახლის გვერდით ვალოდია კალაძე ცხოვრობს და რატომღაც კვირაში ორჯერ მოსკოვში დადის. აგერ ჟენია ბიცოლას ჭა. ონკანში წყალი რომ შეწყდება, ყველას ამ ჭიდან მოგვაქვს წყალი.

ჩვენი ქუჩის პარალელურ ქუჩაზე კი რკინის მწვანეჭიშკრიან სახლში ცხოვრობს დალი. დალის სახლის ზედა სართულის მესამე ფანჯარა ყოველთვის ღიაა. დალის ეზოში ბომბორა ძალი ღრიალით აწყდება ჭიშკარს და გამვლელ-გამომვლელს ამინებს, მე ის ბომბორა ქუჩაშიც მინახავს; როცა ქუჩაშია, ანურული გარბის და ყველას ელაქუცება, მაგრამ საკმარისია ჭიშკრის მიღმა დაიგულოს თავი, რომ გააფთრებული მოასკდეს რკინას და ანგელოზები დაგიფეთოს. მე და დალი ერთ საბავშვო ბაღში დავდიოდით და მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ. მე არ მიყვარს დალი.

ამ ფიქრებში რამხელა გზა გამომივლია.

ამ ბოლო დროს უფრო შემეყვარდა ქუჩაში სიარული.

ქუჩაში ყველას თავისი საქმე აქვს. ერთმანეთს მისდევენ ხელჩანთებიანი, ზურგჩანთებიანი, ხელთათმანიანი და უხელთათმანო ადამიანები. ნაბიჯები გრძელი, ნაბიჯები მოკლე. ნაბიჯები ჩქარი, ნაბიჯები ნელი. გახარებული და მოლუშული სახეები, თავდახრილი და თავანუელი კაცები. ყველა სხვადასხვანაირად დადის და ფიქრობს.

უკანიდან წამომეპარა ვეებერთელა ჩრდილი და ქუჩის გაყოლებით დააბნელა.

მალლა ავიხედე. შავი ღრუბლები მზეს მოსდევენ და დასავლეთისაკენ მიაცურებენ.

... გზის მშენებლობაზე თურმე კვირა დღესაც მუშაობენ.

მივუახლოვდი თუ არა, ჟღალწარბებიანმა მუშამ ტროტუარის დაგება წუთით შეწყვიტა და დამიძახა:

– პაპიროსს ვერ მომიტან, ბიძია?

– კი, ბატონო!

მან ხელთათმანზე აბაზიანი დაიდო და გამომინოდა.

– იმ ფარდულში მიდი, „პრიმა“ თუ ექნებათ, „პრიმა“ მიყიდე, თუ არადა „პამირი“. რა ვუყოთ ახლა!

– ასანთიც?

– ჰო.

როცა დავბრუნდი, ჟღალწარბებიანმა ხელთათმანები ქვებზე დააგდო, შუბლზე ხელი ჩამოისვა, წელში გაიმართა და სიგარეტს პირველივე ასანთით მოუკიდა.

გულგრილად ვათვალიერებ ყველაფერს. ქვების არეული კაკუნი ნერვებზე მოქმედებს. ახალდაგებულ ტროტუარზე დახრილა ბრიგადირი და რალაცას მტკაველით ზომავს.

– როდის დაამთავრებთ? – ვკითხე ჟღალწარბებიანს.

– რა ვიცი, – მან პაპიროსი ჩააქრო, ხელთათმანები გაიკეთა და ისევ ჩაიმუხლა.

რა უხვავო სამუშაოა. სათითაოდ ყველა ქვას ხელი უნდა შეახო და სველ ქვიშაში ერთმანეთის გვერდით ჩაასო. მერე ამ ქვაფენილზე გუდრონს სატკეპნი ტრაქტორი გაივლის.

– გინდა, ისწავლო ჩემი ხელობა? – მკითხა ჟღალწარბებიანმა.

უარის ნიშნად თავი გაუქნიე.

– ამას ყველა შეძლებს, – გამოეპასუხა ქვების კაკუნში ვილაც.

– შენ ეგრე ფიქრობ?

– რა ფიქრი უნდა.

– თუ არ იცი; ქვაფენილს დააგებ კი არა, ლელვს ვერ შექამ, ბიძია, კანს ვერ გააცლი.

– შე კაცო...

მუშები გაჩუმდნენ და მათი ხელები უფრო სწრაფად ამუშავდა. აქეთ ბრიგადირი დახრილა და ისევ მტკაველით ზომავს მიწას.

– დღეში რამდენს ღებულობთ! – ვკითხე ჟღალწარბებიანს.

– გამომუშავებაზე ვართ, ხან მეტს, ხან ნაკლებს.

– ძნელია?

– ადვილი ფაფის ჭამაა.  
– მერე რალა მაინცდამაინც ამ ქვების თრევას მოკიდე ხელი?

– შენ რამდენი ლაპარაკი გცოდნია, ძმისშვილო, რა ვიცი, რატომ მოვკიდე. ცხოვრებაა ასეთი. ზოგს გზები გაჰყავს, ზოგი რაკეტით მიფრინავს და ზოგი ლატარიის ბილეთებს ყიდის.

– შაბაშ! – დაიძახა ბრიგადირმა, გასაზომს მტკაველი მოაცილა და საათზე დაიხედა.

მუშები წამოდგნენ და ლაპარაკ-ლაპარაკით გაემართნენ იქვე, ასიოდე მეტრის დაშორებით მდგომ სასადილოს შენობისაკენ.

გზაზე მარტო ტრაქტორი დარჩა. მალე მანაც შეწყვიტა გრუხუნის ტრაქტორისტი გადმოვიდა და ხელებისწმენდით წინ წასულებს გამოუდგა.

მარტო დავრჩი, ცოტა ხანს ქვიშა ვხაზე და მერე საოცრად მომინდა, მეცადა ქვაფენილის დაგება. დიდი ჩაქური ავიღე, ხელთათმანები ჩავიცვი და საქმეს ჩავუჯექი. ქვებს ერთმანეთის სიმაღლეზე ვანყო ქვიშაში და მჭიდროდ ვაკრავ. ზოგი ქვა დიდია, ზოგი პატარა, პატარა ქვას ქვეშ უფრო მეტი ქვიშა უნდა მოაყარო, გრძელი ქვა უფრო ღრმად უნდა ჩაასო და გაასწორო. მალე გავხურდი. ლაბადა ტრაქტორის კაბინაზე ჩამოვკიდე და ისევ განვაგრძე მუშაობა.

სასადილოდან ყველაზე მალე ჟღალწარბებიანი დაბრუნდა. იგი შეუმჩნევლად წამომადგა თავზე და, როცა ჩემს ნამუშევარს დახედა, წარბები შეიკრა.

– მასე არ უნდა, შვილო, ქვები განზე დაგიქანებია, ახლა უნდა ამოვყარო შენი ნახელავი და თავიდან დავანყო. ნადი, ბურთი ითამაშე, რაც არ გამოგდის, არ უნდა იკისრო.

გავბრაზდი. რატომღაც მეგონა, კარგად ვაკეთებდი და ჩემი სიბეჯითით ნასიამოვნები მუშები მაღლობას მეტყოდნენ. მან კი, ამ ჟღალწარბებიანმა ახმასმა, წერაქვით მოშალა ჩემი დაგებული ქვაფენილი და ჩაქური ხელიდან გამომტაცა.

განზე გავდექი და დოინჯშემოყრილი შევცქერი ყველაფერს. ჟღალწარბებიანმა თავი აიღო და გაუკვირდა:

– შენ კიდევ აქ ხარ?

მე არაფერი ვუპასუხე და განზე გავიხედე.

– გემდურის! – დაუძახა ვილაცამ.

მუშებმა გაიცინეს. ყელში რალაც ბურთივით მომებჯინა და მომეჩვენა, რომ ამ დამცინავი თვალების და უშველებელი ხელების წინაშე მართლაცდა სასაცილო ვჩანდი მეცხრე კლასის მოსწავლე, ახალი ლაბადით და მეღნით დასვრილი სამი თითით.

სწრაფად შემოვტრიალდი და სახლისკენ წავედი.

წვიმა დაიწყო.

ქუჩაზე გაჩნდნენ პატარა რუები და შეთანხმებულებივით მაშინვე არხისკენ ქნეს პირი. მხრები დამისველდა. კისერში წყალი ჩამდის და ნაბიჯს მაინც არ ვუჩქარებ. რა უცებ ცარიელდება წვიმაში ქუჩა.

\* \* \*

დღეს სამკერვალო ფაბრიკაში დაგვიანებით მივედი. თავ-მოპარსულ ოსტატს გავუღიმე და ჩუმად ვუთხარი:

– ჯუმბერს ხომ არ ჩამოუვლია?

მან თვალი ჩამიკრა.

– დარდი ნუ გაქვს.

თვალი მოვავლე საკერავ მანქანებთან დახრილ სახეებს და უთო ჩავრთე.

დღეს უკეთესად გამოდის საქმე. ათამდე პერანგის საყელო და თხუთმეტამდე შარვლის ქუბა გავასწორე. მერე ერთბაშად მომწყინდა. საამქროში სულ ქალები არიან. საკერავ მანქანასთან დახრილა ხახალეიშვილი და პერანგს თეთრ ღილს აკერებს. მომეჩვენა, რომ რასაც აქ ვაკეთებთ, სულ არ არის კაცის საქმე და, საერთოდ, ღილის დაკერება ხახალეიშვილის გრძელი ხელების ფუჭი მოცდენაა მხოლოდ.

– ისწავლე? – უკნიდან დალის ხმა შემომესმა, – იცი, მე რა კარგად ვაკერებ სახელოს, აა, შენ უთოზე ხარ? ბიჭოს, რა შესაფერისი საქმე შეურჩევიათ!

შემრცხვა.

– არა, მე არ ვაუთოვებ, მე ისე ვარ, არაფერს არ ვაკეთებ.

– როგორ ისე?

– არ მაინტერესებს უთოობა.

– რატომ? არ გეკადრება?

– შენ რა, ნერვების მოსაშლელად მოხვედი? ნადი და ნემსში ძაფი გაუყარე. ჩემი საქმე მე ვიცი.

დალიმ, როგორც იცის, ისე ანკურა წარბები და წავიდა.

– უთოს ნუ აცდენ, – მითხრა თავმოპარსულმა.

– ა, ჰო, ახლავე მოვალ, – ვთქვი, უთო გამოვრთე და საამქროდან გამოვედი.

სამორიგეოში ჩანთა ამოვიიღლიავე და მოხუც დარაჯს ვუთხარი:

– ჩემს სიცოცხლეში აღარ მოვალ აქ.

ცოტა ხანს შევჩერდი. მეგონა, რამეს მკითხავდა დარაჯი, მან კი ყურადღებაც არ მომაქცია, შეწყვეტილი ღიღინი გადააბა და წინ და უკან სიარული განაგრძო.

\* \* \*

გზის მშენებლობაზე გამოვიარე.

დღეს ბევრი უმუშავიათ. ბოძამდე უკვე მისულან. ჟღალწარბებიანი არ ჩანს. ქვიშაზე გდია მისი გრძელი, შავტარიანი ჩაქური.

შორიასლო ჩამოვჯექი და არაფერზე არ ვფიქრობ.

მოვიდნენ ჟღალწარბებიანი მუშა და პლაშჩიანი მაღალი მამაკაცი. გურამი მაშინვე ვიცანი. იგი გატაცებით ესაუბრება ჟღალწარბებიანს და ბლოკნოტში წამდაუნწმ რალაცას იწერს. გვერდზე ფოტოაპარატი ჰკიდია.

მერე მუშები დასხდნენ, გურამმა ფოტოაპარატი მოიმარ-

ჯვა და გაასწორა, ალბათ, სთხოვა, ფოტოაპარატს ნუ უყურებთო, რადგანაც ყველამ მაშინვე თავი ჩაჰქინდრა. როცა გადასალებად ყველაფერი მზად იყო, გურამმა შემამჩნია.

– ვაჟა!

მივირბინე.

– შენ აქ რას აკეთებ?

– არაფერს.

– გუშინაც აქ იყო, გვეხმარება, უნდა, მალე დამთავრდეს გზის გაყვანა, – თქვა ჟღალწარბებიანმა.

– სტყუის, მე არავის არ ვეხმარები, – ვთქვი მე და ყურები გამიწითლდა.

– აბა, ჩანთა გვერდზე გადადე, ჩაქური აილე და აი ამ ადგილას დაჯექი, – მითხრა გურამმა.

ჩაქური ავილე და მუშებს შორის ჩავიმუხლე. გურამმა სურათი ოთხჯერ გადაიღო. მერე მუშებს გამოემშვიდობა და მხარზე დამადო ხელი.

ქურას გავუყევით.

– გაკვეთილები დამთავრდა? – მკითხა.

– სამკერვალო ფაბრიკაში ვიყავით.

– მერე?

– ვერ გავჩერდი და გამოვიპარე.

– იქ რას გაკეთებინებენ?

– მე პირადად უთო მომცეს და შარვლის ქუბა უნდა ვასწორო, კაცის საქმეა ეს?

გურამს გაეცინა.

– რა ვიცი... აბა, არ მოგეწონა უთო? გზაზე ქვაფენილის დაგება ხომ არის კაცი საქმე! კაცის საქმეა, მაგრამ ცუდი სამუშაო. შარვალი დაგესვრება, შეიძლება ჩაქურიც დაირტყა თითზე, თანაც სულ წელში მოხრილმა უნდა აკეთო, უთო კი გაუსვი და გამოუსვი, არც დაიღლები და არც შარვალი დაგესვრება, ა?

მეუბნება იგი და იცინის. მხარზე ხელს მირტყამს. ხანდახან შეჩერდება და ისევ იცინის.

- თქვენ სად მუშაობთ, გურამ?
- გაზეთში.
- ჟურნალისტი ხართ?
- ჰო...

... ცოტა ხანს ჩემად მივდივართ. მერე გურამი წამდაუნუმ მეკითხება ყველაფერს ჩემზე. იგი არ იცინის და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მელაპარაკოს. თავი არ ამინვეია, ისე მივედით გურამის სახლამდე. მან ჭიშკარი გააღო და მიმინვია. ეზო გავიარეთ და სართულნახევრიანი, ლურჯად შეღებილი სახლის კიბეზე ავედით. შუშუბანდში თავშეხვეული შუახნის კაცი წევს.

- როგორა ხარ, მამა? – ჰკითხა გურამმა.
- მამას არაფერი უპასუხნია.

გურამმა ჩანთა გამომართვა, მაგიდაზე დადო, მოხუცთან მიმიყვანა და წარმადგინა.

- ჩემი ამხანაგია.

მოხუცმა ამხედ-დამხედა, არაფერი უთქვამს.

საღამომდე იქ დავრჩი. გურამის მამა გულაღმა იწვა, ჭერს უხმოდ შესცქეროდა. გურამი კი მეკითხებოდა ჩვენს ოჯახზე, სკოლაზე, დალიზეც მკითხა. ჩვენ ვსაუბრობდით ყველაფერზე: უთოზე, ჩაქურზეც, ექიმობაზეც და ინჟინრობაზეც. მერე თავის თავზე ალაპარაკდა. ანეგდოტებიც მოაყოლა. მერე გალაკტიონის სქელი წიგნი გადმოიღო და ორი ლექსი წამიკითხა. ვუსმენდი და სულ არ ვგრძნობდი თავს უხერხულად. ასე გულახდილად არასოდეს არავისთან მისაუბრია.

მოხუცი კაცი გვისმენდა და ჭერს შესცქეროდა.

\* \* \*

გავიდა დეკემბერი. მამა ჩამოვიდა და ერთი კვირის შემდეგ ისევ მივლინებაში წავიდა. დედა და ბებია, ძველებურად, ყოველ დღით ჭკუას მარიგებენ და ყოველ საღამოს მეკითხებიან, რა ხდება გაკვეთილებზე.

სოკრატემ ორი ნავთქურა ანთო თავის სახელოსნოში და მაინც სცვივა. სახელოსნოში ქარი საიდან შემოდის, ვერაფრით ვერ აღმოვაჩინეო, ნუნუნებს ყოველდღე: ვათას კვლავ ხშირად აქვს ქართულში იგივე, რუსულში კარნახი, ხოლო გეოგრაფიის მასწავლებელი ისევ კითხვით იძლევა ზედაპირის დახასიათების ორგვერდიან გაკვეთილებს.

დილდილობით ჭირხლისაგან სახურავები გადათეთრებულია. შუადღეზე მზე გამოიჭყიტავს და ძლივსძლივობით ახერხებს მინის ზურგის შეთბობას.

სამკერვალო ფაბრიკაში აღარ დავდივარ. საწარმოო პრაქტიკის საათებში გზის მშენებლობასთან ვზივარ და ვუყურებ. ხანდახან ჩაქურს ჩავიგდებ ხელში და ტროტუარის დაგებას ვეუფლები.

გზა თანდათანობით უახლოვდება სტადიონს, ერთ კვირაში ჩემს სახლს ჩაუვლის. მე და ჟღალწარბებიანი დავმეგობრდით, ჩემთვის სახლიდან მეორე ჩაქურსაც კი ატარებს. გუშინ ბრიგადირმა უწყისზე ხელი მომანერინა და ოცი მანეთი გადმომიტვალა.

რას შერები-მეთქი.

- რას და, რაც იმუშავე, იმის საზღაურს გიხდით, ხომ არ გეცოტავა?

გამიკვირდა.

მუშები იდგნენ და ილიმებოდნენ.

კი მაგრამ, მე ხომ, ეს ისე, თავს ვიქცევდი-მეთქი.

ჰოდა, ამ თავის შექცევაში გამოგინერეთ ასე ცოტაო, - თქვა ბრიგადირმა, - თუ გეეჭვება, თავიდან გავზომოთო.

იმ საღამოს გურამთან მივედი და ყველაფერი ვუამბე. არ გაჰკვირვებია. სულ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

უცნაური კაცია გურამი.

\* \* \*

დღეს იულია პლატონოვნას გაკვეთილზე განათლების განყოფილების ინსპექტორი შემოვიდა. მან მასწავლებელს სთხო-

ვა, რამდენიმე წუთი დამითმეო და ჟურნალი აიღო. კარგა ხანს ჩასცქეროდა. მერე პლატონოვნას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- როგორ სწავლობენ, ქალბატონო იულია?
- კარგად ძალიან. დისციპლინის მხრივ არ ვემდური.

მერე ჩვენ მოგვიბრუნდა ინსპექტორი.

- მოსწავლეებო, თქვენ უკვე დიდები ხართ, ორი წელიც და სკოლას დაამთავრებთ. რა თქმა უნდა, უკვე გაქვთ გარკვეული მისწრაფება და არჩეული გაქვთ მომავალი პროფესია. ასე არ არის?

- დიას, - უპასუხა ვილაცამ.

- აი, მაგალითად, თქვენ რა გსურთ გამოხვიდეთ? - ჰკითხა ინსპექტორმა ხახალეიშვილს.

ხახალეიშვილი წამოდგა, კეფა მოიფხანა და გაჩერდა.

- რა გსურთ გამოხვიდეთ? - გაუმეორა შეკითხვა სტუმარმა.

- თქვი, ბიჭო, რამე, - შეუძახა იულია პლატონოვნამ.

- ინჟინერი, - უკარნახა ვილაცამ ხახალეიშვილს.

- ინჟინერი, - გაიმეორე ხახალეიშვილმა და დაჯდა.

ინსპექტორმა სათითაოდ გამოჰკითხა ყველას. იგი ბლოკნოტში რაღაცას გულმოდგინედ ინიშნავდა. უმეტესობამ ინჟინრობა ისურვა, ზოგმა ექიმობა, ზოგმაც მასწავლებლობა, გუბელაძემ უთხრა, განათლების განყოფილების ინსპექტორი მსურს გაეხდეთ, ხოლო, როდესაც ჯერი დალი ლალიძეზე მიდგა, იგი წამოდგა და ამაყად განაცხადა:

- მკერავი.

ყველანი ერთბაშად გაჩუმდნენ. ნასიამოვნები ინსპექტორი ალაპარაკდა:

- აი ყოჩაღ, თქვენი გვარი?

- ლარიძე.

- მკერაობა, მეტად რთული და საპატიო პროფესიაა. ჯგუფის საერთო პასუხით კი კმაყოფილი არა ვარ. კარგია, რომ ყველას ინჟინრობა და ექიმობა სურს, მაგრამ წუთუ არ გხი-

ბლავთ ზეინკლობა, დურგლობა ან თუნდაც იგივე მკერავობა, რომელსაც საშეფო ქარხანაში ეუფლებით? ეს არ ვარგა, გახსოვდეთ, ინჟინრობა ზეინკობიდან და დურგლობიდან იწყება. აბა, კარგად დაფიქროდით, ხომ არ გადაიფიქრა ვინმემ, ხომ არ შეიცვალა მომავალი პროფესია.

კლასი გაილურსა.

- მე, - ადგა გუბელაძე.

- რა გსურთ გამოხვიდეთ?

- მკერავი.

- მეც, - ადგა ბეშქენაძე.

- ?!

- დამუთოვებელი.

- ჩვენც! ჩვენც! - ახმაურდნენ ბავშვები.

- მკერავი, მკერავი, მკერავი!

კმაყოფილი ინსპექტორი ბლოკნოტში გაფაციცებით ინიშნავს გვარებს და ჩემს მერხთან ჩერდება.

- თქვენ, ყმანვილო?

- არ ვიცი, - ვთქვი მე და ინსპექტორს პირდაპირ თვალებში შევხედე.

- როგორ არ იცით, - აცმუკდა იგი - აბა, კარგად დაფიქროდით, გაიხსენეთ, ხომ არ დაგავინყდათ?

- არ დამვინყებია, არასოდეს არ ვიცოდი.

- ყველაზე უფრო რა საქმე გაინტერესებთ?

- ყოველ შემთხვევაში, მკერავობა არა.

- ქარაგმებს თავი დაანებეთ და, რასაც გეკითხებიან, უპასუხე!

- დიას, ბატონო.

- ესე იგი, შენ გინდა თქვა, რომ ამ ჯგუფში ერთადერთი გამონაკლისი ხარ, რომელმაც არ იცი, მომავალში რას გააკეთებ?

- მე გამონაკლისი არა ვარ.

- ?!

– არც ამათ იციან. ჩვენ ახლა ვინცებთ ფიქრს იმაზე, თუ რა გავაკეთოთ.

– მერე?

– დღეს თქვენ არ გვაძლევთ საშუალებას, – ჩვენი, საკუთარი გზებით ვიაროთ.

– მაინც?

– თქვენთვის ჩვენი ჯგუფი უბრალოდ IX2 კლასია რომელმაც, როგორც ერთმა, პრაქტიკა სამკერვალო ფაბრიკაში უნდა გაიაროს.

– მერე, რა არის ამაში ცუდი?

– თქვენთვის არაფერი, ჩვენთვის კი ის არის ცუდი, რომ ფაბრიკიდან დაბრუნებული გუბელაძე მაინც რადიომიმღებებს ჩაჰკირკიტებს, ხახალეიშვილი ერთხელ კიდევ დაშლის და აანცობს თავის „ზაპოროჟეცს“, ფხაკაძე ელექტორნის შუქზე ხატავს შუაზე გაჭრილ ლიმონს და არც ერთ მათგანს არ აგონდება უთო და ლურჯზოლიან პერანგზე უკუღმა მიკერებული საყელო.

– თქვენის აზრით, მხატვარს, ინჟინერს ან მფრინავს გაუთოვება და ლილის დაკერება არ უნდა შეეძლოს?

– მაგას არ მოგახსენებთ, ეს ყველაფერი თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ თქვენ მოგვიწოდებთ იქითკენ, თქვენ თითქმის მიგვერეკებით და ოცდახუთივეს ერთნაირად...

– ჩვენ არაფერს არ მოგინოდებთ, ჩვენ გვინდა, შეგაგნებინოთ, რომ ყველაზე მაღალი კიბეც კი პირველი საფეხურიდან იწყება.

– ეგ უკვე კარგა ხანია ვიცით.

– რაც შეეხება თქვენს ჯგუფს, თქვენ რატომ ბედავთ სხვის მაგივრად ლაპარაკს. ესე იგი, მოგვატყუა კომკავშირელმა დალი ლალიძემ, როდესაც განაცხადა, მკერავი მსურს გავხდეთ? ან შეცდნენ ხახალეიშვილი, აბრამიძე, გუბელაძე, ფხაკაძე?

– იქნება ყველა არც ტყუის, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენ მათ დაგცინეს!

ინსპექტორი გაფითრდა. მერხს მუშტი დაჰკრა და დაიღრიალა:

– ვის უბედავ, რა გვარი ხარ შენ! შე პირუტყვო!

შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა. ტუჩი მოვიკვნიტე და, რაც შეიძლებოდა, ზრდილობიანად ვუთხარი იულია პლატონოვნას:

– მასწავლებლო, უთხარით, გავიდეს და არასოდეს შემოვიდეს ჩვენს ოთახში ეს საცოდავი კაცი.

პლატონოვნამ ხელები გაასავსავა.

მერე ის იყო, ჩანთას ხელი დავავლე და გასასვლელისკენ გავიქეცი. იულია მასწავლებელი უმალ გზიდან ჩამომეცალა; მგონი, ერთხელ მოვიხედე და კარი მაგრად გავიჯახუნე.

\* \* \*

... გურამი შინ არ დამხვდა. მისმა მოხუცმა მამამ ძლივს მიმასწავლა რედაქცია. როგორც იქნა, მივაგენი. კარზე დავაკაკუნე. თმახუჭუჭა კაცმა გამოიხედა და გამიცინა.

– ოჰო, მობრძანდით, ძვირფასო.

– მე... ისა... გურამი მინდოდა.

– გურამი? ახლავე, – იგი შებრუნდა და დაბალჭერიან ოთახში გაფანტულ მაგიდებთან და მაგიდებზე მსხდომ, თამბაქოს ბოლში მცურავ სახეებს შეუძახა:

– გურამ, შენთან ამხანაგია მილიციიდან.

– კარგი, ჰო, გეყოფა, უკვე გავიცინეთ, დაკეტე კარი, – მოისმა ოთახიდან გურამის ხმა.

– არა, მართლა, გელოდებიან.

გურამი გამოვიდა.

– ბიჭოს, შენ ხარ, ვაჟა? როგორ მომაგენი?

– რა ვიცი.

– შემოდი.

რედაქციის ფართო ოთახში ათიოდე მაგიდას შემოსჯდომია ათიოდე ახალგაზრდა კაცი და ერთდროულად აბოლებს.

გურამმა ფანჯარა გამოაღო და სკამი დამიდგა.  
მივიხედ-მოვიხედე, ოციოდე თვალი მე შემომცქეროდა.

– იცნობდეთ, მეცხრეკლასელია.

პაპიროსიანი თავები ამოძრავდნენ და ისევ გაჩერდნენ.

– გურამ, მე საქმეზე მოვედი.

– ?! – გურამმა სკამი მოსწია.

ირგვლივ უხერხულად მიმოვიხედე.

– კარგი, გარეთ გავიდე, – მითხრა მან და წამოდგა.

რედაქციის გრძელ დერეფანში გურამი ფანჯარასთან ჩამო-  
ჯდა და ყურადღებით მომისმინა. მე დანვრილებით ვუამბე  
დღეს რუსულის გაკვეთილზე მომხდარი. ბოლოს ვუთხარი,  
რომ მასთან დახმარების სათხოვნელად კი არ მოვსულვარ,  
ისე, უბრალოდ მინდოდა, ვინმესთვის მეამბნა ჩემი დღევან-  
დელი თავგადასავალი. ვუთხარი, რომ არ ვიცი, რატომ გავ-  
ბრაზდი განათლების განყოფილების ინსპექტორზე და ისიც  
არ ვიცი, წავიდე თუ არა ხვალ სკოლაში.

მერე ორივე გავჩუმდით. გურამი ფანჯარაში იცქირებოდა.  
ხანდახან გადმომხედავდა, წარბებს შეიკრავდა, ისევ გახსნიდა  
და ისევ ფანჯრისაკენ მიბრუნდებოდა.

მერე რედაქტორთან დაუძახეს. გაიქცა. ხუთი წუთის შემ-  
დეგ დაბრუნდა.

– სასწრაფო საქმეზე მგზავნიან, წადი შინ, მე ხვალ სკოლა-  
ში მოვალ, – მითხრა და გაბრუნდა.

\* \* \*

... მთელი დღე ვიხეტივალე, ღამდებოდა, როცა შინ მივბ-  
რუნდი.

ჭიშკართან დალი დგას და ჩემს ეზოში იხედება.

– დალი!

შეკრთა. სწრაფად მოტრიალდა და, რაკი მიცნო, მწყრალად  
მითხრა:

– თქვენ ასე ხვდებით სტუმრებს?

– გვაპატიეთ, არ გელოდით, დიდი ხანია იძახი?

– სულ არ დამიძახნია, მე ხომ ბებიაშენის სახელი არ ვიცი.  
გამეცინა.

– ჩემი სახელი დაგეძახა, გამოგხედავდნენ.

ჭიშკარი გავალე.

– შემოდი, დალი.

დალი ეზოში შემოვიდა და, კიბესთან რომ მივედით, გაჩ-  
ერდა.

– შინ არ შემოვალ. აქ ვიყოთ, რალაც უნდა გითხრა.

ხომ გითხარით, უცნაური გოგოა ეს გოგო. ისევ მივედით  
ჭიშკრამდე. დალიმ ქუჩაში გაიხედა და ვალიკოს მერხზე მან-  
იშნა.

– იქ დავსხდეთ.

მიირბინა და დაჯდა. მე ნელა მივედი და შორიასლოს  
გავჩერდი.

– რა უნდა მითხრა, დალი?

– ჰო, ხვალ სკოლაში უნდა მოხვიდე.

– კი მაგრამ, ვინ გითხრა, რომ არ ვაპირებდი მოსვლას?

– ხვალ კომიტეტის სხდომაზე შენს საკითხს ვიხილავთ და  
აუცილებლად უნდა დაესწრო.

– რატომ იხილავთ ჩემს საკითხს?

– ვითომ არ იცი. რატომ და გაკვეთილებს რომ აცდენ, რა-  
ტომ და საწარმოო პრაქტიკაზე რომ არ დადიხარ, რატომ და  
დღეს სტუმარს შეურაცხყოფა რომ მიაყენე და, საერთოდ,  
ცუდი ბიჭი რომ ხარ.

– დალი, მე ხვალ არ მოვალ სკოლაში.

– უნდა მოხვიდე.

– არ მოვალ, არც ხვალ, არც ზეგ, არასოდეს არ მოვალ.

– ვაიმე, ხვალ მოდი. ბიჭო, და მერე თუ გინდა ნუ მოხვალ,  
დირექტორი გავაფრთხილე, შენი დასწრება აუცილებელია.  
სხდომა ჩამეშლება.

გავბრაზდი და სიბრაზისაგან რატომღაც მაინც გამეცინა.

– კარგი, მოვალ.  
დალი გაჩუმდა.

– რას მეტყვით კომიტეტის სხდომაზე?  
– დაგახასიათებთ, მერე დაგსჯით.  
– მაინც?  
– წინასწარ არ ვიცი. ჯერ ამხანაგებმა უნდა იმსჯელონ.  
– ამისათვის მოხვედნი? შენ ხომ იცი, რომ მე სხდომების არ მეშინია. რა ცუდი გოგო ყოფილხარ, დალი.  
– რა გაყვირებს, მოდი, აქ დაჯექი.  
მივედი, გვერდით მივუჯექი და ყურში ვუთხარი:  
– ნადი ახლა სახლში და ღონისძიების პროექტი დაწერე.  
დალი არ წამოდგა.  
– თურმე მხოლოდ იმიტომ გინდა ჩემი მოსვლა სკოლაში, რომ სხდომა არ ჩაგეშალოს.  
დალი ხმას არ იღებს.  
– გახსოვს, საბავშვო ბაღშიც ასეთი იყავი, მეტიჩარა, წარამარა ყველას ებუტებოდი. ახლა მეცხრე კლასში ვართ. შენ ყოველთვის სხვისი სიტყვებით ლაპარაკობ. შენ მეგობარი არა გყავს და არც გეყოლება. შენ გაგათამამეს. ყოველთვის წითელი ლენტი გიკეთია ხელზე და შენთან გულახდილ საუბარს ყველა გაურბის. შენ ყველაზე ცუდი გოგო ხარ, დალი.  
დალიმ სახე ხელებში ჩარგო და სცადა, ატირებულიყო.  
მე არ მსურდა მისი ხმის გაგონება და უფრო ჩქარა ავლაპარაკდი.  
... მერე ერთბაშად გავჩერდი. დალის ბეჭები უთრთოდა. მე თითები გამეყინა და ვიორთქლავდი. ყველა ეზოში მორიგეობით ყეფდნენ ძაღლები. მე ვფიქრობდი, რომ თავიდან ბოლომდე სისულელეები ვილაპარაკე და ყოველგვარ სიკეთესთან ერთად თურმე ლაყობასაც მივჩვევივარ. მე ვფიქრობდი, რომ, რაც მინდოდა მეთქვა, იმას ვერასოდეს ვერ ვიტყოდი ვერც ერთ სხდომაზე, რომ ვალდებული ვიყავ, არ ჩავყოლოდი დინებას ოჩანი ხარივით. თუნდაც იმიტომ, რომ ვალიკო არსე-

ბობდა ქვეყანაზე, და მაინც, არ ვთვლიდი ღილების დაკრებას კაცის საქმედ. ვხედავდი ჩემ მიერ აღმაცერად დაგებულ ქვეებს ახალ გზაზე და ჟღალწარბებიანი მუშის ხარხარი მესმოდა. უკლებლივ ყველა ვარსკვლავი ჩანდა ცაზე და დალი წასვლას არ აპირებდა.

მე ბეჭებზე დავადე ხელი და საოცრად მიკვირდა ჩემი გამბედაობის. დალის არ უცდია, ხელი ამელო, მან თავისი ხელი ზემოდან დააფარა ჩემს ხელს; თავისი ხელთათმინიანი, პატარა ხელი.

...და ვიჯექით ასე ვალიკოს ჭიშკართან IX2 კლასში ყველაზე ლამაზი გოგო და მთელ ქვეყანაზე ყველაზე დაბნეული ბიჭი.

\* \* \*

ზარის დარეკვამდე ბიჭები შემომეხვივნენ.

– რა გითხრეს სახლში?  
– რა უნდა ეთქვათ.  
– დედაშენმა გაიგო?  
– ჯერ არა.  
– როგორ არ გაიგებდა, გუშინ დირექტორმა გაკვეთილების შემდეგ დალი ლალიძე გამოგზავნა.  
დალის შევხედე. შავ წინსაფარში დაემალა ხელები და იატაკს დასცქეროდა.  
– იცნობდი იმ ინსპექტორს? – მკითხა ხახალეიშვილმა.  
– არა.  
– აბა, რა გაღრიალებდა, პლატონოვნას კინაღამ გული გაუხეთქე.  
– რა თქვეს მე რომ გავედი?  
– არაფერი არ უთქვამთ.  
– როგორ არა, თქვეს, – ჩაერია გუბელაძე, – კარი რომ გაიჯახუნე, ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა. ჩვენ ყველანი აწურულები ვიდექით. ინსპექტორიც ხმას არ იღებდა. სიჩუმე იულიამ დაარღვია, მან ჩამონგრეულ ბათქაშზე მიუთი-

თა და ინსპექტორს უთხრა: ამ ოთახის რემონტს საშველი არ დაადგაო. ჩვენ არ გაგვცინებია. ინსპექტორი გამშრალი იდგა, ბათქაშისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია. მერე ბლოკნოტი ამოიღო და შენი სახელი და გვარი ჩაიწერა. პლატონოვნას მიუბრუნდა და ჰკითხა, ჯლამაძე არანორმალური ხომ არ არისო, აქამდე თუ გყოლიათ რამეში შემჩნეული, როგორ სწავლობსო.

– რა უთხრა პლატონოვნამ?

– პლატონოვნამ ცაში აგიყვანა, – სიტყვა წაართვა ხახალეიშვილმა გუბელაძეს, – ჯლამაძის დღევანდელი საქციელით მეც ძალიან გოცნებებული ვარო, მთელი სკოლის თვალიაო, სამაგალითო მოსწავლედ ითვლებაო, აქამდე გაუძახებლად მაგის ხმა არ გამიგონიაო, გაკვეთილსაც ისე ტკბილად და ნაზად ყვება, რომ ნერვებს მიმშვიდებსო. ალბათ დღეს რაიმე ცუდი შეემთხვა, ამ დილითაც სკოლაში დაღვრემილი მოვიდაო.

– პლატონოვნამ უთხრა ეს ყველაფერი? – გავიკვირვე მე.

– პლატონოვნამ, აბა, ჩვენ გოცნებისაგან პირები დავაღეთ.

– მერე?

– მერე ინსპექტორი ჩვენ მოგვიბრუნდა. ბავშვებო, თუ შეატყვეთ, დღეს ჯლამაძეს სიმთვრალე ხომ არ ეტყობოდაო.

– სიმთვრალეო? – გამეცინა.

– ისევ იუღია პლატონოვნამ გასცა პასუხი. ბავშვს ლიმონათის გარდა სხვა სასმელი წამლადაც არ დაუღევიაო.

ამასობაში დაირეკა კიდეც.

პირველი გაკვეთილი მშობლიურ ლიტერატურაში გვაქვს.

ფაცია მასწავლებლის შემოსვლა და ჩემი გაძახება ერთი იყო. გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ ადრეც წამიკითხავს, მაგრამ ვიცი, საზეპიროები შემეშლება.

ავდექი. გარჩევა, მე მგონი, კარგად ვუპასუხე და საზეპიროს მეორე სტროფზე გავჩერდი.

– ფხაკაძე, შეახსენე, – უთხრა მასწავლებელმა ფხაკაძეს.

ფხაკაძე წამოდგა და ვერ შემახსენა.

ამასობაში მოკარნახეები ამუშავდნენ, მაგრამ მათს უსისტიემო ჩურჩულში ვერაფერი გავარჩიე.

– ბეშკენაძე, შეახსენე.

ბეშკენაძე ადგა და ჩემს ნათქვამს ერთადერთი სტრიქონი მიუმატა.

ამის შემდეგ მეც ერთი სტროფი ვთქვი და ისევ გავჩერდი?

– ვინ შეახსენებს? – იკითხა ფაცია. ამ დროს დალიმ წიგნი ჩუმად გამიშალა და წინ დამიდო. მერე ხელის თითი ზუსტად იმ სტრიქონს გააყოლა, რომელიც დამავინწყდა. მასწავლებელს არაფერი არ დაუნახავს.

– ვინ შეახსენებს? – ისევ იკითხა მასწავლებელმა.

– თვითონ გაიხსენებს, პატივცემულო, – წყნარად თქვა დალიმ და ფეხზე ფეხი დამაჭირა.

თავი დავხარე და საზეპირო უფრო მეტი ჩავაბუღებულე, ვიდრე დღეისთვის დავალებად გვქონდა მოცემული.

ქართულის მასწავლებელმა ოთხიანი დამიწერა. დალის შევხედე. დალი რვეულის სუფთა ფურცელზე კვადრატებს ხატავდა და თან ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იღიმებოდა.

მეორე გაკვეთილზე იუღია პლატონოვნამ დაიგვიანა. ბავშვები ახმაურდნენ და „გვიცდება“, „გვიცდებას“ ძახილით დერეფანში გამოცვივდნენ, მაგრამ სწრაფადვე უკან დაბრუნდნენ და მერხებს მიაშურეს.

... კიდეც კარგა ხანს არ გაიღო კარი და ბოლოს იუღია პლატონოვნაც გამოჩნდა. მას ხელში ჟურნალი არ ეჭირა. არც თავშალი ჰქონდა თავზე მოხვეული და ნაბიჯ-ნაბიჯ მოდიოდა. ჩვენ ფეხზე ავდექით და მოგვეჩვენა, რომ პლატონოვნა გუშინდელზე გაცილებით უფრო მოხუცი ჩანდა.

იგი სწრაფად დაემვა სკამზე და ჩვეულებრივზე უფრო ძალიან გვთხოვა:

– ბავშვებო, დღეს ნუ იხმაურებთ.

ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ და თითქოს ახლა გაგვახსენდა, რომ ფეხზე ვიდექით.

– დასხედით, ბავშვებო, განაგრძო რუსულის მასწავლებელმა და თეთრ თმაზე ხელი გადაისვა. – დღეის შემდეგ ჩემი

გაკვეთილი აღარ გექნებათ. რუსულში სხვა მასწავლებელი გეყოლებათ.

იულია პლატონოვნა ქართულად ლაპარაკობდა. იგი გაფითრებული იყო და საუბრის დროს ხშირად ისვენებდა.

– თქვენ სხვა კლასებს უნდა ასწავლოთ, პატივცემულო? – სხვისი ხმით ჰკითხა ბეშკენაძემ.

– არა, ბავშვებო, მე დავამთავრე ჩემი მასწავლებლობა. უკვე საკმაოდ დავღლილვარ და დავბერებულვარ. ორმოცდაცამეტი წელია კლასში შევდივარ.

ჩვენ დიდხანს, ძალიან დიდხანს ჩუმად ვიყავით. კლასი გაქვავებულივით იჯდა. იულია პლატონოვნას შეეშინდა ამ სიჩუმის და ჩაახველა. უკანა მერხიდან შვანგირაძე წამოდგა. რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა და დაჯდა.

უეცრად იულია პლატონოვნა წამოდგა, მხრები შეარხია და მერხებს შორის გაიარ-გამოიარა. მერე ჩემს მერხთან შეჩერდა და გულმოსულად მკითხა:

– რა მოგივიდა, ბოშო, გუშინ. გაგიჟდი? რომ უყვიროდი, ვის უყვიროდი თუ იცი, ახლა როგორ ფიქრობ, გაპატიებს ვინმე ამას?!

გამეხარდა. ჩემ წინაშე ისევ ის იულია პლატონოვნა დგას, რომელიც დღესვე ბებიას დამიბარებს და ხვალ ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ პლატონოვნამ პასუხს არ დაუცადა, მაგიდასთან ნელა მივიდა და ჯგუფს მიმართა:

– ბავშვებო, თქვენ რუსული კარგად არ იცით. თქვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოთ, ჰოდა, ახალ მასწავლებელთან რომ არ შემარცხვინოთ, ყოველდღე უნდა მოხვიდეთ ჩემთან. ანი სულ შინ ვიქნები და დროც ძალიან ბევრი მექნება. ეს განსაკუთრებით იმათ ეხებათ, ვისაც ყველაზე უფრო უჭირს. მეც ხშირად მოვალ სკოლაში. ვნახავ, რა ჭკვიანად იქნებით. ახლა ამოიღეთ ფურცლები და ჩემი მისამართი ჩაიწერეთ – „მესხიშვილის ქუჩა №18. იულია სანებლიძე“. ჩემი შვილი ტაშკენტშია თავის ცოლ-შვილით. მე მარტო ვცხოვრობ, ბავშვებო.

ისე დაირეკა, არ გაგვივია.

იულია პლატონოვნამ ერთხელ კიდევ გადმოგვხედა და შეგვახსენა, ჩემთან ხომ ივლითო. ყველამ პირობა მივეცით. მერე გამოვემშვიდობეთ. ბიჭებმა ხელი ჩამოვართვით, გოგონებმა სათითაოდ გულში ჩაიკრეს მოხუცი მასწავლებელი და მანამ ჰკოცნიდნენ, სანამ თვითონაც არ ატირდნენ და პლატონოვნაც არ აატირეს.

... უხმოდ მივაცილებდით თმადათოვლილ პედაგოგს სამასწავლებლოსაკენ და გული გვწყდებოდა.

... მესამე გაკვეთილი ისტორიაა.

ვახტანგ სალდაძე ჩვეული სიმკაცრით შემოვიდა და, სანამ კარს მივხურავდით, ხმამაღლა გამომიცხადა:

– ჯლამაძე! დირექტორის განკარგულებით გაკვეთილზე არ ხარ დაშვებული.

არაფერი მითქვამს. გამოვედი და გაკვეთილების დამთავრებამდე ქუჩაში დავდიოდი.

\* \* \*

კომკავშირის კომიტეტის ოთახის კარზე ლამაზად გაფორმებული კითხვარი ჰკიდია. კითხვარის ერთ მხარეზე ლოყანითელი ბიჭია დახატული უშველებელი გლობუსით ხელში, მეორე მხარეს კი ბაფთიანი გოგონა იღიმება. გოგონას ცალ ხელში წიგნი უჭირავს, მხარზე წერაქვი გაუდვია და სადღაც, გაზეთის გარეთ იმზირება.

კარი შევალე. მაგიდას კომიტეტის წევრები უსხედან და რალაცაზე გულმოდგინედ ფიქრობენ თავიანთი მკაცრი, კომკავშირული ფიქრებით. ასევეა სკოლის დირექტორიც, ისტორიის მასწავლებელი ვახტანგ სალდაძე და ფიზკულტურის მასწავლებელი ოთარ ბრეგვაძეც. მაგიდის თავში (თუ ჩემგან იქით ბოლო მაგიდას თავად ჩავთვლით) დალი ზის.

ჩემი შემოსვლა არავის გაუგია. ამიტომ ნაბიჯი წინ გადავდგი და განაპირას მჯდომ კომიტეტის წევრს ვკითხე:

– შეიძლება?

სათვლიანმა დალის შეხედა, დალიმ დირექტორს, ხოლო დირექტორი მე მომიბრუნდა.

– გაბრძანდი გარეთ და დაგიძახებთ.

რა გაენყობა. ველოდები დაძახებას და დროის გასაყვანად კითხვარს ჩავკირკიტებ. „მოგვწერეთ, მოგვწერეთ, მოგვწერეთ“. გვევედრება კითხვარი და წვრილი ასოებით აწყობილ კითხვებს გვთავაზობს: 1. როგორ გესმის გამოთქმა: „სანიმუშო მოსწავლე?“, 2. ვინ არცხვენს შენი კლასის სახელს? 3. როგორ ეხმარები მოხუცებს და პატარებს? 4. რა აზრისა ხარ ქალვაჟის მეგობრობაზე? 5. როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

ჩემ პირდაპირ ჭერზე მიდგმულ კიბეზე ორი ფეხი გამოჩნდა. ფეხები დიდხანს ეძებდნენ დასაყრდენს, მერე როგორც იქნა იპოვეს, სწრაფად დაეშვნენ საფეხურებზე და ვათას ფართო ყურები მაშინვე ვიცანი.

– ვათა!

ვათა შეშინდა. კიბეს ხელი უშვა და იატაკზე ბრაგვანი მოადინა. მაგრამ სწრაფად წამოხტა და უკანმოუხედავად გაიქცა.

– ვათა! – კიდევ დავუძახე.

ეტყობა, ენიშნა ჩემი ხმა. გაჩერდა და ერთბაშად შემოტრიალდა.

– შენ ხარ? – თქვა და წელათრევით ჩემკენ წამოვიდა.

– ჭერზე რა გინდოდა?

– არაფერი, ისე ავედი, ყოველდღე ავდივარ ჭერზე კი არა, სახურავზე.

– მართალი მითხარი.

– ჰო, დედას ვფიცავარ. საყურებლად ავდივარ.

– რას უყურებ მაინც?

– ყველაფერს: ქუჩებს, სახლებს, ადამიანებს... მოდიხარ სახლში?

– არა, – კარისკენ ვანიშნე, – ველოდები

ვათამ ეჭვგარეულად გაილიმა.

– უნდა გაგასამართლონ? რა დააშავე?

– მერე გაიმბობ, წადი ახლა სახლში და ჩვენებს არაფერი უთხრა.

სათვლიანმა კარი გამოაღო და თითი დამიქნია.

შევედი და კუთხეში გავჩერდი.

– დაინწყოთ, – თქვა დირექტორმა ცოტა ხნის შემდეგ.

– ამხანაგებო, – დაიწყო დალიმ, – მე არ ვუყურებ დალის და ამიტომ ვერ გეტყვით, კითხულობს იგი თუ ზეპირად ლაპარაკობს და მე მიყურებს, – დღის წესრიგში ერთი საკითხი გვაქვს, ვაჟა ჯღამაძის პერსონალური საკითხი...

შემდეგ დალიმ ჩემ შესახებ ილაპარაკა. თქვა, რომ მე მთელ კლასში ყველაზე ჯიუტი და უდისციპლინო ბიჭი ვარ, თქვა, რომ ჩემი მშობლების პატრონი სხვებს მაგალითს უნდა ვაძლევდე, მე კი თურმე გაკვეთილებს ვაცდენ და ამ დროს ჩიტების დასაჭერად ხეებზე ავდივარ, ხოლო თუ ვესწრები გაკვეთილებს – ვაი იმ დასწრებას. თქვა, რომ საწარმოო სწავლებაზე არ ვცხადდები და ხშირად უსაქმოდ დავსეირნობ ქუჩაში, მერე რაც შეიძლება დაწვრილებით წარმოადგინა ჩემი გუშინდელი ისტორია. როგორც იქნა, დაამთავრა და კომიტეტის წევრებს სთხოვა, აზრი გამოეთქვათ.

– რა გიშლის ხელს? – მკითხა ოთარ ბრეგვაძის გვერდით მჯდომმა მეთექვსმეტე კლასელმა გოგონამ და განითლდა. მე ეს გოგონა ხშირად შემინიშნავს თვითშემოქმედების კონცერტებზე, ერთი და იმავე საღამოზე შეუძლია ლექსი წაიკითხოს, პროგრამა წაიყვანოს, იმღეროს, იცეკვოს და როიალზედაც დაუკრას ვარიაციები „ჩემო ტკბილო მეგობარო“ მოტივებზე.

მე იმ გოგონას არაფერი არ ვუპასუხე, არც თვით გამოუჩინია დიდი ინტერესი ჩემი პასუხისადმი. მან უბრალოდ, შეკითხვა მომცა.

– რას ფიქრობ, საერთოდ, ასე გინდა იცხოვრო? – მკითხა

ვახტანგ სალდაძემ და მაუდის წითელ ნაჭერზე, რომელიც მხოლოდ ნახევრად ყოფნის მაგიდას, თითები აათამაშა.

მე ვუთხარი, რომ ძალიან ბევრს ვფიქრობ ჩემ გუშინდელ საქციელზე და რომ შეცდომები ყველას აქვს.

– როგორ გაბედე, სტუმრისთვის უხეშად მიგემართა! – დაიქუხა ოთარ ბრეგვაძემ.

მეტი არაფერი მითქვამს. ვიდექი და მორჩილად ვუსმენდი საყვედურებს. ყველანი ძალიან ლამაზად ლაპარაკობდნენ და ზოგჯერ გავიფიქრებდი კიდეც, ეს რა ცუდი ბიჭი ვყოფილვარ-მეთქი. მაგრამ მაინც არ შემეძლო სხვანაირად მოქცევა. გაკვეთილებს ვაცდენდი ზოგჯერ, მაგრამ მხოლოდ იმ გაკვეთილებს, როცა ვიცოდი, რომ მასწავლებელი ახალი მასალის ახსნას არ აპირებდა. მე აღარ ნავალ სამკერვალო ფაბრიკაში, რადგანაც ურიცხვი ლურჯზოლიანი პერანგის უთოობა სულ არ მიზიდავს, ხოლო გუშინ... მე თვით არ ვიცი, რატომ ვანყენინე იმ პატივსაცემ კაცს.

სანამ ამას ვფიქრობდი, უკვე კომიტეტის დანარჩენმა ოთხმა წევრმაც თავ-თავის შესაძლებლობის ფარგლებში უარყოფითად დამახასიათა და, როცა დალიმ იკითხა, აზრს ვინ გამოთქვამსო, თითქმის ყველამ ერთდროულად ამოილაპარაკა:

– კომკავშირიდან გაირიცხოს და საკითხი გატანილ იქნას პედსაბჭოზე მისი სკოლიდან გარიცხვის შესახებ.

დალის კალმისტარი ხელიდან გაუვარდა. კალმისტარი იატაკზე გაგორდა და სათვალის სკამის ფეხთან დაეცა. მე და სათვალისანი ერთად დავიხარეთ კალმისტრის ასაღებად. სათვალისნი დამასწრო და სწრაფად გადაანოდა. დალიმ სახე ხელებში ჩამალა და მაგიდას დააჩერდა.

ცოტა არ იყოს, შევშინდი. როგორ თქვეს? გაირიცხოსო?

აქამდე ყოველთვის მეგონა, რომ ყოველგვარი სხდომა სკოლაში ისე, აღსაზრდელად, შესაშინებლად და გასაფრთხილებლად ტარდებოდა და ახლა კი ასე მოულოდნელად გარიცხვასაც მიპირებენ? კი მაგრამ, მე ხომ ჩემდა უნებურად... იგი...

ახალგაზრდა ინსპექტორი რალაცნაირი უსიამოვნო ღიმილით მიცქერის და მეკითხება, როგორ, მეცხრეკლასელმა მოსწავლემ არ იცი, რა გსურს გამოხვიდეო, ხომ არ დაგავიწყდაო? მეთქვა – ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, მკერავი, დამავებოდა რამე ამით? როგორც ირკვევა, არაფერი. მე კი ჯიუტად ვდუმდი და არ ვიცი-მეთქი, ვპასუხობდი. ჩანს, მართლაც დასასჯელი ვყოფილვარ. მაგრამ გარიცხვა? ან ახლა რატომ ვარ ასე ჩუმად?

– არის წინადადება, გაირიცხოს კომკავშირიდან – თქვა დალიმ საოცრად მტირალა ხმით.

– ვინ არის მომხრე?

ამ დროს კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

კარში გურამი გამოჩნდა და დალის მიმართა:

– შეიძლება?

– მობრძანდით.

– ნებას მომცემთ, დავესწრო სხდომას?

დალიმ დირექტორს შეხედა. გურამი ახლა დირექტორს მიუბრუნდა.

– გაზეთიდან გახლავართ, ჯლამაძის საქმე მაინტერესებს.

– მობრძანდით, მაგრამ კომიტეტის სხდომა უკვე დამთავრდა. იცნობთ თქვენ ამ მოსწავლეს?

გურამმა შემომხედა.

– დიას.

– კომიტეტის წევრები აზრს გამოთქვამენ, რომ კომკავშირიდან გაირიცხოს. იცით, რატომ ვსჯით ასე სასტიკად?

გურამმა ისევ შემომხედა.

– ვიცი.

– რაკი ასეა, – განაგრძო დირექტორმა, – დალი, კენჭი უყარეთ წინადადებას.

– მაპატიეთ, – შეაჩერა გურამმა, – ზოგი რამ მეც ვიცი ვაჟას შესახებ და იქნებ კომიტეტს ინფორმაციად გამოადგეს. იცით, თქვენ რატომ მიატოვა ვაჟამ სამკერვალო ფაბრიკაში სანარმოო გაკვეთილები?

- ვიცით, - თქვა დირექტორმა.
- იცით, რას აკეთებს ჯღამაძე, როცა ფაბრიკაში არ ცხადდება?
- არ ვიცით.
- ერთი წუთით, - გურამი დაიხარა და ჩანთიდან ფოტოსურათი ამოიღო. სურათს დავხედე და მაშინვე ვიცანი. ეს ხომ ამას წინათ გზის მშენებლობაზე გადაგვიღო.
- აი, სად არის და რას აკეთებს...
- სანამ სურათი ხელიდან ხელში გადადიოდა, მე ყელში რაღაც მომანვა, ყურები გამინითლდა, გულმა უცნაური ბაგაბუგი ასტეხა და დირექტორს ვთხოვე, ცოტა ხანს გავალ, წყალს დავლევ-მეთქი.
- გარეთ გამოვედი და ცივ კედელს ლოყით მივეყრდენი.
- მომეჩვენა, რომ გურამი დიდხანს, ძალიან დიდხანს ლაპარაკობდა, მერე კომიტეტის წევრები ისევ თავიდან ახმაურდნენ და, როცა დამიძახეს, ოთახში მსხდომთ საოცრად დაღლილი სახეები ჰქონდათ.
- არის წინადადება, ვაჟა ჯღამაძეს გამოეცხადოს საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, - ზეიმური კილოთი გამოაცხადა დალიმ.
- გურამს გამარჯვებულის სახე ჰქონდა. მე კი თვალს ვერ ვუსწორებდი. მრცხვენოდა მისი.

\* \* \*

- ესეც, ასე, - თქვა გურამმა, როცა სკოლიდან გამოვედით,
- ხომ ხედავ, კინალამ გაგრიცხეს.
- კინალამ... რაო, რა თქვეს, რომ გამოვედი?
- არ სჯერათ შენი.
- ვიცი.
- გაზეთის ჯიხურამდე მივედით, საღამოს გაზეთი ჯერ არ გამოსულა და უკან დავბრუნდით.

- გურამ, შენ ხომ მიცნობ, შენ ხომ იცი, - ამოვილულულე და მე თვითონ არ ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა.
- აბა, რა გითხრა, ზოგჯერ მეჩვენება, რომ მართალი ხარ... მაგრამ, მე მგონია, მხოლოდ მეჩვენება.
- ისინი ყველაფერს მკარნახობენ. მაიძულებენ, სხვისი ცხოვრებით ვიცხოვრო. ყველაფერი წინასწარ დაგეგმილია. ხომ შეიძლება ერთი კაცი მაინც არ იყოს კომკავშირის აქტივისტი?!
- ისინი ჯერ გასწავლიან...
- აი, ჯგუფში ოცდახუთნი ვართ. ოცდახუთი სხვადასხვა ბიჭი და გოგო. ოცდახუთივე სამკერვალო ფაბრიკაში მოგვიყვანეს და გვაიძულებენ, ოცდახუთივეს ერთნაირად გვიყვარდეს, ერთნაირად გვძულდეს, ერთ მწყობრში ვიდგეთ და, რაც არ მოგვწონს, იმაზეც ვაშა-ურას ვყვიროდეთ.
- მაგით რა გინდოდა გეთქვა. სკოლაში ცხოვრებას როდი გასწავლიან. სკოლა მხოლოდ ცდილობს დაგიმტკიცოს, რომ არაფერი არ იცი და გზის არჩევაში დაგეხმაროს, მოგამზადოს ცხოვრების დასაწყებად.
- ჩვენ ცხოვრება უკვე დავიწყეთ, ჩვენ მალე თექვსმეტი წლის ვიქნებით.
- თექვსმეტი წელი ძალიან ცოტაა, ჯერ მზად არა ხართ.
- თუ დაველოდებით იმ წუთებს, როცა ყველაფერი მზად იქნება და ყველაფერი ასჯერ გაზომილი, ჩვენ ვერასოდეს ვერ დავიწყებთ.
- უნდა დაიწყოთ მაშინ, როცა საკუთარ თავზე უფრო ძლიერი და მართალი ხარ.
- განა თქვენ ყოველთვის მართალი ხართ საკუთარ თავთან?
- ვცდლილობთ მაინც, ყოველ შემთხვევაში.
- გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. შენ სკოლაში მიმყევი და იუღია პლატონოვნას ბიძაჩემად, შორეული ცურვის კაპიტნად გამოეცხადე. იუღია პლატონოვნამ კი განათლების ინსპექტორის წინაშე თურმე ცაში ამიყვანა. რატომ? განა თქვენ...

– მოიცა, მოიცა, ჩვენც ზოგ რამეში მართალი არა ვართ, მაგრამ შენი რუსულის მასწავლებელი დიდებული ქალია.

– მაშ რატომ მოხსნეს?

– ვინ გითხრა, რომ მოხსნეს? თვითონ გავიდა პენსიაზე და გამოსათხოვარი სალამოც მოუნყვეს.

– ჩემგან რა უნდათ, რა გავაკეთო მე?

– ყველა კაცი ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს.

– შენ გიკვირს რამე ჩემ ნამოქმედარში?

– არა, ვაჟა, გასაკვირს მხოლოდ გმირები და სულელები სჩადიან.

– მაშ, რად გაუკვირდათ, როცა გზის მშენებლობაზე ჩემი სამუშაოს შესახებ გაიგეს?

– არ გაკვირვებიათ, უბრალოდ, გაეხარდათ.

– ან გასახარელი რა იყო ამაში?

– ბევრი რამ.

– დალის რა ადვილი ჰგონია ყველაფერი. აი, საკმარისია სადმე ხანძარი გაჩნდეს, მე აღმოვებულ სახლში შევევარდე და სავარძელი გადავარჩინო, რომ იგი მაშინვე გმირად გამომაცხადებს.

– და სწორადაც მოიქცევა.

– მე კი მგონია, რომ არ ღირს სავარძლისათვის ცეცხლში შევარდნა, თუმცა ის სავარძელი ერეკლე მეფისა იყოს.

– მართალია, სიცოცხლე ყველაფერზე ძვირფასია, მაგრამ ზოგჯერ სიკვდილიც საშიში არ არის, უფრო საშიშია, რომ არაფრისთვის არ შეგიძლია მოკვდე.

– აი, შენ ჟურნალისტი ხარ; შენ რას იტყვი, თუ მე ხანძრიდან სავარძელს გამოვიტან და საკუთარ ხელს ცეცხლში დავტოვებ.

– როგორ გითხრა, გააჩნია...

– და თუ მე ამას ხელის დაუნვაგად გავაკეთებ?

– სულერთია.

– არა, გურამ, სულერთი არ არის, მაშინ შენ უბრალოდ ყოჩაღ ბიჭებში მომიხსენიებ.

გურამი გაჩუმდა. ნეტავ ვიცოდე, რას ფიქრობს ახლა იგი.

– გურამ, – ისევ მე დავინყე, – მითხარი რამე, გურამ. ყოველთვის მეგონა, რასაც ვაკეთებდი, სწორად ვაკეთებდი. მე ყოველთვის გული მკარნახობდა. თურმე სულ სხვანაირად გამოდის. ან როგორ მოვიქცე. გავჩუმდე? როცა ინსპექტორი მთხოვს ვუთხრა ისეთი რამ, რომელიც მე თვითონ არ ვიცი?!

– შენს ასაკში გაჩუმება არ შეიძლება.

– აბა?

– იფიქრე, იფიქრე, უფრო მეტი იფიქრე. შენ ცუდს არაფერს გასწავლიან.

– და როცა ფიქრის დრო არ არის?

– ფიქრის დრო ყოველთვის არის.

– როგორ მინდა მჯეროდეს შენი, გურამ.

– ყოველთვის მეც ნუ დამიჯერებ. შენ საკუთარი სამყარო გაქვს, საკუთარი თავი საკუთარ მხრებზე.

\* \* \*

მარტი დაინყო.

დღეში სამჯერ დათქმულივით უნდა იწვიმოს.

ბებიაჩემი ყველაზე ადრე ალებს ფანჯარას და სკოლაში ჩემს წასვლამდე გაუჩერებლად ლაპარაკობს იმაზე, რომ დღესაც იწვიმებს და რეზინის ჩექმები უნდა ჩავიცვა, რომ უქუდობა, როცა იქნება, მაგრამ გამაცივებს, რომ ძველი წელთაღრიცხვით ჯერ ისევ ზამთარია და პალტო ძალიან ადრე გავიხადე.

სკოლაში ყველაფერი ძველებურადაა. მასწავლებლები კვლავ გვაშინებენ გამოცდებით. დირექტორი ყოველდღე ამონებს გაკვეთილებზე დასწრებას, ფიზკულტურის მასწავლებელი ოთარ ბრეგვაძე წინა მეთხედშიც ბაგირზე ცოცვას გვასწავლიდა, ხოლო თვით შემოქმედებითი კოლექტივის ხელმძღვანელი გოგია ძონენიძე მოახლოებულ ოლიმპიადაზე ზრუნავს.

გაკვეთილებს აღარ ვაცდენ, მაგრამ, სამაგიეროდ, იმ

გაკვეთილებზე, რომელიც უნდა გამეცდინა, მასწავლებელს აღარ ვუსმენ და სხვა რამეზე ვფიქრობ.

... ახლა თექვსმეტი წლისა ვარ. კიდევ რა დიდხანს უნდა ვიცხოვრო.

დღემ ძალიან მოიმატა. ახლა თავისუფლად ვასწრებ სკოლის შემდეგ ორი საათით გზის მშენებლობაზე მუშაობას, მერე ბურთის თამაშს დომენტის ჩამონაჭერ ეზოში და სალამოს გურამთან წასვლას.

სამკერვალო ფაბრიკაში არ დავდივარ. არც არავინ მთხოვს. ახალი გზა უკვე უახლოვდება სტადიონს. კარგა ხანია, ჩვენს სახლებს ჩავუარეთ. ჩამოჭრილი მიწიდან სამი წლის ნიგვზის ხე გადმოვრგე სახლის უკან და კვირტები არ დაიყარა. ეტყობა გახმა. სოკრატის სახელოსნო დაანგრის და მის ნაცვლად მაღალი, მინებიანი ახალი ფარდული მოუტანეს და სახლიდან ცოტა მოშორებით, მოსახვევთან დაუდგეს. სოკრატმა ვილაცას აბრები დაახატვინა და სამ ადგილას გააკრა. აბრაზე სახელოსნოს მიმართულების მაჩვენებელი ისარია და ნარწერა „ფეხსაცმელების შეკეთება“. აბრის მარჯვენა მხარეს დაღრეჯილი, ლანჩაამძვრალი ფეხსაცმელი ხატია, მარცხენა მხარეს კი იგივე ფეხსაცმელი – შეკეთებული და გალამაზებული. ვათა იანვრის შუა რიცხვებიდან მამამისმა სკოლა-ინტერნატში გადაიყვანა. ინტერნატი ქალაქიდან საკმაოდ შორსაა. ვათა ყოველ კვირადღეს ჩამოდის და ეზოში ჭკვიანურად დააბიჯებს. ვათას ინტერნატის ნაცრისფერი ფორმა აცვია და, როცა ძია სოკრატს ესაუბრება, თვალს ვერ უსწორებს. ინტერნატში მშობლებს არ იბარებენ და სოკრატს ჰგონია, ვათა ყველაზე უკეთესად სწავლობს.

გურამს თითქმის ყოველდღე ვხვდები. იგი ხანდახან წერს და მე ძველ ჟურნალებს ვათვალთვლი. ხანდახან მე ვწერ დავალებას და გურამი ათვალთვლებს ჟურნალებს. როცა ვიღლებით, ქუჩაში გამოვდივართ და საკონსერვო ქარხნის კლუბში კინოს ვესწრებით.

სკოლის დირექტორი შეურიგდა იმ აზრს, რომ მე ყველაზე ძნელად აღსაზრდელი, ჯიუტი და თავნება ბიჭი ვარ, ამიტომ ფანჯრის ჩატეხვაში და კედლის გაზეთის უკვალოდ გაქრობაში ეჭვიმტანილ მოსწავლეთა შორის პირველ რიგში ყოველთვის მე მასახელებს.

როცა გურამს ამეებს ვუამბობ, იგი მხარზე ხელს დამარტყამს და მეტყვის:

– გული არ დაგწყდეს. შენ შენი გზა გაქვს, ახალი და ფართო გზა, რომელიც შენ თვითონ უნდა გაიყვანო ბოლომდე.

– სტადიონამდე რომ ცოტა დარჩა? გზას ხომ მალე დავამთავრებთ?

– არა, ვაჟა, გზები არსად არ თავდებიან. შენ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გაქვს იმ დიდ არენამდე, რომელსაც ცხოვრების სტადიონი ჰქვია.

... და გურამი რაიმეს მიაბობს. მე ყურადღებით ვუსმენ და ვცდილობ, ყველაფერი დავიმახსოვრო, ზოგჯერ ძნელია, ყველაფერი გაუგო ამ კაცს.

\* \* \*

სალამოა. წვიმას აპირებს და ცივი ქარი უბერავს.

ახალ ქუჩაზე თავისუფლად დაშლიგინობს იგი და ჭიშკრებს ქვიმას ახვეტავს.

ფანჯრიდან მოჩანს დომენტის სახლის სამკუთხა სახურავი და გადახრილი მესამრიდი.

სახლში მარტო ვარ და არ ვიცი, რა ვაკეთო... მერე ქარი ერთბაშად ჩადგა, წვიმამ ფანჯრის მინას მიუკაკუნა. დაიწყებს ახლა და არ გადაიღებს.

ყურმა ფარდულიდან გამოვარდა და ღრენით გაიქცა ჭიშკრისაკენ. ვილაც ჩემს სახელს იძახის. ლაბადა მოვიხურე. გარეთ გამოვედი.

ჭიშკართან იულია პლატონოვნა დგას.

– გააღე, ბიჭო!

ჭიშკარი გავალე და რუსულის მასწავლებელი შინ შევიპატიჟე.

ოთახში შესვლისას გაბარდინის შავი მოსასხამი მომანოდა. მოსასხამი საკმაოდ სველია.

იულია პლატონოვნა ღუმელს მიუჯდა და თავშალი მოიძრო.

– დავსველდი, გზაზე მომისწრო წვიმამ.

მე ხმას არ ვიღებ. მრცხვენია საუბრის დაწყებისა. ორი თვეა არ მინახავს და ამ ორ თვეში როგორ გამოცვლილა... ზის პლატონოვნა ღუმელთან და სველ ხალათს იშრობს. ჩვენი მრისხანე მასწავლებელი. ახლა იგი თავთეთრა მოხუცი, ბები-აჩემზე უფრო უბრალო და მორჩილი ქალია.

– არ გაცივდეთ, იულია მასწავლებელო.

იულია მასწავლებელი არაფერს ამბობს. უცებ თითქოს რაღაც გაახსენდაო.

– როგორ გაქვს საქმე რუსულში?

– ძველებურად.

– მიეჩვიეთ ახალ მასწავლებელს?

– რა ვიცი.

– ჰო... ახალგაზრდაა, არა უშავს, თანდათანობით გათამამდება. ახლა, უცებ კი ვერ ჩაატარებს ჩემისთანა გაკვეთილებს. რაზე ხართ გრამატიკაში?

– მგონი ზმნას ვამთავრებთ.

ცოტა ხანს ისევ გავჩუმდით. მე აივნისდან შეშა გამოვიტანე და ღუმელს შევეუკეთე.

– რატომ არ დადიხართ, ბიჭო, ჩემთან? – ისევ დაარღვია სიჩუმე იულია პლატონოვნამ.

რა უნდა ვუპასუხო. გავჩუმდე ჯობია.

– აღარ გინდათ დახმარება?!

– როგორ არ გვინდა, მასწავლებელო, სხვებიც არ დადიან?

– დალი მოდიოდა მხოლოდ, ლალიძე, ხუთი დღეა, ისიც არ მოსულა. შენ ხარ რუსულში ყველაზე სუსტი. შენ გჭირდება, რაც გჭირდება. არ გესმის შენ?!

– მესმის, პატივცემულო.

– ჰოდა, უნდა მოხვიდე. მე ახლა შენი გულისთვის კი არ მოვსულვარ. წვიმამ მომისწრო და შევეფარე.

– ვიცი, მასწავლებელო.

– ჰოდა... ის კიდევ. შენ იცი? სად ცხოვრობენ ხახალიშვილი, გუბელაძე, ბეშკენიძე, გვანცელაძე და შვანგირაძე?

– ვიცი.

– აბა, ჩაიცვი და მიმყევი ყველასთან.

სანვიმარი ჩავიცვი და უხმოდ გავეყევი.

\* \* \*

ლამის ათი საათია. წვიმს.

დაღლილები მივყვებით უკან იულია მასწავლებელს დალი, მე, ხახალიშვილი, გუბელაძე, ბეშკენაძე, გვანცელაძე და შვანგირაძე.

იულია მასწავლებელი ხშირ-ხშირად მოიხედავს და გვათვალთვლებს, ვინმე ხომ არ გამეპარაო. იგი ფეხებამდე დასველებული და გასავათებულია.

... გვიან ღამემდე დავრჩით მასთან.

... იგი სათითაოდ გვიხსნიდა გაკვეთილს, გვტუქსავდა, გვანწყნარებდა. საოცრად მხიარული და ენერგიული ჩანდა.

მე იმ დღეს არც ერთი რუსული სიტყვა არ მისწავლია. მე კუთხეში ვიჯექი და არავის არ ვუსმენდი. შევეყურებდი ბებერი მასწავლებლის მოხრილ ბეჭებს და ტირილი მინდოდა. როგორ უხაროდა, როგორ ამაყობდა, როგორ ვჭირდებოდი ჩვენ მას – უყურადღებო მოსწავლეები უყურნალოდ დარჩენილ მასწავლებელს.

\* \* \*

მესამე დღეა იულია მასწავლებელი ავადაა.

მესამე დღეა მთელი ჩვენი ჯგუფი მორიგეობს ავადმყოფის სასთუმალთან.

ექიმი ამბობს, გრიპი აქვს, მაგრამ საშიში არაფერიაო. ნეტავ სად გაცივდა ამ ადრიან გაზაფხულზეო? უკვირს ექიმს. იულია

პლატონოვნაც კვერს უკრავს. არსად არ დავდივარ, სულ სახლში ვზივარ და მართლაც რამ გამააცივავო. მხოლოდ ჩვენ – მე, დალიმ, გუბელაძემ, ბეშქენაძემ, ხახალეიშვილმა, გვანცელაძემ და შვანგირაძემ ვიცით, სად და როგორ გაცივდა რუსულის მასწავლებელი. როცა მას სალამოობით ტემპერატურა აუწევს, ოთახში ადგილს ვერ ვპოულობთ, აივანზე გამოვდივართ და ჩუმად, ძალიან ჩუმად შევყურებთ ერთმანეთს.

ექიმი ამბობს, საშიში არაფერიაო.

\* \* \*

... მერე ექიმი დალის მხარზე ადებს ხელს და ამბობს:

– ნადით შინ, ბავშვებო, უკვე გვიანაა.

– როგორ არის? – თითქმის ერთდროულად ვკითხულობთ ყველანი.

– მე მგონია, ხვალ კარგად იქნება.

მე მგონი...

დალი თვალებში ჩასმულ თმებს ისწორებს. თეთრ ხალათზე მოსასხამს იხურავს და ჩემთან მოდის.

– გამააცილე.

– დალის ქუჩაზე სინყნარეა.

– ჩვენი ბრალია, – ამბობს იგი.

– ჰო.

– კი, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცოდით... არ ვიცოდით.

– ჩვენ არაფერი არ ვიცით.

– კარგად იქნება?

– არა, ვაჟა, იულია მასწავლებელი არასოდეს აღარ იქნება კარგად. ექიმი მხოლოდ გვამშვიდებს, ექიმმა ყველაფერი იცის.

– არა, ყველაფერი არ იცის ექიმმა.

– ჩვენ ყოველდღე მივალთ მასთან, ხომ მივალთ, ვაჟა?

– მივალთ, ყოველთვის, ძალიან დიდები რომ გავიზრდებით, მაშინაც, მოსწავლეები რომ აღარ ვიქნებით, მაშინაც მივალთ, დალი.

– ვაჟა!

– აი, მოვედით, მეტი არაფერი არა თქვა, ჩუმად იყავი, დალი.

– ნახვამდის.

– ნახვამდის.

\* \* \*

მოვრბივარ ფართო და ახალ ქუჩაზე.

ახალ ქუჩაზე დიდი ღამეა, ახალ ქუჩაზე სახლები შორიშორს დგანან. ძველი ქუჩა მარტო ჩვენ გვეკუთვნოდა, – მეზობლებს. ჩვენს ქუჩაზე უცნობი ათასში ერთხელ თუ გაივლიდა. ახალ ქუჩაზე კი ძალიან ფართო ღამეა და სახლები შორიშორს დგანან.

ჭიშკართან ვათა მელოდება.

– ჩამოხვედი?

– ჰო, ხვალ კვირაა.

– გავაბოლოთ?

– ჰო.

– თუნუქის კოლოფში კიდევ გვაქვს?

– იქნება, რაც შენ ნახვედი, არ მომიწევია.

– მოიცა.

– ა?

– იქ ვილაც ზის.

სიბნელეში ციციინათელასავით კიაფობს, ადის და ჩამოდის ანთებული პაპიროსი.

ვალიკოს მერხზე მართლაც ზის ვილაც და ჩვენ უკან ვბრუნდებით.

... მერე ერთბაშად ვამჩნევთ, რომ ვალიკოს ერთოთახიან ხის სახლში დღეს პირველად ანთია სინათლე.

1959 წ. ქუთაისი

## პიცი, რამ მოკლა

წუხელის გარდაიცვალა; ამ დილით, უფრო სწორად. ერთი ამოიხვნეშა და დალია სული. მითხრა ექიმმა გუშინ, ტყვილად ვანვალებთო. მეოთხე დღეა პირში არაფერი ჩასვლია. გუშინ საღამომდე გრძნობაზე იყო. ასე, შვიდი საათის მერე წნევა სამოცდაათზე დაეცა. ჩქარა სუნთქავდა. თვალები მილულა და ჩემ ჩაძახილზე ხელის მოჭერითაც აღარ მპასუხობდა. სიკვდილის წინ მარტო ვეჯექი სასთუმალთან. ექთანს გვერდით პალატაში ნაოპერაციებს წვეთოვანს უდგამდა, მორიგე ექიმი ნახევარი საათით გავიდა თვალის მოსატყუებლად. აქაც რომ ყოფილიყვნენ ორივენი, მაინც ვერას უშველიდნენ. სააქაო პირი აღარ ჰქონდა. ხომ ყოველნუთს ველოდი სიკვდილს, ამ ბოლო დღეებში ხომ უკვე გამოტირებული მყავდა, მაგრამ სუნთქვა რომ შეწყვიტა, თავზარი დამეცა. თითქოსდა ცა ჩამომემხო. სულ მარტო დავრჩი ამ დუნიაზე. ჩემს ბიჭებს ჯერ ჭკუა არა აქვთ. ჯერ არ იციან, რა მამა დაკარგეს. რა უბრალოდ კვდება თურმე ადამიანი. ხომ გითხარი, ერთი ამოიხვნეშა ისე, ბუნებრივად შუა ძილში რომ ამოიხვნეშებს ადამიანი და წავიდა. რა უნდა მექნა. რა უმწეოა ამ დროს ქირისუფალი. მირიან! მირიან! მირიან-მეთქი! ჩავძახე, მეტი ვერაფერი მოვახერხე. ვითომ ხელოვნური სუნთქვაც ვცადე, არაფერი

გამოვიდა. გავვარდი, ექიმი გავალვიძე. წამოხტა და მაშინვე გამომყვა.

მაჯა გაუსინჯა. ჟანგბადის საპირეც დააფარა ისე, ყოველ შემთხვევისათვის.

მერე უიმედოდ გადააქნია თავი.

პროზექტურაში არ გაიყვანოთ, სანამ ნათესავები მოვიდოდნენ, თავის ლოგინში იყოს-მეთქი.

როგორც გნებავთ, ქალბატონოო, თანაგრძნობის ნიშნად ხელზე ხელი მომიჭირა და გავიდა.

ბალიში გამოვაცალე.

პირალმა გადავაბრუნე.

საბანი გავუსწორე და გვერდით დავუჯექი.

მე ვთქვი, ამ ოთხ საათზე ვის დავურეკო, ვინ შევანუხო, გათენდება და ჩამოვრეკავ-მეთქი.

თქვენც თქვენი უბედურება გჭირთ.

აფორიაქდებოდით, ვერც მანქანას იშოვიდით, განვალდებოდით, ამას მაინც ვერაფერს უშველიდით.

ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ერთი შეკვივლებაც ვერ მოვახერხე („შენამებას“ ვეძახით ჩვენ – მეგრელები). შეკვივლება კი არა, ხმამალალი ტირილისაც შემრცხვა. გვერდით პალატაში მძიმე ავადმყოფი ჰყავთ. გული არ გაუსკდეს-მეთქი.

იცოცხლე, რა საშინელი გრძნობაა, ქალს რომ ტირილი გინდა და ტირილის საშუალებაც არა გაქვს?

ვიჯექი მარტო. ხანდახან შუბლზე დავუსვამდი ხელს.

რაც უფრო ცივდებოდა, მით უფრო უცხო ხდებოდა ჩემთვის. თითქოსდა სხვა ინვა ამ საწოლში, ვილაც ძალიან ახლობელი, მაგრამ მირიანი – არა.

შიშით, ზოგიერთმა რომ იცის, მკვდრის მეშინიაო, არ შემშინებია.

შენ წარმოიდგინე, ჩემი თავი დავიჭირე იმაში, რომ თითქოს შვებაც ვიგრძენი. შვება როგორ? რომ დაიკვნესა, რომ აღარ წვალობდა...

არავინ არ იცნობს ადამიანს, ისეთს როგორც არის თურმე იგი სინამდვილეში.

რომ შემცივდა, შენ წარმოიდგინე, წამოვდექი და შარფი მოვიხურე. არ გავცივდე-მეთქი. ნინ პანაშვიდების ხუთი დღე მაქვს და ჩემი ცხვინკვების თავი ვის ექნება-მეთქი.

ამას ისე მშვიდად ვაკეთებდი, მევე მიკვირდა.

თავშიც, თითქოს, ყველაფერი დალაგდა, გუშინდელმა და გუშინდელმა სასონარკვეთის კანკალმა გამიარა.

გამოვიანგარიშე დაკრძალვის დღეც. სამგლოვიარო განცხადებაც დავალაგე თავში. ისიც ვიაზრე; ზუგდიდში, ხობში, სენაკში ვის უნდა შევატყობინო.

აფსუებსაც ვისხენებ, იმათაც ძალიან ეწყინებოდათ. სოხუმში ვინ გააგებინებს, სოხუმში კი არა ზუგდიდში არ ჩადის დეპეშა. ავტობუსის მძღოლს უნდა გავატანოთ შეტყობინების წერილები, მეტი გზა არაა.

ვზივარ ამ ფიქრებში გართული. სასწაულს გეტყვი. შენს მეტს როგორ ვეტყვი ამ ამბავს; არაფერი არ ყოფილა ადამიანი, სულ არაფერი. ორი ღამის უძილარს თვლენა მომერია. ძილს ვერ წავართვი ვერაფრით თავი. ყურები და თვალები დავისრისე, თავ-კისერი ვატრიალე, შენც არ მომიკვდე.

დავკეტე კარი, ვინმემ არ შემომისწროს-მეთქი, წამოვწევი აგერ, მეორე ლოგინზე და ერთი საათი მკვდარივით მეძინა.

ექიმს როგორ გავამტყუნებ, მე დამეძინა, მე, ქმრის დამკარგავს, გაუბედურებულ ქალს.

გარბი-გამორბიან ახლა ექიმები, ავადმყოფობის ისტორიას ავსებენ. ყველაფერი დამაჯერებელი უნდა იყოს. რა დიაგნოზი ჰქონდა, როგორ „განვითარდა ავადმყოფობა“, რა იყო უშუალოდ სიკვდილის მიზეზი.

რად მინდა ქალაღდი, მე ყველაზე უკეთ ვიცი, რამ მოკლა ჩემი ქმარი.

ვიცი, რამ წამიქცია ასე უცებ ხარივით ჯანმრთელი კაცი.

მირიანს რკინის გული ჰქონდა. ყოფილა შემთხვევა, სამი დამე თვალი არ მოუხუჭავს. მძიმე ავადმყოფს არ მოშორებია.

დალლა არ იცოდა, რა იყო.

ომის დროს საავადმყოფოში ათენ-ალამებდა.

სახლში ორჯერ თუ სამჯერ შემოირბინა.

გულრიფში რომ გადავიდა საავადმყოფო, მაშინ მოვიდა ერთი საათით და მახსოვს, ასეთი რამ მიაშბო: დაჭრილი აფსუა მოიყვანესო. ლაბრასთან ტყვედ ჩავარდნილა. გულთან სანტიმეტრის სიახლოვეს ყოფილა ტყვია გავლილი. ოპერაცია გავუკეთეთ და მესამე დღეს მოიხედაო. თბილისელი ბიჭის სანახავად მოსულ მეზრძოლებს უცვნიათ თურმე, ამას აქ რა უნდაო და ავტომატი გადმოუღიათ. ბლავილი აუტენია მირიანს, მე მესროლეთ და ამას არ ესროლოთო. ძლივს გადავარჩინე კაცი, თვითონ ეყოფა, რაც ჭირს, მთელი ცხოვრება ხეიბარი იქნება ისედაც, არ მომიკლათ, არ ჩადგეთ მაგის ცოდვაშიო! გადაფარებია დაჭრილს. ეს გვლუპავს, ეს დედლობა და გულჩვილობა გვლუპავს ჩვენ, ქართველებსო, უთქვამს ერთ მათგანს. რა ვქნა, მე ექიმი ვარ ჩემ ადგილას, სახეზე გატყობ, შენც ისე მოიქცეოდითო. სულ მხარზე ხელის სმით ჩაუცილებია კიბეზე მირიანს ავტომატმემართული ჯარისკაცი.

ასეთი გული ჰქონდა.

ამ სამი წლის განმავლობაში უნამუსო, უტიფარმა მოტყუებამ მოკლა ჩემი ქმარი, მეტმა არაფერმა.

კოდორ-ჭუბერის ტანჯვის გზა ისე გამოვიარეთ, ერთი არ დაუჩივლია, ერთი არ დაუკვნესია, ერთი ძვირი არ წამოცდენია იმათ მიმართ, ვინც ეს სასაკლაო მოაწყო.

ყველაფერი სჯეროდა, რასაც აფხაზეთის დაბრუნებაზე ჩვენი მთავრობა აცხადებდა.

ხომ გახსოვს, ტყუილების კასკადი – ა, ახლა გადანყდება ჟენევაში, ა, ახლა გადანყდება ნიუ-იორკში, ა, ახლა დაგვაბრუნებს მოსკოვი...

მერე გაუთავებელი – „თორმეტ მაისს ვბრუნდებით“, „რვა ივნისს ვბრუნდებით“, „ოცი სექტემბერი“, „ცხრა ნოემბერი“, „ჩვიდმეტი თებერვალი“...

ალარ გათავდა, ალარ გათავდა... ჩვენს აბუჩად აგდებას ალარ მოელო ბოლო.

გვატყუებენ, დრო გაჰყავთ. ხუთ წელიწადში ნახევარი ცოცხალი არ ვიქნებით და ცოცხალიც რომ დავრჩეთ, დამბრუნებელს ვერ იშოვიან-მეთქი, ვეუბნებოდი.

შენ რა იცი, მეჩხუბებოდა, ხელისუფლება ასეთ ტყუილს როგორ იკადრებსო. რა ხელს აძლევთ ასეთი ტყუილიო. ხომ იციან, ერთ მშვენიერ დღეს ამ ტყუილებისათვის პასუხს რომ აგებინებენო.

ცხრამეტ იანვარს მორიგი სპექტაკლი რომ ჩაატარეს მოსკოვში და ახალი ტყუილებით დააპურეს ჩვენი გულუბრყვილო ხელისუფლება – გახარებული დაბრუნდა შინ.

აღსრულდაო. ხომ გეუბნებოდი, დავბრუნდებითო. ნახე, რა უყვეს არძინბასო.

რა უყვეს-მეთქი.

რა და ბლოკადა გამოუცხადესო.

არ დაიჯერო ეგ ამბავი-მეთქი.

მეორე დღეს არძინბა რომ მოსკოვში ტრიუმფით მიიღეს და საქმე ასოთხმოცი გრადუსით რომ შემოტრიალდა, ცოტა არ იყოს, შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტყუა.

ახლახანს კი ჩვენმა ბრძენმა პოლიტიკოსებმა ფოთში გემების შემონმებასაც რომ ვერ მიაღწიეს, ყველაფრის იმედი ერთბაშად დაკარგა.

ჩემ თვალწინ ჩამოიღვენთა სანთელივით, თვალეში იმედის სხივი ჩაუქრა.

სიცრუეა ყველაფერიო. როგორც ვხედავ, გაგვწირეს სამასი ათასი ქართველი. ჩვენი დამბრუნებელი ეს ხელისუფლება არ არისო.

იმ დღიდან საოცრად გულჩახვეული გახდა.

გაზეთების კითხვა შეწყვიტა.

ტელევიზორსაც აღარ უყურებდა. არც ლტოლვილთა აქციებზე დადიოდა.

ლტოლვილთა ყრილობაზე წავიდა და მეორე დღეს კიდევ უფრო სასონარკვეთილი დაბრუნდა.

ლამაზად ლაპარაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთსო.

აფხაზეთში დაბრუნებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, უფრო ჰუმანიტარული ტვირთის განაწილებაზე და დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე წუნუნებდნენო.

რას ვიზამთ, სული მწარეა. ახლა იქ დამბრუნებელი აღარა-

ვინ არის. „ბატონ არძინბას“ ეძახიან კაცს და „ბატონი არძინბას“ აფხაზეთში ხომ არც შენ იცხოვრებ-მეთქი.

გული იმაზე მისკდება, ეს სამი წელი როგორ ვენდე ამათ და როგორ დაფუჯერეო. როგორ გაგვაცურეს და შეგვიყოლიეს უნამუსოდო:

ეთქვათ თავიდან, რომ არ ჰქონდათ თავი აფხაზეთის დაბრუნების და რალაცას ვისაშველებდით. სხვა გზას ვენეოდით.

გულჩათხრობილი გახდა.

ყველაფერი აღიზიანებდა, ჩემთან ლაპარაკიც აღარ სურდა, ბიჭებსაც უმიზეზოდ უწყრებოდა. მთელი ღამე ჭერს შესცქეროდა და სიგარეტს ეწეოდა.

მეშინოდა, არ შეიშალოს-მეთქი.

ამ საავადმყოფოში რომ მივიყვანეთ, ყველაფერი იცოდა, რასაკვირველია. ექიმი იყო, შენ მოატყუებდი?

სხვისი რენტგენის სურათი და ცრუანალიზები მოვუტანეთ, ისე, გულის გასაკეთებლად.

დახედა და უკან გადმოგვიყარა.

რას მაიმუნობთ, ეს ჩემი არ არისო. ამ ანალიზების პატრონი ლოგინზე კი არ უნდა ეგდოს, ფეხბურთს უნდა თამაშობდესო.

ბოლოს თანდათან სუსტდებოდა, ამ კვირაში ფეხზე აღარ ამდგარა.

ერთხელ წამოვაჯინე, ცოტა ბორჯომი მოსვა და მაშინვე ცივმა ოფლმა დაასხა.

არაფერი არ მინდა ახლა, ოღონდ ერთი წუთით სოხუმში, ჩემს ეზოში კუნძზე დამაჯინა. იყოს სახლ-კარი გადამწვარი, იყოს კერია მოშლილი. უბრალოდ სოხუმში ჩამახედა და მანახა, რა ხდება, ვინ ცხოვრობს ჩვენ მეზობლად, გამაგონა, რას ლაპარაკობენ ჩვენზე, რა სინდისით დადიან ჩვენს კიბეებზეო.

მოესწრები, მოესწრები-მეთქი, ახლა მე დაფუჯე პირიქით გულის გაკეთება.

მეტი არ იქნა ჩემი მტერიო, ხელი ჩაიქნია და ბალიშზე მიდო თავი.

მერე აღარ ამდგარა.

## უვალო შიმშილობა

„ცხრა ძმის“ მემორიალურ კედელთან ხუთი ბიჭი შიმშილობდა.

თუ არ ვცდები, აპრილის სამი იყო, რომ გამოჩნდნენ.

ზურგჩანთები მოიხსნეს, ორი ტრანსპარანტი მინაში ჩაარჭვეს და კედელთან საშიმშილოდ მიწვნენ.

ერთ თარგზე გამოჭრილებივით ერთნაირები იყვნენ, დაახლოებით ცხრამეტი-ოცი წლისანი.

ერთ ტრანსპარანტს ეწერა: „ვაცხადებთ უვალო შიმშილობას, ხოლო მეორეს „მოვითხოვთ უკანონო ხელისუფლების გადადგომას“.

ხუთი ბიჭის საშიმშილოდ დაწოლა იმ დღეს ქალაქს არ შეუტყვია.

ეგ იყო, ოდენ მშობლები დადიოდნენ ახლომახლო ხელების ფშვნივითა და იმგვარი ბუტბუტით, ჯიუტი შვილის დედას რომ ჩვევია.

მოშიმშილეებმა იმ ღამეს ლაბადები წაიხურეს, თავქვეშ ზურგჩანთები ამოიდეს და მშვიდად დაიძინეს.

დილით ნელ-ნელა იწყო ხალხმა დენა.

ახლომახლო საბროკერო-სამაკლერო ბირჟის მომხმარებლებმაც „ცხრა ძმის“ კედელთან გადმოინაცვლეს, მაგრამ ვითარებაში ვერ გაერკვნენ, მოშიმშილეთადმი ინტერესი დაკარგეს და თავიანთ, გაცილებით რეალურ საქმეს დაუბრუნდნენ.

მოშიმშილეებთან ჟურნალისტები, ეროვნულ პარტიათა წარმომადგენლები და ირგვლივ სერზე შემომსხდარი, ბამბის მრეწველობის სამინისტროს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები დარჩნენ.

უსაფრთხოების თანამშრომლები არ აქტიურობდნენ, ისინი მშვიდად შესცქეროდნენ „მოვლენათა განვითარებას“.

ჟურნალისტების დანახვაზე ორი მოშიმშილე წამოდგა, მაგრამ მთავარმა მოშიმშილემ, პაატა შვინდაძემ, განკარგულება გასცა – „მეტი არ იცით, ბიჭო? მოშიმშილის ადგომა როგორ შეიძლებაო“, და ისინიც დაწვნენ.

– რამდენი ხანია, რაც საშიმშილოდ დასხედით? – ჰკითხა განაპირას მიწოლილ ცისფერთვალემა, მიმინოსცხვირა ბიჭს მიკროფონმომარჯვებულმა გოგონამ.

– ჩვენ არ ვზივართ, ვწევართ, – მშვიდად მიუგო ბიჭმა.

– ეგ სულერთია... ისა... მშრალ შიმშილობას აცხადებთ?

– კიდევ რანაირი შიმშილობა არსებობს?

– სველი... სველის დროს წყლის და წველების დალევა შეიძლება.

– ჰო... ჩვენ მშრალად არ ვშიმშილობთ.

– სანამ აპირებთ შიმშილობას?

მიმინოსცხვირამ პაატას შეხედა.

– სანამ ჩვენს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, – ცისფერთვალას მაგივრად უპასუხა პაატამ, რის შემდეგაც რადიოჟურნალისტმა პაატასაკენ გადაინაცვლა. როგორც ჩანს, მოშიმშილეთა თავი უფრო საინტერესო მოსაუბრედ მიიჩნია.

ორი საათისთვის რომელიღაც პარტიის ახალგაზრდული ფრთის წევრები მოვიდნენ და იქვე, მოშიმშილეთა გვერდით მიტინგი გამართეს.

მიტინგს უსაფრთხოების სპეცსამსახურის თანამშრომლებიანად ორმოცდაათამდე კაცი ესწრებოდა.

მეგაფონი ერთს ეჭირა. ორატორები რიგრიგობით მიდიოდნენ და, ვერ დავმაღავ, ლამაზად ლაპარაკობდნენ.

ბოლოს ყველანი ერთნაირად ამთავრებდნენ გამოსვლას: ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთო.

მოშიმშილენი იწვნენ და უკვირდათ, რომ მათი უვალო შიმშილობა გამომსვლელთაგან არავის უხსენებია.

ნაშუადღევს წამოწვიმა და მიტინგი ნელნელა დაიშალა.

ვისაც მეგაფონი ეჭირა, სიტყვა არ უთქვამს. მეგაფონს პლაში წააფარა და მანქანისკენ გაიქცა.

ლამდებოდა, როცა მოშიმშილეებთან მოხუცი, კოჭლი პროფესორი ინასარიძე მოვიდა.

იყავით, არ ადგეთო, მოსვლისთანავე სთხოვა ბიჭებს, თუმცა მოშიმშილენი ადგომას ისედაც არ აპირებდნენ.

ინასარიძე პაატა შვინდაძის და ალათანგ ხურციძის ლექტორი იყო. დანარჩენ მოშიმშილეებს არ იცნობდა და თავის მხრივ სხვებმაც პირველად ნახეს ეროვნული მოძრაობის მსცოვანი თანამესანგრე.

პროფესორმა ბიჭებს ვრცელი პატრიოტული სიტყვით მიმართა.

თქვენაო, ნამდვილი გმირები ხართო. მთავარია არ გატყდეთო. თქვენს ღვანლს სამშობლო არ დაივინყებსო.

ერთხანს იდგა იგი ცალ, საღ ფეხზე და ჯოხზე დაყრდნობილი, მერე ცრემლმორეულმა სათითაოდ გადაკოცნა მოშიმშილენი, გაძლება უსურვა და მშრალი ხიდისკენ გააბიჯა.

აღმართთან ქალი წამოენია.

– თქვენ... პატივცემულო... ამ ხნის კაცი ამას უნდა ეუბნებოდეთ ბავშვებს? იმის მაგივრად, რომ ქკუა დაარიგოთ, იქით აგულიანებთ გამოუცდელ ახალგაზრდებს? ამათი შიმშილით გადადგება ეს უნამუსო მთავრობა?!

პროფესორი შედგა. რალაც უნდოდა ეთქვა, პირი გაალო კიდეც. უყურა, უყურა თავშალმოხურულ, გამხდარ ქალს, მერე ხელი ჩაიქნია და წავიდა.

– რა გენაღვლებათ, რა... – მოესმა ზურგსუკან პროფესორს და აღშფოთებული ქალის სხვა სიტყვები ქუჩის ხმაურმა დაფარა, თორემ გუმანით ხვდებოდა, რომ მისი მისამართით ნათქვამი სხვა ფრაზები არანაკლებ „საალერსო“ იყო.

ამ ქალაქისთვის, საერთოდ, შიმშილით პროტესტის გამოხატვა უცხო ხილი როდი იყო. გარდა ისეთი, მართლაც, რომ შიმშილობის ღირსი საკითხებისა, როგორც იყო განძის გატანა, ეროვნულობის გრაფის აღდგენა, რუსის ჯარის გაყვანა და ა. შ. მოქალაქენი შიმშილობდნენ საყოფაცხოვრებო საკითხების მოსაგვარებლადაც. მაგალითად, ავტონისპექტორის მიერ უკანონოდ დაჯარიმების, სამსახურში შტატების შემცირების

და მღებავ-მერემონტეთა მიერ „ბიაზის“ უხარისხოდ გაკვრის შემთხვევაშიც.

ამიტომაც ქალაქში ხუთი თავგანწირული ბიჭის შიმშილობას დიდი გამოცოცხლება და ქუჩების გადაკეტვა, ან პოლიტიკური ვნებათაღელვის ახალი ზვირთი არ მოჰყოლია.

გაზეთებმა და რადიო-ტელევიზიამ მშრალად აცნობეს საზოგადოებას, რომ უკანონო ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით ხუთი ახალგაზრდა შიმშილობდა.

ასეთ დროს, საერთოდ, ისინი, ვისი გადადგომის მოთხოვნითაც ხუთი ყმანვილი სასიკვდილო სარეცელზე წვებოდა, ცოტა მაინც შეფუცხუნდებოდნენ. მოშიმშილეებს ან შუამავლებს მიუგზავნიდნენ, ან მორიგ ტყუილს გამოაცხადებდნენ (აქაო და უახლოეს ხანში მოშიმშილეთა მოთხოვნებს მთლიანად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც დავაკმაყოფილებთო). მაგრამ ამჟამად მთავრობას ყურიც არ გაუპარტყუნებია. ჩანს, მიეჩვია იგი მოშიმშილეთა ხშირ აქციებს და, სამედიცინო ტერმინი რომ ვიხმართო, იმუნიტეტი გამოუმუშავდა. წაყრუების ნაცად მეთოდს მიმართა.

ესეც არ იყოს, ცუდ დროს მოუნია ბიჭებს შიმშილობამ.

ძველით ჯერ ისევ მარტი იდგა. ციოდა და ასფალტი სველი, ნესტიანი იყო.

შიმშილობის სეზონი უფრო მაისიდან ოქტომბრამდეა.

ბიჭებმა ცოტა არ იყოს, იჩქარეს. იმ უბრალო მოთხოვნით, რა მოთხოვნითაც ისინი შიმშილობდნენ, ასეთივე და კიდეც უფრო მეტი წარმატებით ივლისში შეეძლოთ, დაეწყოთ შიმშილობა.

იქნებ ძალიანაც უნდოდათ მოქალაქეებს უკანონო ხელისუფლების გადადგომა, მაგრამ ფეხის დასველებას ერიდებოდნენ და უმეტესწილად პროტესტის გამოხატვის ისეთ ფორმას მიმართავდნენ, როგორცაა სატელეფონო გინება-საუბრები.

ლამით მოსეირენი და თანამგრძობნი წავიდ-წამოვიდნენ.

შიმშილის ველზე ხუთი ბიჭი და იქვე, შორიახლო, ბამბის მრეწველობის სამინისტროს უსაფრთხოების სპეცსამსახურის თანამშრომლები დარჩნენ.

ნაზამთრალი, უშუქობით განამებული ქალაქი ნელ-ნელა იძინებდა.

მტკვრიდან ცივმა ბორიომ წამოუქმუტუნ-წამოუსისინა. მოშიმშილენი და მათი მეთვალყურენი, მართალია, სხვადასხვა ფიქრით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ სიცივე ორივე მხარეს ერთნაირად ანუხებდა.

მშობლებმა ახლომახლო კარავი გამართეს.

ბიჭები იწვნენ და მრისხანედ ათვალეირებდნენ კარავში შეყუჟულ, შვილებისკენ თვალეზგამოქცეულ მშობლებს.

ბოლოს, მშობელთაგან ყველაზე გამბედავი, თერმოსითა და ჩანთით ხელში კარავს მოშორდა და მოშიმშილეებისაკენ წამოვიდა.

– დედა! რა გითხარი მე შენ?! – დაუძახა ქალს ყველაზე ჩუმმა და გალუღლმა მოშიმშილემ – იოველ ნემსინვერიძემ.

– ჰო, კარგი... კარგი... შე გადარეულო! – ქალი გატრიალდა. ნაშუალამევს კიდე უფრო აცივდა.

სპეცსამსახურის ორი თანამშრომელი ჩქარი ნაბიჯით „ცხრა ძმის“ კედელს მიუახლოვდა.

ერთ-ერთს ხელში ცარიელი ბოთლი ეჭირა.

– ბიჭებო, წყალს ვერ დაგვალევიანებთ?

იოველმა ნეილონის ბოცა გაუწოდა.

თანამშრომელმა ცოტა ჩაისხა, მოსვა და მეორეს შეხედა.

– ხომ გამოხდილი წყალია, ნამდვილად? – ნიშნისმოგებით ჰკითხა პაატა შვინდაძემ.

– მერე? თუნდაც სხვა რამე იყოს... ვინ გეუბნებათ რამეს. ჩვენ ეგ საკითხი არ გვეხება.

– მე ვიცი, რაც გეხებათ, არ გინდათ, რა, ჩვენთან ეგეთი რამეები.

– კაი, ერთი, თუ ძმა ხარ. შენ გგონია, ჩვენ გვეხალისება ამ ყიამეთში ხის ქვეშ გდება?

– ჩვენ არ მოგვინვევიხართ, – ხურციძემ განზე გაიხედა.

ეს იყო ყველაზე გრილი დიალოგი, მოშიმშილეებსა და სპეც-სამსახურის აგენტებს შორის რომ გაიმართა.

ბიჭებთან ძირითადად სამი „ბრიგადა“ მორიგეობდა.

ისინი ყოველ მესამე დღეს იცვლებოდნენ და, ღმერთის წინაშე ვფიცავ, ყველანი ერთიმეორეზე უკეთესები – უშუალონი, გულწრფელნი, უბრალონი იყვნენ.

ლამით ვედროში ცეცხლს ანთებდნენ, ბიჭებს ზურგთან სეველე საბნებს უსწორებდნენ, წვიმა რომ წამოვიდოდა, ბრეზენტის ლაბადებს აფარებდნენ. მოშიმშილეებს რომ ეძინათ, მანქანიდან თვალმოუხუჭავად უთვალთვალებდნენ, ვედროში რომ ცეცხლი არ განელეებულყო, ან ბიჭების მყუდროება არავის დაერღვია.

მშობლებთანაც მოძებნეს საერთო ენა. მოშიმშილეებს რომ წყალწვენით დაარწყულებდნენ „აგენტები“, მშობლებთან ერთად ისხდნენ კარავში და იშვიათზე იშვიათად ადრიანი გაზაფხულის გრძელ, ცივ ღამეს შემოთავაზიანებული ორნახადითაც ებრძოდნენ.

მეექვსე დღეს მოშიმშილეებს სისუსტე შეეტყოთ.

თავი ისე ყინჩად ვეღარ ეჭირათ და, კიდევ კარგი, მნახველებიც იშვიათზე იშვიათად ანუხებდნენ.

იმ ღამეს იოველ ნემსინვერიძე დედამისმა სიბნელეში გამოიხმო, ხელი გამოსდო და მტკვრის ნაპირისკენ წაიყვანა.

– დედა, დამიჯერე, სიკვდილი გინდა მაინცდამაინც? შენ სხვა ორგანიზმი გაქვს. ისინი ხომ ხედავ, კარგად არიან. გაგისკდება ნაწლავი და დამლუპავ. არ გესმის, დედა, შენ?! რა იქნება, გამიგონე, ამ ერთხელ გამიგონე... შენ არ იცი, რას ნიშნავს ოთხი დღე გაუსვლელობა. აგერ, მოტანილი მაქვს კლიზმა. ჩავიდეთ მტკვარზე, ერთი წუთი უნდა... ვერავინ ვერ გაიგებს, თუ გიყვარვარ... თუ ჩემი ბიჭი ხარ... ნუ დამლუპავ და თავსაც ნუ დაილუპავ.

...და იოველი გატყდა.

სერიოზულ მკითხველს მივმართავ; განა რამე აკლდება იოველის გმირობას იმით, რომ შიმშილობის მეექვსე დღეს, ღამის სამ საათზე უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების შეგნებული თვალის არიდებით ნემსინვერიძეს დედამისმა ოყნა

(ეს შეკრულობის წინააღმდეგ ბრძოლის უძველესი მექანიკური საშუალება, რომელსაც ძველი ეგვიპტელებიც კი იცნობდნენ) გაუკეთა?

იოველი გალახულივით, მოთენთილი დაბრუნდა და თანამოძმეთა გვერდით დანვა.

ეგონა, ყველამ ყველაფერი იცოდა.

სინამდვილეში კი, იმ ღამით მომხდარ, არცთუ სამარცხვინო ამბავს, იოველის ყოფილი თანამოძმომილენი მხოლოდ ამ ნოველიდან შეიტყობენ და, ისიც იმ შემთხვევაში, ამ ტოტალური უკითხაობის ეპოქაში ეს ნოველა ხელში თუ ჩაუვარდებათ.

შიმშილობის მეექვსე დღეს კიდევ ერთი, შეწირულთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტი მოხდა. მშობლების დაჟინებული თხოვნით და უსაფრთხოების მუშაკთა კატეგორიული დასტურით გადაწყდა, მოშიმშილეები ოცდაოთხ საათში ერთხელ, ღამის ორ საათზე, კარგად დანაყრებულიყვნენ.

დასანაყრებლად ისინი თითო-თითოდ მიდიოდნენ კარვისკენ და იქ, ქურდულად, მაგრამ მადიანად იღმურძლებოდნენ.

მეტი ღირსშესანიშნავი მოშიმშილეთა თავს კარგა ხანს არაფერი მომხდარა.

პრესა მინყნარდა.

ქალაქმა თითქმის დაივიწყა მოშიმშილენი.

– უთხარი, ზეინაბ, სტუდენტებს, მოვიდნენ, რატომ არ ჩანან, სირცხვილია ბოლოს და ბოლოს, – მერამდენედ აფრთხილებდა პაატა სტუდენტ-აქტივისტს ზეინაბ მიქაძეს, მაგრამ ზეინაბი ერთსა და იმავეს პასუხობდა:

ყველა ჯგუფში შევედი, განცხადებებიც გავაკარი, მაგრამ არ მოდიანო.

გავიდა თვენახევარი.

მეთვალყურეთა ბრიგადის უფროსი პარასკევ დღეს ბამბის მრეწველობის სამინისტროს შიმშილობის განყოფილების გამგესთან შევიდა.

– ბატონო მაიორო, როგორ იქნება ჩვენი საქმე? – პირდაპირ საქმეზე გადავიდა იგი.

– რაზე მეუბნები? – განყოფილების თავმა აღმაცერად ამოხედა.

– მესამე უბანზე მოგახსენებთ, ხუთი ბიჭი რომ შიმშილობს. ან ისე გადავწყვიტოთ, ან ასე...

– კიდევ შიმშილობენ მაგენი? არ დაშლილან? – გულწრფელად იკითხა მაიორომა. მას, ათასი უფრო სერიოზული საქმით გართულს, ეს მიძინებულ-მივიწყებული შიმშილობა აღარც ახსოვდა.

– დავწყდით ხალხი. მალე ორი თვე შესრულდება, რაც მტკვრისპირას ვმორიგეობთ. ჩემს ბიჭებს არც პრემია, არც ზედმეტი საათების ხელფასი. ყოველ დღეს რავარი სათევია. გადავწყვიტოთ რამე.

– ისე როგორი ბიჭები არიან?

– რომ გაგეხარდება, ისეთი. წყნარი, წესიერი, განათლებული ბოვშები. სამაგალითო მშობლები ჰყავთ.

– აბა წამოყარეთ, ამაღამ, გვიან, ხალხი რომ მიიფანტ-მოიფანტება და გაუშვით სახლში.

– სადაა ხალხი, – ჩაეცინა ბრიგადის თავს.

– რავა?

– თვეა, კაცი არ მოსულა მაგენის დასახედად.

\* \* \*

პატარა წახუმრებ-წანკიპურტება, გეყოფათ ახლა, წაით სახლშიო და თითქოს ჩიტიც ხელის აქნევას ელოდა...

ბიჭებმა ზურგჩანთებს ხელი წამოავლეს და მშობლებს გაჰყვნენ.

გაჰყვნენ ვალმოხდილნი, მშობლის მხარსდაყრდნობილნი, ტკბილი, ოჯახური მასლაათით.

უვადო შიმშილობა დამთავრდა.

## სუმარა

შიმშილი, მიუსაფრობა, უილაჯობა, უიმედობა, უსამართლობა, ღალატი, პირმოთნეობა.

ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე უტიფარი ტყუილი...

მონყენილობა, სულისნამღები, გულისგამგლეჯი მონყენილობა.

თითქოს ქვეყანას ჯადოსნური კვერთხი დაჰკრესო. ხალხი ერთბაშად შეიცვალა, დაცვედნებულნი, დამღიერებულნი, შეშინებულნი, რწმენადაკარგულნი, სასომიხდილნი, დინებასმიყოლილნი, ლერწამივით მი და მო მრწევენი. დარეტიანებულნი დააბიჯებდნენ ირგვლივ.

დღეს რალაცით თავი რომ არ გავიროთ, შევიშლები.

გაუქმებულ საბილიარდოსთან მუყაოს ნაჭერი ვიპოვე და დიდი ასოებით წავანერე: „ნაპოვნია ასი ლარი. დამკარგავი მობრძანდეს, X სართ. ბინა 87, ან დარეკოს 23-26-83, სალუქვაძე“. განცხადება სადარბაზოს შესასვლელთან, გამოსაჩენ ადგილზე, ახალნაყიდი პურის გულით (ცომი აღმოჩნდა) მივამაგრე და კიბე სტვენის გარეშე ავიარე.

ვზივარ და ველოდები.

ნახევარ საათს არ გაუვლია და დაიწყო.

პირველი, მეშვიდე სადარბაზოში მცხოვრები, ყოფილი ნარკომანი ნაურაძე ამოვიდა. ასეც ვიცოდი. სულ ქვევით დგას და მეზობლებს სისხლი გვაქვს გამშრალი მისი გაუთავებელი „სიგარეტის ფული გექნებათ“. ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა.

– მობრძანდი, მობრძანდი.

– როგორ გიკითხო, რეზო ბიძია. სულ მინდა ამოსვლა, რეზო ბიძია, თქვენ სხვანაირად არ მიიღოთ, რეზო ბიძია. მე ვთქვი – როგორ არის მეთქი...ის ასი ლარი მამიდამ მაჩუქა,

რეზო ბიძია. ყველის საყიდლად მივდიოდი. კავსადის ბიჭმა ასანთი მთხოვა. ალბათ, მაშინ ამომივარდა, რეზო ბიძია, კიდე კარგი, რეზო ბიძია, თქვენ რო გიპოვიათ, აქ ისეთი ხალხი ცხოვრობს, ზოგი არც გამოაჩინდა. წავიკითხე, გამეხარდა! ასი ლარი, როგორი საქმეა, ცოტა ხომ არ არი. მე აღარ ვიკეთებ, რეზო ბიძია. ვსვამ, ხანდახან და ეგ არის! სმა და წამალი ერთად არ შეიძლება. ღვიძლს შლის, რეზო ბიძია.

– შენ თორნიკე გქვია ხომ?

– კი, რეზო ბიძია, ისე ლოპეს მეძახიან. მთელი ვაკე ლოპეთი მიცნობს.

– შენგან არ მიკვირს, ლოპე? მე ასლარიანის პოვნის ყისმათი ვინ მომცა. კიდეც რომ მეპოვა, განცხადების გამკვრელი ვიყავი?

– მა, ეს როგორ, რეზო ბიძია?

– ვხუმრობ, ვერთობი. ნადი, არავის უთხრა.

ჯერ კოპები შეჰკრა, მერე პირი მოერღვა, კბილები ყვითლად გააელვა და ახარხარდა:

– მეც არა ვთქვი... მეც არ დავიჯერე? მე ვთქვი... კაცნი ვართ... ჯიგარი ხარ, რეზო ბიძია, მამ იმაყირე? კარგი რა, ხალხს თავისი ჰყოფნის... ვის არ უნდა ამ ქესატობის დროს ასი ლარი. მე სამარე ვარ, შენ ნახე რა ხალხი მოგაკითხავს... მეც არა ვთქვი! მეც არა ვთქვი...

ბოლო „მეც არა ვთქვი“ ლოპემ რომ ამომძახა, მეშვიდე სართულს ჩაცვილებული იყო.

ზარი. ვინ იქნება მეორე? გაუჭვრეტავად გავადე. პენსიონერი ბონდო მუმლაძე. ძლივს სუნთქავს. რამ ამოიყვანა მეთათე სართულზე. სკამი გაუწნოდე, დაჯდა და შუბლი სალათისფერი, შავხაზებიანი ცხვირსახოცით შეინმინდა.

– რამ შეგანუხათ, ბატონო ბონდო?

– დავბერდი ეს ოხერი და თავს აღარ ვუტყდები. მეთათე სართული რა იყო, ფუნქიკულიორს ავირბენდი გაუჩერებლად. ორჯერ დავისვენე. გავიბერე კაცი. კიბეებზეცაა დამოკიდე-

ბული, რომ იცოდე. ამ ჩვენს სახლს რაღაცნაირი, მძიმე კიბეები აქვს. თან, მე ვთქვი, ალალი კაცია სალუქვაძე, არ ავიდეს ვინმე აფერისტი და არ უთხრას: მე დავკარგე და მომეციო: რას ეტყობი, უნდა მიგეცა. კაცმა თვითონ არ უნდა იკადროს. ხომ მართალი ვარ?

ბონდო მუშაობდა, შეიძლება გახსოვთ, კომუნისტების დროს ტელევიზიით ორჯერ გამოაცხადეს რუბრიკით „არ ენდო“, როგორც აფერისტი და გამომძალველი. მისაღები გამოცდების დროს აბიტურიენტების ცხვარ-მშობლებს ატყუებდა. მერე თბილისში სტუმრად ჩამოსულ უზბეკს სასტუმრო „საქართველოს“ კიბეებზე დაფენილი ხალიჩა მიჰყიდა და სამი წელი მისცეს. რომ გამოვიდა, მაკლერობა დაიწყო. ჩვენს სახლში სამჯერ გამოიცვალა ბინა. ჯერ სამოთახიანი გაყიდა და ოროთახნახევრიანში გადავიდა. მერე ოროთახნახევრიანი ისევ სამოთახიანში (ულოჯო) გადაცვალა და ახლა ოთახნახევრიანში ცხოვრობს მეხუთე სადარბაზოში. სართული არ ვიცი, ვერ მოგატყუებთ.

– მაშ, თქვენ დაკარგეთ ეს ასი ლარი, ბატონო ბონდო?

– ნამდვილად. ფიცი რა შუაშია თქვენისთანა ადამიანთან, თორემ თუ გნებავთ, ხატზე დავიფიცებ. ტყუილს ვიკადრებ მე? პენსია ავიღე გუშინწინ. ვერც გეტყვი, სად ამომივარდა.

პენსია? სხვა რამ ეთქვა ამ დალოცვილს. თითქოს არ ვიცოდე, რომ პენსია, ვისაც მაღალი აქვს, იმისიც არ შორდება თორმეტ ლარს და ბონდოს დიდი-დიდი ექვს ლარზე მეტი არ ექნება.

– რამდენიანი იყო, თუ გახსოვთ?

– როგორ რამდენიანი?

– ასლარიანი იყო, თუ კუპიურები სხვადასხვა?

– ასლარიანი.

– ასლარიანი, შოთა რუსთაველი რომ ახატია?

გამჭოლი მზერა მესროლა. კომუნისტების დროს ნააფერისტალმა პროფესიული ალლოთი ამოიკითხა ჩემს სახეზე, რომ ასლარიანი არ მიპოვნია.

– არა, დახურდავებული იყო.

– მაინც? არ გენყინოთ, რომ გეკითხებით, ამას მნიშვნელობა აქვს, ბატონო ბონდო.

– ორმოცდაათლარიანი იყო ერთი, მეორე ოცლარიანი და ათლარიანები, მე მგონი ხუთიანებიც ერია.

პაუზა.

– ვნუხვარ, ბატონო ბონდო, მაგრამ, ჩანს, ძეხვის გაგრძელება მოგინებთ. ალბათ სხვაგან დაკარგეთ სადმე. ჩემი ნაპოვნი ორლარიანების დასტაა. არც ერთი სხვა კუპიური არ ურევია.

ნამოდგა. გამშრალი, განზილებული. სწრაფად მოეგო გონს და კულტურის სახლის დრამწრის არტისტის ყალბი ინტონაციით მითხრა:

– ოო, მაშინ, ნამდვილად სხვისი ყოფილა. მე ორლარიანები არ მქონია, ტყუილს ვერ ვიტყვი, სხვისი ღმერთმა მაშოროს. მე მგონია, უფრო ვაკის პარკში დავკარგე. გუშინ საღამოს ძალით გამიყვანა ბაბუნაშვილმა. როდის იყო სასეირნოდ დავდიოდი. იქ დამრჩა სკამეიკაზე. ხელში მეჭირა, ჯიბიდან არ ამომვარდეს-მეთქი. ვინ გამოგიჩენს ას ლარს. ხალხი გამწარებულია... კარგად ბრძანდებოდეთ.

– კარგად, ბატონო ბონდო, ფრთხილად ჩადით.

– არამიშავს, ჩავალ, როგორც იქნება. ამოსვლა მიჭირს, თორემ ჩასვლით ჩავდივარ, კარგად.

– ბოდიში, ბატონო ბონდო.

ჩემს „ბოდიშს“ არ გამოპასუხებია. ნელა, ჯოხის კაკუნით დიდხანს ჩადიოდა კიბეზე. ღია კარებში ვიდექი და ინდურ თეთრ სპილოზე ვფიქრობდი რატომღაც.

ნასადილევს (ამ სიტყვამ მატერიალური შინაარსი დაკარგა და მხოლოდ დროს გამოხატავს) ჩემს სადარბაზოში მცხოვრები გეოგრაფიის მასწავლებელი აგრაფინა ვანაძე მესტუმრა.

სველ ტილოზე საეჭვოდ დიდხანს უსვამდა ფეხსაცმელებს. იქნებ მე მომეჩვენა. ყველაფერს ეჭვის თვალთ ვუყურებ, ცოტა დამორცხვებული თუ შეცბუნებული იყო.

აგრაფინა მარტოხელა ქალია. სულ სამიოდე თვე ჰყოლია ქმარი მეშვიდე ხუთწლედის ბოლოს. სამი თვის შემდეგ გაქცევა, მისთვისაც დღემდე გაურკვეველი მიზეზის გამო. მშვიდი, პატიოსანი ქალია, სადარბაზოს კრებაზე ყოველთვის ჩუმადაა. ლიფტის გადასახადს არ იხდის. მეო, ლიფტით არ ვსარგებლობო.

თქვენ? თქვენც ქალბატონო აგრაფინა?

– შემობრძანდით, არა უშავს... ნუ წუხდებით... არ გაიძროთ ფეხზე ქალბატონო აგრაფინა... როგორ გეკადრებათ, მაინც დასვრილი მაქვს იატაკი.

ფეხზე გახდა, როგორც იქნა, გადავაფიქრებინე.

დაჯდა თუ არა ცალსპირალდამწვარ ელექტროლუმელს მი-აჩერდა.

– ვარგა ეს, ათბობს?

– ამ ოთახს ჰყოფნის გაჭირვებით. სხვას არ დავეძებ.

– მაინც არ გათავდა ეს ზამთარი.

– წინ ნასესხებია და სუბსარქისს რომ ეძახიან სომხები.

აშკარაა ჩემი ღუმელის ძალის გასაგებად არაა მოსული.

– დაბნეული ვარ, რაღაც, ამ ბოლო დროს. შეიძლება სიცივის ბრალიცაა. უნინ ისე მობილიზებული ვიყავი რას დავეკარგავდი, სხვას ვაფრთხილებდი პირიქით. გადასახურდავებლად მიმქონდა. ჩემი ფული მაინც ყოფილიყო. რაცხა ჭირად, ლატარიის თამაში დავინყეთ სკოლაში. მეგონა, ტროლეიბუსში ამომაცალეს-მეთქი. რომ წავიკითხე, სიხარულით ცას ვენიე. ასი ლარისთვის, კაცმა რომ თქვას, კი არ ჩამომახრჩობდნენ, მაგრამ მაინც როგორი საქმეა სხვისი ფული. უნინ, ასეთი შემთხვევის დროს, შეგიგროვებდნენ, ახლა ვინ შეგიგროვებს, ყველას თავისი თავი უჭირს დღეს...

რა ვქნა ახლა, როგორ ავარიდოთ ქალბატონ აგრაფინას უხერხული სიტუაცია.

– ოღონდაც... ოღონდაც... ეს დაბნევა და არეულობა დრომ მოიგანა... ეკონომიურმა სიდუხჭირემ (ვფილოსოფოსობ), ხე-

ლისუფლების ბრალიცაა. თქვენ მარტო როდი ხართ ასე. საერთოდ დაბნეული ვართ ყველა. ამ დილით ბონდო მუმლაძეს ასი ლარი დაუკარგავს. ხომ იცნობთ ბონდოს, მეხუთე სადარბაზოში ცხოვრობს.

– გამიგია კი, – განზე გაიხედა. ღანვები შეუთეთრდა.

– ახლა იყო. ათი წუთია წავიდა. პურზე გავედი და კიდევ კარგი მე ვიპოვე. მაშინვე განცხადება გავაკარი. რაც მე ბონდომ მლოცა, ფული რომ დავუბრუნე. ასი ლარი ცოტა ხომ არ არის.

აგრაფინა წამოდგა. თავშალი მკლავებში ჩაიხვია.

– სიფრთხილეს თავი არა სტკივა-მეთქი და წვრილად გამოვკითხე: რამდენიანი კუპიურები იყო-მეთქი. ზუსტად რომ არ ეთქვა, არ მივცემდი. ეს ეჭვი და უნდობლობაც დრომ მოიტანა, ხომ მართალია, ქალბატონო აგრაფინა?

– სწორია... წავედი... კარგად ბრძანდებოდეთ, – გამშრალი ხმით მითხრა და კარებისკენ გააბიჯა.

– გნებავთ რამე, ქალბატონო აგრაფინა?

– არაფერი... ისე შემოვედი... სინათლისას რას ამბობენ, ხომ არ გაგიგიათ?

– ტრანსფორმატორიო გადამწვარი. დარბის გლურჯიძე, გამოცვლიან ამ დღეებში.

ქალბატონი აგრაფინა თვალს რომ მიეფარა, შემრცხვა ჩემი სულელური ხუმრობის. შენს წრეგადასულ გასართობ ექსპერიმენტზე ხალხს კბილებიდან სიმწრის ოფლი სდის. ახია, რომ აგახიოს ამისათვის ვინმემ ყური-მეთქი, ვტუქსავდი ჩემს თავს. მერე პალტო მოვიხურე, კიბე ჩავირბინე, ლიფტის კარებზე წარწერა ჩამოვხსენი და მოვისროლე.

მესამე დღეს კომერციული ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების (კომერციული მითხარი და მისი დაუსწრებელი) სტუდენტი ჯგუშია ამოვიდა. ორბელიანებთან ცხოვრობს მეორე სართულზე, ნაქირავებში.

– როგორაა საქმე, ბატონო რევაზ, გამოუჩნდა პატრონი იმ ას ლარს?

– არა, შენ წარმოიდგინე...

– მე გეტყვი ერთს, ბატონო რევაზ. მაგას აწი პატრონი აღარ გამოუჩნდება და აღარ ღირს ლოდინი. თქვენთვის გამოუგზავნია მაგი ღმერთს და მოიხმარეთ, როგორც გაგეხარდებათ. ისე... რა შუაში ვარ, მარა თუ მომცემ ოც ლარს მაღლობელი ვიქნები ძალიან...

გამეცინა, მინდოდა მეტყვა, ჩემო ჯგუშია, უბრალოდ ვიხუმრე, კაპიკი არ მიპოვნია-მეთქი, მაგრამ ისე ალაღად, ისეთი ნდობით და იმედით შემომცქეროდა ჯგუშია, რომ ვიგრძენი, სიმართლის თქმას აზრი აღარ ჰქონდა. სულერთია ჯგუშია აღარ დამიჯერებდა.

– შენ აგაშენა ღმერთმა. მეც ვფიქრობდი, მაგრამ ვერ გადამეწყვიტა...

ამ სიტყვებთან ერთად ოთახში შევბრუნდი. უჯრაში სამად სამი ათლარიანი მედო. ოცი ლარი ამოვიღე და ჯგუშიას გავუწოდე.



## კინო

უნინ ბატონო, მარტო ცხოვრება კი არ იყო სხვანაირი, ჩვენც სხვანაირები ვიყავით ნამდვილად. ჩემს თავზე გეტყვით, სხვასთან რა მესაქმება. კინოდან კინომდე ვცხოვრობდით, ბატონო. რავა და ახალი ფილმი რომ გამოვიდოდა, ერთხელ კი არ ვნახულობდით, იმას ვუყურებდით მთელი თვე და ნახევარი წელიწადი მერე, თუ მეტი არა, იმ კინოდან ვმღეროდით სიმღერებს, კინო იყო ტანსაცმლის მოდის შემომტანიც და გემახსოვრებდათ, ამ ოცდაათი წლის წინათ ყველა ისე რომ ვიქორწინებდით კისერთან თმას, როგორც ბაში-აჩუკს ჰქონდა.

ახლა, ბატონო, ჯერ ერთი, ახალი ქართული ფილმი გამოვა და ისე ჩაივლის, კაციშვილი ვერ გეტულობს. ტელევიზორში კი არა, მთავარ კინოთეატრებშიც აღარ აჩვენებენ. გაუშვებენ რალაცა მიგდებულ კლუბებში და ქე ვერავინ ნახულობს იქანა. ერთსაც გეტყვით ჩემდა სამარცხვინოდ; ჩვენ შორის დარჩეს და ვერ ვგეტულობ ახალ ფილმს, ბატონო. გინებას ვხვდები მარტო. რალაცას ლაპარაკობენ, რალაცაზე ნერვიულობენ, მარა, გათავდება ფილმი და საყელოანეული მივიძურნები შინისკენ, არ დევილუპო და არ მკითხოს ვინმემ, მოყვე, ერთი, თუ კაცი ხარ, რაზეა ფილმი, რა ხდება შითთქვა. ჩამოვრჩი, ალბათ, ცხოვრებას, თვარა, მთლად ასე რავა იქნება საქმე. დასწყევლოს ღმერთმა ჩემი გაჩენა, ტვინი გადაამეკეტა, ალბათ, თვარა, უწინდელ ფილმებს რომ კარგად ვიგებდი? თითქმის ზეპირად ვიცი ახლაც, ბატონო, „გიორგი სააკაძე“, „არსენა“, „დაკარგული სამოთხე“, „ჯარისკაცის მამა“, „მაგდანას ლურჯა“... რომელი ერთი ჩამოგიტვალო.

ვნახე, ბატონო, ამ ბოლო დროსაც ვნახე ახალი ფილმები, მარა არ დამამახსოვრდა და მომკალი თუ გინდა. ფილმი გასასვლელამდე რომ არ გამომყვება, ის ფილმია? მოკლე ფილმების

ფესტივალზე შემყვანეს ამასწინათ. ხუთიოდე მოკლე სურათი გვაჩვენებს. გაგიგონია? არც ერთი არ მოხვდა გულს. რაღაცას იტყუებინ, რაღაცას გამეიგონებენ ანდა, მე მგონია, ისე უმიზნოთ ატრიალებენ აპარატს რეჟისორები და ამას ეძახიან მოკლე ფილმს. არაფერი არ უნდა ხდებოდეს შით, ბატონო, სულ არაფერი?

დევიჯერო არა აქვთ სცენარი თუ რაცხა ჰქვია, რაზეც იღებენ ფილმს? მე ვინ მკითხავს სხვის საქმეში ჩარევას და მე რა მესმის კინოსი, მარა ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეგხვდებათ, ბატონო, ცხოვრებაში საკინოვე ამბავი. არ უნდა დიდი ძებნა ნამდვილად. პატარა უნდა გამეიხედო, ოღონდ სახლიდან და უნდა გეიარო ხანდახან ქუჩაშიც.

ა, გუშინდელ ჩემს ამბავს გეტყვით და თქვენ თვითონ დოუკვირდით, საკინოვე არ არის ეეს?

ქორწილში ვიყავი ვანში, სოფლის სახელი ქე გადამავინყდა, რაცხა მეგრული სახელი ერქვა – დიხაშხო, მე მგონია. ვინდა ათენებს ახლა ქორწილში და თორმეტ საათზე ქე ევიშალეთ. ოთხი კაცი ვიყავით სულ საჩხერიდან პატარძლის მხრით, ჩემო ბატონო, და ქე დაგვინანილეს იქვე მეზობლებმა ღამის გასათევად.

გოგორიშვილთან ვათევთ ღამეს. კაი ღონიერი იმერული ოდა უდგას, ორსართულიანი. ზემოთ გამიშალეს, ზალაში. ღამე ადგომა ვიცი განსაკუთრებით ნასმურევეზე და საით გაქვთ ჩეჩმა-მეთქი, ვეკითხები მასპინძელს, საქმეს ვიგდებ წინ. ეგერ, ბატონოვო დამანახა ვენახ-ბოლოში, ასე სამოცი-სამოცდაათი მეტრის მოშორებით სახლიდან.

ოთხს აღარაფერი უკლია გამაღვიძა, თქვენთან ბოდიში მომითხოვია, ჩემმა უნესო შარდის ბუმბუმა. ნავყავი ტუფლებში შიშველი ფეხი და ნიფხავპერანგისამარა გამოვედი აივანზე. კიბეზე ჩავდგი თუ არა ფეხი, ღრენა მომესმა. ძალლი ოუშვიათ ამ ოჯახაშენებულებს. კაიხელა, კუპრივით ნაგაზია. გაბმულად კი არ ყეფს, კბილებს მიჩვენებს შიგადაშიგ, იღრინება

და თვალს არ მაშორებს. ასეთი ძალლი უფრო საშიშია, ვიდრე პატრონის გასაგონად რომ ყეფს გაუთავებლად.

რა ვქნა ახლა. აივნიდან ხომ არ გადავაფსამ სტუმარი კაცი. პირველ სართულზე სძინავთ მასპინძლებს. ვებვენები ძალლს, არ ვარ გლახა ადამიანი, მიმიშვი ჩეჩმასთან, არ გაგჭირვებია შენ-მეთქი? ამასობაში გვარიანად შემცივდა. ნოემბრის დასაწყისი ჩვენკენაც ცივი იცის. ბოლოს ჭიშკრისკენ, ჩემდა იღბლად, რაღაცამ გაიფაჩუნა და ძალლიც იქეთ გავარდა. მე, რასაკვირველია, დრო ვიხელთე და მოვუსვი ჩეჩმისკენ. მოვრჩი ჩემს საქმეს, გამოვალე ჩეჩმის ფარდალალა კარი და აგერ არაა ძალლი? გამოსვლა რომ დავაპირე, ღამის შიგნით შემომიხტა. ვარ ჩეჩმაში და ვძიგძიგებ. არაფერმა არ გაჭრა. ვერაფერი გავანყვე ძალლთან. მისმენს კი, ცოდოს ვერ დავიდე. ხანდახან კუდსაც გამიქიციანებს, მაგრამ, ჩანს, ბოლომდე არ მენდობა. გამოსვლას რომ დავაპირებ, აიჯაგრება და შემომიღრენს. თუ მეტი არა საათნახევარი მაინც ვიყავი ჩეჩმაში გამომწყვდეული. მამლებმა რომ იყივლეს, ძალლმა ღობის პირველი საკონტროლო შემოვლა დაიწყო და მეც რა მინდოდა, ფხაკაფხუკით მივირბინე ოდის კიბემდე და ის იყო, სამშვიდობოს მეგონა თავი, რომ ახლა აივნიდან მომესმა ღრენა. საიდან მომიარა, როდის დამასწრო ბალკონზე ასვლა. რა ვქნა ახლა, რა ქვა გავტეხო, რა წყალს ვეცე. სტუმარი ვარ, ვეუბნები, შეიხედე, თუ გინდა ზალაში, გაშლილია ჩემი ლოგინი, რას შემიკალი ამალამ ხელში, ხომ ხედავ ტრუსისამარა ვარ, ასე გამოწყობილი ქურდი სად გინახავს-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არ ეყურება.

ცივა, ცრის, დავსველდი, საკუთარი კბილის კანკაწი მესმის, ღრანჭს ვერ ვაჩერებ... თუ ასე გაგრძელდა გათენებამდე ვერ გავატან-მეთქი და გევიწყვიტე შუბლის ძარღვი. ვიკადრე ყვირილი და ბრახუნი ლაფაროს მხარეს, საითაც ჩემი გუმანით მასპინძლები უნდა წოლილიყვნენ.

ხომ არ გგონია, პირველი ოჯახის უფროსი გამომეგება. ჯერ ქალიშვილმა გამომხედა. ასე საცოდავად რომ დამინახა, სიცილი აუტყდა და ოთახში შევარდა, მერე დედამისმა მათვალაიერა კანჭებმიმხმარი და სეტყვაში მოყოლილი მამალივით მობუზული და ბოლოს, როდის როდის ინება უფროსმა გოგორიშვილმა გამოსვლა.

მითხარი შენ, საკინოვე ამბავი არ არი ეს?



## ხიფათიანი

ინგრეთი ხიფათიანი ვარ, ინგრეთი უცნაური ყისმათი დამყვა, ხანდახან ონკან რომ მოვუშვებ და წყალი წამოვა, ისიც მიკვირს, ქა, წყალია-მეთქი, ბავშვივით გავიხარებ. მა რა ღოზანა უნდა წამოვიდეს ონკანიდანა, მაგრამ, ხომ გითხარი, უცნაური ბედისა ვარ. ეგრე მგონია დაბადებიდან ვილაც დამდეგს და წალმა წარჩევს უკუღმა მიბრუნებს. თითქოს მათამაშებს, ქა, თავის ქკუაზედა. მათამაშებს-მეთქი, მითვინ ვამბობ რო, ხიფათს შემამთხვევს, გასაკვირს დამმართებს, მაგრამ ბოლოში განირვით არ გამწირავს, ბოლოს მაინც დამინდობს ხოლმე, ი დალოცვილი. ამიტომაც, ცოტა არ იყოს, არხეინადა ვარ. ვიცი რაც უნდა ჩაიხლართ-ჩაიბურდოს წუთისოფელი, ბოლოში გასწორდება, ბოლო კეთილი აქვს. ეტყობა ერთი ხუმარა ანგელოზი მაზის ბეჭზედა, ზოგჯერ გასართობ რასმე გამამიგონებს, გადამრევს, გამაოგნებს და მერე თვითვე გადამარჩენს ხოლმე, ვენაცვალე იმის სახელსა.

შვიდი დედმამიშვილიდან მეშვიდე გახლავართ, ნაბოლარაო, რომ იტყვიან. სამწლინახვერისა ვყოფილვარ, სოკოზე წავუყვანივართ სამ დასა – უფროსებს, რასაკვირველია, მაგრამ არც ისე უფროსები იყვნენ, რო დიდი ქკუა მაჰკითხოდათ. ნადიკვირ გაღმა, ტყეში წავუყვანივართ სოკოზედა. ბაღლობაში ერთი ცეტი და მოუსვენარი ვყოფილვარ. ვერცხლისწყალივით ვხტოდი თურმე, ქა, აქეთ იქითა. ჩემებიც მე მგვანან, თუმცა, არც მამა ჰყავთ ძალიან დაწყობილი. ისიც კარგი ცეტი-უქიქინე ვინმეა.

ჰოდე, იმაი ვამბობდი, სოკოი ძებნაში, ინგრე მოხდა თვალი წამით მომაცილეს ჩემმა პატიოსანმა დებმა და მეც დრო ვიხელთე. გავძვერ-გამოვხობდი უპატრონო ვარიასავით ბუჩქებში და რა შორ წავიდოდი მაგრამა, იმდენი კი ვქენ, ამათ ველარ მიპოვეს. მე ეგ ამბავი ბუნდოვნად მახსოვს, მონაყოლით ვიცი

და ვერც მოგატყუებთ; ჩემი დები რო მეძახდნენ, მესმოდა და ხმაი არა ვცემდი, თუ ტყეში შეშინებულ-გაბუსუნებულს აღარაფერი მეყურებოდა, ან იქნებ ხმის ამოღების თავიც აღარა მქონდა.

მობრუნებულან აჩხავლ-აზლუქუნებული ჩემი დები შინა. ენგრე და ენგრეო, ჭუტაი (ბავშვობაში ჭუტას მეძახდნენ) დაგვეკარგაო. ძებნით სუ წვივები გადავიტყავეთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთო. გამგელებია სახე მამაჩემსა, დედაჩემმა თურმე ინგრეთი კივილი მორთო, მთელი სოფელი ფეხზე დააყენა ჯეელ-ხეიბრიანა. გამომდგომიან ქუდზე კაცი. მთელი ღამე ამოდ მეძებდა სოფელი ტყეში მაშხალ-ჟინჟღლებითა, მაგრამ ცამ ჩამყლაპა თუ მინამ, ჩემს კვალ ვერ მიაგნეს. მეორე დღეს ალაზანზე ჩასულან, იქ რომ სამხედრო ნაწილი დგას, იმათ-თვინ მიუტირ-მიუბლავლიათ – ტყეში მეორე დღეა ბალლი გაგვებნა, იქნებ თქვენ გვიშველოთო.

რალა ბევრი გავაგრძელო, მეოთხე დღეს დილით ალიონზე სალდათი ძაღლმა მიპოვა, მისავათებულ-მიმკვდარი ქა, სამი დღე უჭმელი; წყაროი პირას ბუჩქებში მისვენებული. გრძობაზე, თურმე, არცა ვყოფილვარ. მეორე დღეს საავადმყოფოში დამბრუნებია აზრი (რა აზრიც შეიძლება სამნახევარი წლისას ჰქონდეს). ან აფთარმა როგორ არ დამგლიჯა, ან ტურა-მგელი როგორ არ გადამეყარა. სანამ ძალა მქონდა, ხომ ვიტირებდი და ვიჩხავლებდი, ან ღამით სად მეძინა ინგრეთ ადგილას, ქვეწარმავალმაც ახლოი რომ არ გამიარა, ან როგორ არ გავცივდი. ხომ გეუბნებიყე, მე თითქმის არაფერი მახსოვს.

სულ ინგრე, ბედის ოინბაზობაში, უცნაური შემთხვევების სალტოტრიალში მიდის ჩემი ცხოვრება. ახლა ჩემი გათხოვები ამბავ არ იკითხამთ? ეგეც ერთი დასაწერია რამეა.

ოცდარვა ენკენისთვე იყო, რა დამავინწყებს. ის-ის იყო ცხრა-მეტისა შავსრულდი. ოცდახუთ ენკენისთვეს ვარ დაბადებული. გამოვენყე, რაც მქონდა გამოსაწყობი და ჩემ თავ იმით მაინც დავასაჩუქრებ – თელავში გავივლი-მეთქი. ენგრე მარტოკას

მიყვარდა ხოლმე გავლა ქალაქში. ჩვენი სოფელი – იყალთო თელავიდან ხელის განვდენაზეა. ხუთი კილომეტრიც არ იქნება. ნიაღვრიქურის დასაწყისში ფოტოგრაფ შაქროს დუქანთან ვილაც ახმახი ხევსური დათვის ბელს ათამაშებდა. მეც დავდექ და ვუცქერი სხვებთან ერთად. გავერთე ქა, ახლაც მახსოვს, ძალიან საყვარელი, ფუმფულა დათვის ბელი იყო.

ერთიც ვნახოთ, ვილაცა მომეპარა და თვალ-საფეთქელზე ხელები ამაფარა. ვინ უნდა იყოს, ვინ მიცნობს ამ შუაქალაქში? ჩემი კლასელი, ჩემი სოფლელი ბიჭი სანდო-სანდალაი, ჯარიდან დაბრუნებულია. პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუთები შეუტანია და შინისკენ მიბრუნებულს, ჩემთვის მოუკრავს თვალი. ჯარში კიდევ უფრო გაშავებულიყო. გითხრა სიმართლე, სანდალა არასოდეს არ მომწონდა. ალბათ, მეც შავი რომ ვარ იმითვინა. სკოლაშივე ერთი ქერა, ცისფერთვალეა ბიჭი მიყვარდა და თვითონაც ჩემზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. თბილისში სწავლობდა და გახურებული წერილ-მოკითხვობანა გვექონდა. „შენთანაო საქმე მათქვსო“, სანდალამ.

ვიცი რა საქმეც გექნება-მეთქი. დაიგვიანე სანდალ, „ძუძუი გოჭი“ გაგიტხოვდა-მეთქი. ჩემი მამიდაშვილის გოგო მოსწონდა. ჯარში წასვლამდე დღედაღამ შელოცვილივით დამდეგდა: უნდა მიშველო, „ძუძუ გოჭთან“ საქმე მამიგვარეო. იმ გოგომ კიდევ, ქეთი ერქვა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. „არ მამწონს, გულ არ ეკარებაო“. მანდ ჯარიდან რომ ჩამოვა, რამე არ მიხიდანოსო და სანამ სანდო დაბრუნდებოდა, გათხოვდა, რუისპირელ გაჰყვა. ჩამოყარა ყურები, ამ ჩემმა ჯგუფელმა, რა იმედი მქონდაო, როგო ძალიან მიყვარდაო. შენი ბრალიც არი, ვერა ყოფილხარ კარგი შუამავალიო. მაჭანკლობა რომ შემეძლოს, ჩემ თავ ვუმაჭანკლებდი-მეთქი. შენ რაო? რა და ის თბილისშია, მე კი აქა ლოდინით ვდნები-მეთქი. ნულა მომაცოლებთ, ხომ ხვდებით, რაზეც ვისაუბრებდით. ცხრამეტი წლის ლლაპები მითხარით და იმათი ჭკუა.

ნაყინზე და ყავაზე დაგპატიჟებო, სანდალამ. ძვირი ღირს-მეთქი, არ გინდა-მეთქი, სანდო, შენ რომ თელავი გახსომს, ის

თელავი აღარ არი-მეთქი. ყველაფერი გაძვირდა-მეთქი. „სანდალ შოტავერი ატვეჩაიაო“ ჯიბეზე დაირტყა ხელი სანდალამ.

ბინდებოდა. იქვე ბერმუხის ჩასახვევთან კაფეში შევედით. ნატრიაანთ მალვინას (გამგეც თვითონ იყო და მიმწონ მიმტანიც) ორას-ორასი გრამი ნაყინი ავანონინეთ, ყავა არა ჰქონდა, თითო ჭიქა ასკილის წვენი ჩამოვასხმევიანეთ და კუთხეში მივჯექით. სანდალამ თადარიგი დაიჭირა და ყოველ შემთხვევითვინ ფული წინასწარ გადაიხადა. ახლა ვხვდები, თავი მოიწონა; კაცი ვარ, გოგოს ნაყინზე ვპატიჟებო.

მივყევ-მოვყევით სოფლისა და ჯარის ამბები, გავიცინ-გამოვიცინეთ (სად გვეჩქარებოდა) და როცა კარს მივაშურეთ, ორივეს პირკატა გვეცა. კაფეს გარედან კომმისიონსხო ბოქლომი ედო. რა მკითხავ-ვარაუდი უნდოდა; მალვინას დავვინწყინვართ, კუთხეში, ბოძთან მიმჯდარი კლიენტები, წასვლისას ვერ შევუმჩნევივართ, კარი დაუბოქლომ-დაუბლომბავს და წასულა. კაფე მაშინ ახალი გახსნილი იყო და არ ვიცი ამისა თუ სიძვირის მიზეზით, მუშტარი ცოტა ჰყავდა.

მივანყდით კარებს გალიაში დამწყვედი ჩიტებივით, მაგრამ შენც არ მომიკვდე. ჩვენდა იღბლად, ისე დაღამდა, არც არავინ ჩამაიარა. თუ ყოფილხართ მალვინას კაფეში, შენეულად გილას დგას და გამვლელის თვალს მოფარებულა. „სახლში გამიგიჟდებიან-მეთქი“, ვიტრინას ბრახუნი ავუტყეხე. სანდალა კიდე იცინის, „კარგი ახლა, ნუ დაანგრევ აქაურობას, განა მე არ მეღიან სახლში, ახლა რომ ხალხი შეეყაროთ, თავი უფრო მოგვეჭრება, განა უცხონი ვართ, როგორმე დიღამდე გავძლოთ და დილით გამოგვიშვებენ „გაუბახტიდანო“.

„შენ ხომ არ გაგიჟდი, შე ოხერტილო, სწორედ მაგითვინ გამზარდა დედაჩემმა დიღამდე კაფეში შენთან ერთად ვეგლო-მეთქი. შენ აქა რუსეთი ხომ არა გგონია, ჯარში მიგაჩვევდნენ ეგებებს-მეთქი“. „კარგი ახლაო. ნუ ტლინკაობ ჩოჩორივით, ყველაფერი ამ ქვეყნად განგების ძალით ხდებაო. ალბათ, ღმერთს ეგრე სურდაო. განა მე კი ძალიან მინდოდა ამ კაფეში შენთან დარჩენაო. შენ ქალი ხარ, უფრო ფხიზლად უნდა

ჰყოფილიყავ. რად ვერ შენიშნე მალვინაი წასვლა. მე მაგაი ვუჩვენებ ხვალ სეირს ამ ჯიბურში რომ დაგვამწყვდია მეველის დაჭერილი თხებივითაო.

იმდენი იქილიკ-ითითლიბაზა სანდალამ, გამაცინა კიდეც მონადირი შეშინებული შველივით გულათახთახებული გოგო. რაც ამ ღამეს ნაყინ-შოკოლადი ვჭამეთ და ასკილი წვენი ვსვით მე და სანდალამა. მერე ძილიც მოგვერია. გავხედე, რალაც სხვანაირად მიყურებს. „შენ გულში ავი რამე არ გაივლო, თორე იქნება თავზე დაგათალო ე ალუმინი ლამბაქები-მეთქი“. „რას იკბინებო, განა შენზე ნაკლები ბიჭი ვარო. მერე რა რო შავი ვარ, ი შენ რჩეულ თამაზასა თბილისში შენნაირი სხვაც ბევრი ეყოლებაო. განა მე შენზე ნაკლებ გამიცყდება სახელი. ხვალ დილით მთელი თელავის თვალწინ აქედან რომ უნდა გავიძურნო ფიცმილებული, ჯარმოვლილი კაციო“.

ყველაფერი ბეღია. გავხედე კიდეც ერთხელ და უნდა ვთქვა, არც ისე შავი მომეჩვენა ჩემი სანდალა. იქნებ ბედი ეგ არი-მეთქი, იქნებ ღმერთმა ეგ გამამიგზავნა და ახლა რომ ხელი ვკრა, რა ვიცი, იქნებ მამაზეციერმა სულ ჩაიქნიოს-მეთქი ხელი ჩემზე.

იატაკზე გავშალეთ ქა ოთხფა ბრეზენტი და თვალის მოსატყუებლად წამოვწექით. ორივეს მაგრად გვაქვს გადაწყვეტილი, არაფერი გავხედოთ, მაგრამ ნავთი და ცეცხლი ერთად ვის შეუნახამს. „რას შვრები-მეთქი, სანდალ (საქმე საქმეზე რომ მიდგა), ჩემს ცოდვაში არ ჩადგე, იცოდე თავს მოვიკლავ-მეთქი“, ვბუტბუტებდი პირმკერდზე აღმოდებული. „ნუ გეშინია, ჩემი სიცოცხლე, კაცი ვარ, განა ნადირი ვარო. ჩემი ხარ, მორჩა და გათავდა, შენს მეტი სიკვდილამდე არავინ მინდაო“.

ეგრეც რომ არ ეთქო, აღარც მე მქონდა მეტის თავი და აღარც იმასა. მოსახდენი მაინც მოხდებოდა.

... პირველი ბავშვი მალვინას მოვანათლვინეთ.



## ქიონია

შარშან, ესე იგი 1993 წლის შვიდ აგვისტოს ქიონია ეძგვერ-აძემ სატრაქტორო ქარხანა იყიდა.

ქიონია ან გარდაცვლილი მეარღნის – ამბერკი ეძგვერ-ადის შვილი გახლავთ. ცოლშვილიანია. ორმოცდაერთის რომაა, იქედან ვიცი, რომ ჩემზე ერთი წლითაა უფროსი; მე რომ პირველში მიმიყვანეს, ქიონია მეორეში იყო.

საქარიაზე რომ ტექნიკუმია, ის დაამთავრა, მაგრამ დიპლომი მალე დაკარგა და სპეციალობით არ უმუშავია. თვითონ რცხვენოდა და არ ამხელდა ამ ამბავს – არ ამიღია დიპლომიო, გვეუბნებოდა, მაგრამ ერთ დღეს დედამისს ბაზრიდან დავემგზავრე და, რას შვრება ქიონია-მეთქი რომ ვკითხე: რას იზამს, ნორმადარად მუშაობს წყალსაქაჩში, ხელფასზე ზის, ვინცხამ მაგას დიპლომი მოპარა, არმად მოახმაროს გამჩენმაო.

ამბერკის ოდესური, ვერცხლით განწყობილი ორღანი და ცოტაოდენი ოქრო დარჩა. ინახა შვილმა შავი დღისთვის მეარღნის დანატოვარი. ამ უბედურ დროზე მეტი რალა გამიჭირდებოდა. ოქროულობაც, არღანიც კბილის ტექნიკოს მოსე სადღვეებელაშვილს მიჰყიდა და იმის ფასად სატრაქტორო ქარხანა შეიძინა.

ამბერკის რა უნდა დარჩენოდა იმდენი, სატრაქტოროს რომ განვდენოდა. გამგებლის მოადგილემ არცთუ უანგაროდ, იაფად ჩაუგდო ქარხანა ხელშიო, ხმა გავარდა მაშინ, მაგრამ რაც ჩემი თვალთ არ მინახავს, ვერც თქვენ მოგატყუებთ. ისე, მთლად დაუფერებელი არც ეგ არის.

სამშაბათი იყო. ნაშუადღევი. სიმონ გვანცელაძის ჭიშკრის წინ, სამეზობლო ჭასთან ჩამომსხდარ მეზობლებს მოგვიახლოვდა ქიონია, გამარჯობა გვითხრა, დოინჯი გაიკეთა და დაბნეული ღიმილით გვიყურებს:

– ქარხანა ვიყიდე, რავა იტყვით თქვენ?

– რომელი ქარხანა, ბიჭო? – შეიცხადა დომენტის ბიჭმა, თითქოსდა მსოფლიოსთვის ახლა, ამ ეტაპზე, მთავარი ის იყო, რომელი ქარხნის პატრონი გახდა მისი ნათლიმამა.

– სატრაქტორო, აპა, სხვა რომელია წესიერი ქარხანა.

– რათ გინდა ამხელა ქარხანა. დამითმე ნახევარი, – ქირქილით, განზე ჩაცინებით, ქუდექვემ კეფა მოიფხანა ყოფილმა ფინანსგენტმა, ან პენსიონერმა ხაბურძანიამ.

– გადამიშენდი იქით, – შეუბღვირა ქიონიამ – სანახევრო, ნეტავი, ეს ჭა არ მქონდეს შენთან.

– ვინ მოგყიდა, ქიონია, ქარხანა? – გავბედე და ჩავაკვებე შეკითხვა.

– ვინ და მთავრობამ.

სიჩუმე ჩამოვარდა. ბებერ ლელვის ხეს ჩიტი აანყდა, პატარა წრე დაარტყა და ისევ იმავე ტოტს დაასკუპდა. რა მიზეზით აფრინდა ასე უნაუნა, ან რა მოსაზრებით დაუბრუნდა იმავე ტოტს, ვერ გეტყვით.

– რას უზამ ახლა, ქიონია, იმ ქარხანას შენ? – შიშვერეული ჩურჩულით ჰკითხა ხაბურძანიამ.

– რას ვუზამ და დილდილობით ჩაის შევაცოლებ. რა უნდა ვუქნა; გამოვუშვებ ტრაქტორებს და გავყიდი.

ეს თქვა ქიონიამ, მღელვარება რომ დაეფარა, „ჩემო ტკბილო მეგობაროს“ მოტივზე ნაუსტვინა, შებრუნდა და თავისი სახლისკენ ისე თავჩაქინდრულ-დამძიმებული წავიდა, იმ წამსვე ვიცოდი, ტრაქტორების გამომშვები რომ არ იყო.

ეს წინათგრძნობა სხვებისთვის არ გამიმხელია. მთლად დარწმუნებული არც მე ვიყავი. იქნებ მართლა სხვა დრო მოვიდა და რაკი სატრაქტორო ქარხანა ეძგვერაძეს მიჰყიდეს, ალბათ, ტრაქტორის გამკეთებლის ზურგიც დაატყვეს-მეთქი, ვფიქრობდი.

მეორე დღეს „ვანტიორს“ არ შეუშვია თავის ქარხანაში უსაშვოდ ქიონია. რაის საშვს მთხოვ, შე თავგასიებულო, მე

ამ ქარხნის პატრონი ვარო, შეუღრენია ეძგვერაძეს. დარაჯს უფიქრია, გაგიჟდა, ალბათ, ეს მკვდარძალიო და გამდგარა განზე. დარაჯების პრინციპულობა, მოგეხსენებათ, ყველასთან ჭრის სულით ავადმყოფების გარდა. გიჟი ყველგან თავისუფალია.

სატრაქტორო ქარხნის დირექტორი ნეველი გარაყანიძე გახლდათ. გაგონილი როგორ არ ჰქონდა, პრივატიზაცია იწყებო, მაგრამ თუ ასე გაუფრთხილებლად, ფაქტის წინაშე დააყენებდნენ, არ ეგონა. ჩახედა ქიონიას გამონვდილ ნასყიდობის ქაღალდს. სწორია, ბატონო, ყველაფერი, შენია ქარხანა, ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროსო და უჯრების ამოლაგებას შეუდგა.

– რას იზამ ახლა შენ? – დივანზე ჩამოჯდა ქარხნის პატრონი. ჩანს, შეეცოდა ბედს დამორჩილებული დირექტორი.

– წავალ ჩემს გზაზე, ვენევი რაცხას. ქვეყანა დიდია.

– დარჩი, თუ გინდა.

– რათ?

– თუ გულით გინდა, დირექტორად დაგტოვებ.

– მერე?

– რა მერე, გეცოდინება რომ ქარხანა ჩემია. უჩემოდ წკირს ვერ გეიტანს ვერავინ აქედან.

დირექტორი კინალამ დათანხმდა, მაგრამ ქიონიას პატრონობის ქვეშ თავისი ფუნქცია ვერა და ვერ წარმოიდგინა, თანაც შეზღუდული შესაძლებლობების კომერციული ფირმა „აჩუ აჩუს“ მეპაიედ შეყვანას ჰპირდებოდნენ და ეს უკანასკნელი, რატომღაც უფრო ნაღდ საქმედ ჩათვალა.

ქიონიამ იმ დღესვე ქარხნის თანამშრომლების გაერთიანებული კრება მოიწვია. „არაფერი არ იცვლება, ყველა თქვენ-თქვენს საქმეს მიხედავთ. ეგ არის მხოლოდ, რომ ქარხანა დღეიდან ჩემი საკუთრებააო, მოკლე სიტყვით გაამხნევა დაბნეული მუშები და გაოგნებული ინჟინრები; ხელფასი თუ მოგემატებათ, თორემ დაკლებით არ დაგაკლდებათ, ტრაქტორს როგორც აკეთებდით, ისე გააკეთებთო.

იმავე კრებაზე გაირკვა, რომ სატრაქტორო ქარხანა სულს ღაფავდა; ძრავები, შინები და სიჩქარის ბერკეტები აღარ ჰქონდათ, სხვა ნაწილები დიდი-დიდი ერთი კვირის სამყოფი იყო.

სატელეფონო ბასტილიებით რომ ვერას გახდა, ქიონიამ რკინის ქალამნები ჩაიცვა და ყოფილი იმპერიის ან უკვე თავისუფალ რეგიონებს მიაშურა. ქვედატაგილში ტრაქტორის ორასი ძრავა ას მილიონ რუსულ მანეთად შესთავაზეს. ქარხნის პატრონს სახე რომ მოემარჯვა, შეეცოდათ და ღვინო-კონიაკის ბარტერზე შეთანხმდნენ. ტრანსპორტის ხარჯებს შენ გადაიხდიო, გააფრთხილეს. შინები ბასოკამსკში არ აღმოჩნდა, კრუგლოიარსკში მიასწავლეს. კრუგლოიარსკში უთხრეს, სლოვაკიიდან რეზინის ჩამოტანაში დაგეხმარე და დაგიმზადებთო. სლოვაკიამ რეზინს როგორ დაგამადლი, მოსკოვს ჩვენი წილი გაზი გამოაშვებინეო. სიჩქარის ბერკეტებს ქარხანა ადრე ახალჩერკასკიდან იღებდა. ახალჩერკასკმა სამი თვეა გაჩერებული ვართ, იქნებ ითავო და თურქმენეთიდან ენერგომატარებელი ჩამოგვიტანოო. ენერგომატარებელი რა არისო, ქიონიამ იკითხა. ბენზინი ან მაზუთიო, დენი ჩვენი გვაქვსო. თურქმენეთმა ბენზინში ჩაი მოსთხოვა, მაზუთში ციტრუსი. ხელშეკრულებები გააფორმა, აქციონერები შეიპირა და ორი თვის მერე ეძგვერაძე საქართველოში დაბრუნდა. ეახლა მინისტრს ჩაის, ღვინო-კონიაკის და ციტრუსის სათხოვნელად. მე რას მთხოვო, მინისტრმა, ეს გასაცოდავებული ჩაი-ღვინო-ციტრუსი რესპუბლიკას ხორბლის და გაზის შემოსატანადაც არ ჰყოფნისო. რა ვქნა, აბა, მეო, ქიონიამ. ქარხანა შენია და მე რა ვალდებული ვარ ჩაი-ღვინო-ციტრუსი გაძლიოო, მინისტრმა. ტყვილად კი არ მინდაო, ამოიკვნესა ქიონიამ. უფასოდაც რომ მოგცე, შენ სამხრეთ ტაგილში, თურქმენეთში და კრუგლოიარსკში ამის ჩამტანი არა ხარ, ჯერ ერთი, გზის ხარჯი გაგყიდისო და მეორეც, შეიარაღებული დაცვის გარეშე ღვინო-კონიაკს კი არა სიდედრს ვერ ჩაიყვან დანიშნულების ადგილზეო. ამის მერე იყო ქიონიამ ტრაქტორის გამოშვება

საბოლოოდ რომ ამოიღო გულიდან და სიმონ გვანცელაძის ჭიშკრის წინ სამეზობლო ჭასთან ძელსკამზე გამწკრივებულ მეზობლებს გამოგვიცხადა – ხვალ ქარხანაში ძარცვის დღე მაქვს. მუშებს ხელფასს ვერ ვაძლევ და მოპარვის დღე დავუნიშნე. რასაც მოერევინა, წილონ, რა ვქნა, აბა, წამოდი თქვენც. ცოტა ხელი მეითბეთ. ამხელა ქარხანაა. რასაც მოერევით, წამოიღეთ. მირჩევნია, თქვენ ისარგებლოთ. ათასი ოხერი მპარავს უპრაგონოდ მაინცო.

მე არ წავსულვარ. სხვები წავიდნენ და რაც ხელში მოხვდათ (ზოგი გამოსადეგი, ზოგი გამოუსადეგარი) მოათრიეს მეზობლებმა სიცილ-ლრეჯით.

ერთ კვირაში მიაყიდა ბრწყინვალედ გაძარცვული სატრაქტორო ქარხანა ქიონიამ. ახალმა მყიდველმა, სხვაველმა ჭანკოტაძემ ქარხანაში ჯერ ქალაღის პარკების საამქრო გახსნა. მერე ჯვალოს ტომრების სამკერვალო, ხოლო ქიონია ექვევრაძემ ალბულის ფულით შავი ზღვის დარჩენილ, ჯერ მიუტაცებელ სანაპიროზე ნახევრად საბარგო გემი „გეო“ შეისყიდა.

„გეო“ თავის დროზე, თურმე, ჩვენებს გერმანელებისთვის წაერთმიათ. მაშინ გემს „ადოლფი“ ერქვაო.

ექვევრაძემ გემი რომ გადაიფორმა, მაღალმა, წარბშეთე-თრებულმა ბოცმანმა ხუნდაძემ, რომლის მარჯვენა ხელის ზურგზე, რატომღაც, ღუზა არ ტატუირებდა, ურჩია:

„მე ვინ მკითხავს სხვის საქმეში ჩარევას, მარა თუ შეისმენ ჩემს რჩევას, არ წააგებო. გემის კაპიტნობა ადვილი არ არის, შენ თუ კაპიტნობას აპირებ, არ გენყინოს და, გაგიჭირდება ეგ საქმეო. ჯერ ერთი – ინგლისური უნდა იცოდე და რუკას რომ თავი დავანებოთ, კომპასის მიმართულების ცნობა მაინც უნდა შეგეძლოსო: კაპიტნობა მე მომანდე, ჩემზე ერთგულ კაცს ვერ მოძებნი ამ ბარობაზეო. „გეო“ გამომდგარი, ბებერი გემია. შავი ზღვის აუზში არ ღირს ამის მოცდენა, შორეულ რეისებში გამიშვი. ტვირთსაც ვატარებ, მგზავრებსაც გავიყოლიებ და

დოლარს შემოგიტან. საექვო გამძლეობის რუსულ მანეთს და გაბითურებულ კუპონს დოლარი გერჩიოს, მამაჩემსა აქვს ცხონებაო“.

დათანხმდა ქიონია, ენდო ხუნდაძეს და ამ გარიგებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ევროპის გარშემო მოგზაურობის პირველივე მარშრუტიდან „გეო“ აღარ დაბრუნდა. გემის დაკარგვიდან სამი თვის თავზე პორტუგალიის პოლიციამ საროსკიპოში ატეხილი დებოშისათვის დააპატიმრა ხუნდაძე და კურკუტის უგათბობო ციხეში გადმოგზავნა. ფხიზელმა გამომძიებელმა ჭალაძემ გამოტეხა კაპიტანყოფილი. დამნაშავემ აღიარა; გემი ესპანეთის მისადგომებთან პარდალუზის ყურეში ჩემეძირა, მე ძლივს გადავრჩი. ეკიპაჟი რომელიღაც უსახელო კუნძულზე გავხიზნე. გემის ჩაძირვის ადგილი მონიშნული მაქვს წყალზე, უეჭველად მივაგნებ, მაგრამ რად გინდა, მისი ამოთრევა, რაც „გეო“ ღირს, ორი იმდენი დაჯდებაო.

სასამართლომ გაუფრთხილებლობისათვის ხუნდაძეს ქონების კონფისკაცია და სამ წელიწადს ქიონიას სასარგებლოდ იძულებითი მუშაობა მიუსაჯა. თუმცა ხუნდაძეს იძულებით ერთი დღეც არ უმუშავია. სამი წლის იძულებითი მუშაობის საფასური წინასწარ გადაუხადა „გეოს“ დაღვრემილ პატრონს. ამას წინათ რესტორან „სანსკრიტიამი“ წამოცდა (ვინრო წრეში) თურმე შეზარხოშებულ ხუნდაძეს: „გეო“ გადავლებე და პუერტორიკოელ ხოსე კარას მივყიდე. წყნარ ოკეანეში დაცურავს ამ წუთში, სახელი რა დაარქვა ახალმა მფლობელმა ვერ გეტყვითო.

ამის შემდეგ სასონარკვეთამდე ცოტა აკლდა ახალგამომცხვარ კაპიტალისტს ქიონია ექვევრაძეს, მაგრამ ერთხელ კიდევ სცადა ბედი და სამვაგონიანი მატარებელი იყიდა. ძველთაძველი ორთქლმავალი სამ ვაგონს რომ ქშენა-ხვნეშით ძლივს ენეოდა, ელმავლად გადააკეთა და მალე ინანა. პრივატიზებულ რკინიგზას წამდაუნუმ უთიშავდა დენს პრივატიზებული ჩხარენერგო და ქიონიას შემადგენლობა ნახევარჯერ

იდგა ხან ცარიელი, ხან კი, რაც უარესი გახლდათ, მგზავრებით სავსე.

სანამ ქიონია რკინიგზის მესვეურებთან და ჩხარენერგოს პატრონებთან დარბოდა (პირველებთან საჩხუბრად, ვაგონი ხშირად ვარდება გაცვეთილი რელსებიდანო, ხოლო მეორეებთან სახვეწრად – ენერგიას შუაგზაზე ნუ გამომირთავთო), ერთ უბედურ დღეს ეძგვერაძეს ელმავალი მოპარეს. ბევრი ეძება, მაგრამ კვალსაც ვერსად მიაგნო. თვის თავზე დაურეკეს, ორი მილიონი გამოსასყიდი და შენს ელმავალს ხელუხლებელს, ტაოტიანს, განყობილ-გამართულს, როგორც იყო, მოგართმევთო. სად გყავთო? ჰკითხა ტელეფონყაჩაღს ქიონიამ. არის ერთ ადგილას, ელო-გარაჟში არც წვიმს და არც ათოვს, ნუ გეშინიათო. ეზოში როგორ შეიყვანეთო, ქიონიამ. რელსები დავადგით. შევაგორეთ გარაჟში და ავყარეთ ისევ, რა დიდი მიხვედრა უნდა მაგას, ამხელა კომერსანტი ხარ, ქარხანა შენ არ დაგკლებია და გემი, არ გაგიჭირდება მაგის წარმოდგენა შენო.

ორ მილიონს კი არა, ორასი მანეთის მომცემი არ ვარ. გყავდეს სახლში ეგ ჟანგისაგან შეჭმული ელმავალი, მეტი აღარ დამირეკოთ მაგ საკითხზეო. იქნებ გამოსასყიდი დამიკლონო, ხერხს მიმართა ქიონიამ, მაგრამ ქურდებმა თხოვნა შეუსრულეს – მეტი აღარ დაურეკათ.

სხვა რა გზა ჰქონდა და საფუძვლიანად გაძარცვეული ვაგონები ეძგვერაძემ საქათმეებად გაყიდა ტყიბულ-საქარიის მეცხრამეტე კილომეტრზე, სოფელ რწევაში.

რომ ვკითხო ახლა მკითხველს, ამის შემდეგ რა გზას დაადგებოდა ქიონია-მეთქი ათიდან ცხრა მიპასუხებს – ალბათ, ავტომატი იყიდა და აბრაგობა დაიწყოო.

მართალია. გამოცანა გერგებათ. სურამის გვირაბს რომ გაცდებით, მარჯვნივ, ნისქვილის ჩასახვევთან მარტოხელა ავტომატიანი ყაჩაღი, არ შეიძლება არ შეგენიშნათ, სწორედ ეგ გახლდათ ქიონია ეძგვერაძე.

უნამუსოდ არ იქცეოდა. ქალებს არ აუპატიურებდა. მგზავრს ტანზე არ ხდიდა, ფულს ართმევდა მხოლოდ და თუ მსხვერპლს ფული არ ჰქონდა, არამც და არამც არ კლავდა.

სისხლის დაღვრას ერიდებოდა.

პოლიციამ მასშტაბურ რეიდებს რომ მიმართა, ქიონია ეძგვერაძეც ჩაბარდა.

ჩასაბარებლად მომქონდა ავტომატი, ბავშვებს ვფიცავარ, მომწყინდა ამ სიცივეში ტყე-ღრეში გდებოაო, იფიცებოდა ეძგვერაძე, როცა თხუთმეტ პოლიციელს გაკოჭილი, ჯავშნოსანი ავტობუსისკენ მიჰყავდა, მაგრამ ვინ დაუჯერებდა.

არადა, ღმერთო შეგცოდე, იქნებ მართალს ამბობდა.



## სახელი

ჩვენი არეული ცხოვრება ყოველდღიურად ათას პირობას გიქმნის, შენს თავზე რომ გული გაგიტყდეს, ან, საერთოდ, დაიბნე კაცი. იმ სამასსამოცდაექვსი ათასი პირობიდან, ერთი, ასეთი გახლავთ: შეგხვდება კაცი და შეძრწუნებული სახით შემოგჩივლებს: „დავიღუპე, სკლეროზი დამეწყო, დღეს სიყრმის ამხანაგი შემხვდა და სახელი ვერ გავიხსენე“. თქვენც ბევრი შეგხვდებოდათ ასეთი ნაცნობი და, რასაკვირველია, თვითონაც არაერთხელ აღმოჩნდებოდით სიყრმის ამხანაგის სახელის ვერგამხსენებელთა როლში.

მერედა ზოგი მათგანი რა ჯიუტია. შეგხვდება, გადაგეხვევა, გადაგოცნის. შენი სახელი მშვენივრად იცის, შენ არა და არ გახსენდება, რა ერქვა, თუნდაც ამ ოცდაათი წლის წინათ, რაღაცას ლულლულეებ, თავს ძალას ატან, მორცხვად შეჰყურებ – როგორა ხარ, რას შვრები, რამდენი წელი გავიდა...

ისიც, თუ მთლად „გაუგებარი“ არ არის, მიხვდება, რომ არ გახსოვს მისი სახელი და დახმარების ნაცვლად ცეცხლზე ნავთს გისხამს:

– მგონია ვერც კი მიცანი, რეზიკო, შენ?

– როგორ ვერ გიცანი, არ გრცხვენია. ჯერ არც ეგრე დავბერებულვარ, შე კაცო.

– აბა, თუ მიცანი, რა მრქვია და სად შევხვედრივართ ჩვენ ერთმანეთს?

საშინელი წუთები დგება, უხერხულობისაგან ყურები გიჟის და ენა გიშრება. ის კი ღიმილით და ნიშნისმოგებით შემოგყურებს. თანაც სრულიად გარკვეული უპირატესობის გრძნობითაც. აქვს კიდეც მიზეზი – თვითონ თავისი სახელი მშვენივრად იცის, შენ ხარ შავ დღეში.

შერცხვენილი და თავდახრილი ღობე-ყორეს ედები.

– როგორ არ მახსოვხარ... იქ... მაშინ... იმის იმაზე... საერთოდ, როგორ არა... კონკრეტულად... გულზე გადამვარდა... ენაზე მადგას... იმის დროს არ იყო?

მეც მაქვს შემთხვევები, ჩემო მკითხველო. შეგხვდები კაცს, ველაპარაკები და ვგრძნობ, რომ ჩემი სახელი აღარ ახსოვს. რა მოხდა მერე, ასეთ დროს ძველ ნაცნობს გამოცდას კი არ ვუნყოფ, ან ტუქსვას კი არ ვუნყებ, ჩემი სახელი როგორ დაგავინყდა-მეთქი, ისე ოსტატურად შევაპარებ საუბარში ჩემს სახელს, რომ შენი მოწონებული:

„შვილო, რეზიკო, დედაჩემი მეუბნება ამ დილით, ძალიან დაღლილი სახე გაქვსო, მშიერი იქნები, მოგიკვდა ჩემი თავიო. არა-მეთქი, დედაჩემო, მშიერი როგორ ვიქნები, შენ და მამაჩემს რომ პენსია გაქვთ, სამი იმდენი მაქვს ხელფასი. ეგეც არ იყოს, პროფესორ კაცს მშიერს ვინ დამტოვებს-მეთქი“.

„ბატონო რევაზო, ამას წინათ ერთმა მკითხველმა მომწერა, დაისვენეთ, დაისვენეთ აწი და ჩვენც დავგვასვენეთ. აღარ შეგვიძლია ამდენი ნერვიულობაო. მიჰყევით მშვიდად ცხოვრებას, ხომ ხედავთ, მაინც არაფერი გამოდისო“.

ამით ჩემს გულმაგინე ნაცნობს არა მარტო ჩემს სახელს ვუგდებ ხელში, სხვა ამგვარ რაღაცეებზეც მივანიშნებ, დაკვირვებული მკითხველი რომ უკვე მიხვდა და დიდი იმედი მაქვს, განდიდების მანიად არ ჩამითვლის.

არსებობს გამოუვალი სიტუაციებიც და ერთ ამგვარ შემთხვევაზე მინდა გაიმბოთ.

უნივერსიტეტში, ჩემი კაბინეტის კარი, ამ ორიოდ თვის წინათ, ასე, ჩემი ხნის უუღვაშო, გრძელკისერა სათვალთანმა კაცმა შემოაღო. თუ არ მიწყენს, როცა ამ ნოველას ნაიკითხავს, იერსახით ძალიან ჰგავდა უცხოურ მულტფილმების პერსონაჟს – კეთილ, სათვალთან კუს. ხელში პორტფელი არ ეჭირა და არც მაკენტოჟის მოსასხამი ეცვა.

ხელი ჩამომართვა და, ცოდვას ვერ დავიდე, განსხვავებით ზემოხსენებული ნაცნობისაგან, გამოცდა არ მოუნყვია.

შეიძლება ვეღარც კი მიცანი, ჩემო რეზიკო, თქვენს უკან ორი კლასით ვიყავი, მეც ქუთაისის ყოფილ ქალთა მეორე (ამჟამად მეოთხე) სკოლა დავამთავრე. კაი ხნის წამოსული ვარ, შენი არ იყოს, ცოლ-შვილს გვიან მოვეკიდე. კოოპერატიულ ბინაში ვცხოვრობ ვარკეთილის მასივშიო.

ჯერ, ალბათ, არც ერთ ქართველ კაცს არ უთქვამს, ამგვარი შესავლის შემდეგ: ვერ გიცანი, არ მაგონდები და... საერთოდ...

მე რა გამონაკლისი ვიქნებოდი...

გიცანი, ახლა ნელ-ნელა მოვდივარ აზრზე. მაშინ უფრო გამხდარი იყავი და (თმაზე შევავლე თვალი) – ბავშვობაში (ფანქრის სათლელში მოხვედრილივით წანვეტებული თავი და შავზე კარგა ხნის გამარჯვებული ჭალარა აქვს) თმაში თეთრიც არ გერია-მეთქი.

გარბის დრო, ჩემო რეზოვო. ისე, მიხარია შენზე ბევრი კარგი მესმის. ხანდახან ცუდიც, მაგრამ არა უმავსო. რაზე მოვედი ახლა, თუ იციო.

გისმენ-მეთქი, ყურადღებით.

შენ მილიონი შემწუხებელი გეყოლება, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. ბავშვი აბარებს ჩემი და თუ რამეს დამეხმარები, ხომ კარგი, თუ არა და არც მაგაზე დაგემდურები. პრაქტიკას მაინც მიიღებს წელს, გაისად ვამეცადინებ და რალაცა იქნება, უსაშველო ვის დამართიაო.

რა ფაკულტეტზე აბარებს-მეთქი.

მითხრა, რა ფაკულტეტზეც აბარებდა.

ქალია თუ ვაჟი-მეთქი.

ქალიაო.

ასეთ შემთხვევაში თითქმის სტანდარტული პასუხი მაქვს, რაკილა კარგად ვიცი ჩემი შესაძლებლობები და მისაღები გამოცდების სიმკაცრე:

მე-მეთქი გამოცდებში არ ვმონაწილეობ. ჩემი კათედრის წევრები იქნებიან და ვთხოვ, თუ საშუალება ექნათ, უარს არ მეტყვიან. საერთოდ, მარტო მე ნუ დამეყრდნობი, იქნებ უფრო

საიმედო ვინმე მოძებნო. მე, ჩემის მხრივ, რაც შემიძლია დაგეხმარები. ისე, ძნელი ფაკულტეტი ავირჩევია. მანდ ყოველთვის დიდი კონკურსია-მეთქი.

ბავშვი ამ სპეციალობაზე იკლავს თავს, სხვა ფაკულტეტის ხსენებაც არ უნდა, თორემ ჩემთვის სულერთიაო.

ამოვიღე ქალაღი. ხომ უნდა ჩავინერო, რომ მერე თავის დროზე გავაფრთხილო, ერთი-ორი გამომცდელი ფიცში ჩასაყოლებლად.

რა ჰქვია-მეთქი გოგონას?

თამრიკო ჰქვიაო.

მერე-მეთქი? მგონია გვარს და მამის სახელსაც მიაყოლებს. მოგეხსენებათ, სახელ-გვარ-მამის სახელ-ფაკულტეტსაც რომ ჩაუნიკნიკებ, გამომცდელეები მაშინაც ძნელად ეხმარებიან და ოდენ „თამრიკო“ მათთვის ვერაფერი ნუგეშია.

რა მერე, ჩემი ქალიშვილია. დანარჩენი, ჩემი სახელი და გვარი ქე იციო.

არ ვიცი, აღარ მახსოვს, არც სკოლაში სწავლის დროს ვიცოდი-მეთქი, უნდა მეყვირა, მაგრამ დავუშვი მიუტევებელი შეცდომა და, როგორ არ ვიცი-მეთქი, მიფუგე.

ქალაღი დავკეცე და ჯიბეში ჩავიდე.

ახლა ერთი სული მაქვს, არ ადგეს და არ წავიდეს. როგორმე სახელი და გვარი უნდა დავტყუო.

მადლობა ღმერთს, არ ჩქარობს.

ვიხსენებთ სიყრმისდროინდელ ქუთაისს. ყველაფერი, ღვთისმადლით, კარგად ახსოვს. მთასა და ბარს ედება, ვინ არ მოიგონა, რა გვარები არ ჩამოთვალა, მაგრამ თავისი სახელი და გვარი არ წამოცდენია.

კაბინეტში ჩემი თანამშრომელი, დოცენტი მერი შერვაშიძე შემოვიდა.

მომენტს როგორ დავკარგავ.

გაიცანით ქალბატონო მერი, ჩემი მეგობარია-მეთქი!

„მერი შერვაშიძე“, ნაზად, მაგრამ ამაყად ჩამოართვა ხელი

ქალბატონმა მერიმ. ყურადღება დავძაბე. ახლა ალბათ თავის სახელსა და გვარსაც ეტყვის.

„სასიამოვნოა ქალბატონო“.

მეტი არაფერი.

ახლავე მოვალ-მეთქი. გავვარდი და რუსთაველის კაბინეტში დენის დგებუაძეს შევჩვივლე, ასე და ასეა ჩემი საქმე. სამი საათია კაბინეტში სიყრმის ნაცნობი მიზის. შერცხვენილი ვარ, სახელი და გვარი ვერ მოვიგონე, შემოდი, გაგაცნობ, იქნებ გაცნობის დროს მაინც წამოცდეს-მეთქი.

დენისი ფეხდაფეხ შემომყვა.

კაი კაცი უნდა გაგაცნო. ჩემი მეგობარი, ნიჭიერი მეცნიერი დგებუაძე წარვუდგინე სტუმარს.

– დენის დგებუაძე! – ხელი გაუწოდა დენისმა.

ისევ არაფრისმთქმელი:

„სასიამოვნოა, სასიამოვნოა“.

რალა გავაგრძელო, მომდევნო ოთხმა ცდამაც უშედეგოდ ჩაიარა. ზურაბ კუტალიევილიმა, გაცნობიდან ოთხი წუთის შემდეგ, ჩემი დაჟინებული თხოვნით ჰკითხა:

– ბოდიში, ნელან თქვენი სახელი ვერ გავიგონე, მაგრამ თამრიკოს მამამ ამჯერადაც წაუყრუა და საუბარი გორბაჩოვის გადაყენების წარუმატებელ ცდაზე გადაიტანა.

ხუთს აღარაფერი აკლდა, ცნობისმოყვარეობისაგან სულშეხუთულს რომ გამომემშვიდობა ჩემი სტუმარი.

სხვათა შორისო, წასვლის წინ მითხრა, მანდ ჩემი ტელეფონიც მიიწერე, იქნებ, ბავშვის ჩვენება გახდესო საჭირო.

ქალალდი დავაძვრე.

– 42-17-69 ჩავიწერე.

ვის სახელზეა-მეთქი ტელეფონი?

უკანასკნელ იმედს ჩავებლაუჭე.

ჩემს სახელზეაო.

რალას ვეტყოდი.

მოვედი თუ არა შინ, მაშინვე ტელეფონს ვეცი.

– ალო!

კარგია. თვითონ აილო, ნაცნობი ხმაა.

– ორმოცდაორი-ჩვიდმეტი-სამოცდაცხრა? – ვეკითხები.

– გახლავთ.

– რომელი ბრძანდებით?

– თქვენ ვინ გნებავთ?

რა ჯიუტი ვინმეა.

– ვისი ბინაა?

იქნებ გვარი მაინც მითხრას.

– თქვენ სად რეკავთ?!

მაპატიეთ-მეთქი, ჩანს ნომერი შემეშალა.

ყურმილი მაშინვე არ დამიდევს. ალბათ სახე მქონდა, როგორც ნაპოლეონს ვატერლოოს შემდეგ.

იქნებ, ქალს მაინც გაუმხილოს-მეთქი ვინაობა და ერთი საათის მერე ჩემს ცოლს დავარეკინე.

თქვენც არ მომიკვდეთ. ცოლთანაც იგივე დიალოგი განმეორდა.

ამ ორი დღის წინ დამირეკა.

მე ვარო.

ხმაზე ვიცანი, მაგრამ რომელი ხარ-მეთქი, მაინც ვკითხე.

ივნისში რომ ვიყავი, თუ გახსოვს, ქუთაისიდან, შენი სკოლელიო. ბავშვი ქართულში ჩაიჭრა, მაგრამ არ გემდური. მისი ბრალია. სამიანზეც ვერ დანერა, არ იყო წელს მზადო. მომავალში შეგანუხებ, კარგად იყავი, ჩემო რეზიკოვო.

სახელი არც ამჟამად უთქვამს.



## ბულგარული

შრომას რომ ჩაცდებით, სანამ ზესტაფონამდე მიხვიდოდეთ, გეცოდინებათ რასაკვირველია, ოდა-რესტორანია და იქ წავის-აუზმით, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ბატონო. ჩიტის რძე არც იქა აქვთ, მარა ეკალა, ცხელი ჭადი, იმერული ყველი და მრგვალად მოხარშული ქათამი გამზადებული აქვთ ყოველთვის და სიძვირე ახლა ყველგანაა. როცა მივდივართ ქუთაისში, მანდ წავისადილებთ ხოლმე. მივეჩვიეთ, ალბათ, რა ვიცი. თქვენ იქნებ სხვაგან გაგეხარდებათ, როგორც თქვენ იტყვიან. ოდა-რესტორანი რატომ ამოვიჩიემე თუ იცით, აივანი აქვს ლამაზი და კაი გამოზაფხულზე აივანზე ჯდომას რა სჯობია. თანაც დაკვირვებული ვარ, ყველი სქლად დაჭრილი მოაქვთ. თხლად დაჭრილ ყველს ვერ ვიტან. ეს იმერული ყველი, ეს დალოცვილი, ისედაც ნახევარი ჭუჭრუტანაა და თხლად რომ დაჭრი, ბებიაჩემს რომ ახალგაზრდობის კრუჟიანი თეთრი რიდე ჰქონდა სკივრში შენახული, იმას ნააგავს.

კიდევ მაქვს ერთი მიზეზი, თუ არ დამცინებთ, უნდა გითხრათ; პლაშჩი დამრჩა იქანა ორი თვის წინ და თუ დამხვდა, უნდა წამოვიღო. რამე ძვირფასი არ გეგონოთ, უბრალო ნეილონის პლაშია, მარა როცა განვიმს თავზე ოქროდ არ გიღირს? აღარც იშოვება, მე მგონი, ნეილონის პლაშები, არ ვიცი, არ გამივლია ამ ბოლო დროს მაღაზიებში.

საჯარო ბიბლიოთეკის იუბილეზე მივდიოდით ქუთაისში, მარტის ბოლო იყო, თუ არ ვცდები. წვიმდა. გადავედით წასახემსებლად. გვეხიბადე პლაში და დაგვიდე ლურსმანზე, იქვე, აივანზე, სადაც ვიჯექით. თითო ბოთლიც არ დაგვიღვია, გვეჩქარებოდა. მე მაინც ვერიდები ღვინოს დასათრობად ამ ბოლო დროს, ღვიძლი მღალატობს რაღაც. კიბეზე რომ ჩამოვ-

დიოდით, აღარ წვიმდა. წვიმა რომ ყოფილიყო არ დამრჩებოდა.

თერჯოლის გადასახვევთან გამახსენდა ჩემი პლაში, მარა ხომ არ დავბრუნდებოდით. უხერხული იყო. ბატონი აკაკი ძიძიგური გვეჯდა მანქანაში. გამგებიანი ადამიანია, მართალია არაფერს იტყოდა, მაგრამ როგორი საქმეა, დააბრუნე შენი პლაშისთვის ოთხმოცი წლის კაცი უკან. თუ წაიღებს ვინმე, ჩემი ჭირი წაუღია, მე ვთქვი, იმ პლაშის მეტი არ დამკარგოდეს არაფერი-მეთქი.

მეორე დღეს, პირველზე გამოვედით ქუთაისიდან. პირველზე დაუსხლტე ხელიდან მონატრებულ მასპინძლებს – არაა ადვილი საქმე. კაი გვარიანი მთვრალეები გახლდით. ბატონმა აკაკიმაც მშვენივრად დალია, ჭამა-სმა ვის უნდოდა, ქუთაისიდან შორაპნამდე მოგშივდება? მარა ღვინომაც შეგვიღვინა და ჩვენც არ გავუძალიანდით თემურ ინანიშვილს. რესტორანში ჩამოვხტით. აივანზე გავაშლევინეთ სუფრა. ავიარე კიბე თუ არა, თვალში მეცა ჩემი პლაში, კიღია, სადაც დაგვიდე, მშვენივრად. ხუთ-ხუთი ჭიქა დავლიეთ, მეტი არ დაგვიღვია, „ბახტრიონი“ ჰქონდათ, ზესტაფონის ჩამოსხმა. ცოტა არ იყოს მწკლარტე გემო დაჰკრავდა. სიმღერ-სიმღერით დავემშვიდობეთ რესტორნის ბიჭებს და არ დამცინოთ თუ გიყვარდით, კიდევ არ დამრჩა პლაში?

ნიფის გვირაბს ვუახლოვდებოდით, რომ გამახსენდა. ვიტკიცე შუბლზე ხელი. თქმით არაფერი მითქვამს. უკან მაინც ვერ მივბრუნდებოდით და ტყუილად სამასხარაოდ რატომ გავიხდიდი საქმეს.

ორი თვე შესრულდა გუშინ, რაც პლაში მიკიღია შორაპნთან ოდა-რესტორანში. წელიწადში ორჯერ თუ ჩავიცვამდი, ბატონო, სხვა დროს იმ პლაშს. ეს ორი თვეა სულ საპლაშე ამინდები იდგა. სულ წვიმდა ან, თუ არ წვიმდა, წვიმას აპირებდა. რაც მე ჩემი ძველი პლაში ვინატრე და რაც ჩემს მეხსიერებას ვაგინე ამ პლაშის გულისთვის.

ახლა რომ ჩავივლით თუ დამხვდა (მეტი არ იქნა ჩემი მტერი) ჩემი პლაში იქნა, ჯერ ჩავიცვამ და მერე დავჯდები საპურ-მარილოდ. ჰო, ნამდვილად გეუბნებით, პაპანაქება სიცხეც რომ იყოს, პლაშიანად დავჯდები სუფრასთან. ასე უნდა ვქნა, თვარა თუ ასე არ მოვიქცევი, მე ვიცი ჩემი მეხსიერების ამბავი.



## ილუზიონისტი

ილუზიონისტმა კარლო ჩიომ დაბა ახავაის კულტურის სახლის სცენას მაგნიტოფონის ხრიალში ორი წრე დაარტყა, მერე დოინჯემოყრილი შეჩერდა, მაყურებელს გაჩუმება აცალა და თქვა: „გამარჯობათ, ძვირფასო მეგობრებო. მე გახლავართ ინდივიდუალური ნომრების ოსტატი, ილუზიონისტი კარლო ჩიო. თქვენს მშვენიერ დაბაში პირველად ვარ. თქვენ, ალბათ, ამ სცენაზე სხვა ილუზიონისტების გამოსვლაც გინახავთ და სრული საფუძველი გაქვთ იფიქროთ, რომ ჩვენ, ფოკუსნიკებმა, უსათუოდ უნდა მოგატყუოთ. ის, რასაც სხვაგან სასწაულად იღებდით თქვენ და დარწმუნებული ხართ, რომ ჩვენ ნასწაული ეშმაკობების და ხელის სისწრაფის მოიმედენი, უსათუოდ რაღაცას მოგაჩვენებთ, თეთრს შავად მოგასაღებთ, მართალს და ტყუილს ერთმანეთში ავურევთ, ხომ ასეა? არ დაგიმალავთ, მეც ვიცი რამდენიმე თვალის ასახვევი ფოკუსი, მაგრამ გადავწყვიტე, დღეს არც ერთი მათგანი არ წარმოვადგინო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დღეს, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ამ გულთბილ და კეთილშობილ მაყურებელს არ მოვატყუებ. გიჩვენებთ მხოლოდ ეჭვიმუტანელ სიმართლეს, რასაც მე მივალწიე თანდაყოლილი, მართლაც სასწაულმოქმედი ბიოდენებისა და ტიტანური შრომა-ვარჯიშის შედეგად. დღეს მე უარს ვამბობ ჩემს ასისტენტზეც, რომელიც ეხლა კულისებში დგას და ფიქრობს: თუ ასე გაგრძელდა უხელფასოდ დავრჩებიო. ნუ შეეშინდება, სხვა საქმეს გამოვუძებნი. იგი მე სცენის განყოფილებაში და მაგნიტოფონის დროზე ჩართვაში მომეხმარება. მაშ ასე, დავიწყოთ. მართალია, ძალიან ცხელა, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, ყურადღებით მიცქიროთ. ჩემმა ჩაცმულობამ, ვინძლო, არ გაგაკვირვოთ. ამ გაგანია სიცხეში ასე იმიტომ მაცვია, რომ ჩვენ, ილუზიონისტებს, ფიცი გვაქვს

დადებული, ჩვენი ინდოელი ვაჟკაც-წინაპრების წინაშე ილუზიონისტის ტრადიციული ჩაცმულობის გარეშე არც ერთი ნომერი არ წარმოვადგინოთ, ჩვენ რომ ჩვეულებრივ მდგომარეობაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ან სასაბლილოში ფოკუსების კეთებას მოვყვებით. ქვეყანა გადაგვერევა და ეგ არაფერი, მაშინვე დისკვალიფიკაციას მოგვცემს ილუზიონისტთა მსოფლიო საბჭო.

შევთანხმდით, რომ დღეს მხოლოდ სიმართლე ილაღადებს ამ სცენაზე. ვთხოვ ერთ-ერთ თქვენთაგანს გამოვიდეს და ახლოს დადგეს ჩემთან. როგორც კი თქვენს მოტყუებას შევეცდები, დაიყვიროს და თავს დამარცხებულად ჩავთვლი. მე სიტყვის კაცი ვარ. დაგპირდით, არ მოგატყუებთ-მეთქი და ჩემს სიტყვას არ გადავალ. ვის სურს დღეს ჩემი ასისტენტობა? გამობრძანდით, გამობრძანდით, თამამად, საშიში არაფერია“.

მესამე რიგში გრუზათმთანმა მამაკაცმა ჭილოფის ქუდი გვერდით მჯდომს შეაჩეჩა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გულმოდგინედ დაისვა ყელ-კისერზე და სცენაზე გავიდა.

დარბაზში კანტი-კუნტად ტაში გაისმა.

– გთხოვთ წარუდგეთ საზოგადოებას, – ხელები გამალა ილუზიონისტმა ჩიომ.

– ვაშაკიძე, – განზე გაიხედა „ასისტენტმა“.

კლუბში მართლაც ძალიან ცხელოდა და ვაშაკიძემ გაიფიქრა: „რა მინდოდა ამ გაგანიაში, დაქირავებული არავის ვეგონო, ვიჯექი ჩემთვის, მშვენივრად, რა სცენაზე გამოსაჩენი მე ვარ, ამხელა თავის და ღიპის პატრონიო“, მაგრამ უკვე გვიან იყო. უკანდახევა აღარ გამოდიოდა.

კარლო ჩიომ თითო მტკაველი დიამეტრის მონიკელებული რგოლები ამოალაგა ჩანთიდან, ოთხი თუ ხუთი იქეთ-აქეთ მკლავებზე ჩამოიკიდა, ორი თვითონ დაიკავა და ორი ვაშაკიძეს შეაჩეჩა.

– გასინჯეთ კარგად, ხომ მაგარი რგოლებია? – ხმამალლა, დარბაზის გასაგონად ჰკითხა ჩიომ ასისტენტს. ასისტენტ-

მა როცა ფოლადის რგოლები გულმოდგინედ გასინჯა და დაუდასტურა, – მაგარიო, ილუზიონისტმა ახლა ის რგოლები გაუნოდა, რომელიც თვითონ ეჭირა... ესენიც ნახეთ, იქნებ მე რამეს გატყუებთ. ერთნაირია არა? მაგრებია ხომ? ახლა ჩემთან ერთად გააკეთეთ, რასაც მე ვიზამ. აი, დავიკავოთ თითო რგოლი და ვურტყათ ერთმანეთს, იქნებ მოვახერხოთ ჯაჭვივით ჩავაცვათ ერთი რგოლი მეორეს. დავინყოთ, ერთი, ორი, უფრო მაგრად, სამი, არ გამოდის? კარგად ნახეთ, სადმე ნაჭდევი ხომ არა აქვს, ან გასასხნელი კვალი ხომ არ ეტყობა?!

ვაშაკიძემ ოთხივე რგოლი დაათვალიერა და, არაფერი ეტყობაო, აუნყა ფოკუსების ოსტატს.

– აბა, ერთხელ კიდევ ვცადოთ, შემოვკრათ ერთმანეთს ერთდროულად, ერთი, ორი! ღონივრად, სამი!

და მოხდა ის, რასაც დარბაზიც და ვაშაკიძეც ელოდა, მაგრამ როგორ მოხდა ის, რაც მოხდა, თვალი ვერავინ ჰკიდა. ერთმანეთში გაყრილი ორი რგოლი ჰაერში შეათამაშა. ასისტენტმა კი ერთხელ კიდევ შემოჰკრა რგოლები ერთმანეთს, მაგრამ ამაოდ.

მერე კარლო ჩიომ თავისი რგოლები მკლავზე ჩამოიკიდა, ვაშაკიძეს გამოართვა ურჩი რგოლები და განუცხადა:

– აბა, ახლა თქვენი რგოლები ვნახოთ. იქნებ ჩემებს მაინც ჰქონდათ სადმე სუსტი ადგილი. კიდევ ერთხელ ყურადღებით დაათვალიერეთ. მაგარი? კეთილი და პატიოსანი. ერთი! ორი! სამი! და თვალის დახამხამებაში რგოლი რგოლზე ეკიდა.

დარბაზში ტაშმა იხუვლა.

– ძალიან გთხოვთ გულახდილად უთხრათ დარბაზს, მოგატყუეთ რამე? გნებავთ ერთხელ კიდევ ვცადოთ?! – პათეტიკურად ჰკითხა კარლომ ვაშაკიძეს.

– არ არის საჭირო, ყველაფერი რიგზე იყო, – ენის ბორძიკით ამოღერდა ასისტენტმა და ცხვირსახოცი ერთხელ კიდევ გულმოდგინედ დაისვა ყელ-კისერზე, – შემიძლია დავჯდე?

– დაბრძანდით. დიდი მადლობა – ილუზიონისტმა მაგიდიდან თავისი სავიზიტო ბარათი აიღო და ვაშაკიძეს გაუწოდა, – ჩემს მომავალ კონცერტზე გეპატიჟებით.

ამის შემდეგ კარლო ჩიომ რიგრიგობით სამი „ასისტენტი“ აიტყუა სცენაზე. ერთს ახალთახალი „კალოდიდან“ კარტი ამოაღებინა, საიდუმლოდ დაიმახსოვრეთ და შუაში ჩადევითო. მერე თვითონვე გულმოდგინედ აარევიან კარტი და განუცხადა: „ახლა დადეთ მაგიდაზე ის კარტი და თქვენ თვითონ მითხარით, რამდენი კარტის შემდეგ ამოვიღო თქვენი დამალულ-არეული კარტი, რომელიც მე არ მინახავს და რომც მენახა, თქვენს მიერ არეულში რაღას ვიპოვიო“.

– მეცხრე, – თქვა ასისტენტმა.

– მეთერთმეტე! – დაიძახა დარბაზიდან ვილაცამ.

– მეცხრე თუ მეთერთმეტე? – იკითხა ჩიომ.

– არც ჩემი და არც სხვისი – მეთხუთმეტე! – განუცხადა ასისტენტმა.

– ზემოდან თუ ქვემოდან?

– ზემოდან! – უპასუხეს დარბაზიდან.

– თქვით, რა კარტი იყო, უთხარით დარბაზს, მე ხომ კარტს არ ვეკარები, – თქვა ჩიომ.

– აგურის კაროლი, – დაიძახა ასისტენტმა.

დათვალეს ზემოდან მეთხუთმეტე, მართლაც აგურის კაროლი აღმოჩნდა.

მესამე მაყურებელს ხელში სასწაულთმოქმედი კვერთხი მისცა და უთხრა: „კეფაზე შემახე და პირიდან ალუმინის კვერცხს გამოვიღებო“. საკმარისი იყო ჯოხი თმაზე შეხებოდა, რომ ილუზიონისტს ლოყები დაებერა, პირს მომდგარი ალუმინის ბურთულა ყველას დაანახა, პირზე ხელი მოისვა, ხელისგულზე გაგორებული კვერცხი მალლა შემართა და აისროლა.

დარბაზში ტაშმა იგრიალა.

– იქნებ ის ერთი წინასწარ მედო პირში. აბა, ერთხელ კიდევ სცადეთ! – თქვა ილუზიონისტმა.

ჯოხის კიდევ ერთი შეხება და კიდევ ერთი „კვერცხი“ მოადგა კარლო ჩიოს წითლად შეღებილ ფართო პირზე.

– კიდევ!

– კიდევ!

– კიდევ!

მაგიდაზე შვიდი კვერცხი რომ დაგროვდა, „ეყოფა, ცოდოაო“, დაიძახა ვილაცამ დარბაზში და ასისტენტმა შემართული ჯოხი ძირს დაუშვა.

ამ ნომერმა ოდნავ დაეჭვებულნიც კი დაარწმუნა, რომ კარლო ჩიო არ ტყუოდა, იგი მართლაც სასწაულთმოქმედი იყო.

მეოთხე ასისტენტს, ტანკენარ, ქერათმიან ქალს კარლო ჩიომ საათი შეხსნა ხელზე და თავისივე ხელით ცხვირსახოცში გულმოდგინედ გაახვევინა. მერე ცხვირსახოცს სული შეუბერა და ქალს უთხრა, გახსენით, წაიღეთ თქვენი საათი, რაღაც ეს ნომერი ამ ბოლო დროს არ გამომდისო.

ქერათმიანმა გახსნა ცხვირსახოცი და ელდა ეცა, მისი ოქროს საათი ხის პანანინა ნაფოტებად ქცეულიყო.

– საათი რა იქნა? – თითქოსდა თვით ილუზიონისტიც შეწუხდა, – ხომ კარგად ჩადეთ? ხომ თვითონვე მოუკარით ცხვირსახოცს, თქვენს გარდა, ხომ არავინ მიჰკარებია?

– არავინ... რა ვიცი... ვინ წაიღებდა, – ქალს აცრემლებამდე ცოტალა აკლდა.

ექებეს, ექებეს და ოქროს საათი მაგნიტოფონის გვერდით ილუზიონისტის სათადარიგო ჩალმაში იპოვეს.

ბოლოს ილუზიონისტმა გულაჩუყებულ მაყურებელს სამი წითელი რიკით ჟონგლიორული ნომრები ჩაუტარა, მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, ჩალმა მოიხადა, პარიკზე ხელი ჩამოისვა (კინალამ პარიკიც ჩამოაყოლა), შავი მოკასინები ქუსლებით ერთმანეთს გაუკაკუნა, დარბაზს ჰაეროვანი კოცნა სტყორცნა, ყველას ბედნიერი ცხოვრება უსურვა და აღტაცებით პირმოღებულ მაყურებელს ცარიელი სცენა შეატოვა.

ტაშის გრიალში რამდენჯერმე უხმეს სცენაზე კარლო ჩიოს. ბოლოს, როცა ილუზიონისტმა ხელებით და მიმიკით ანიშნა მაყურებელს: თქვენი ვარ, მაგრამ ძალიან ცხელა და მეტი აღარ შემიძლიაო, ტაში დაცხრა, ფარდა მიძიმედ, ნელ-ნელა დაეშვა.

დაბა ახავაის მცხოვრებნი ილუზიის ჯადოქრის ხელოვნებაზე საუბრით დაიშალნენ და თავიანთ სადაბო ცხოვრებას დაუბრუნდნენ. კარლო ჩიო კი სანამ მისი თეთრიდათვისთვალება ასისტენტი ხელსაწყო-იარაღებს ფანერის მწვანე სკივრში ალაგებდა, პატარა საგრძობრო ოთახში ბამბა-ვაზელინით საქმიანობდა, რათა სცენის ნილაბი მოეშორებინა და ის სახე მიეღო, რა სახეც ჩვეულებრივ ამშვენებდა, როგორც საქართველოს ერთ სრულუფლებიან მოქალაქეს.

კარზე ფრთხილი, გაუბედავი კაკუნი გაისმა.

– მობრძანდით, ღიაა! – კარს გასძახა ჩიომ.

ვაშაკიძეს დაშვებულ ხელებში ჭილოფის ქუდი ეჭირა. თითო ნაბიჯი წინ და მარჯვნივ გადმოდგა და იქვე კარებთან გაჩერდა.

– გისმენთ, – ილუზიონისტმა ვაზელინით აზიმზიმებული სახე ჩვეულებრივი, თეთრი პირსახოცით შეიწმინდა, პერანგის ზედა ღილი შეიკრა და სტუმარს სკამი გაუჩოჩა – დაბრძანდით, გაინტერესებდათ რამე?

კარლო ასეთ ვიზიტებს მიჩვეული იყო. კონცერტის დამთავრების შემდეგ მასთან ყოველთვის შედიოდა სამი-ოთხი განსაკუთრებით ცნობისმოყვარე მაყურებელი, ლამის ერთი და იმავე აღტაცებული მიმიკით და მთრთოლვარე ხმით რომ ეხვეწებოდა, „ჩვენ ორნი ვართ ახლა ამ ოთახში და, თუ ღმერთი გნამს, იმ ნომერს მაინც როგორ აკეთებო. თითქოსდა ყველაფერს ზუსტად მივყვებოდით, მაგრამ ვერაფერი გავიგეთო“. კარლოც, რასაკვირველია, ერთსა და იმავეს იმეორებდა: „არავითარი საიდუმლოები არ არის, თორემ თქვენზე ახლობელს ვის ვეტყოდი, მე ფოკუსნიკი კი არა ვარ, არ გატყუებთ,

ყველაფერი ჩემი განსაკუთრებული ბიოფიზიოლოგიური და ანატომიური (!) შესაძლებლობების ბრალია, მილიონში თითო ადამიანი იბადება ჩემნაირი მონაცემებით, ამას თუ სათანადო ვარჯიშს დაფუძნებთ, მიიღწევა ის, რასაც მე მივალნიეო. ვაშაკიძეს არც გულუბრყვილო მაყურებლის გაოცება ეხატა სახეზე და შეკითხვის მოცემასაც აგვიანებდა.

– გიყვართ ცირკი? – უხერხული სიტუაციის განსამუხტავად შეკითხვის ინიციატივა კარლო ჩიომ აიღო ხელთ.

– კი... რასაკვირველია... ხომ არ გაცდენთ, ორი სიტყვა მინდოდა მეთქვა, – ვაშაკიძე ჭილოფის ქუდს კრიალოსანივით აბრუნებდა და იატაკს დასცქეროდა.

– ბრძანეთ, ბრძანეთ.

– ეს ნომრები გაქვთ, საერთოდ, თუ სხვაგან სხვა ნომრებით გამოდიხართ?

– ძირითადად ეს არის. ერთი-ორი კიდეც მაქვს, მაგრამ შევამცირე, ცხელოდა და მაყურებელი არ გადავლალე. რაზე შეკითხებით?

– არაფერი... ისე... ჩვენი დაბა, კი მართალია, ცოტა მიყრუებული დაბაა, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ჩვენც გვინახავს. მთლად ისე კი არაა საქმე.

– ნომრებზე ბრძანებთ? მე ხომ გითხარით, არ მოგატყუებთ-მეთქი, დღეს რატომღაც ისეთ ხასიათზე გახლდით. არ მოგეწონათ?

– როგორ არა... მოგვეწონა, თქვენ თქვენი საქმე იცით, რასაკვირველია, და ისიც არაა ცუდი, თავიდანვე რომ იტყვი: განსაკუთრებით ეს მაყურებელი მიყვარს და არაფერს მოგატყუებთო.

– არ გჯერათ, ხომ? ჩემს გულწრფელობაში ეჭვი შეგეპართათ.

– დაჯერებით მე ბევრი რამ არ მჯერა ქვეყანაზე, მაგრამ ხომ დაინახეთ, მხარი დაგიჭირეთ. მართალია-მეთქი, ტაში დაგიკარით და ჩამოვედი სცენიდან, რატომ თუ იცით? იმი-

ტომ, რომ თქვენ თქვენი საქმე გაქვთ და არ იქნებოდა ლამაზი იქ, სცენაზე რომ კირკიტი დამეწყო.

– მაინც?

– სხვების არ ვიცი და არ მინდა ჩვენი დაბიდან ისეთი შთაბეჭდილებით წახვიდეთ, თითქოს ვინც იჯდა ამ კლუბში, ყველამ ყველაფერი დაიჯერა. თქვენ-მეთქი, მაპატიეთ ვიმეორებ, თქვენი მულამი გაქვთ პურის ქამის ამ ქვეყანაზე, თვარა რა დროს ცირკის ფოკუსებია, ფოკუსს ვჭამ მე?

– დიდი მადლობა თანაგრძნობისთვის, მაგრამ მაინც ძალიან მაინტერესებდა რას მიხვდით და რას ვერა.

– რაი და ფოლადის რგოლები რომ ვითომ ერთმანეთში შეგყავდათ, თავიდანვე მკლავზე გქონდათ ჩამოკიდებული ორო-რად ჩასმული რგოლები. ერთმანეთზე რომ ურტყამდით და უცებ ჩემზე გაამახვილებდით ყურადღებას, ამასობაში ამ ორ რგოლს ადგილს შეუცვლიდით და მაყურებელი ვერ ხედავდა.

– თქვენ რომ რგოლები გამოგართვით?

– სწორედ მე რომ გამომართვით მესამე დაკაკუნებაზე მარჯვენა მკლავზე ააცურეთ, ვითომ ხელი აგიცდათ და ერთმანეთში ჩასმული რგოლები ჩამოყარეთ, არ იყო ასე?

კარლო ჩიო სდუმდა.

– ახლა კარტის ამბავი. ორი კალოდა გაქვთ, ერთ კალოდაში მარტო აგურის კაროლებია. ჯერ პირველი კალოდა დაანახეთ, მერე ის მაჯაში შეაცურეთ და კაროლებიან კალოდაში დაამახსოვრებთ „კლიენტს“ ერთი კარტი. მერე ის კალოდა მაგიდაზე იდო და სულერთი იყო ზემოდან იქნებოდა მეშვიდე, თუ ქვემოდან – მეცამეტე, მაინც აგურის კაროლი ამოვიდოდა.

კვერცხები რომ გამოგქონდათ პირიდან, არც ეგ იყო დიდი ფილოსოფია. მუდმივად ერთი ალუმინის კვერცხი გედოთ პირში. ხელს რომ მოისვამდით ტუჩებზე, იმ კვერცხს კი არ იღებდით, პირიქით პირში იღებდით, ხოლო ხელისგულში მეორე კვერცხი გედოთ და იმას ისროდით მაღლა. ასე ამოიღეთ

ჯიბიდან შვიდი კვერცხი და ჯადოსნური ჯოხის წყალობით ვითომ პირზე გადაგებოდათ.

საათის ამბავი ყველაზე უბრალო იყო. იმ ქალმა რომ საათი მოგანოდათ, თქვენ, თითქოსდა, მაგიდაზე რალაცას ეძებდით, მაშინვე ჩააგდეთ იგი ჩალმაში და სანამ ცხვირსახოცში ის ქალი ნაფოტს გულმოდგინედ კრავდა, ასისტენტმა ჩალმა წაიღო და მაგნიტოფონის გვერდით დადო. არ იყო ასე? გაფიცებ გულით საყვარელს, არ ვთქვი მართალი?

კარლო ჩიო სდუმდა.

ვაშაკიძე თვალელებში შესცქეროდა გამჟღავნებულ ილუზიონისტს. თავიდან გამარჯვებულის იერით უყურებდა, ცოტა არ იყოს ირონიულადაც, მერე როცა ინდივიდუალური ნომრების ოსტატის ნაღვლიან თვალებს ნაანყდა, ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი საქციელის. „რა უბრალო კაცი ჩანს, არ უნდა მოვსულიყავი, არ ვარ მართალი“, გაიფიქრა და სიჩუმე კიდევ ერთხელ დაარღვია.

– თქვენი სახელი?

– კარლო ჩიო – სხვისი ხმით თქვა და განზე გაიხედა ილუზიონისტმა.

– მე ნამდვილ სახელს გეკითხებით.

– კლიმენტი, კლიმენტი ლელეყვა.

– კლიმენტი ბატონო, მე შანშე მქვია. კი არ გენყინოს, ეს ყველაფერი ისე გითხარი. ვითომ, ჩემი ჭკუით ჩვენს დაბაზე ნამეტანი დაბალი წარმოდგენა არ დარჩესთქვა.

– არა ბატონო, რა საწყენია, შეიცვალა ქვეყანა, ის ხალხი, ის მაყურებელი, რომ იყო, ნამდვილად აღარ არის.

– მაგაში კი მართალი ბრძანდებით. ჩვენ იმდენ და იმნაირ ფოკუსს გვიკეთებენ ყოველდღე, ყოველთვე, ყოველ ათ წელიწადში, რომ ცირკის ფოკუსები იმასთან ბავშვურ თამაშობად ჩანს. ვხვდებით ყველაფერს ხანდახან. ხანდახან, უნდა გითხრა, ისეთი მაღალი რანგის ფოკუსია, ვერაფერს ვხვდებით, მაგრამ

ორივე შემთხვევაში, ჩუმი ვართ. ასეა ჯერჯერობით და მერე ვნახოთ.

– კი ბატონო, კი, მართალი ბრძანდებით, – კარლო ჩიომ საათზე დაიხედა.

– ბატონო კლიმენტი, სხვანაირად არ მიიღოთ. ნავახშიმ არც თქვენ იქნებით, თუ მიკადრებთ, ახლოს ვცხოვრობ აგერ, ორ ნაბიჯზე ვარ, თითო ჭიქა და ნავისამხროთ, თითო ლუკმა ჭადს ნავუტეხოთ, დიდხანს არ გაგაჩერებთ, შვილებს ვფიცავ-ვარ.

– მადლობელი ვარ, ბატონო. სხვა დროს. ახლა არ ეწყობა საქმეს. თანაც მოგეხსენებათ, მარტო არ ვარ, ასისტენტი მახლავს.

– რავა გეკადრებათ, ბატონო. ნამობრძანდეს მაგიც. ერთი საათი, მეტი არა, ამხელა გზაზე უვახშიმოდ ხომ არ გაგიშვებთ. მეცით პატივი...

ისეთი გულწრფელობა და მოკრძალება ჩანდა შანშე ვაშაკიძის ხმა-თვალეებში, რომ ილუზიონისტმა უარი ვერ უთხრა.

სკივრი პატარა ოთახში შეათრია, კლუბი დაკეტეს და სამი-ვინი მთვარით განათებულ შუკას დაადგნენ.

კლუბის წინ ეზოში, ჭასთან ჩაცუცქული ძალი მთვარეს უყეფდა.



## იარა

– როგორა ხარ?

ქალმა გაულიმა და ლამის დაუმარცვლა:

– არა მიშავს. შენ როგორა ხარ?

– ქმარ—შვილი ხომ კარგად?

– გმადლობთ. კარგად არიან.

– შენ იცი თუ არა, რომ ათი წელი გავიდა.

– ათი წელი და თორმეტი დღე.

– საოცარია.

კაცმა სიჩქარე გამოცვალა და სიჩქარის სახელურმოჭიდებულ თითებში იგრძნო, რომ ხელი უკანკალებდა.

– რა არის საოცარი?

– ისე ჩაჯექი მანქანაში, თითქოს ეს—ესაა გადმოხვედი და პურის საყიდლად შეხვედი მაღაზიაში.

– ასეც იყო.

ერთხანს ორივენი ყუჩად იყვნენ.

– ყველაფერი ტყუილი ყოფილა? – განზე გაიხედა კაცმა.

– არაფერიც არ ყოფილა ტყუილი.

– ტყუილი ყოფილა, აბა რა. გესმის? ათი წელია არ მილაპარაკნია შენთან.

– სამაგიეროდ მე შენთან ყოველთვის ვლაპარაკობ.

– აღარაფრის აღარ მჯერა. სად წავიდა ის ცრემლი, ის ლოდინი, ის გაგიჟება ერთ დღეს რომ არ გნახავდი...

– ეგ შენს თავს ჰკითხე.

– შენ გეკითხები.

– მე არაფრის შეცვლა არ შემეძლო.

– გეხვენები, მითხარი, დამეთანხმე, რომ ყველაფერი სისულელე ყოფილა.

– არ დაგეთანხმები, რომ მოგკვდე, არ დაგეთანხმები.

- მაგრამ გულის სიღრმეში შენც ასე ფიქრობ.
- არ ვფიქრობ.
- აბა როგორ გაძელი უჩემოდ?
- მე არ წავსულვარ შენგან, შენ წახვედი.
- როგორ გაძელი—მეთქი. ეს შენ არ მიცდიდი საათობით მანქანასთან?
- გიცდიდი. ახლაც გიცდი.
- სულელები ხართ ქალები. არ გინდათ საკუთარ თავს გაუცხდეთ, რომ თურმე ყველაფერი ქრება.
- არაფერიც არ ქრება. მე უბრალოდ ცხოვრების სტილი შევიცვალე. შენც ხომ ხედავ, შენს ცოლ—შვილში ხელს აღარ გიშლი.
- მე ისევ მე ვარ. ეს შენა ხარ მოუცლელი და ქმარ—შვილით დაზუზღული ქალი. ეს შენ მითხარი ათი წლის წინათ, მე მგონი ნოემბერი იყო მაშინაც, ძალიან გთხოვთ, აქ მეტი აღარ დარეკოთო.
- გითხარი.
- რატომ?
- მე არასოდეს არ მოვატყუებ იმ კაცს, ვინც ჩემი შვილების მამაა. იგი ამას არ იმსახურებს.
- გიყვარს?
- ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. შენ ძალიან კარგად იცი, ვინც მიყვარს.
- მერე სად წავიდა შენი სიყვარული?
- არსადაც არ წასულა. იგი ჩემთან დარჩა. ყოველდღე, ყოველ საათს ჩემთანაა და თავს მახსენებს.
- როგორ მინდა მჯეროდეს.
- აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს შენ დაიჯერებ თუ არა. მთავარია, რომ მე მჯერა ჩემი სიყვარულის.
- რომ გაგიჩერე, ჩემთვის არც შეგიხედავს, ნომრებს შეავლე თვალი და უყოყმანოდ დაჯექი.
- ჰო.

- რა იცოდი ნომერი. შენ ხომ ამ მანქანაში არასოდეს მჯდარხარ.
- რა სულელი ხარ. სწორედ იმ წუთში ვფიქრობდი. არა, ახლა, სადაცაა გამოჩნდება და მანქანას გამიჩერებს—მეთქი.
- ამ ათი წლის განმავლობაში სამჯერ მოგკარი თვალი გაჩერებაზე. ეს იყო და ეს.
- და თუ გახსოვს, მე ყოველთვის შევბრუნდებოდი ხოლმე, რომ არ მოგექცია ყურადღება.
- დღეს?
- არაფერი. უბრალოდ თავს ვერ მოვერიე.
- სამსახური რატომ დატოვე?
- დრო აღარ მეყო. ბავშვები, ქმარი. სხვა მიზეზიც იყო.
- რა მიზეზი.
- არ მინდოდა. მბორკავდა. გულზე მანვა შენი ნაშოვნი სამსახური. ასე მეგონა დილით სახლიდან რომ გავიდოდი, დანაშაულს ჩავდივარ—მეთქი.
- კაცმა გაიცინა.
- ხომ გითხარი, სულელები ხართ.
- რა ხდება, რა ამბავია შენს თავს?
- რა ახალია რამე? შენ მაინც იცი, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაფია თავდასხმას მომიწყობს. მერე უკან დაიხვეს და ახალი თავდასხმისთვის მოემზადება.
- არ მოსწყინდათ?
- არც მოსწყინდებათ.
- რა საშინელებაა.
- ახლა ვერ გავახარე. არ ავყევი, ძალადაც არ ჩავაგდე.
- როგორ მინდოდა იმ დღეებში შენს გვერდით ვყოფილიყავი და გამემხნეებინე. გიჟს ვგავდი.
- გამხნეებები არ მაკლდა.
- ჩემსავით მაინც ვერავინ გაგამხნეებდა. კარგად მოიქეცი, რომ იმათ დონეზე არ დაეშვი და არ უპასუხე.
- გეხვეწები, იმ სიბინძურეზე შენთან მაინც ნუ ვილაპარა-

კებთ.

– მართალი ხარ.

– შენ ეს მითხარი, გახსოვს ბაკურიანში ფეხი რომ მოვიტეხე?

– ოღონდ მოგონებები არ დაინყო!

– არ გიყვარს მოგონებები?

– რისი მოგონებები! მე არავითარი მოგონებები არა მაქვს. მე მოსაგონარი არაფერი მაქვს. ეს ყველაფერი გუშინ იყო, დღეს არის. მე იმ დღეებით ვცხოვრობ. ჩემთვის სხვა დღეები არ არსებობს. დამინყე ახლა: „გახსოვს? გახსოვს?“ რას ჰქვია მახსოვს. რა მჭირს გასახსენებელი.

– მაპატიე.

მანქანამ ელბაქიდის დაღმართზე ჩაუხვია.

– ცოტა შესუქებულხარ, – თქვა კაცმა.

– შესუქება შენი იკითხე. ტელევიზორში რომ გიყურებ, კისერი ყასაბს გიგავს.

– აღარ მოგნონვარ?

– მაგ შეკითხვის უმწეობა არასოდეს მიგრძენია ისე, როგორც ახლა. რას ჰქვია მომწონხარ? ეგ უცხოს უნდა ჰკითხო. მე შენ სხვა თვალთ, გარედან ვერასოდეს ვერ გხედავ.

– რა ლამაზი ლაპარაკი იცი.

– კი, აბა. ლამაზად თქვენ ცდილობთ ილაპარაკოთ. თქვენი პროფესიის ხალხი. და სწორედ ყველაზე ყალბი მაშინა ხართ. რომელი საათია!

– ორი სრულდება.

– ჩიტის სკვერთან გამიყვანე.

– ?

– სკოლასთან. ბავშვი უნდა გამოვიყვანო.

– ნახვალ ახლა და ათი წელი დაიკარგები, ხომ?

– აუცილებლად... რა კარგია, ათი წლით ისევ დავიკარგები. რა ბედნიერებაა... ღმერთო ჩემო... ნეტა მალე მოვიდოდეს სიბერე... მალე გათავდებოდეს ეს ყველაფერი... სიზმრებში

ვცხოვრობ, ვაჟა, მე სიზმრებში ვცხოვრობ. აქაურობას უკვე კარგა ხანია აღარ ვეკუთვნი... გამიჩერე... წადი ახლა და თავს მოუარე... მოიწი, ერთხელ გაკოცებ... არა, შენ არ მაკოცო... მე გაკოცებ... წავედი... აქედან ბაზარში უნდა გავიარო.

– გამოვიდეს ბავშვი. ბაზარში მე გაგიყვანთ.

– არა, არა. ტაქსით წავალთ. არ მინდა შენს მანქანაში ჩავსვა. მერე კითხვებით ამიკლებს. ნახვამდის.

ჩავიდა. პლაშის საყელო აინია და ნიკაპი ჩამალა. ისევ ჩაძვრა თავის სულში. ფიქრებში. სკოლის კარებთან გამოსულ ქალს რაღაცა ჰკითხა; ალბათ, „ზარი ხომ არ ყოფილაო“. მანქანისკენ მოიხედა, ხელი დაუქნია და სკოლის კარებში გაუჩინარდა.

ნელა, მძიმედ დაძრა მანქანა. მის ცხოვრებაში პირველად არ იცოდა კაცმა, სად წასულიყო.



## ასარჩევნი

ნინასაარჩევნო დუელზე.....	5
სამი მაგიური დღე.....	10
თითო ხელი.....	17
უკანასკნელი ქალდი.....	22
გურჯი გენერალი.....	31
ჭრიჭინობელა.....	38
ყველანი.....	44
საქართველოზე სიზმრებით განამებული.....	53
ქანაობს პრეზიდენტში.....	61
სხვა ქართველები?!.....	71
უნდო.....	77
მირზა.....	84
ოპერაცია „ტელევიზორი“.....	89
უკანასკნელი სათხოვარი.....	99
ვის დაეკარგე.....	105
განთქმა.....	110
ელიავას ბაზრობა.....	119
მთხრელები.....	127
პრეზერვატივზე უფრო მნიშვნელოვანი.....	133
პარლამენტარი ბიჭუნები.....	137
მხსნელი.....	141
თეთრი ყორანი.....	152
ნუ განიკითხავთ.....	162
ორი კაცი.....	172
გეშინოდეთ მკვდრების.....	182
მე... ერთმა კაცმა.....	193
თამარ მეფის ორდენის კავალერი.....	198
რატომ, რატომ?!.....	203
ტერორი.....	213

ხელმწიფრათა შემგროვებელი.....	225
გვრიტი.....	232
ნინიკო.....	234
მკვლელობა.....	237
ხომ შეგვჭამა სევდამ.....	244
დამწყები ნევრასტენიკის ჩანაწერი.....	256
ფისო.....	261
„აულის ელდა“.....	263
„ერის ხსნა“.....	272
მწვალბელი.....	280
მეორე დღე აღარ გათენდა.....	285
აი, ქვეყანა.....	296
ნაძვის ათი გირჩა.....	305
არ იქნება... ..	315
კრაზანებთან ომი.....	322
სამართალი.....	326
ცოტნე.....	333
დიალოგი უთანაშემწოდ.....	337
ყველა ვარსკვლავი როდი ანათებს.....	345
ვიცი, რამ მოკლა.....	416
უვადო შიმშილობა.....	422
ხუმარა.....	430
კინო.....	437
ხიფათიანი.....	441
ქიონია.....	446
სახელი.....	454
გულმავინცი.....	460
ილუზიონისტი.....	463
იარა.....	473

**РЕВАЗ МИШВЕЛАДЗЕ**  
**ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ**  
в 25 томах  
ТОМ VII

Издательство „Сакартвелос Мацне“  
Тбилиси 2012